

ცარგო საენიპ





სერგო სამნიძე

გოგოპარ საუკანეთა ფილილი

რომანი

2017



წიგნი გვაცნობს აჭარის ერთეულთი ულამაზესი
სოფლის – სალორეტის, (ახლა პირველი მაისი) წარ-
სულს და დღევანდელობას, ყურადღება გამახვილე-
ბულია ძირითადში – სამნიძეთა გვარ-შტოს წარმო-
მავლობაზე, ყოფა-ცხოვრებაზე და გავრცელების არ-
ეალზე.

რედაქტორი: რამაზ სურმანიძე,
პროფესორი

ISBN 978-9941-0-9991-5

ავტორისაგან

წინამდებარე ნაწარმოებში ასახულია აჭარის ერთ-ერთი ლამაზი სოფლის – საღორეთის ყოფა-ცხოვრება, ტრაგედის, აღორძინებისა და მშვიდობიანი ცხოვრების ეპიზოდები.

ნაწარმოები მოიცავს XVII-XX საუკუნეების პერიოდს, ბეთლემის ტრაგედიას, ქრისტიანობის ბოლო თვეებს და ოსმალთა ბატონობის დამკვიდრებას.

ნაწარმოების ძირითადი სიუჟეტი, ერთი გვარის წარმოშობის ისტორიაა, რომელიც სათავეს იღებს ახალციხიდან და ერწყმის სოფელ საღორეთის ყოფა-ცხოვრებას.

საქართველოს გამარჩანაგებელმა სენატა – ტყვეთა სყიდვამ და ბედის უკუღმართობამ, აჭარიდან და მესხეთიდან ოსმალეთში მოახვედრა ქალ-ვაჟი. მათ ზიდეს ის ტვირთი, რასაც ჰქვია მონათა ხვედრი, თუმცა ბედი მდევარი კეთილი ნაბიჯებით სდევდა მათ გზა-შარას.

ეს ქალ-ვაჟი ფატმა და მამუკა, განგების ნებამ ოსმალეთის ტერიტორიაზე ერთმანეთს შეახვედრა და კეთილი ადამიანების კეთილშობილებით ისე დაახლოვდნენ, იქორწინეს კიდეც.

დედა-სამშობლო მათ მეხსიერებაში არ წაშლილა, იმედის ნაპერწყალი არ ჩაქრობიათ, ხოლო შეუძლებამ და კეთილი ადამიანების მზრუნველობამ, სამშობლოზე დარდი და ოცნება რეალობით დაუგვირგვინა.

ამ კეთილი ადამიანების კეთილშობილური, პატრიოტიზმით გამსჭვალული სულითა და დახმარებით, არა მარტო ქორწინდებიან, სამშობლოსაც უბრუნდებიან.

ფატმასა და მამუკას შვილმა – თამთამ მეზობელი სოფლის ახალგაზრდას დაუკავშირა ბედი, სრულიად ახალგაზრდები შეებნენ ცხოვრების ულელში – გაიპარნენ მამულ-დედულეთიდან. აწყურის ეკლესიის სულიერი მამების და შემდეგ ხინოს ტაძრის სულიერი მამების რჩევა-დარიგებებით და თავიანთივე არჩევანით, ქვემო აჭარის სოფელ საღორეთში დაემკვიდრნენ, გამრავლდნენ და კეთილი ადამიანების გვერდით ხარობდნენ.

სწორედ ამ ქალ-ვაჟის, თამთასა და საამის შთამომავლები არიან ისინი, ვინც საამის სახელიდან გვარადქცეული – საამიშვილების თაობათა ტრადიციებს დღესდღეობით უღალატოდ აგრძელებენ სოფელ სალორეთში და გენოფონდის ღირსეული შემავსებლები არიან, ცხოვრების ავ-კარგიან ჭაპანს ეწევიან და სხვა გვარების თაობა-თა გვერდით მხარდამხარ კეთილ საქმიანობას ეწევიან!

ბედის ორონიით, ამ შთამომავლებიდან ზოგიერთები, ისევ ოს-მალეთის მკვიდრებად იქცნენ – მუჰაჯირობამ და ცხოვრების უსია-მოვნებებმა, ისინი უცხოეთის ცისქვეშ მოახვედრა.

ნანარმოებში დიდი ყურადღება ეთმობა თამარ მეფის სალორეთ-ში შემოსვლის, დარბაზობის, ქველმოქმედების, ეპიზოდური ამბებ-ის გადმოცემებით მოღწეულ ცნობათა მხატვრულად ასახვას.

წიგნი ინტერესით ივითხება.

შესავალი

ისტორიის ჩარხი, ხან წალმა ბრუნავს და ხანაც უკულმა. ხან ბედ-ნიერება ისადგურებს ქვეყნიერებაზე და ხანაც უბედურება. ბედუკულმართობა ხან სტიქიების ბრალია, ხან კი ადამიანთა უგუნური ქცევისა. ცოდვა კი ყოველთვის ტრიალებს უკულმა მბრუნავი ჩარხივით.

ცოდვა ადამიანთა გამოისობითაც წარმოიშობა. გაუმაძლარი, ხარბი მედროვის და დესპოტი მმართველების უგუნური მოქმედებები კი უფალსაც არისხებს და ხშირად – სტიქიებით უმასპინძლდება მინიერებს, რა დროსაც აღარ განირჩევა ცოდვა-მადლიანი.

ბოროტება ისტორიულ გზაგასაყარზე გრიგალივით ტრიალებ-და ყველა ეპოქასა და დროში.

ასეთ ავბედით გზაგასაყარზე შეიყარნენ მეცამეტე საუკუნეში ძირძველი ეთნოსი-ქართველნი და შუა აზიის ტრამალებიდან, სტეპებიდან, უდაბნოებიდან შემოხეტებული, დამპყრობლური ბუნების, კაცომოძულეობით განთქმული, ჩინგის-ხანის ურდოს ნარჩენებიდან შეკონინებული, ოსმალებად წოდებული ახალი ურდო.

მეომარი და მეჯოგე მომთაბარეები ანადგურებდნენ მთასა და ბარს, ქალაქებს, სახელმწიფოებს, იმპერიებსა და სამეფოებს. იპყრობდნენ ყველაფერს.

მეოქვესმეტე საუკუნე ავბედითი გამოდგა საქართველოსთვის. მეცამეტე საუკუნიდან მოყოლებული არ თავდებოდა საქართველოს სამანების რყევა და ომები. ძვირად დაუჯდათ ქართველებს, ოდესლაც თამარის მიერ გაძლიერებულ და დანინაურებულ ერს, ოსმალთა მეზობლობა. მოითარეშეს და მიისაკუთრეს ტაო, კლარჯეთი, ფანასკერტი, ბაგრატიონთა სამფლობელოები, სამცხე-საათაბაგო და აჭარა.

შავშეთ-იმერხევიც ისმალთა დროშის ქვეშ მოიდრიკა. დაიპყრეს ნაგალისხევი, ჭოროხის აუზი, ბათუმი, ზემო და ქვემო აჭარა, ქობულეთი, ხინოს ეპარქია და საცეცები კავკასიონისკენ გაწვდინეს.


აჭარაში ძლიერ წინააღმდეგობებს აწყდებოდნენ, მაგრამ მოქნეული არავის მოუზომავს, არც ისმალები ზომავდნენ და წონიდნენ. მოუზომავად მოქნეულმა იატაგანმა კი მრავალი ადამიანი მოსრა.

ტრიალებდა ცეცხლი ქართველთა გულში. ოხვრა-ვაებას ბოლო არ უჩანდა და ლვოს გარდა არც არავინ იცოდა, სანამ დღე გაგრძელდებოდა კაცთა კვლა და ჩაგვრა.

უფალმა თითქოს მიივიწყა საქართველო და ქართველი ერი. დიოდა სისხლისა და ცრემლის მდინარეები. შავი ღრუბელი დიდი ხნით ჩამოწვა საქართველოს ცაზე... უფალს კი მიავიწყდა თითქოს... მაგრამ, არ ავიწყდებოდათ, სამაგიეროდ ოსმალებს...

1560-იან წლებში აიარეს აჭარისწყლის ხეობაც. 1566 წლიდან შეუდგნენ აჭარის აღნერას, როგორც მათთვის განკუთვნილ შესანირავს, ისე მოიაზრებდნენ ამ კუთხეს... და მართლაც აღნერეს.

1500-იანი წლებიდან კი სამცხე-საათაბაგო და შემდეგში ახალ-ციხის საფაშოდ წოდებული ტერიტორია, მართლაც ძირდესვიანად აღნუსხეს.



ნეოლიტი პირველი

სამხრეთიდან გამოემართნენ ბამბაქულა ლრუბლები და ცა ერთიანად დაფარა.

ავი დარის მაუწყებელი იყო საღამოსული გარინდებაც.

მიიძინა ნაჯაფარმა სოფელმა. აქა-იქ მხოლოდ ძალლების ყეფა თუ დაარღვევდა ლამის მყუდროებას.

ის-ის იყო ტახტზე წამოწოლას აპირებდა პაპა მახარე, რომ ეზოში ძალლმა წამოიყეფა და ისევ მიყუჩდა.

„ალბათ შინაურია, თორემ ასე უცებ რა გააჩერებდა მაგ უპატრონოს?!“ – ჩაიცინა ულვაშებში და კარში გახედვას აპირებდა, რომ ამ დროს კაკუნი გაისმა.

– პაპა მახარე, არ შეგეშინდეთ, გიორგი ვარ, ალმასხანისა. მამამ გაახლათ ჩემი თავი.

– შემოდი, შვილო, ხომ მშვიდობაა?

– მშვიდობაა, პაპა. მამამ შემოგითვალა, სტუმრები მეწვივნენ, სათათბირო გვაქვს და ნებას თუ დაგვრთავს სახლში რომ ვეწვიოთო.

– ახლა რაღა დროს თათბირია, შვილო, შუალამეა გადასული. ესეც რომ არ იყოს, ჯალაბს სძინავს უკვე. გათენდება და მეწვიონ, ან სულაც მე გადავალ, ისედაც წვიმა იქნება ხვალ და მეტი რა საქმე გვაქვს.

– კარგი აპა, პაპა მახარე, ასე მოვახსენებ მამას და სტუმრებს, – თქვა და კარებში გაუჩინარდა.

ქარმა წამოუბერა და წვიმის წვეთები მოიყოლია თან. ლარათიდან სუსნი ისევ ატანდა. საკმაოდ ციონდა. შორს, კარჩხალის მთაზე, ჯერაც ისევ ახალი თოვლი ქათქათებდა.

„რა უნდა ჰქონდეთ ისეთი საშური სათქმელი, შუალამისას რომ არ სძინავთ, ან ვინ სტუმრები არიან, ნეტა?“ – გაივლო გულში პაპა მახარემ და ტახტზე გაუხდელად მიგორდა. ძილი გაუტყდა მოხუცს, ვერა და ვერ დაიძინა. წამოჯდა, ყალიონი გააწყო და ჯერაც ჩაუმქრალი ბუხრის პირას ჯორკოზე გადაინაცვლა.

ფიქრი გაუწყდა პაპა მახარეს.

უცებ იელვა და ერთი ისეთი იქუხა, არემარე შეაზანზარა. სასირის გორაზე ხმელ წიფელს ალი ავარდა და სოფელი გადაანათა.

თავსხმა წვიმა წამოვიდა და მოხუცის გული და გამომშრალი მინა დაალბო.

ასეთ დროს არათუ ელვა-ქუხილი, მინის ასეთი გამოგვალვაც არ ახსოვდა მოხუცს. როდის-როდის, გამთენისას, მამლების მეოთხე ყივილისას მიეძინა ასწელსმიტანებულ მოხუცს.

დილით ერთხელ კიდევ გადაიგრიალა ქუხილმა, ხოლო მეხმა კი ჯვარქედზე მდგარ ეულ მუხას ტოტები ჩამოასხიპა.

პაპა მახარე ნელა წამოჯდა ტახტზე და თვალები მოიფშვნიტა. მეუღლე ხორებანს უკვე ბუხარი გაეჩაღებინა და დილის თადარიგს შესდგომოდა.

– უჰ, რამდენი მძინებია, შუადღე მოსულა კინალამ.

– გძინებია კი არა... რა იყო, რა ალქაჯი შეგიჯდა ღამე ხმამაღლა რომ ლაპარაკობდი და შენი დაძინება არ იქნა?! დაისვენე ბერივაცო, შენი დღე და მოსწრება ჯაფაში იყავი, სიბერეში მაინც მოისვენე.

– ეეჸ, ნუ გაუტიე, დედაბერო, შენებურად. სტუმარი მეწვია წუხელ მოულოდნელად და იმას ველაპარაკებოდი. ძილი კი... ალარ დაამთავრა სათქმელი და ეზოში გავიდა.

წვიმას უკვე გადაელო და მზე საამოდ იჭვრიტებოდა ლრუბლებიდან.

აივანზე კუდრაჭები გამოფენილიყვნენ და მზისკენ მიეშვირათ სახეები, ვინ კიდევ თმებს ივარცხნიდა.

– ამ დილით რად აპრძანებულხარ პაპა, დაწექი და იძინე, საქმეს ჩვენაც აუგალთ – გადმოსძახა მზისასა და ვარდოსაგან წათამამებულმა ელისომ.

– თქვენს გახარებას შვილებო, თქვენ რომ კარგად მყავხართ ეს მიხარია და აბა რა დამაინებს.

– მით უკეთესი ბაბუ, მოისვენე და ძვლებსაც ნუ აწვალებ, უკვე ას წელს ხარ მიღწეული, საუკუნე განევს მხრებზე, მძიმეა ეგ ტვირთი.

– კახაბერი სადაა შვილებო, რაღაც არა ჩანს. წუხელ ნალვინები ხომ არ მოვიდა და არ სძინავს?

– არა ბაბუ, დილაუთენია ალმასხანთან გადავიდა. დაიბარა მალე მოვალო. არ ჩანს, კია და...

„რაღაც ამბავია და მიმალავენ ალბათ“ – გაიფიქრა და ისევ სახლში შებრუნდა.

– ხორებან, სადა ხარ ქალო.

– რა იყო მამა – გაეპასუხა ბადრია – დედა ბოსტანშია გასული.
არ წაიხემსება?

- შვილო, რა ისმის ვაჩესი და ერეკლესი?
- კარგად არიან მამა. რატომ იკითხავ? მოხდა რამე?
- არაფერი ისე ვიკითხე.
- წუხელ გოგია დაბრუნებულა სახლში და ამბავი მოიტანა, ცოტა სანში ისინიც დაბრუნდებიან შინ.
- შენს პირს შექარი შვილო. რაცხა ნამეტარი გაგრძელდა ეკლესიის შეკეთება.

ბადრიამ რძე შეკიდა ბუხარში და შეშა შეუკეთა.
– მამა, ეზოში წუ გახვალ, სიგრილეა და არ გავინოს. ბუხართან მივჯექი და საქმეს ჩვენ აუვალთ - თქვა ეს და გარეთ გავიდა.

– კახაბერი ჭკვიანი მყავს, ელიზბარის გოგოს რომ დაადგა თვალი. ჭკვიანი რძალი მომგვარა – გაფიქრებასავით, მაგრამ ხმამალლა კი გამოუვიდა ნათქვამი.

– რაღა დროს ამის თქმა იყო ბერიკაცო ა? – განა აქამდე ვერ მიხვდი? - გაეპასუხა ხორეშანი, რომელიც სამზადში შეუმჩნევლად შემოსულიყო.

– ანე, რომც მოვკვდე ალარ ვინალვლებ ასეთი რძლის პატრონი. ალარ დაამთავრა სათქმელი და ყალიონი გააფუუილა.

– ნეტა სად გეჩქარება კაცო. ველარ ეტევი ამ დალოცვილ ქვეყანაზე თუ რა არის? დანარჩენ შვილებსა და შვილიშვილებს არ სჭირდებათ დაოჯახება და დალაგება ვითომ?

– მართალი ხარ დედაკაცო, დავიცდი აბა – თქვა და ულვაშებში ჩაილიმა – ვიქნები მანამ, სანამ არ მოგწყინდებით.

– უი, გამისკდეს მიწა, განა მასეთი რამ გაგრძნობინეთ როდესმე?
– გახსოვს ხორეშან, ცხენით რომ გამოგიტაცე?

– სუ, კაცო, რაღა დროს ეგაა. ფეხის ხმა ისმის.

სამზადში კახაბერი შემოვიდა, უკან ბადრია და შვილები შემოჰყვნენ.

– მშვიდობაა შვილო? სად გაუჩინარდი უთენია.

– წუხელ ვინ იყო ჩვენსას მამა?

– გიორგა, ალმასხანის შვილი.

- ჰოდა, ამ დილითაც მოვიდა და ალმასხანთან გადავედი.
- რა ხდება კახაბერ?
- თავად მოგახსენებენ, შუადღისას... თუმცა რაღა შუადღისას, უკვე მოდიან მგონი.

„რაღაც ხდება მგონი და მიმალავენ. ასეთი რა საქმე გაჩნდა უცნაურად რომ მირბი-მორბიან და არც კი ამბობენ. ღმერთო, მშვიდობა მოგვეცი და დანარჩენს ეშველება რამე“.

რამდენიმე წუთში პაპა მახარეს ეზოს გაბრიელ მღვდელმთავარი მოადგა ამალის თანხლებით.

გაბრიელს გვერდს უმშვენებდნენ დიაკვანი ანტონი, მღვდელი გრიგოლი, მწიგნობარი საბა და ბერები – არსენი და ბარძიმი, ექვთიმე და ეფრემი. ეს უკანასკნელნი ბეთლემის მონასტრიდან ჩამოსულიყვნენ საქმეზე და შინაურების თვალის დასაკრავად. ბასილი მღვდელი კი მოშორებით გაჩერდა.

ლაზარე პაპას კი გვერდით ამოდგომოდნენ მნათე შიო, ალმას-ანი, ზაქარია, თანდილა და ელიზბარი, რომლებიც წინმავალ სტუმრებს კაი მანძილით ჩამორჩებოდნენ.

– რას მივაწეროთ ხალხო თქვენი აქ მოპრძანება, ხომ მშვიდობაა? – იკითხა და თვალი სათითაოდ მოავლო იქ მყოფთ. ლაზარე ცოცხალი ხომაა?

– ლაზარეც თავად გეახლება მცირე ამალით, ეგერ მოდიან პაპა მახარე – მიუგო საბამ.

– საჭირბოროტო საქმეა, უნდა ვითათბიროთ, ბარემ ყველამ მოიყაროს თავი.

- დოროთი სად ბრძანდება ელიზბარ? ხომ კარგადაა?
- გველოდება მახარე პაპა, იქით, ტყის პირას, ჩვენს თავშესაყარ ადგილისკენ წავიდა პირდაპირ, მზემ დაგვდო პატივიო და იქით წავიდა, თორემ სხვაგან უნდა შევყრილიყავით.

- წავიდეთ აბა, რახან მასეა საჭირო. არ იტყვით მაინც რა ხდება?
- სოფლის განაპირას, წაბლნარის ახლოს პატარა გავაკებაა, სადაც სოფლის უხუცესები და თავკაცები ხშირად იკრიბებოდნენ და საჭირბოროტო საკითხებზე მსჯელობდნენ. არავინ იცის, თუ რა დროიდან დაწესდა ეს ადათი, მაგრამ თაობები ტრადიციას არ ღალა-

ტობდნენ და თავშესაყარ ადგილს ხშირად ახმაურებდნენ. აქ წყდებიდა დაოჯახება-გათხოვების, საერთო – სახალხო თუ სახელმწიფო ობიექტის სამუშაოების და სხვადასხვა საკითხები. ამჯერად, თავშეყრის მიზეზი სულ სხვა ამბავმა წარმოშვა. გარე საშიშროება აგორებულიყო უკვე დიდი ხანია ოსმალთა სახით და... ჩანთქმას უპირებდა ყველას და ყველაფერს. შიშის ზარი რეკდა ზედა აჭარის ყველა სოფელში – ოსმალომ ყველა სოფელი მოინარეკლა გარდა ერთისა, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა. ეს სოფელი თამარ მეფის ნატერფალის მადლით უდრეკად უმკლავდებოდა მტერს.

არ ეძინა მტერს.

არ ეძინათ ნადარბაზევლებსაც, რომლებმაც ისიც იცოდნენ, რომ მტერი ძლიერი იყო და ვერაგი, და მათ ნინაალმდეგობას აზრი არ ჰქონდა, მაგრამ არ ეთმობოდათ არც რჯული არც თავისუფლება, არც ნოყიერი მიწა-მამული და არც კლდე-ნაფლატები.

ქედზე ასწლოვანი წიფლის ხები იდგა, რომელთა მეშვეობით პატარა მოლზე ჩრდილდაფენილი სიგრილე სუფევდა. რამდენიმე, გაჩორკნილი მორი იდო ჩამოსაჯდომად.

თავმოყრილთაგან ზოგმა მორებზე მოიკალათა, ზოგიც დაგრეხილ-დაღვლარჭნილ წიფლის ფესვებზე მოეწყო. გაბრიელი და მისი ამქარი ჯერ ისევ ფეხზე იდგა.

– დაბრძანდით მამა, სათქმელს დამჯდარიც ვიტყვით – მიმართა დოროთი ქადაგმა გაბრიელს და გვერდით გაჩოჩდა.

– არა, პატონო დოროთი, სასულიერო პირთა საქმე დგომა და ქადაგებაა. როგორ ისურვებთ, მე დავიწყო თუ თქვენ მოგვახსენებთ სათქმელს?

– რაშია ხალხო საქმე, ამოილეთ ხმა, ნუ დამტანჯეთ კაცი – ცოტა ხმის აწევით თქვა პაპა მახარემ, ყაბალახი მოიძრო და ჯეელივით წამოხტა – თუ კაი ამბავია, მაღარიჩი ჩემზე იყოს, თუ ძნელი ამბავია, კაცნი ვართ და უნდა შევეგუოთ და გავუძლოთ.

გაბრიელმა ჯვარი ზეასწია. ყველამ ერთად გადაიწერა პირვევარი.

– წუხელ საიდუმლოდ გვაცნობეს: – ოსმალები დიდი ჯარით აპირებენ სოფელში შემოჭრას და ხალხის ერთიანად ამოულებვას.

რალაც უნდა ვილონოთ ხალხნო, ამიტომაც შევიყარეთ აქ და...

ბუჩქებში რაღაც გაფაჩუნდა. ფეხზე წამოიჭრნენ და მსწრაფლ იარაღს შეავლეს ხელი. დამხვდურთა ყურადღება გოგო-ბიჭების ხმაურიანმა სიცილმა დაფარა, რომლებიც ერთი-მეორის მიყოლებით ბუჩქნარიდან გამოძვრნენ.

— რომ გამოიპარეთ, უჩვენოდ გადაწყვიტეთ თათბირი განა? რა, ჩვენ არ შეგვტკივა გული თუ სათვალავში ალარ გვაგდებთ, აქაოდა ბავშვები არიანო. მაცნის მოტანილი წუხანდელი ამბავი ჩვენც ვიცით — წინ წამოდგა ბექა და პაპა მახარეს ჯიქურ მიაჩერდა — ახალგაზრდობა სოფლის ძალა და იმედია, ამიტომ ჩვენც იქ უნდა ვიდგეთ სადაც ჭირი და ვარამია-თქვა და იარაღი შეაულარუნა.

— არც მე ვიცოდი შვილო არაფერი. აგერ თქვენ და აგერ ჩვენ, ვიმსჯელოთ ყველაფერზე — პასუხი დაუბრუნა პაპა მახარემ.

— ახალგაზრდები სწორად მსჯელობენ. სოფლის შუაგულში უნდა შევყრილიყვავით და არა აქ — დაამატა პაპა დოროთიმ, თუმცა, რომ გადავინაცვლოთ არც ესაა გვიანი.

— მთავარი სათქმელი აქვე ვთქვათ ღვთის შეწევნით და დანარჩენი სოფლის შუაგულში გავაგრძელოთ — შენიშნა მამა გაბრიელმა.

— დანდალოს ხალხი რომ ერთიანად ამოწყდა, კარგად მოგეხსენებათ ხალხო — დაიწყო ალმასხანმა — ჩვენც ეს გველის. იმოდენა ჯარს აბა ვინ გაუმკლავდება, მით უმეტეს ჩვენლა დავრჩით მათს პირისპირ, მარტოდმარტო, ბრძოლაში ნელ-ნელა დავილევით, რაღაც გამოსავალი უნდა ვეძებოთ.

— რას გვთავაზობ, წუთუ სარწმუნოება უნდა შევიცვალოთ? არამცდა არამც, ახლა ჩვენისთანების სარწმუნოების შეცვლა აღარ მოხდება, ვის რაღაში ჭირდება, ვის რად არგია — თქვა პაპა მახარემ და მიმოიხედა-გამოსავალი მხოლოდ ერთია, ავიყაროთ და კოლხიდისკენ გადავინაცვლოთ, ან ახალ ცხოვრებას მოვიწყობთ, ან ჭაობში ამოგვხდება სული. ჩვენს ტყეზე საიდუმლო ბილიკებია და გადავიდეთ, ან სულაც ხინოს შევაფაროთ თავი.

— ხინოსაც მოწვდებიან და იმ დასავლეთ საქართველოსაც, ისეთი ვერაგები და სისხლისმსმელები არიან.

— სხვა გამოსავალი რა არის აბა?

— ჩემო ძმებო! — წინა წამოდგა პაპა ლაზარე — ჩვენ რომ სარწმუნოება შევიცვალოთ, მართლა არავის სჭირდება, ან ხვალე გავფშიკავთ

ფეხებს ან ზეგ, მარა ამით ახალგაზრდები აგვივებიან და სიცოცხლეს შეინარჩუნებენ-თქვა და თვალი გამომცდელად მიმოავლო.

– გავწყდებით და არ შევიცვლით რჯულს – წინ წამოდგა ბაქარი
– სანამ მკლავში ძალა შეგვწევს, ვიბრძოლებთ, ჯაბანი არავინაა.

– არც ჩვენ ვიჯდებით გულხელდა კრეფილები – დაუმატეს ანი-
კომ და ეკატერინემ – ჩვენც ავიღებთ იარაღს და ვიბრძოლებთ. განა
დანდალოს მცხოვრებლებზე ნაკლები ვართ? ვიბრძოლებთ და ან
გავიმარჯვებთ, ან გავწყდებით, ერთხელ გვიწერია სიკვდილი.

– აჩქარება არ ვარგა შვილები, რაღაცას მოვიფიქრებთ – გაეპა-
სუხა ახალგაზრდებს პაპა დოროთი.

– ფიქრის დრო ალარაა დიდპაპავ, საცაა შემოგვიხ ტებიან.

– მთელი აჭარა ჩვენ შემოგვცერის ხალხი და უგუნური ნაბიჯის
გადადგმა და მოქმედება ჩვენგან არ ეგების, მაგრამ ისიც უნდა ვიცო-
დეთ, ჩვენი ჯერიც დადგება, როდემდე გავძლებთ ასე? არადა მთლიანი
აჭარა ჩვენ შემოგვყურებს გაკვირვებით, რომ როგორ მივავინყდით
მაოხართ და მარტოდმარტო ჩვენი სოფელია ქრისტეს რჯულის მა-
ტარებელი. დანდალოს ხალხი თუ შეაწყდა მტერს დიდიან-პატარი-
ანა ეს ძალიან დიდი გმირობაა, მაგრამ აბა დაფიქრდით, შეჩერდა აზა-
ვთებული მომხვდური? არა, პირიქით. მტერს სისხლი სწყურია. მათი
მოსვლის მიზეზი ხალხის გამუსლიმანებაა, მიზანი კი ერთი აქვთ რაც
შეიძლება მეტი მამულები მიითვისონ და სახრავ-საოხრო არ გამოე-
ლიოთ. ჭკუა რომ ჰქონდეთ ამ კლდე-ლრანტეებში არ შემოხეტებოდ-
ნენ, სადაც ჩვენ ძლივს ვირჩენთ თავს და ახლა ასე განსაჯეთ ისინიც
გვემატებიან სარჩენად, მაგრამ ბრბო იქით წავა, საითკენაც უკრავენ
თავს, ამიტომაცაა საშიში ხალხის ხროვა, არ იციან არაფრის გარჩევა,
მერც ერთზე ასი მოვა და სანადელს მაინც აისრულებენ – დაასრულა
ალმასხანმა და მიყუჩდა.

– ჩემი აზრი ასეთია მეზობლებო – წამოდგა ისევ პაპა ლაზარე –
თუ ჩემს თეთრ თმა-წვერს უჯერებთ, უნდა გითხრათ – მიუბრუნდა
ახალგაზრდებს – უნდა გაერიდოთ სოფელს ვინც კი შეძლებთ, და
გინდ ბეთლემს შეაფარეთ თავი – პირჯვარი გადაინერეს – გინდ
საქართველოს შუაგულს მიაშურეთ, ჩვენ კი მოხუცები დავრჩებით
სოფელში, უპატრონოდ არ დავტოვებთ ადგილ-მამულს და თუკი
მტერი მაინც ინებებს ჩვენზე ძალდატანებას, არც ჩვენ დავწებდებ-

ით და რა დღეს მოვმკვდარვართ, რა ხვალე, განა სულერთი არ არის? ბოლოს და ბოლოს გმირის სახელი შეგვრჩება.

— ბედის ანაბარად ვერ დაგტოვებთ უსუსურ მოხუცებს – ნაბიჯი წინ წამოდგა ეკატერინემ – ჩვენთან ერთად წამოხვალთ თუკი წასვლა გადავწყვიტეთ, ან სულაც დავრჩებით და ერთად გავწყდებით.

— ცუდად მსჯელობით ახალგაზრდებო. თავი უნდა გადაირჩინოთ როგორმე. შემდეგ დროთა განმავლობაში ისევ მობრუნდებით და სოფელს ინახულებთ. არ არსებობს დაუცხრომელი ქარიშხალი. ჩადგება ერთ დროს. როგორც იტყვიან – „წყალის ჩანავალზე წყალი ჩაივლის“. თქვენც ამგვარად მოაშურებთ.

— ეჲ, სანამ ეგ დრო მოვიდოდეს, ბარემ მეათე თაობა ამოწყდება.

— მერე შვილო, ის მეათე თაობა რომ გაგვიხსენებს, განა ეს რამედ არ ღირს?

— მეათე თაობა კი არა, ბარე ერთ თაობაში ერთმანეთს ვჭამთ და ვჯიჯვინით ერთმანეთს ქართველები.

— იწილო-ბიწილო ალარაა საჭირო. ვრჩებით დაუძლურებულები. ახალგაზრდებმა თადარიგი დაიჭირეთ გადაბარგებისა. სულიერ-მა მამებმა სურვილისამებრ იმოქმედეთ, ხოლო ჩვენი დარჩენითაც, მტერზე შეკვდომითაც და გინდ გადაბარგებით, მაინც საქვეყნო საქმე კეთდება, აქ არც საძრახისია რაიმე და მითუმეტეს არც საქებარი, მაგრამ გახსოვდეთ, ერთხელ ადიდებული მდინარე თავისას იზამს – ვიდრე დაიშრიტებოდეს ბრალიანსაც და უბრალოსაც ზარალს მიაყენებს. თავს ზემოთ ძალა არაა, ყველა ერთ ღმერთს ვემორჩილებით, მაგრამ აბელისა და კაენის ცოდვა, რომ აქამდე თან გვსდევს და არა-სოდეს არ ჩაცხრება, ესეც იცოდეთ. რაც არის არის, გადაწყვეტილება საბოლოოა. აწე ხალხი სოფლის შუაგულში მოიხმეთ, გინდაც ნა-დარბაზევზე, სადაც იტყვით და იქ ვამცნოთ ჩვენი გადაწყვეტილებაც და მოსალოდნელი ამბავიც.

უხალისოდ დაიშალნენ და სოფლისკენ გაუტიეს.

შუადღე კარგა მანძილზე გადაიხარა. მათემ, ამ დღისოთვის სა-განგებოდ ახალაგებული სამრეკლოდან, რომელიც ის-ის იყო ფეხს იკიდებდა საქართველოს ეკლესიებში – ზარი შემოჰკრა.

იუცხოვეს სოფლელებმა ზარის შემოკვრა და თანაც უდროო დროს. ერთმანეთზე გადაძახილებსა და შეკითხვებს ბოლო არ უჩან-

და და არც ის იცოდნენ რა უნდა მოემოქმედებინათ. ისევ ახალ-გაზრდებმა იმარჯვეს და ხალხი ეკლესიებისკენ იხმეს. ვინ შილიფად ჩაცმული, ვინ ფეხშიშველი და ვინ კიდევ საგარეოდ შემოსილი, ყველა სამლოცველოებისაკენ ეშურებოდა!

მთელმა სოფელმა მოიყარა თავი.

ახალგაზრდობა იარაღასხმული გამოეცხადა თავშეყრილებს. მათ არც გოგონები ჩამორჩებოდნენ – ყველას თავიანთი იარაღი აესხა.

– რა მოხდა ხალხო, მტერი შემოგვესია, თუ რა არის, ასეთ უდროოდოს ზარის რეკვა კარგს რომ არ გვაუწყებს, მეც ვიცი მარა... რა ხდება? – იკითხა სიღონიამ და შეკრეპილებსშუა მოექცა.

სამრეკლოს ქონგურზე მამა გაბრიელი გადმოდგა.

– ხალხო და ჯამაათნო, ჯერ-ჯერობით მშვიდად ვართ, მაგრამ საშიშროება მაინც გველოდება. პაპა ლაზარს მოვუსმინოთ...

– მეზობლებო, უნდა გაუწყოთ, რომ ოსმალებს ჩვენი მამა და მარჩენალი სოფლის ნაცარტუტად ქცევა გადაუწყვეტიათ. ეს ამ-ბავი მეზობელი სოფლიდან გამოპარულმა ახალგაზრდამ, რომელიც ახლაც ჩვენს შორის იმყოფება, გუშინ გვამცნო. რას იტყვით ხალხნო, დავრჩეთ სოფელში და მტერს შევაკლათ თავი უაზროდ, თუ ავიყაროთ და გავერიდოთ სოფელს? მე და ჩემის-თანები განა სადა ვართ ნამსვლელნი, მაგრამ ვისაც კი მუხლი და გული გერჩით, გაერიდეთ სოფელს. სოფელს ხომ ვერსად წაიღებენ, ჩვენ კი...

– ლაზარე პაპა, მტერზე თავის შეკვლა სარწმუნოების გამოგანა უაზრობაა? – გააწყვეტინა ვილაცამ სიტყვა პაპა ლაზარეს.

– უაზრობა არა არის, მაგრამ ძეგლს არავინ დაგვიდგამს. ჩვენ გავწყდებით და ისტორია კიდევ მტვერს ნააყრის ჩვენს ფერფლადქ-ცეულ სხეულებსა და სახელს.

– ისტორია არაფერს არ ივინწყებს.

– გავწყდეთ მეზობლებო და არ დავნებდეთ, ვიბრძოლოთ სისხლის უკანასკნელ წვეთამდე.

– ერთ დროს ქუხდა ნადარბაზევი, ახლაც შორს გავუგდებთ სახელს. მომავალი შეაფასებს ჩვენს ნაბიჯებს.

– არც ერთი ნაბიჯის გადამდგმელი არა ვართ სადმე.

– ხალხო, დაწყნარდით – გასძახა ალმასხანმა მეზობლებს.

ჩოჩქეოლი კარგა ხანს არ დამცხრალა.

მნათემ ხელმეორედ შემოჰკრა ზარს. დიდხანს რეკვდა შიო ზარს, რომელსაც საამო ურიალის მაგიერ, რაღაც ყრუ და ჩახშობილის მს-გავსი ხმა ახმიანებდა.

პაპა ლაზარემ სამხრეთით ცის კიდურს გახედა, ოსმალთა სულ-თანს წყევლა შეუთვალა გულ-გონებით და მამა გაბრიელს მიუბრუნ-და, რომელსაც თავი ჩაეკიდა მძიმე საფიქრალით.

– მამაო, ხალხის სულიერი ნინამძლოლი შენ ბრძანდები, მიდი და აუხსენი რა უნდა ვაკეთოდ და რა არა.

მძიმე საფიქრალი ყველასათვის მძიმეა, მაგრამ გაბრიელი-სათვის იგი განსაკუთრებულად მძიმე ალმოჩნდა. მრევლის სულიერ ნინამძლოლს წამით გონება დაებინდა, ავისმომასწავებელი ამბავის გადაცემის გამო, მაგრამ თავს სძლია და უჩვეულოდ გულაჩუყებულ-მა და თვალცრუემლიანმა სოფლელებს მოავლო მზერა.

– ძმებო და დებო, სოფლელები, სარწმუნოებაზე საკუთარი სხეუ-ლის მსხვერპლად შენირვა ერთეულების ერთგულების უმაღლესი საქმეა. მასიურად თავშენირვას სტიქიურ უბედურებასავით მიიღებენ უამთაამ-ნერნი. უბედურებას დიახაც მაგრად უნდა დახვედრა. გენიალური რუსთაველის ბრძნული ნათქვამი – „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“-ო, ამას გვიდასტურებს, მაგრამ მტერზე დახვედრა და მერე ერთიანად თავისშეკვლა სახელ-დიდებას ვერ მოგვიტანს და ამით სარწმუნოებასაც ვერაფერს შევმატებთ, გარდა იმისა, რომ საფლავებს მოვიმრავლებთ. არც ისე ძლიერნი ვართ, მტერი ვიგერიოთ და ჩვენც უვნებელნი გადავრჩეთ. კარგად მოგხეხსენებათ, ოსმალებმა მთელი მცირე აზიადაიპყრეს, ბიზანტია ჩაყლაპეს და რუსეთსაც არ ეპუებიან. ვინა ვართ ჩვენ? არაკისა არ იყოს – კოლოები ლომებთან. ჩვენ ვერაფერს დავაკ-ლებთ გამძვინვარებულ ოსმალებს. ასაკვადაცილებულებს რაღა დაგვრ-ჩენია, ახალგაზრდებმა გაერიდეთ. ეგებ ისეთი ვინმე გამოერიოს თქვენ-ში, ისტორიას აუნიყოს დაწვრილებით ყოველივე. ლვთისა და სარწმუნოე-ბის წინაშე ჩვენ ყოველთვის მართალი უნდა ვიყოთ. დამიჯვერეთ შვილ-ნო – ხმა ჩაუწყდა და ჩაახველა – დამიჯვერეთ, ძალზე ძნელია საკუთარი სხეულიდან რამე ნანილის მოშორება, მაგრამ თუკი ეს სიცოცხლეს გადა-არჩენს, უნდა გავუძლოთ.

- ღმერთი ჩვენთანაა და დიდია მისი ძალა. გადაგვარჩენს. ამინ!
- ამინ! - დაიგრიალა ხალხმა და ეკლესიაზე აღმართულ ჯვარს პირვერის წერით რამდენიმე დღე გაუხანგრძლივეს.

* * *

სოფლის აღმოსავლეთ ფერდობზე თამარისდროინდელი მოპირკეთებული წყაროა, სადაც ყოველთვის ხალხმრავლობა და ურიამულია. წყაროს შემოგარენის მცხოვრებლები ამ წყლით საზრდოობს. საღამოობით, მოცალეობის უამს, ბრდლვიალა მთვარის შუქზე ზოგი ქსოვასაც ახერხებს, სხვებს კიდევ რიგი უჭირავთ თუნგებისა და დოქების ასავსებად. უმეტესად ასაკოვანი ქალები იყრიან თავს, იშვიათად მამაკაცები, არც ახალგაზრდა გოგო-ბიჭები აკლია ამ ადგილს, არის ურიამული და ოხუნჯობა.

აპრილის ნახევარი ანუ, როგორც იტყვიან მარტისგან ნასესხები სუსხიანი დღეები უკვე გასულიყო. უჩვეულოდ თბილი ამინდები დაიჭირა. საღამოთი წყაროსპირს სიგრილეც ისადგურებდა.

დღიური ხვატისგან თავმობეზრებულ ქალებს მოეყარათ თავი, წყაროს ჩუხჩუხში რიგს ელოდებოლენენ და თან მასლაათობდნენ.

– გაიგეთ ქალო დღევანდელი ამბავი? – ეკითხება ქრისტინე მეზობელს – თურმე ომი გველოდება. რა უნდა ვქნათ თუ იცით?

– რა უნდა ვქნათ და სოფელს მივხედოთ. ახალგაზრდები უნდა გავარიდოთ დროებით, ვიდრე ქარიშხალი არ ჩადგება.

– თქვენ რა გაქვთ სადარდო, მე ვიკითხო თორემ. ქალიშვილები გასათხოვარი მრჩებიან...

– განა მარტო შენ გაიანე? სოფელი დასაოჯახებელი გოგო-ბიჭები-თაა სავსე. ეჰ, ახალშეულლებულებია ცოდვა თორემ?

– თუ ცოდვაზე მიდგა ქალებო საქმე, ყველა ცოდვაა და რახან ცოდვისშვილები გვეკვიან, ყველა სიმძიმეს უნდა გავუძლოთ.

– შენ გოგო ისე ლაპარაკობ, სოფლიდან ფეხის გამდგმელი არა ხარ. იცი ოსმალები რა ხალხია? არავის და არაფერს არ ერიდებიან. ცოლს ქმრის თვალწინ, გოგოს მეზობლების თანდასწრებით და ასე შემდეგ, სადაც წაასწრებენ, ნამუსს ჰედიან. ბექას მერე რა პასუხს აძლევ?

– შენ ისე მეუბნები, თითქოს გამაბახებენ და მერე ბექას ეტყვიან – აპა და ლმერთმა შეგარგოსო? განა ვინმეს დატოვებენ სალსალა-მათს? სადაც ბექა, მეც იქავე. არც არავის ზე ნაკლებად ვხმარობ იარ-ალს – თქვა წყნარად ჯვარისამ და ქალებს გადახედა.

– ეგ კი გიფიქრიათ კარგად, მაგრამ ინებებენ ვაჟკაცები თქვენს თანხლებას? ვაჟკაცს იმიტომ ქვია ვაჟკაცი, ქალები ხიფათს აარიდონ.

– არ ინებებენ და... გადავიცვამთ კაცურ ტანსაცმელს და მაინც გვერდით ამოვუდებით. ჯაბანი არა ვართ. თუ ბრძოლაში ჩაებმება ყველა, ჩვენ სახლებში არ გამოვიკეტებით. ჩვენ სოფელს ძალიან შორს აქვს გავარდნილი სახელი იარალის წარმოებით და მარტო იარ-ალს არ შევარცხვენთ. თქვენ, რომ ყანა-ბალჩაში მუშაობდით, ჩვენ იარალის ხმარებას ვსწავლობდით. თუ ომია ომი იყოს. მოკვდეს თავ-ლაფდასხმული, ის ვინც უბრძოლველად დანებდება. ჩვენი სული და მიზანი ერთია...

– ეს, შვილებო, თქვენი დაოვგახება მაინც შეგვრგებოდა. ჰოი, მამაზეციერო, რა ცოდვა გვაძევს, ასე რომ გვსჯი?

– რა ცოდვა დედიკო და ქართველი რომ ქართველს მტრობს, ყველანაირი გაიძვერობით რომ უნდა ავნოს ძმამ – ძმას, სწორედ ესაა მიზეზი. აკი ერთხელ აბელი და კაენი ამისთვის დასაჯა ლმერთ-მა. ახლა ცოდვად ჩვენს კისერზეც მოდის ალბათ.

– ორ მოჩხუბარ მამალს არწივი ზემოდან დასცექერის. ისინი რომ დაიღლებიან, ერთსაც წაპწიალებს და მეორესაც. არ სძინავთ ოსმა-ლოებს, ყველაფერს ხედავენ. ერთი მთავარი მეორეს ეომება, მეფე – მეფეს, დადიანი – გურიელს, ერისთავი ამილახვარს და ასე ძიძგილაობაში ორ-თავე იღლება, ოსმალოებს კი მეტი არ უნდათ. ამ შეხლა-შემოხლაში თუ რომელიმე მომძღვრდა, დასუსტებულს აქეზებენ და ქართველები მუდამ შინაომში ჰყავთ, რომ დაღლილებს აღვილად დაებატონონ. აი, ეს გვიღებს ბოლოს – უპასუხა სიდონიას ენამოსწრებულმა გოგომ და გაკირვებაც დაიმსახურა და მონონებაც, ამდენი ცოდნით.

– მართალი ხარ შვილო, მაგრამ ნურც ის დაგავიწყდებათ, არსე-ბობისათვის ბრძოლაში ყველა მიზანია გამართლებული.

– მაშინ ოსმალოებს უბრძოლველად მივერთვათ, ისინი ხომ მარტო ჩვენს გასამუსულმანებლად არ მოდიან, საარსებო წყაროს ეძე-

ბენ და თუ არსებობისათვის ბრძოლაში ყველაფერია გამართლებული, მაშინ დავიკრიფოთ ხელები და მტრის ჭიაც გავახაროთ.

წამით სინყნარე ჩამოვარდა. გზაზე ხორეშანი და ელენე მოდიოდნენ. შეკრებილთ საღამო მშვიდობისა უსურვეს.

– მშვიდობა ნუ მოგვიშალოს მამაუფალმა ბებო. ამ შეღამებულზე აღარსად გაგიშვებთ. ამაღამ ჩვენი სტუმარი იქნებით – წაიმლერა ხატიამ და ორთავეს მოეხვია.

– ქალები არ ჩანან რაღაცა. სად არიან სარა, სიღონია, ფაცია და მაცაცი? საღაპარაკო გვაქვს.

– თქვენ თუ დათქმული არ გქონდეთ სტუმრობა, დანა გამომისვით ყელში. ხვარამზესთან არიან თავშეყრილი ბებო. ცოტა ხანში ჩვენც ვაპირებთ სტუმრობას. გოგონებო თუნგები უპატრონოდ არ დატოვოთ, ჩვენ ბებოებს გავყვებით.

...მელიტონი ბავშვობიდან ჩხირკედელა იყო. მონიფულობაში შესულმა ცხენით ჯირითიც კარგად შეისწავლა, იარაღის ხმარებაც და დურგლობა ხომ ყველაფერს ერჩივნა. მშობლები ადრე დაელუბა – სახადმა იმსხვერპლა. დარწინენ ცხრა-ათი წლისანი და-ძმა – მეზობლების ამარა. დამ თოთხმეტი წლის ასაკში, მეზობელ სოფელში, ჯვარქედზე მცხოვრებ იასონს დაუკავშირა ბედი და სასახელო შვილები დაზარდა. მელიტონმა კი სოფლელი გოგო აირჩია საცოლედ – შავთვალნარბა ხვარამზე, რომელიც მზეს სილამაზეს ეცილებოდა. სანაქებო ოჯახიც შექმნეს. ერთი ის იყო ნაკლი, უფალმა გიორგის გარდა შვილი არ მისცა. ხშირად იტყოდა გულისტკივილით: – ერთ შვილზე გადავეგეო, მაგრამ შვილის ქება რომ მოუდიდოდა უფალს მაღლობას სწირავდა.

არც მეულლის მისამართით გამოუთქვამს საყვედური. ხარობდნენ თავიანთი ნაჯაფარ-ნაოფლარი ჭირნახულით და თავადაც სოფლის სული და გული იყვნენ. სახლი არ იყო, რომლის აგებაში მელიტონს მონანილება არ მიელო. სოფელი ძალიან ემადლიერებოდა ოჯახს.

გიორგის ხშირად ნაეხუმრებოდნენ – წმინდა გიორგის სეხნია ხარ და შენ უნდა დაგვიცვა ყოველგვარი ავისაგანო, მაგრამ ხუმრობა ხუმრობად და ახალგაზრდებმა თავიანთ წინამძლოლად აირჩიეს. მის ჩაურევლად არც ერთი საკითხი არ წყდებოდა. ოლონდ ეს იყო – ცოლის შერთვაზე საუბარს ყოველთვის გაურბოდა,

– მოგცლიათ. მეტი საქმე არა გაქვთ, რომ სულ დაოჯახებაზე ფიქრობთ. განა ცოტაა ისეთი საქმე, რაც პირადულზე უფრო მაღლა დგას? – იტყოდა ხშირად.

– ასე რამ დაგაბრძენა ბიჭო – გასძახებდნენ აქეთ-იქიდან, თავი და თავია ქვეყანას შვილები შემატო, მშობლებს სიხარული და სოფელს სიმდიდრე. რა თქმა უნდა არის მძიმე საკითხებიც, მაგრამ თუ შვილები არ ვიყოლიეთ, საძნელო საქმეები მუდამ იქნება და გამკეთებელი აღარ ეყოლება.

– მართალი ხართ თქვენც, დიოგენეს არც ცოლი ჰყოლია და არც შვილები, სახლიც არ ჰქონდა, კასრში ეძინა. მოკვდა, მაგრამ ქვეყანა არ დაქცეულა, ისტორიის ჩარხი ბრუნავს და ბრუნავს, ხან წინ და ხან უკან, მაგრამ ქვეყანა არ იქცევა

– დიოგენეს ნუ ეტოლები. ხომ იცი, იაკობი რომ ღმერთს ეჯი-ბრებოდა, როგორ დაისავა.

– მე გიორგი ვარ და არავისზე არც შეჯიბრებას, არც გატოლებას და არც მოცილეობას არ ვაპირებ – გადაწურა ერთხელ წყალი. სოფლელ გოგოებს კი მასზე თვალი რჩებოდათ. ერთმა კი ბავშვობაში სახელი გოგია მიაკერა და მას შემდეგ სოფელი გოგიას ეძახდა: გოგია წყალი დამალევინე, გოგია მეზობელთან გამეგზავნე და ათასი რამ მოუთავებელი. სიყვარულით კი მთელ სოფელს უყვარდა.

იზრდებოდა სოფელში ორი გიორგი, ორი ძმობილი და არ არსებობდა არც მხიარულება, არც სიმძიმილი, შუაგულში არ ეტრიალათ. სადაც თავშეყრა იყო, ისინიც იქ გაჩნდებოდნენ.

წყაროსპირას თავშეყრილ გოგონებს შემთხვევით თავს წაადგა ორივე გიორგი. სოფლის განაპირას, გადასახედ ქედზე მიდიოდნენ, იქ, სადაც ერთ დროს სოფლელებს მტრის მოსაგერიებელი ლოდსატყიორცნი იარაღი ედგათ. ძველისძველი მაღნის საღნობი შენობის ნასაძირკვლართან ხელისგულისოდენა მინდორზე ახალგაზრდებს თავყრილობა დაენიშნათ.

წყაროს, რომ მიუახლოვდნენ, გოგონები ურიამულით წამოიშალნენ, შორენა კი თავდახრილი იჯდა და არც განძრეულა, მზერა კი ქვეშ-ქვეშ გაექცა და მალულად შეავლო თვალი გულის რჩეულს.

– რა მოუვიდა ქვას რომ დაეკერა, ხომ არაფერი იტკინა? – იკითხა კაიძალადაცილებულმა გოგიამ და გიორგის შეხედა.

— ეჭ, რა გელაპარაკო ბიჭო, ხომ მაგან შეგარქვა გოგია? რომელ-საც მთელი სოფელი სიყვარულით გიწოდებს, შენ კი ვერაფერს ხვდე-ბი. შენმა გამოჩენამ მართლა ქვაზე დააკერა. ელდა ეცა და დარჩა ისევე, როგორც იჯდა.

— მე არ მიყვარს მაგისთანა ხუმრობა. და-ძმასავით ვართ ერთ-მანეთთან შეზრდილები, ეგ რამ გაფიქრებინა.

— მაფიქრებინა კი არა... ცოდვაა ეგ გოგო. ობლად გაიზარდა. მე მართლა არ გამომერჩევა დებში, შენთვის კი გიუდება საწყალი და თუ ხელს არ კრავ, თქვენზე ბედნიერი ქვეყნად არავინ იქნება მგონი.

— განა ეხლა მაგის თავი გვაქვს?

— სწორედ ახლა გაუჭირდა მაგას. იცის რომ ჩვენი ბედი საბედის-ნეროა და თუ ჭკუას მოუხმობ ამით დიდ მადლს გააკეთებ.

— კი მაგრამ ხომ უნდა გიყვარდეს თავი რომ მოაწონო?

— შენ მოწონებული ხარ უკვე და თუ არ დატანჯავ, კარგი იქნება.

— ვიფიქრებ ამაზე.

— ვიცოდი რომ კარგი ბიჭი იყავი, ეხლა ოქრო ხარ.

მოწიფული ვაჟკაცები, ახალგაზრდები და იგერ-აგერ უფრო ხნიერებიც, ვინც საომარ ძალ-ლონეზე იყო, იარაღასხმულნი კლდ-ისთავზე მოთავსებულიყვნენ და ელოდნენ ორ გიორგის.

— ვინც მოვიდა გაუმარჯოს – მიესალმნენ დამხვდურები.

— ვითომ დღეს არ გვინახავს ერთმანეთი..

— მერე რა, ადამიანს რამდენჯერაც შეხვდები, იმდენჯერ უნდა მიესალმო.

— ჰო, ეგ ვიცით, მარა...

— ეჭ, ბიჭებო, ისეთი იარალი მოგვცა, შემოსული მტერი აქედან ამოგვაუჟუნინა მეტი არა მინდა რა – წამოიძახა ალმასხანის ბიჭმა და ერთ ლოდზე კატასავით შეხტა – ხელისგულივით მოჩანს ირგვლივ სოფელიც და ხეობაც.

— მასეთი იარალი ჩვენთან ჯერ ვერ მოალწევს. რუსთა ხელმწიფეს და მის ჯარს ჰქონია. ერთს რომ დაიგრუხუნებს თურმე მისი ხმა კლავს მარტო ხალხსო.

— თუ კაცი ხართ არ მიხსენოთ რუსთა ხელმწიფე. იმას მარტო თავისი თავი ედარდება და სულ იმის ცდაშია, რა ჩათქვლიფოს. გაიძა-

ხიან ერთმორწმუნე ვართ და ერთმანეთს დავეხმაროთო, საკუთარი ჯავრი სჭირს იმას, იქით ითხოვს დახმარებას.

– ეგ, რომ თავის სიმაღლეზე იდგეს, ოსმალეთი ბუზისაც ვერ აგვ-იფრენს. ჩვენი იარაღით კი შორს ვერ წავალთ. ერთი გასროლა და სანამ მეორედ დატენვას მოასწრებ, კი გაგისტუმრებენ საიქიოს.

– თანდილ, მირიანი და ლაშა სად არიან ხომ არ იცი? – ჰკიოთხა ძმამ.

– მგონი მოვლენ, ალბათ რაღაც საქმეზე შემორჩინენ.

– არ იქნება რომ არ მოვიდნენ.

– აგერ ისინიც.

მთვარე ადრე მიეფარა ჯვარქედის გორას და ნახუცრეთის თავზე მკრთალი შუქით ძლივსლა მოჩანდა. მეგობრები ხმითლა არჩევდნენ ერთმანეთს, სჯა-ბაასი კი არ შეწყვეტილა, ისე შეერივნენ მოსაუბრეებში ლაშა და მირიანი.

– რო დაგირქმევიათ მეფეთა სახელები, ახლა გამოჩნდება თუ რამ გამჭრიახობა გაგაჩინიათ – წაუქილიკა მეგობრებს ჯიმშერმა.

– ბიჭებო, ამ წუთას პაპა ლაზარესთან არიან თავშეყრილები. რაც დილით გადაწყდა, იმ აზრზე დგას ყველა. თქვენი აზრით რა უნდა მოვიმოქმედოთ, რომ არც მწვადი დაგვეწვას და არც შამფური? – იკითხა მირიანმა.

– ეგ თეორია დღეს არ გამოდგება, დღეს იარაღი წყვეტს ყველაფერს. ძლიერს თუ იარაღი უმაგრებს ძალას, მასზე უფრო ძლიერმა უნდა ებრძოლოს. ეშმაკობით მაგათ ვერ ვაჯობებთ, იმიტომ რომ ვერაგები არიან, დაუნდობელი სისხლისმსელები. სხვა გამოსავალი აქედან გადაბარგებაა, მაგრამ არც აქაურობა გვეთმობა. რჩება ერთი – უნდა ვებრძოლოთ, მაგრამ მოხერხებულ ადგილას.

– მასეთი ადგილი ესაა, მაგრამ თავს რომ დაგვიარონ, გაგვანადურებენ, ისევ სჯობია ტყეს შევეფაროთ.

– სად ბეთლემში?

– რატომაც არა... ერთხანს თავს გავიტანთ, მერე კი ლმერთია დიდი, გამოჩნდება რაღაც.

– ერთი ამ კლდიდან გადამაყრევინა მაგენი, მეტი არ მინდა.

– ჰოო, მოვლენ, გადავლენ ფრიალოზე, ჩვენც ვუბიძგოთ და მეტი არ უნდა.

– ნეტა სახუმაროდ გვცალია ბიჭებო?

– მთელი აჭარა ჩვენ შემოგვყურებს და წინდაუხედავი და გაუაზრებელი ნაბიჯი არამც და არამც არ გვეპატიება. მტერს მტრულად დავუხვდებით, მაგრამ ისე ნუ შევაკვდებით, ისტორიამ გადა-გვივიწყოს. ჩვენ თამარის ნატერფალზე აღზრდილებს დიახაც ნამდ-ვილქართველობა შეგვშვენის, ისეთი ქუდზე კაცს რომ იძახებდნენ და მტერს კუდით ქვას ასროლინებდნენ.

– ძმებო, რამდენი ვართ, ვისაც იარაღის კარგად ხმარება შეუძლია?
 – ასორმოცდაათამდე და ცოტა მეტი, მეზობელი სოფლის ახალ-გაზრებიც არიან ტყეს შეფარებულნი, ყველა გვერდით დაგვიდგება.
 – მაინც ცოტა ვართ. არ დაგვავიწყდეს, რომ ერთზე ათნი იქნები-ან და ვითარცა უცოდველ ბატკანს მგლები, ეგრე მოგვესევიან. თუმ-ცა სხვა გზა არა გვაქვს. მამა-პაპანი, ნათესავ-მოყვარენი აქ ბედის ანაბარა რომ გვეყოლება, ესეც დიდი საწუხარი იქნება და ძალას გაგვიათეცებს, მაგრამ არ არსებობს ჯერჯერობით ძალა, ვინც ოს-მალებს შეაკავებს და გაანადგურებს.

– ძლიერნი ვართ? – იკითხა მირიანმა და შეკრებილთ თვალი მოავლო.
 – რატომაც არა, ძალა ერთობაშია – უპასუხა ვაჩემ – სოფელი იმითაცაა ძლიერი, რამდენი განათლებული ადამიანი ჰყავს.

– განამგაშია საქმე? ეგ თეორიები მოცემულ ვითარებაში გამოუსადე-გარია. ეგ სხვაგან თუ გამოდგება ჯერჯერობით, აი თუნდაც ზღაპარში.

– ჴო, კარგი, მაგრამ გვყავს განათლებული ადამიანები?
 – როგორ, განა ანტონი, საბა, შიო, გაბრიელი და სხვები განათლე-ბულნი არა არიან? მაგათ ხომ თავისით არ ჩაუცვამით ანაფორები.

– ეგენი ხომ სასულიერო პირები არიან...
 – მერედა რამ გაყო ჩვენი სულიერება და მოქალაქეობა?
 – მთავარია რომ ეგენი ბრმად არ ქადაგებენ და ცხოვრებას რე-ალურად უყურებენ.

– აბა შოთასნაირი ჩვენთან სად დაიბადებოდა...
 – რათა კაცო. საქართველოში არც არავინ ფიქრობდა, რომ შო-თასნაირი კაცი მოევლინებოდა ჩვენს ერს, მაგრამ ფაქტია, იყო. განა არ შეიძლება ჩვენთანაც ვიღაც დაიბადოს?
 – კარგი ერთი, ახლა არ ინატრო დავითი, თამარი და სხვებიც კიდევ. ისინი რჩეულები იყვნენ, მაგრამ არც მათ ჰქონიათ განცხომით ცხოვრება, ხოლო თუ ძლიერნი იყვნენ არც მტრები

ჰესოლიათ ჯაბანნი, მაგრამ თუ ვაჯობეთ, მხოლოდ ეშმაკობით და მოხერხებით. მტერი ვიწრო ადგილას უნდა მიიმწყვდიო და მოსრა.

– მასეთი ადგილი აგარის ხეობაშია, მაგრამ შეგვყვებიან კი?

– მტერსაც გააჩნია. ოსმალოებს ვერც ბნელ ადგილას შეიტყუებ და ვერც ვიწროებში. მაგრინი კალიებივით არიან, არც ეშმაკობა გაჭრის, იმიტომ, რომ მაგათზე გაქნილნი და ეშმაკი დუნიაზე არ არის, ერთს მოკლავ და ათი მოვა.

– რაო, ვითომ ქართველებს მეტი გამჭრიახობა და ეშმაკობა არა გვაქვს?

– ეშმაკობას რას ეძახიან მე არ ვიცი, მაგრამ მტერი რომ მოგერევა ბაბა უნდა დაუძახო, ბოლოსდაბოლოს ის ბაბაც დაბერდება და...

– ჰომ, ეგ თეორია არ ვიცოდი. მიდი აბა და უცადე, შემოვლენ ისმალოები, ბაბა დაუძახე და თავზე გადაგისვამს ხელს, მერე კი უცადე, როდის დაბერდება ის „ბაბაი“ და ამოდე პანლური. შენ არ იცი მაგათი კანონები და იმიტომ მასე ლაპარაკობ.

ვაჩეს ხუმრობანარევ სიმართლეზე ყველას გაეღიმა, თქმით კი არაფერი უთქვამთ. რამდენიმე ხანს გარინდებამ მოიცვა ყველა.

– კარგი და შემოვიდა ოსმალო, ამოგვწყვიტეს ისე, როგორც დანდალოს მცხოვრებლები, მერე რაღა იქნება? სოფელს ხომ უნდა უპატრონოს ვიღაცამ? – იკითხა გიორგიმ.

– სოფელი გავერანდება, თორებ უპატრონოდ ვინ დატოვებს. შემორეკავენ ოსმალოები საქონელს და აძოვებენ. ეგენი, ხომ მესაქონლე ხალხია, ჰოდა, თუ აჭარაში ბევრი საძოვარი ექნებათ, ესაა მათი სურვილი. თუკი ვინმე ცოცხლად გადარჩა და ისლამი მიიღო, მწყემსად იყოლიებენ.

– მეტი არა ჩემი მტერი, მაგრის მწყემსობა ინატროს ვინმებ ჩვენი სოფლიდან. ხომ ასეა ბიჭებო? – იკითხა ფირანამ.

– მაგას კითხვა უნდა ფირან? ჩვენ, იარაღის მწარმოებელი ხალხი ვინმეს ყურმოჭრილ მონად ყოფნას, სიკვდილს ვარჩევთ. არავითარი თითის მოლუნვა.

– ეჱ, არ მოლუნავ თითს და მოგალუნიებენ – თითქოსდა დამთმობი კილოთი თქვა ერეკლემ და ამხანაგებს გადახედა.

– ჩვენი თითის მოღუნვას მხოლოდ სიკვდილი ერქმევა სახელად – თქვა ისევ ფირანამ.

– დიახაც, დიაცურად სიცოცხლეს ვაჟყაცურად სიკვდილი სჯობია, თუ მაინდამიანც სიკვდილი გვიწერია. ვიბრძოლებთ და არ დავნებდებით.

– ჰოდა, მტერსაც ეგ უფრო აწყობს, რომ ამოგვუუყოს. რაც მეტი სიცარიელე იქნება, მათთვის უკეთესია.

– კარგით და გავიხიზნეთ ბეთლემში, იქაც, რომ მოგვაკვლიონ და დაგვესხან მუხანათურად? მაგათ წესი აქვთ, მიპარვით იციან მის-ვლა და თანაც განადგურება.

– ჰოდა, როგორ თქვა რომაელმა? – „ვენე, ვიცი, ვიდი” – მივე-დი, დავკარ და გავანადგურეო – ალბათ ასე.

– არც მთლად მასეა საქმე. რამდენი წინააღმდეგობა შეხვდათ?...

– მერე ვინაა გამარჯვებული?

– ერთადერთი, რუსები ვერ შეაშინეს, ესეც იმის წყალობით, ტერიტო-რია დიდი აქვთ. მაგათ მეფეც ძლიერი ჰყავთ და მეფე-ზარბაზანიც აქვთ.

– რუსეთს რომ უყურებთ, ჩვენი საქილიკო არა სჭირო რა. რუსეთის ტრამალებმა არ მოინელა ჩინგის-ყაენის ოქროს ურდო? საქართველოშიც შემოეხეტნენ, მარა ბოლოს დაი-ლივნენო – ისტორია ასე გვამცნობს. ბოლო ნაწილები ურდოსი, ანუ ღუმანები გოდერძის უღელტეხილის გადაღმა დასამარდნენ, ზოგიც თურმე ამ ხეობაში ჩამოსულან, მაგრამ ხრიოკი ბუნება რომ უნახავთ, უკან გაბრუნებულანო. ბოლო ღუმანნოინი აბასა ყოფილა, რომელიც იმერულელტეხილთან დაბანაკებულა და იქვეც ალსრულებულა. ამის გამო შეერქვაო იმ ადგილს აბას-დუ-მანი, ეხლა რომ აბასთუმანს უწოდებენ და რაღაც ზლაპრისმაგ-ვარს ჰყვებიან სახელწოდებებზე.

– ისტორიაში ჩალრმავება კარგია, მაგრამ ვიფიქროთ ჩვენზე.

– თუ გავიხიზნეთ მიუკვლეველი მართლაც ვერ დავრჩებით, იმ-იტომ რომ გამოერევა ვიღაც სულმდაბალი, ნაძირალა და მეგ-ზურობას გაუნევს. იკისრებენ ასეთს და მერე მოგჭამა ჭირი.

– უბრალო სოფლელი მაგას ვერ იზამს. მასეთი თუ იქნება ან ვაჭარი, ან მონადირე, ყველა ტყეში ყველა ხის ძირი რომ იცის და რომელი გზა კიდევ საით მიემართება.

– ახლა ჩვენ მაგას ვერ გავარკვევთ, თუ ვინ აღმოჩნდება სულმ-დაბალი და გამცემი, მარამ ალბათ მაინც აღმოჩნდება. ის ვიფიქროთ თუ დაგვერივნენ და ამოგვწყვიტეს, მერე ვინ უპატრონებს მკვდრებს და თუ გინდათ სოფელსაც. მკვდრებს დამარხვა ხომ უნდა.

– აუჟ, გაუტიერ ძალიან. ცოცხლები ვართ და უნდა ვიცოცხლოთ კიდეც. თითქოს ბრძნულად ვმსჯელობთ და დამარხვაზე ვფიქრობთ. განა უნდა გავწყდეთ მართლა?

– სადარდოა ყველაფერი.

– კარგით და თუ სოფელი გავერანდა, მერე მაინც ხომ უნდა დასახლდეს ვიღაც-ვიღაცა. განა საფლავებს ვინმე მოუვლის?

– ახლა ყველას თავისი მკვდარი ედარდება და სხვისას მართლაც ვინღა მიხედავს.

– მაგის იმედი მართლაც არ უნდა გვქონდეს, იმიტომ, რომ რაც ისტორია არსებობს ქართველი ერისა, ერთმანეთში ქიშპისა, მკვ-ლელობისა და სიძულვილის მეტსა არაფერს აკეთებენ და საფლავები ვიღას შეედარდება? თქვენც არ მომიკვდეთ.

– არც მთლად მასეა საქმე.

– როგორ არა შენი ჭირიმე, ძმა-ძმას ალარ ინდობს, მეზობელი-მე-ზობელს, ამ სენითაა დაავადებული ქართველობა და ვინმეს აქაურობის საფლავების მოუვლელობა ძილს გაუტეხს თუ იცი? თუკი ვინმე დასახ-ლდა, იმას სულის დარდი უფრო უქნება, ვიღრ საფლავებისა. თქვენ რა გგონიათ, ჩვენ რომ თავი შევაკლათ მტერს ძეგლებს დაგვიდგამენ? შეი-ძლება ტყიურებმა უფრო გვიგლოვონ ერთ-ორ დღეს და მერე ისინიც ჩვენს ძვლებს დატოვებენ მარტო. შემოსახლებულებს კი ისე გადაავინ-ყებენ ჩვენს არსებობას, რომ საფიქრალსაც არ დაუტოვებენ.

– მაშინ ჩვენვე აღვწეროთ ჩვენი ყოველი ნაბიჯი და შემოვუნახოთ შთამომავლობას.

– ვისას, ვიღაც უცხოებისას?

– რათა უცხოებისას? აქ ოსმალოები არ ჩამოსახლდებიან და თუ ვინმე შემოვა, ისევ საქრისტიანოდან.

– შენ თავი ხომ არ მიგირტყამს აქ მოსვლამდე. ოსმალო ქრისტიანებს გაწყვეტს და სხვა ქრისტიანი შემოვა და თავს დაუდებს – იქამდე თქვენ არ მოაღწიეთ და აპა, ჩვენ თვითონ გეახელით თავები დაგვაყრევინეთო?

- აი, ნახავ თუ არ შემოსახლდებიან.
 - ვერაფერსაც ვერ ვნახავთ თუ გავეუუჟეთ.
 - ჰო, მართლა მასეა, მარა ხალხი მაინც შემოსახლდება. ალბათ მშვიდობა ჩამოვარდება ერთ დროს. ქართველობას ამოწყვეტა არ უწერია, იმიტომ რომ ჩვენ დიდი კულტურისა და ისტორიის მქონე ხალხი ვართ.
 - ეეჭ, ისემც რა გითხრა. ვის სჭირდება მერე ჩვენი ერი, ან მისი კულტურა. მოძალადეს სახრავი და ავლადიდება აინტერესებს. გამოძალავენ და რომ სახეირო ალარ იქნება, მერე იქნებ წაეთრიონ უკან. მომხვდური მუდამ მარცხდება ბოლოს.
 - ჰომ? თუ ჩვენი თავები დააგორეს, შენ მერე მოჭრილი თავით დაუძახე – დამარცხებული ხართ მაინც.
 - ეჭ, ნეტა მაცოდინა ჩვენს ნასახლარებზე კვამლს ვინ აადენს.
 - რას გარებს მერე მაგის ცოლნა? ვინც გინდა ისყოფილა განავინებს გაახარებს დრო? ერთი წავა, მერე სხვა მოვა. სხვა წავა, სულ სხვა შემოვა და ასე შემდეგ. ისტორია გრძელდება და ვერავინ იტყვის ხვალე ან ზეგ, ან მის შემდეგ რა იქნება. მთავარია დღევანდელი დღით გავიხაროთ.
 - ესე იგი მომავალზე ალარ ვიფიქროთ?
 - კი უნდა ვიფიქროთ, მარა არც ისე რომ თავის ქალა გაგვისკდეს.
 - ჰოდარა დიდი საფიქრელი ეგა, უპრალოდ ცნობისნადილი მაქვს...
- ეჭ, ნეტა ვინ შემოვა მართლა ჩვენს კოხტა სოფელში?
- თუ მართლა ოსმალებმა მეჩეთი ააშენეს, მერე რაღა მოსაკითხია, ვინ შემოვა და ვინ იცხოვრებს ჩვენი საძვალეების ახლომახლო...
 - არა მგონია ვინმე ღვთისნიერი არ გამოერიოს... იცით რა? „წყლის ჩანავალზე წყალი ისევ ჩაივლისო“ – იტყვიან. სოფელი ისევ ალორძინდება, მაგრამ ნლების გასვლის შემდეგ ცხოვრება სხვაგვარ პირობებს წაუყენებს მცხოვრებლებს, იქნება სარწმუნოებათა ცვლაც, თაობების ცვლაც, კულტურის მონაცვლეობაც...
 - ბიჭებო, მგონი დაგვათენდება, ჩვენ მაინც გავურბივართ მთავარ სათქმელს, რის გამოც აქ შევიყარეთ. აგერ, მართლაც ხვალე რომ შემოეხეტონ ოსმალები ჯარით, რა უნდა ვქნათ?
 - ჯაბანი ხომ არ გვირევია ვინმე, ან უფრო უარესიც – გულლარძლიანი ლაჩარი?
- მირიანსა და ლაშას არ ეჭაშნიკათ თანდილას გადაკრულად ნათქვამი.

– ჩვენთან რომ ობოლი იზრდებოდა მოულოდნელად გაქრა, სამი დღეა არ ჩანს, არ ვიცით რას მოასწავებს – თქვა მირიანმა – მამამ გვითხრა, ეგ ბიჭი ისეთი არ ჩანს რაიმე გვავნოსო. ყოველშემთხვევისთვის ჩვენს საწინააღმდეგოდ ხელს და ენას არ გამოიღებსო.

– შენ პირს შაქარი.

– მართლა რას ამბობს ქადაგი მამათქვენი ბატონი მამამზე? შეეკითხნენ მირიანსა და ლაშას.

– სჯობდა თავად მოეცინათ. ბევრი არაფერი უთქვამს, ისე ამ დღეებში მიბანგული სძინავს სულ, მგონი სამქეცენო პირი არ უჩანს.

– სუ, ბიჭო, ღმერთმა არ გისმინოს, რა ჭირს სამაგისო, სალსალა-მათი კაცია. ალბათ ქადაგად დაეცა?

– შესაძლებელია ასეც იყოს.

– მოდით ბიჭებო, ხვალე ვეახლოთ და რჩევა თავად დავეკითხოთ. რაც არ უნდა იყოს წინასწარმეტყველია. ისეთ რამეს გვირჩევს, იქნებ გამოგვადგეს. ახლა ყველას აზრია გასათვალიწინებელი.

– ალდგომა და ხვალეო, ვნახოთ ველაპარაკოთ.

– ეჰ, ალარ მგონია ხვალე თუ გათენდება. ყოველდღე უბედურებაა მოსალოდნელი. ოსმალოები შეტყობინებას არ გამოგვიგზავნიან, მოვდივართ და დაგვიხდითო, ან უარესი, არ შეგვეკითხებიან მზად ხართ თუ არა საამრადო. მოვლენ და იქნებ ლამით შემოიპარონ, დილით კი შეიძლება ყველა სახლთან ათ-ათი იანიჩარი იდგეს. აი, ესაა დიდი უბედურება.

– მოვლენ და ჩვენც დავხვდებით. „მოვიდა სეტყვა, დახვდა ქვაო“ – იტყვიან.

– კი მაგრამ, მაგ სეტყვამ როგორ გაატიალა და მოსპო იმოდენა ტერიტორიები, რასაც ეხლა ოსმალოები ფლობენ, ხომ იცით თქვენ?

– იცით რა მიკვირს? – წამოდგა ალმასანის გიორგი – ოსმალურ წიგნებში წერია – არ მოკლა, არ მოიპაროო და სხვა მისთანა, აბა ამოდენა სისხლისლვრა რისთვის მოაწყვეს?

– ყურანი ჩემო გიორგი ისლამის მიმდევრებისთვისაა შედგენილი და კრძალავს მუსლიმანთა შორის კაცთაკვლას, საპირისპიროდ ბიბლიისა. ბიბლია კი ქადაგებს საერთოდ „არა კაც ჰკლას“, ხოლო ყურანში წერია: „უკეთუ ისლამს არ მორჩილებდეს გინა ფრანგი, გინა სხვა გიაური, თავი მოჰკუეთო“. ყველა არამუსლიმანს და გან-

საკუთრებით ქრისტიანს გიაურს ეძახიან და ნებადართული აქვთ სისხლისლვრა. გიაური კიდევ ურწმუნოს, არამუსლიმანს ქვია – განმარტა საბა მწიგნობარმა.

- როდის შემოგვეპარე მამაო, არ შეგვიმჩნევია.
- თქვენ აქ იყავით და გული როგორ გამიძლებდა სოფლად. მეც თქვენთან ერთად ვარ მარად და ყველგან.

– მაშ, ნება აქვთ დართული? – ჩაფიქრდა თანდილა. აი, უბედურება, სწორედ მაგიტომ მოაწყვეს ჭოროხის შესართავთან ამაზრზენი კაცთაკვლა? ერთ დღეს ათასოთხას კაცს წააჭრეს თავი. განითლდა მდინარე აჭარისწყალი და მაჭახლის ლელეო. ერგეს მოსახლეობასაც გაავლეს მუსრი, ისევე როგორც შემდეგ დანდალოშიო. ნუთუ ლმერ-თი მარტო ოსმალების წისქვილზე ასხამს წყალს?

– ამჟამად, არსებულიდან გამომდინარე ასეა და რას იზამ – დაუმატა ფირალამ და შორს გაიხედა.

ლარათს მოავლო მზერა. შორეული ათინათიანი მთვარის შუქზე ლამაზი ჩანდა ლარათის მწვერვალები. იქ უნადირნია, ტყეში ამფ-სონებთან ერთად ლამეებიც გაუთვია, ახლა კი ოსმალების შიშით ჩიტიც ველარ გაიფრენს ვერც იქ და ვერც სხვაგან.

– რატომ გაგიწყდა სიტყვა ფირან – ჩაერია საუბარში მირიანი, ან ეგ სახელი ვინ შეგარევა, შენ რა მართლა ფირალობას ხომ არ აპირებ?

– დღედალამე ტყეში ვეგდე და აპა ფირალის მეტი ვინ გაუძლებდა იმდენ ხეტიალს? ჰოდა ფირანა – ფირალად გადამიკეთეს, რაა ამაში საძრახისი, თუ საქმეს დასჭირდა, ფირალობა რას მიქვია.

– საცაა შუალამე მოაწევს, რა გადავწყვიტეთ ბიჭებო? – იკითხა თანდილამ და სათითაოდ ყველას გადახედა, მიუხედავად იმისა სახეებს ველარ არჩევდა უკვე – ჩვენს შორის ცოტაა ცოლ-შვილიანი, ვიცით, რომ ყველას გყავთ გულის რჩეული. რას ვიზამთ ასე დაუწერია მამაუფალს, როგორც ჩანს უნდა ჩაგვმნარდეს ყველაფერი. გოგოებს გადაუწყვეტიათ იარაღასხმული ჩვენ გვერდით დადგნენ, იქ სადაც ჩვენ ვიქნებით. ვერაფერს ვიტყვით – ისინი ხომ უზომოდ არიან შეყვარებული ჩვენს სოფელზე და ეამაყებათ კიდეც, რომ ამდენ ხანს ქრისტიანებად დაგვტოვეს. რას იტყვით თანახმა ხართ თუ არა მათი თანხლებისა ბრძოლის ველზე?

– არავითარი გოგონები, მათ თავიანთი საქმე აკეთონ, მოხუცებს მიხედონ, ყანა-ბალჩებია დასამუშავებელი.

– ეეჭ, ძმაო. კია, კაი სურვილი, მაგრამ ვერ მოგართვი. გოგო სოფელში დაიტოვება? შემოვა ოსმალო და ნეტა საჩუქრებს ჩამოურიგებენ თუ იცით? არც ერთს არ დატოვებენ უბიწოს. იცით ყურანში რა წერია? მუხამედ მოციქულმა თურმე ცოლი აიშე ცხრა წლისა შეირთო. ამის შემდეგ მიდი და ოსმალებს მორალი უკითხე, როგორც იტყვიან – შეაყარე კედელს ცერცვი.

– ეგ ყურანში არ წერია – წამოიძახა ალმასხანის ბიჭმა.

– შენ თუ ეგ იცი, რა წერია შიგ, ისიც უნდა იცოდე ჩემო გიორგი, რომ ქალი მამაკაცის კუთვნილებაა, როგორც ნივთი და ქალი ყურანში მინდორთანაა შედარებული, მამაკაცს როცა უნდა მაშინ გაივლის ზედ და ყურანის და შარიათის კანონებზე აღზრდილთ აბა რა დაუკავდებათ ნინ, ვაგლას ხნიერებსაც არ დაინდობენ – დაუმატა საბამ.

– ძალა ალმართს ხნავსო, ამბობს ანდაზა, ამიტომ ძალას ეშმაკობით უნდა ვაჯობოთ. ძალიან ძნელია, მაგრამ მშობლები და მცირებლოვანი ბავშვები დროებით უნდა გავხიზნოთ და სოფლად მხოლოდ ძალზე მოხუცები და უძლურები დავტოვოთ. ახლა ზაფხულია ძალაში, აწე ისეთი სიცხეები იქნება, გადახრუკავს ყველაფერს. ტყეში ძილს არაფერი სჯობს. გავიყოლოთ ჩვენი გოგოებიც და მთაში, ნატბევის ადგილას დავაპანაკოთ, ჩვენს საყანეებთან, ბოსტნეულითა და ტყის ნობათით როგორმე გაიტანენ თავს, ჩვენ კი ბეთლემს ვესტუმროთ, თანაც სალოცავში შევავედროთ ჩვენი მომავალი უფალს – დაამთავრა მირიანმა და ჯირკზე ჩამოვადა.

– მეთაური გვჭირდება ბიჭებო, ვინც ყველა საქმეს ურყევად და შეუფერხებლად შეძლებს – წამოაყენა წინადაღება თანდილამ.

– რა ვქნათ, ვენჭი ვყაროთ?

– კენჭი-მენჭი და ბევრი არჩევანი მაგას არ სჭირდება. ერთი კაცი იც არ ივარგებს. სანამ მოხუცების საბოლოო გადაწყვეტილებას არ დავადგებით, აქვე ავირჩიოთ სავარაულო მეთურთა ჯგუფი.

– პირველი მირიანი იქნება, შემდეგ მისი ძმა ლაშა, თანდილა, ბექა, ბაქარი და არმაზი. ერეკლე და ვაჩეც მალე დაბრუნდებიან. ამ ჯგუფის საერთო წინამდლოლად კახაბერს ვასახელებთ – ჩამომარცვლა საბამ და კეთილი იმედით მოავლო თვალი შეკრებილთ.

– ბარემ გუნდი შეიკრას, მეათეც შენ იქნები საბა, ხომ უნდა შეგვაქციოს ამბებით ვიღაცამ.

– ყაბულსა ვარ.

– რავა, თურქულად ლაპარაკიც შეისწავლე?

– სულ რამდენიმე სიტყვა ვიცი.

– ბიჭოს, შენ შუამავლადაც ივარგებ.

– ჩვენ საშუამავლო არაფერი გვექნება ოსმალებთან – მოჭრა ფირალამ და დაფუმდა.

დუმილმა მოიცვა შეკრებილთა გულებიც, საკუთარი გულის ფეოქვაც ხმაურს გამოსცემდა.

ბოლმისა და ფიქრისგან გული საგულეს დატოვებას ლამობდა.

ციხის მიდამოში ტურამ გაიჩინავლა. ბუკიოტმაც დაარღვია მყუდროება. ავად ენიშნათ ფოცხვერის ხავილიც.

– რა ვქნათ ბიჭებო არ დავიშალოთ?

– კაი გამოძინებაც საჭიროა და სიფხიზლეც. დავიშალოთ, თორემ შინ გველოდებიან უკვე.

მძიმედ წამოდგნენ. თვალი მიდამოს დანანებით მიმოატარეს.

– რაო, გიორგი, რალაც სინანულით მიმოიხედე.

– გველირსება კი ხვალ, ზეგ ან შემდეგ აქაურობის ხილვა?

– რაებს ლაპარაკობთ, განა სადმე მივდივართ?

– ეჰ, ეგრე ფიქრობდნენ ხეთებიც, კელტებიც, შუმერებიც. განა იმათზე ჭკვიანები ვართ?

– ქართველები ვართ.

– ჰოდა, მაი გვლუპავს კიდეც – აღარ დაამთავრა სათქმელი ფირანამ და თავქვე დაეშვნენ გზაბანარით.

თავი II

ბეჭია ხვარამზე ბავშვობიდანვე ცელექი და დაუდგომელი ბავშვი იყო, ოღონდ თავნება და ამპარტავანი არ ყოფილა. მშობლების მეხუთე შვილი იყო. ნაბოლარა, მაგრამ არ ანებივრებდნენ. ოჯახში გლეხის პირობაზე ყველაფერი წესრიგში ჰქონდათ.

დედა გურიიდან გასაყიდად გამოტაცებული ქალი იყო. ნაკითხი და არისტოკრატულ ოჯახში აღზრდილი, სიკეთის განსახიერება.

ტყვეთა მოტაცება და გაყიდვა წესად თუ მოდად იქცა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში, უფრო მეტად კი დასავლეთ საქართველოში.

ტყვეთა გადაყვანა ხან ბეთლემ-ლარათის გზით ხდებოდა, ხან კი ზღვის სანაპიროდან და შემდეგ გემებით.

თამარი, ხვარამზეს დედა გურიელების შთამომავალი იყო. იგი, რამდენიმე გოგო-ბიჭის ერთად ბეთლემის გზიდან ნადარბაზევის ტერიტორიაზე გადმოიყვანეს საქართველოს დამაქცევარი საქმის მიმღევარ-მტაცებლებმა, რომელთაც არცეროვნება გააჩნდათ, არც სარწმუნოება და არც ადამიანობა. მათ არ იცოდნენ, რომ სოფელში დიდიან-პატარიანად იარაღით დადიოდნენ და სწორედ ამან იხსნა საბრალო ტყვეები.

როდესაც სოფელში ტყვეები შემოიყვანეს, წივილ-კივილი ატებეს და სოფლელების ყურადღება მიიქციეს. მოთქმა-გოდების ხმა და სოფლელების თავშეყრა ერთი იყო,

სადღაც თოფიც გავარდა და ყიუინ-შეძახილებით ტყვეებთან გაჩდნენ, მაგრამ მომტაცებლებს თითქოს მიწამ უყო პირი, აღარსად ჩანდნენ – გადაბმული გოგო-ბიჭები მიატოვეს და გაიქცნენ.

სასირის გორის ჩრდილოეთით, შედარებით დაღაბლებულ ადგილას სოფლელებს თავშეყრისათვის ლამაზი ფართობი შეურჩევიათ – აქედან სოფელიც ხელისგულივით მოჩანს, სოფლებს შორის გზაბანარაც და მეზობელი აგარის ნაწილიც, შორს კი სოფელი ჯინიში და ნახუცრეთის გადასასვლელიც. სწორედ ამ ადგილას მიატოვეს მომტაცებლებმა ტყვეები.

ვინც კი ამბავი გაიგო, ყველა ცნობისწადილით აქეთ მოეშურებოდა. ბლომად მოიყარეს თავი.

ტყვეებმა მიდამო დაზვერეს და მომტაცებელთაგან, რომ ვეღარავინ იხილეს, შვებით ამოისუნთქეს და გარშემოხვეულთ სიყვარულნარევი ცრემლიანი თვალები შეანათეს.

– დიდი ხანია ტყე-ტყე მოყავხართ იმ ოჯახდაქცეულებს? – შეეკითხნენ სოფლელები

– უკვე მეექვსე დღეა. მშიერ-მწყურვალი ვართ. წყალიც კი არ დაგვალევინეს, თუ მადლი გინდათ დაგვალევინეთ – ატირდნენ გოგონები და მხსნელებს მიაჩერდნენ – ჯერ კიდევ არ სჯეროდათ, რომ თავისუფლები იყვნენ. გადაბმული ტყვეები მისვლისას უმაღლეანთავისუფლეს და ოჯახებში ჩამოარიგეს, შეძლებისდაგვარად შემოსეს და დაანაყრეს.

რამდენიმე დღეში ცხენიანი ახალგაზრდა გადმოვიდა იმავე გზით და მოტაცებულების ავან-ჩავანი გაიგო. სიხარულისგან ცხენიდან ისკუპა და პირველივე შემხვედრს, ვისგანაც ეს ამბავი გაიგო, მოსევადებული დამბაჩა და სატევარი უფეშქაშა, ძმურად გადახვია და ამბავიც დაწვრილებით გამოჰკითხა.

– შავთვალნარბა, გრძელნაწნავებიანი გოგო თუა მათ შორის?

გულმა რეჩხი უყო იასონს. ის გოგო მათთან იყო თავშეფარებული და უკვე თვალებითაც ელაპარაკნენ ერთმანეთს. გულმა გული ცნოო. სწორედ მათზე ითქმოდა.

„ნუთუ ბავშვურ სინცედ დარჩება უტყვი საუბარი”? – გაივლო გულში და მხედარს გალიმებული, მაგრამ მავედრებელი თვალებით შეხედა.

– ალბათ შენი დაიკოა, ძალიან ჰეგავხართ ერთმანეთს.

– დიახ, ჩემი დაიკოა და რომ ვერ მიმეკვლია, ცოცხალი უკან დამბრუნებელი აღარ ვიყავი. სხვა მიზეზიც მაქვს კიდევ, ჩემი საცოლეც დაიკარგა, იქნებ მაგათში ერიოს.

– გულსუნდა ხომ არ ჰქვია იმ გოგოს?

– დიახ, ისიც აქ ხომ არ არის? ღმერთო დაილოცოს შენი სახელი. სამაგიეროდ ცხენიც დამითმია შენთვის.

– ჩემო ძმაო ცხენი არ გვჭირდება, დიდი მადლობა ასეთი გულუხვობისათვის, ბოლოსდაბოლოს მეზობლები ვართ, რამ გაყოაჭარა და გურია.

– წამიყვანეთ თქვენს სტუმრებთან ჩეარა თორემ გული აღარ ითმებს – თქვა და პირველი გადაიწერა – მადლობა გამჩენელს და დიდება.

მოტაცებულ- მაძიებლის ხევნა-კოცნას და სიხარულის ცრემლებს საზღვარი არ ჰქონდა. თითქოს ბუნებაც დაპხაროდა მათ ბედნიერებას – ისეთი თბილი და მზიანი ამინდი იდგა.

ოჯახის დიასახლისძა იმარჯვა და...

– შვილო, ნამგზავრი ხარ, ისადილე და მერე მიესიყვარულეთ ერთმანეთს, ან სულაც მოისვენეთ და ხვალეც ამ კვირისაა, სადმე გეჩერებათ?

სუფრა უკვე გაწყობილი იყო, გლეხის პირობაზე არაფერი აკლდა. ღვინიან დოქს კი გარედან მსხვილ-მსხვილი ცვრის წვეთები ასხდა. იასონმა თამარს გადახედა, ისე რომ ძმას არ შეემჩნია და თვალით რაღაც ანიშნა. თამარმა თავი დახარა, შემდეგ ისევ მიანათა მარგალიტებდაკიდებული კუნაპეტა თვალები და გულსუნდას გადახედა.

– დასხედით შვილებო, ნურაფრის მოგერიდებათ, თავი იგულეთ, როგორც საკუთარ სახლში, მიირთვით და გამხიარულდით.

გულსუნდა რჩეულის ახლოს მოთავსდა, თამარი კი ვაჟებს შორის მოექცა, უსიტყვოდ მოციცქნეს ყველი და მჭადი.

ხვარამზე გარეთ გავიდა და ოჯახის უფროსის დასაძახებლად ბავშვი გააგზავნა.

გოგონები მორცხვობდნენ. ორმაგი ზეიმი იყო მათ გულებში. ორთავეს საბედოები გვერდით ეჯდათ და სამშვიდობოსაც იყვნენ. ისე შეეთვისნენ უცხო ოჯახს, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი მეზობლები იყვნენ.

იასონმა მომცრო ყანწები ღვინით შეავსო და სტუმარსაც მიანოდა.

– სახელიც არ მიკითხავს ისე დავიბენით. როგორ მოგმართოთ ძვირფასო სტუმარო?

– თეიმურაზი მქვია, შინაურულად თემოს მეძახიან.

– ამ სასმისით ქართული სტუმარ-მასპინძლობის ტრადიციას და მადლს გაუმარჯოს. სტუმარი ღვთისააო იტყვიან. ამიტომაც სტუ-

მარზე დახვედრა ყველაზე საპატიო მოვალეობად ითვლება ჩვენშიც. რომ არა ჩვენს გვერდით მოტრიალე ავბედითი ვითარება, ჩვენ იქნებ ვერასოდეს შეხვედროდით ერთმანეთს. საუკუნო ყოფილობის ეს უცაბედი შეხვედრა, ანე სულ სიხარული დაგვბედებოდეს.

– ამინ, იასონ, უფალი შეგვენიოს, გვფარავდეს სამება.

რამდენიმე სასმისის შემდეგ ოჯახის უფროსმა შემოაბიჯა ოთახ-ში, სუფრას ბარაქა უსურვა და ქორფა კიტრებიც დააყარა ზემოდან. შემდეგ უცხო ვაუკაცა შეხედა და იასონს კითხვის მზერით აგრძნობინა გაკვირვება.

– მდევარია მამა, ამ გოგოს ძმა – და თავით თამარზე აჩვენა. დიდხანს უხეტიალია ტყეში.

– ერთი კვირაა ტყეში ვარ. დარღმა მომინელა. დათვიც შე-მომეფეთა და გავაგორე. ერთი პირობა კინალამ კლდიდანაც გადავ-ეშვი, მაგრამ თავს ვძლიე და გულმა მაინც საძებრად გამომინია. ბეღმა არ გამწირა და აჲა, თქვენს წინაშე ვარ სალ-სალამათი. ანე რაღა მომკლავს, რახან ესენი ვიპოვე.

– სხვების ბედი არ გაინტერესებს?

– რამდენი არიან კიდევ?

– ერთი და-ძმა და მათი მეზობელი ბიჭია კიდევ. ისინი ყველა ცამეტ-თოთხმეტი წლისანი თუ იქნებიან.

– ჰა, ზუსტად მასეა. თამარი თექვსმეტს შეასრულებს მალე, გულ-სუნდამ კი ეხლა გადააბიჯა თხუთმეტს.

– კი მაგრამ, როგორ მოხდა რომ ამოდენა გოგო-ბიჭები დაგი-ჯაბნეის ოხერ-ტიალებმა – შეეკითხა იასონის მამა ტყვედყოფილებს იმ მიზნით, რომ თეიმურაზს მოესმინა მათი ამბავი.

– სოკოსთვის ვიყავით ტყეში. სოფელს ძალიან დავშორდით და არ ვიცოდით თუ ბედი ამგვარ ხაფანგს გვიმზადებდა. ბევრნი ვიყავ-ით – ათზე მეტი, გაგვკოჭეს და გამოგვრეკეს. წამოყოლით კი სამნი გვახლდა, სულ მათრახს გვიშელაპუნებდნენ. ჩვენც ვიცდილეთ კლ-დიდან გადავარდნა, მაგრამ მათგან ერთი მიგვიხვდა განზრახვას და თოკით ერთმანეთზე გადაგვაბეს, ისე რომ ფეხს ძლივს ვადგამდით. ერთ-ერთმა ლამით, როცა არაქათგამოცლილებს მკვდარივით მიგვეძინა, ხელიც კი გამოაპარა ჩვენსკენ, რახან დიდები ვიყავით,

მაგრამ მათში ერთი ძალიან მკაცრი ერთა და მისმა სიმკაცრემ გვიხ-
სნა კიღევაც გაბახებისაგან. მათრახი ავ მოსურნესაც მოხვდა.

გზაში თოკის ერთი წვერი ერთ ცხენზე იყო გამოპმული. მეორე
კი მეორე ცხენზე და თვითონაც არა და არ გვშორდებოდნენ. ის კი
არა საპირფარეშოსთვისაც ძლივს გვიშვებდნენ. ბოლოს აქ შემო-
ვალნიერ და მაშინ შემოჯდნენ ცხენებზე, როცა დალმა დავეშვით.
შორს რომ სოფლები ვიხილეთ, გული მოგვეცა. აქ, რომ შემოვედით
და ხალხი დავინახეთ, გულმოცემულად ვიკივლეთ და აზრზე მოსვ-
ლაც ვერ მოასწრეს მომტაცებლებმა, ისე ხელად მოიყარეს თავი სოფ-
ლელებმა ჩვენს ირგვლივ. დანარჩენი კი ამ ლვთისნიერი ადამიანებ-
ის ნამოქმედარი მადლია – დაამთავრა თამარმა და მასპინძლებს
მადლიანი მზერა უძღვნა.

– ბედმა არ გაგვინირა ბიძაჩემო და სიხარული არ ჩაგვიმწარა.

– ღმერთი დიდია და მშველელი. თუ ღმერთს არ ნებავს, არა საქმე
არ იქნება. ავაზაკებს ღმერთი გაუსწორდება. როდის იქნება მაინც,
ეს ტაციობა რომ მოისპოს, ქართველი რომ ქართველს გაყიდის,
ტყვია კი არა, ხრამში გადაგდებით უნდა მოუსწრაფო სიცოცხლე –
დააყოლა რაფიელმა.

– ძია, რაფიელ, ქართველ ხალხს, სტუმარზე პატივისცემა ყველა
ადათზე წინ აქვს დაყენებული, ასე ვთქვათ გენებში აქვს ჩაკირული,
მაგრამ სტუმარიცაა და სტუმარიც, ერთი კვირაა უვლით ნატყვე-
ვარებს, როგორ უნდა ამოვიდეთ თქვენი პატივისცემიდან.

– არ გრცხვენია ბიჭი? რასაც ჩვენ ვჭამდით იმას მივართმევდით
მათაც. ერთი ჭედილა დავკალით და ხუთივესთვის მათი გადარჩენის
ფეშქაში გავაკეთეთ. ვალი გადახდილია იმით, რომ ესენი
საქართველოში არიან ისევ. რა სალაპარაკოა ეგ, თუნდაც სულ აქ
დარჩით, სოფელი დიდია და სამოსახლოს ძებნა არ უნდა. დასაქორ-
ნინებელი ბიჭები ჩვენშიც მოიძებნებიან და სარძლოებიც ბევრი
გვყავს, რაში შეგვეშლება ხელი.

თამარმა დაიმორცხვა და აივანზე გავიდა. შენიშნა ეს თეიმუ-
რაზმა და დიასახლისს კითხვის თვალებით შეხედა.

მიუხვდა ქალბატონი ნინო სტუმრის გულისთქმას, აივანზე გავი-
და და გულზემიხუტებული თამარი ოთახში შემოიყვანა.

გულმარების უყო თეიმურაზს, მაგრამ სახით არ გაუმულავნებია და ისევ შეკითხვიანი თვალები მიაპყრო დიასახლისა.

– თუ არ მიწყენ პატივცემულო სტუმარო, როგორ შეხვდები ამ ამბავს არ ვიცი, მაგრამ ჩემი აზრით სასიხარულოა და სხვაგვარად როგორ უნდა გაიგო...

– რა მოხდა, ასე უცებ შეუყვარდა ვინმე? აფსუს, მაგისი თავი ჰქონდა განა?

– უცხო არაა შვილო....

ამ დროს იასონიც გავიდა გარეთ.

– გასაგებია ქალბატონო ნინო. არა ვარ წინააღმდეგი. მაგან ისე-თი სიხარული მომანიჭა დღეს, ენით აუწერელი. თანახმა ვარ ოლონდ, მშობლებმაც ხომ უნდა გაიგონ. წავალთ ერთად და შემდეგ საქმეს შევხედავთ.

– თუ, შენ წინააღმდეგი არა ხარ მე ამის აქედან გამშვები არა ვარ. ამოდენა გზაა შვილო, ძნელია აქეთ-იქეთ. არა ვართ გლახა ხალხი, სოფე-ლიც კარგია. დასაწუნი არაფერი გვაქვს, სასიძო თავად გაგიცვნია და...

თამარი უფრო მჭიდროდ მიეცუტა ნინოს. სადედამთილომ საკუთარი შვილივით ჩაკოცნა სარძლო და ღიმილით გახედა თეიმურაზს, რომელიც თვალზე კურცხალს იწმენდდა თითით, მაგრამ ვერ ხვდებოდა რატომ მოადგა ცრემლები.

– ამათი დაცილება ცოდვა იქნება შვილო. მე დედა ვარ და უკეთ ვხვდები, ვინ როგორ სუნთქავს.

– დაცოლშვილებული ხარ შვილო?

ამჯერად გულსუნდამ ჩაქინდრა თავი.

– აგერ მიზის საცოლე ქალბატონო ნინო. მე რომ ესენი ვერ მეპოვა, თავს აღარ ვიცოცხლებდი. ანე თქვენს ხელთ ვარ და მწამს თქვენი კაი ადამიანობის კიდეც.

რაფიელი აქამდე ჩუმად უსმენდა მათ საუბარს. წამოიჭრა და გარეთ გავიდა, მეუღლეს შესძახა – კურ-მარილის თადარიგი დაიჭირეო და გაუჩინარდა.

მეზობლები სახელდახელოდ შეიკრიბნენ, დეკეული წამოაქციეს, სოფლის საპატიო ხალხიც მოიპატიუეს და იმღამესვე ნიშნობა და პატარა ქორწილიც გადაიხადეს.

საზეიმო მაგიდას შინაურულად შემოსილი ორი წყვილი ნეფე- დედოფალი ალამაზებდა.

– შვილები, ამ სასმისით თქვენს ლამაზ დაწყვილებას გილო-
ცავთ. სანიმუშო ქართველებად დარჩენილიყავით და ღირსეული
თაობა დაგეტოვებინოთ საქართველოსთვის. ჩვენ კი მუდამ თქვენს
გვერდით გვიგულეთ – გულთბილად და სიყვარულით დალოცა
რაფიელმა ახალშეუძლებულები.

სადლეგრძელოებს, მილოცვებს, სიხარულს ბოლო არ უჩანდა.
სიცილ-მხიარულებაში და ცეკვა-თამაშში მექორწილეებს შე-
მოათენდათ კიდეც.

ლამაზი დილა გაუთენდათ ნადარპაზეველებს. მზიანი და საზე-
იმო ელფერით. მოკლე გზით მიაცილეს ეკლესიამდე წყვილები
მექორწილეებმა.

მღვდელი ჯვრისწერის ჩასატარებლად რახანია ელოდა
შეუღლებულთ. ლამაზი ცერემონიით და მხურვალე ლოცვებით ჩაა-
ტარეს ჯვრისწერა. მღვდელი სერაფიმე ასეთი გახარებული ჯერ არ
ენახა მრევლს.

– რა ხდება მამაო, რალაც არაჩვულებრივ საზეიმო ხასიათზე
ხარ – მიესიყვარულა ერთი მექორწილე.

– რატომაც არ უნდა მიხაროდეს შვილო. ორ წყვილზე არა-
სოდეს დამიწერია ჯვარი ერთდროულად. მერეც დიდი ხანია
არავისზე დამიწერია ჯვარი და მესამეც, ოსმალო მოძალებულია
რა ხანია ზღვისპირეთიდან და თუ კიდევ მოხდებოდა დაწყვილება
ალარ ველოდი. მერეც, კიდევ ორი მხარის აჭარისა და გურიის წარ-
მომადგენლები, ორი ნეფე-დედოფალი რომ გავაძედნიერეთ, ისტო-
რია ამას არ დაგვივიწყებს.

– გეთანხმებით მამაო, დაწყვილება უფლის ნებაა და ჯვრისწერა
კიდევ დიდი მადლი და მირონი. უფალი შეგვენიოს..

– ამინ, შვილო ჩემო, გისმინოს უფალმა.

თეიმურაზი და გულსუნდა ცას ეწიენ სიხარულით. აწე გზა ხსნი-
ლი იყო. არა ჰქონდა აზრი ჯვრისწერა სად შედგებოდა, მთავარია
ჯვარდაწერილები იყვნენ უკვე.

სოფელში რამდენიმე დღე ზეიმობდნენ ახალგაზრდების ბედ-
ნიერებას. სტუმრების გაშვებას არავინ ჩქარობდა. სტუმართმოყვარ-

ეობის ტრადიცია ნადარბაზევში განსაკუთრებულად საზეიმოდ მიაჩნდათ, რომელსაც ყველა იცავდა განუხრელად.

ეს ლამაზი ზეიმიანი დღეები ყველას გულში სიხარულად ჩაიბეჭდა. ყველა ოჯხში ჩქეფდა სასმისებში ლვინო და ისმოდა სადღეგრძელობი, დალოცვები.

თეიმურაზი წასასვლელად გაემზადა და მასპინძლებს სურვილი გაანდო.

– რა გეჩქარებათ შვილებო, იყავით, იმხიარულეთ, დარჩით ვიდრე არ მოგწყინდებათ – უთხრა რაფიელმა თეიმურაზს და ფანჩატურში მიიპატიჟა. ჩვენ უკვე ოჯახის წევრად გთვლით და მოსარიდებელი რა გაქვთ.

– უხერხულია ძია რაფიელ. სტუმარი სამ დღესო – იტყვიან. ესეც არ იყოს მშობლები ფეხზე იდგებიან, მთელი საგვარეულო და მთელი სოფელიც, ვიდრე ჩვენს ამბავს არ გაიგებენ, რომ არ გამოვჩინდებით გამოგვიგლოვებენ.

– ჰო, თქვენც მართალი ხართ. მაგაზე ალარ მიფიქრია. ჰო, უნდა გაეშუროთ, მაგრამ არ გვემეტებით მაინც.

– გმადლობთ ძია რაფიელ, დიდი პატივი დაგვდეთ, უფალი გადაგიხდით, ჩვენ კვლავაც გეწვევით, იქნებ ზღვისპირეთი ოსმალთაგან გაიწინდოს და...

– ეჱ, მაგის იმედი სადღაა შვილოსა, ისე ჩაჯდნენ აჭარაში, დიდხანს არ არიან წამსვლელნი. ვაი, ჩვენ თორემ?...

– მთელი საქრისტიანო ჩვენს მხარესაა, იქნებ დაგვეხმაროს ვინმე.

– სანამ ეგ მოხდება, მანამ საქართველოს ნაწილს გადაძოვენ.

ეზოში დილიდანვე ხალხმრავლობა იყო. გაიგეს სტუმრების გამგზავრების სურვილი და გამოსათხოვრად გაემზადნენ. ხიზნებზე შეჩვეულებს ცრემლიც ეკიდათ წამწამებზე.

– შეგეჩვიეთ, არ გვემეტებით შვილებო – თვალცრემლიანმა მიმართა ქალბატონმა ნინომ და სათითაოდ გადაკოცნა უკვე სოფლის წევრებად მიღებული ნახიზნარები თუ ტყვეობიდან გამოხსნილი ახალგაზრდები.

თეიმურაზი ცხენზე ამხელრდა, მაგრამ ისევ ძირს ჩამოხტა.

– ამ გზაბანარზე ცხენით ხომ არ ივლება, ესეც არ იყოს ცხენი ხომ სიძებატონს ვაჩუქე. ახლა გამოსათხოვრად მოვახტი ზურგზე – თქვა თემურაზმა დ ცხენს მოესიყვარულა. ჭკვიანმა პირულყვამა სახე აულოკა პატრონს და რაღაცნაირად სიამოვნებისმომგვრელი ცმუკით დაიჭიბვინა კიდევაც.

– ხომ არ გეშინიათ შვილებო გზისა – შეეკითხა უკვე ამგზავრებულ სტუმრებს რაფიელი – ვაჟვაცებს შეგაიარალებთ არც გოგოები გყავთ თქვენზე ნაკლები. ტყეა ნადირიანი, ნადირი კი ველურია და არ ინდობა, უიარალოდ არ ივლება.

– ორფეხა ნადირებს რომ გადაგვარჩინე, ოთხფეხა ნადირი რა ენად მოსატანია. ხანდახან ტყიურები უფრო გონიერად იქცევიან. ვიდრე განვითარებული გონიერები – მართლა, მომტაცებლები რა იქნენ, ხომ არ შეგიტყვიათ?

– არა, მაგრამ შორს არ იქნებიან წასულნი, იქნებ უკანაც გაბრუნდნენ. სამ დღეს ეძებეს ბიჭებმა, მაგრამ ვერ მიაკვლიეს – მაინც ფრთხილად უნდა იყოთ, თორემ ის თხერტიალები რომ სადმე შემოგეყარონ – ალარ დააბოლავა სათქმელი რაფიელმა.

– ძია რაფიელ, მაგის ნუ გედარდება, იმათ მარტო ხმლით დავჯაბნით.

– თუ, მიგიშვეს სახმალაოდ მაშინ მჯერა შენი.

– ფრთხილად და ფხიზლად ვიქნებით. ძალიან არ იდარდოთ. ისე დაიკოც რომ მეახლებინა კარგი იქნებოდა, მაგრამ რაც ღმერთს ენება, ის მოხდა. ანე სტუმრიანობის იმედით ვიცოცხლოთ. რას ვიფიქრებდი... არა, ესენი რომ ურჯულოების ხელში არ აღმოჩნდნენ, დანარჩენი ღმერთმა გვატაროს. ხანდახან ნაუცბათევი სჯობს ნალოლიავებს. სამაგიერო პატივისცემა ჩვენგან იქნება.

– რა პატივისცემა გვინდა შვილო, ასეთი მარგალიტი დაგვიტოვეთ.

– ეგ მე კი არა უფალმა ჩამოგიგდოთ ციდან. ღმერთმა გაბეჭნიეროთ. წასვლის დროა უკვე.

– მეც თქვენ ერთად მოვდივარ – წინ წამოდგა იასონი და თეიმურაზს გვერდით ამოუდგა.

– შენი წამოსვლა არ იქნება, ახალშერთული ცოლის პატრონი სახლში უნდა იჯდეს. არ დავიკარგებით. გზა კარგად ვიცით.

– გაგაცილებ ბიჭო, თორემ სახლში რომ ვერ ჩაგყვები ეგ ხომ საეჭვო არაა, შენაც იცი.

– ნება შენია, როგორც გინდა.

სიძე-ცოლისძმა და სხვა უკანდასაბრუნებელი გოგო-ბიჭები ნატბევის აღმართს შეუყვენენ. განშორებისას სიხარულის და იმედის ცრემლი ღვარეს. თეიმურაზი ერთხანს დუმდა.

– არ იდარდო თეიმურაზ. რძალს ხელისგულზე ვატარებთ, არაფერს გავუჭირვებთ, დრო გავა და გეწვევით კიდეც.

– არაფერი მიფიქრია სხვაგვარად ქალბატონო ნინო, მაგრამ ერთად გაზრდილები ვართ და ძალიან ძნელია განშორება.

– ეგ რომ ეხლა ეგვიპტეში არაა და ამ სოფელში დაგხვდა... ხომ უნდა გაგეთხოვებინათ მაინც ერთ მშვენიერ დღეს და ხომ უნდა დაცილებულიყავით?

– მართალი ბრძანდებით, მაგრამ მაინც ძნელია...

თამარი ძმას მიუახლოვდა და ცრემლებისლვრით კისერზე ჩამოეკიდა.

– მაპატიეთ თეიმურაზ, ალბათ უფალს ასე ენება, მართლაც არ ვიყავი გათხოვების ჭკუაზე, მაგრამ მოხდა ასე და... ისეთი კარგი ხალხი, სულში ჩაგიძვრენენ და ამან მომხიბლა კიდევაც. შემჩნიეს ჩემი გაოცება და სიხარული და გული გადამიშალეს, მე და იასონი არც გამოვლაპარაკებივართ ერთურთს, როცა გამომიხსნა იმათი ხელიდან. ყველაფერი უცბად მოხდა, როცა ერთმანეთს თვალი შევავლეთ, მაშინვე ორთავეს რაღაც სითბო ჩაგველვარა გულში. ნათრევ-ნატანჯას, მშიერ-მწყურვალს მართლაც არ მქონდა ვინმეს გულში ჩადების სურვილი, მაგრამ იარაღით, რომ გამომტაცებლები დაგვიფრთხო და გადაგვარჩინა, მაშინ შეაერთა ჩვენი სულები უფალმა. არ ვნანობ რომ ვრჩები, მაგრამ მაინც მინდოდა შენ გამოგყოლები. ახლა ამის ფიქრის დრო არაა, გრძელი გზა გაქვთ და რაც ადრე წახვალთ უკეთესი იქნება. შეიძლება უფალმა გადმოგვხედოს, ზღვისპირეთი გათავისუფლდეს და მალ-მალე ვინახულოთ ერთმანეთი. მშვიდობით და მომიკითხე ყველანი.

მასპინძლები ყველას სათითაოდ გამოემშვიდობნენ და ხელში სანოვაგით სავსე მოზრდილი შეკვრაც მიართვეს.

– დიდი გზა გაქვთ შვილებო და მშიერი ხომ ვერ ივლით, ბევრის წალებაც კი არ შეიძლება, თორევა ხომ უნდა. ესენი ყუათიანია და დიდხ-ანს ძლებს. ასე ვთქვათ სულს გაგატანინებთ სახლში მისვლამდე.

– გმადლობთ ლვთისნიერო ხალხო, არ დავივიწყებთ თქვენს ამაგს – უპასუხეს ერთხმად და სათითაოდ გამოემშვიდობნენ გამ-ცილებლებს.

თეიმურაზი ცოტახნით შეყოვნდა. იგუმანა ნინომ მისი შეყ-ოვნების მიზეზი და ისევ მიესიყვარულა.

– უფალმა გადმოგვხედა ესენი აქ რომ დაგხვდნენ, მართლაც მაღარიჩის ღირსია უფალი. ახლა ერთი სათხოვარი მაქვს შვილო. შენს დას არაფერი გაუჭირდება ოლონდ მშობლებს ნურაფერს დაუ-მალავ. შესალამაზებელ-შესათხზელი არაფერი გაქვს, ხომ ხედავ შენი თვალით, სტუმარ-მასპინძლობაშიც წუნიარ დაგვედება, ბუნება კარ-გი გვაქვს და სოფელი მდიდარი. ნუ დაალონებ შენიანებს. მართლაც ძნელია ასე შორს შვილის დაოჯახება, მაგრამ მაგათი დაცილებით ცოდვის ტვირთის ზიდვას, კიდევ ეს სჯობია. გასათხოვარი უნდა გათხოვდეს, დასაოჯახებელი უნდა დაოჯახდეს. ყველაფერი უმტ-კივნეულოდ მოხდა და ალბათ ასე უმტკივნეულოდ ჩაივლის ცხოვრე-ბაც. ანე შენს კარგ ადამიანობაზეა ჩვენი მოყვრობის სიამტკილო-ბა. მიემგზავრებით, მაგრამ სული და გული თქვენ მიგყვებათ. ამ-ბავსაც ვერ გავიგებთ თქვენი სახლში დაბრუნებისას. ვინმე რომ გაგაყოლოთ კარგი იქნება, დამცველიც იქნება და მეგზურიც.

– ქალბატონო ნინო, ბავშვი არა ვარ, მკლავიც მერჩის და გუ-ლიც. მერეც, გზა კარგია და ვიცი მიმართულება. შიშით კი არაფრის მეშინია, მონადირეთა ამხანაგი ვარ და ბევრჯერ მინადირია ტყებ-შიც, ასე, რომ ნურაფრის შეგეშინდებათ, ნურც გერიდებათ და მითუ-მეტეს დასალონებელიც არაფერი გაქვთ, ამისთანა რძლის პატრონს. ვეცდები ლამაზი ამბებით შევიქციო მშობლები და ნათესავებიც. ამ-ბავს კი მე თვითონ გაგაგებინებთ. სულ მალე გეწვევით.

– კი გენაცვალე, მობრძანდით, მაგრამ თაფლობის თვე შეირგეთ ორთავე წყვილმა და მერე რაც გინდა ის ქენით. ახლა კი ამხანაგებს მიხედე. გზა მშვიდობისა, უფალი შეგწეოდეთ.

იასონი თეიმურაზს ამოუდგა გვერდით და გზას დაადგნენ.

- დაბრუნდი იასონ და ჩემი დაი არ დამიღონო, მე გაყოლა არ მინდა.
- საღამომდე რა მომასვენებს სახლში. გაგაცილებთ ნატბევამ-დე, იქამდე, ვიდრე დაისი მომისწრებდეს და მერე უკან დავპრუნდები მეც.

იასონმა მგზავრები ნატბევამდე მიაცილა, მაგრამ ლამის გათევა ტბათის ქოხებში ურჩია, უკვე სიბნელემაც მოატანა.

- სადღაც მართალი ხარ სიძე-ბატონი. სიბნელეში ნამდვილად სახიფათოა სიარული. ჯობს უთენია გავემგზავროთ, რომ მანძილი შევიმოკლოთ. მალე ბინდი ჩამოწვება, მაგრამ ის მახარებს რომ ძალიან თბილა. ახლა კი დროა შენც დაბრუნდე, ნუ დაიღამებ გზაში. მეუღლე გელოდება ბიჭო უკვე.

ერთმანეთი გადაკოცნეს. კეთილი მგზავრობა უსურვა იასონმა მგზავრებს და გულდამძიმებული უკან გამობრუნდა. განშორებამ მასაც გული ატყინა, ისე იყვნენ ერთურთზე შეჩვეულნი. სახლში რომ თვალ-მარგალიტი ელოდა, იმის სიხარულით გული საგულეს ჰქონდა და ერთი პირობა ღილინიც დაიწყო.

იასონს გზად კურდღლელი გადმოუხტა, მაგრამ ვეღარსად გაექცა. სახლში დაბრუნებულმა პირველი ნანადირევი მიართვა მეუღლეს.

- ეს ერთი და სხვა მრავალი – უთხრა თამარს იასონმა და ფეხ-ებთან დაუგდო ნანადირევი.

- არ შეგეცოდა მაინც? ეგებ პატარები ჰყავს.
- მამალი კურდღლელია, შვილებს დედაც მოუვლის.
- რა დაგიშავა, კაი მე მომინადირე, მაგრამ ეგ რაღა მოსანადირე-ბელი იყო, უწყინარი ცხოველია, სისხლი დალვარე. შეუბრალებელი ყოფილხარ.

- ჩემო თვალსაჩინო, ოსმალები რომ ხალხს თავებს აყრევინებენ ეს ცოდვა არაა?

- შენც მართალი ხარ, მაგრამ უმიზეზოდ მაინც ნუ გაისვრი.
- მიზეზიც მქონდა და მიზანიც. ეს შენ ხარ...

ვახშამმა საზეიმო ვითარებაში ჩაიარა. ნანადირევი მე-ზობლებმაც იგემეს.

დიასახლისმა საქორნინო საჩუქარი მიართვა ახალშეუღლებულებს, რძალს სამკაულები, ხოლო შვილს ახალგანყობილი ოთახი უფეშქაშა.

სტუმრები ადრე აიშალნენ სუფრიდან. ქალბატონმა ნინომ თავის ოთახში მიაცილა ნეფე-დედოფალი და სუფრის ალაგებას შეუდ-გა. თამარმა იუარა ჯალაბობის მიტოვება და შინაურულად შემოსილ-მა დედამთილს ამოუდგა გვერდით.

– წადი შვილო, შენი გარჯა არაა საჭირო, მეც ვეყოფი, წადი და ერთმანეთი შეირგეთ.

თამარი მორცხვად გაშორდა დედამთილს და თავის ოთახში შე-იმაღლა.

ასე შემორჩა თამარი სოფელ ნადარბაზევს. ისეთი რძლობა გაუკეთა სოფელს, მისი კაიქალობის ამბავი ყველას პირზე ეკერა. სამი ქალი და ორი ვაჟი აჩუქა თამარმა იასონს და სოფელს – თვალხატ-ულები და ჭკვიანები. როგორც თავად იყო აღზრდილი, შვილებიც იმდაგვარად აღზარდა – თავადურად. განათლება ოჯახში მიაღები-ნა, ანაბანა როგორც შვილებს ისე მის თანატოლებსაც შეასწავლა.

თამარი სულ სამჯერ ესტუმრა მშობლებს. მეოთხედ შვილებისა და მეუღლესთან ერთად ჩავიდა გურიაში და დიდხანს ისიყვარულეს, იმხიარულეს სიძე-სიმამრმა მოყვრებიანად.

მეხუთედ თამარმა მშობლები დაიტირა. ზედიზედ ერთ კვირაში გამოეცალა ხელიდან დედ-მამა. დაიტირა, მშობელ მიწას მიაბარა, სახლში მობრუნდა და მას შემდეგ სოფლიდან ფეხი არ მოუცვლია. რამდენიმე ხანში დედამთილ-მამამთილი გაისტუმრა ამქვეყნიდან.

დაობლდნენ იასონი და თამარი, მაგრამ სანიმუშო შვილებით ხარობდნენ და ახარებდნენ სოფელსაც. სოფლელებსაც განსაკუთრე-ბულ პატივში ყავდა ეს ოჯახი. გურული რძალი ზედმიწევნით კარგი ადამიანი აღმოჩნდა. სოფელს დაეტყო მისი მზრუნველობა და მად-ლი. მედიცინაში განსხვავლულმა ავადმყოფთა მეურვეობა ითავა და არც თუ ურიგოდ.

იასონს ხელსაქმე კარგად გამოსდიოდა. სოფლის სული და გული იყო. გურიაში სტუმრობისას მშენებლობას აულო ალლო და სოფელ ნადარბაზევსაც კეთილი ხელი წააშველა.

ხარობდნენ და ბედნიერად ცხოვრობდნენ იასონი და თამარი. ბოლოს უფალმა ორთავე მიიბარა. მადლიერმა სოფელმა ცოლ-ქმარს გამორჩეული სასაფლაოც გაუკეთა.

ადრევე დააოჯახეს შვილები და იმათი კარგი დედმამიშვილობითაც უფრო ხარობდა სოფელი.

ბებია ხორეშანს ქალიშვილობაში მეზობლის ბიჭი შეუყვარდა. არც ბიჭი დარჩა მის მიმართ გულგრილი. იქორწინეს და სასახელო შვილები აღზარდეს.

ხვარამზე ნაბოლარა შვილი იყო. პირველ და ბოლო შვილს შორის ოცდაორი წელი იყო სხვაობა. ბებია ხვარამზე მოგვიანებით გათხოვდა, ჰოდა, დები თუ შვილიშვილებით ხარობდნენ, ხვარამზეს მათი ტოლი შვილები ჰყავდა მხოლოდ.

მელიტონმა და ხვარამზემ თითით საჩვენებელი სანიმუშო ოჯახი შექმნეს. თუმცა უფალმა ერთი შვილი არგუნა, მაგრამ საყვედური არასოდეს დაცდენიათ. „ფერი ფერს და მადლი ღმერთს”-ო სწორედ მელიტონსა და ხვარამზეზე ითქმებოდა. ამიტომაც მათ ოჯახში მუდამ სტუმრიანობა და მხიარულება სუფევდა. ხშირად საჭირო საკითხებიც წყდებოდა.

დრო კი მძიმე ნაბიჯებით მიიწევდა წინ.

* * *

ცოლისდების, ხორეშანისა და სიდონიას სტუმრობას არც გაკვირვება და არც აღტაცება გამოუწვევია მელიტონის გულში, იცოდა უკვე რისთვის გაისარჯონ, ღამისეულ სტუმრებს თავად გაეგება.

ცოლისძმები — ზაალი და ფარნაოზი კაი ხნის შემოსტუმრებულები იყვნენ და ტკბილად ბაასობდნენ, თუმცა მათ საუბარს ელდანაცემის იერი დაპკრავდა უფრო.

კიბის საფეხურზე დახვდა მელიტონი ცოლისდებს.

- მობრძანდით გენაცვალე, გაგვახარეთ თქვენი სახეების ხილვით.
- რალაც არ გეტყობათ ძალიან მხიარულება.
- ეეჲ, გვაქვს განა რაიმე სასიხარულო?
- დაბადებიდან უწერია დავთარში ადამიანს ლხენაც და ვაეპაც, უნდა გავუძლოთ სიძევ-ბატონო.
- მეტი რა გზა გვაქვს, კაცნი გვქვიან, ადამიასა და ევას შვილები ვართ, ჰოდა, დაბადებიდან სიკვდილამდე მართლაც ყველაფერს უნდა შევეგუოთ.

ქალებმა ხვევნა-კოცნით მოისიყვარულეს ერთმანეთი და სასტუმრო ოთახში უძრავ ტახტზე ჩამოსხდნენ.

– რომ იტყვიან მართლაც ყურის ძირში ვცხოვრობთ და ერთ-მანეთთან მისვლა-მოსვლა რიგზე ვერ გვაქვს რაღაც. რა გვიშლის ხელს? – იკითხა სიდონიამ.

– ეჰ, დაო, აქამდე რაღაც იყო, გავიხედავდით და ერთმანეთს შევავლებდით თვალს, ანე თქვით, ოსმალებმა თუ დაგვაწიოკეს.

– რა მოვიმოქმედოთ ხორებან, არის ვითომ გადარჩენის რაიმე გზა – შეაცექრდა დას თვალებში ხვარამზე.

– იცით რისთვის შევიკრიბეთ შენთან? ქალებმა ჩვენი გადაწყვეტილებაც უნდა შევუერთოთ კაცების განზრახვას, ქალები და უხუცესები ვრჩებით სოფლად. ახალგაზრდები ჩვენს სალოცავში – ბე-თლემში უნდა გავაგზავნოთ. ბავშვებიც უნდა გავხიზნოთ სადმე. ჩვენგან კი ბევრს ვერაფერს წაიღებენ, დიდი-დიდი გვაწამონ. ახალგაზრდების გადასარჩენად კი ყველაფერი უნდა ვიღონოთ. თუ ჩვენ წამებით ამოგვედიან სულს, ახალგაზრდებმა ცხოვრება უნდა გააგრძელონ. ახლა მათთვის თბილი ტანსაცმლისა და საგზლის მომზადება მოგვიწევს, ვისაც რითი შეუძლია უნდა დავეხმაროთ და მოვამარაგოთ. მთავარი საქმე დღეისათვის მათი გადარჩენაა. ჯანსაღი ბუნებით უნდა შემოვუნახოთ ახალგაზრდობა მომავალს.

– ეჲ, შენ ისე ლაპარაკობ დაო, თითქოს საზაფხულო საღომებში ვისტუმრებდეთ. ძნელია გულებიდან მათი მოწყვეტა. შევხვდებით კი ანე? ვინ იცის რა გველის.

– რას ამბობ ქალო, ხომ ხედავ მეზობელ სოფლებში ერთი ადამიანიც არ დაუსჯიათ ისე მიაღებინეს ისლამი.

– შენს ყურამდე არ მოულწევია, თორემ უმსხვერპლოდ არც ერთი სოფელი არ დარჩენილა – ჩაერია საუბარში გაიანე.

– საქმეც ეგაა. თუმცა სარწმუნოების შემცვლელი არც ერთი არავართ ჩვენს სოფელში. ნინასანარ ტრაპახი არაა საჭირო, მაგრამ ისლამის მიუღებლად რომ სოფელს არ დატოვებენ ესეც იცოდეთ. რა ვქნათ, შევიცვალოთ სარწმუნოება, შევინარჩუნოთ სიცოცხლე და კერია არ გავაციოთ, თუ გავწყდეთ ქალებო. ძეგლს არავინ დაგვიდგამს, მაგრამ თავშეწირულთა საპატიო სიაში შეგვიტანებენ. ესეც დიდი რამეა.

– ვინ, ოსმალები, თუ ვის გულისხმობ?

– მომავალი თაობა ქალო. ისინი ვინც გადარჩებიან და გააგრძელებენ ცხოვრებას, ისტორიაც არ დაგვივინებს.

– კაი დაგემართოს, რა სახარბიელოა ჩვენი ანინდელი ყოფა, მაგრამ ღმერთი დიდია და არ გაგვწირავს, იქნებ ჩვენი დიდი წინაპრის, დავით მეფის აშენებულ ციხეს შევეხიზნოთ. ბევრი მომხდური მოუგერიებია ხვარაციხეს. იქნებ ჩვენც შევეფაროთ და იქედან ვიბრძოლოთ. რა იცი იქნებ უფალი გადმოგვხედავს.

– მაგ ციხის გავლენით შეგარქევს ხვარამზე. იქნებ მართლაც ეგრე სჯობდეს, ხვარადან გამობრნყინდეს მზეც, მაგრამ ძალიან საეჭვოა, ხომ იცი ქალო მიწისზემოთ აგებული ციხე-სიმაგრე საიმედო არაა და საერთოდ აუღებელი ციხე არ არსებობს. ამაზე მაგარია გვარას ციხე, ხიხანი და რომელი ერთი ჩამოვთვალოთ, მაგრამ მტარვალთა ხელით ყველა დაეცა. არ გახსოვს ქაჯეთის ციხე შოთას „ვეფხისტყაოსნიდან?“ ქაჯეთის ციხეზე ქაჯური შენობა საქართველოს არა აქვს, მაგრამ ისიც აიღეს გმირებმა. ციხე შიგნიდან ტყდებაო – იტყვიან.

– ჩვენ შინაგამცემი არა გვყავს. ესეც არ იყოს, ტერიტორია დიდი აქვს და დავეტევით, ან სულაც გავიპარებით საიდუმლო გვირაბით.

– რომ პირდაპირ ჩავუვარდეთ ხახაში არა? არა, ქალო ეგ მოსაზრება არ ივარგებს. ვიცი, რომ ჩვენში სულმდაბალი არ გვირევია, მაგრამ ოსმალები კიბეების კეთებაში დაოსტატებულნი არიან, მოაბჯენენ ციხის კედლებს და ასე შემოაღწევენ. კარი თუ გააღო ერთმა მათგანმა, ჩაგვხოცავენ შიგ და ცეცხლს მისცემენ ციხე-სიმაგრეს. არა ამ ციხემ თავისი მნიშვნელობა დაპკარგა უკვე. შიგ მტრის შემმუსრავი იარაღი რომ გვქონდეს მაშინ კიდევ ჰო, მაგრამ ახლა თავშეფარებაზე ლაპარაკი ზედმეტია. გამოსავალი ტყეა. ტყეს უნდა მივცეთ თავი.

– კი, ტყეში შევალთ, ზაფხულია თავს იოლად გავიტანთ, მაგრამ ოსმალეთის სულთანი ისეთი ვერავია და იანიჩრებიც ისე ყავთ გაწვრთნილი, არსად მოგვასვენებენ, ჩაგვყვებიან ფესვებში.

– ჰო, მომხედავი და დამხმარე არავინაა. ასე მგონია მთელი საქრისტიანო სეირს უყურებს.

– ვინ გყავს მხედველობაში, რუსეთი?

– თუნდაც ეგ იყოს. ჩვენს მეფეებს ჭკუა არ ყოფნით თუ რა არის არ ვიცი, არ შეიძლება დასახმარებლად მიმართონ?

– სწორედ აქ ცდები ჩემო დაო. ქართველი კაცი თითს არ მო-ლუნავს, ქედს არ მოიდრევს, სამათხოვროდ ხელს არავის გაუნვდის.

– ეს მათხოვრობაა ქალო? იტყვიან მეზობელს რო მუცელი ატკივდება, შენც ხელი უნდა მოისვაო. განა მათი მეზობლობით რამე დაგვშავებია?

– შენც არ მომიკვდე. რუსეთი თავისით არ ჩაერევა ოსმალთა წინააღმდეგ. იტყვიან: ბალანა თუ არ იტირებს, ისე ძუძუს არავინ მოაწოვებსო.

– მერე შე ქალო, მართლაც და რა ძვირი დაუჯდებათ ჩვენს მეფეებს შემწეობა თხოვონ რუსეთს.

– გითხარი ჩემო დაო, რომ ქართველები მუხლებზე დაჩიქვით არავის არაფერს თხოვენ.

– არ თხოვენ და ასე ამოვიუჟებით, მერე მათაც რომ მიადგები-ან იქნებ მთხოვნელიც ალარ დარჩეს. რუსეთი ჩვენზე მომხედავი არაა. ისევ და ისევ ჩვენ უნდა ვივარგოთ.

– როგორ ქალო, ჩვენ დავახევინებთ უკან ოსმალეთს?

– არა მაგრამ ეშმაკობით უნდა ვაჯობოთ.

– სოფელს ვერსად წავილებთ და ბუდემოშლილი ჩიტი რომ ბუ-დის გარეშე რჩება ეს ვიცით.

– თუ გულზე ხელებს დავიკრეცთ, მაშინ მართალი ხარ, თუ აქედან წავალთ, სამოსახლოს სხვაგანაც გავმართავთ. მთავარია ჯანმრთე-ლი ვიყოთ.

– საქმეც მაგაშია. წავალთ და ვინ იცის როგორ დავიქსაქსებით, მინდა რომ სულ ასე ერთად ვიყოთ. ამდენს კი ვერც ერთი სოფელი და ვერც ქალაქი შეგვიფარებს.

– დიდია უფალი და შეგვერწვა.

– უფალი რომ დიდია, ეგ ყველამ ვიცით, შეწევნით კი?...

– ღმერთი ახლა ჯერჯერობით ოსმალთა მხარეზეა და რაც გინ-დათ ის ვთქვათ – ჩაერია საუბარში მელიტონი – თქვენ თქვენს საქმეს მიხედეთ, თუ რაიმეს ამზადებთ ახალგაზრდებისთვის გაამზადეთ.

ეზოში რაღაც გახმაურდა. მელიტონმა კარები გამოალო და გაეხმიანა.

- რომელი ხარ კაცო მანდ?
- მე ვარ ბიძია მელიტონ, კახაბერი. ქალებს მოვაკითხე, ვინ იცის, ლამით ვინჩე არ შემოეხეტოს და უცაბედად არ დაგვიფრთხოს მანდილოსნები.
- ჰო, შენი ჭირიმე, სიფრთხილეა საჭირო.
- ხვარამზემ მეუღლესა და დისშვილს საადრეო ბალი და ჩირით სავსე ლამბაქი აივანზე გაუტანა.
- მიირთვით და ვახშამიც მალე იქნება მზად.
- დეიდა არ აპირებები ქალები დაშლას?
- დაშლილი და დაფორიაქებული მტერი ვნახე შვილო.
- კახაბერმა გულიანად გადაიხარხარა და სიცილისგან ცრემლ-მოწოდილი თვალებით მელიტონს გადახედა.
- დიდი ნიჭის პატრონია დეიდაჩემი. პატრონი რომ ჰყოლოდა დიდ ქართულ თეატრს დაამშვენებდა ნამდვილად.
- რავა კახაბერ, პატრონად ვერ ვვარგივარ, ის გინდა თქვა? - გაცხარდა მელიტონი.
- ეე, ბიძაჩემო, მაგისთანა პატრონი მეც ვარ, შენ სწავლა-განათლება თქვი თორემ.
- აპა იასონი და თამარი მაგათ იერუსალიმში ვერ გააგზავნიდნენ სასწავლებლად, მე კი როცა მეუღლედ დავისვი მაგისთანებზე არ მიფიქრია.
- რათა იერუსალიმში, განა გელათი და იყალთო ჩვენი განათლების კერა არ იყო.
- ჰო, შვილო, მარა ისიც ხომ იცი, ეგ აკადემიები მხოლოდ სა-სულიერო პირებს ამზადებდა, აბა ჩვენთან ქალების ინტელექტზე ლაპარაკი სად გაგონილა.
- რატომაც არა, დადიანების, გურიელების, ბაგრატიონების, ციციშვილების და სხვათა ქალები ხომ განათლებულნი არიან.
- მაგათ შვილო დიდგვაროვანი ხალხი ქვიათ და შეძლება აქვთ შვილებს მასწავლებლები დაუქირავონ და სახლში მიაღებინონ განათლება. განა ბებიაშენი, ცხონებული და სულგანათლებული თამარი ეგრე არ იყო აღზრდილი?
- ჰოდა, მეც მაგის თქმა მინდოდა.

— გინდოდა და მიგიხვდი კიდევაც, მაგრამ ამ ჩვენს ხროოც კუთხ-
ეში ან რა შეიძლება ჰქონდეს გლეხს, რომ ამისთანა ამბებს მოაბას
თავი ან კიდევ რისთვისაა საჭირო.

— რატომ მასე მსჯელობ ბიძია? გავა დრო, ცხოვრება წინ მიდის,
განვითარება შემოვა...

— საიდან ბიჭო, ოსმალეთიდან? ხომ არ გავიწყდება, რომ ხვალ,
ზეგ მაგათო ლუკმა უნდა შევიქმნათ, რა მერმისზეა ლაპარაკი.

— ჰო, მართლა მელიტონ ბიძია, გადავუხვიერ მთავარი სათქმელ-
იდან, რას ვაპირებთ მართლა უნდა ავიყაროთ სოფლიდან?

— ჰო, ეგ გადაწყვეტილია.

— კი, მაგრამ ამღენ ხალხს ტყეში რა გამოკვებავს?

— ნახირს გავირეკავთ, ცოტასაც წავინადირებთ, მერეც ჩვენს
ქოხმახებში ჩამოვრიგდებით ნატბეურთან, ბოსტნეულიც გვექნება
და დანარჩენში უფალია მოწყალე.

— კი, მაგრამ ჩვენს მთაში დაგვაცლიან ვითომ ცხოვრებას? არ
დაგვესხმიან და ძალას არ იხმარენ?

— ეჱ, კახაბერ შვილების პატრონი ხარ და საზრიანობაში ცოტა
მოიკოჭლებ. ბიჭო საქართველოს ყველა ეპოქაში უჭირდა, მაგრამ
ერი არ ამოწყვეტილა. თავის რჩენა უნდა შევძლოთ როგორმე, თორემ
თუ ქონება და სარჩო-საბადებელი თავსაყარი ექნება ქართველ კაცს,
მისი ბუნებიდან გამომდინარე, თითსაც არ გაანძრევს, გამოელევა
საჭმელ-საოხარი და ცარიელ-ტარიელზე დარჩება. ჩვენ მთაში რომ
ავალთ ბოსტნეული უკვე ამოწვერილი იქნება, ზოგსაც სახელდახ-
ელოდ მივათესავთ და რაღაც იქნება.

— ჰო, ოსმალები შეამოწმებენ და იტყვიან, ბარემ ნათესმა ამოი-
წვეროს, მიირთვან და მერე შევუდგეთ საქმეს. არა, მაიც რისი იმე-
დია თითს გავანდრევინებენ ვითომ? ჩვენს გახიზვნას როგორც კი
გაიგებენ, ეგრევე მოგვეძალებიან. არა როგორმე შორს უნდა წავი-
დეთ, ნატბევში დიდხნით ჩასახლება არ შეიძლება. ისევ და ისევ ბე-
თლემისკენ უნდა გავუტიოთ. თუ რა თქმა უნდა წასვლა გადაწ-
ყვეტილია. მაშინ ხვალვე უნდა შევუდგეთ საქმეს, დაგვიანება იქნება
საზიანო დარჩეს.

— ჩვენ ხვალისთვის უკვე ვემზადებით. თუ უთენია არა, ალბათ
სალამოსკენ დავიძვრებით.

— შენ რაც გინდა ის თქვი მელიტონ ბიძია და ძნელია მოხუცების მიტოვება. მეტი გზა არ არის. თუ სოფელზე თავდასხმას აპირებენ. დაე, მოვიდნენ, მაგრამ რომც გვინდოდეს ანგარიშს გაგინევს ვინმე? თუ იოლად გადავრჩით, მოვბრუნდებით სოფელში და მივხედავთ ცხოვრებას.

— მაგათ ვერაგობას რომ ვხედავ, ტყეში არ მოგვასვენებენ, ამიტომ ყველაფრისთვის მზად უნდა ვიყოთ. უბრძოლველი კი არ ჩავბარდებით. მოხუცებსაც უჭრით მკლავ-იარალი, ერთ-ორ კაცს ისინიც გააგორებენ. აბა სარივით ხომ არ დაეყუდება ვინმე, მოდით და თავი წაგვსხიპეთო.

ეზოს ვიღაც მოადგა და ჩაახველა, თუმცა არ გაჩერებულა და პირდაპირ შემოაბიჯა.

— ამბაკო ბიძია? — გაიკვირვა კახაბერმა და კიბეებზე შეეგება ლამისეულ სტუმარს — რას მივანეროთ ასე გვიანი სტუმრობა?

— მე სტუმრის რანგში არ მოვიხსენიები შვილო — თქვა და აივანზე ახალგაზრდული სიმკვირცხლით ავიდა — რას მიქვია ახლა სტუმრობა და გადაპატიჟება. ახლა ერთსულ და ერთხორც უნდა ვიქნეთ, რომ მომხვდური ვძლიოთ.

— ერთსულ კი ვართ ამბაკო ბიძია, მაგრამ ერთხორც ალბათ ოსმალური იატაგანი გვაქცევს. თუ შევაკვდით მტერს მაშინ ვიქნებით ალბათ ერთხორც.

— შენ უკვე ხუმრობის გუნებაზე ხარ შვილო.

— ეჰ, რავარც მე მეხუმრება, ასე სახუმაროდ ოსმალეთის სულ-თანს დადგომოდეს სახუმარო წუთები. ცეცხლი მეკიდება გულზე, მოსახდენს რომ ვსაზღვრავ.

— დაე, მოხდეს მოსახდენი. თითმოკაკული და ქედდადრეკილი არასოდეს ყოფილა ქართველი. არავის დავუჩოქებთ შეწყალები-სათვის. ასე ყოფილა ჩვენი ბედი.

— მით უარესი ბიძაჩემო. რაღა მაინცდამაინც ქართველებს დაგვებედა ამისთანა უბედურებები. დღო იყო და არაბებმა გვანიოკეს, მერე მონლოლებმა, ბერძნებმა, რომაელებმა, სპარსებმა და ვინ მოთვლის კიდევ ვინ, ამდენი ომი არცერთ ერს არ ხვდომია წილად. რა თვალმარგალიტია ამისთანა ერთი მუჭა საქართველო.

— ერთი მუჭარომაა, სწორედ ამიტომ გვეპოტინებიან გადამთიცლები, თორემ უზარმაზარი რომ იყოს ხომ ვერავინ შემოგვბედავდნენ.

— აბა, ხომ ეომებიან დიდ რუსთა ხელმწიფეს პატარა ერები?

— იმათ შვილო ჭკუა არ ყოფნით. კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩება შვილო. ჩვენ კი პირიქით გვიხდება. კამეჩი გვეჭიდავება და აბა როგორ გავუმკლავდეთ.

— კოლომ ლომს რა უქნა ხომ იცი ბიძაჩემო.

— ნუ დამიწყე ახლა ანდაზებით და არაკებით ლაპარაკი. ვითარებას საღი ჭკუით, ობიექტურად უნდა შეხედო. მართალი ხარ, ეშმაკობაში უნდა აჯობო, მაგრამ ყველა ხვრელში გამძვრალ ეშმაკს ვერასოდეს ვაჯობებთ.

— მჯობნის მჯობნელი არ დაილევა ბიძაჩემო.

— ეგეთი მხოლოდ თამარ მეფის დროს იყო. იმ სულმნათს რომ ეცოცხლა დიდხანს, ეგებ ამ დღეში არ ჩავვარდნილიყავით. ეხლა კი რისი იმედია? ძლიერ გავეშებულია ოსმალეთი.

— იცი რა მიკვირს ბიძაჩემო? მონღოლები ხომ უფრო სისხლისმელები და შეუბრალებელები იყვნენ. იმათ თუ ვერ ან არ მოიკიდეს ფეხი ჩვენს ხეობაში, ოსმალებს რა ჭირი ეტაკათ, რომ ჩაეფესვნენ და აღარ მიდიან.

— ჯერ ერთი, მონღოლები შორიდან იყვნენ მოსული და მომთაბარეობდნენ. მერეც ისე გამრავლდნენ, ერთმანეთს ველარ ცნობდნენ, ვინ ვის ემორჩილებოდა და ვინ ვის იმორჩილებდა, ამასაც ვეღარ არ კვევდნენ. მათმა სტიქიურმა გამრავლებამ სტიქიური უბედურების ჭირი შიგნით გააღვივა. ერთმანეთის ვერცნობამ დაქსაქსა და დაშალა ერთ დროს მსოფლიოს შემაზანზარებელი ოქროს ურდო. ჩაესვენა მათი მზე, ჩამოვარდნენ დიდების მწვერვალებიდან. მეორეც — ოსმალები ვინ გვონია შენ. შუა აზიიდან, ბუხარისა და სამარყანდის სახანოების ტერიტორიებიდან, ხევ-ხუვებიდან და სტეპებიდან ახვეტილი ბრბოა, იგივე მონღოლების ნარჩენი. ისეთივე სისხლისმსმელი და მომთაბარე, არა იმათსავით გრანდიოზული და უძლიერესი, მაგრამ მაინც ძლიერია. ესენიც თავის რჩენისთვის იბრძიან. მაგათი სჯულის კანონში სხაგვარად სწერია, თვითონ კი სულ სხაგვარად იქცევიან.

— საშველი აღარ ყოფილა აბა და ისაა.

სჯა-ბაასში შუალემე კარგა ხანია გადაიწვერა. მამალმა მეოთხედ იყივლა უკვე. აგრილდა. სამხრეთიდან, ღარათის ხეობიდან სუსხიან-მა ნიავმა წამოუბერა.

— სიცხიანი და სუსხიანი ქარები იქედან ქრიან. ასე დაგვანათლა მამაზეციერმა, როგორც ჩანს, მაგრამ ქართველთა მზე, როცა იქნება ისევ იზიმებს დიდებას – თქვა მელიტონმა და წამოდგა – უკვე დაწ-ოლის კი არა ადგომის დრო მოვა ორ საათში, შინ არ შევიდეთ?

— არა ბიძია მელიტონ, ქალებს მივაცილებ სახლამდე და... ჩვენ ახალგაზრდებს რა დაგვაძინებს, ვმორიგეობთ უკვე ღამითაც.

— ამას წამდვილად კარგს შვებით, ფხიზლათ უნდა ვიყოთ, ეგებ ჭორიც იყოს ყველაფერი, მაგრამ მამა-აპრამის ბატყანი რომ არა ვართ, ეს ყველამ უნდა გავითავისოთ, თუმცა ჩვენზე მაინც იხმარენ ძალას ეგ უპატრონოები.

ქალები ცრემლმორეული ხვევნა-კოცნით დაშორდნენ ხვარამზ-ეს და მელიტონს და თავთავიანთი სახლებისაკენ გაუტიეს. ეკლესია-სთან რომ მიაღწიეს პირველარი გადაიწერეს. ეკლესიის გალავნის გა-რეთ მათ მამა გაბრიელი შემოხვდა.

— ასე გვიან ეკლესიასთან მობრძანებულხართ მამაო! რას მივაწ-ეროთ?

— კი არ მოვსულვარ შვილნო უფლისანო, არსადაც არ წავსულ-ვარ, ეკლესიდან ფხი არ მომიცვლია. საღამოს მერე ეკლესია ხალხ-ითაა სავსე და ლოცულობენ.

ქალებმა ერთულთს გადახედეს.

— შევიდეთ ჩვენც, გარიყულად რატომ უნდა ვიყოთ, შევიდეთ და მშვიდობისათვის ვილოცოთ.

მრევლი ზოგი მუხლმოყრილი, ზოგიც ფეხზე მდგარი უფალს შემწეობას და მშვიდობის დაცვას ემუდარებოდა.

ამბიონთან მღვდელმთვარი მივიდა.

— ხალხო და ჯამაათნო, იქნებ ბოლო გამოდგეს ჩვენი წირვა-ლოცვა, მაგრამ სულით არ უნდა დავეცეთ, გმირულად ბრძოლა გვ-მართებს. რამდენიმე დღეა სჯა-ბაასი და დავა გვაქვს თუ რა მოვიმო-ქმედოთ. ძალიან ხნიერები და ავადმყოფები ვრჩებით სოფელში, დანარჩენები უნდა გაერიდონ სოფელს. სამოქმედო გეგმა არა გვა-ქვს, ყველამ ვითარების მიხედვით იმოქმედოს, ოლონდ ჩვენი სიტყ-

ვა ერთი იქნება – გავწყდებით და არ დავმორჩილდებით, არც რწმენას შევიცვლით, რაც უმთავრესია, თუ რამ ფასეული გაგვაჩნია ისტორიაზე და მომავალ თაობებზე გადასაცემი, უნდა გადავმალოთ. აქვე რომ მოვახერხოთ ეს, იქნებოსმალებმა იგეშონ და გაგვინადგურონ, ამიტომ სადაც ახალგაზრდები წავლენ, იქით უნდა იყოს ყველაფერი, რასაც განძის სახელი ერქმევა. მე რომც მოვდიოდე, ბეთლემამდე ვერც მივალნევ ვიცი, თუმცა უნდა მოგახსენოთ, რომ უმჯობესია ბეთლემის სამალავები. ეს ყველამ გაითავისეთ, ოღონდ განძსამყოფელი რაც შეიძლება ცოტამ უნდა იცოდეს, თუკი რა თქმა უნდა ვინმე დარჩება ცოცხალი. ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი. ამინ!

– ამინ – დაიგუგუნა ეკლესიის ჭერმაც და კედლებმაც.

ეკლესია გაჩახჩახებული იყო სანთლებით. მლოცველებმა სამსამი სანთლით შესთხოვეს უფალს შემწეობა.

საყდარში ღამისეული ლოცვები აღავლინეს ნადარბაზეველებმა. ეკლესიიდან ფეხს არ იცვლიდა ხალხი.

– წადით, დაისვენეთ, ხვალეც ამ კვირისაა. თუმცა რაღა ხვალე უკვე თენდება. დილის ნირვაზე აუცილებლად მუხლი მოვუყაროთ უფალს, ქრისტეს და მის მონაფეებს, განსაკუთრებით ანდრია მოციქულს ვის სახელსაც ეს ტაძარი ატარებს და ვისი სულიც მფარველობს.

– განსაკუთრებით ლოცვა გვმართებს წმ. მარიამის სახელობის საყდარშიც. განსაკუთრებული სანთლებით უნდა ვცეთ პატივი იესოს დამბადებელს, რამეთუ ისინი არიან ჩვენი შემწე და თანამდევი სულები. დიდება ამ წმინდა ხალხს – პირჯვარი გადაიწერა მლვდელმთავარმა – ამინ!

– ამინ! კვლავ დაიგუგუნა ტაძრის ფესვებმაც.

ეკლესიიდან ხანდაზმული ხალხი გამოიშალა და სახლებისაკენ გაუტიეს. ახალგაზრდებს კი ფეხი არ მოუცვლიათ.

– ეჰ, ხორებან, ალბათ დაგვენატრება ამ დიდებული ტაძრის გუმბათზე თვალის შევლება.

– რათა ქალო, სანამ ვართ ვუცქიროთ. ხვალ-ზეგ ფეხებს რომ გავფშიკავთ, განა საფლავში ჩაგვაყოლებენ? ერთ დღეს ხომ მაინც უნდა გამოვეთხოვოთ წუთისოფელს.

– მე ანდერძად ვტოვებ, გალავნის შიგნით დამმარხონ.

– ვის უტოვებ გო ანდერძს?

- აბა რა ვიცი, ისე ვთქვი კია და...
- ეჰ, ნეტა დამმარხავი თუ გვეყოლება მაინც.
- რაებს სულელობ, ზეზე ვინ დაგვტოვებს ქალო? რაც არ უნდა იყოს ავტორალდებით.
- ისე რა უნდა ვთქვა იცი? ზიარების გარეშე არ მინდა სიკვდილი. მოდი ქალებო წინასწარ ვეზიაროთ.
- ღმერთო დიდებულო გადმოგვხედე, სად მიგეჩქარება? ვერ დაეტევი ამ წუთისოფელში?
- წუთის სოფელი რომ ქვია, სწორედ ამიტომ მინდა ზიარების მიღება. რა ვიცი გამითენდება თუ არა ხვალი.
- ზიარება წინასწარ არ შეიძლებაო, ასე თქვა მამა გაბრიელმა, ცოდვა არაა მაგრამ მაინც არ შეიძლებაო.
- განა ზიარების გარეშე ვინმე გაგვამგზავრებს იმ ქვეყნად?
- ქალებო, ხუმრობა იქით იყოს და სადღაც სიმართლეა ხორეშა-ნის ნათქვამში – მხარი აუბა დას სიდონიამ – რა ვიცით, ეგებ მთელი სამღვდელოება ამოგვიწყვიტონ.
- თხუნელასავით წინასწარ წუ ითხრით თვალებს. დაწყნარდით და წუთისოფლის ბოლო წუთებს მშვიდად დაელოდეთ.
- ცივმა ნიავმა შეახსენა ქალებს რომ ეზოში იდგნენ. გალავნიდან გამოვიდნენ და სახლებში შეიყუჟნენ.
- დღილით მამალების გადაყივლებამ და ჩიტების ურიამულმა ჩვეულებრივად გამოაღვიძა სოფელი. ეკლესიის ზარებმა მლოცველებს სალოცავი დრო შეახსენა.
- დაიძრა მრევლი სამლოცველოებისაკენ. თითქოს ხალისით, მა-გრამ მძიმე საწუხარით გულდამძიმებულებმა შეაბიჯეს საყდარში და ეკლესიაში.
- ეს დილაც ლამაზი გაუთენდათ ნადარბაზევლებს, მაგრამ ბედის დავთარში მათი დღეები და საათები უკანასკნელი სუნთქვით სუნთქვდა.
- იმედიანად შეაბიჯეს სალოცავში. კიდევ ერთი იმედიანი დღე დაიწყო მათ ცხოვრებაში.

თავი III

ბრდღვიალა მთვარე რა ხანია მიეფარა თვალს და დასავლეთით ჩაიძირა. ცის კრიალა და სუფთა ოზონი ლამაზი დღის – კვირის დადგომას იუწყებოდა.

შიო მნათემ დილის ზარს ხმა ამოალებინა და სოფლელები გამო-აღვიძა. საკვირაო ლოცვისათვის სამლოცველოები გადაიჭედა. ხალხი ეზოშიც ბლომად იდგა. ლოცვა ალავლინეს და უფალს მადლი უძლენეს ლამაზი დღის დადგომისთვის.

– დიდი ხანია ასეთი ლამაზი დილა არ მინახავს, რაღაც გან-საკუთრებულივითაა – შენიშნა საბამ და შიოს გვერდში ამოუდგა.

– ჰო, მეც ასე ვფიქრობ. ძალზე წყნარი დილაა, რომ არ ჩავთვალ-ოთ ზარის გაუღერება.

– იცით რა მამაო, მგონი ავბედითი, საბედისწეროდ წყნარი დი-ლაა. ასე იცის ხოლმე დიდი ქარიშხლის ან დიდი უბედურების მოახ-ლოებისას დამშვიდება ბუნებამ.

– ფუი, ეშმაკს – პირჯვარი გადასწერა მნათემ საბას – საიდან მოგივიდა ეგ უკეთური აზრი, ნუთუ სხვა საფიქრალი არა გაქვთ?

– რას იზამ მამაო, თუკი ასე გვიწერია – თქვა საბამ და ეკლესი-იდან გარეთ გავიდა.

“ეჱ, გარდაუვალია უფლის ნება. თავის გაჩენილს ყველას თავი-სი სურვილის მიხედვით ატარებს. დაე, მოხდეს რაც მოსახდენია, თავს ზემოთ ძალა არაა. განა მისი გაჩენილი არა ვართ ყველანი? როგორც უზენაესს სურს, ისე მოგვექცევა. განირვით კი? ჰო, თუმცა რატომ ვსჯი უფლის საქმეებს. ვიცით და მაინც ცოდვას ვაკეთებთ, ცოდვის ჩადენის შემდეგ კი ეკლესიას მივაშურებთ მოსანანიებლად. რა, ვითომ უფალს თვალებს ვუხვევთ? ეკლესიაში სალოცავად უნდა შეხვიდე ადამიანმა და არა ცოდვიანმა ცოდვათა მოსანანიებლად. მოსანანიებელი კი ნამდვილად ბევრი გვაქვს. როცა სარჩო-საბადე-ბელი გვაქვს სამყოფი ადამიანმა მაშინ უნდა სწირო უფლისთვის. ჩვენში გაჭირვებული არავინაა, მაგრამ ქონებრივი უპირატესობის გამო მაინცდა-მაინც თავს არავინ იკლავს, უფალს ზვარაკი შევწიროთ. ამ ცოდვათა გამო ალბათ დაგვსჯის უფალი. რამდენი

ცხოვრობდა და ბინადრობდა საქართველოს მინა-წყალზე, მათი მხოლოდ ხსოვნაა შემორჩენილი. რამდენი ეთნოსი მოისრა და აღიგავა მინისაგან პირისა. ალბათ, ჩვენი გაქრობაც სწადია უფალს. აკი ქართველები ძალიან ვუყვარვართ. თუმცა სიყვარულს ვერ ვასწავლით უზენაესს... არა მგონია, მთლად გაგვიროს.

– რალაც ძალიან ჩაფიქრებული ხარ შვილო, ფერიც არ გადევს, ისევ სოფელზე ფიქრობ, ხომ ასეა? – შეაწყვეტინა ფიქრი მოულოდნელად შემოხვედრილმა მამამზემ.

– ჰო ყოვლადძლიერო – პირჯვარი გადაიწერა საპამ – მამამზე ბატონო, სასწაული თუ გინდა ესაა. საიდან ამოიკითხე ჩემი გულისთქმა?

– ეჱ, შვილო, დღეს აბა რალა ამოცნობა უნდა ჩვენს საფიქრალს. ხუმრობად ნუ ჩათვლი მაინც, აბა ვინ არ იცის ჩვენი საფიქრალ-სადარდებელი. ერთი ფიქრით ვართ ყველა დამძიმებული.

– მამამზე ბატონო, შენი წინასწარმეტყველური ნიჭის ლირსი ერთხელ კიდევ გაგვხადე და გვაუწყე, რა გველის და როდის.

– მაბრალებენ შვილო წინასწარმეტყველებას, ისე კი ცოტ-ცოტა მართლაც შემიძლია რალაცების წინასწარ განჭვრეტა.

– ჰოდა, მეც მაგას არა გთხოვ ბაბუა?

– ახლა იწილო-ბიწილოს დრო არაა. ყველაფერი სახეზეა და თავადაც უნდა მივხვდეთ ზოგ რამეს. თუ რა გველის ეს მამაუფლის გარდა არავინ იცის. დიდი-დიდი სარწმუნოების შეცვლა, ან მორჩილება, ან სიკვდილი.

– განა არსებობს მორწმუნეთათვის, ქართველისათვის, ვაჟკაცებისათვის სხვა გზა? განა სიკვდილი სავალდებულოა? ხომ არსებობს ხსნის გზა. ქვეყანა დიდია, გადავიხვენოთ სადმე.

– ეჱ, შვილო, სიტყვებით იოლია, მაგრამ მშობლიურ კუთხეს რომ მოშორდები მერე მიხვდები მაგ სიტყვების სიმწვავეს.

– ვიხუმრე პაპა, მართლაც ძნელია, ეგ მეც ვიცი. ჩვენ ყველამ ვიცით. ამიტომ დროებით გაცლა მართლაც სჯობს. ეგებ ჩადგეს ქარიშხალი.

– არაა მასე ადვილი მაგ ქარიშხლის ჩადგომა შვილო. ოსმალებმა სასწაულები არა და დიდი ზიანი მოუტანეს მრავალ ერს. არც ჩვენ დაგვაყრის ხეირს. მაგათთან მხოლოდ იარ?ლით შეიძლება ლაპარაკი.

– ვერაფერი იმედია ჩვენი იარაღი. ვერც ვერავინ გვეხმარება. მიძინებულია საქრისტიანო.

– რას იზამ შვილო, მოძალებულ ჭირს მაგრად უნდა დავუდგეთ თავად უნდა ვებრძოლოთ, ისე, როგორც შეგვეძლება, როგორც თქვა სულმნათმა შოთამ ამ ამბავზე: “ჭირსა შიგან გამაგრება, ასრე უნდა ვით ქვითკირსაო,” ჰოდა, რახან მასეა შვილო, ეგ ნათქვამი მგონი ჩვენზეა ზედგამოქრილი.

– იქნებ არაა ჩვენზე, ეს ყველა გაჭირვების დროს ყველა გაჭირვებულზე ჭკუისმსნავლელი აფორიზმია.

– მერე კიდე როგორ თქვა – “ სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი”, ჰოდა, თუ ჩვენ ჭირს გავუმაგრდებით და უსახელოდაც არ დავილუპებით, ბოლოსდაბოლოს იტყვიან – აბა როგორ გეგონათ, ქართველები შოთას სიბრძნით არიან ალზრდილებიო!

– ბატონო მამამზე, რას იტყვი, თუ დაგვიმორჩილეს რამდენ ხანს გასტანს მაინც ეს მორჩილება. ეს ისე, სიტყვის მასალად გამოვიყენე, თორემ ვინაა დამმორჩილებელი, მაგრამ ამით მაინც სხვა რაიმე უნდა ვთქვა, ჰადა ჸა, ხვალ თუ ზეგ ჩვენს სოფელზეც გადატყდება ჯოხი, თუ ჩაეთესლენ აქაც, რამდენ ხანს დარჩებიან ნეტა საერთოდ აჭარაში, თუ რა თქმა უნდა მთელ საქართველოს არ დაეპატრონენ.

– რა გითხრა შვილო, ალბათ საუკუნეები გავა ან იქნება რამდენიმე წლის შემდეგ ისევ შეცვალოს ვითარება. მაგრამ ამ მტარვალებს ერთი თვეც ეყყოფათ, რომ ყველაფერს ზიანი მიაყენონ. შესაძლოა გამოჩინდეს ისეთი ძლიერი ძალა, რომელიც უკან დაახევინებს მაგნუნკლებს, ღმერთი ძლიერია შვილო, არ გაგვწირავს.

– განა ღმერთი ახლა მაგათ არ სწყალობს? ალბათ რალაც ცოდვის გამო გვსჯის უფალი, თორემ ასეთი უკულმართობა გაგონილა? რა ცოდვა გვაძევს მაინც კისრად?

– ქართველებს ორზღვას შუამდებარე ტერიტორია გვარგუნა უფალმა. ყველა ქართველს თანაბარი უფლება აქვს საქართველოში ცხოვრებისა, მაგრამ მავანთ და მავანთ მაინც სიხარბე ამოძრავებთ. ძმა ძმას ებრძვის ერთი მტკაველი მიწისათვის. ცხოვრება კიყველას უნდა ეს ძმათმორის ომი ხოცვა-ულეტა ძალიან დიდ ცოდვად აძევს ქართველებს და საქართველოს. როდე-

საც ძმები ვერ მორიგდებიან, მაშინ მათ მესამე ხელი მართავს. სწორედ ეს მოტივია ჩადებული დღევანდელ ვითარებაში.

– გინდა მითხრა რომ მოჩინებარ მამლებს ან ქორი ან მელია, გინდ ტურა დაეპატრონება?

– სწორედ ასეა შვილო. ქართველთა ისტორია მსგავსი ტრაგე-დიებითა სავსე. რამდენმა უმტრო ქართველთა მეფებს შეჭირვების უამს, რამდენი დაწინაურებული პიროვნება ბოროტი ძალისხმევით ქართველებმა მოიკვეთეს საქართველოდან. მარტო სააკაძის ამბავი ეყოფა საქართველოს, სხვებზე რომ ალარაფერი ვთქვათ. საქართვე-ლოს ქალები უფრო ამაღლებენ, მაგრამ ქალები ვერაფერი იმედია. მეორე თამარ მეფე ალარ მოევლინება საქართველოს თორემ, ალბათ კუდით ქვას ასროლინებდნენ ოსმალებს მაინც, იციან გადა-მთიელებმა ქართველთა დაავადება – ერთმანეთის ვერგატანა და ყვე-ლა ხერხით ცდილობენ საქართველოს ტერიტორიის დაპატრონებას, მაგრამ ვერ ელირსებიან.

– შენს პირს შაქარი მამამზე ბატონო, მაგრამ ხომ ცნობილია რომ უზარმაზარი იმპერიები და სამეფოები იავარჲყო თხმალთა ურდომ, რა დაუდგება წინ, რომ საქართველოს ვერ დაეპატრონებიან?

– ის შვილო ჩემო, რომ საქართველო უფლისწილხვედრი ქვეყ-ანაა და უფალი იცავს მას, მეორეც დიდი რუსეთის მეზობლობაც დიდ რამეს წიშნავს – პირდაპირ შეტევას საქართველოს მთლიანად დასაპყრობად მაინც ვერ ბედავენ, მომხვდური ნიადაგს სინჯავს, პატარ-პატარა შეტევებით რა ხასიათზე დააყენებენ რუსთა ხელმ-წიფეს, მაგრამ ჩვენდა სავალალოდ რუსებს ჩვენი თავი ძალიანაც არ ადარდებთ, თუმცა ეს არ იციან მომხვდურებმა და ამის გამოც ძალიან შიშობენ. მესამეც ქართველებს გმირული სული ამოძრავებთ. ის-ტორიიდან ცნობილია, თუ რა გაჭირვებას და ძალმომრეობას გაუძ-ლო საქართველომ საუკუნეთა განმავლობაში. დიახ, გმირული შე-მართება და მეფეთა გამჭრიახობა წყვეტდა ხშირ შემთხვევაში საქართველოს ბედს. ჩვენ არ გვაქვს გულზე ხელების დაწყობის უფლე-ბა, ჩვენ ჩვენი ბუნებიდან გამომდინარე გამუდმებით უნდა ვიპრძო-ლოთ. ამიტომ იარაღს მივანდოთ ჩვენი ბედი შვილო. ერთ-ორ თხმა-ლოს მეც კი გავაგორებ. ასე რომ წინ ბრძოლა გველოდება უმკაცრე-

სი და ხმალჩაგებული ჩვენში არ აღმოჩნდებიან მგონი. ქართველებს ხმალამოლებულს და ცხენზე ამხელრებულს იცნობს მებრძოლი მსოფლიო. დავუმტკიცებთ ოსმალებს რომ ლირსეული ქართველები ვართ.

– კი მამამზე – ბატონი. ხმალს მართლაც დავატრიალებთ, მაგრამ თუ ჩავიხოცებით ეს ხომ გამარჯვება არ იქნება.

– ისევ შოთას სიტყვებს მოვიშველიერ შვილო – “სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა”. დავიხოცებით თუ ცოცხალი დავრჩიებით, მაინც სასახელონი უნდა ვიყოთ, რამეთუ წინაპრების დაღვრილი სისხლი ამას გვიღალადებს. ვინც ულირსად დაღვარა ჩვენი წინაპრების სისხლი, ვალად გვაძევს და ამ სისხლის სამაგიეროს ითხოვენ მათი სულები. ყველა ნაბიჯი გამართლებულია ომის მოსაგებად, მაგრამ არა ისეთი, რომელიც ხალხს დააზიანებს. ის გამოთქმა, რომ როცა შემოგვკრავენ ლოყაში, მეორეც მიუშვირეო მე არ მიმართია მართლებულად და შესწორებას შევიტანდი, ვინაიდან არ არსებობს გამართლება – ოსმალომ მარჯვენა მოგვაჭრას და მარცხენაც მიუშვირო, ან თუნდაც მამა მოგიკლას და დედაც წინ დაიყენო, მოსაკლავად განირო. მტერს მტრულად უნდა დაუხვდე. იმარჯვებს ის, ვინც ძლიერია, გამჭრიახი და ვინც პირველია. მოშვერილ ხანჯალს როცა დაინახავ ან მოლერილ-დამიზნებულ თოფს, მომხვდურს დაასწრო უნდა. რა გარანტია გაქვს, რომ მტერი მოშვერილ იარაღს სხვაგან შეატრიალებს. ვინც დაასწრებს ის მოიგებს, მაგრამ ჩვენს შემთხვევაში ძნელია მაინც – დამხმარე არავინაა და ხახადაფრჩილი ლომების წინაშე მარტოდ ვერაფერს გავხდებით.

– გმადლობ – მამამზე ბატონი გულახდილი საუბრისათვის. სავსებით მართალი ბრძანდებით, ჩვენ მაინც ვიბრძოლებთ მომხვდურის მოსაგერიებლად, ვიდრე პირში სული გვიდგას, ხმალს არ ჩავაგებთ. ვნახოთ უფალი როგორ დაგვეხმარება.

– მკრეხელური არ გაიფიქრო შვილო, უფლის იმედი უნდა გვქონდეს. ცალ ხელში თუ იარაღი გვექნება მეორე ხელით და გულით უნდა ვილოცოთ. ასე დაგვებედა ქართველებს – იარაღი დაგვქონდეს განუყრელად, ჰოდა, ჩვენც ამ წესს ნულარ ვულალატებთ. ვატაროთ იარაღი და საჭიროების შემთხვევაში გამოვიყენოთ კიდეც.

– კარგად იყავი ბატონი მამამზე, უნდა ავჩქარდე თორემ ახალგაზრდები მელოდებიან.

– ჭკვიანად და ფხიზლად იყავით შვილო, მტერი არ ვაზემოთ. წუხელ ცუდი სიზმარი მესიზმრა და კარგად არ ჩაივლის მგონი. ჩვენს ეკლესიას გალავნის კარი დარჩენოდა ღია და ღორები შესეოდნენ ეზოს, მერეც ჯვარი ვნახე გადმოხრილი. შიგ სალოცავში კი უხ-სენებლები დასრიალებდნენ. არაა კარგი ეს სიზმარი, თუ რა თქმა უნდა რაიმე დაეჯერება სიზმარს, ან მე – პირველი გადაისახა მამამზემ, შეტრიალდა და სახლისკენ გაეშურა.

გადასახედ ქედზე ახალგაზრდები შეგროვილიყვნენ. ვინ რას ამ-ბობდა და ვინ რას. საბა წყნარად მიუახლოვდა, მიესალმა და ქვაზე ჩამოჯდა. გოგონებიც გამოფენილიყვნენ. აქა-იქ მოხუცებიც ჩამომ-სხდარიყვნენ და ყალიონს აბოლებდნენ.

ქალებიც ამოდილოდნენ ალმართის ჰატარა ბავშვებთან ერთად. ზოგს კი ჩვილი ჰყავდა მკერდზე მიხუტებული. სუფთა ჰაერზე გასასეირნე-ბლად. სალამ-ქალამის შემდეგ ქალებსაც მიუჩინეს ადგილი.

– სადღეისო პრობლემა რა გვაქვს ხალხო – იკითხა ერთმა მოხუცმა და შორს მოატარა მზერა.

– ეჰ, ბაბუ, სადღეისო და სახვალიო რამ გაყო. ჩვენი საწუხარი ამჟამად ყველასათვის ცნობილი, თვალებდასავსები და ჯიშგასან-ყვეტი ოსმალოა და გარდა ამისა განსაკუთრებულად ცალკე გამოკვეთილი სადღეისო პრობლემა არცა გვაქვს – თქვა არმაზმა და საბას გადახედა.

– გამოკვეთილი პრობლემა კიდეც გვაქვს და კიდეც არა, თუმცა მე ასეთი აზრი მაქვს – გადავმალოთ წინასწარ ეკლესიის საგანძურო, დავთრები და სხვა რამ ფასეულობანი, იქნებ როგორ წარიმართოს მოვლენები. მომავალ თაობას წუ დავუკარგავთ მისხალ-მისხალ, გოჯი-გოჯ ნაგროვებ საუნჯეს.

– ისტორიის გადამალვა განა შეიძლება? განა ხელიდან – ხელში არ უნდა გადაეცეს თაობას? კარგით გადავმალოთ სადღაც, მერე გადამალველთაგანი ალარავინ დარჩეს იქნებ ცოცხალი, ვინ უნდა მიაკვლიოს გადანახული? იქნებ აქვე დავტოვოთ – თქვა ჯვარისამ და ახალგაზრდებს გადახედა. შემდეგ ალმასხანს მიუბრუნდა – ძია ალმასხან, მნიგნობარი კაცი ბრძანდებით, რას იტყვი – ის რაც ისტორიამ და თაობებმა უნდა იცოდნენ, ხომ არ ჯობია არ გადავმალ-ოთ და აქვე ხალხში ინახებოდეს? ხომ შეიძლება მეზობელ სოფელს

მივაპაროთ მალულად, მიუხედავად იმისა, ხალხმა სარწმუნოება შეიცვალა, თუ ძალად შეაცვლევინეს, სიბრძნეს მაინც მოუხმობენ, მიბარებულს შეინახავენ და... ალარ დაამთავრა სათქმელი და აღმართზე ამომავალ მამიდა ბადრიას მიაპყრო მზერა.

– რა იყო მამიდა, რაღაც დაფუთებული ჩანხარ.

– არაფერი შვილო, ხალხმრავლობა შევნიშნე და მეც აქეთ გამოვეშურე, ვიფიქრე ცუდი ამბავი ხომ არ მოიტანა ვინმემ მეთქი.

– იმაზე დიდ ამბავს და იმაზე ცუდს ვინ გვამცნობს შვილო, რაც ვიცით. ერთადერთი ესაა რაც ტვინს გვიბურლავს ყველას – უპასუხა ექვთიმე ბერმა.

ჯვარისამ ახლა მოხუცებს გადახედა.

– რატომ არ ვაბოლავებთ სათქმელს, რა უნდა ვუყოთ გადასამალავს?

– მართლაც სჯობს ისტორიის კუთვნილება ისტორიას დარჩეს, მაგრამ ამჯერად მაინც უნდა მოვაფაროთ საშიშროებას. ის, ისტორია რომელიც სოფლის საკუთრებას წარმოადგენს და ეკლესიის ჩანაწერებში ინახება, რომელსაც გამოკვეთილი ავტორიც არ ჰყავს. დიახ, გადასამალავია.

– ისეთი რა საუნჯეა, რომელსაც მზის სინათლე არ უნახავს, როგორც შენი სიტყვებიდან ჩანს, განა არ სჯობდა ყველას სცოდნოდა და თუნდაც ზეპირად გადასცემოდა თაობებს? – შეესიტყვა აღმასხანი და ხალხს მოავლო მზერა.

– აღმასხან ბიძია, შენთვის საიდუმლო და მიუწვდომელი არ უნდა ყოფილიყო ეკლესიის დავთორები და მეორეც რა ისეთი საიდუმლოა, რომ გამჟღავნება მკრეხელობად მივიჩნიოთ, დიახაც უნდა ვიცოდეთ ჩვენი წინაპრების განვლილი ყოველი ბილიკი თუ გზა, ამას გადატანით ვამბობ, თორემ წინაპრების ყველა თუ არა უმეტესი ნაწილი ამბებისა ხალხმა უნდა იცოდეს.

– იცი რა ჩემო საბა? ეკლესიის ჩანაწერები ჩვენთვის მაინც წმინდათა წმინდაა და ხელის მიკარება მაინცდამაინც არ მომიწადინებია, მიუხედავად იმისა ვიცი რომ არავინ დამიშლიდა, რაღაცნაირად ყურადღების მიღმა დარჩა, თორემ არ არსებობს ხალხის ყურადღე მისატანი ამბების გასაიდუმლოება. ეს უბრალოდ დრომ მოგვცა სა-

შუალება თორემ, ჩანაწერები ვიღაცამ ხომ უნდა იცოდეს, აი თუნ-დაც უმაღლესმა სასულიერო პირებმა.

– რა ისეთი ჩანაწერებია, განა არ შეიძლება წავიკითხოთ? ჩვენი წარსულის ცოდნა ცოდვად არ ჩაგვეთვლება, უფალი მოგვიტევებს, ეს მკრეხელობა არაა – თავისი აზრი გამოიტვა მზისადარმაც და სა-ბას მიაჩირდა.

– რა თქმა უნდა არავითარი მკრეხელობა. თუ ასე ძალიან მოინ-დომებთ, მოვიტან და გაგაცნობთ, თუმცა უმჯობესია გადავწეროთ თორემ საუკუნეებგამოვლილი ფურცლები დაიფხრინოს იქნება.

– რამდენი დღე გვეყოფა მაგისათვის? – დააყარეს კითხვები საბას.

– ეხლავე რომ დავიწყოთ, ალბათ ხვალისათვის მზად იქნება.

– იცირა ჰქენი? მაშ ახლავე წადიდა სახვალიოდ გაგვანათლე. მაინც რას ეხება თუ საიდუმლო არაა – შეეკითხა ვაჩე.

– რას უნდა ეხებოდეს, თუ არა თამარ მეფის მგზავრობას და ჩვენს სოფელში შეჩერებას, მისი სული და სახელი გაანათლოს უფალ-მა საიქიოს – თქვა და პირვევარი გადაისახა. მსხდომიარენი წა-მოდგრენ და ყველამ მას მიპაძა.

– თამარ მეფე საქართველოს სარკეა. იგი არა მარტო მეფე იყო, წმინდანადაა შერაცხული და საქართველოს მფარველი სული. მასზე ნაწერი საგმირო რამ თუ მოგვეპოვება, მომავალი თაობებისათვის ამ ამბის გადაცემა დახახაც მაღლი იქნება. კარგ აღამიანს საქებარიარგამოელ-ევა და თუ რამ ეპიზოდი ისტორიას გამოიჩინა მხედველობიდან, ის უნდა გამომზეურდეს – დამატა ფარნავაზმა და ულვაშებზე გადაისვა ხელი.

– კი, მაგრამ ასეთი რამ თუ არსებობდა ჩვენს სალოცავში დაცუ-ლი, ნუთუ არავის მოუვიდა აქამდე აზრად, ხალხისათვის გაეცნო, რა ისეთი საქმე ჩაუდენია თამარ მეფეს, რომ ჩვენზე გაცნობის ლირსად არ ცნეს, გინდლათ სულიერმა მამებმა – ჩაერია საუბარში მზექალა.

– ახლა მიზეზების ძებნის დრო არაა. წავიკითხოთ და შესაფერი-სი ადგილიც დავუმკვიდროთ.

– მაშინ ხვალვე მოვისმენთ საეკლესიო დავთორების საიდუმლოებას?

– კი, ალბათ დაგვდებს პატივის საბა და შეპირებას შეასრულებს. სად იქნება უმჯობესი, საყდარში შევიყაროთ თავი, ეკლესიის ეზო-ში თუ ისევ აქვე?

– რახან წმინდანს ეხება საუბარი, ისევ წმინდა ადგილას სჯობს. ეკლესიის ეზოც ივარგებს და თვით ეკლესიაც – თქვა თამთამ.

– მართალია თამთაც, მაგრამ ეკლესიაში ამისთანა რამეები რომ არ შეიძლება?

– ამ ერთხელ დავუშვათ გამონაკლისი. ეს საქმე მკრეხელური ხომ არაა, ეკლესიამ არ მიგვიღოს, მით უმეტეს სულმნათ მეფეთმეფეს ეხება. ჩვენ მადლი მოვფინოთ ამ ამბავს და უფალი არ გაგვირისხდება – დაამატა დედისიმეფმა.

– მართლაც, ყველანი მართლები ხართ. აღდგომა და ხვალეო. დაველოდოთ საბას და მის მონათხობობს.

– ყველას არ ექნება მოსმენის შესაძლებლობა, დანარჩენებს ჩვენ გადავცემთ რასაც გავიგებთ.

– შენ შეგიძლია წახვიდე და სამუშაოს შეუდგე, ხოლო შემდეგ რაც წასალებია და გადასამალავი, მე წავილებ და შესაფერის ადგილს მივუჩინ შორეულ სალოცავში – თქვა ეფრემ ბერმა და ჯირკზე ჩამოჯადა – ოლონდ ერთი თხოვნა მაქვს საბა, ნურაფერს შეალამაზებ, რაც აქამდე მოლწეულია, ისევე წმინდად და უცვლელად უნდა გადავცეთ ჩვენს შემდეგ ვინც მოევლინება ამ სოფელს.

საბა ნელი წაბიჯით დაეშვა დაღმართ ბილიკზე და მხიარული სახით წარუდგა მღვდელმთავარს.

– მამაო, ხალხის სურვილია გავაცნოთ ის დოკუმენტი, რომელ-იც ჩვენს წიგნსაცავში დევს. თქვენი ლოცვა-კურთხევით და ნებართვით მინდა სახლში წავილო და გადავწერო, ვინაიდან ხელში მისი დაჭერა შეუძლებელია.

– წაილე შვილო და ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

* * *

მთელი ლამე თავაუღებლად იღვანა საბამ, წერა და ათეთრა, სანამ არ დაასრულა, თვალი არ მოუხერქავს.

– რა ისეთი საქმე გაგიჩნდა შვილო, მთელი ლამე რომ არ გიძინია. საიდუმლოა რამე? – თავს წამოადგა ძილგატეხილი დედა საბას.

– საიდუმლო არაა დედი, ოლონდ მზის სინათლე არ უნახავს იმას რასაც ახლა ვწერდი. თამარ მეფის ძველისძველ ამბებს მივაკვლიეთ ეკლესიის წიგნსაცავში და გულმა არ გამიძლო, ვინმესთვის არ მეც-

ნობებინა. სოფლელებმა კი უცებ აიტაცეს ეს ამპავი და მისი გაცნობა მთხოვეს – მთელი ლამე ამის გადაწერას მოვანდომე, ახლა კი მშვიდად ვიქნები, რახან ამ ტვირთს მოვიხსნი.

– მართლა შვილო? ნუთუ თამარ მეფეს ფეხი შემოუდგამს ჩვენთან?
– ფეხი შემოდგა და მერე როგორ. ბევრი სიკეთეც დაუტოვა სოფლელებსა და სოფელს.

– მეტყვი შვილო?
– ხვალე დედი, შევიყრებით და ვამცნობ ყველას, თუ როგორი მფარველი და პატრონი გვყავდა ერთ დროს.

– ერთ დროს კი არა შვილო, ეხლაც სალოცავად რომ დავდგებით, თამარ მეფის მოუხსენიებლად არ გასრულდება ლოცვა. ყველა წმინდანის გვერდით მოიხსენიება მეფეთმეფე და ქართველთა მზეთამზე. საპატიონ წოდება – მეფეთმეფე მხოლოდ თამარს ერგო. იგი ლვთაების ტოლად აღიქვა ქართველმა ხალხმა და თუ რამ ნაშენებია საქართველოში და დღევანდლამდე მტკიცედ მოალწია, მის სახელს უკავშირდება. ბევრიც მის სახელს მიაწერს, მაგრამ წმინდანობა ნამდვილად არგუნა ერმა. საქართველოს ისეთი დიდება მოუპოვა, არც მანამდე და არც მის შემდეგ ასეთი აღზევება ქართველთა არ ყოფილა. ამბობენ, საქართველო მის დროს თორმეტი მილიონი იყოო. ბევრ ისეთ საქმეს მიაწერენ მის მეფობას, რომელიც სხვა მეფეთა ნამოქმედარად ვერავინ აღიქვა და დაამტკიცა, რომ რაც გაკეთდა არა თამარისეული, არამედ სხვა მეფეთა წილიცაო. რომელი ერთი ჩამოგითვალო შვილო.

– პოდა, დედაჩემო ასეთი უწმინდესი და უნეტარესი, ძლიერი და უზენაესი რომ გვყავდა, სწორედ მის გამო გავათენე ეს ღამეც.

– ღმერთი დაგიფასებს და დაგლოცავს შვილო. ვინც თამარის სახელს თუნდაც გულში გაივლებს, მას ხიფათი არ ელოდება – თქვა მარიამშა და პირვევარი გადაისახა. თამარის მადლითა და სახელით შვილსაც გადასახა პირვევარი.

– ახლა კი დავიძინებ დედა, ადრე უნდა ავდგე. ხვალ სხვა რამ გვაქვს კიდევ მოსაგვარებელი და სალაპარაკო.

– საიდუმლოა?
– არა დედა. საგანძურსა და სხვა ფასეულობებს სამალავი უნდა მიიღუჩინოთ, რომ უკეთური ხელი არ შეეხოს.

– ეგ, მადლიცაა, საშვილიშვილო და სახელმწიფო საქმეცაა.

– უფლის დალოცვა დალოცვაა, მაგრამ ჩვენ საშვილიშვილო საქმეები უნდა ვაკეთოთ – რომ იტყვიან – „ისეთი ხიდი გასდე, რომ შვილიშვილებმაც გაიარონ”. არ ელალატება ამ გამოთქმას. ისტორიამ იქნება შემქმნელის სახელი არ შემოინახოს, მაგრამ შექმნილი და ქმნილება ხომ სახეზე იქნება, ჰოდა მათი მარადიულობით და სენებით, მადლი და მირონი არასოდეს დაიკარგება.

- ასე კარგი და ბრძენი რომ მყავსარ, ამიტომაც გაფასებენ შვილო.
- ჩემი სიბრძნე ვინა თქვა დედი. ისე კი ნამდვილად მაფასებენ. ჩემი ასაკის მიხედვით კი არა, რაღაცნაირად სულ სხვა საქციელის გამო დიდ პატივს მცემენ, არ ვიცი რით დავიმსახურე.
- ჩვენი სოფელი იმითაა გამორჩეული, დიდ-პატარამ თავისი ადგილი და როლი ვიცით. ღვთისნიერი ხალხი ვართ შვილო, არასოდეს წონა და ფასი არ დაგვეკარგება ამათ თვალში.

– მეც ამიტომ ვცდილობ, როგორმე, ვასიამოვნო სოფლელები და რაიმე სასარგებლოც გავაკეთო.

- პირზე ფეხი არავის დაადგა შვილო, ეცადე სულ სიმართლე იღალა-დო და მადლი აკეთო, სიკეთე და სიმართლე მადლ-მირონს გაგიათეცებს.
- ასეც ვიზამ დედა. დიდია ხალხის სიყვარულის ძალა.
- ახლა წაიძინე შვილო, დროა უკვე.

დილით საბას რომ გამოეღვიძა, მზე უკვე პორიზონტზე ჩანდა. ჩამოჯდა და სარკმელში გაიხედა, საოცარი შარავანდელი შეამჩნია მზის ირგვლივ. ელდა ეცა. ამგვარი მზე არასოდეს ენახა.

– ღმერთო ძლიერო, კეთილად აგვიხდინე ყველაფერი – თქვა და პირვევარი გადაისახა, ფლოსტებში ფეხი შეჟყო და აივანზე გავიდა.

დედა ეზოში თუთის ძირს ჯორკზე დამჯდარიყო და სართავს რთავდა. საბამ ხან მზეს უმზირა, ხან დედას.

„დაგვტირის ალბათ წინასწარ. ეჭ, დედის გულიც უმაღ გრძნობს უბე-დურების მოახლოებას, მაგრამ ახლა რომ ვუცერი, მგონია თითებს მექანიკურად ამოძრავებს და თითქოს დარდი არ აწუხებს, მაგრამ ვხვდები წუხელ თვალი არ მოუხუჭავს მგონი” – გაიფიქრა და ეზოში ჩამოქვეითდა.

– ვხედავ, არ გიძინია დედი, შენ რისთვისლა გაათენე ეზოში, რა ისეთი საშური საქმე გქონდა, რომ თვალს რული არ მიაკარე?!

– ალარ დამეძინა შვილო მართლაც. საშური საქმე კი? – ალარ დააბოლავა სათქმელი მარიამმა და მზისკენ აიხედა.

– ჰო მართლა, დედა, ამისთანა მენამული მზე რას უნდა ნიშნავდეს ნეტა?

– ავად მენიშნა შვილო მეც ეს დილა. მენამულისფერი სისხლ-თანაა მიახლოებული. სისხლისლვრაა მოსალოდნელი ჩვენს სოფელზეც ალბათ, აბა, სხვაგვარად როგორ ავხსნა. დანდალოს ხალხი რომ შეაწყდა მოძალადეს ერთიანად, მაშინაც ამისთანა მენა-მულისფერი იყო მზე რამდენიმე დღეს. ალბათ მზესაც შეუძლია გლო-ვა შვილო. ალბათ, წინასწარ გვიგლოვს.

– გინდა თქვა, რომ მოახლოებულია ჩვენი ჯოჯოხეთური წამების დრო?

– ღმერთმა გვაცილოს შვილო, მაგრამ... ეს უფლის საქმეა, უნდა გადაგვარჩენს და...

– აღარ თქვა დედა, ჩვენ ყველამ უნდა ვიცოცხლოთ.

– ეჭ, კაი დაგემართოს შვილო, კარგი სურვილია, მაგრამ განა ჩვენს სურვილზეა დამოკიდებული ყველაფერი? იცი რამდენი ვი-ლაც ჩავარდნია ფეხებში სულთანს და უხვეწნია მისთვის, თავი დაენებებინა „უმიზნო სისხლისლვრაზე, მაგრამ,,შეაყარე კედელს ცერ-ცვი”, თავისნათქვამა, ჯიუტი და სისხლისმწყურვალია იგი, მალე მენახოს მიწაგახეთქილი და თავგახეთქილი. არ დაგვინდობს არც ჩვენ და არც დანარჩენ საქართველოს.

– საშველი არ იქნება დედა? – გული რას გეუბნება?

– გულს რა დაევარება შვილო. მე რომ მამაშენს გავყევი ცო-ლად გული მეუბნებოდა, ლრმა მოხუცებულობამდე ერთმანეთს შევ-აძერდებოდით, მაგრამ ხომ ხედავ, მიმტყუნა წინათგრძნობამ და ობლობაში გამოგზარდე.

– მე სიმწარე არ მიგრძნია დედა...

– ჰო შვილო, კარგი დედა შვილს უმამობას არ დაამჩნევს. მეც ასე გაგზარდე და გაჭირვება გადავიტანე.

ეზოში ელიზბარმა გადმოიხედა და დღემშვიდობისა უსურვა დედა-შვილს.

– მობრძანდით ბიძია ელიზბარ – მოიპატიუა საპამ მეზობელი და კუტიკარის გასაღებად წავიდა.

– კაი დაგემართოს ბიძია, გელოდებიან უკვე ეკლესიასთან.

– ამ წუთშივე წამოვალ. დამათენდა წუხელ და ადრეც ამიტომ ველარ ავდექი, თორემ შეხსენებაც არ მინდოდა. შენ რატომ გაისარჯე, სხვები არ იყვნენ ვითომ?

– არ დაგავინყდეს, რომ მე სოფლის მამასახლისი ვარ და მეორეც, გრცხვენია ჩემთან ერთად სიარული? და მესამეც, მე უკვე ვიცი, შენ რა ინფორმაცია უნდა მიაწოდო თანასოფლელებს. რაღა მინდოდა იქ და პირდაპირ შენკენ ავილე გეზი.

– როგორ, თქვენ უკვე იცით ამის შესახებ? საიდან, როგორ.

– ეჰ, შვილოსა, ასეთი ლამაზი ამბავი ახლა დაიმალებოდა? ჩემს ტუხას ისე გახარებოდა, იმ საათშივე მახარეს. იცი საბა, ჩემი შვილიშვილები თითქმის ზეპირობენ შოთას უკვდავ ქმნილებას და ისიც, იციან რომ „ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე საქართველო და მზეთამზე თამარია, ამიტომ რახან თამარზე გაუღერდა პატარა ამბავი, გაიხარეს და ბალლებივით ცეკვავდნენ.

– უფალმა ჯანმრთელობა და სიხარული ნუ მოგიშალოთ ბიძია ელიზბარ.

– ჰო და, ერთი კიდევ. მე ეგენი წავიკითხე უკვე. აბა რისი მამასახლისი ვარ, ხომ უნდა ვიცოდე ყველაფერი? იქ სხვა რამეებიც ინახება, მაგრამ ყველას საცოდინარი არაა – თქვა და სათქმელი ალარ დაამთავრა – წავედი მე და შენი იმედი მაქვს აბა, გონივრულობა გმართებს ყველაფერში.

– ვეცდები ბიძია ელიზბარ.

საპამ სახელდახელოდ წაიხემსა და ჩქარი ნაბიჯით ეკლესიისაკენ გაემართა. თავშეყრილები უკვე ელოდნენ.

– დღეს ზარი ხომ შენ უნდა გაგეხმიანებინა, რატომ დაგაგვიანდა? – გადმოსძახა სამრეკლოდან შიომ და ხალხს გადახედა.

– მთელი ლამე ვწერდი შიო და ზარიც მე უნდა შემომეკრა? რა, შენს ადგილას, მე მნიშნავ? სანამ ვართ, შენ შეუცვლელი იქნები, ალბათ ლრმა მოხუცებულობამდე

– ვხუმრობ საბა, შენს ფუმფულა ხელებს ზარის თოკს დავაჭრევინებო? შენ შენს საქმეში ვარგიხარ და ღმერთმა გაგიმარჯოს.

პაპა მახარეს, დოროთისა და ლაზარესათვის საპატიო ადგილი მიეჩინათ. დანარჩენები გარს შემოხვეოდნენ სატრაპეზოს გვერდით

მოთავსებულ სამლოცველო ამბიონს და საბას მოლოდინში ხმადაბ-
ლა ბაასობდნენ.

დეკანოზი ბასილი და დიაკვანი ანტონი ამბიონს მიუახლოვდ-
ნენ, ხალხს პირჯვარი გადასახეს და დილის ლოცვა, თუმცა დაგვი-
ანებით, მაგრამ მაინც ალავლინეს.

– ასე გვიან ლოცვის აღვლენა რას მივაწეროთ ხალხო? – იკითხა
გვიან შემოსულმა აღმასხანმა და თვალი მოავლო დამსწრეთ.

– უნდა გაუწყოთ მეზობლები, რომ დღეს ავისძომასწავებელი
მზე ამოგორდა. გული მეხრუკება იმის შემხედვარე. დიახ, ავის მაუწ-
ყებელია და ზედმეტი ლოცვა არაფერს არ წაახდენს – თქვა ანტონმა
და კარისაკენ გაიხედა.

– მზეს რა ჭკუა ეკითხება ხალხნო – წამოიძახა ფირალამ და წინ
წამოინია – თუ რამ ხიფათი გველოდება, ეს უფლის ნებაა და წარბ-
შეუხრელად უნდა შევცვდეთ.

– მართალია ფირან, მართალი – წამოიძახეს აქეთ-იქიდან.

– საბა შენი საქმე გააგრძელე, ვიცირაც უნდა თქვა, ეგებ რამდენიმე
საათით მოსალოდნელი საშიშროება გადაგვავინყო, ხალხი შენს მო-
სასმენადაა თავშეყრილი – თქვა გოგიამ და სილრმისკენ გადაინაცვლა.

საბამ ამბიონთან თევზირს მიაშურა და თავისი ადგილი შეიშნო,
ნაწერები გაშალა და მსმენელებს მზერა მოავლო. კარებთან უსუცე-
სი ქალები შეყრილიყვნენ. საბამ მათ გადახედა და ახალგაზრდებს
მიუთითა, ადგილი დაეთმოთ მათთვის. საქადაგებელი სცენა ბერებს
დაეკავებინათ. იქვე პატარა ბავშვებიც მოკალათებულიყვნენ, სრუ-
ლი სისწყნარით იჯდნენ და უფროსებს თვალებში შესციცინებდნენ.

წინ გამოინია ეკატერინე.

– დაინყე საბა, სული მიგვდის უკვე საინტერესო ინფორმაციაზე.

საბამ ჩაახველა, ხმა დაინშინდა, პირჯვარი გადაისახა და თამარ
მეფის ფრესკას მიაპყრო თვალი, მეორედ გადაინერა პირჯვარი და...

სამრეკლოს ქვემოთ მოთავსებული ფანჯრიდან მტრუდი შემოფრიხ-
იალდა და ქანდარაზე ჩამოვარდა. თავშეყრილებმა მტრედს მიაპყრეს მზერა.

– ხალხო, თამარ მეფის სული შემოფრინდა – თქვა საბამ – ზოგმა
იცით, ზოგმაც არა, ამიტომაც დრევანდელი საუბარი მზეთამზე და
მეფეთმეფე თამარს შეეხება და მე მჯერა, რომ უფალი თვალს
გვადევნებს. მტრედის სახით თამარ მეფის სული მოგვივლინა.

– ეგებ მისმა სულმა დაიხსნას საქრისტიანო საქართველო დაძრული ავბედითი ტალღისაგან – თქვა პაპა მახარემ.

– ეჰ, ძია მახარე, ერთადერთი ჩვენი სოფელი გადაურჩა ოსმალოს სისხლისმსმელებს, რაც სულთნის ავადმყოფობამ გამოიწვია და დროებით გაგვიხანგრძლივა უდარდებობა, მაგრამ შეგვრჩება განა? ჩვენი ბრძოლა, ლომთან კოლოს შერკინებას დაემსგავსება. თამარ მეფის სული კი აქამდე უნდა დაგვხმარებოდა. ვერც მისი საგვარეულოს ადგილმამ-ულები დაიცვა და ვერც მეზობლებისა – დაამატა ზაქარიამ და თუვინმე დამემონმებაო, ხალხს თვალი მოავლო. თავშეყრილებს თავი ჩაექინდ-რათ, სამლოცველოში სამარისებურმა მდუმარებამ დაისადგურა.

– გეყოთ ხალხნო არაფრისმაქნისი ცრურწმენების დამოწმება, საბას მოვუსმინოთ – ისევ შეახსენა მსმენელთ ეკატერინემ.

... თავი ზეასწია საბამ.

ნამში გაიღლვა მის გონიერაში ქართველი ხალხის ათასწლეულობით სიგრძე-სიგანის სიღლეხქირემ. დიახ, ათასწლეულებს გადასწვდა გონიერით.

ქრისტეს დაბადება, ქრისტიანობის შემოსვლა სამხრეთ საქართველოდან, ქართველთა საგმირო საქმეები: ვახტანგ გორგასალი, დავით აღმაშენებელი, თამარ მეფე, ქრისტიანობისათვის თავშეწირული, ეროვნული მეობის შენარჩუნებისათვის მუდმივად მეომარი საქართველო... და ბოლოს, სარწმუნოებისათვის ზვარაკად მიტანილი აჭარა და იმიერსამხრეთ საქართველო.

მაშ ქორონიკო...

ქრისტეს აქეთ 1199 წელი. პაპანაქება ზაფხული. პარასკევი, თვრამეტი თიბათვე, ულრუბლო, თბილი ღამე.

იქ, სადაც მეფე თამარმა ჯვარი დაიწერა, ლამაზი გარემო, ხის პატარა ეკლესია და ხელოვნურად გაშენებული ბალნარია. სწორედ ამ ეკლესიაში ილოცა მწუხრისა, მგზავრობის დაწყებისა და დამთავრების მშვიდობიანობა შეავედრა უფალს.

დიახ, მშვიდმნათობიერი მუხლმოდრეკით ევედრა უფალს, მგზავრობის წინა ღამით.

ოცდაცამეტი წლის სრულდებოდა ქართველთა მეფე-დედოფალი. დიახ, ოცდაცამეტი წლის. საბედისნერო თარიღია ოცდაცამეტი წელი. ამ ასაკში ალესრულა ქრისტიანობის ფუძემდებელი. იქნებ მარადიული რიცხვია ოცდაცამეტი?...

თავი IV

დიახ, ქორონიკო – 1199 წელი.

... გამთენისას მიატოვა სატახტო ქალაქი მეფეთმეფე თამარმა, ამალისა და მცირე სპის თანხლებით სამხრეთ საქართველოსაკენ დაიძრა. მთავარი მიზანი გონიოს ციხე-ქალაქის და მისი შემოგარენის დათვალიერება იყო.

ტახტრევანი მოართვეს მეფეს, მაგრამ შვიდმნათობიერმა მის-თვის საგანგებოდ დარახტულ, წმინდა ქართული სისხლის ჯიშიან ფაშატზე ისურვა ჯდომა. ცხენიც უცბად მოჰვარეს. ხელის შეშველება არ ინდომა, თვალის დახამხამებაში მოვლო ზურგზე და გეზი სამხრეთისაკენ დაიჭირა.

პირფარეშებმა და ერთგულმა, რჩეულმა ვაჟკაცებმა უმაღლერ-დი დაუმშვენეს. მხიარული გადაძახილ-გადმოძახილით და მხიარუ-ლი სიძლერით დაიძრა სეფე ლაშქარი.

ორი დღე იარეს ვარძიამდე! თამარმა მშენებარე კომპლექსის მონახულება მოინდომა. ფრიად გაიხარა, როცა გამოქვაბულები დაათვალიერა, მშენებლები შეაქმ, მხლებლები დაასვენა, მცხოვრე-ბლები გაიკითხა და ყოველმხრივ კმაყოფილმა გოდერძის უღელ-ტეხილისკენ დაძრა ამალა.

ვარძიაც გამთენისას მიატოვეს და დღენახევრის შემდეგ გოდერძის უღელტეხილიც გადალახეს.

ჯავახეთში შედარებით გრილოდა. უღელტეხილზე კი საგრძნო-ბი სიცივე სუფევდა. მთაგრეხილიდან ლამაზი, განიერი შარა მიუყვე-ბოდა დაღმა, მგზავრები კი ნაძვნარებით დაუყვნენ ციცაბოებს, თუმ-ცა მეფე თამარს შორიახლო მიყვებოდნენ.

საამო სიგრილე სუფევდა ალპურ ზონაში, ყვავილების სურნე-ლი დამათრობლად მოქმედებდა მგზავრებზე.

სულმნათი შოთაც თან ახლდა მეფეს, მეჯინიბეთუხესუცესიც, ჩუხ-ჩარხიც და მანდატუროუხუცესიც. მსახურთუხუცესას არც მეფის საყვარელი, თვალებკუნაპეტა შველი დავინწყებოდა და მხლებელებისათვის გამოეყოლებინა.

სიცხესრომ არ შეეწესებინა მეფეთმეფე, უმეტესად დილის გრილ საათებში მოძრაობდნენ. დანარჩენ დროს ჩეროში ჩერდებოდნენ და

ისვენებდნენ. ნაძვნარში ერთ ადგილას ცივ წყაროსთან გაჩერდნენ. ვიღაც ხელმადლიანს ორკაპა ლარი გამოეთალა და ანკარა წყარო საამოდ მოჩერიალებდა. დიახ, თვალისატყუარად და საამოდ ჩხრი-ალებდა ლარიდან წყარო. მეფეს ხის კათხით მიაწოდეს, მაგრამ იუარა თამარმა, ისკუპა ცხენიდან და პირდაპირ ლარზე დაეწაფა წყაროს.

– ასე ხომ შეიძლება ფეხი იღრძოთ მეფევ-ბატონო, ჩვენ რისი მაქნისები ვართ – მიეახლა საჭურველთმტვირთველის დამხმარე და თავიც მდაბლად დაუხარა – მეფეს მოფრთხილება ჭირდება, განა მარტო დაცვა?

– ბევრი ლოლიავი არ არის საჭირო, შეჩევული ვარ ყოველივეს. ჩამოხტომა რა ბედენაა, ცხენზე ახტომაც არაა ჩემთვის საძნელო – თქვა და ფაშატს ლანდივით მოევლო ზურგზე.

– ღმერთმა დაგიფაროს და გალალოს – დალოცა გულში შოთამ და წვერზე ხელი ჩამოისცა.

„განებივრებული არ ჰყავდა მამამისს, მაგრამ არც ხელი და ცდა დაუკლია, ცხენოსნობაც კარგი გამოსდის, მშვილდოსნობაც და რაც მთავარია, მეფობის ერთად ყოველდღიურ ხელობად ლექსების თხზვაც გაუხდია. ყველაფერს კი ის აქარბებს, ლოცვად რომ დადგება, ნამდვილი ღვთისმშობლის დარია. უფალო გაუხანგრძლივე სიცოცხლე და დიდხანს აპატრონე ჩვენს ლამაზ საქართველოზე. ფიქრი და სუნთქვა საქართველოს და ქართველი ერის სიყვარულით გაულამაზე. ახარე უკუნითი უკუნისამდე” – კვლავ დაილოცა სულმნათმა და საკუთარ ფიქრებში ჩაღრმავდა.

ცხენები ნელა, ტატით ვიდოდნენ. შოთას წამით წასთვლიმა კიდეც, მაგრამ ცხენის ფრუტუნმა რული დაუფრთხო. ცხენი შეაყენა და ირგვლივ მიმოიხედა.

მეფე თამარმა ერთ ადგილას, მდინარის პირას პატარა კონცე-თან შეაჩერა ცხენი და წყალგალმა გაიხედა. მოხიბლა სანახებმა. მი-დამოს თვალი მოავლო, ხელი მოიჩრდილა და გალმით, კლდის შვერილზე გადმომდგარი შველი დალანდა.

– დღისით, მზისით ამისთანა ადგილას და ამისთანა დროს შველი საოცრებაა პირდაპირ – წარმოსთქვა ფიქრში წასულმა და მხლე-ბლებს გადახედა.





მხედარს მშვილდი მოემარჯვებინა და შველს ისარს უმიზნებდა.
მეფემ მშვილდზე ხელი აუკრა.

– ნანადირევი არ მიპრძანებია, თანაც შველი. ხელი არ აგი-
კანკალდებათ მერე მის მოსაკლავად? – უსაყვედურა მხლებელს,
რომელსაც მღელვარებისაგან მხარი აუტოკდა – ბუნების ამისთანა
მშვენებას კაცი სიცოცხლეს მოუსწრაფებს განა? ბუნებისაგან, განგე-
ბისაგან და ადამიანთაგან დაწყევლილიყოს ასეთი ადამიანი.

ვამეხი თავდახრილი ისმენდა მეფის შეგონებას.

– თქვენთვის გვინდოდა მოგვერთმისა მეფევ, სულიც არ დაგვენანება.

– ვიცი, რომ ეგეთი კარგები ხართ, მაგრამ შველი მაინც ცოდოა.
ჩემი ნებირაც მაგნაირის შვილია. ხომ ხედავთ შვილივით ვუვლი, ეგ
რომ ვინმებ შემთხვევით მომიკლას, არ ვიცი როგორ გადავიტან. ესეც
არ იყოს, უფლისმიერ აკრძალულია შველზე ზიანის მიყენება, არათუ
მოკვლა. არ იქნება ასეთი საქმე, ოდესამე მომწადირებელს უფალი სა-
მაგიეროს გადაუხდის, წყეულიმც იყოს შვლის მომწადირებელი.

მდუმარედ მოისმინეს თამარ მეფის სიტყვა. არავის პასუხი არ
გაუცია, ან კი რა ეთქმოდათ – მეფის სიტყვა ხომ კანონია ყველა-
სათვის. თამარს კი, წარამარა არ ჩვეოდა სიტყვების დარიგება. მის
ნაუბარს მადლი და მირონი არასოდეს კლებია.

მთის ჰაერი ერთხელ კიდევ ლრმად ჩისუნთქა მეფემ და დალ-
მართს ჩაუყვა. ხმაგაკმენდილი მისდევდა ამალა, მხოლოდ შვლის
წამოკიკინება თუ არღვევდა ხანდახან მყუდროებას. ფეხდაფეხ მის-
დევდა ადამიანებს გაშინაურებული ტყიური, არც ადამიანებს
უფრთხოდა და არც ცხენებს – ლალობდა და დაკუნტრუშობდა. თამ-
არი კი სიყვარულით შეავლებდა ხოლმე თვალს და ისე მგზავრობდა.

თამარი ასევე ესიყვარულებოდა ხმაურიანი მდინარის ვიწრო,
ხან განიერ, მწვანით შემოსილ, ხან კლდოვან-ფლატიან ხეობას. დიახ,
შერეულ ტყეს, კლდე-ქარაფებს, შაშვ-ჩხიკვთა სტვენა-ჭახჭახს და
არწივთა ყაშყაშს.

სანახაობით გაერთო, გახალისდა და პირფარეშებს გაესაუბრა.

– გონიოსაკენ გეზი რომ ავიღე, ამ ხეობის დათვალიერებაც
დავისახე მიზნად და ამიტომ ვთქვი უარი შემოთავაზებულ გზაზე –
გვევლო დასავლეთით და ზღვის ნაპირ-ნაპირ. არც შევმცდარვარ
და იქნებ სასარგებლოც დარჩეს ამ ხეობაში ჩვენი მგზავრობა.

– თქვენ სადაც გაივლით მეფევ ბატონი, რად უნდა იყოს ვითომზუსარგებლო, სხვა თუ არაფერი უფალი ხომ სჯის თქვენს გულის ნადებს? – ალბათ ასეა.

მეფეს კვლავ ფიქრები მოეძალა. ცხენი ნებაზე მიუშვა და ისევ ხეობას დააკვირდა.

„რა ლამაზი ადგილებია, ყველაფრით შემკული. ჩემი ხალხი აქეთ რომ ჩამოსახლდებოდეს, უფრო სარგებლობას მოუტანენ საქართველოს, მაგრამ ისინი რატომლაც ჩემს გარემოცვას არ ანებებენ თავს, ჩემთან ახლოს უნდათ ყოფნა. ოდესმე, თუ მეფობას ჩავაპარებ სხვას, იქნებ მეც აქეთ გადმოვსახლდე, ხომ ჩემი პაპების სამფლობელოებია აქაურობაც. ეს ხეობა ოდესლაც ბაგრატიონებს ეპყრათ და რა სათაკილოა ბოლო წლებიც ამ მშვენიერებაში მოვითვალო? ვინ დამიშლის, ან ვინ შემენინააღმდეგება. არავინ. თუმცა”!...

ფიქრი გაუწყდა მეფეს. ხევგაღმა ქვები დაგორდა. მხლებლები უცებ გარს შემოერტყყნენ მეფეს.

– რა მოხდა, რისი გეშინიათ? არავინ მომკლას? ეს ჯერ არ მოხდება, დიდი ხნის სიცოცხლე არ მიწერია, მაგრამ უფლის გარეშე ვერავინ მომისწრაფებს სიცოცხლეს, ქალს არავინ მესვრის. ისე, რომ იცოდეთ, მეც ვფხიზლობ. იმ ლოდზე ჯიხვი გადახტა და ქვების ცვენით გამონვეულმა ხმაურმა დააფრთხო, თუ ჩვენმა გამოჩენამ, არ ვიცი, მაგრამ ტყეში რომ შერგო თავი დავინახე.

– მტერს რა გამოლევს დედოფალო, ამიტომაც გიფრთხილდებით. შენ ტახტი კი არ გაპარია მარტო, მთლიანი საქართველოს გულისფეთქვა თქვენს სიცოცხლეზეა დამოკიდებული. ამიტომაც ასე გიფრთხილდებით მეფეო, თქვენ კი ამ წუთებში მეფობაც მოსაწყენად გეჩვენებათ ლამაზ ბუნებაზე მაცქერალს.

– მართალი ხარ ზაქარია ჩემო. წამიერად ბალლური სიანცე მომივლის და ფეხშიშველა სირბილიც მომენატრება ოღონდ წამიერად და ფიქრში, თორემ, ის ტვირთი, რაც მე მანევს, რა ქალის ასატანია. მამაკაცი-მეფეებიც მოინელა ქვეყანაზე და ხალხზე ფიქრმა. უფალია შემწე თორემ, ამ ტვირთს ნამდვილად მოვედრიკებოდი წელში. წელან მგონი ვიღაცამ მტრები ახსენა. მტერი ნამდვილად გვყავს. ალბათ სამხრეთში, თორემ ჩრდილოეთით საშიშროებას არ უნდა ველოდოთ.

– რათა ვითომ მეფევ – ბატონო, ერთმორნმუნები რომ ვართ იმიტომ? სარწმუნოებას ვინ დაგიდევს, როდესაც საარსებო წყაროს საძებრად თვალებს აცეცებენ დიდი ერები. ყოველთვის ასე იყო და ასე იქნება.

– ცდებით. ერთმორნმუნებთან ლაპარაკი და მიზნის მიღწევა არაა ძნელი. უფრო ძნელია სამხრეთული, მუსლიმანთა სარწმუნოება, ისინი არაფერს მოერიდებიან ტერიტორიების ხელში ჩასაგდებად, რუმის სულთანი, ოსმალთა სულთანი, სპარსთა და არაბთა შაჰები და ამირები კბილებს იღესავნენ საქართველოს ხელში ჩასაგდებად. ვაგლახ, ვის საჯიჯგნად მიუუტოვებივართ უფალს ორ ზღვას შეა. ჩვენი სიმტკიცე რომ არა, განვრთნილი ჯარი რომ არა, აყალო მიწასავით აგვიზელდნენ, მაგრამ მადლობა უფალს, რომ ჯერ კიდევ შეგვიძლია მტერზე გამკლავება. ქართული ხმალი ბევრჯერ დაყრის ნაპერნკლებს, მაგრამ მეტვება ის რომ ჩემს შემდეგ და საერთოდ, ლაჩარი არ მოხდეს ტახტზე თორემ მტრებსაც მეტი არ უნდათ. ვაგლახ, ცოდო არაა ასეთ ბუნებას სხვა დაეპატრონოს? ადრე თუ გვიან, ეს ალბათ მოხდება, მაგრამ ერთი რამ ლრმად მწამს – ქართველი ერი არ გადაშენდება, თუ რა თქმა უნდა ქართული დროშის ქვეშ ამაყად, ქედუხრელად და უშიშრად იდგება. ჩვენი დამმარცხებელი შინაომი, გამცემლობა და ქიშპია, რაც ყოველთვის ქართველი ადამიანის გენში იდო.

– ეხლა მეფევ-ბატონო ხომ დაშვიდებით ვართ. ალარც შინაომი და ქიშპობა, არავითარი შეთქმულება...

– თქვენ გგონიათ ასე თორემ, სასახლის კარზე მაინც აქვს ადგილი პატარ-პატარა უთანხმოებებს, მაგრამ მადლობა უფალს ჯერ-ჯერობით ვახერხებთ სიტუაციის დაბალანსებას. ისე კი მუდამ ახლავს სახელმწიფო ორგანიზაციებს შეუგუებელი მასა და მუდამ იარსებებს. საშიშროებას კი დიდგვაროვნებიდან უნდა ველოდოთ მეფის ტახტს ყველა ელტვის, დიდიც, პატარაც, შინაურიც და გარეულიც, რჯულიანიც და ურჯულოც.

– ნუთუ ღალატის სუნი ტრიალებს დედოფალო?

– ვერ უარვყოფ. ხომ ვთქვი, ქართველის გულს მხოლოდ უფალი ამოიცნობს. ადამიანიშვილმა არ უწყის ზვავი საიდან აგორდება.

– ძლიერნი ვართ მეფევ-ბატონო, ყველა პირწმინდად გვემორ-ჩილება, ნუთუ ვერაგებიც გვირევიან?

– ოსმალთა სულთანმა მუქარა გამომიგზავნა ერთხელ და არ ისვენებს მგონია. ჩვენი სიძლიერე ძილს უფრთხობს საქართველოს მეზობლებს და ამიტომ ყველა ხერხს მიმართავენ, რათა როგორმე მოგვერიონ.

– ჯარი დედოფალო ხომ ერთგულია?

– ეჰ, ზაქარია ბატონო, ყველაფრის თქმის უფლება არც მეფეს აქვს, თუმცა მაინც უნდა გითხრათ ერთი რამ, საქართველოს შინაურ მტრებს არ წავაპილნვინებ, რამეთუ შინაურის მოქნეული სატევარი უმძიმესია გარეშე მტრისაზე, ამიტომაც არავის ვაპატიებ ჩემი მეფობის პერიოდში საქართველოზე, ქართველ ერზე მცირედსაც კი უკეთურად ნაფიქრალს. მე ერმა და ბერმა ნდობა გამომიცხადა და უფლება არ მაქვს მათ ნდობას დიაცურად მოვექცე, მიუხედავად იმისა ქალი – მეფე ვარ, კაცთაგანს არ დავეჯაპნები...

– ერთგულები უფრო მეტი ვართ მეფე.

– ეს უფალმა უწყის. მე რაც შემიძლია იმაზე მეტს ვაკეთებ საქართველოს კეთილდღეობისათვის. სანამ ცოცხალი ვარ და მეფე ვიქები, საქართველოში ვერ გაიჭაჭანებს უცხო ქვეყნის ამკლები. არც არავის ვაპატიებ საქართველოს – სამშობლოს ლალატს – ჩემთვის სულ ერთია მდაბიოც და დიდებულიც. ვისაც სამშობლოს სიყვარულით არ უძგერს გული, ჩემი აზრით მოლალატე და უკეთურია, ხოლო მათი დანდობა მე არასოდეს მიპრძანებია. უკეთურ ნაბიჯს და ულირს საქმეს ერთნაირი ბოლო აქვს, ამიტომ ყველა საქმეში სუფთა უნდა ვიყოთ, სიკედილის შემდეგ რომ არავინ მოგვიხსენიოს ავად.

– მართალს ბრძანებ მეფე, როგორც ყოველთვის, ჩვენ კი მზად ვართ, ყველა სიკეთისათვის თავი დავდოთ.

– გმადლობ ზაქარია ერთგულებისათვის, მაგრამ ეს ერთგულება საქართველოს ეკუთვნის, ისევე როგორც ყველა ჩვენთაგანი და არავინ იფიქროს ჩემი ერთგულებით სამშობლოს საქმეს აკეთებს მარტო. მთავარი და უპირველესია სამშობლო და არა პიროვნება, გინდაც მეფე.

– თქვენ მაშინ სწორად მოიქეცით, მოლალატე დიდგვაროვნებს რომ დაერიეთ და მუსრი გაავლეთ. მართლაც უპირველესი სამშობლოა. იმათ სამშობლო კი არ აინტერესებთ, პირადი კეთილდღეობა და ფუფუნება.

– გადაწყვეტილება მარტო არ მიმიღია. ბრძენი ხალხის რჩევას მივყევი და მერე მივხვდი რომ მართალი ვიყავით.

თამარი დადუმდა და დიდხანს ხმა არ ამოუღია. გონებით განვ-ლილ გზას გადასწვდა, რომელიც ძალიან მძიმე ნაბიჯებით გალია და აქამდე მოალწია, რომ არა ბრძენი მრჩევლები, ვინ იცის რა დღეში აღმოჩნდებოდა პაპის და მამის მიერ გამაგრებული საქართველო. ჰო, ძალიან ძნელი იყო განვლილი გზა, რომელიც მართლაცდა ვა-ჟკაცურად გამოიარა, მაგრამ ვაითუ ამის მერე აღმოჩნდეს ვინმე სულმდაბალი და... ალარც ნაფიქრი დაასრულა და ცხენი შეაჩერა.

– მეფეო ცუდი ფერი გაძევს, რამე ხომ არ გაწუხებთ – შეჰკა-დრეს პირფარეშებმა და ირგვლივ შემოერტყონენ.

– არაფერია, დავიღალე მხოლოდ.

ზაქარიასთან საუბარზე და ნაფიქრალზე კრინტი არ დაუძრავს.

– შევისვენოთ მეფევ, ამდენი სიარული განყენთ. სულაც ტახ-ტრევნში გადაბრძანდით.

– არ მინდა ტახტრევანში. დესპოტი კი არა ვარ, ხელით ვატარე-ბინო თავი. არც ვარ ხელით სატარებელი, საპყარი კი არა ვარ.

– მეფევ-ბატონო, თქვენ მართლაც სატარებელი ხართ ხელით, ისე უყვარხართ მთელს საქართველოს.

– მე სხვებსაც ვუყვარვარ თითქოს, მაგრამ ჩვენ ხალხს რომ ვუყ-ვარვარ ეს უფრო მირჩევნია.

– შევისვენოთ მეფევ-ბატონო?

– ჰო, შესვენება მართლაც სჯობს რამდენიმე საათით. კარგი ადგილიცაა და დანაყრებაც უპრიანია.

ჩამოქვეითდნენ და სახელდახელოდ წაილუკმეს კიდეც. ხეობა-ში გაღმით რალაცას ორთქლი ასდიოდა.

– „ნეტა რა უნდა იყოს?“ – გაივლო გულში და კვლავ დააკვირ-და. ბოცო მიეახლა. გულისნადებს მიუხვდა მეფეს და მდინარის გად-ალახვის სურვილი და ნებართვა სთხოვა.

დამცრობილი მდინარე იოლად გადალახეს მხედრებმა და ისევ უკან მობრუნდნენ.

– ალბათ სამჯურნალოდ ვარგა მეფეო, თბილიცაა და მლაშეც.

– ჰომ. მეც არ გამიკვირდა. საქართველო მდიდარია ამისთანა წყლებით. მდიდარი ქვეყანა გვაქვს, ხომ ზაქარია.

– თქვენისთანა მზრუნველი პატრონისა და მეფეთ-მეფის წარმომშობი ბუნება მდიდარი იქნება აბა რა.

– განა ვინ ვარ ისეთი. მეც ჩვეულებრივი მოკვდავი ვარ. რა საჭიროა ასეთი ლამაზი სიტყვები. არც მათუსალა ვარ და ბაბუას ხომ ვერა და ვერ შევეძრები. ბოლოს და ბოლოს ქალი ვარ და საფლავში ყველა ერთნაირი ვიქნებით.

– ნალდ ადამიანს ნალდი სიტყვები მოერგება მეფეო. საფლავზე ფიქრი კი საუკუნით გადავდოთ.

– მადლობელი ვარ ზაქარია-ბატონი. ანე დროა გზა გავაგრძელოთ.

... მეორე დღეა მოდიოდნენ ულელტეხილიდან. დიდი მანძილით ჩამოიქვეითეს ხეობაში.

ერთ ადგილას ძალიან ვიწრო ეჩვენა ხეობა მეფე-თამარს. შედგა და ზაქარია მოიხმო.

დედის ბიძაშვილს სასწრაფოდ მიეახლა ზაქარია.

– რას იტყვი ჩემი ზაქრო, ეს მდინარე ამ ორ კონცხშუა რომ მიგელავს, მოვთოვოთ უპრიანი არ იქნება?

– თუ ხიდის გაკეთება გაქვთ გუმანში, ადვილი საქმეა მეფევ-ბატონო. თუ ბრძანებ, გონიოში ჩასვლამდე ხიდიც აშენდება.

– რათა ზაქარია ჩვენს ჩასვლამდე, განა ჩვენ რომ ჩვენი თვალით ვიხილოთ აშენებული ხიდი, ცოდვა იქნება ვითომ?

– იქნებ ასე ჯობს მეფეო, თქვენი სიტყვა აზრიანია.

– რა ქვია ცხენის მოსათოკავ ლაგამ-ალვირს შოთა-ბატონო? – შეეკითხა მეფე სულმნათ მწიგნობარს.

– დანდალი მეფევ-ბატონო.

– დანდალი, დანდალი... ჰოდა იყოს ასე, მოვთოვოთ მდინარე, ანუ ლაგამი ამოვდოთ. ხიდი ავაგოთ და იმ სოფელს, საიდანაც გოგობიჭების სიცილ-კისკისი მოისმის „დანდალი“ დავარქვათ.

შედგა და მიმოიხედა. ადგილმდებარეობა მიმოათვალიერა.

– აქ დაბანაკებაც შეიძლება, ვიდრე ხიდი აიგებოდეს.

– დავისვენოთ მეფეო, აქაური ხალხი პურმარილიანია ამბობენ, ლუკმა-პურს არ დაგვამადლიან – შეჰპედა პირიმზისამ და უუუუნა თვალები მეფეს მიაპყრო.

ნამით ჩაიქრდა მეფე, შემდეგ გალმით გაექცა მზერა და პირიმზისას მიუბრუნდა.

– რა ჩაგიფიქრებია, ხიდიც დღესვე დავიწყოთ?

– რა უჭირს მერე მეფეო, ჯარი ხომ უკან მოგვყვება, რა ბედენაა ამოდენა სპისტვის ერთი პატარა ხიდის აგება. ეს ხომ საშვილშვი-ლო ხიდი იქნება ჩრდილო და სამხრეთ საქართველოს შემაერთებლი. ხალხიც დაგვლოცავს. ვინ იცის როგორ ენატრებათ ერთმანეთი გალ-მა-გამოლმელებს.

– ეგ უკვე ვიფიქრეთ კიდეც და გადავწყვიტეთ. კეთილი გული-სათვის და სურვილებისათვის მადლობა.

დაიმორცხვა და განითლდა პირიმზისა. მეფეს სიყვარულით მიაპყრო მზერა და მოხვევაც მოუნდა, მაგრამ რატომძაც სურვილი სურვილად დარჩა.

კარვები გაშალეს მდინარის მარჯვენა ნაპირზე, დაისვენა მონა-სპამ. სალამომაც მოატანა. მეფემ ზაქარია იხმო.

– ამალამ დავისვენებთ და ხვალვე შევუდგეთ საქმეს. მანამ კი მცხ-ოვრებლებიც გააფრთხილეთ, წამოგვეშველებიან. ქვისმტვრეველებიც ბევრი დაგვჭირდება, იქნებ აღმოჩნდნენ ამ ხელობის ოსტატებიც.

– გისმენთ და გემორჩილებით მეფეო, ბრძანება შესრულებული იქნება.

– ეს ბრძანება არ გახლავთ, უბრალოდ თხოვნა და სურვილია. რამდენი დღე გვეყოფა ხიდის ასაგებად?

– დიდი-დიდი სამი დღე.

– ჰოდა, დილიდანვე შევუდგეთ საქმეს. აქედან სამ დღეს ფეხს არ მოვიცვლით.

– შენს ქველმოქმედებას მადლიერი ხალხი არასოდეს დაივიზ-ყებს. ღვთის სადიდებელი ტაძარი ხომ თქვენი სურვილით აშენდა, სხალთის მოსახლეობა ძალიან გემადლიერება. იქ არა მარტო ლმ-ერთზე, თქვენზეც ლოცულობენ მეფევ, წმინდანად შეგრაცხა ხალ-მა. თქვენს ასაკში ამდენი ქველმოქმედება ვაჟკაც მეფესაც მოდრიკავს, თქვენ კი არაფერს უშინდებით. ჯანის შენარჩუნება გჭირდება მეფევ, ბავშვებიც გყავს გასაზრდელი და მთელი საქართვე-ლო საპატრონო – მიუგო ზაქარია სუროთმოძღვარმა და თავი მდა-ბლად დაუხარა.

– ხალხი ბრძენია, მაგრამ მგონია სახოტბო სიტყვები საკმარი-სია. ხოტბის ოსტატი იგერ ბატონი შოთაა და მგონი მარტო ეგ ეყო-

ფა მთელ საქართველოს. ესეც არ იყოს, მაგის ქმნილებაში იმდენი სიბრძნეა ჩაქსოვილი, საუკუნეები დასჭირდება გაშიფრვას. დიდე-ბული კალმის და სიტყვის ოსტატი გვყავს. ესეც უფლის საჩუქარია საქართველოსათვის.

- მეფეო. რამდენ ხანს იარსებებს სხალთის ტაძარი?
- ალბათ მანამ, ვიდრე ქრისტიანობა არ მოისპობა მსოფლიოში.
- შოთას უკვდავი პოემა?
- ვიდრე ქართველი ხალხი არ ამოწყდება და სანამ აუხდენელი სიყვარული არ დასწვავს მავანთა გულებს.
- ხიდიც დიდხანს გაძლებს ალბათ?
- საუკუნეებს გაუძლებს, მაგრამ ლეგენდის გარდა არაფერია უკვდავი. ყველაფერი კი უფალზეა დამოკიდებული.
- პოდა მაშინ ლეგენდებად გადაეცემა თქვენი ქველმოქმედება, მეფეთმეფე თამარი კი ხალხს ყველა ეპოქაში საფიცრად ეყოლება, თქვენი სახელი უკვდავი იქნება, მეფეო.
- ღმერთმა გისმინოს ფიქრიავ, ქართველი ხალხი ყოფილიყოს უკვდავი და საქართველოს სადიდებელს რა გამოლევს. დაე, ვიცოცხ-ლოთ და ვიარსებოთ ხალხის ხსოვნაში. ანი ძილის დროა, მაგრამ დაგვეძინება განა ამისთანა ბუნების მხილველებს?
- სწორედაც ეს თვალწარმტაცი ბუნება მოგვცემს დასვენებისა და კარგი ძილის საშუალებას. ლამე მშვიდობისა მეფეო.

მეფის კარვის ირგვლივ მცველთა ჯაჭვი შეიქმნა. დილამდე თვა-ლი არ მოუხუჭავთ ერთგულ მელამურებს.

არც მეფეს უძინია. ხელსაქმეს ვერა და ვერ შეელია. ერთგული ქალი-მსახურები მის კარავში ნებიერად ფშვინავდნენ. თამარი ფეხ-ისწვერებზე დადიოდა და ხანდახან კარვიდან გარეთ იჭვრიტებოდა.

დილა მზიანი დადგა. უთენია აშალა ზაქარიამ ლაშქარიც და სხვა მხლებლებიც.

დილა მშვიდობისა უსურვა კარვის კართან ფეხშიშველად მდგარ მეფეთმეფეს.

- დილა მშვიდობისა მეფევ! ჯარი და მშენებლები დალოცე მეფეო, საქმისთვის ასეა საჭირო. ფეხშიშველობას კი არ გირჩევ მეფევ, გავნებს.

- დამილოცნიხართ. უფლის ძალითა და შეწევნით საქმეს შეუდ-ექით! პირველ ქვას საძირკველში მე და შოთა ჩავდებთ.

ადგილობრივი მცხოვრებლებიც წამოეშველნენ მშენებლებს. ხარაჩოები ერთ დღეში აღმართეს. ერთ დღეში უამრავი ლოდი მოზიდეს და დღენახევარში ხიდი გადაჭიმეს.

– ხარაჩოები არ მოხსნათ, ვიდრე თავისით არ დაიშლება, მანამ იყოს, ზედმეტი არ იქნება. ვიდრე ძალიან არ გამაგრდება, მანამ იყოს – დაუბარა ხალხს ხუროთმოძღვარმა და მშენებელთუფროსმა ზაქარიამ.

სულ სამი დღე ისიამოვნეს მთის სუფთა ჰაერით და სოფლელთა პურ-მარილით.

ნასვლისას მეფე თამარმა სოფლის უხუცესი იხმო და სოფელზე შერქმეული სახელწოდების ფირმანიც გადასცა.

უხუცესმა მდაბლად დაუკრა თავი მეფეს.

– თქვენი სიტყვა და საქმე ლვთისგან დალოცვილია მეფევ სვიანო. ამ სიკეთეს არც ღმერთი დაგივრწყებს და არც ერ ლვთისა. თქვენი მონამორჩილი მახარე, სიცოცხლის ბოლომდე თქვენი მლოცველი ვიქნები. თვეობით მოწყვეტილი ვიყავით გაღმით მცხოვრებ ძმებს. რაღაც ეს სიკეთე გვიყავი, ბარემ დაგვლოცე მეფეო – თქვა პაპა მახარემ და მეფეს ფიალით ლვინო მიაწოდა.

თლილ თითებში მოიქცია მეფემ ფიალა და...

– ამიერიდან, ვიდრე ცოცხალი ვარ, თქვენი მფარველი ვიქნები, განსაკუთრებით უკეთურთა ხელყოფისაგან... გამრავლდით, ისარეთ და იბედნიერეთ. ქალ-ვაჟების სიმრავლე დავინახე გალმა-გამომით. ეს ხიდიც მათი გულების ხიდად აგვიგია. ღმერთმა სიკეთე არ მოგაკლოთ და ისევ ლვთის შენევნით საქართველოს დიდებისთვის სამსახური და ლოცვა. ამინ! – თქვა და ლვინო ოდნავ შეისრუტა.

ძარღვებში საამო სითბო ჩაეღვარა და თვალები მაშინ მიაპყრო ტერასებად შეფენილ ფერდობებს, საღაც ვაზი თვალსაამოდ შრი-ალებდა და გულს ახარებდა.

– რა ჯიშისაა პაპავ ეს ლვინო?

– ჯანიშურია.

– რაღაც არ გამიგონია ყურძნის ეგ ჯიში.

– ჯანის მომგვრელია ამ ყურძნის ლვინო. ჩვენებურია, ქართული – მეფევ დიდებულო. ჯანი თუ ჯანიში ჰქვია. უკეთეს ჯიშს ვერცვერავინ ინატრებს, მოშორებით ერთ სოფელში ხარობს.

– ზაქარია-ბატონი, თუ განსაკუთრებულ ნიადაგს და პავას არ საჭიროებს ყველგან რომ მოვაშენოთ ხომ შეიძლება? საქართველო ლივინის კულტით უნდა გახდეს ცნობილი. წმინდა ნინო ხომ ვაზის ჯვარით გვეახლა, ჰოდა, არა მარტო ქრისტიანობა შემოგვიტანა იმ დალოცვილი ვაზის ჯვრით, არამედ ვაზის მადლიც გვიწილადა და გვიანდერდა.

– დიდებული აზრია მზეთამზევ, თქვენი სურვილი შესრულებული იქნება. ქართველებს ისე გვიყვარს ყურძნი, თითქმის გაკულტებულია ვაზი და ლივინც თუ კულტად გავიხადეთ, უფრო გვასახელებს მგონია სხვა ხალხთან.

– როგორ თუ კულტია ვაზი...

– მეფევ ბატონი – ჩაერია საუბარში ისევ პაპა მახარე – ქართველ კაცს ერთი სიმღერა აქვს „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო”, ვინ იცის როდიდან, თუ სადმე ორნამენტს გააკეთებენ, აუცილებლად ვაზს. გლეხი როცა ვენახში ჩავა, შვილივით ეფერება. მოდი და ამის შემდეგ თქვი – ვაზი კულტი არაა. მეორეც ხომ ბაბუაშენის შექმნილია იამბიკო „შენ ხარ ვენახი”, ესეც ერთ რამედ ლირს.

– შენს სიბრძნეს წუნი არ დაედება, დიდებული ნათქვამია. იყოს ნება ხალხისა ჯიშების მოშენებისა.

– საბოძვარი თუ გვაქვს თან ზაქარია-ბატონი.

ბოცო ცანდას ძე მყისვე მიეხლა მეფეს.

– ოქრო-ვერცხლი იმდენია, გონიომდე გზას დაფარავს. რა გინებებია მეფევ-ბატონი?

– ვინ იცის, მივხედავთ კი ამ ხალხს კიდევ? გაეცით საბოძვარი, დაწყვილდნენ, სამშობლოს შვილები შემატონ, მოღონიერდნენ, მშიერ-ტიტველა გლეხს არაფრის სურვილი არ ექნება არასდროს.

– ამ სიკეთისათვის ღმერთი გაგიმარჯვებს შვილო. შენი გზა იავარდებით ყოფილიყოს მოფენილი – დალოცა პაპა მახარემ, შეკრებილ თანასოფლელებს თვალი მოავლო და მეფეთმეფის კაბის კალთაზე მთხვევის ნიშანი მიცა.

პირველად პაპა მახარე ემთხვია ჯვარხატული კაბის კალთას. შემდეგ, შეკრებილთაგან ყველა სათითაოდ მიუახლოვდა და მიესიყვარულა სათაყვანებელ და სალოცავ ხატს – მეფეთმეფე თამარს.

შესამოსელიც უხვად გაიცა.

რამდენიმე წყვილი თვალი მადლიერების გრძნობით და უჩვეულო აღტაცებით მიესიყვარულა მეფეს.

პატარა გოგომ გაბედა და ლოყაზეც ემთხვია.

მიეფერა თამარი და ზურმუხტისთვლიანი ბეჭედიც უსახსოვრა.

უცებ წარბები შეჰყარა მეფემ, მაგრამ, მიზეზს ვერავინ მიხვდა.

მდუმარებით უცქერდნენ საყვარელ მეფეს.

უცებვე აიკალთა მეფემ, იქვე მოგვრილ ცხენს სპორტული ნახტომით მოევლო ზურგზე და...

— დროა გზა გავაგრძელოთ, საკმაო დრო გავიდა. დღეის სწორს გონიოში უნდა ვიყოთ.

ამალა და მონა-სპა დაფ-ნალარით ისევ დაუყვა ხეობას მდინარის დინების მიმართულებით. ვინც პირველად მოგზაურობდა, აღტაცებას ვერ მალავდა ხეობის სილამაზით. მაღალ ფერდობებს შეფენილი კოპნია სოფლები მოყვავილე ხესილს სხვადასხვა ფერებით აეგლვარებინა. სოფლებს კლდიანი მასივები და უფრო და უფრო შემცირებული სათიბები ცვლიდა, ხან კი ღრმად ჩაბნელებული მოზრდილმდინარებიანი და დელევებიანი ხეობები.

— ლამაზი ბუნების პატრონები ვართ ქართველები, მაგრამ აჭარის ხეობა უფრო ლამაზია სხვა ტერიტორიებთან შედარებით, — გადაულაპარაკა თამარმა ზაქარია ხუროთმოძღვარს — სწორედ ამის გამოა, რომ გვეპრძვის ოსმალო თუ სპარსი, არაბი თუ რომაელი. ყველას იმის სურვილი ამოძრავებს, დაიპყროს აჭარა, რითაც საქართველოს გულს ამოაცლის, დანარჩენსაც დაეპატრონება, მაგრამ ვერ მივართვით.

— კარგია თუ ავია, ჩვენია და ვეთაყვანებით, თორემ ბევრი არაფერი გვაქვს სახარბიელო. უცხო თვალს ეჩვენება ჩვენი კუთხე ედემის ბალად, თორემ ჩვენ ხომ ვიცით რაცაა. ნამდვილად ლამაზი ბუნების პატრონები ვართ, მაგრამ ერთი ქართველ გლეხკაცს შევეკითხოთ, თუ რა გასაჭირდია, ხან სიცხე და ხვატი ანიავებს მოსავალს თუ ბუნებას, ხან ლვარცოფი და კოკისპირული წვიმები, ხანაც ზამთრის ყინვა და ზვავები. ხშირია მეწყერიც, ასე რომ, მატოლების სიმწვანე, ჩაბნელებული ხევები და კლდეები ვერაფერი სიხარულია მშრომელი მცხოვრებლებისთვის, ისინი უმეტესწილად მშივრები რჩებიან და ძალიან უჭირთ წლიდან-წლამდე თავის გატანა.

— რა შეგვიძლია მთლიან ხეობას ამ მიმართებით გავუკეთოთ?

– თვალ-მარგალიტით ვერაფერს გავხდებით, იმიტომ რომ, გლეხს, მშრომელ ადამიანს ყველაზე მეტად სურსათ-სანოვაგე უჭირს. მხოლოდ ამით თუ დავეხმარებით, თორემ სხვა რა მოგახსენო. ეს მხოლოდ გზაში გადასაწყვეტი საკითხი არაა. სახელმწიფო სათათ-ბიროში დარბაზობისას უნდა იმსჯელოთ მეფევ და ერთობლივი ზომები უნდა განახორციელოთ. დაგლოცავს ხალხი.

– მარტო ეს კუთხეა ამ მდგომარეობაში?

– არა, რატომ ეს მხარე. მთელი კავკასიონის გადმოლმა მხარის სოფლებიც ამ მდგომარეობაში არიან, მაგრამ ისინი შედარებით იოლად იტანენ გასაჭირს, იმიტომ, რომ მესაქონლე და მონადირე ხალხია. არც ნანადირევს იკლებენ და არც შინაური პირუტყვისგან მიღებულ ბარაქას. მესაქონლები ნამატს სხვა საქონელზე ცვლიან და ასე მუდამ. აქ კი, აჭარის ხეობაში სასაქონლო მეურნეობა შედარებით მცირე შემოსავალს იძლევა. მიწაზე მოსული მოსავლით ირჩენენ თავს და ხეხილით. თუ ჯანზე არიან, ამას კიდევ ღვინოს უმადლიან.

მეფეს შორს გაექცა მზერა. სადღაც მთის წეროს ლალი არწივები და დასტრიალებდნენ. მზემ ზენიტი მიატოვა და თვალებში სცემდა სხივებს მოგზაურებს.

მზეთამზე მზეს ეცილებოდა სიდიადეს და სითბო-სილამაზეს.

– ხეობას ცალმხრივი გზა ჩასდევს გონიომდე, თუ სხვა განშტოებაც აქვს კიდევ? – იკითხა თამარმა და მიმოიხედა.

ბოცო და ზაქარია მიეკლენ მეფეს.

– ხეობა რამდენიმე თვეს წყალუხვია. მხოლოდ ზამთარში უხვ-თოვლობისა და ზაფხულში უწყლობისას თუ ახერხებენ გაღმა-გამოლმელები ერთურთის მონახულებას. წყალმცირობაც დიდხანს არ გრძელდება. ხეობის ორივე მხარეს საკმაოდ კარგი გზა გასდევს, რომელსაც ძველთაგან აბრეშუმის გზას უწოდებენ, რაც სხვა არა არის, თუ არა სავაჭრო გზი. ერთ მათგანს რა თქმა უნდა ჩვენ ვადგავართ. ყველა გზა კი ჯერჯერობით გონიო-აფსაროსის ციხესთან გამავალია.

– მეც დიდი პაპის, ალმაშენებლის მემკვიდრე ვარ და თუ სადმე შესაძლებელია რისიმე აგება, ავაგოთ. ხალხი, მომავალი თაობა, ის-ტორია დაგვლოცავს. კარგის კეთება უფლის დაწესებულია, იდიდოს მისი სახელი და ჩვენც უნდა ვაკეთოთ. შენ რომ ახსენე ბატონო ზაქარ-

ია აპრეშუმის გზა, იმ გზას შეკეთებაც რომ სჭირდებოდეს, უნდა შევაკეთოთ, რამეთუ ქვეყნის ძლიერებას ვაჭრობა განსაზღვრავს. იქნებ მეზობელ ქვეყანასთან კონფლიქტი გვექონდეს, მისვლა-მოსვლა ავკრძალოთ, მაგრამ ვაჭრობის გაუქმება არ შეიძლება, ისიც მხოლოდ არაცოცხალი საქონლით. ჩვენ რომ ხიდი ავაგეთ, ის ხიდი არა მარტო გაღმა-გამოღმა სოფლის მცხოვრებლებს დააკავშირებს, არამედ ამ ორივე განშტოება სავაჭრო გზას დააკავშირებს ერთმანეთთან. რაც მეტ ხიდს ავაგებთ, მით უკეთესი იქნება.

– რა თქმა უნდა მეფევ-ბატონო, გისმენთ და გემორჩილებით.

გზა სულ ციცაბო კლდეებს გასდევდა.

ერთ ადგილას მდინარე ძალიან ვიწრო კალაპოტში მიედინებოდა, სადაც ლამაზად თლილი სამშენებლო მასალით აშენებული ხიდი იყო გადებული. კამარა ძალიან მაღალი ჰქონდა ხიდს.

– დახე ზაქარია, დაუსწრიათ აშენება – გადახედა ირიბად მეფემ.

– ეჱ, ეს ხიდი ხომ ძველისძველია მეფევ. ვინ იცის რამდენი საუკუნე აწევს ზურგზე. ამ მდინარეზე, თუ არ ვცდები, ერთადერთია. ცხონება მის ამშენებელს.

– ამინ – დააწია მეფევ და ცხენი ააჩქარა – ესეც რომ ჩვენი ასაგები ყოფილიყო, ერთ-ორ დღეს დავკარგავდით აქაც.

– სამაგიეროდ, ლოცვას შევიმატებდით – უპასუხა ზაქარიამ.

– რა იცით, რომ ამ ხეობაზე ეს ერთადერთი ხიდია?

– მეფეთმეფევ, რუსთაველი მგ ზავრობდა ამ მხარეში და მეც თან ვახლდი. ჩემი თვალით ვნახე და ამიტომ მოგახსენებთ. ისე, ხინოსკენ ამისთანა პატარ-პატარა მდინარეებზე ასეთი ხიდები ბევრია. თუ არ ვცდები, რომაელების აშენებული უნდა იყოს. სხვათა შორის მეფევ-ბატონო, შოთას, „ვეფხისტყაოსანიც“ ამ მხარეში შეიქმნა, ალ-წერილი ბუნება – აქაურობაა, ტაო-კლარჯეთიც და იმიერ საქართველოც, ბაგრატიონთა სამფლობელოები, ვიდრე ზღვამდე.

– წელან ხინო ახსენე მგონია, მრავალი ხიდებით... ნეტა რისთვის აგებდნენ? საითკენაა ეს ხინო?

– ჩვენ ხომ ხიდი ავაგეთ გუშინნინ, იქედან რამდენიმე ასეული ნაბიჯით ზემოთ ჩრდილოეთისაკენ ხეობა ძევს, ამ განშტოებებით სავაჭრო გზა ხინზეც გადადის, ბევრი სოფელია ხინოსწყლის ხეობაში. სწორედ იქით მგ ზავრობდა სულმნათი შოთა. ნათესავიც ჰყოლია იმ ხეობაში.

ამ დროს თამარ მეფეს შოთა მიუახლოვდა.

- დაგისწრია შოთა-ბატონო ამ ხეობაში მგზავრობა ჩვენთვის.

როდის მოასწარით?

- როცა პოემას ვწერდი, მაშინ ვიმოგზაურე და ბევრი უცნაურობებიც ვნახე. ჩემი მხლებლების ერთად ბარე ორ თვეზე მეტი ვიხეტიალე აჭარაში, ხინოს მთებში და ტაოსკენაც ვიყავი. ის გამოქვაბული სწორედ ტაო-კლარჯეთის ხეობაშია და კიდევ ბევრი რამ. თუ დამცალდა აღვწერ ჩემი მოგზაურობის ავ-კარგსაც.

- რას ქვია დამცალდა? სად მიგეჩარება?

- ეჰ, მეფეთმეფევ, წამიერია ცხოვრება, არავინ იცის ხვალ რა მოხდება.

- მართალი ხარ, მაგრამ წინასწარ ვაი-ვიში არ შეიძლება.

- ისე უპრიანი იქნებოდა, ადამიანი რომ დაიბადება მაშინ და-ეტირებინათ, თორემ, როცა უფალი მიიბარებს, მაშინ ტირილი და გოდება ცოდვაა, ეს უფლის კანონებში ჩარევას ნიშნავს, თითქოს უმაღურები ვართ, ადამიანს რომ საიქიოსკენ ეწევა.

- შოთა მწიგნობარო, არის ქვეყანა, სადაც დაბადებისას ტირიან ახალშობილს.

- სწორსაც აკეთებენ თუ ეგრეა. მეც ასე მწამს და მირჩევნია.

- შუბლზე ხელი მოიჩრდილა მეფემ, მზეს გაუჭრიტა.

- ლამის გათევას სად აპირებთ? – იკითხა უცებ.

- საღმე ციხე-სიმაგრის ახლოს აჯობებს, მაგრამ სამწუხაროდ გზისპირად ასეთი ციხე არ მეგულება – თქვა ზაქარიამ.

- მე კი ვიცი რომ არის, მაგრამ ძალიან პატარა, ისეთი რომ შიგ სამი კაცი ვერ მოთავსდება – თქვა შოთამ.

- ასეთი პატარა შენობა განა ციხე-სიმაგრეა?

- არა მეფევ, იმ შენობას ალბათ სხვა დანიშნულება ექნებოდა.

თუმცა ნათქვამს ნანახი სჯობია. აგერ მოვედით კიდეც.

პატარა კონცხზე ძველისძველი, რიყის ქვით ნაშენი პატარა შენობა აღემართათ მშენებლებს. დაბლა შავზე-შავი მორევი მოსჩანდა, ალბათ ძალიან ღრმა. ზემოთ ფერდობზე ლამაზი სოფელი იყო შეფენილი.

პატარა ციხე-სიმაგრის ახლოს რამდენიმე ახალგაზრდა მოსულიყო და გაკვირვებული უცქეროდნენ მოულოდნელ მგზავრებს.

– რა ქვია ამ სოფელს? – შეეკითხა თამარი ახალგაზრდებში ასაკით ხნიერს.

– ზვარე – დიდებულო ქალბატონო, შეგიძლიათ გვესტუმროთ.

ბოცო მიუახლოვდა ახალგაზრდებს.

– დაიჩოქეთ ეს მეფე თამარია.

– ბოცო-ბატონო, განა სასიამოვნოა მუხლებზე დავარდნილი ახალგაზრდების ცქერა? მე დაჩოქების მომხრე არა ვარ. ბატონსა და ყმას შორის რიდი უნდა იყოს. ამ ახალგაზრდებს უზრდელობის ვერა შევამჩნიო რა. რას ემართლებით, ბოლოსდაბოლოს თავიანთ ეზოში არიან.

ბოცომ უკან დაიხია და ამაღაში გაერია.

– რისგან წარმოსდგება ეს სახელწოდება, რომელიც სოფელს ქვია? – იკითხა თამარმა.

ისევ ახალგაზრდამ გაპედა პასუხი.

– დიდო მეფევ, პაპებისგან გაგვიგონია, რომ ჩვენს სოფელში ვენახი ყოფილა არნახული და სწორედ უხვზვრიანობამ წარმოშვაო კიდეც ეს სახელწოდება და არვინ იცის როდიდან ენოდება – ზვარი თუ ზვარე.

– კარგი სახელია ღმერთმანი. საქართველო ვაზის ქვეყანაა და ჯობდა საქართველო კი არა ზვარე რქმეოდა ივერიას – შენიშნა მეფე თამარმა.

– მცენარეულის სახელით განზოგადებული სახელმწიფოს სახელწოდება არსად მინახავს მეფევ. სახელმწიფოს სახელწოდებას ისევ ერი და ეროვნება წარმოშობს.

– მართალი ხარ ზაქარია, მაგრამ ყველა სურვილი განა ასრულებული გინახავს? მე სიტყვის მასალად ვიხმარე გამოოქმა.

კარვები უკვე გაეშალათ მინდორზე, ღელეც საამოდ მოშხუოდა ვინწო კალაპოტში და იქვე, კონცხთან უერთდებოდა დედა-მდინარე აჭარისწყალს.

ღამე მშვიდ ძილში გაატარეს.

უთენია მამლის ყივილმა გააღვიძა მძინარენი. უზარმაზარი მამალი კარვებს შორის დეზებისცემით მიმოდიოდა.

ეუცნაურათ სტუმრებს მამლის ქცევა.

– შეხედე მთვარისა, როგორ ბატონკაცივით დააბიჯებს მამალი კარვებს შორის, აქაოდა მე ვარ აქაურობის ბატონ-პატრონი და ვინ დამირლვია მყუდროებათ – თქვა ღიმილით თამარმა და მცველებს

გადახედა – შეხედეთ რა მაგარი გულის პატრონია, რომ არავის უფროთის. აი ესაა ნამდვილი ქართული ჯიშ-გენი, მაგალითი ყველასათვის.

– ჩვენი შიშით მელა ველარ მოვიდა ღელისპირში, თორემ ბატონკა-ცობას აჩვენებდა მაგ უტიფარს – გაიქილიკა ვამეხმა.

– მელიის საფრთხობელა თუ ვართ მარტოკა, კარგად გვქონია საქმე – ქილიკს ქილიკითვე უპასუხა მეფემ.

– იქნებ უდროო იყოს ამის თქმა, მაგრამ უთქმელობაც არ იქნება მეფევ, ჩემი აზრით ამ პატარა კონცხს ეკლესია უფრო დაამშვენებდა, ვიდრე ეს უბადრუკი ფუნდუკი – გამოთქვა აზრი ზაქარიამ.

– რათა ფუნდუკი – გაეპასუხა თამარი – ცუდი შედარება გამოგივიდა ხუროთმოძღვარო. ეგ, თუმცა ციხე-სიმაგრე არაა, მაგრამ წინაპართა მიერაა აგებული და არც თუ უბრალოდ ეკლესია კი?... მრავალმიშვნელოვნად დააყოლა სიტყვა და შორს გაიხედა – ალბათ ერთ დროს ვილაცას აზრად მოუვა სამლოცველოს აგება. რამდენიმე დღეში ეკლესის აგებაც შეიძლება, მაგრამ, სამლოცველო უცებ არ აშენდება. ღვთის სადიდებელ ტაძარს დროის განელვა მოუხდება, მაგრამ არავითარ შემთხვევაში დაუსრულებელი. ჰო, დრო დადგება ვილაცა ააგებს. ისე კი რაც მეტი სამლოცველო იქნება მით უკეთესი, მაგრამ თუ ადამიანს არ ელოცება, არც ეკლესიაში შედგამს ფეხს, ხოლო გულითად ლოცვას შენობა არ სჭირდება. ისე ფეხზე დამდგარი, დამჯდარი, მუხლმოდრეკილიც შეიძლება ლოცვა. მთავარია გწამდეს, დანარჩენს კი რაღაც ეშველება. ლოცვა ადამიანის ნებაა და უნდა ილოცებს უნდა არა, მაგრამ ხიდი და თავდასაცავი ციხე-სიმაგრე, რომ აუცილებელია ამას მტკიცება არ სჭირდება.

– მართალს ბრძანებ ცის სადარო – მიუგო მთვარისამ და სასუბმოდ მიიჩნია მეფე.

– ნაშეადლევს აიშალა ბანაკი და გზა გააგრძელეს. რამდენიმე საათში ცადაზიდულ კლდეებს მიუახლოვდნენ, სადაც შარაგზა წყდებოდა კიდეც.

– წყალგალმა უნდა გავიდეთ? – იკითხა მეფემ და განიერ ადგილს თვალი მოავლო.

– არა დედოფალო, აქ გზა მრუდდება და ტყისკენ მიემართება. ცხენთა ნაფლოქვარებიც ემჩნევა – მსწრაფლ უპასუხა ზაქარიამ.

– ალბათ სადმე სოფელში შეგვიყვანს.

— შესაძლებელია დედოფალო.

ამალა საკმაოდ განიერ გზას დაადგა და ტყისკენ შეუყვნენ. რამ-დენიმე ათეული მეტრის გავლის შემდეგ მეფემ ცხენი შეაყენა და ერთი კლდის შვერილს მიაბჯინა მზერა. კლდის ზემოთ ლომის თავის გა-მოსახულებიანი ბუნებრივი ქანდაკება გამოსახულიყო.

— რა დალანდეთ დედოფალო, საფრთხე, ხომ არ შეამჩნიეთ?

— საფრთხის რა მოგახსენოთ, მაგრამ იმ კლდეზე რომ ციხე მდ-გარიყო კარგი იქნებოდა. გზას მეთვალყურება სჭირდება. დანდა-ლოს შემდეგ ამაზე კარგი ადგილი არც შემხვედრია. რას იტყვი ზაქარია ხუროთმოძღვარო?

— ფრიად სასიამოვნოა. თუკი რამეს ავაგებთ ამას ისტორია და ხალხი არ დაივიწყებს. მადლია, საჭიროცაა.

— საქართველოს ციხე-სიმაგრეები არ აკლია, მაგრამ რამდენა-დაც მეტი იქნება, მით ძლიერი იქნება. ჩემი არ მოგერიდოთ, დაგეგ-მეთ და ავაგოთ.

— ეს უკვე თქვენ დაგეგმეთ. აშენებაზე კი ვიზრუნებთ აუცილე-ბლად. სოფელში გადავიდეთ თუ აქ დავბანაკდეთ?

— აქ დაბანაკება ცოტა საჩიოთოა, ხედავთ ორპირი ქარი რომ უბერავს — მთის მდინარის და დედა-მდინარისაც. ალბათ ცოტა სი-გრილეში ეციება, ზამთარში ხომ ნულარ იკითხავთ.

— მაშინ სოფელში დავბანაკდეთ. იქ შესაძლოა სხვა რაიმეც ალ-მოჩნდეს ასაგები. გეთანხმებით მეფევ — თქვა ზაქარიამ და თავი მდ-აბლად დაუკრა.

— სხვა რაიმე, თორემ არ ამიშნოთ ახლა რუმის სულთნის მოს-აგერიებელი ციხე-სიმაგრე — გაიხუმრა თამარმა.

— ციხე-სიმაგრე რა შუაშია მეფევ, მოსაგერიებელს ჩვენ ვიგერიე-ბთ — მხიარული კილოთი მიუგო ჩუხჩარხმა.

— ჰომ, ომს ჩემო კარგებო მარტო ხმალ-ხანჯლით არ იგებენ. მოქნილი ენა და ეშმაკობაცაა საჭირო, რასაც ხშირ შემთხვევაში მე-ფეების მოლვანეობაში აქვს ადგილი — დაუმატა მეფემ და ცხენს ალვი-რი მოსწია.

მთისკენ ამავალი შარაგზა შეუსვენებლივ აიკალთეს და მოზრდილ, ხმაურიან და ანკარა ლელეს მიადგნენ.

ლელებზე თლილი ქვით ნაშენი, პატარა, მაგრამ ლამაზი ხიდი დახვდათ.

ჩამოქვეითდა დედოფალი და ხიდის თვალიერებით გაერთო. როდის-როდის ზაქარიას მოუბრუნდა და ნიშნისმოგბით უთხრა:

– ძალზედ უმარჯვიათ ვილაცებს ზაქარია-ბატონი. დახე, რა კარგი ხიდი აუგიათ, ზომებიც დაცულია. თქვენ კი როგორი ხიდი ააგეთ დანდალოსთან.

– ნაჩეარევად აგებული იმგვარი ხიდები უფრო ძლებს დედოფალო. ეს ხიდი დიდხანს უშენებიათ. ქვის დამუშავებას დრო სჭირდება. ამის აგებას ალბათ რამდენიმე თვე დასჭირდებოდა.

– ნეტა რა ჰქვია ხიდს? – ჩუმად ჩაილაპარაკა მეფემ, ან ამ ლელეს რა ქვია, სახელები თუ აქვთ თავისი...

– ალბათ ექნებათ. ქართველი კაცი უსახელოდ არაფერს დატოვებს. ერთი რამ კი მენიშნა დედოფალო, ხიდი ძალზე ძველია, იქნებ რომაელებისდოინდელი აშენებულია, ან იქნებ... ვინ იცის როდის აშენდა, მაგრამ კიდევ ერთი ნიშნული, ბზის კორომები, რითაც ამწვანებულია ხეობა, საუკუნეებს მოითვლის. ხიდზეც რომ გაჩენილა აი ესაა იმის დასტური, რომ რამდენიმე საუკუნეა მის ზურგზე გადავლილი. მოგეხსენებათ, ბზის თესლს სამ საუკუნეზე მეტი სჭირდება რომ გალვივდესო. ასეა გადმოცემით. ასეა თუ ისე, ფაქტია სამ საუკუნეზე მეტია რომ არსებობს.

ხიდთან ცოტა ხანი შეისვენეს. იქვე ფერდობზე რამდენიმე ქოხი იდგა. ყანებიც საამოდ ბიბინებდნენ, საიდანაც გლეხების ხილაბანდნაკუული, თვალებზე ხელებმოჩრდილული თავები მოჩანდა, გაკვირვებული რომ მისჩერებოდნენ მოულოდნელად გამოჩენილ ცხენოსნებს.

– მიხმეთ ვინმე – გამოაცხადა მეფემ.

სანამ ვინმე დაიძვრებოდა დასაძახებლად, ჭარმაგი გლეხი თავად მიეახლა მეფეს, ხელში ბოცა და ფიალა ეჭირა. ამხედრებულ, მდიდრულად შემოსილ მანდილოსანს რომ მოჰკრა თვალი გლეხმა, დაიჩოქა და მდაბლად დაუკრა თავი.

– რა გქვია ძიაკაცო – ჰკითხა დედოფალმა.

– გიორგი – დედოფალო. მორთულობით გიცანით, ჩვენი მეფეთ-მეფე რომ ბრძანდებით. ხომ მშვიდობაა მეფევ ცათასწორო?

– მშვიდობა რომ არ ყოფილიყო, განა აქ მიხილავდით?
გლეხი ფეხზე სამთხველად გაიწია, მაგრამ თამარმა ფეხი მოაცი-
ლა. გლეხი კაბის კალთას ემთხვია. ადგა, თავმოხდილი ბოცადან თას-
ში ქარვისფერი ღვინო რაკრაკით ჩაუშვა და დედოფალს მიაწოდა.

– დაგვლოცე მეფეო.

თამარს ტკბილმა ნერწყვმა გადაუარა ყელში, ჩამოართვა თასი
და...

– ფეხზე მთხვევა რა ვაჟუკაცის წესია, მეორეც თქვენ ღვინის სმის
გარდა სხვა საქმე არა გაქვთ? – თქვა ღიმილით დედოფალმა და გლეხს
თვალებში შეაცეკერდა.

– ჯერ ერთი რომ თქვენს ფეხს კი არა, აჩრდილზე ლოცულობს
ხალხი, თქვენი სახელის გაგონებაზე ყველა პირჯვარს ვიწერთ. თქვე-
ნი ფეხის დანადგამ ადგილს მოვლა და მოფერება სჭირდება, ლოცვა
და თაყვანი. მეორეც – ღვინოს ჯანის მოსაგვრელად მივირთმევთ
დიდო მეფევ, წყალი რა ბედნაა, სნეულებას არჩენს.

მეფემ მხლებლებს გადახედა და ნიშნისმოგებითი მზერით
აგრძნობინა გლეხური სიბრძნის მრავლისმეტყველება.

– ჯანის მოსაგვრელი სიტყვა მეორედ გავიგონებ. სადაა ამ ღვინის დედა?
სად იზრდება ის ვაზი, რითაც ამ შარბათს ამზადებთ?

– სამშობლო არ ვიცი დიდო მეფევ ამ ყურძნისა, მაგრამ ჩვენს
გალმით სოფელში რომ სულ ეს ჯიში ხარობს, ეს კი ვიცი.

– რა სოფელია – დაინტერესდა დედოფალი.

– ჯანიში ქვია დიდო მეფევ. თუ არ ვცდები ყურძნის ამ ჯიშის
გამო შეერქვა სოფელს სახელი, თუ პირიქით, არავინ იცის.

– ეგ სულერთია. ისე კარგი გემოც დაჰკრავს.

– სამეფო ღვინოს ვწურავთ დიდო მეფევ, თავს არ ვირცხვენთ
და ქართულ ტრადიციებს არ ვდაღლატობთ.

– სამეფო განწყობილებაზე თუ ხართ მცხოვრებლები. რასა იქმთ.
როგორ ცხოვრობთ?

– დიდო მეფეო და დედოფალო, თქვენი თავი გვიცოცხლოს
უფალმა და დანარჩენებს ეშველება. ვშრომობთ, თავს ვირჩენთ, მინა
ბარაქიანი გვაქვს. თუ ადამიანი ხელს გაანძრევს, მშერი არ მოკვდე-
ბა. გამდიდრება კი გლეხკაცის სასიცოცხლო დავთარში უფალს ალ-
ბათ არ ჩაუწერია.

მეფემ მხლებლებს გადახედა და უხერხულად შეიშმუშნა. „ჩანს რაღაცას მაინც მიმალავენ სახელმწიფო მოხელეები, ამ გლეხის ერთი სიტყვაც საკმარისია ვითარების გასაგებად” – გაიფიქრა მეფემ, თქმით კი არა უთქვამს რა.

როდის-როდის მიუბრუნდა გლეხკაცს და შეეკითხა:

– სახელმწიფოსთან სასაყვედურო ხომ არ გაქვთ, მოხელეები ხომ არ განუხებენ?

– არა მეფეო, ყველაფრით კარგად ვართ, ერთი ესაა, რომ ხან-დახან ბუნება ბრაზიობს ხოლმე ჩვენზე. ხან სეტყვა და ხანაც გვალვა, ხან თოვლი გვაზიანებს და ხან კი ქარი.

– რა უყოთ ძიაკაცო, ეგ ბუნების საქმეა – ალარ დაამთავრა სათქმელი და დასავლეთით აღმართულ მთაგრეხილს ახედა.

– იმ ქედის გადაღმა სოფელი ხომ არ არის?

– კი მეფეო, თანაც დიდი.

– აი, ვისაც ხედავ, ამდენს თუ შეგვინახავს სოფელი და რამდენს ხანს?

– რა ბრძანებაა მეფევ დიდებულო? საბრძანებელი თქვენია და როგორც თქვენ გნებავთ ისე გამოიყენებთ. თქვენი ხმალი და ჩვენი კისერი, თქვენ ბატონი და ჩვენ ყმები.

– ჩვენ არც სახმალაოდ ვართ მოსული და არც საბატონოდ. დახ-მარებით კი დაგეხმარებით, როგორც შევძლებთ.

– შეწევნა არც თქვენგან გვაკლია მეფევ და არც ლვთისგან. მო-ბრძანდით, გაგიმასპინძლდებით.

გიორგი აღმართს ჩვეული სიმკვირცხლით შეუყვა და სოფელს მეფის სტუმრობა აუწყა. როდის-როდის, სვენებ-სვენებით აკეცეს აღმართი და ქედზე გაიშალნენ. თვალსამო ტყისპირა მინდორი დახ-ვდათ მგზავრებს ქედის წვეროზე.

– რა ბუნების პატრონი არიან ამ სოფლის მცხოვრები, არა ქეთე-ვან? გიორგიც რომ თან წამომეყვანა, ხომ კარგი იქნებოდა. ჯერ სულ ბავშვია, მაგრამ უკვე მეფედ აღიარეს დიდებულებმა და ბავშვისთვის უნდა გამეცნო თავისი საბრძანებელი – თქვა თამარმა და ჩაფიქრდა. შემდეგ ხასხასა მოლზე ფეხშიშველამ გაიარა. ესიამოვნა. ფარდაგი მიართვეს.

„ეჰ, რუსუდანი და გიორგი უნდა წამომეყვანა თან, ეჰ”.

- შესვენება მიბრძანებია, ვისაც როგორ შეგიძლიათ, დანაყრდით
- თქვა დედოფალმა და ისევ ჩატიქტურდა.

ჩამოქვეითდნენ მხედრები და მოლზე მოკალათდნენ. ზოგი ქვაზე ჩამოჯდა. ზოგი მორებზე, ზოგიც ფესვზე. ყველა დაიტა მინდორმა, მაგრამ დასხდომა ყველამ ვერ მოახერხა. მცველები ფეხზე იდგნენ და მეფეს შესციცინებდნენ თვალებში, ეგებ რაიმე გვიბრძანოსო.

მეფისა და მისიანების მომღლოდინე ხალხი დაიძრა შესახვედრად და დასახვედრად. ვის რა მოჰქონდა და ვის რა. ჯანიშური ღვინოც ბლომად მიართვეს. სახელდახელო პურმარილი გაუწყვეს სასურველ სტუმრებს.

მეფის სადა ქცევამ სოფლელებში გაკვირვება გამოიწვია. თუმცა თქმით არა უთქვამთ რა.

მეფემ ჯარი მოისაკლისა.

- მხედრები წყალგალმით გავიღნენ მეფევ, ქვემოთ დიდი სივრცეა და ალბათ იქ დაგველოდებიან – მიუგო ზაქარიამ.

- დაბანაკებას ხომ არ ვაპირებთ?

- თუ რაიმეს აგებას აპირებთ, მაშინ აუცილებელია მეფევ-ბატონო.

- რა შეგვიძლია დავუტოვოთ ამ სოფელს ჩვენი ყოფნის და შემწეობის დასტურად – მოიფიქრეთ.

- თქვენ ბრძანეთ დედოფალო და დანარჩენი ჩვენზე იყოს.

- ბრძანება არა ზაქარია-ჩემო. ეს ჩემი სურვილია, თხოვნაც და ხვენნაც. თუ ხალხი არ წუნუნებს და უსიტყვოდ გვემორჩილება, დიახაც საჭიროა რალაცნაირად შევენიოთ. ცოდვა არ იქნება ჩვენს მლოცველ ხალხს სასიკეთოს და სასიხარულოს თუ დავუტოვებთ. რაც არ უნდა იყოს, ჩვენ მაინც შთამომავლობაზე ვიზრუნებთ და ეს ყველა ქართველის ვალია, განურჩევლად ასაკისა და წოდებისა.

სოფლელთა კრებული სათითაოდ მიეახლა მეფეს და კაბის კალთას ემთხვია.

ერთმა თეთრწვერა მოხუცმა კი მამაშვილურად გადაკოცნა.

იუცხოვა მეფემ ასეთი თამამი მიღება და მიახვედრა კიდევაც. გულში კი სიამე ჩაეღვარა ისეთი ძალდაუტანებელი და გულლია იყო მოხუცის ქცევა.

– დღედამოსწრება ნადირს თუ ავაზაკს ვებრძოდი, ხმალი ჯერ-აც არ ჩამიგია. კაბაზე მთხვევა დიახაც, საპატიოა დიაცისათვის, მა-გრამ ნუ მიწყენ მეფეო და კაბა საგანია, ასე უფრო მეტი სიყვარული და პატივისცემა გამოიხატება, ესეც არ იყოს, რა ვაჟკაცის წესია კაბის კალთაზე მთხვევა, თანაც დაჩრიქილი. ვაჟკაცი გამართული უნდა იყოს დღემუდამ, პირნათელი და თვალებში მაცქერალი.

მეფემ ისევ მხლებლებს მოავლო თვალი. სახე უღიმოდა ყველას. იგრძნო მეფემ თავისიანების კმაყოფილება და მასაც სიხალისე მოე-მატა, ხალხთან ურთიერთობის სიყვარულნარევი სითბო ჩაეღვარა სულში და ერთიანად დამუხტა.

– სიბრძნე არ გაკლია, ჯანი თუ მოგდგამს გულისმაგვარი?

– ჯანისა რა მოგახსენო, უკან კი არასოდეს დამიხევია. სოფელი გულლომი ვაჟკაცებითაა სავსე, არც ჩვენ ჩამოვუვარდებით ჯელებს. საქმე-საქმეზე თუ მიდგა, უკან არ მოვიხედავთ.

– სათხოვარი ხომ არ გექნებათ რამე?

– არა მეფეო, თქვენი თავი გვიმყოფოს მამაზეციერმა კარგად და ჩვენ სოფელს მარტო თქვენი ნატერფალიც ეყოფა სახსოვრად.

– დაბანაკება გვინდა, ჯარიც თან გვახლავს. სად გვირჩევ ბერიკა-ცო? დიდხანს არ შეგანუხებთ.

– რა შეწუხებაა მეფეო. რამდენ ხანსაც ინებებთ, დარჩით. სახ-ლებში ჩამოვირგებთ თქვენს მხლებლებს. თქვენი მასპინძელი კი მე ვიქნები.

– არა, უხერხულია სახლებში შემოსახლება. ჩვენ ცხენებზევართ გაზრდილი და მინდორში დაბანაკება უფრო სასურველია და სასია-მოვნო, მით უმეტეს ზაფხულია და ცხელა.

– მაშ, თუ თქვენსას არ დაიშლით მეფევ-პატონო, სოფლის ბოლოს დიდი ვაკეა და იქ უფრო სჯობს. ისე კი სოფლის განა-პირა უფრო ვრცელი მინდორია, იქვე ცივი ღელეც ჩამოუდის და საჩრდილობელი და სანახაობაც იქით უფრო კარგია, მაგრამ სოფელს კაი მანძილითაა მოცილებული. როგორც ინებებთ ისე აჯობებს მეფევ.

– სოფლის ბოლოს სჯობია, გზასთან ახლოს ვიქნებით, მდინარ-ესთანაც ხალხთანაც და მიზანთანაც. ვინ იცის ხვალ რა მოგვეპრი-ანება, აქედან გავაგრძელებთ გზას, გონიოსკენ ვართ მავალი და...

მეცნიერა გაექცა. სოფლის რჩეული ლამაზმანები უახლოვდებოდნენ უწევეულო სტუმრებს.

ყველა სათითაოდ მიესიყვარულა მეცნიერს.

მეცნიერების სეფექალებს მოუხედა და აშკარა უპირატესობა შეამჩნია. დარჩეული და ლამაზები იყვნენ დამხვდურები.

ერთი პირი ამოიხვნება კიდეც მეცნიერს.

წამიერ გარინდებას თავი წაართვა.

– როგორც ვხედავ, მარტო ქალებია თქვენს სოფელში. ვაჟკაცებს ვერა ვხედავ რატომლაც – შენიშნა დედოფალმა.

– ვაჟკაცები მეცნიერ იარაღასხმულნი სოფელს გარს არტყია. გაიგეს თქვენი მობრძანება და ხელათვე დაირაზნენ.

– საფრთხეს ელოდებით რამეს თუ რა ხდება?

– ეშმაკს არ სძინავს დედოფალო, ვინ იცის...

– გიქებთ სიფხიზლეს. მე თქვენისთანების იმედი დიახაც მაქვს.

მთელი საქართველო ერთ მუშტადაა შეკრული. ასე რომ არ ვიყოთ, სახელმწიფოს ვერ შევინარჩუნებთ.

– ძალიან სადაც ირჯებით მეცნიერ. არც არაფრის შიში არ გაქვთ. თქვენი სახელი ხომ აზანზარებს საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნებს, ამიტომაც დიდი სიფრთხილე გმართებთ. მორეული მტერი ძალიან საშიშია, თქვენ კი ისე დაბრძანდებით ვითომც არაფერი. ნუ მინყენთ მეცნიერებას, რომ არ გვიყვარდეთ ვერც გეახლებოდით და ამდენსაც ვერ გაგიბედავდით. უფალმა ცუდი ნუ გვასწრას თქვენი. თუმცა ახალგაზრდა ბრძანდებით, მაგრამ ყველას დედა და მფარველი თქვენ ხართ ეხლა. ამიტომაც გიფრთხილდებით მეცნიერს.

– დარდი ნუ გაქვთ, ჯარი თან მახლავს.

დამხვდურებს შიშის ქარი ჩაუდგათ გულში, სახეც მოელუშათ.

– ომს აპირებთ მეცნიერ ვინმესთან? აკი მშვიდობამ დაისადგურაო საქართველოს ცაზე...

– ნუ შეშინდებით. ჯარი ვახსენე, თორემ ჩემი მცველები გახლავთ. ისე ბევრნი არიან, მშვიდობიანი მისით მივდივართ ციხე-ქალაქ გონიოსკენ.

– მშვიდობა ნუ მოგიშალოთ უფალმა მეცნიერ. უპრიანია მოსვენებით გალიო წუთისოფელი. აგერ – ახლა ხომ დიდი ომი გადაიხადეთ შამქორთან. ნუთუ დასვენება არ გვიწერია დავთარში?

— ქართველებს ბრძოლა და ომი დაგვანათლა მამაზეციერმა ალბათ და ჩვენც უნდა გადავიტანოთ ყოველგვარი ავი.

— ნუთუ არ გველირსება ისეთი დრო, როცა გულში აღარაფრის შიში არ გვექნება?

— დიდია უფალი, ალბათ მოგვხედავს. ვლოცულობთ და ვეაჯებით. ისე კი სანამ ცოცხალი ვარ ვეცდები ხალხს სიმშვიდე შევუნარჩუნო.

— გისმინოს უფალმა მეფეო, ჩვენც მაგას ვეხვენებით უფალს დაგიცვას ავისაგან, რათა ჩვენ დაგვიცვათ.

ამალა აიშალა და მეგზურის მითითებით სოფლის ბოლოსაკენ გააგრძელეს გზა. ქვეითად ისურვეს მსვლელობა.

— ასე როგორ შეიძლება დედოფალო, დაიღლებით — მიეახლნენ პირფარეშები და სოფლელი ქალები. ზაქარიამაც კვერი დაუკრა ნათევამს.

— რატომ გგონიათ მეფე ციდან ჩამოვარდნილი. მეფემ ტალახშიც უნდა გაიაროს და დაისვაროს ფეხები, კიდეც უნდა დასველდეს, უძილოც უნდა დარჩეს და მშიერიც, რათა თავისი ხალხის სიდუხჭირე გაითავისოს და რაც მთავარია ყველაზე მეტს უნდა ფხიზლობდეს, ხმალიც უნდა მოიქნიოს და მშვილდიც მოზიდოს. რატომ ფიქრობთ, რომ ფეხშიშველი და ქვეითად სიარული საზიანოა ჩემთვის?

— მეფევ და დედოფალო, ერთადერთი ადამიანი ბრძანდებით ქალი მეფე, ყველაზრით შემკული და თქვენი ფეხები მინას კი არ უნდა ეხებოდეს, რძეში უნდა გაბანავებდნენ.

— რა დამიშლის რძით ფეხების დაბანას, მაგრამ აბა დაფიქრდით, გლეხმა რომ წარმოიდგინოს ვილაც რძით ფეხებს იბანსო ხომ აერია გული... მეორეც, მინას რომ ვეხები, სწორედაც ის მაძლევს ძალას, თორემ მინას მოწყვეტილი ადამიანი ხომ უფროთ ჩიტს ემსგავსება. მინას მოწყდე არაფრით არ შეიძლება, ვინაიდან სწორედ მინაა ჩვენი დედაც, მარჩენალიც და ბოლოს შემფარებელ-შემნახველიც, ასე რომ მინის ყადრი უნდა ვიცოდეთ. მე აბა როგორ ვასწავლი ვინმეს მინის სიყვარულს, თავად კი ასე გამოვხატავ მასთან სიახლოვეს — ფეხშიშველი გავლა ჩემთვის უდიდესი სიამოვნებაა. ბოლოსდაბოლოს, ხომ შეიძლება ცოტა ხანს მეც თქვენნაირი ვიყო.

ცოტა ხნით მდუმარება ჩამოვარდა.

მეფე თამარმა თვალი მოავლო სოფელს და კმაყოფილმა ღრმად ჩაისუნთქა.

– ლამაზი სოფელი გაქვთ, ასეთს საცხოვრებლად ვისურვებდი, ჩემი ნება რომ იყოს.

– ძნელია დიდო მეფევ, როდესაც განუსაზღვრელი ძალაუფლების პატრონი ხარ და საკუთარი სურვილების დაკმაყოფილება არ ძალგისა. ძნელია, ძალიან ძნელი – თავქედმოდრეკით მიმართა მეფეს ხნიერმა მანდილოსანმა – სოფელი მართლაც მშვენიერი გვაქვს, სახელი ლამაზი შეურჩევიათ სულცხონებულ წინაპრებს. სავანე ქვია ამ სოფელს, არ ვიცი რის გამო, მაგრამ ფაქტია, რომ შეურქმევიათ... უხუცესი გვყავს ერთი, შეგახვედრებთ მეფეთ-მეფევ და ალბათ ბევრ რამეს გვამცნობს.

ლამაზი აღმოსავლეთ ფერდობი აქვს სოფელს, მდინარის მარჯვენა ნაპირზე, საკმაოდ მაღალი ბორცვით. ერთი მხრიდან კი სწორედ ის ხმაურიანი მდინარე ჩამოუდის, რომელზედაც უძველესი ხიდია აგებული. სამხრეთით სწორედ იმ კლდით მთავრდება, რომლის გამოც სახელმწიფო გზა მრუდდება და სოფელში გადაჰყავს, ეს ფერდობი სოფლის ბოლომდე ძალიან ნოჟიერნიადაგიანია და ხეხილიც უხვადაა.

ფერდობის შეუგულთან ცივზე-ცივი წყარო გადმოჩუხჩეხებს თიხის მილიდან. წყაროსთან გოგო-ბიჭებს მოეყარათ თავი და ჭურჭლებს ავსებდნენ. ვის თუნგი მოეტანა, ვის კიდევ თიხის დოქი და რიგს ელოდებოდნენ. ანცობდნენ და ოხუნჯობდნენ. უცხო ხალხის დანახვაზე, თითქოს ძლიერმა ნიავმა დაქროლაო – მიჩუმდნენ.

ნებიერამ წამოიკინა და გეჯაში წყალს დაეწაფა. თავი ასწია, მიმოიხედა და ისევ დაეწაფა წყალს.

გაუკვირდა მეფეს შვლის ასეთი ქცევა.

„რაღაცას მანიშნებს ტყიური, მაგრამ რომ ვერ მივხვდი? ალბათ კეთილმოწყობას, დაილოცოს უფალო შენი სამართალი, ნუთუ ასეთი რამ ჩააგონე ჩემს ნებიერას?“

დიდხანს სვამდა ნებიერა წყალს. მეფემაც იგემა პეშვით, შვლის ნუკრი მიუახლოვდა და სველი ხელი აულოკა პატრონს.

– ასეთი წყარო უბრალო ღარზე არ უნდა დიოდეს – თქვა მეფემ დანანებით.

ზაქარია ხუროთმოძღვარმა გულში ჩაინიშნა მეფის ნათქვამი. მეფემ ბავშვებს მიუალერსა და გზა განაგრძო.

საკეთებელი საკეთებელს ემატებოდა.

სოფლის ბოლოს, მდინარიდან ორმაცდაათიოდე ნაბიჯის და-შორებით გაშლილ ვაკეზე დასცეს კარავი და დაბანაკდნენ.

– ხალხო, თუ სოფელს სიკეთეს ვუზამთ ეხლავე შევუდგეთ საქმეს – ბრძანა მეფემ და სახელმწიფო მსახურები შემოიკრიბა.

– საბოძვარიც გავცეთ და სხვა რაიმეთიც წავეხმაროთ.

– ეკლესია თუ არის სოფელში ბრძენკაცო? – მიუბრუნდა დედ-ოფალი სერიდან ჩამოყოლილ გლეხს.

– გვაქვს მეფეო, თანაც ორი. ერთი ეკლესია და მეორე საყდარი. ეკლესია ანდრია პირველწოდებულის სახელობისა. საყდარი კი ჩვენს მიერაა აშენებული და მარიამის სახელობისაა.

– სათხოვარი თუ გაქვთ რაიმე?

– არაფერი მეფევ-ბატონობ.

– განა ისე უზრუნველყოფილი ხართ რომ არათერი არ გჭირდებათ? თუ ჩემი გერიდებათ? მე ქარაგმულ შეკითხვებს არ ვიძლევი.

გლეხი მიწას ჩააჩერდა და დუმილი ამჯობინა.

– მაშინ ჩემი თხოვნა ისმინეთ. სოფლის ბოლოს ღელეების შესა-ყართან ციხეა ასაგები ხეობის სამეთვალყურეოდ. აი, იმ გორაზე სოფელს რომ გადმოჰყურებს. სამეთვალყურეო კოშკები ავაგოთ, რომელიც სამზერი საშუალება იქნება. ზოგიც თქვენ მოიფიქრეთ. ხეობა დაზვერეთ თუ სადმე ხიდია მოსახერხებელი და საჭირო, ავაგ-ოთ, ნუ დაიზარებთ. ამით ხალხსაც უნდა ვასიამოვნოთ და ხეობაც გავამაგროთ. ხალხი მარტო საალაფოდ არ გვჭირდება. ხალხს მზრუნ-ველი, მოსიცყარულე და ძლიერი ხელი სჭირდება და ჩვენც მივესიყ-ვარულოთ.

– გისმენთ და გემორჩილებით. ყველა თხოვნა იქნება თუ ბრძა-ნება შესრულებული იქნება – მდაბლად დაუკარა თავი ზაქარიამ და ბრძანების გასაცემად მხლებლებში გაერია.

კარვებით დაფარულ ვაკეზე მეფის კარავი შუაში მოაქციეს.

– დღეს დავისვენოთ და დილიდან საქმეს შევუდგეთ – ბრძანა თამარმა და კარავში შევიდა.

– მექურჭლეთუხუცესს მიხმეთ – გამოაცხადა უცებ უკანმო-ბრუნებულმა თამარმა და კარავის კართან გაჩერდა. რამდენიმე წუთ-ში მექურჭლეთუხუცესიც მიუახლოვდა კარავს, გულხელდაკრე-ფილი შორიახლო შეჩერდა და მეფის ბრძანებას დაელოდა.

– რას მიბრძანებთ დედოფალო? – თავი მდაბლად დახარა და მდუმარებადარღვეულ მეფეს მორიდებით ახედა.

– რას იტყვი გირშელ, დაბნელებამდე დიდი დროა. ხომ არ აჯობებდა ხალხი გაგვეკითხა, საბოძვარი გაგვეცა, გავსაუბრებოდით. ხომ იცი, ხვალინდელ ქათამს რომ დღევანდელი კვერცხი სჯობია. ვინ იცის ხვალ სად აღმოვჩნდებით.

– კი მაგრამ, მეფეთმეფევ აკი ციხეების აგება ბრძანეთ. ხვალ აქ არ უნდა ვიყოთ?

– სახელმწიფო საქმეები უწინარეს უნდა გაკეთდეს. იქნებ მალე-მსრბოლი წამოგვენიოს, ყველაფრისათვის მზად უნდა ვიყოთ ყველა ვითარებაში.

– ბრძანებას შევასრულებთ დედოფალო. ამ წუთებიდანვე გავცემთ გასაცემელს და მოსაკითხავს.

სოფლელები სათითაოდ მოდიოდნენ მეფის კაბის კალთაზე სამთხვევად. ნაკადი არ წყდებოდა. საბოძვარიც უხვად გასცეს. შესამოსელი ფარჩეულიც არ დაივიწყეს. დაწვრილებით გამოიკითხეს სათითაოდ მოსული მცხოვრებლები. საკუთარი ხელით გაიკითხა დედოფალმა და ყველა პირვერისწერით გაისტუმრა, იმედიანი სიტყვითაც ანუგეშა ყველა.

დაისი მეწამულ ფერებში ელვარებდა. შველი მოისაკლისა მეფემ. აქეთ ეცნენ, იქეთ დაძებნეს, მაგრამ ვერსად მიაკვლიეს.

– ეგებ იმ წყაროსთან მიირბინა ისევ დედოფალო? – თქვა ერთ-ერთმა სეფექალთაგან.

მსახურები გააქციეს ნუკრის მოსაძებნად.

წყაროსთან ისევ ანცობდნენ მოზარდები. ნუკრი ყურებდაც-ქვეტილი ეწაფებოდა წყალს. არ უფრთხოდა არავის.

– იყოს ჩვენთან არაფერს დავუშავებთ. ამაღამ მოუვლით და დილით მოგგვრით – შეეხვეწნენ ბავშვები.

– არ შეიძლება, მეფე ამის გარეშე არ დაიძინებს. არც თვითონ არ გამოგყვებათ. შველი ხომ გინახავთ, ეს მოშინაურებულია და მხოლოდ პატრონს ემორჩილება.

დაღამებამდე მიგვარეს მეფეს ხალებიანი ობოლა. დედოფალმა მიუალერსა შვილივით საყვარელ პირუტყვს და ნუკრმაც ვითომ დანაშაულს ინანიებსო სახე აულოკა მეფეს.

– ხვალვე წყაროს შესაფერისი სადინარი მიუჩინეთ – ბრძანა მეფემ და ჩაფიქრდა.

„შველს ისე მოეწონა გაიპარა, პირველადაც რაღაც მანიშნა, ალბათ კეთილმოწყობა”.

სახელდახელო ტახტზე ჩამოვდედა თამარ მეფე და შველი მუხლე-ბზე დაისვა, გაიტრუნა და წკმუტუნს მოჰყვა ტყიური. შანდალი ახ-ლოს მოიდგა თამარმა, შველს კი თავისი ადგილი მიუჩინა და საწერი მოწყობილობა ამოალაგა.

კარვებში სიწყნარე დაისადგურა, მხოლოდ მეფის კარავთან გუშაგები დარჩნენ ფხიზლად ღვთისა და იარაღის იმედად ღია ცის ქვეშ.

ჭუჭრუტანიდან საესე მთვარეს ახედა მეფეთმეფემ, მზესავით გაული-მა და მზეთამზის სიცხოველით პირჯვარი გადასახა.

ნამოდგა ხატთან მივიდა და დიდხანს ილოცა.

როდის-როდის ჩაეძინა.

მამლების პირველმა ყივილმა სიზმარი შეაწყვეტინა მეფეს. დამგვიანებიაო – გაიფიქრა და ტახტრევნიდან მსწრაფლ წამოვარ-და, კარვის კალთა გადასწია და გარეთ გავიდა. გუშაგი იმ წამს მას-თან გაჩნდა.

სიწყნარე სუფევდა, მხოლოდ მამლების ყივილი არღვევდა მყუდროებას.

გუშაგს ტუჩზე თითების მიდებით ანიშნა ჩუმად იყავითო და ისევ შებრუნდა. „რა მეჩარება, დაუ, იძინონ. ამოდენა გზა გამოვიარეთ. დაიღლებოდნენ აბა რა. მერეც მშენებლობა... მეც გადაუდებელი სახ-ელმწიფო საქმე არ მქონდეს ამ წუთებში”...

ამ ერთხელ უღალატა ჩვეულებას და შემწეობა სთხოვა უფალს. ხალხისა და ქვეყნის უსაფრთხოება შეავედრა, პირჯვარი გადაისახა და ისევ ტახტრევანს მიუბრუნდა.

ჩამოვდედა და მიტოვებული ხელსაქმე გააგრძელა. გამეფების შემდგომ თავის ნასაქმართა და მოგზაურობის აღწერასაც მიჰყო ხელი. ხანდახან პოეზიაშიც გადაერთვებოდა, გულის ჭიას ახარებდა. როდის-როდის პირიმზისამ შემოიჭვრიტა კარავში. მეფე რომ მღვიძარი დახვ-და მუხლებზე დაეცა და პატიება სთხოვა. დამაგვიანდაო – მოუბოდიშა.

– არაფერია. გზამ დალლა იცის, დალლამ კი ძილი. კაი გამოძინებაც არ აწყენს აღამიანს. მეც გვარიანად ვიძინე. მე ხომ ანგელოზი არა ვარ, მეც ადამიანი ვარ და ვიდრე ადამიანები ცოცხლად ვართ, ძილიც გვინდა, ჭამაც, დასვენებაც, გართობაც. თუმცა გართობაზე ბოდიშს ვიხდი რომ საამისო დრო ნაღდ ქართველს მგონია არასოდეს ექნება.

– თქვენ როდის გეძინათ დედოფალო, საკვირველია.

– სახელმწიფო სასახლეს, რომ მოვშორდი, ცოტა სიხალვათე ვი-გრძენი და აქ, რაც არ უნდა იყოს ბუნებაში ვართ და ცოტა ძილიც საკმარისია ჩემთვის. შენ წადი და კარგად გამოიძინე.

– არა დედოფალო, აღარ მეძინება.

– წადი გათენებამდე ჩემი საქმე მაქვს, ხელს ნუღარ შემიშლი. სეფექალი კარვის მიღმა გაუჩინარდა.

უკვე კარგად გათენებულიყო გარეთ რომ გავიდა თამარი. მზე ცარგვალზე მთაგრეხილის მიღმიდან იწვერებოდა. მზის თანაზიარად თამარიც სხივებად დაიღვარა.

დიდებულები მიეახლნენ, თაყვანი სცეს და საქმეზე გადავიდნენ.

– საიდან დავიწყოთ მეფეო, თქვენ უნდა მიგვითოთოთ.

– გუშინ ვახსენე, პირველად წყაროსთვალს მიხედეთ. ადამიანი-სათვის თავიდათავი წყალია – ხელ-პირის დაბანა, წყურვილის მოკვლა და... ასე რომ წყალი მოაპირკეთეთ.

– ყველა ნაგებობა ერთად შეგვიძლია დავიწყოთ.

– მაშ დაიწყეთ და დაასრულეთ. ჩემგან რამე თუ საჭიროა აგერ ვარ მეც. – მიუბრუნდა ზაქარია ხუროთმოძღვარს. – ყველა მშენებლობა სულმნათ შოთას აკურთხებინეთ.

ბანაკი აიშალა და რაზმებად დანაწილებული კირითხუროების თანხლებით სამშენებლო ადგილებისაკენ დაიძრნენ.

მცირედი დანაყრების შემდეგ ეკლესიის მონახულება გადაწყვიტა. იმ წუთას ტახტრევანი მოართვეს, მეორე მხრიდან კი დარახტული ცხენი ტორავდა მინას.

– არცერთი არ მჭირდება ჩემო კარგებო. სოფელში სოფლურად უნდა მოიქცეს ადამიანი. ვიდრე აქა ვარ ფეხით უნდა ვიარო. ფეხშიშველა სიარულიც სასარგებლოა, მაგრამ ფეხშიშველა მეფე რომ დაინახოს ხალხმა, დაგვლარიბებია მეფეო, დაგლახებულა საქართველოო იტყვიან და ხასიათი წაუხდებათ, ამიტომაც ქოშებით ვივლი.

ეკლესიისაკენ ფეხით გასწია მცირე ამალის თანხლებით. სამ-
ლოცველოსთან მიახლოებულმა დედოფალმა ზარების რეკვის
უჩვეულო ხმას მოჰკრა ყური.

ეკლესიის სამრეკლოდან მეფის სტუმრობას ამცნობდნენ მო-
სახლეობას.

ირიბად გადახედა მეფემ სამრეკლოს და პირვევარი გადაიწერა.

– რა ხდება, ასე უჩვეულოდ რად ულერენ ზარები? – იკითხა მეფემ.

– თქვენი გამოჩენა ახარებს ხალხს მეფევ-ბატონო – უპასუხა
შოთამ.

„ნუთუ ასე ვუყვარვარ ხალხს, ზარ-ზეიმით რომ მხვდებიან? პირველად ლვინიანი თასი მომაწოდეს, ჯანის მომგვრელიაო. ჩემს ჯანმრთელობას გულშიც უფრთხილდება ხალხი. დიდო უფალო, ყოვლად ძლიერო, მშობელი ხალხი ყოველივე ავისგან დაიფარე“. – გაივლო გულში და პირვევარი გადაიწერა. მხლებლებმაც მიბაძეს.

– ხუცესო, ჩვენს ეკლესიებს ზარებირომ არ აქვს, აქ საიდან გაჩნდა?

– მეფეთ-მეფევ, ეს მართლაც საოცრებაა. არ ვიცი, ვერაფერს მოგახსენებთ.

– არადა როგორ ამშვენებს? არა, მართლა საიდან, როგორ მოახ-
ერხეს, ვინ ჩაუწერგათ მისი საჭიროება. საკვირველია ღმერთმანი...

უკვე ეკლესიას დაუხახლოვდნენ. კარები ლია იყო, შიგნით ეზოში
კი თვალსამო ხასხასა მოლი ბიბინებდა.

ფეხთ გაიხადა მეფემ და ჯერ კიდევ ცვრიან ბალახზე ფეხშიშვე-
ლად გაიარა, საიდანაც პირდაპირ სამლოცველოში შეაბიჯა.

მღვდელმთავარი მუხლებზე დაჩიქილი დახვდა მეფე თამარს.
ცალ ხელში – ანთებული სანთლითა და ჯვრით, მეორე ხელში ქათქა-
თა მოგვირისტირებულ ტილოზე მოთავსებული პურით.

– რას მივაწერო ან როგორ აღვიქვა ასეთი დახვედრა? – იკითხა
დედოფალმა და მრევლს პირვევარი გადასწერა.

– მღვდელმთავარი იოანე სანთლებით გზას გინათებთ დედოფა-
ლო, ჯვარით თქვენსა და ერის უძლეველობას ავედრებს უფალს, პუ-
რით გულუხვ მასპინძლობას გპირდებათ და მაძლრისობას განიშ-
ნებთ – მიუგო შოთამ.

– ღმერთო ძლიერო, რომელი ხარ ცათა შინა, შენ გადმოხედე
შენივე გაჩენილებს, შემწეობა გვყავ და გაგვაძლიერე, რწმენა

გაგვიმტკიცე და საუკუნო მშვიდობის შემდეგ სასუფეველიც ნათელი მოგვეცი. ამინ, – დაასრულა და დაილოცა შვიდნათობიერმა, მღვდელს მიეახლა და ჯერ ჯვარს ემთხვია, შემდეგ ქათქათა თეთრ წევრზე. წამოაყენა, გადაეხვია და პურს ყუა მოატეხა.

- ღვინოც მიაყოლეთ დედოფალთ-დედოფალო, ნაკურთხია.
- მეფემ ღვინოც იგემა...
- უფალმა კარგი მოსავალიც დაგიბედოთ მამაო – თქვა თამარ-მა და კვლავ პირვევარი გადასახა.

სადღაც ჭერში გუმბათის ქვეშ მტრედებმა გაიფრთხიალეს, ზურგს უკან ბავშვმა წამოიტირა. მოიხედა დედოფალმა და უჩვეულო სიხარულით და სიყვარულით გაბრძყინებული თვალების რიცხვს წანაწყდა. ბევრ მათგანს პატარა ბავშვებიც ახლდა.

- რა ამბავია მამაო?
- დიდო მეფევ, დღეს წათლობას ვიყავით შეპირებული და რახან თქვენი უწმინდესობის და უდიდებულესობის წმიდათაწმიდა შუქმფენი სახე ელირსა ჩვენს ეკლესიას, დაე წათლობაც თქვენი თანდასწრებით მოხდეს.
- თანახმა ვარ მამაო. შევუდგეთ წათლობას.

ბავშვებს რიგრიგობით წათლავდნენ. ვის რუსუდანი დაარქვეს, ვის ქეთევანი, დავითი, ვახტანგი, გიორგი, შალვა...

- დედოფალს შაოსანი ქალი მიუჟახლოვდა.
- ჩვენო მფარველო, შვილი დამეღუპა. ეს ტყუპები დაგვიტოვა იმედად. გავკადნიერდები და თხოვნას შემოგკადრებთ, თქვენი ხელ-დასხმა გვინდა მე და ჩემს რძალს, აგრემც საიქიოს გაუნათებს თქვენს მშობლებს უფალი, თქვენ კიდევ უძლეველობას მოგანიჭებთ.

- თამარმა ბავშვებს გადახედა.
- ღმერთმანი, პირველად ვხედავ და მესმის, ტყუპი და-ძმა?
- უფალმა იცის ყველაფერი დედოფალო, ამიტომაც გთხოვეთ მათი მონათვლა.

- თამარმა ბავშვები აიყვანა ხელში და...
- თამარი დამირქმევია ქალისათვის. ვაუს კი?...
- შოთა სულმინათი იქვე იდგა თავდახრილი და ხატთან ლოცულობდა.
- ვაუს კი შოთა – თქვა ხმამაღლა, შოთას გასაგონად.
- მესამედ გადასახა პირვევარი თამარმა თავშეყრილებს.

– ახლა კი ნამდვილად აღსრულდა ჩემი სიზმარი, უფალმა ვე-დრება და ახირებული სურვილი – მეფეთმეფე მენახა ჩვენს ეკლე-სიაში და სამჯერ ჯვარგადასახვის ღირსი გავმხდარიყვით. ღმერ-თი სამობითააო – ამბობენ მეფეო და თქვენგან სამჯერ მიღებული მირონი სწორედ უფლის სამობას გვიდასტურებს.

სრული თავისუფლება ყველას – წირვა-ლოცვის, საუბრისა და რაც გინდათ გულისნადებისა – დაამთავრა მღვდელმთავარმა და მეფეს ადგილი დაუთმო.

მეფემ შესანირავი გაიღო ეკლესიისათვის. ოქრო-ვერცხლი აუ-რაცხელი და მადლიერებით აღვსილმა ხატიც უფეშქაშა.

მეფემ საყდრის მონახულებაც გადაწყვიტა. მოიხიბლა ადგილმ-დებარეობით.

ეკლესიის მრევლი მეფეს უკან მიჰყვა საყდრამდე.

– რა მშვენიერი ადგილი შეგირჩევიათ მამაო საყდრისთვის, მთელი სოფელი ხელისგულივით მოჩანს. სიმართლე თუ გინდა თქვა ადამიანმა, ეკლესიის ადგილი სწორედაც ეს უნდა ყოფილიყო. თუმცა არაუშავს, მომავალში უფრო დიდ ეკლესიას ააგებენ ალბათ ამ აღგილას. შესანიშნავი ხუროთმოძღვარიც გყოლიათ.

დედოფალი სალოცავად საყდარში შევიდა, მაგრამ სანამ სალო-ცავად დადგებოდა, მღვდელმთავარს მოუხედა.

– ასეთი ფიქალი ქვები საიდან მამაო?

– ზემოთ, იმ კლდის ფერხთით, ყანაში უზარმაზარი თეთრი ლოდი იყო. მშენებლებმა დაამუშავეს და ამით მოაპირკეთეს. დიდხანს ვაგებ-დით დედოფალო და მეფევ სრულიად საქართველოისა.

– შემოსვლამდე სხვაგვარად ვფიქრობდი ამ დიდებული საყდრის ხილვის შემდეგ აზრი შემეცვალა. კია, პატარა, მაგრამ ძვირფასად ნაგებია, რომელსაც არასოდეს შეცვლა არ დასჭირდება. ამაზე კარგს განა ვინჩე ააგებს კიდევ სადმე? არა მგონია და რაც არის ამას მოვ-ლა სჭირდება, რისი იმედიც მაქვს, ვინაიდან რომ არა გცოდნოდათ მისი შენარჩუნების გზები ვერც ააგებდით.

პატარა, მაგრამ ძვირფას ხატთან ჩუმად ილოცა დედოფალმა. ლოცულობდა ყველა – ხატებისა და თვით მეფეთმეფის წინაშეც, ხოლო ქრისტეს ფრესკის წინ ყველა მოიხარა მუხლი.

ლოცვა რამდენიმე წუთს გაგრძელდა.

მეცნე თამარი შემოტრიალდა და ყველას პირჯვარი გადასახა. საპოძვარიც გასცა საყდრისათვის და ეზოში გამოვიდა.

– ეზო პატარა გაქვთ, მაგრამ სხალთის ტაძრის შემდეგ თქვენი საყდარი უნდა ვაღიაროთ კეთილშობილად. დიდებული რამ არის მამაო. აქ მლოცველი სულიერ შვებას ნამდვილად ჰქოვებს. უფალმა შეიწყნაროს თქვენი ვედრება მამაო – ამინ.

- ამინ – დაბოლავა მღვდელმთავარმაც.
- შეკითხვა მაქვს მოძღვარო. ზარის დაყენება ვის მოუვიდა აზრად?

– ქადაგი გვყავს ერთი, უფალს ებრძანებინა სიზმრად და ჩვენც ვირწმუნოთ. ავად თუ კარგად, დავადგით ეკლესიას ახლახანს.

- ვისი ნახელავია?
- ერთმა ვაჭარმა მოგვართვა და გვიფფშქაშა. ალბათ მაღლი გააკეთა.
- რა თქმა უნდა. – ილოცეტ მისთვის, ეს უფლის წყალობაა.

ნასვლას დაეშურა მეცნე. ფეხით შემოიარა მთელი სოფელი, ოჯახ-ებშიც შეიჭვრიტა. სადაც კი მივიდა აღფრთოვანებით, მოკრძალებით და უდიდესი სიყვარულით ხედებოდნენ მცხოვრებლები. დიდი განციფრებაც გამოიწვია მეცნის სტუმრობამ, რალაც სასწაულად მიიჩნიეს სოფლელებმა მისი ასეთი გადაწყვეტილება და სასწაულის მოლოდინისათვის გაემზადნენ.

ნაშუადლევს, სოფლის სამხრეთით ბორცვზე აგებულ დედო-ციხეს, რომელსაც სოფლელთა მეხსიერებაში შემორჩენილი სახელი – ხვარა-ციხე ქვია, თამარი მონიშებით მიეახლა და პირჯვარი გადასახა.

ციხე-სიმაგრე უზარმაზარი იყო, თლილი, რუხი ქვით ნაგები. ქონგურებიანი და სახურავის გარეშე, კედლებს უკვე ხავსი და სურო მოსდებოდა, რომელსაც ბუნებრიობაში გადაჰყავდა ქვის შენობა, ქონგურებზე სარეველა მცენარეები ხარობდნენ. ციხის ირგვლივ მსხმოიარე ხეხილი გაეშენებინათ სოფლის მცხოვრებლებს.

– ალბათ პაპაჩემის დროსაა ნაშენი ეს ციხე – თქვა თამარმა და დიდებულებს მოხედა – შეკეთება ხომ არ სჭირდება?

– ისე არაა შელახული რომ შევაკეთოთ, მე უკვე დავათვალიერე მეცნევ-ბატონო მიუგო ზაქარიამ.

ციხის კედლებს ნაზად მოეფერა დედოფალი, ირგვლივ შემოუარა და ალაყაფს მიადგა. კარები გააღეს და შიგ შევიდნენ.

– აქ დიდალი ჯარის შენახვა შეიძლება, თუმცა ეხლა ალარ დაგვჭირდება ალბათ. სხვა ციხეებს რომ ავაგებთ და მეციხოვნეებს ჩავაყენებთ, ყველა ციხე სამარქაფო იქნება. ვინ იცის, იქნებ როდესმე დაგვჭირდეს. ყურადღების მოდუნება არ შეიძლება ერთი დღითაც.

– აქ ხომ არ გადმოვინაცვლოთ დედოფალო, უფრო უშიშრად ვიქნებით – შეპბედა ქეთევანმა.

– განა იქ უშიშრად არა ვართ? ჩემს ხალხში ვარ, საშიშროებას არ ველოდები. აქ კი?... მიტოვებულია ეს ციხე. ავი სული იქნება დაბუდებული. იქნებ ჯოვალებიც. ისევ იქ, გაშლილ ვაკეზე სჯობია – თქვა თამარმა და ბანაკს გადახედა.

უცებ საოცარი სიხალისე და სიმსუბუქე იგრძნო დედოფალმა. გუნება გამოუკეთდა. ჩაფიქრდა და გასულ ასწლეულებს გადასწვდა ფიქრებით.

– „იქნებ პაპაჩემის სული ტრიალებს ამ ციხეში. იქნებ თავადაც დაუდვია ქვა მშენებლობისას. მე რომ ქვებს მივეფერე, სულმა იგრძნო და სიხალისე მომიმატა ალბათ.

უფალო, ყოვლად ძლიერო, პაპაჩემის შარავანდედითა და გზებით მატარე, გამაძლიერე და მშვიდობა დამამყარებინე ქვეყნად, მაშენებინე და სიკეთე მაკეთებინე ვიდრე ცოცხალი ვარ”.

დაამთავრა ფიქრი და პირჯვარი გადაიწერა.

– ვინმემ თუ იცის ამ ციხის ისტორია? იქნებ ხალხის მეხსიერებას შემორჩა ამშენებელთა სახელები, ან ვის მიერაა ნაპრძანები მისი აგება?

– ვეცდებით მეფევ-ბატონო რაიმე გავიგონ – მიუგო ზაქარიამ და უკან ადევნებულ მღვდელმთავარს მიუბრუნდა – მამაო, იქნებ იცოდეთ რა დროსაა აგებული ეს ციხე?

– უხუცესი გვყავს სოფელში მახარე-პაპა. იმან ბევრი რამ იცის. შესაძლოა ციხის შესახებაც იცოდეს ბევრი რამ.

– დანდალოში მახარე, აქაც მახარე, საკვირველია ღმერთმანი. მიხმეთ.

თამარ მეფეს წარუდგინეს მახარე-პაპა. ჯოხსდაყრდნობილი ძლიერ ადგამდა ნაბიჯებს. მეფეს შეეცოდა და დაჯდომა შესთავაზა.

მახარე პაპამ მდაბლად დაუკრა მეფეს თავი. თამარი მიეგება და მამაშვილურად გადაეხვია?

– რამდენი წლისა ბრძანდებით პაპა მახარე?

– ასს გადავცილდი მზეთამზევ. ძლივს ვათრევ ცოდვილ სხეულს.
სიკულილიც იგვიანებს.

- ძალიანაც კარგი თუ იგვიანებს, ნუმც გწვეოდეს უდროოდ.
- დიდი მადლობა მეფევ-ბატონო კეთილი სურვილებისათვის.
- შენზე მიამბეს ძველი ამბები იცისო, აბა ერთი მახარე, პაპა მახარე...

პაპა მახარემ ულვაშებზე გადაისვა ხელი.
– რა გაინტერესებს მეფეთმეფევე?
– ლამაზი სოფელი გაქვთ და ლამაზი სახელიც ქვია, თუ იცი რაიმე ისტორია ამ სოფელზე?

– რაც თვალსაწიერშია მეფევ-ბატონო სულ ბალ-ვენახით ყოფილა დამშვენებული და მსხმოიარე ხეხილით. ყვავილნარებიც ჰქონიათ მოშენებული. მტკაველი მიწა არ ყოფილა ცარიელი. სოფელს შემოგარენი აქვს, იქაც ჰქონიათ ბალ-ვენახი გაშენებული. დასასვენებლადაც საამო ყოფილა. ალბათ ამან განაპირობა სახელწოდებაც, ხოლო ვინ უწოდა ღმერთმა უწყის.

– ციხე-სიმაგრეზე თუ იცი რამე?
– როგორ არა. ციხე-სიმაგრე პაპაშენისდროინდელია, ასე ვიცი მამის გადმოცემით. ეხლა რომ ცოტათი შელახულია, ეგ არ ვიცი რატომაა... ან არ დაუმთავრებიათ ან დიდი ომი გადაიტანა. ნამდვილი ამბავი არავინ იცის, მაგრამ მოარული ამბებით მხოლოდ ესაა ცნობილი. ციხე დახურული იყო... დროს თავის მიაქვს. ასი წელია გასული თითქმის ალმაშენებლის შემდეგ. ამ ას წელინადში კი რამდენიმე თაობა გამოიცალა... დავიწყების ფერფლი ფარავს ბევრ რამეს. მხოლოდ თქვენ ნატერფალებს არ დაივიწყებენ თაობები, სხვა დანარჩენი იქნებ მართლაც მიავიწყდეთ მცხოვრებლებს. იმიტომ რომ ყოველდღიური საზრუნავი ბევრ სადარდებელს უჩინს ხალხს, მაღლობა ღმერთს ციხე-სიმაგრე რომ რაღაცნაირად შემორჩია. მეტი რაღა გიოხრა მეფევ-დიდებულო... ერთი კიდევ ის ვიცი რომ, ალმაშენებლის დროს სოფელში ძალიან ბევრი ოჯახი ცხოვრობდა. მე რომ ვუყურებ, ჩემს თვალწინ მთელმა საუკუნეში გაირბინა და ამ ხნის განმავლობაში ხან დაიცალა სოფელი, ხან ისევ ხალხმრავალი ხდებოდა და ასე გამუდმებით. ალბათ, დიდხანს გაგრძელდება ასე. კაცია და გუნებაო – იტყვიან ვინმეს

ვერც აუკრძალავ დასახლებას და ვერც გადაბარგებას. ზოგიც უმიზე-ზოდ ტოვებს სოფელს, ზოგიც რალაც მიზეზებით და ასე დღემდე.

- რა ისეთი უსაშველოა რომ არ ჩერდებიან?
- ხომ ვთქვი მეფევ-ბატონო, ადამიანია და ხასიათი.
- ჩემი გამოჩენის შემდეგაც ხომ არ შეეცვლება სოფელს სახელი?
- ეგ, მცხოვრებლებზეა დამოკიდებული მეფეთ-მეფევ. ალპათ, ასეც იქნება. სახელის გადარქმევა სოფელს ვერას დააკლებს, პირიქით თუ ასე მოხდა ნამდვილად, თქვენს ხსოვნას გაუხანგრძლივებს ასაკს.
- დავით ალმაშენებელზე ბევრი რამ გ სმენიათ?
- იმდენი, რამდენიც ჩვენმა სასულიერო პირებმა იციან.
- მაინც რა?
- თავად მოგახსენებენ.
- ხალხში ლეგენდები დადის დიდ მეფე დავით ალმაშენებელზე. ციხეს მის ეპოქას მიაწერენ. იდიოფოს მისმა სახელმა და სამარადეა-მო ცხონება ჰქონდეს – ამინ – თქვა მღვდელმთავარმა.
- დიდებული დიდბაბუა მყავდა. არა მგონია ვინმე გაეტოლოს ქველმოქმედებაში და სიძლიერეში. დიახ, ძლიერი და დიდებული იყო. ქვეყნის და სახელმწიფოს მაშენებელი. სწორედ ამიტომაც შეარქვა ხალხმა მართებული სახელი – დავით ალმაშენებელი. ის ვინც ხალხს უყვარს, იგი ღმერთისგან ხელდასხმულია და წმინდანადაა შერაცხუ-ლი ხალხში.
- აი, თქვენ მეფეო, უძლიერესის სახელი გაქვთ მოპოვებული, ბაბუათქვენის ლირსეული მემკვიდრე და მისი საქმეების ძლიერი გამ-აგრძელებელი ბრძანდებით...
- მე ქალი ვარ მაინც, რაც არ უნდა იყოს და თუ სიძლიერის რაიმე გამაჩინია, ეს ხალხითა და სპიტ კიდევ. აი, პაპაჩემი მთასავით კაცი ყოფილა, ძლიერი ღონის – გააწყვეტინა მეფემ მღვდელმთვარს დავ-ითის ქება-დიდება და ისევ ბანაკს მოავლო თვალი.
- ხვარა ციხეს რად ეძახიან მღვდელმთავარო?
- დანამდვილებით არ ვიცი, მაგრამ თქვენს დიდბაბუას ვიღაც ხვარამზეს საპატივცემულოდ შეურქმევია ეს სახელწიფება. ვაუურად გადაცმული გვერდში ედგა თურმე დავით მეფეს და ბევრი საგმირო საქმეებიც ჩაუდენია. ძალიან უყვარდა მეფეს ერთგული მხლებელი და მცველი. ციხე სახელმწიფოს საჭიროებას წარმოადგენს. სახელი

კი შემოკლებით და მოფერებით ხვარა-ციხედ მონათლეს. ისე კაი სახ-ელია – ხვარამზე – ხვარა-ციხე.

– დავეშვათ ეხლა ბანაკისაკენ თორემ დაიღლებით ამდენი ფეხზე დგომით, – მიეახლა ზაქარია.

– ქალი ფეხზე უნდა იდგეს მუდამ, მეუეა თუ მოახლე, სულერთია – უპასუხა თამარმა და კაბის კალთა აიკალთა – წავიდეთ, მართლაც უპრიანია ცოტა დასვენება.

ბანაკს მიუახლოვდა დედოფალი. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ მხლებელთა ლაპარაკი თუ არღვევდა მყუდროებას.

დაბლა აჭარის დედამდინარე საამოდ ხმაურობდა, გვერდით ლელებიც ბანს აძლევდნენ აჭარისწყალს. წამიერად მოდუნება იგ-რძნო თამარ-მეუემ.

„რა მემართება. უცხო მხარემ დაცდა იცისო – იტყვიან, მაგრამ ჩემი საგამგებლოა და რათ იქნება ვითომ უცხო. არა, ნამდვილად დავილალე, თუმცა... ფიქრი გაუწყდა... ჰო, დედა, რომ მინანავებდა, მაშინაც ასე ვდუნდებოდი ლელის ხმაურში!“

– წავალ მეუევ-ბატონო, მშენებლობებს მოვივლი, ვნახავ პირვე-ლი ნაბიჯები როგორ გადაიდგა – გააწყვეტინა ფიქრი ზაქარიამ და ცხენი ყალყზე შეაყენა.

– ფეხით არ სჯობია ზაქარია ჩემო, რა ჰაერია, რა ბუნება, ცხენ-ით აპა რა სიამოვნებას ნახავ. ერთიც ვნახოთ და გადმოგაგდო რას შვრები მერე. მშენებლობას კი მიხედვა სჭირდება – ლიმმორევით დაკვალიანა დედოფალმა.

– მართალს ბრძანებთ მეუევ-ბატონო, მაგრამ ვინ იცის როგორ დამჭირდება და არც უჩემოდ გაჩერდება, ისე ვართ შეჩვეული ერთ-მანეთს. მხედარი განა გაგონილა უცხენოდ.

– განა ბრძოლის ველზე ხარ, რაღა მხედარი ხარ შენ ახლა, ჩვენ ყველანი მშენებლები ვართ და სხვა არაფერი – გამოსძახა ბოცომ და თვითონაც ამგზავრება გადაწყვიტა.

– ჰო, წავალთ მეუევ-ბატონო თქვენის ნებართვით.

– ალარავითარი ნებართვა, როცა რაიმეს ვქმნით ერთად.

ზაქარია და ბოცო ცანდასძე ფეხით შეუყვნენ ალმართს. მორ-ჩილად მიჰყვებოდნენ ცხენები.

პირველად წყაროსთვალი მოინახულეს. იქვე კორდზე ბალახს წინამდებრივად წერილი გადასცვაში დაიკიკინა კიდევ.

– ძალზე გუმანიანია და ერთგულია, ისე უყვარს ადამიანი, ასე რომ ჩვენ გვიყვარდეს ერთმანეთი, დედამიწის ზურგზე ვერც ერთი ერი ვერ გვაჯობებს – ჩაილაპარაკა ბოცომ.

– რატომ გეეჭვება ბოცო-ბატონო. ვერც გვჯობნიან. თუმცა ურთიერთსიყვარულისა რა მოგახსენო. დიდებულები არიან ცოტათი გაქსუებულები თორემ... ყველას მოევლება უფლის ძალით.

წყაროს მოპირკეთება უკვე მოეთავებინათ. იქვე შორიახლო კათხისმაგვარი ადლისსიმსხო საწნახელი იდო. ზაქარიამ ყურადღება მიაქცია.

– წყლის სადინარად გამოდგება, ჯამივითაა და გადმოსადენი სატურეც აქვს. ხომ არ ჯობდა შიგ მოგვეთავსებინა?

– წყლისთვის პატარა ჭურჭელს გავაკეთებთ, ეს კი მგონი ისტორიული საგანია – საწნახელი. დაე, ასე დარჩეს, როგორც არის – მიუგო ადგილობრივმა მშენებელმა.

– შენც მართალი ხარ ძიაკაცო – მიუგო ზაქარიამ და ციხე-სიმაგრის მშენებლობისაკენ აილო გეზი.

გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობდა უზარმაზარი კლდის ძირას. ასწორებდნენ ციხის ასაგებ ადგილს, ზოგი ქვას ამტვრევდა, ზოგი თლიდა და მტვრის კორიანტელში აღარაფერი ჩანდა.

მშენებლებს მიუახლოვდა ხუროთმოძღვარი.

– ციხის საძირკველს მოსწორება რად უნდა, პირდაპირ კლდეზე დაშენეთ – ბრძანა ზაქარიამ.

– ასეც ვაპირებთ, მაგრამ ეზოც ხომ საჭიროა, მუდამ ციხე-სიმაგრეში ხომ ვერ გამოიკეტება ადამიანი.

– ჰო, მართალი ხარ – ისე, თუ ეზოს მოვაპირკეთებთ, მაშინ ლოდსატყორცნიც დავდგათ ბარემ.

– ეგეც შეიძლება. ვინ იცის როგორ დაგვჭირდეს ომიანობის დროს. აუცილებლად გავმართავთ.

მიუხედავად მცხუნვარე მზისა, სიგრილეც სძალავდა.

– ორპირი ქარი ქრის ზაქარია-ბატონო. ასე გასინჯეთ ცივა კიდეც – შენიშნა ბოცომ.





თამას მეფის ნაღაბაზევი აღგიღი

– მთის მდინარეებს ყოველთვის საამო სიგრილე და ნიავი მოჰყვება. გეთანხმები ბოცო-ბატონი. თითქმის ცივა კიდეც. დაილო-ცოს ღმერთო შენი ძალა და სამართალი. მზეც იყოს და სიცივეც? ან ჩვენ ვართ ავად, ან რაღაც ხდება.

– ლელიდან იმოდენა დამრუცი კლდეა ამოშვერილი, იქმზის სხივები ვერასოდეს ჩააღწევს, ამიტომ თუ არ გათბა მიწის ფენა ყოველთვის სიგრილე იქნება. როცა სიგრილეში მოხვდები და დიდხანს შემორჩები ორგანიზმს სულ ცივა. პო ცივა სულ.

ბილიკზე მღვდელმთავარი, შოთა და ანაფროსნების ამალა მოდიოდნენ. მშენებლებს შეერივნენ და კაი სალამით საქმის დაწყება დაულოცეს.

– როცა სალოცავის, ციხე-სიმაგრის, საცხოვრებელი ნაგებობების საძირკველი იწყება, იქ პირველი ქვა სპეციაკმა, მორწმუნე და ქველმა ადამიანმა უნდა დადოს, რათა ნაშენს გაძლიერებისა და მოვალეობაზე კარგად თავის გართმევის საშუალება მიეცეს. ციხეს – თავდაცვაში, სახლს – გამრავლებაში, სამლოცველოს – უფლისადმი მადლიერების გამოხატვაში – ბრძანა მღვდელმთავარმა და ერთი ლამაზი ქვა შოთა სულმნათს მიაწოდა, – ლირსი გვყავ შოთა-ბატონო და თქვენი ლამაზი სიტყვებითაც გაალამაზე ეს ქვა, ეს მხარე.

– დამილოცნია საქართველოს სადიდებლად ყველა ქვა, ყველა ბერქი და ყველა მშენებელი. დაე, ამ ქვასავით მაგარი და მარადიული ყოფილიყოს ქართველი ერი, ერის წინამძღვრლი და ქართული სული. მოუდრეკელი ყოფილიყოს ქართული სახელმწიფო, რომელიც მეფე ფარნავაზმა შეგვიქმნა და დაგვიტოვა. ამინ – დაასრულა შოთამ და ქვის ნატეხს ჯერ ჯვარი გადასახა, შემდეგ ემთხვია და თვალი მოავლო ყველას. პირველი მღვდელმთავარი ემთხვია ქვას, შემდეგ სათო-თაოდ ყველა. ცერემონიის დამთავრების შემდეგ ქვის ნატეხი საძირკველში ჩააღულაბეს მშენებლებმა.

– ასე ჩაკირულიყოს საქართველოს მტერი, ავისმოსურნე და ორგული – წყევლანარევი სურვილი გამოთქვა რუსთაველმა და გვერდით გავიდა.

– ამინ, უფალმა გისმინოს მწიგნობართუხუცესო – დააყოლა მღვდელმთავარმა და პატარა ლოცვანით ძირი გაუმაგრა ციხეს,

რომელიც მიდამოსაც გაალამაზებდა და საქართველოს ძლიერებასაც.

მღვდელმთავარი, ზაქარია და შოთა მშენებლებს მოშორდნენ და კლდის შვერილზე მოკალათდნენ, საიდანაც ლამაზად ჩანდა მშენებლობაც და მიდამო, მდინარისპირი, მთები, კოპნია სახლები.

— ეჱ, ჩემო შოთა, გავა წლები, გავა საუკუნეები, იქნებ ჩვენი სახელები დაივიწყონ, მაგრამ ეს ციხე იდგება, ვიდრე მინისძვრა არ იავარჲყოფს და მის მისიას კი ნამდვილად შეასრულებს.

— ჩემი აზრით მინისძვრა ვერას უზამს ამ ციხეს, იმიტომ რომ პირველი ქვა შოთამ ჩადო და ისევე როგორც „ვეფხისტყაოსანს“ აქვს დიდი მომავალი და მსოფლიო მნიშვნელობა, უკვდავი იქნება პოემა, უკვდავი იქნება ეს ციხეც.

— ცოტა ზედმეტია ზაქარია-ბატონი ჩემი ქება, თუმცა უნდა ვთქვათ, რომ მომავალი განსაზღვრავს პოემის ბეჭს და ვიდრე იარსებებს ნაწარმოები, საქართველოც უკვდავი იქნება.

— აგაშენოთ ღმერთმა — თქვა მღვდელმთვარმა.

— მამაო იოანე, ამ კლდის თავში რაიმე ლირსშესანიშნაობა ხომ არ მოიპოვება. არა მგონია უყურადლებოდ დარჩენოდეთ ძველ მცხოვრებლებს.

— თუ ისურვებთ დავათვალიეროთ, ეხლავე შეიძლება ასვლა, აქ ბილიკია კლდეზე გამავალი, საშიშია მაგრამ გავლა შეიძლება

შოთა, ზაქარია, იოანე და რამდენიმე ანაფროსანი ბილიკის გავლით უზარმაზარ დამრეც მინდორში აღმოჩნდნენ.

— ყანები ჰქონიათ სოფლელებს ლამაზად მოვლილი. ბარაქალა

— თქვა შოთამ, თვალი მოავლო მიდამოს და ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა

— ხედიც ლამაზია აქედან, სოფლებიც ხელისგულივით მოჩანს და ხეობაც.

კლდის მოსწორებულ ადგილას ორი ორმო იყო ქვითკირით ნაშენი, საკმაოდ დიდი ზომის.

იუცხოვეს სტუმრებმა და მღვდელმთავარს მოუხედეს კითხვი-ანი თვალებით.

— ეს ორმოები ჩემო კარგებო ძალიან შორს გვახედებს. გადმოცემით ამ ორმოებში ხდებოდა მოპოვებული მაღნეულის გამოდნობა. ერთი ორმო იქითა კლდის თავშია პირდაპირ ამოკვეთილი. ეს კი

უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ აյ არა მარტო მადნის გამოდნობას აწარმოებდნენ, არამედ ცნობილ ხალიბურ ფოლადის ხან-ჯლებსაც ამზადებდნენ.

– ჩვენ და ხალიბები? – გაიკვირვა ზაქარიამ.

– წინაპრები არ იყვნენ?

– ჰო, დამავიწყდა კინალამ. ვიცი, ურარტუ, ხეთები, ხალიბები, ნაირის ქვეყანა – ეს ყველაფერი საქართველოსთან კავშირშია. დიახ, ალბათ აქაც ამზადებდნენ საქვეყნოდ ცნობილ და განთქმულ ხალი-ბური ფოლადის ხმალ-ხანჯლებს – თქვა ზაქარიამ და ქამარ-ხან-ჯალზე დაიხედა.

შოთას გაეცინა ზაქარიას მანერებზე.

– სასაცილო ჩავიდინე შოთა-ბატონო?

– ისე შეავლე შენს ქამარ-ხანჯალს თვალი, თითქოს ხალიბების მიერ იყოს დამზადებული და ისიც აქვე – თქვა შოთამ და კვლავ გაიღიმა.

– მამა ოონე, სხვა რაიმე თუა კიდევ?

– არ ვიცი რამდენად მართალია გადმოცემა, მაგრამ მაინც უნდა მოგიყვეთ. თუმცა ერთი ფაქტი ჯერჯერობით სახეზეა გადმოცემის გამალამაზებელ-გამმაგრებელი. უზარმაზარი შემონაყორი, რომელ-იც ამ მთაგრეხილის წვეროზეა მოთავსებული, გადმოცემით მსხვერ-პლშენირვის ადგილი ყოფილა. ამასვე მიგვანიშნებს მთაგრეხილის ტყიანი მასივის სახელი – სასირე. ჩვენი აზრით უფრო შორს მივდი-ვართ, ვიდრე სახელწოდება „სასირე“ გვეუბნება. სირი – ოსმალთა ენაზე ჩიტს ნიშნავს. თუ დავეყრდნობით ამ აზრს, რომ ეს გორა საჩიტე ადგილია. სავსებით შესაძლებელია საუბარი დავამთავროთ, მა-გრამ უფრო სხვა კუთხით უნდა შევხედოთ სახელწოდებას.

– შენ გინდა თქვა, რომ არა საჩიტე-სასირე, არამედ „საწირი“ ადგილია? – შენიშნა შოთამ.

– სწორედაც ასე ვფიქრობდით მწიგნობარო. საწირი ადგილი სხვა სახელით ხომ არ მოიხსენება, მაგრამ მნიშვნელობის დაკარგვასთან ერთად სახელმაც ცვლილება განიცადა და საწირი – იქცა სასირედ. ხომ ცნობილია, ხალხში აუცილებლად გადაკეთდება სასაუბრო ენაში ზოგიერთი სიტყვა. ეს არცაა გასაკვირი, ასეთი ბევ-რვერ მომხდარა – თქვა ოონემ.

– გეთანხმები მამაო, მაგრამ იქნებ მართლა ჩიტების გამო შეერქვა ამ ადგილს სახელად სასირქ?

– მთელ ქვეყანაზე ჩიტებით სავსე ადგილებია და მაშინ ყველგან ეს სახელწოდება უნდა ფიგურირებდეს.

– აღარ გედავებით, თუმცა ფაქტი სადაა?

– აი ისიც ბატონო-ზაქარია. ნაშენი ქვითვირის გარეშეა და არც საჭიროებდა, მაგრამ ფაქტია რომ ეს ქვები მოგროვილია და მერე შემოზღუდული ადგილი. ქვები იქნებ აქვე მოიპოვეს, რამდენიმე ნაბიჯში გადანათხარი ადგილია.

– რას ფიქრობ მამაო, რას სწირავდნენ ძველი მცხოვრებლები?

– ადამიანებს, რჩეულ ულამაზეს ასულებს და ვაჟებს.

იოანემ ცისკენ აიხედა პირველი გადაიწერა და რამდენიმე ხანს ლოცვანს კითხულობდა. აცალეს ვიდრე დამთავრებდა.

– რა ლოცვანი წაიკითხე მამაო?

– როგორ ავხსნა. ადამიანთა მსხვერპლად შენირვაზე აზრთა სხვადასხვაობა იყო მუდამ რელიგიაში. საზარელი, საშინელება და ბარბაროსული ნესი იყო, მაგრამ უფლის ნებით ალბათ მოისპოდედამინის ზურგზე. სწორედ ამას ვავედრებდი უფალს, აგვაცილოს ასეთი ბარბაროსული ჩვეულება.

– მამაო, ომები რომ ხდება და ადამიანები ენირებიან მავანთა ახირებებს, ეს საშინელება არაა?

– უფალი ყველა დამნაშავეს მოკითხავს დანაშაულზე პასუხს. ეს მისი საქმეა და ყველასათვის მოიცლის. დაუსჯელი არ დარჩება ბოროტება. მსხვერპლშენირვაზე კი უფალმა ადამიანს, მის მოციქულს მიახვედრა და უარი ათქმევინა მაშინ, როცა ცხოველი გამოუგზავნა შეისაბირავად გამეტების სანაცვლოდ. ადამიანის მსხვერპლად შენირვა კი ადამის წინაც იყო და ალბათ შემდეგაც. უფალო დაგვიფარე მსგავსი უკეთურობისაგან – ამინ.

– მამაო, მგონი დღესაც ხდება ის, რასაც ჩვენ ბარბაროსობას ვეძახით. აღმოიფხვრა ცივილიზებულ ხალხში თორემ, ქვეყნიერებაზე იმდენი უკაცრიელი ჯუნგლია, სავსებით შესაძლებელია პირველყოფილებიც შეგვხვდნენ.

– სავსებით გეთანხმები მწიგნობარო.

ზაქარიამ მზეს ახედა და შოთას მიაპყრო მზერა.

- რა გინდა ზაქარია-ბატონი, გაინტერესებს რა დროა?
- მგონი სადილობის დროა და ჯობია ბანაკში ჩავიდეთ, მეფეს
ანგარიში წარვუდგინოთ და თან წავიხემსოთ.
- არ იქნება ურიგო, მაგრამ საქმე რომ საშურია? სოფლის თავში
ვართ ასასვლელი, იმ ციხესაც უნდა კურთხევა.
- ზაქარია-ბატონი, როცა მკვდრებს ლოცვას წავუკითხავთ, ის
ლოცვა თუ სასულეთს მიაღწევს, აქ რომ კურთხევა ჩავატაროთ, იმ
ციხესთან არ მივა? – გაიცინა რუსთაველმა – მაღლი უნდა აკეთო
ყოველთვის და დანარჩენს უფალი მოუნახავს ადგილსამყოფელს.
თუ უფლის გვჯერა და იმასაც ვფიქრობთ მასზე ნალოც-ნახვენი,
დანთებული სანთლების სურნელება და სხვა რამ უფლამდე აღწევს,
მაშინ ისიც გვწამდეს, აქ ჩატარებული კურთხევა იმ ციხეს ნალდად
მოერგება.
- ეგეებიც მართალია შოთა-ბატონი, მაგრამ მზეთამზე
დაწვრილებით გამოგვკითხავს ყოველივეს. ვნახოთ და თავისი ფეხ-
ით ავიდეს ციხეებთან, მერე რა ვუპასუხოთ, არაფრით შეიძლება სი-
ცრუე.
- კურთხევა აუცილებლად სასულიერო პირმა უნდა ჩაატაროს.
არ იდარღოთ, გავუშვი უკვე მღვდელი საკურთხებლად – თქვა იო-
ანებ.
- თუ წავისაუზმებთ, ეს სოფლადაც შეიძლება. ციხეზე ასვლა კი
ჩემი, როგორც მოგზაური ხუროთმოძღვრის მოვალეობაა და ვერ
ვულალატებ. როგორ გონიათ, რაიმე სიცრუე რომ შემამჩნიოს
მეფეთმეფემ, ასაკს მოერიდება, ნათესაობას, თუ სხვა რამეს და არ
დამსჯის? დღესდღეობით თამარი თითქოს მოგზაურია და არა მეფე,
მაგრამ მეფე მაინც მეფეა.
- ჩვენ დიდი მაღლობელი ვართ მეფის ასეთი სულგრძელობით,
პირდაპირობით და სისადავით, მაგრამ მაინც გაკვირვებული ვრჩე-
ბით, ამდენი პატივის ღირსად რომ გვხდის. ვინა ვართ ისეთი, რომ
არაფერს იშურებს ჩვენთვის, განა ის რასაც მეფე სოფელს ჩუქნის
სახელმწიფო საქმეებზე წინაა? – თქვა იოანემ.
- არ არსებობს დიდი და პატარა, ან პირველი და მეორე ხარისხ-
ოვანი საქმე. ყველა საქმე სახელმწიფო საჭიროებისაა, ხოლო რაც
შეეხება ამ პატივს, მეფეს სიზმარი უნახავს და გამოცხადებულ ან-

გელოზს მიუნიშნებია ქველი საქმის კეთება და თუ არ ვცდები ადგილიც მიუთითებია – აჭარა. ჰოდა, დანარჩენი მეფის მოსაზრებულობის საქმეა. ისე სიმართლე რომ არ ვთქვათ არ შეიძლება, უფალი არ გვაპატიებს – ძევს ჩვენი მეფის გენში მშენებლის და მშენებლობის მაღლი, პაპისგან გამოყოლილი. არც გუმანი ლალატობს, აკეთებს იმას, რაც უნდა გაკეთებულიყო. უფალი ასეთ ადამიანებს ყოველნაირად ალაზევებს – დაასრულა ზაქარიამ და თავქვე დაეშვნენ.

სოფლის წყაროსთან მშენებლების გარდა მოზრდილ ბავშვებსაც მოეყარათ თავი და ეხმარებოდნენ კალატოზებს. მოხუცებს ხელები მოეჩრდილათ და სოფლის თავს გასცეკროდნენ, მაგრამ იქ არაფერი ჩანდა. ჩამომსხდარი მოხუცები ფეხზე წამოუდგნენ მოსულებს და მდაბალი სალამი უძღვნეს.

მკვირცხლი, შუახნის ქალი მოადგა მშენებლობას, საუზმე მოართვა და დანარჩენები სახლში მიიპატიება სადილად.

– არა ქალბატონო, ჩვენ ამჟამად ამ მშენებლებისაგან არაფრით გამორჩეულები არა ვართ. აქვე წყაროსთან წავისაუზმებთ, შეჩვეული ვართ ამისთანას და არავითარ უხერხეულობას არ წარმოადგენს. ხშირად მეფეთმეფეც ჩამუხლულა მოლზე და ისე სახელდახელოდ გვისაუზმია. ნურაფრის მოგერიდებათ, ჩათვალეთ რომ ჩვენც თქვენნაირები ვართ და არაფრით გამორჩეულები – თქვა ზაქარიამ და ქვაზე ჩამოვდა.

სალამოსპირზე წყაროსპირი მოაპირკეთეს. წყალი სამოდ გადმოჩეუხებდა ქვის ჭურჭლიდან.

პირველი ფიალა, რომელიც ქვისგან გამოეთალათ, შოთამ დალია და მღვდელმთავარს მიაწოდა.

– ასე კამკამა და მუდმივი ყოფილიყოს სამარადეამოდ და მაშვრალი დაერწყულებინოს – ამინ – თქვა და ფიალა გამოცალა.

ბანაკში დაბრუნდა ყველა. ვახშმობას სოფელმაც წამოამატა საჭმელ-სასმელი და მეფის საკადრისი პურ-მარილი გამართეს.

ლვინოც ბევრი დაილია და სამადლობელო სადლეგრძელოებიც ბლომად ითქვა. თუმცა არავინ იცოდა ვინ ვის ემადლიერებოდა. სოფელი მეფეს და მშენებლებს, თუ მშენებლები და მეფის ამაღლა სოფელს გემრიელი ვახშმისათვის. მთავარი კი ის იყო, ერთმანეთით ნამდვილად ხარობდნენ და ამაყობდნენ, რომ ძლიერნი იყვნენ.

ლამით ნავახშმევს დარბაზობა გამართა შვიდმნათობიერმა. ისი-
ნი, ვინც ახლდნენ, რიგის მიხედვით მოთავსდნენ.

– საქველმოქმედო და სამადლო საქმეს, რომ ვაკეთებთ, ეს ეჭვს
არავისში გამოიწვევს, მაგრამ თუ დავაჩქარებთ მშენებლობებს
ძალიან კარგი იქნება – თქვა თამარმა.

ზაქარია ხუროთმოძღვარი ფეხზე წამოდგა.

– ქვედა ციხე დაწყებულია უფლის ხელშეწყობით, წყარო უკვე
მოთავებულია, მაღალ გორაზეც დაწყებულია. სხვას რას გვიპრძა-
ნებთ მეფევ-პატონო, სხვა რამეც შეიძლება ავაგოთ.

– დაათვალიერეთ და მდინარეზე დანდალოს ხიდის მსგავსი ხიდი
ავაგოთ კიდევ, თუ ამას საჭიროება მოითხოვს.

დარბაზობას სოფლის უხუცესებიც ესწრებოდნენ. თეთრწვერა
მოხუცი წამოდგა.

– ორ, თუ სამ ვერსში მდინარე ძალიან ვიწრო კალაპოტში
მიედინება, ორთავე ნაპირზე კლდოვანი ფერდობია, ადგილიც თვალ-
საამო. გალმა-გამოლმით უზარმაზარი მინდორია, როგორც ჩანს
მდინარემ გააპო შუაზე, იქ ნამდვილად შეიძლება ხიდის აგება. ზოგან
მდინარეზე ბოგირი გვაქვს გაკეთებული ქვიდან-ქვაზე და ასე გავდი-
ვართ მეზობელ სოფლებში. იმ ადგილას კი ბოგირი ვერ გავმართეთ,
კაი, ოცდაათი ნაბიჯი იქნება ნაპირებს შორის. თუ მაგ სიკეთესაც
გვიზამ, საშვილიშვილო მადლი იქნება და თაობების ლოცვა ზესაუ-
ფლობში ნიადაგს დაგიმკვიდრებს როცა უფალი ინებებს.

მოხუცი დადგუმდა და დაჯდა. ელოდნენ მეფეს, თუ რა პასუხს
გასცემდა. თამარს კიდეც გაუხარდა და ცოტა ეწყინა კიდეც მოხუ-
ცის უნებური ნათქვამი.

„ეჰ, ზესაუფლოში თუ ამ ხიდებით და ციხეებით მოვხვდი, ნამდ-
ვილად დიღი პატივი იქნება. მოხუცს კი ნამოცდა ეს სიტყვები, მა-
გრამ სულიცა და გულიც თეთრი წვერივით სპეტაკი და ალალი ექნე-
ბა ნამდვილად. არა, რად უნდა მეწყინოს, ხომ სიმართლეს ღალადებს,
უფლის პირით ლაპარაკობს ნამდვილად.”

– მეფევ-ქალბატონო, რასაც აგვიშენებთ, ეს ნამდვილად საშვილ-
თაშვილო იქნება და საუკუნეებს გაუძლებს, მაგრამ ხიდის გარდა
დანარჩენების დანიშნულებაც გვაინტერესებს, ან თუ გინდა ისიც,
რა სახელებით მოვიხსენიოთ ციხეები და სხვა რა?

– სწორი შენიშვნაა. რას მოახსენებ ზაქარია-ბატონი დამსწრე პატივცემულებს? – მიმართა თამარმა.

შოთა წამოიმართა უცებ და ნებართვა იხოვა.

– დაბლა, მდინარეების შესაყართან, რომ ციხეს ვაგებთ, სახელიც თითქოს შერჩეულია, ოლონდ თქვენი დასტური გვინდა და ისიც უნდა ავუხსნათ ხალხს, რას რა დანიშნულება ექნება. მართალია ხიდზე ხალხი ივლის და წყაროსაც მიირთმევენ, მაგრამ ციხეები ხომ ყოველდღიური საგანივით არ იქნება.

ბოცო ცანდასძე წამოდგა, ჩახველა და მიმოიხედა. მეფემ თავი დაუქნია, რაც საუბრის დაწყებას ნიშნავდა.

– მდინარეების შესაყართან რომ ციხე აიგება, ეს იქნება ხეობის მაკონტროლებელ- დამცავი. იქ შეიძლება ფილაკვანიც გავმართოთ. მე თუ დამიჯერებთ ერთი ფილაკვანი მაღარის თავზე, რომ კლდეა იქ დავდგათ, ვინ იცის როგორ დაგვჭირდეს. ერთი კიდევ სოფლის დაბოლოებაზე ჩვენს ზემოთ და აღმოსავლეთით კარგი სტრატეგიული ადგილია, ლამაზი კონცხი, იქაც შეიძლება.

– შემოსევებს ელოდები ბოცო? – ლიმილით შენიშნა თამარმა.

– ბაბუათქვენის დროს რომ ამოდენა ციხე-სიმაგრე აუგიათ, ალბათ საჭირო ყოფილა. ახლა თუ დამატებითი ციხეებით გავაძლიერებთ საქართველოს სამანებს, განა ცუდი იქნება? შემოსევებს კი ნამდვილად უნდა ველოდოთ. ვიღრე ქალი მეფე გვეყოლება, თავს არ დაგვანებებენ. ასე თუ ისე თავდასაცავი ყველანაირი საშუალება გვჭირდება. როცა საჭირო დარჩება მაშინ უნდა ვაგოთ და ვიომოთ?

– ზუსტი შენიშვნაა.

– რაც შეეხება ციხე-სიმაგრეს მეფევ-ბატონო, უნებურად საუბარში გამოიკვეთა მისი სახელნოდებაც, მე მგონი სახელნოდებას ადგილმდებარეობის ან რაღაც გარემოებების გამო შეარქებულენ ამა თუ იმ ობიექტს. ციხის შემოგარენში ძლიერ ხვატშიც სიგრილე ვიგრძნით, ცივა სულ, ან ცივასული, ან ცივასულა, მე მგონი უპრიანი იქნება.

– ამას ალბათ მცხოვრებლები გადაწყვეტენ. მთავარია ჩვენ რაღაც დავუტოვოთ.

სჯა-ბაასი და დარბაზობა შუალამის გადასვლამდე გაგრძელდა. როდის-როდის მიწვნენ დასაძინებლად. დალლილი მშენებლები კაიხანია სიზმრებში ცურავდნენ.

სოფლის მცხოვრებლები კი სიხარულით ღამეებს ათენებდნენ. ახალგაზრდები სოფელს ჯაჭვივით შემორტყმოდნენ. თადარიგს იჭერდნენ და იცავდნენ მაინც მეფეს და მის მხლებლებს. მონა-სპას შესვენების ბრძანება ქონდათ უკვე მიღებული. ისინი მხოლოდ მშენებლების როლს ასრულებდნენ.

თამარი დილამდე ხელსაქმით იყო დაკავებული. მამლის მეოთხე ყივილზე რული წამოეპარა და დილამდე თავმიღებულს ეძინა.

ლამაზი დილა გათენდა. ღრუბლიან-მზიანი. ადრიანად აიშალა ბანაკი და ყველამ თავ-თავის ადგილს მიაშურა. ოდნავ ჩქამზე ელვი-ძებოდა ყოველთვის მეფეთმეფეს. შარი-შური ჩაესმა თვალები გაახილა. დაუსწრიათო – გაიფიქრა. და გარეთ გაიხედა.

– დილა მშვიდობისა დედოფალთ-დედოფალო. ამ წუთას მოგარომევთ საუზმეს.

– ჯერ ხელ-პირი დამაბანინეთ და საუზმე შემდეგ – გაიპალრა თამარი.

პირისფარეში იქვე იდგა – თიხის დოქით და პირსამშრალებლით.

– იმ წყაროს წყალია მეფევ-ბატონო, გუშინ რომ მოაპირკეთეს, აგერ ამ ახალგაზრდამ მოგართვათ საუზმეც და წყალიც.

– რა გქვია ახალგაზრდავ? – ჰკიოთა მეფემ მოსულს, რომელიც ასაკობრივად ბევრით არ ჩამორჩებოდა მეფეს.

– სერაფიმეს მეძახიან მეფეთმეფევ.

– ანგელოზის სახელი გრქმევია. კი გევხარ რაღაცით მაინც. დამილოცნიხარ ამ პატივისცემისთვის. ალბათ დედაშენის ნახელავი იქნება, რაც მოგიტანიათ.

– დედისაა და იგიც გეახლათ მწყალობელო.

– მერე სადაა?

შუანის ქალი თავდახრით მიუახლოვდა მზეთამზეს და იქვე გაჩერდა შორიახლოს.

– თავი რად დაგიხრია დედაო, ამისთანა ვაჟკაცის გამზრდელს თავის დახრა არ ეკადრება. მომიახლოვდი, რა გვონია რადგანაც მეფე ვარ, ციდან ვარ ჩამოვარდნილი?

– თქვენი თავი ნუ მოგვიშალოს ყოვლადწმინდამ, თავდახრა მორჩილების და პატივისცემის ნიშანია მეფევ-ბატონო და არა მგონია ვინმეს დაავიწყდეს.

– კარგით, ვიცი რომ პატიოსანი ხალხი ბრძანდებით, რაიმე სათხოვარი ხომ არ გექნებათ?

– კი მეფეთმეფევ, შეხების საშუალებას თუ მომცემთ, რომ გემთხვიოთ.

თამარი თვითონ მიეახლა ჭალარაშეპარებულ ქალს და გადაეხვია. ქალმა სახე დაუკოცნა და შემდეგ კაბის კალთაზე ემთხვია.

– რამდენი შვილი გყავთ ქალბატონო?

– ექვსი ვაჟი შენი ჭირიმე.

– შენ გაიხარე, მერე ექვსი ვაჟკაცის გამზრდელი ქალი კაბაზე სამთხვევად იმეტებ შენს თავს?

– მეფეთმეფევ საკუთარი შვილივით უყვარხართ ყველას და თუ ვინმებ უცნაურად მოგეფეროს, ნუ გაიკვირვებთ. მე მართლა არ გამომერჩევი შვილებში. შენზე ვლოცულობ და რაა გასაკვირი, კაბაზე თუ გემთხვიერ, ეს თქვენდამი უდიდესი პატივისცემის ნიშანია, დაუწერელი კანონივით ჩვენს სულებში ჩადულაბებული. ნუ გონიათ იმაზე ნაკლები დუღაბი, თქვენი მშენებლები რომ აკეთებენ. ისინი იქნებ დაინგრეს, ჩვენ სულებში ჩადულაბებული თქვენდამი პატივისცემა და სიყვარული უკვდავი იქნება, თაობებს გადაეცემა და უაღრესად კარგი და უსაყვარლესი ადამიანის საქმეები და სახელი ქართველებში არ მოკვდება. თქვენს სახელზე ილოცებს მთელი ქვეყანა მზეთამზევ. ამიტომაც მორიდებით გემთხვიერ.

– მეც დიდ მადლობას მოგახსენებთ ქალბატონო. ყოველ ქართველ დედაში საკუთარ დედას ვხედავ და ასე იქნება ჩემში ქართველი ქალი. მიიღეთ ჩემგან ეს ხატი.

წმინდა გიორგის ხატი და თვლიანი ბეჭედი გაუწოდა თამარმა ქალს.

ხელები აუკანკალდა, ხატს ემთხვია, მაგრამ ბეჭდისთვის ხელი არ დაუკარებია.

– არ შეიძლება ჩემო სიცოცხლევ თქვენგან ამოდენა საჩუქრის მიღება, მე ხომ ერთი უბრალო გლეხის ქალი ვარ.

– აიღე, ნუ გერიდება. გეფიცებით ყველანმინდას, თითქოს საკუთარი დედისთვის გადამიცია, ასე მიიღეთ ჩემგან – ეს თქვა და თავისი ხელით გაუკეთა თითზე ბეჭედი – აი, ამ შვილს რომ დააქორწინებთ, მაშინ გამოიყენეთ.

– რა გავაკეთო პირმშვენიერო სამაგიერო, ეს საჩუქარი დიდი ტვირთია ჩემთვის.

– თუ სამაგიეროზე მიღება საქმე, უკვე გადახდილი გაქვთ ქალ-ბატნო. სამშობლოსთვის ექვსი ვაჟის გამზრდელს სხვა არაფერი მოგეთხოვებათ.

– ეს ხომ ქალის, დედის მოვალეობაა მზეთამზევ. განა თქვენ არ უზრდით ქვეყანას შვილებს? თუ მეფე შვილებს გააჩინს, გლეხებმა განა უნდა ვიწოდონთ? ლმერთმა დიდხანს გვიცოცხლოს თქვენი თავი და თქვენი სახელის სადიდებლად და ქვეყნის ძლიერებისათვის კვლავაც სასახელო ვიქნებით, ქართველქალობას არასოდეს არავის დავაჩაგვრინებთ.

თავმდაბლად გაერიდა მეფეს გლეხის ქალბატონი და მისი მადლიანი, თბილი დედობრივი სიყვარულით გამთბარი მზერაც გაიყოლა.

საუზმის შემდეგ ზაქარია მიეახლა თამარს.

– მეფე, ძალიან რთული რელიეფი შეხვდათ მშენებლებს და დაქანცულებს სიარულის თავი აღარა აქვთ. თუ ნებას დართავთ, როგორმე ადგილზე გაშლიან კარვებს, თორემ ასვლა-ჩამოსვლაში ნახევარი დღე ეკარგებათ.

– როგორც საჭიროა, ისე მოიქეცით ზაქარია-ბატონი, ყველა წვრილმანზე მე უნდა მიგითოთო? მე გამზადებული ნაგებობა მაჩვენეთ და თუ რამ ჩემგან იქნება საჭირო, ნუ მომერიდებით.

– გისმენთ და გემორჩილებით. კიდევ ერთი მშენებლობის დაწყება გვინდა თქვენის ნებართვით. სოფლელმა უხუცესმა რომ ბრძანა ხიდის აგების სურვილი, ის ადგილი დავათვალიერეთ. ოცდახუთი-ოცდაათი ნაბიჯი იქნება მართლაც, ბარემ ერთდროულად გავაკეთებთ, მუშახელი საძებარი არა გვყავს, დახმარებაზე დიდი სურვილი გამოიქვეს ადგილობრივებმა.

– ააგეთ, რაც კარგი იქნება, მადლიერი ქართველების ლოცვით საუკუნეებს გაუძლებს.

სოფლიდან ანაფროსნები გამოჩნდნენ. იუცხოვეს სასულიერო პირებმაც და ხელმოჩრდილვით მიაჩირდნენ.

თავდახრილი მიეახლნენ მეფეს და თაყვანი სცეს. მათ შორის უფროს-უმცროსობა იგრძნობოდა.

მეცნე გაკვირვებით მიაჩირდა მოსულ სამღვდელოებას.

– ჩვენ მეზობელი სოფლიდან გახლავართ. მოგახსენებდნენ ალბათ – სოფელს ნახუცრეთი ქვია. სასულიერო პირების გამომჩეკი სოფელია. მრავალი მღვდელი გასულა ჩვენი სოფლიდან ქვეყნის სამსახურად. გუშინ გავიგეთ თქვენი სურვილი ხიდის აგებისა, საშვილიშვილო და მადლიანი საქმეა მეცნეთმეცნევ, მაგრამ ერთი სათხოვარიც გვაქვს, საძირკველის კურთხევა ვისგან მოხდება ეს გვაინტერესებს და კიდევ ერთი მოკრძალებული თხოვნაა, ჩვენი სოფელიც გახადოთ თქვენი ნატერფალების ლირსი.

– კარგი სურვილია ღმერთმანი. იქნებ გინახულოთ კიდეც. ხიდის კურთხევა თქვენთვის მოგვინდვია მღვდელმთავარო, დალოცვით კი იქეთ მგზავრობისას დაგლოცავთ.

– სხვა რამ თუ გექნებათ სათხოვარი ნუ მოგერიდებათ.

– მეტი რალა უნდა გვქონდეს მეცნეთმეცნევ სათხოვარი, რალამც თქვენი ხილვის ლირსი გავხდით, ეს ყველაფერია ჩვენთვის. საუკუნო დიდება და სიძლიერე თქვენო ბრნყინვალებავ.

– საუზმე მიართვით სასულიერო პირებს.

– გმადლობთ მეცნეო, პირიქით აჯობებდა ჩვენ მოგვერთმია, მაგრამ ისეთი მეზობლები გვყავს, ამისათვის ნამდვილად გაგვიცხავდნენ და ამიტომაც ხელცარიელები გეახელით.

– მრევლი თუ გყავთ მადლიერი მღვდელმთავარო?

– კითხვა მართებულია, სავსებით მეცნეთმეცნევ.

– თქვენ თქვენი მოვალეობა შეასრულეთ პირნმინდად, უანგაროდ და მადლ-მირონით გაულენთილი და ჩვენ რაც გვევალება არავის დავამადლით.

– გმადლობთ მეცნეო, საუკუნო დიდება, ჯანმრთელობა და ქველსაქმეთა კეთება. თქვენი თავი ნუ მოგვიშალოს უფალმა.

ანაფროსნები თავმდაბალი პატივით მოსცილდნენ მეცნეს და ბილიკს აღმა შეუყვნენ.

მეცნე კარავში შევიდა და ტახტრევანზე ჩამოჯდა. სეფექალები შეგროვდნენ კარავთან, მაგრამ თამარს არავინ შეუწუხებია. ხატთან მივიდა და სალოცავად მოიყარა მუხლი. როდის-როდის პირიმზისამ შეიჭვრიტა კარავში და მეცნე რომ ლოცვის ექსტაზში დაინახა, უხ-

მოდ გავიდა გარეთ. თამარს არ გამოპარვია მოსამსახურის შემოსვა-ლა-გასვლა. მალე მოიკითხა კიდეც.

პირიმზისა მიეახლა და მორჩილად, გულხელდაკრეფით დადგა, ბრძანების მოლოდინში.

თამარი დუმდა და ერთ წერტილს მიშტერებოდა. დაცდილი ჰქონდათ მოსამსახურეებს თამარის ასეთი გარინდება. უთუოდ სტუ-მარი ეწვეოდათ. კარვები დაიცალა. ყველა საქმეს შეუდგა. ბანაკში მხოლოდ მეფე, სეფექალები და რამდენიმე მცველი დარჩა.

ნაშუადლევს უცხო მხედარი მოადგა კარვების მინდორს. მცველებმა იარაღი შეაუდარუნეს და ნაბიჯები წინ მოიცვალეს. არ გამოპარვია თამარს სტუმრის გამოჩენა. თითქოს ელოდა კიდეც.

მხედარი ჩამოქვეითდა, აბჯარ-იარაღი იქვე მიაწყო და მეფეს მიეახლა.

– დღე მშვიდობისა მეფეთმეფევ და მწყალობელო. მე ჩემი სოფ-ლის და სოფლელების სახელით მაქვს პატივი მოგახსენოთ, შემოგა-რენში სრული სიმშვიდეა, თუ არ ჩავთვლით ერთი-ორჯერ ქართუ-ლი და ოსმალური სამანის დარღვევას. თვითნებობა ალვკვეთეთ, მა-გრამ მაინც სიფრთხილეა საჭირო. არავინ იცის რა მისით გვეწვე-ვიან დაუპატიუებელი სტუმრები, მაგრამ საკადრისი რომ მივუზღეთ ეს მათთვის გაკვეთილი იქნება და სიტყვიერადაც გავაფრთხილეთ, რომ საქართველოს ვინც რამენაირად ბუზს აუფრენს, საკადრის პა-სუხს გავცემთ და ეს თქვენი დიდების, ძლიერების დასტურით გავპე-დეთ. ამჯერად, ალბათ გვაპატიებთ, როცა თქვენი სახელით მუქარის შემცველი გაფრთხილება გავატანეთ არასასურველ წვეულებს.

– ვინა ხარ მხედარო? არც სახელ-გვარი მოგიხსენებია და არც სოფელი დაგისახელებია.

– მერისიდან გახლავარ, გოგორისშვილი მამია. სოფელი ვახ-სენე, თორემ ხეობის სახელით გეახელით, რომელიც ძალიან დიდია და სახელმწიფო ძლიერების ერთი პატარა ბერკეტია.

– გასაჭირი ხომ არა გაქვთ-რა, უბრალოდ ხომ არ გვეწვეოდი. მიზეზი გექნება ალბათ წვევისა.

– არაფერი დიდო მეფევ, თუ არ ჩავთვლით სათვალავში იმ წყე-ნას. რომელიც ჩვენს ხალხშია.

– ნუთუ რაიმე დაგვიშავდა?

– თქვენი სტუმრობის ღირსს თუ გაგვხდით ეს იქნება უდიდესი ზემომი ჩვენს გულებში.

– მაგ სურვილს ალბათ მომავალში შეგისრულებთ, დღესდღე-ობით აქ ვრჩებით და ხვალ თუ ზეგ გონიოსკენ გავწევთ სახელმ-წიფო საქმეების მოსაგვარებლად. მანამ კი საბრძოლო დანიშ-ნულების მშენებლობით ვართ დაკავებული.

თამარი კარავში შებრუნდა. მხედარი მცველებმა კარვების სა-მანებს გააცილეს.

მღვდელმთავარი იოანე ეწვია მეფეს, რამდენიმე ანაფროსნის თანხლებით.

– რახდება მამაო, ხომ მშვიდობაა?

– თქვენი ბრწყინვალების მადლ-მირონით მშვიდობაა დიახაც. ზედა ციხე ვაკურთხებინე და ამის მოსახსენებლად გეახელით. მცხ-ოვრებლებს აინტერესებთ, რა დანიშნულების იქნება ყოველივე.

– მაგას ზაქარიაც მოგახსენებდა, მაგრამ არც მაგან იცის ჩემი ჩანაფიქრის შინაარსი.

– წყლის პირას ციხე-სიმაგრე საბრძოლო დანიშნულებისაა. ზე-მოთა კი მეკავშირის როლს ითამაშებს, „ქუდზე კაცის“ წვევის შემთხ-ვევაში. ასეთები, სატახტო ქალაქიდან ყველა მიმართულებით უნდა ავაგოთ, შეიძლება ყველა პატარა ხეობაშიც. ცეცხლის დანობებით, კვამლის შეფერილობის მიხედვით მომდევნო მეციხოვნე შემდეგს გააგებინებს, მომდევნო – მომდევნოს და ასე ბოლომდე.

– კარგი სურვილია, კარგადაც აგვიდენოდეს შვიდმნათობიერო.

– ეს მარტო სურვილი როდია, თუ ჩავიფიქრებთ შევასრულებთ კიდეც. არაფერი ხელს არ შეგვიშლის, მთავარია მონდომება და ხალ-ისი. ხანდახან მარტო ბრძანებებს არ უნდა ელოდნენ. თუ ხალხში ერთსულოვნება სულევს, საქმე თავისთავად წაიწევს წალმა.

– უფლის მადლით, ხალხის ლოცვით, თქვენი შუბლისა და ნათელი საქმეების მირონით ჩვენი საქმე ყოველთვის წალმა წავა დედოფალო.

– გისმინოს უფალმა. მომიტევე მამაო, საშური საქმე ან სათქმე-ლი არ გაქვს მგონი, მარტო ყოფნა მინდა და გთხოვთ ამ ერთხელ მაპატიოთ.

– თქვენი სურვილი უზენაესის ბრძანებისდარია. გემორჩილებით დედოფალო.

– მამაო, სანამ აქ ვიმყოფებით, თუ ვინმე შესაულლებელი გყავთ, შევაულლოთ და ჩვენს აბარგებამდე ჯვრისწერა ჩავატაროთ.

– ვლებულობ სურვილს ბრძანებისდარად. აღსრულებულ იქნება მეცვე.

თამარი მარტო დარჩა კარავში. თავი ბალიშზე მიღო და რამდენიმე წუთით თვალები მილულა. ფერადი ზმანებიდან მოახლებ გამოარკვია.

– მაპატიეთ დედოფალო, მგონი მყუდროება დაგირღვიეთ.

– რა მოხდა პირიმზისა?

– არაფერი ცუდი დედოფალო, ერთი დედაკაცი გეწვიათ და შესატყობინებლად შემოვედით.

– შემოუშვი, რას ელოდები. ნებისმიერ ქალს ვცეთ პატივი ღირსნი არიან.

ლამაზად ჩაცმული, ლამაზი აღნაგობის ქალი თავდახრით შევიდა კარავში და ჩამუხვლას აპირებდა.

– არ გაძელო ქალბატონო დაჩოქება. შენ დედა და მე შვილი, თქვი რა გაჭირვებია.

– გაჭირვება და გასაოხრებელი მტერს შეყრდეს დედოფალო. სათხოვარი მაქვს, შვილი მყავს დასაოჯახებელი და თუ არ იუკადრისებთ, თქვენგან დალოცვა მინდა ჯვრისწერისას. თუ ამ სიკეთეს მიზამით, ბაბუათქვენის მაღლიც გაასმაგდება ჩვენს სოფელში და... სხვა არაფერს გთხოვთ.

– გამახარე ქალბატონო. მლელელმთავარსაც დავავალე დღეს მაგისთანა საქმეების მოგვარება, აუცილებლად შეგეწვით.

– დიდ პატივს დაგვდებთ. ალბათ სამაგიეროს შვილი გადაიხდის.

– სამაგიეროს? მერედა ვინმემ შეგანუხათ? აი, შვილებს რომ დაუზრდიან სამშობლოს, ეს იქნება სამაგიერო. ამაზე დიდი ვალი ქვეყნის წინაშე არაფერია. გაზრდით შვილებს და ვალიც გადახდილი იქნება.

– ნება მიბოძეთ წავიდე დედოფალო, ძვირფასი დრო წაგართვით.

– არაფერია, ვისვენებდი. წაბრძანდით და საქმეს შეუდევით. ისე შვილს მაახლებდეთ კარგი იქნება.

– მშენებლობაზე გახლავთ დედოფალო.

– კარგია, უქნარა არ ყოფილა. ჯვრისწერაზე შეგხვდებით და სურვილიც აგისრულდებათ.

დღე დღეს მისდევდა. მაღლდებოდა ციხეები, იგებოდა ნახუ-ცრეთთან ახლოს ხიდიც. ერთ კვირაში ქორწილებიც გააჩალეს სოფელში. თამარ მეფის და შოთას თანდასწრებითა და ხელდასხმით რამდენიმე წყვილს ჯვარიც დასწრეს. გაიხარეს სოფლელებმა მეფეთმეფის ამგვარი ღირსახსოვარი ამაგით.

თექვსმეტ დღეს დარჩენილა საქართველოს დედოფალი და მეფეთმეფე თამარი სოფელ სავანეში. ხალხის სიყვარულით, ბუნებით და ქველმოქმედებით გაიხარა და მადლობაც დაიმსახურა.

იშვიათობა არასოდეს ყოფილა რომელიმე სოფელში მეცეთა სტუმრობა, მაგრამ ამ სოფლისათვის იგი განსაკუთრებულად სასიხ-არულო ყოფილა.

თექვსმეტ დღეში ბევრი რამ გააკეთა. დასასრულს უახლოვდებოდა ციხეების მშენებლობა. დამთავრდა ნახუცრეთის თაღიანი ხიდი და სოფლის წყარო, რომელსაც მცხოვრებლები ხან „შველის წყაროს“ ხან კი „თამარის წყაროს“ ეძახია.

ხიდმა მდინარის ორივე მხარის აპრეშუმის გზის მონაკვეთები შეაერთა. გაიხარეს გაღმა-გამოლმელებმა. წასვლის წინ ბანაკთან დარბაზითა ბრძანა თამარმა. სოფლელები უკლებლივ მოგროვდნენ. მინდორზე ტევა აღარ იყო.

– ჩვენი ყოფნის დრო ამოიწურა. საძნელო საქმეს არ წარმოადგენს ციხეთა დასრულება, ამიტომ თქვენი იმედით გტოვებთ და იმედია დაასრულებთ, დიდი მადლობა თქვენაც, ამდენ ხანს რომ შეგვინახეთ ამდენი ასეული ადამიანი – წარუდგა მეფე შეკრებილებს და მადლიერების ნიშნად თავიც მდაბლად დაუკრა მასპინძლებს.

– რას ბრძანებთ საქართველოს მზეთამზევ, ჩვენ არ შევწუხებულვართ და არც არასოდეს შევწუხდებით. სახელმწიფო საქმეებს რა გამოგილევთ, თორემ ბრძანდებოდეთ სანამდეც ერი ამის საშუალებას მოგცემთ. არასოდეს შევრცხვებით. თქვენ ყველას უყვარსართ და არ არსებობს ადამიანი, გულიდან სიყვარული ამოილოს თქვენი.

– მჯერა და დიდი მადლობა სიყვარულისათვის. ჩემი ერის, ჩემი ქვეყნის, თქვენი ყველასი ქომაგი და შემწე ვიქნები. რაც კარგი გაგვიკეთებია უფალი ყველაფერს დაგვიფასებს ყველას, მთავარია უფა-

ლი არ დავივიწყოთ და ლოცვა-ვედრება გავუგზავნოთ. გემშვიდობებით და ვინძლო მტრები არ გაახაროთ, თუ რა თქმა უნდა გვყავს ისინი.

ერთხელ კიდევ მიართვეს სოფლელებმა მადლიან სტუმრებს გემრიელი დასანაყრებელი, ერთხელ კიდევ გადაეხვივნენ ერთმანეთს დამხვდურ-მოსულები და ბანაკი შუადლის შემდეგ აიშალა.

— დამილოცნიხართ, სიხარული და ბედნიერება უკუნითი-უკუნისამდე, გამრავლება და სამშობლოზე, ერზე სამსახური უფლის ძალით, მადლ-მირონი წაგდოლოდეთ წინ – თქვა ეს, ჯვრიანი ხელი ზეაღმართა და ხალხს ჯვარი გადასახა. შემდეგ ცარიელი ხელი ცისკენ აიშვირა, რაც ნიშანი იყო დაძვრისა.

და დაიძრა მეფე მხლებელ-დამხდურებით აჭარისწყლის ხეობით დაღმა, ციხე-ქალაქ გონიოსკენ. მადლიერმა სოფლელებმა სიმღერით გააცილეს მზეთამზე თამარი და სევდიანი სახეებით სოფელს დაუბრუნდნენ.

თამარ მეფის ნაბანაკარ ადგილს, მის საპატივცემულოდ, სავანელებმა სახელად „ნადარბაზევი” უწოდეს, რომელიც სოფლის სახელწოდებად აქციეს მცხოვრებლებმა.

მზეთამზისა და მეფეთმეფე თამარ დედოფლის სახელი და ნაქველმოქმედარი, ნატერფალ-ნაუბრები პირზმინდად გადაეცემა თაობებს – ზოგი ზეპირად, ზოგიც ჩანაწერების სახით. ხალხის ხსოვნას შემორჩება თამარ მეფე და არასოდეს დავიწყება არ უწერია.

„წმინდა ნინო” – უკვდავია,

„იქსო ქრისტე” – უკვდავია,

უკვდავია – „შოთა რუსთაველი”

უკვდავია – „თამარ მეფე”

უკვდავია ქართველი ხალხიც.

... ეს პატარა ამბავი ხუცურის ანბანითა და დიდი უფლის შენევნით აღვწერე და დავტოვე ეკლესიის საგანძეში, ვინძლო თაობებს გადაეცეს და ხალხმა არ დაივიწყოს საქართველოს სულინმინდის ნამოქმედარი, მისი სახელი საფიცარი ყოფილიყოს ყოველთვის, ან და მარადის. ამინ!

ხუცესი ანანია

მინაწერი ბოლოში

სამხრეთიდან მომდინარე მღვრიე მდინარისა და აჭარის მდინარის შეერთების ადგილას მეფეთმეფეს ორმალიანი ხიდის აგებაც განეზრახა მგზავრობისას, ბურჯიც ჩაადუღაბებინა, მაგრამ მაღლემ-სრბოლმა გონიოს ციხე-ქალაქში დესპანების წვევა აუწყა და ხიდი ასაშენებელი დარჩათ.

სასწრაფოდ გაეშურა მზეთამზე გონიოსკენ – სახელმწიფო საქმეები მოგვარებას ითხოვდა.

მეფე-თამარმა გონიო მოინახულა, სამეფო საქმეები მოაგვარა და უკან დაბრუნდა ზღვისპირეთით.

რუსთაველი ალარ ახლდათ უკან მობრუნებულს. სავარაუდოდ გონიოდან გაემგზავრა იერუსალიმის გზას, ნმინდა ადგილების მოსალოცად და დასამკვიდრებლად.

12076. პარასკევი. 15 თიბათვე

მღვდელი გაბრიელი

თავი V

საბამ ოფლი მოიწმინდა სახეზე, მიმოიხედა, ჩაახველა და ფურცლები მუშამბაში ჩადო.

ეკლესიაში ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდა კაცი, ისეთი სინყარე გამეფებულიყო.

მტრედებმა გაიფრთხიალეს და სარკმლიდან გარეთ გაფრთხიალდნენ.

— აბა ავტორი არ გააჩინია ნაწერსო, საბა. ეგ ანანია ხუცესი ვინდა მაშინ – წამოიძახა ეკატერინემ.

— მოდი ახლა და გაიგეთ ვინაა ხუცესი ანანია. ხუცესები ხომ ათასობით იყვნენ. გვარი არა აქვს და როგორ გინდა თქვა, ავტორი მაინცდამაინც ანანიაო – დაასრულა საბამ.

— ასე თუ ისე დამწერის თუ გადამწერის ვინაობა ცნობილია, უფალმა მისი სული სასუფეველში ამყოფოს, კაი ამბავიც დაუტოვებია ჩვენთვის. ახლა როგორ გინდა, რუდუნებით აგებული ციხეებისა და სხვა რამების მიტოვება და ოსმალთა ხელში ჩაგდება – წამოიძახა აქამდე წყნარად მყოფმა ქრისტინემ.

— ხალხო რამდენადაც ვიცი, ოსმალებმა ხალხი მოაქციეს თავის რჯულზე, თორებ ნაშენზე არსად ხელი არ დაუკარებიათ, ეკლესიებზე თითოც არ უხლიათ, ახლოს არც ეკარებიან და რა ღმერთი გაუწყრებათ ჩვენი ეკლესია და საყდარი მიწასთან გაასწორონ.

— თვითონ არ ანგრევენ, მაგრამ შესაძლოა ისეთი სულმდაბალი ვინმე გამონახონ გამუსლიმანებულთა შორის, რომელიც ითავებს ამ საქმეს და ნალოლიავებ ფასეულობებს პირწმინდად გაანადგურებენ. ჩვენ რომ გვგონია ესა და ეს ადამიანი წმინდანიაო, გაიხედავ და ქვეყნის დამაქცევლებს ამოდგომია გვერდით. ამის მაგალითები უხვად აქვს საქართველოს ისტორიას. ხარბია ადამიანის ბუნება და იქნებ გროშებს დახარბდნენ და მტრის იარაღად იქცნენ მოულოდნელად. რას იზამ, ზოგს ჭკუა თვალებში აქვს და არა იქ, სადაც უნდა ჰქონდეს – თქვა პაპა დღოროთიმ.

ბასილი და ანტონი წინ წამოდგნენ.

— ხალხო, სანთლები დავანთოთ ყველამ და თამარ დედოფლის სულის მოსახსენიებელი ლოცვა აღვავლინოთ, იქნებ მეფეთმეფის

ლვთით ნაკურთხმა სულმა დაგვიხსნას განსაცდელისგან. ჩვენ ჩვენი საკეთებელი ვაკეთოთ – ვილოცოთ და უფალს ვევედროთ, დანარჩენი უფლის ნებაა... ჩვენი ყოფა წყალწალებულისას გავს, რომელიც უფალს ვევედრებოდა – გადამარჩინე დახრჩობასო. ხელი გაანძრიე და გეშველებაო. აი ასეა ჩვენი საქმე.

– მართალს ამბობენ მეზობლებო წმინდა მამები. თამარ მეფის მოსახსენიებელი ლოცვა მწუხრის ლიტანიას შევუერთოთ და სანთლების კვამლს გავატანოთ უფალთან ჩვენი მადლიანი სავე-დრებელი – კვერი დაუკრეს ბერებს უხუცესებმა და სალოცავად გაემზადნენ.

მწუხრის ლოცვის ზარებს უკვე აუღარუნებდა მნათე. ხალხი მი-აწყდა ეკლესიას და საყდარს, ტევა ალარ იყო, ამიტომ ეზოში და მესერ-გარეთ ხმამაღლა ლოცვით უერთდებოდნენ საყოველთაო სავე-დრებელს.

– როდისაა თამარის სულის მოსახსენიებელი თარიღი? – იკითხ-ეს ზაალმა და პაპუნამ.

– პირველი მაისია, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს თუ როდის მოიხსენიებენ მას. განა ვინმე დაგვსჯის თარიღის გადაწევით შეს-რულებული ლოცვისათვის? ილოცე როცა გინდა და სადაც გინდა, ოღონდ ნუ დაივინწყებ გასახსენებელ-მოსახსენებელს. თამარ მეფე კი ქართველებს წმინდანად გვყავს შერაცხილი და მისი ფრესკა ხატისმაგვარია. მიდი და ილოცე, ევედრე მისი სახელით უფალს. ამაზე მეტი რა გინდა ადამიანს – უპასუხა ეფრემ ბერმა.

– რა თქმა უნდა არავინ დაგვსჯის მამაო, მაგრამ კარგი იქნებოდა იმ დღეს მოგვესმინა ის ამბავი, დღეს რომ გავიგეთ, თან პარაკლისსაც გადავიხდით, იქნებ შესანირავიც გაგველო – დანანებით ჩაილაპარაკა თანდილამ.

– ეს დღეც მოაღწევს და მაშინაც გავიმეორებთ. რაც მეტჯერ მოვიხსენიებთ მიცვალებულს, იმდენ მეტ მადლს შევიძენთ და თუ სულის გახარებაა, ალბათ გაუხარდება იმდენჯერ – თქვა მამამზემ და მღვდელს ანიშნა, გაეგრძელებინა წირვა-ლოცვა.

მღვდელმთავარი ამბიონზე ავიდა, თამარ მეფის ფრესკას სიყვარულნარევი ნათელი თვალები მიაპყრო, თითქოს ნებართვას იღებ-სო, სამჯერ პირველა გადაიწერა და მრევლისკენ შებრუნდა.

– სახელითა ღვთისა, მამისა და ძისა მისისა, შეგვენიოს უფლისვე დახმარებით, საქართველოს უწმინდესი დედოფალთდედოფალის, მეფე თამარის უწმინდესი, უგანსვენებულესი და ცადამალებული სული, რათა დაგვიფაროს ურჯულოთა შებილწვისაგან, ძალადობისა და კაცთაკულისაგან. მოგვიტევოს ცოდვები და კალთა მისი გადაგვაფაროს ყოველთა მისთა გაჩენილთა, ვითარცა შვილთა საკუთართა დედა თვისი. ყველა მოციქულთა და ყოვლადწმინდა წინამძღვლის იესო ქრისტეს ნათელი სული და საქმენი სასწაულთანი გვფარავდეს მიწინერ ცოდვილთ, რამეთუ ვართ მოკვდავნი და ცოდვათა ჩვენთა მიტევება უფლისა გარდა არავის ხელენიფების. გვფარავდეს მალალი ღმერთი, წინაპართა სულები, წმინდა გიორგი, იესო ქრისტე და სხვა მოციქულები, ამინ – დაასრულა მღვდელმთავარმა გაბრიელმა და ამბიონი დატოვა.

გრიგოლ წინამძღვარი სანთელ-საკმევლით უკვე მზად იყო – მანაც აღასრულა თავისი მოვალეობა. წირვა-ლოცვის დასრულების შემდეგ ეზოში გამოვიდა ყველა და თავთავიანთ სახლებს მიაშურეს, ეკლესიაში რამდენიმე სასულიერო პირი და სოფლის რჩეული საზოგადოება შემორჩა.

– მამაო ანტონ, რატომ არ მოიხსენიება შოთა რუსთაველი ეკლესიის სულთა და მოციქულთა რიგში, რამდენადაც ცნობილია, იერუსალიმის წმინდა მამათა შორის ერთ-ერთი უაღრესად გათვითცნობიერებული ადამიანი იყო და აკი იქვე აღესრულა კიდეც, გაანათლოს მისი სული უფალმა – თქვა ბაქარმა და ირგვლივ მიმოიხდა.

– რას ამბობ შვილო – შეეპასუხა ანტონი – როცა ვახსენებთ თამარს, შოთაც მასთან ერთად მოიხსენიება და თუ ვინმეს მოიხსენიებენ საქართველოში, შოთა უწმინდესიც მათ რიცხვშია. იგი იყო ჩვენი საძლვდელოების უმაღლესი ჩინონსანი მორჩმუნე. მარტო, მისი ვეფხისტყაოსანი ეყოფოდა სალოცავად საქართველოს. როცა ინკვიზიციამ ამისთანა გენიალურ ქმნილებას დევნა დაუწყო, იმთავითვე დიდი შეცდომა დაუშვა. არვის სჯეროდა, რომ ქართველი ბერი ამისთანა მკრეხელობას ჩაიდენდა – ნაწარმოებში ბევრგანაა სამღვდელოების არასასურველი გამოთქმები, მაგრამ არა ჩვენი სამღვდელოების, არამედ ჩვენთვის უცხო ერების... სწორედ ვერ აღიქვეს და ფანატიკოსებსაც ხომ მეტი არ უნდოდათ – მხარი აუბეს. ნამდ-

ვილად არაა ქართველი ხალხის გენიალური შედევრი დევნისა და მოსპობის ლირისი. ჩვენ ამის გამო ეხლაც გვიძულებენ და გვავიწროებენ, მაგრამ ქართველი ერი და საქართველო მრავალ განსაცდელს გაუძლებს. შოთა რუსთაველი პროგრესული ხალხის გულში უკვდავია. მისი წმინდა სული ჯვრის მონასტრის სასუფევლიდანაც გვიფარავს. ჩვენთვის ილოცა და ჩვენთვის აღესრულა. უფალი ნათელში ამყოფებს მის სულს და ჩვენც შეგვეფარება განსაცდელის ჟამს.

– ჰა და ჰა განსაცდელის პირას ვდგავართ მამაო, ვიქონიოთ იმე-დი რომ ჩვენი გავა და მომხდური პირს იბრუნებს ჩვენგან? ნუთუ წინაპართა სულები იმძლავრებენ და დაგვიფარავენ? რაღაც არ მჯერა მამაო – წამოიძახა ბექამ და თვალი ანტონს გაუსწორა.

– ცოდვას ნუ იტყვი შვილო, ჩვენი ვალია ვილოცოთ და იმედი ვიქონიოთ, დანარჩენს უფალი განაგებს, განა გაგიგონია უფლის საქნართა წინააღმდეგ ვინმე წასულიყოს? არა და ვინც ასე მოიქცევა წყეულია უფლისაგან. ჩვენი ვალი კი ჩვენ ისე უნდა მოვიხადოთ, გამკიცხავიც არ გვყავდეს. ლოცვა და იმედი, აი რა არის ჩვენი ფარი.

– კი მამაო, გვჯერა, მაგრამ ერთიც ვნახოთ და ლოცვად დამდგრებს, მტერი ალყას შემოგვარტყამს და ალარ დაგიდევს ვლოცულობთ თუ ვმღერივართ ნაუნჯარ-ნარუდუნევს ისე მიანგრევ-მოანგრევს თითქოს არა იყო რა. არც სასუფლე სამლოცველოებს დაინდობენ ამისი მტკიცედ მჯერა. თუ არ დაანგრიეს, წაბილწვით მაინც წაბილწავენ, ცეცხლით გადაბუგონ იქნებ კიდეც.

– ეჱ, შვილო, ყველაფრის განსაზღვრა არ შეიძლება, ვერ მოვისაზრებთ უბრალოდ, არც ყველაფერზე პასუხის გაცემა შეგვიძლია. ისევ და ისევ ლოცვა-ვედრება და უაღრესი სიფხიზლე გვჭირდება, ჩვენი ფილოსოფიით ძალიან შორს წავედით შვილო. თეთრწვეროსნებს და საერთოდ სასულიერო პირებს ამდენი ლაპარაკის ნებაც არ გვაქვს, მაგრამ განსაცდელის წინაშე ახლა ყველანი ერთსულადა ვართ ქცეულნი და მგონი გვეპატიება. ანე რას ვაპირებთ შვილნო ჩემნო და დარბაისელნო, რა დღეს, რა ხვალე ჩვენი საქმეები უნდა მივიყვანოთ ბოლომდე. მივდივართ თუ ვრჩებით?

– იკითხა მამა ანტონმა და შეკრებილთ თვალი მოავლო.

მამა ანტონს უცებ მზერა გაუშტერდა, ვილაც სახიჩართვალადი გარეულიყო ხალხში და ქადაგებას და საუბარს უხმაუროდ ისმენდა.

უცხოვა ანტონმა, შიოს ნიდაყვი გაჰკრა და უცხოსაკენ მიახედა.
 – აქაური არ უნდა იყოს, მგონი მეზობელი სოფლიდანაა, რაღაც
 ნაფორიაქალი გამოხედვა აქვს, კაი ამბის მომტანი არ უნდა ჩანდეს.
 მნათე ვაჩესა და ერეკლეს მიუბრუნდა და თვალით უცხოზე ანი-
 შნა. მათაც მიხედეს და...

– ვიცნობთ მაგ მოსულს, მეზობელ სოფელში მზირად ჰყავთ.
 ჩვენთან შემოსვლა შარიათით აკრძალული აქვთ გამუსლიმანებ-
 ულებს. ვნახოთ ვაჩე რა მისია აკისრია ჩვენს სტუმარს – გადაულა-
 პარაკა ძმამ და ხალხში შეერია.

სახიჩრთვალადს დამალვა არ უცდია, ელოდა კიდეც ვინ შეამჩ-
 ნევდა და როდის. ასე უცებ რომ შენიშნეს გაუხარდა კიდეც. გვერ-
 დით გაჰყვა ძმებს.

– რა ამბავი მოგიტანია, ან როგორ შემობედე. კანონი ხომ
 გიკრძალავს.

– მაგისთანა კანონებს რა ვუთხარი მეზობელთან რომ არ გადა-
 გიშვებენ. ვერ ვგუობ მაგ კანონებს.

– დავალება გაქვს რაიმე?

– ჰო, ჩემი თავი გაახლათ ერთი ბინბაშის ნამხევლარმა, აიშე-
 ანუმმა რომელიც გამოქცეულა ოსმალებისაგან და ცოდვების მოსა-
 ნაიებლად კეთილი საქმეების კეთება განუზრახავს.

ოსმალები დიდალ ჯარს ამზადებენ თურმე თქვენს სოფელზე თავ-
 დასასხმელად, გასაულეტად და გადასაბუგად. ერთ-ერთ კეთილ საქმედ
 თქვენთან ამბის მოტანა ჩათვალა და ამ საქმისათვის მე მომმართა.

ბინძური ხალხია ოსმალები სულით-ხორცამდე, ვერაგი და
 დაუნდობელიო. ასე გვიამბო. შებრალება და ხათრი არ იციანო, ფეხ-
 ქვეშ თელავენ ყველაფერს და ურჩებს სასტიკად უსწორდებიან, თუ
 შეუძლიათ, თავი გაარიდონ სისხლისმსელებსო, ეს იქნება ჩემი მათ-
 დამი შურისძიება და თქვენზე დახმარების მადლის ქმნაო.

სახიჩარდვალმა ირგვლივ მიმოიხედა და ისევ ვაჩესა და ერეკ-
 ლესაკენ მოტრიალდა.

– თქვენთან რომ ობოლი ბიჭი იზრდებოდა, რა ქვია?

– მამამზე-ბატონმა თავისი შვილის მათეს სახელი შეარქვა – თქვავაჩემ.

– რამდენიმე დღის წინ ჩვენს სოფელში ვნახე, რაიმე დავალება
 ხომ არ მიგიციათ?

– არა, მაგრამ ალბათ მზირის როლი იკისრა თვითნებურად, ძალზედ სძულს ოსმალები და ალბათ მათ გამოჩენისთანავე თავქუდ-მოგლეჭილი გამოიქცევა სოფელში. უნდა რომ რითიმე თავისი ვალი მოიხადოს სოფლელების წინაშე, ალბათ ალზრდისა და შეფარების სანაცვლოდ ასე უნდა გადაგვიხადოს მადლობა – თქვა ერეკლემ.

– ენდობით?

– თავზე მეტად.

– მაშ თუ ოდნავ საეჭვო რამ შევნიშნეთ და ეგ პიჭიც ახლომახ-ლოა, აუცილებლად თქვენსკენ ვაფრენთ.

– დიდი მადლობა.

– ისე ესეც იცოდეთ, ჩვენ სარწმუნოება შეგვიცვალეს, მაგრამ ხალხი სულიერად თქვენ გიდგათ გვერდით.

მოსაუბრეებს კახაბერი მიახლოებოდა და საუბრის ბოლო ფრა-ზა მის სმენას არ გამოჰპარვია.

– თქვენგან დახმარება არ ეგების, არ გვინდა ზედმეტი სისხლის-ლვრა, ჩვენ როგორმე გავართმევთ თავს მოძალებულ ავ ამბავს. რაღა საჭიროა უაზრო სისხლისლვრა.

– საღად მოაზროვნე ხალხის აზრია, აიყაროთ და გაერიდოთ სოფელს, ეგებ თავი დაგანებონ და მოცილდნენ ისმალები აქაურობას.

– ჩვენც ასე ვაპირებთ სტუმარო, ოლონდ მოძალადის ყურამდე არ უნდა მიაღწიოს ამ ამბავმა, მაგრამ ისიც ვიცით, ვიდრე სოფელს თავიანთ ხმალს არ დაუმორჩილებენ, თავს არ დაგვანებებენ. არ არი-ან ისეთი გულუბრყვილოები. ვიდრე არ დააშინებენ მოსახლეობას, იციან რომ წინააღმდეგობა ყოველთვის იქნება. არ ეშინიათ, მაგრამ არც გაუთავებელი აყალმაყალი მოსწონთ. მათი მთავარი დევიზი დაპყ-რობა, დაშინება ან უკიდურეს შემთხვევაში – განადგურებაა.

– ჩვენგან ამბავი არ გაუონავს, მაგრამ ვერც იმის იმედს ვერ მოგვცემს ვერავინ, რომ ვილაცა განუწყებული არ გამოჩიდება და... ერთი სიტყვით მე წავედი და უფალმა დაგიფაროთ ყოველგვარი ავისაგან.

– უფალმა გისმინოთ სტუმარო.

...საშიშროების სამანები სოფლისაკენ გადმოიწია.

ავი ღრუბელი იკრიბებოდა სოფლის ცაზე, დაქუხებას აპირებდა.

მამამზე, მახარე, ლაზარე, დოროთი და ელიზბარი ეკლესიისაკ-ენ წავიდნენ. გზად მელიტონი, ალმასხანი და სხვა გლეხებიც შეუერთდნენ მიმავალთ.

კრებული წყნარი სჯა-ბაასით ეკლესიის ეზოში შევიდა. სამღვდელოებაც ეზოში თავმოყრილიყო.

– კეთილი იყოს თქვენი შემობრძანება მეზობლებო, ღმერთით კეთილი ამბის მაცნე ხართ – წამოდგა გაბრიელი და მოსულთ მიეგება.

– გუშინ მეზობელი სოფლიდან ამბავი მოვიდა, ოსმალები გაჩარებულად ემზადებიანო – თქვა მელიტონმა და სამხრეთით ჰორიზონტს გახედა – საშიშროება მოახლოებულია, დროა იმედიანი სიტყვა ვთქვათ, გადაწყვეტილი, რა ვქნათ და როგორ მოვიქცეთ.

– ჩვენ გადავწყვიტეთ ადგილზე დავრჩეთ – თქვა გრიგოლ წინამძღვარმა – დარჩენილებს სულიერი თანადგომა სჭირდებათ.

– მამაო, თუ ოსმალები შემოვიდნენ, თქვენ სიცოცხლეს უნდა დაემშვიდობოთ, აპა ვინ მოგცემთ სამღვდელოებას დარჩენისა და ქადაგების უფლებას. ასე რომ იყოს, მაშინ რაღა უნდათ რომ შემოდიან, შემოგითვლიან, იყავით ისე როგორც აქამდე ყოფილხართ და გააგრძელეთ თქვენებური სამოთხის გზის ძიებაო. ეჲ, მამაო, ავიყაროთ და ცარიელ-ტარიელა სოფელი დავტოვოთ სულაც.

– განა გარიდებით გადავრჩებით შვილნო ჩემო? – ჩაერია საუბარში გაბრიელი – საღაც არ უნდა ვიყოთ მაინც მოგვაკვლევენ და გაგვისწორდებინ ალბათ.

– სამაგიეროდ ერთად ვიქენებით, ხოლო როცა ერთად ვიქენებით ვერ გაგტეხავენ – თქვა ფარნავაზმა და მიმოიხედა ვინ დამემოწმებაო.

– ეგრე რომ იყოს, მაშ რაღად მივდივართ, ბარემ აგერ ვართ და მაგრადაც ვართ, რა გვიშლის ხელს. ეჲ, ჩემო კარგებო, აგორებულ ზეირთებს იშვიათად თუ რაიმე გადაურჩება. ჩვენ ვიცდილოთ უსუსურების გადარჩენა, თორემ ვისაც იარაღის ტარება შეუძლია, უნდა ვებრძოლოთ ურჯეულოებს. მე პირადად – მოვკვდები და არ დავნებდები.

– რა ვქნათ მამაო?

– უნდა გავერიდოთ ყველამ.

– მაშ გადაწყვეტილია.

– კი. ყოველგვარი ფასეულიც უნდა გადავმალოთ, ეს უფრო საშური საქმეა. ახლავე უნდა შევუდგეთ საქმეს. საყდრისა და ეკლესიის ავლადიდება ერთგულ, მზრუნველ ხელს ითხოვს და საიმედო ხალხს უნდა ვანდოთ.

– სოფელში მამაო განა ძებნა უნდა ერთგულ ადამიანს? ყველა ერთსულ და ერთხორც...

– ჰო, მეც მასე ვიცი, მაგრამ მოსაფრთხილებელი და გადასანახი ფასეულობა სულ მცირე ორი ან სამი ადამიანის ხელში უნდა იყოს, სხვებმა არ უნდა იცოდნენ ადგილსამყოფელი.

– მართალს ბრძანებთ მამაო, საამისოდ თქვენი შენუხება აღარ დაგვჭირდება, ვანდობთ რომელიმეს ისე რომ სხვებმა არ იცოდნენ შემნახველთა ხელში რა არსებობს.

ეკლესიისა და საყდრის ქონება საიმედოდ შეკრეს და შეფუთეს, ჯორ-ცხენებს აკიდეს და სოფლიდან დაიძრნენ. ნახირიც გაირეკეს მთებისაკენ.

წყევლა-კრულვა ისმოდა ირგვლივ.

უხილავ მტრებს მუშტს ულერებდნენ და წყევლას უგზავნიდნენ ქალები, ჯიშ-ჯილაგს უნკვეტდნენ გუნებაში.

უკანასკნელად წირეს ეკლესიაში და სახიზარებისაკენ დაიძრა ყველა.

ფეხათრევით, უკან ცქერით და ცრემლნარევი ქვითინით და-ტოვეს სოფელი მოხუცებმა.

მღვდელმთავარ გაბრიელს კახაბერი მიუახლოვდა.

– მამაო, სოფელში მრავალი დასაწყვილებელი ახალგაზრდაა, ბარემ შეგვეულლებინა და ისე დავცილებოდით ეკლესიას. ამით ღვ-თის წინაშე მოვიხდიდით ვალს და მადლსაც ვიზამდით.

– ჯვრისწერისათვის შვილო მაინცდამაინც ეკლესია არაა საჭირო, ხატი თან მიგვაქვს და დავთრები. ეგ საქმე მე მომანდეთ. ოღონდ სურვილი იყოს და ყველა ხის ძირას შეიძლება ცერემონიის ჩატარება. თუმცა, განა ახლა ამის დროა?...

– ცოდვა არ იქნება მამაო, ვისაც ვინ უყვარს, თაფლობის დღე მაინც ეხილათ. ვინ იცის... იქნებ მართლა უნდა გავწყდეთ და ბარემ ჯვარდაწერილები მისულიყვნენ საიქიოს.

– რას აგიკვიატებიათ გაწყვეტა, განა მაგისათვის ვიხიზნებით?
– იკითხა ჭაბუკამ და მოსაუბრეებში გაერია – ჩვენ უნდა გავიმარჯვოთ და სოფელში დავპირუნდეთ.

– კაი იმედია შვილო, უფალმა გისმინოს, მაგრამ მაგ სურვილს ასრულება არ უწერია. რა ძალა შეგვწევს გახიზნულთ რომ მტერი

მოვიგერიოთ. თუმცა იქნებ არც გამოგვედევნონ და თავი დაგვანებონ საერთოდ.

– მაგის იმედი ნამდვილად არა გვაქვს, იმოდენა გზაგამოვლილი ჯარი უკან არაფრით არ გაბრუნდება, აუცილებლად გამოგვიდგებიან კვალში.

– გამოგვიდგებიან და დავუხვდებით კიდეც. ჩვენ აქაურობას შეზრდილები ვართ, ადგილმდებარეობას კარგად ვიცნობთ, ჩავსაფრდებით და აძრვულუავთ.

– ეჰ, რა გითხრათ შვილებო, ერთ რაზმს ამონყვეტ, მეორე მოვა, შემდეგ მესამე და ასე დაუსრულებლივ. თუ ეშმაკობაში და ხერხში ვაჯობებთ, იქნებ გავანადგუროთ კიდეც, მაგრამ თავს მაინც არ დაგვანებებენ, და შემდეგში მრავალრიცხვან ჯარს მოგვისევენ. ჩვენ ეხლა ხვალინდელი დღის იმედი უნდა გვქონდეს, მაგრამ ჩვენს იმედს ბოლო ექნება თუ არა, ამის გარანტიას ვერავინ მოგვცემს.

საუბარ-საუბრით სამი საათის შემდეგ სოფლელთა საყვარელ ადგილას – ნატპევს მიაღწიეს და სული მოითქვეს, ქვა-ყორეებზე ჩამოსხდნენ დასასვენებლად.

– გვირბენია და ვერ მივმხვდარვართ. განა ვინმე მოგვდევდა? – თქვა ალმასხანმა და ლოდს მიეყრდნო – ასე თუ ვირბენთ მოგვეჭინება გული ყელში და მოგვახრჩობს, ბეთლემამდე კი კაი ძალი გზა გვაქვს გასავლელი.

– ამაღამ რომ აქ მოვისვენოთ ხომ უპრიანი იქნება მამაო? – იკითხა კახაბერმა და ჯერ სულიერ წინამძღოლს შეხედა, შემდეგ კი ვაჩეს და ერეკლეს გადახედა – გუშინ რომ გესაუბრეთ მამაო, უპირველესად მხედველობაში ესენი მყავდა და კიდევ ბევრი სხვაც. მოდით და ახალგაზრდების სურვილებიც შევასრულოთ.

– ხვალ რა რიცხვია ხომ იცი?

– პირველი მაისია.

– რაო მამაო, ჩაიფიქრეთ რამე? ამ თვეში ხომ იცით რა თარიღს აღვნიშნავთ.

– თამარ მეფის სულის მოსახსენიებელს... თამარობას ჩივიდმეტში, თოთხმეტი კი მისი დაბადების დღე იყო. ისე კი ამბობენ, რომ თამარ მეფე აღესრულა იანვრის თორმეტს თუ თვრამეტს.

– იყოს ნება ღვთისა და აღვასრულოთ თქვენი სურვილიც. მე ძალა და რწმუნება არა მაქს იმისა, ახალგაზრდების სურვილს და მონდომებას გზა გადავუკეტო. აღვასრულოთ რაცა გწადიათ.

ახალგაზრდებმა ყიუინა დასცეს.

გაუკვირდათ მოხუცებს და ქალებს ასეთი ხმაური და ფეხზე წა-
მოდგნენ.

– რა ხდება ჯანგული, გაიგე ერთი – წამოიძახა მოსემ და ახალ-
გაზრდებისა და ანაფროსნებისაკენ თითო გაიშვირა – რა მოელან-
დათ ან რას აწყობენ?

– ვიცირაც ხდება მოსე ბიძია. კახაბერმა წინადადება წამოაყენა
– ვინ იცის რამდენ ხანს გვიწერია სიცოცხლე და ახალგაზრდები,
ვისაც ვინა ჰყავს რჩეული, დავაქორწინოთო.

– კაი აზრია, ისე მე თუ მკითხავთ მთაში, სუფთა ჰაერზე მაისის
თვეში... ღმერთმანი, რამ მოგაფიქრებინათ?... წამოდგა ფეხზე ბებია
ხორეშანი – მერე ამისათვის მზად ხართ?

– როგორ არა ბებო, მღვდელმთავარს უზრუნია წინასწარ.

– ბარემ ეკლესიაში დაეწერა ჯვარი ახალგაზრდებზე.

– აპარა ვიცით ბებო, ეგ გზადაგზაც შეიძლებაო, მთაც ჩვენია და
ბარიცო. მთავარია რწმენა იყოს და სურვილიო, დანარჩენს მოევ-
ლებაო – დაამატა ჯიმშერმა და ახალგაზრდებისაკენ გასწია.

– ღმერთო ძლიერო, გაღმოგვედე და ჩვენს კერაზე დაგვაბრუნე.
ცოდონი არიან ახალგაზრდები, რა უნახავთ წუთისოფელში. განა
ამისათვის გზარდეთ, მტერს შეაწყდნენ – ხვენნა-ვედრება აღავლინა
პაპა დოროთიმ, და მთლიანად შეგროვილ სოფლელებს გადახედა –
ახსენით ცხენებს ტვირთი და მიუშვით საძოვარზე, ჩვენც შევის-
ვენოთ, არ გვაწყენს.

– პაპა დოროთი, ჩვენ ხომ ღამით აქ ვრჩებით. ცოტა კი არა მთე-
ლი დღე-ლამე უნდა დავისვენოთ, თორემ ბეთლემის გზა ძნელი გასავ-
ლელი ყოფილა თურმე.

– ჰო, შვილო, მართლაც ძნელად მისასვლელია და სანამ ამ გზას
შევუდგებოდეთ. მართლაც კარგია მთის ჰაერზე დასვენებაც და კარ-
გად გამოძინებაც.

– წამდვილად ასეა საჭირო და სიცხიზლეც გვმართებს, აბა ხომ
არ ვიცით რა დროს გამოგვიდგებიან კვალში ვერაგი ოსმალები. იქნებ

უფალმა გვიშველოს და უკან გაპრუნდნენ, თუ არა და საკუთარი სისხლით დავიცავთ ჩვენს მიერ დასაცველს. უკან დამხევი არავინაა, ქართველი წაქცეულიც ხმალს მოიქნევს, მაგრამ უფალმა არ დაგვანახოს წაქცეულ-დაწოქილი. გავწყდებით და არ გავახარებთ მტერს.

– ჰმ, პაპა ღოროთი, ჩვენც ამოუდგებით მხარში ვაუკაცებს და ოსმალთა თავებს ჩვენც დავაგორებთ – ბანი დააწია ტუხას წათქვამს მარებმა.

– ეჭ, შვილებო რა იოლი გგონიათ მომხდურთა ამოულეტა. ისინი ხომ ვერაგობით არიან ცნობილები, არავის და არაფერს არ ერიდებიან და არ ინდობენ. ჩვენ ხომ ბოლო ვართ ამ მეხთატეხაში, ნუ გგონიათ რომ ისინი უცებ პირისპირ დაგვიდგებიან. იციან ჩვენი ვაუკაცობის ამბავი და ჩუმად მოგვეპარებიან. გამოჩნდება ვიღაც წუნკალი და გზას მოასწავლის.

წამიერმა დუმილმა მოიცვა მოსაუბრები. ზოგან ოხვრა ისმოდა, ზოგან მუქარა. ნახირი კი შეფენილიყო ჩვეულ საძოვარს და მადიანად შეექცეოდა მაისის ცვრიან ბალახს. ბოჩოლები და ხბოები დაკუნტრუშებდნენ მშობლებთან ახლოს.

– სოფელში ღორები რომ დავტოვეთ, მარტო ამის გამოც გამოგვიდგებიან ოსმალები კვალში – თქვა ხატიამ და შორს, მთებს გაუსწორა მზერა, – რას გაცოფდებიან ხალხის მაგიერ ღორები რომ დახვდებიან.

– შენ ეგა თქვი ხატია, გაცოფდებიან და ღორებსაც ამოგვიწყვიტავენ. არ უნდა დაგვეტოვებინა, უნდა გამოგვერეკა, ცოდონი არიან.

– სად უნდა წამოგვეყვანა, მაგათი დევნის თავი ვისა აქვს. საქონელი სულ სხვაა. ზაფხულში ხორციც არ იჭმევა ღორისა. არც ოსმალები ამონწყვეტავენ. ის მაინც ეცოდინებათ, მაისის თვეში, გაგანია სიცხე-ეში ამონწყვეტილი ღორები რომ აქოთდებიან. თითსაც არ დააკარებენ სათოფეზე არ მიეკარებიან, დააფრთხობენ და ტყეში შემორეკავენ – თავისი აზრი გამოთქვა მათემაც.

– ნეტაი, თქვენ მაგის მეტი საღარდებელი არა გაქვთ? – წამოიძახა ჯვარისამ და მოსაუბრებს მიუახლოვდა – რა ხანია ასე ერთად თავ-მოყრილი სოფლელები არ მინახავს, ცეკვა-თამაში ხომ არ გავაჩალოთ?

– ნეტაი შენ ჭკუაზე დამაყენა გოგო ახლა და მეტი არ მინდა – შენიშნა ბებია ხვარამზემ.

— ვხუმრობთ ბებო, ხუმრობის გარდა აბა რაღა დაგვრჩენია. სახლებს მოვცილდით და სოფელს, აბა გვეცეკვ-გვემლერება. ეჭ, როდის გველირსება მშვიდად სუნთქვა. დავპრუნდებით კი სოფელში ისევ? — კითხვის თვალები მიაპყრო ბებია ხვარამზეს თამთამ.

პირველი გადაიწერა ბებიამ, სხვებმაც მიბაძეს.

— ღმერთმა გისმინოს შვილო, განა ჩვენ არ გვინდა სახლებში დაბრუნება? ამ ხნის ხალხს ტყეში ხეტიალის თავი გვაქვს განა? გვინდა ნამდვილად გვინდა მშვიდობაც და უკან დაბრუნებაც. მაგრამ გველირსება კი? — თქვა და ცრემლები მოიწმინდა.

ლუმილის ტალღამ ისევ გადაუარა სოფლელებს. დიდხანს ისხდნენ ხმაგაკმენდილი და თავჩაქინდრული.

ახალგაზრდები მამა ანტონს მიუახლოვდნენ, რომელსაც თავი ბიბლიაში ჩაერგო და ერთ თავს ჩუმად კითხულობდა.

— მამაო — მყუდროება დაურღვია ლაშამ და მამა ანტონს კითხვა შეაწყვეტინა — ხვალინდელ დღეს რაიმე განსაკუთრებული ელფერი უნდა მივცეთ თუ ისე უხმაუროდ ჩაივლის?

— რა ხდება შვილო, მე რომ არაფერი ვიცი?

მალე ხომ თამარობაა მამაო. მეორეც, ჩვენი ახალგაზრდები აქ, მთაში აპირებენ ჯვრისწერას. ეს მღვდელმთავართან შეთანხმებულია და უხუცესებმაც თანხმობა განაცხადეს.. ერთი ესაა, ახალგაზრდებთან არ გვითათბირია, ზოგს ძალას დავატანთ, იმიტომ რომ ძალიან აჯანჯლებენ და დროს წელავენ, არადა გულისწორი რომ ყველას ჰყავს ეს დასამალი არაა. ჰოდა, ყველაფერ ამისთვის ხომ რაღაც წინასწარი მომზადება საჭიროა?

— მაინც რა ქარმა დაგიბერათ, აქამდე სად იყავით, ან ეხლანდელი მონადინება რას მივაწეროთ?

— მიზეზი და მიზანიც ერთია მამაო. ვინ იცის, ხვალი ან ზეგი გაგვითენდება განა?

— ჩვენ ყველაფერს წესისამებრ ჩავატარებთ, მაგრამ შემდეგ ბევრი რამ ისე არ იქნება, როგორც გგონიათ. ცერემონიალის ჩატარებისას შენობა კი არაა მთავარი, მონდომება და სურვილია საჭირო, მთვარი კი რწმენაა. უიმედო ადამიანს არაფერი ეშველება თორემ, თქვენ ვისაც არავითარი იმედი არა გაქვთ ხვალისა და მაინც იმედიანად ხართ, დიახაც გეკუთვნით ჰატივი შვილებო, აგისრულებთ რაც მოგიფიქრებიათ.

— გმადლობთ მამაო, ეს ერთი საწუხარიც გვქონდა და თუ გულს საგულეში დავაბრუნებთ, მოსვენებით დაგვეძინება, დროებით გავიხ-არებთ და ჭირს უდრტვინველად შევეგებებით, ათკეცი და ასკეცი ძალით მოვიქნევთ ხმალს ძალმომრეობას ვანანებთ მომხვდურებს.

ანტონმა თავი ჩაჰუდა, ბიბლია დახურა და ღანვებზე ცრემლი ჩამოუგორდა.

შორს ტურებმა შეკივლეს, სადღაც ახლოს ფოცხვერმა შეპხავ-ლა, ბუკიოტებმაც ბანი მისცეს ტურებს.

„ლმერთო ძლიერო, ამ დროს ტყიურების ხმა ჩემს ცხოვრებაში არ გამიგონია, ნუთუ გარდაუვალია სიკვდილი? — გაივლო გულში მამამზემ, პირჯვარი გადაინერა და ცეცხლს მუგუზალი მიუწოდა, ზურგით მიეფიცხა და შორეულ მთებს მიაბჯინა მზერა — საიდან შემოეხეტნენ ოსმალები ან მომრევი არა ჰყავთ, ხალხს რომ ახოცინებენ? მთელი საქრისტიანო თითქოს დაყრუებულია, ერთი მუქა სოფელი რომ შეგვატოვეს პირსისხლიან ვეშაპს და... ეჰ, ნუთუ ალარავის ვენალვლებით? მოსრა და მოწყვიტა აჭარა მთელ საქრის-ტიანოს და ჩაყლაპვას უპირებს. თუ ვერასოდეს ვერ გამოიხსნეს აჭარა ოსმალთა კლანჭებიდან, იქნებ სულაც ოსმალეთს შერჩეს და თუკი წინააღმდეგობა არვინ გაუწია, ჯერ კავკასიონამდე მივა და შემდეგ ვინ იცის კიდევ ვის ჩაყლაპავს. ძლიერი მადის პატრონები არიან, არც ცოდვა იციან და არც მადლი. განა აღამიანთა ხოცა მად-ლად ჩაეთვლებათ? ფუი, მაშინ ასეთ სამართალს, სხვებისა არ ვიცი და აჭარლები რომ მოსვენებით არ იქნებიან, ეს კი ნალდად მჯერა. გამოჩენდება ვიღაც ისეთი, კუდით ქვას ასროლინებს, დასუსტდება ბოლოს ოსმალეთიც, მაგრამ სანამ დასუსტდებოდეს, ბევრს მოინელებს. ეეჲ, ბედი თორემ, რაღა მაინცდამაინც ჩვენ მოგვადგა და გვანადგურებს, განა დასავლეთისაკენ უფრო იოლი არ იქნებოდა გალაშქრება? უფალო მაპატიე, ვცოდავ უკვე — დასავლეთიც შენი კალთის ქვეშაა და აღმოსავლეთიც, ჩრდილოეთიცა და სამხრეთიც... მოგვხედე უფალო სისხლისლვრას აგვარიდე, განა შენი გაჩენილები არა ვართ ყველა? თუ ჯოჯოხეთს ერთი წვეთი სისხლი აკლია და ის წვეთიც ჩვენა ვართ? მოგვხედე უფალო, ცოდონი არიან უწვერულ-ვაშოდა ნორჩი ქალ-ვაჟები, ან ბავშვებს რას ერჩი უფალო”? — მნარედ ჩაითქვა სულში და პირჯვარი გადაინერა.

ანტონის ფიქრებში და აჯაში, სხვათა ფაციულუცში უკვე ჩამობ-
ნელდა კიდეც. მთაში ადრე ლამდებაო. იტყვიან და მართლაც თვალ-
სა და ხელს შუა გაიპარა დღე,

სახელდახელო ლამის გასათევი მოაწყვეს, ზოგიც მზად ჰქონდათ
სოფლელებს, როდესაც საიალალოდ ადიოდნენ მაშინ აიშენეს პატ-
არა ქოხები და ნალიები, ამიტომაც ნახევარ სოფელს საზრუნავი არ
ჰქონდა ლამისგასათევისა.

ასკორვანი სოფლელები ორთხბოძალა ნალიებში და ქოხებში
მოათავსეს, ახალგაზრდებმა კი შორიდან ვერშესამჩნევ ადგილას,
ნატბევის მინდოოზე ხმელი ფიჩხები და კუნძები შეაგროვეს, კოცო-
ნი დაანთეს და შემოუსხდნენ.

იარაღასხმული ვაჟკაცები მებრძოლი სულისკვეთებით შე-
მართული ჯგუფ-ჯგუფად განლაგდნენ იქ, საიდანაც შესაძლო იქნე-
ბოდა შემოხეტებულიყო მომხვდური.

პაპა ლაზარეს და მახარეს სახლეულნი ერთად შეყრილიყვნენ
კოცონთან. მელიტონისა და ელიზბარის ოჯახებიც შეერთებოდნენ.

სოფლელ, გასათხოვრად გამზადებულ გოგონებს კი ცალკე, კო-
ცონთან მოეყარათ თავი და ოხუნჯობდნენ.

– ასეთი ცხელი ამინდები თუ დაიჭირა, შემოდგომამდე, გინდაც
დაზამთრებამდე შეიძლება მთაში დარჩენა, მერე კი შეიძლება სოფელ-
ში დაბრუნება – საუბარს მსვლელობა მისცა თამთამ და და-ძებს
გადახედა.

თამთას ანიკომ და ჩიტომაც აუბეს მხარი. ახალგაზრდებში სან-
აძლეოც გაიმართა სოფელში დაბრუნების შესახებ.

აქამდე ჩუმად მჯდარი ჯვარისა წამოდგა და შეკრებილებს თვა-
ლი მოავლო.

– ეკატერინეს ვერ ვხედავ რატომლაც. ის რომ აქ ყოფილიყო
ლამაზ პასუხს გაგვცემდა, მაგრამ არაუშავს, მეც ვვარგივარ ამის-
ათვის. ერთი რამ უნდა გვახსოვდეს, დღედაღამ უნდა ვილოცოთ და
ვევეღროთ უფალს, სალსალამათი დაგვტოვოს და დაგვაბრუნოს
ჩვენს საბუდარში. ყველაფერი უფალზეა დამოკიდებული. მე ღრმად
მწამს რომ უფალი ჩვენს მხარს დადგება...

– მოსაწვევი ხომ არ გაგვეგზავნა პა? – გაიხუმრა უფლისამ. თუ
ასეა, უფლისა მევარდა დამაბარეთ, გდავცემ თქვენს გულისნადებს. ეჲ,

გოგონებო, უფალი არავის მხარეს არ იჭერს, უბრალოდ თავის საბრძანებელს ხანდახან გულისყურით არ ეკიდება და ამის ბრალია ალბათ, თორემ დედამიწაზე ყველა დაეტევა, რა საჭიროა ამდენი ომი და დავიდარაბა. ნუთუ აქამდე ვერ გააძლო თავისი გაჩენილი ოსმალები, ან რა ისეთი ტერიტორიაა აჭარა, რომ გვეპრძვიან და გვაწიოკებენ, ნუთუ სამართალმა არ უნდა დაიჭიროს ერთხელ მაინც ჩვენი მხარე.

— ქვეყნიერება როცა დააარსა უფალმა, ყველა სულიერს თავისი სარჩო მიუჩინა, მაგრამ როდესაც ადამ მოციქულს აპელი და კაენი გაუჩინდა, სწორედ იქედანაა მოყოლებული ქვეყნიერებაზე ერთმანეთის მტრობა, ანიოკება, ომები, განადგურება, დაპყრობა — დამონება და ბევრი უკეთურობა.

— აპელი კაენმა რომ მოაკვლევინა, მის შემდეგ შეიქმნა ძიგილაობა და ომი ორ მოპირდაპირე მხარეს შორის. რა გგონიათ, მოთავდება ქვეყნიერებაზე კინკლავი და ომები? არა. ამას მესამე წარლვნა უნდა. ქვეყანაზე ხელმეორედ თუ სიცოცხლე წარმოიშვება. ალბათ მესამე წარლვნის შემდეგ, ანუ ნოეს წარმოშობილ ხალხისგან გაკვეთილი ექნებათ მიღებული ახალ ერაში და შეცდომებს ალარასოდეს გაიმეორებენ — დაასკვნა შემოპარულმა ლაშამ და ქვაზე ჩამოჯდა.

— ამდენი ფილოსოფია სად შეისწავლე ძამიკო? — იკითხა უფლისამ და ძმას მოეცვია.

— დღედამოსწრება აღმასხან ბიძიასთან ვარ და მის მეტი აბა ვინ ჩამადგევინებდა სიკეთეში ფეხს. ბიბლია ხომ თითქმის დამაზეპირებინეს სულიერმა მამებმა. ადამიანს თუ თავში რამე გექნება, უნდა გაანალიზო რაც იქ წერია. ყველაფერი კი რეალობაა — მომხდარა და მოხდება. ჩვენ კი ბევრი რამ ზღაპარი გვგონია და არც ზღაპრებია კიდევ არარეალური. ყველა მათგანი ცხოვრებაში მომხდარა, მაგრამ უამთაალმწერლებსა თუ მწერლებს შელამაზებული აქვთ და სწორედ ამ შელამაზებულით გვიმსუბუქებენ იმ ტკივილს, რაც ზღაპრების წაკითხვისას გვამძიმებს.

— ეეჲ, გავა დრო და ჩვენზეც დაიწეროს იქნებ რაიმე, მაგრამ მავანნი ზღაპრად მონათლავენ წაწერს და ამბავს. ასეა და...

ერთი ფაცხიდან ქალის შეკივლების ხმა მოისმა.

ახალგაზრდებმა ყური ცქვიტეს, წამოცუივდნენ და ხმის მიმართულებით გაეშურნენ. ქალები ვიშვიშებდნენ ქოხთან.

- რა მოხდა ფაცია დეიდა თუ იცით – იკითხა მზისადარმა.
- მამამზე-პატონი ქადაგად დაეცა მგონია. მასთან მყოფი ქალ-ტატონი სარა მოულოდნელად შეშინებულა და შეიკივლა ალბათ, სხვა არაფერია შემოგევლეთ.
- ეჭ., მაგან აქ არ დახუჭოს თვალები. თქვა ხატიამ – კი გავაპატიოსხებთ, მაგრამ ცოდოა, რაც უნდა იყოს წინასწარმეტყველია და ბრძენი ადამიანი, ან განა ვინმე გვეთმობა სასიკვდილოდ?
- ფური ეშმაკას, რავა სიკვდილზე და უბედურებაზე ლაპარაკობთ სულ, თავშესაქცევი გამოგელიათ თუ რა არის? – ჩაბურტყუნა თამ-არმა და ისევ კოცონს შემოუსხდნენ – სიკვდილს პატიჟი არ სჭირდება, ისედაც მოვა და სანამ არ მოსულა, მასზე ნურც ვფიქრობთ.
- რამდენი გასათხოვარი ვართ თუ იცით? წმონძახა უცებ ანიკომ და გაიცინა – რომელი მიპასუხებთ?
- ოცდათხუთმეტზე მეტი. რატომ იკითხე ანი?
- რატომ და... ბიჭები გაცილებით მეტნი არიან და რატომლაც ასე გოგოებით მდიდარ სოფელში ბიჭებს თავისი გულისწორი ვერ უპოვიათ, თუ არ მივიღებთ მხედველობაში შორენას და ზოგიერთებს, მაგათ თავიანთ რჩეულებზე მზე და მთვარე ამოსდით და...
- შენ რა პილპილნაჭამივით ლაპარაკობ, არავის შეყვარებისარ? ეშ-მაკობ. ჯანგულის რომ ანამებეს ყველამ ვიცით. სანამ დროა ჯვარი დაინ-ერე თორემ, მერე გვიანი იქნება – მათრახივით გადაკრა რუსუდანმა.
- ჯვრისწერა იქნება გოგონებო, მაგრამ დიდ ბოდიშს მოგიხდით და უნდა აგიხსნათ ამ ჯვრისწერის საბაბიც და მიზანიც, თუ მაინც ამაინც განწირულები ვართ და უნდა ვიომოთ და ისიც ლმერთმა იცის ვინ დარჩება ცოცხალი და ვინ არა, ამ ჯვრისწერის საბაბი ასეთია: ვინაიდან მშვიდობიანობის დროს ვიზარმაცეთ და უფლისმიერ ამ ვალს თავი ვერ მოვაბით, უხუცესებისა და სასულიერო პირების შეთ-ანხმების ნიადაგზე დაეწყვილებინათ ყველა, ვინც სურვილს გამოთქვამს. სხვებს კი, მცირეოდენი მინიშნებით მცირე ძალდატანებითაც მოენახათ მეწყვილე და კენტად რომ არავინ დარჩეს, ჯვრისწერა მოახ-დინონ. ეს გახიზვნამდეც იყო გეგმაში, მაგრამ რადგანაც არ მოხერხდა, ეხლა აპირებენ გეგმის დასრულებას. მიზანი კი ასეთია, უნდა ავისხათ გოგონებმაც იარალი, შევიმოსოთ ვაუზრად და ყველა, ჯვარდან-ერილი თავისი ქმრის გვერდით იდგეს, იბრძოლოს და თავიც გასწიროს

თუ ეს გარდაუვალია. უფალი სასუფეველში ჯვარდაუწერელ ხალხს არ ღებულობს, მით უმეტეს ცოლ-ქმარს, ხოლო დასკვნა ასეთია – არც ერთი ჯვარდაწერილი მსუბუქი მოფერების გარდა არ შესცოდავს ვი-დრე გახიზნულები გვევია. თუ სიკვდილი გვიწერია, მინაში უბინობი უნდა ჩავიდეთ – ასეთია სამღვდელოებისა და უხუცესთა ნება – დაას-რულა ქეთევანბა, დაჯდა და თვალები კოცონს მიაშტერა.

ნამით დუმილი ჩამოვარდა, მაგრამ აქა-იქ მაინც ჩურჩულმა იმ-ძლავრა და...

– მართებულად უფიქრიათ ღმერთმანი – წამოიძახა ასმათმა და გოგონებს გადახედა. – ახლა ხუტუნიობის დრო არაა, მაგრამ თუ მართ-ლა ველირსეთ ჯვრისწერას, ნამდვილად საზეიმო ჩანაფიქრია, თუ არა-და ჩვენ მაინც უნდა დავდგეთ მამაკაცების გვერდით და თუ ომი გვიწ-ევს, უნდა ვიომოთ, გავწყდეთ და არ დავნებდეთ ვერაგებს. თუ შეგვამჩ-ნიეს და იგუმანეს, რომ ქალები ვართ აუცილებლად წაგვეპოტინებიან, წაგვბილნავენ და სამაგიეროს ჩვენზე ძალდატანებით აისრულებენ.

– გავწყდებით და არ დავნებდებით – წამოიძახეს ერთხმად.

– ისე ვიბრძოლებთ, მომხვდურიც გავაკვირვოთ, დაწობა არ იქნება. სანამ მოძალადე მოიქნევდეს, უნდა დაასწრო და მოუქნიო, ხომ იცი რომ მაინც გვლავს. ვინც მოასწრებს ხმლის მოქნევას, ის დარჩება ცოცხალი – დაამატა ელისაბედმა.

– ერთი ამ ტყუპისცალს ვერ უყურებთ, როგორ ბრძნულად მსჯელობს – გაიკვირვა გაიანემ.

– ბრძნულად და სამართლიანადაც – წინ წამოდგა ჩიტო. ბრძო-ლის ველიდან გაქცევა ან ურჯულოზე თავის ჩაბარება არ ეგების, უნდა ვიბრძოლოთ, ან გავწყდეთ, ან გავიმარჯვოთ.

– ორიდან ერთი აუცილებლად იქნება, მაგრამ გამარჯვებისა უფრო მეეჭვება – ჩაერია საუბარში დედისიმედი.

– დედისიმედი იმიტომ გქვია, რომ არათუ დედას, არამედ მთელ სოფელს არ უნდა გაუცრუო იმედი – მიესიყვარულა მამისთვალა.

– არც შენ გაკისრია ჩემზე ნაკლები მისია. მამისთვალი კი არა, სოფლის თვალი იყავი აქამდე და ალბათ ასეთად დარჩები – პატივი დასდო მამისთვალას და ლამაზი სიტყვებით მიეფერა.

– რა, მაინცდამანც უნდა დავიღუპოთ? არ შეიძლება რომ შორს გადავიხვენოთ და ცხოვრება გავაგრძელოთ? – იკითხა მზისადარმა

და აქამდე მდუმარედ მჯდომმა ადგილი მოინაცვლა – დიდია საქართველო, ყველას შეგვიფარებს.

– ასეც შეიძლება, მაგრამ არ გვემეტება სოფელი მისატოვებლად. ტყეში გახიზვნა სოფლისათვის ვერაფერი იმედია. თუ თავგანწირვაა, სოფელში უნდა დაკრჩენილიყავით, რაღად მოვრბოდით ტყეში, განა სოფელში ვერ ვიმებდით – თქვა შორენამ და ცეცხლს მოწყვიტა მზერა – მიპასუხეთ გოგონებო.

– თქვენ ომი და ბრძოლა ომობანას თამაში ხომ არ გგონიათ, რომ გაიძახით დავრჩენილიყავითო, გვეომაო, გავწყდებითო და სხვა ამგვარი, თუ მაგრები ვართ და არ გვეშინია, მალე გამოჩნდება.

– იცით რა? – წინ წამოდგა რუსუდანი – სოფელში რომ დავრჩენილიყავით, ხელს ვერ გავანძრევდით ვერავინ, ყველას დაგვიმორჩილებდნენ და როგორ გგონიათ, უბინოებს დაგვტოვებდნენ? ნურას უკაცრავად და მშობლების წინ, რომ ნამუსი არ ახადათ ჩვენთვის სწორედ ამიტომაც ვარჩიეთ ტყეში წასვლა. აქ კი, თუ ვინიცობა ფეხდაფეხ გამოგვიდგებიან, თავმობეზრებულები ქალების ძებნას კი არ დაიწყებენ, ეცდებიან ანგარიშსწორებას და თავიდათავიც ესაა. თუ შეგვებრძოლებიან, უკან დამხევს დავასხი თავსლაფი. ვინ არის ჩვენს შორის ჯაბანი გოგონებო? – მგონი არავინ.

– თუ ერთი გავა ხმლით ხელში ყველა მის გვერდით ვიქნებით, უკან არავინ დაიხევს, თუ რა თქმა უნადა ვაუკაცებმა გვერდით ამოგვიყენეს-თქვა აქამდე სიტყვის უთქმელმა ირმისამ და და-dმას გადახედა.

– ჩვენ და ვაუკაცებსაც არჩევანის დრო არ გვაქვს, წინ წყალი უკან მეწყერი. ამ მდგომარეობაში ვართ სოფელში დარჩენით თუ შავი დღე დაგვეყრებოდა, აქ ამოსულები თუ ბრძოლის ველზე აღმოჩნდებით, უკეთესი რად იქნება ვითომ ჩვენი მდგომარეობა. ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის, ეს იქნება ჩვენი დევიზი – დაამატა ელისომ და მთის ჰაერი ხარბად ჩაისუნთქა.

კახაბერი, ვაჩე და არმაზი მიადგნენ მოსაუბრებს.

– რა ამბავია გოგოებო, ძალიან გაცხარებული ბჭობთ რაღაც.

– კახაბერ ბიძია, ჩვენი გადაწყვეტილება ურყევია. რახან მთაში ამოვედით, ჩვენი ხვედრი ყველასათვის ერთნაირია. დიდი ომი გვე-

ლის თუ პატარა, ბრძოლა ბრძოლაა. ხომ არ აჯობებდა ხატზე დაგვეფიცა, რომ ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის ვიქწებით? – შეეკითხნენ კახაბერს სოფიო და ქეთევანი – თქვენ რას იტყვით ბიჭებო? – მოუბრუნდნენ კახაბერის ძმებს.

– ხატზე დაფიცება არაა სავალდებულო. რადგანაც მთაში ამოვედით, მიზანი ერთია, ჩვენი გადაწყვეტილება და სიტყვა არ შეიცვლება. არა მგონია ჩვენს შორის ისეთი გვერიოს ვისაც დღევანდელ მდგომარეობაზე გული არ შესტკივა. ასეა თუ ისე, ხატზე დაფიცება არა და ბრძოლად გასვლამდე დალოცვა აუცილებლად დაგვჭირდება, რასაც უმწიკვლოდ და აუცილებლად შეასრულებს სამლელობის პატივცემული კრებული. ბრძოლად გასვლამდე ხატზე ამბორი კი აუცილებელია. ასე იყო ყოველთვის და ასე იქნება ახლაც – თქვა გულდაჯერებით კახაბერმა და გზა განაგრძო.

ბალრი მოვარე დაჲყურებდა მთის ლამისეულ სტუმრებს. აქა-იქ ოხუნჯობა ისმოდა, ზოგან მოზომილი სიცილიც.

მხიარულობდნენ მოზარდები...

... დილით ცარგვალზე ბრდლვიალა მზე ამოგორდა. ახალგაზრდებს ჩამოუარა შიომ და სათითაოდ გამოაფხიზლა.

ლამენათევებს ჯერაც ისევ მცხუნვარე ნაკოცონარ-ნაკერცხლების ირგვლივ ძველმანებზე მიგორებულებს ტკბილი ძილით ეძინათ.

ზანტად მოიფშვნიტეს თვალები და ზმორებით წამოდგნენ.

ლამის გუშაგები ის-ის იყო გროვდებოდნენ ნაკოცონარ-ნაოხუნჯარ-ნამხიარულევ თანასოფლელებთან. ლამეს საგრძნობლადგაეგრილებინა ლამენათევები და ცხელ ლადართან მოიყარეს თავი. სახელდახელოდ წაიხემსეს და დასაძინებლად მიწვნენ.

კარგად გამოძინებულმა ვაჟკაცებმა იარალი შეაუღარუნეს და ლამის ცვლა გადაიბარეს. თავიანთი ადგილები დაიკავეს.

მამალმა დილის დადგომა უკვე მერამდენედ აუწყა მთის ბინადრებს. სადღაც ძალლი უყეფდა ხეზე მეტუნავ კვერნას. კანტი-კუნტად საქონლის ზმუილიც ისმოდა. ლელის საამო ხმაურში ჩაძინებული მთა-იალალის მობინადრეებს შაშვ-ბელურების და ჩხიკვთა სტვენა-გადაძახილის სმენადამტკბობელი უკვითი გამოფხილებისაკენ უბიძგებდა.

პაპა დოროთის თავისი განუყრელი ყალიონი დაეტენა და ყავარჯის დახმარებით მხრებზე დაწოლილ ას ცამეტ წელს მიაღასლასებდა.

ლამით არა სძინებია, ხან ქადაგად მივარდნილ მამამზეს დახედავ-და, ხან ახალგაზრდებს გაეხუმრებოდა და გაახალისებდა, ხან სად და ხან სად შეიქვრიტებოდა, ყველას საუბარს ისმენდა და აანალიზებდა. ერთი რამ კი შენიშნა – სოფელში მიბრუნების პირი არავის უჩანდა.

გული ჩასწყდა მოხუცს.

– „ამასაც მოვესწარი, უფალმა მამაპაპისეული თბილი კერიე-ბიდან აგვყარა და ნადირივით ტყე-ტყე გვანანნალებს. განა ეს სა-მართალია? ბატონები არასოდეს გვყოლია და ვერასოდეს ვერც შევეგუებით. არა, ძალიან ძნელია, კისერზე რომ ვიღაც დაგაჯდეს და ალარ მოგშორდეს“. ვერც გაამტყუნებ ახალგაზრდებს. ლალად გაიზარდნენ და ლალი ცხოვრება სურთ, მაგრამ ვაი, რომ მათ ოც-ნებას ასრულება ალარ უნერია – გაიფიქრა, ყალიონი მაგრად მოქაჩა და შორს ღარათის მთებს გაუსწორა მზერა – აი, იმ მთების გადაღმი-დან შემოეხეტნენ და... არ ვიცი როდის გათავდება მათი ბარბაროსო-ბა, ნუთუ სამუდამოდ უნდა დაგვთორგუნონ? იმიერი საქართველოს დიდი ნაწილი დააჭუცმაცეს, ხალხი ისმალეთის სილრმეში დაფანტეს და თვითონ შეესივნენ და ჩაეთესლენ სოფლებში. ტაო-კლარჯეთი, სამცხე-საათაბაგო, ჭოროხ-ლაზეთის სამფლობელოები მათ ხელშია, აჭარაც... სად გადაიკარგა უფალო შენი სამართალი, რისთვის ასეთი ძალმომრეობა, ალარ უნდა მოგვხედო?“ – ასეთი მწარე საწუხრით გულ-გაბერილი მიუახლოვდა ნატებების თავში მოჩიხრიალე წყაროს, ხელ-პირი დაიბანა და ცად ხელებაპყრობილმა უფალს ეს მერამდენედ შემ-ნეობა და დაცვა შესთხოვა.

დღეხანს ლოცულობდა ხელებაყრობილი პაპა დოროთი, შემ-დეგ მუხლ-თავმიწადდამხობილს შეესწრნენ სოფლელები. უხუცეს-ებმა ასეთ უცხო ვითარებაში რომ მიაკვლიეს პაპა დოროთი, ძალიან გაიკირვეს და როდის-როდის წამომდგარს წყნარად, მაგრამ შე-კითხვიანი მზერით მიესალმნენ.

– მუხლებზე დაჩიქილი არასოდეს გვინახისარ დოროთი, რა მოხდა ისეთი – მორიდებით შეეკითხა მელიტონი და თანმხლებ მოხ-უცებს მოუხედა.

– მდგომარეობას ჩვენსას ლოცვით ვევედრებოდი უფალს, ეგებ დაგვიფაროს.

– უფალმა გისმინოს პაპა დოროთი, ამინ – დაილოცეს სხვებმა და პირჯვარი გადაიწერეს.

– მალე თამარ მეფის სულის მოსახსენიებელი დღე გათენდება პაპა დოროთი, ეგებ მისმა სულმა სულზე მოგვისწროს და როგორც სიცოცხლეში კუდით ქვას ასროლინებდა ოსმალებს, იქნებ ჩვენც დაგვიფაროს – ალმასხანმა თუმცა უიმედოდ, მაგრამ რაღაც მაინც თქვა.

– ეე, შვილო, მკვდარი სულების იმედი ვისლა აქვს, როცა სალ-სალამათი, ცოცხალი სამყარო ვერაფერს გვშველის. რა გაეწყობა, მაინც უნდა მოვისხენიოთ, ვინაიდან ჩვენი ვალია, ლირს თამარ მეფის მუდამჟამ მოხსენიება, იგი ამას ყველა დროში იმსახურებს.

ნატბევის განაპირას, მეჩერტყყიან მინდორზე ოცდაათამდე უხუცესმა მოიყარა თავი. რამდენიმე ხანში ქალებიც შეემატენენ საუზმით ხელში. მალე ანაფროსნებიც შეერივნენ მეზობლებს.

მინდორზე ფეხი მოირთხა ყველამ და სახელდახელოდ წაისაუზმეს, დილის სუფთა პაერი და ცივი წყალი მადას უფროდაუფრო ალვიძებდა.

მამა გრიგოლი და მღვდელმთავარი გაბრიელი წამოდგნენ, სახ-არების წიგნი გადაშალეს და თამარ მეფის სულისმოსახსენიებელი ლოცვები წაიკითხეს.

ფეხზე წამოდგა ყველა თამარის ხსნებაზე და ლოცვები ისე მოისმინეს. მინდორი ახალგაზრდებითაც შეივსო, გარდა მზირებისა ყველამ მოიყარა თავი. ლიტანიის შემდეგ ყველამ სათითაო ლოცვა წარმოსთქვა, სამგზის პირჯვარი გადაიწერეს და...

– ამინ – დაამთავრა მღვდელმთავარმა.

– აამინ – დაიგუგუნა ხალხმა. ტყემაც სასიამოვნო ბანი მისცა საპატიო კრებულს.

– მამაო გაბრიელ. ჩვენ გუშინ ახალგაზრდებს ჯვრისწერას შევპირდით, რა ვქნათ, თამარობას მივაყოლოთ თუ... ალარ დაამთავრა ფარნაოზმა და შეკრებილებს გადახედა, თუ უკეთეს წინადადებას შემოგვთავაზებთ, მზად ვართ.

– ამისთანა ამბის დღეს ჩატარება ზედმეტობა არ იქნება, მაგრამ მოდით ახალგაზრდებს მივცეთ არჩევანის უფლება, ეგებ თვითონ გამოთქვან სურვილი, ყველამ თავისი მეწყვილე გამონახოს და რამ-

დენიმე დღეში, ბეთლემის სალოცავის ახლოს, უფრო ზუსტად შვიდ მაისზე ჩავატაროთ და თუ ამ დღეს წამონვიმა, პირველი წვიმა იქნება და ამას ხომ არაფერი სჯობს. შვიდი მაისის წვიმაზე ქართველებს სიმღერაც კი აქვთ შექმნილი, თუ შეგვიძლია, შემდეგ სიმღერაც შემოვძახოთ. სამხიარულო აღარაფერი შეგვრჩენია, მაგრამ თუ ჯვრისწერას ვაპირებთ, მუნჯურად ჩატარება არ ივარგებს ამ ცერემონიისა, პატარა სამხიარულო ელფერი კი შეიძლება რომ მივცეთ, მით უმეტეს რომ...

- ჰო, რაო, ბატონო გაბრიელ, ბოლო წუთებს ვითვლით არა?
- იქნებ ასეც იყოს, იქნებ პირიქითაც.
- ფიქრისა და განსჯის დრო სრულიად აღარ გვრჩება მამაო, თქვენი აზრი უფრო საღია და ასედაც სჯობს – წამოიძახა უხუცესთა რიგში შემომძვრალმა არმაზმა.
- რახან ეგრეა, ახალგაზრდებმა დაგვტოვეთ, ცოტა სალაპარაკო გვაქვს, საჭირბოროტო საკითხია.
- ჩვენი საქმიანობა, რამ გაყო მამაო, ნუთუ არ შეიძლება ჩვენც ვიცოდეთ? – წინ წამოდგა ეკატერინე – ახლა მამაო ყველას აზრია მისალები და გასათვალისწინებელი.
- კი, შვილო, ოქვენგან დაფარულს არაფერს არ ვაკეთებთ, მაგრამ ამჟამად გვაცალეთ და სადილობის ხანს მოგახსენებთ ყველას ყველაფერს. არის საკითხები, რომლებიც ახალგაზრდების ჩაურევად უნდა გადავწყვიტოთ.
- როგორც გვიპრძანებ მამაო, ისე მოვიქცევით.
- ასე ჭკვიანები აქამდე რომ ყოფილიყავით, ეხლა საკუთარი ოჯახების პატრონები იქნებოდით, მაგრამ გვიანი არც ეხლაა.
- ერთი თქვენ არ გაქვთ ამ წუთას ოჯახები? რა ბედენაა, გინდ ტყეში ვყოფილვართ გახიზნული და გინდ ოჯახი არ გვქონია. მშვიდობიანად და მოსვენებით რომ ყვოფილიყავით, მაშინ კიდევ რაღაც ითქმებოდა – დანანებით თქვა ვაჩიმ, შეტრიალდა და წავიდა.
- ახალგაზრდები მინდვრიდან გაიკრიფნენ. ტყის პირას მხოლოდ მოხუცები და სამლენებები შემორჩია.
- ჩემო კეთილებო, ჩემო მეზობლებო და მეგობრებო – დაიწყო პაპა მახარებ და გამჭრიახი თვალებით შორეთი დაზვერა – ზოგიერთები აქაურობას უნდა გაერიდოს, მხედველობაში მყავს ახალ-

გაზრდები, ქალები უკლებლივ და... ერთი სიტყვით, ჩვენ უხუცესები სოფელში ვპრუნდებით. მიწები დასამუშავებელი რჩება, ჯერ კიდევ შეიძლება დავამუშავოთ და საშემოდგომოდ რაიმე მოვიწიოთ. ტყე-ში გახიზნულთაც ხომ სანოვაგე სჭირდება, დროდადრო ჩამოვლენ და წაიღებენ, ესეც არ იყოს, რა დღეს მოვკვდებით, რა ხვალე, თუ გარდაუვალია მწვალებლების ხელით სიკვდილი, ბარემ სოფელში მოხდეს მოსახდენი. მე იმის იმედი მაქვს, რომ მიხრწნილ ბერიკა-ცებს არც რჯულის შეცვლას დაგვაძალებენ და არც ხელს გვახლებენ იქნებ, ყოველშემთხვევაში პირველ დღეს არაფერს გვიზამენ, იმიტომ, რომ ისინი ქონებას იქნებიან დახარბეჭული, ასე რომ ცოცხალ ხალხზე დროებით იქნებ ძალა არ გამოიყენონ.

– მე ვეთანხმები ხალხო. ას ცამეტ წელინადს სოფელში ვათრიე წელი. ჯობია მამა-პაპის გვერდით დავიმარხო. მოხდეს რაც მოსახდენია, მე ვეთანხმები მახარეს. მგონი ასე სჯობს.

მამამზე მოისაკლისეს უხუცესებმა

– წუხელ დაიძინა, ალბათ ქადაგად დაეცა და არ ვიცით როდის გაილვიძებს – უპასუხეს ქალებმა.

– ალბათ ქარიშხლის წინ სინამდვილეს გვეტყვის.

– ღმერთო არ გაიგონო და... ბოლო მივარდნა ხომ არაა ბერიკა-ცისა? – თავის მხრივ დაამატა ელიზბარმა და ყალიონი მოქაჩა.

– გადაწყვეტილება მტკიცეა და ბევრი ლაი-ლაი ალარ ჭირდება. ახალგაზრდები იქნებ წინააღმდეგი წავიდნენ, მაგრამ ჩვენ მაინც ალარ გადავთქვამთ, ხოლო რაც შეეხება აქამდე ჩვენს ამომგზავრებას, ძალა მოვსინვეთ, სუფთა ჰაერით გავიცვეთ ფილტვები და ჩვენი საცხოვრებლები და აგარაკი ერთხელ კიდევ მოვინახულეთ. ვინ იცის ხვალე გნახავთ კი? – დაამატა პაპა მახარემ.

– ჩვენც ეგ გადაწყვეტილება მივიღეთ. სადაც თქვენ, ჩვენც იქა – თქვა ხვარამზემ და ჯერ დებს გადახედა, შემდეგ დანარჩენ ქალებს – მე მგონია თანახმა ხართ ქალებო არა?

– თანხმობა გამოგვიცხადებია. ისე აქაც არ უნდა ამოვსულიყავით, მაგრამ ახალგაზრდებს ხათრი ვეღარ გავუტეხეთ, მთაში ვიზეიმოთო თამარობა. საზეიმო ალარაფერი გვაქვს, დილის ლიტანიაც საკმარისია, ხოლო რაც შეეხება ჯვერისწერას, ჩვენ ალბათ ვეღარ დავესწრებით. გუ-ლით კი მათთან ვიქნებით, ესაა და ეს – გამოიტქვა აზრი ბებია სარამ.

– მაში გადაწყვეტილია, ვძრუნდებით სახლში, შემოტევას პირველებმა უნდა შევევებოთ – ხმადაბლა, ბზარშეპარული იმედით თქვა პაპა ლაზარემ და ყალიონი გააღვივა – ჩვენი ნაბიჯი მცდარი არასოდეს ყოფილა არც ამჯერად გადაგვიდგამს. ახალგაზრდებს ამოცილება, რჩევა-დარიგება და დალოცვა ჭირდებათ. მამამზეს გაღვიძებას დაველოდებით და ალბათ მერე დავბრუნდებით.

გოგონები ბოსტნებში მიმოფანტულიყვნენ და სადიასახლისო საქმეებს აკეთებდნენ.

თამარობამდე ჯერ კიდევ ბევრი დრო იყო, მაგრამ სამზადისი ადრევე დაიჭირეს და ფაციფუცობდნენ, თუმცა მარტო ეს არ იყო მიზეზი, მთელ სოფელს ყოველდღიური საკვებისათვის გარჯა სჭირდებოდა, თან წამოლებული სანოვაგე დღითიდლე დაილეოდა და ამიტომაც ევლებოდნენ თავს ბალ-ბოსტანს. თუკი დასცალდებოდათ თამარობის დღესასწაულის ჩატარება ლია ცის ქვეშ, ხასხასა მოლზე ეწადათ, მაგრამ კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო – ამათზე ითქმოდა, თუმცა, არც უფალს ელიმებოდა – ყველაფერი უგუნური ადამიანების ძალმომრეობაზე იყო დამყარებული.

უფალი კი საამათო გუნებაზე ნამდვილად არ იყო...

როცა სადილად დასხდნენ, მზე უკვე მოთებს გადაღმა ჩასასვლელად ემზადებოდა, ისიც ემალებოდა სასიკვდილოდ განნირულებს, ალბათ რცხვენოდა კიდეც.

მადისალმძვრელი სურნელი ასდიოდა კერძებს, ლვინის სუნი კი დასათრობად ულიტინებდა ნესტოებს.

ერთი ადგილი უხუცესებისა და ანაფროსნებისათვის საგანგებოდ შეერჩიათ ახალგაზრდებს. თამარის შემოწირული ხატიცა და თამარის ფრესკული გამოსახულებაც ერთად მოეთავსებინათ ყველასთვის თვალსაჩინოდ.

მამა გაბრიელი წამოდგა, ჯვარი ზეაღმართა და სადილის ლოცვა ალავლინა, ნაკურთხი ლვინით ყელი გაისველა და პურობის დაწყება ანიშნა თანასოფლელთ.

ახალგაზრდები მადინად ილუკმებოდნენ, მხოლოდ ხანშიშესულებს არ ემხიარულებოდათ, ქვეცნობიერად გრძნობდნენ უბედურების მოახლოებას, ყოველი სათორომა თანდათან აცილებდათ ახალგაზრდებს, სიყრმის შვილებსა და შვილიშვილებს.

ახალგაზრდებმა ულიმლამობა შენიშნეს და მოიკითხეს, პასუხს სანამ ვინმე გასცემდა, ალმასხანის გიორგინამოდგა და სასმისი აილო ხელში, ბოდიში მოიხადა, უხუცესებს წინ რომ უსწრებდა და დაიწყო.

— დღეს საზეიმო თარიღი არა გვაქვს და არც გვეცეკვ-გვეთამაშება, მაგრამ ვიდრე ცოცხალი ვართ დალრევილობა არ გვმართობს. ეს არავინ იცის, თამარობას, ჩვიდმეტ მაისს ვზეიმობთ თუ არა, მაგრამ დღეს რომ თამარის სულისა აღვავლინოთ ლოცვა, არაფერი შეუძლის ხელს. მაისის თვე მთლიანად თამარის სულისა იყოს, დაე, გვფარავდეს ერთიანი, ძლიერი საქართველოს მმართველის მეფეთმეფისა და დედოფალთდედოფალის ღვთითგანათებული სული, ნათელში ამყოფის უკუნითი უკუნისამდე და არასოდეს დავინწყებოდეთ მთამომავლებს.

— ამინ – წარმოთქვა მამა გრიგოლმა და ხალხს ჯვრით ჯვრის გამოსახულება სამჯერ გადასახა.

საბა-მწიგნობარი წარმოდგა და მორიგი სასმისი დაიჭირა ხელთ. თვალები აწყლიანებოდა და სახე შეფაკლოდა.

— ჩემო კეთილებო, მეზობლებო, სულიერო ძმებო და დებო, ჩვენ მომავალი თაობა აუცილებლად გაგვიხსენებს, განსჯიან ჩვენს ნაბიჯის და სწორედაც. მცდარი აზრი და ნაბიჯი იქნებ ათასწლეულებს გადასწვდება, ამიტომაც სწორი არჩევანი გავაკეთო, ამიტომაც შევრჩებით ისტორიას, მე რა მინდა ვთქვა: – გვფარავდეს თამარ მეფის შარავანდებიანი სული. თუ ომი გველის, ახალგაზრდები ჩვენს ზურგზე გადავიტანთ. გავწყდებით და არ დავნებდებით. მოხუცი ხალხი კი უკან, სოფელში უნდა გავაპრუნოთ. როცა სოფელს დაცლილს ნახავენ, ხნიერებს სათვალავში არ ჩააგდებენ და ჩვენ გამოგვიდგებიან, ჩვენ კი ღირსეულ დახვედრას მოვუწყობთ, თუ დავილუპებით, დამტირებელი და დამმარხავი დიახაც გვჭირდება. ხნიერებმა უნდა იცოცხლონ. დაე, დაბრუნდნენ სოფელში და ცხოვრება თვალსატყუარად ისევ ყალიბში ჩააყენონ, ვინაიდან სულ თუ ცარიელი დახვდებათ სოფელი, ცეცხლს მისცემენ ყველაფერს, ამიტომ სჯობს თითო-ოროლა სულიერი ჭაჭანებდეს სოფლად, კერიაც თბილი იყოს და ბუხრიდან კვამლი ამოდიოდეს. დანარჩენს ალბათ უფალი გვიკარნახებს.

წუთით დუმილმა დაისადგურა. საჭმელს ხმის ამოულებლად იწინებოდნენ. ქალებს ცრემლები უცივდებოდათ კერძში.

მამა გაბრიელი ისევ ზენამოდგა და მრევლს თვალები მოავლო.
უსიცოცხლო იყო ეს მზერა, ძალიან ცივი.

— შვილნო ჩემნო, მამანო, ძმანო და დანო, ჩვენი სამღვდელოებაც უკან ვპრუნდებით, თუ ოსმალებმა დაგვიმორჩილეს, ყოველდღე ზარით უნდა შევეხმიანოთ. თავზარი უნდა დავცეთ ამით მაინც ჩვენს მტარვალებს. ახალგაზრდებს კი გირჩევთ ერთხელ კიდევ, ვიდრე არ შემოგვესევიან, იფიქრეთ თავის გარიდებაზე. დიდია საქართველო, თავი ყველგან შეიფარება, არ ვიცი, მეტს ველარაფერს ვიტყვი, როგორც გული და ჭურა გაგიწევთ, ისე იმოქმედეთ.

— მამაო გაბრიელ, ჩვენი გადაწყვეტილება ურყევია, თქვენი აზრიც მისალებია. საგანძურიაუცილებლად უნდა გადავმალოთ. რაც შეეხება ბრძოლას, დაე, ის მოხდეს, რაც ადამიანს თავისი დაბადების დავთარში უწერია. ვრჩებით ახალგაზრდები, სოფლად დარჩენილებიც ალბათ მალე შემოგვიერთდებიან და ერთიანი ძალით როგორმე გავუმკლავდებით შემოსულ ავაზაკებს. თუ ძალიან შეჭირვებული დავრჩებით, მაშინ შევეხიზნებით ჩვენს სათაყვანებელ სალოცავ ბეთლემს. სანოვაგე მგონი ერთ თვეს გვეყოფა. თუ უფალმა გვალირსა და დაგვიცვა. სოფლად ჩამოვალოთ და შევივსებთ. აქაურიც გვეყოფა. სოფელი უპატრონოდ ნამდვილად არ შეიძლება. უპატრონო, მიტოვებულ ადამიანთა სამყოფელს ავი სული, სატანა ეპატრონება. ჯობს თქვენი უკან დაბრუნება, მოგვენატრებით, მაგრამ გინახულებთ, მოკლე ბილიკებით ვივლით — თქვა ფირანამ და ახალგაზრდებს გადახედა. ახალგაზრდებმა მოწონების ნიშნად ცერათოთა მართული ხელები აღმართეს და თანხმობაც განაცხადეს.

ფირანას გულში სიხარულის ელდამ დაუარა, მაგრამ ის, რაც ახალგაზრდებს და სოფლელებს უთხრა, სანახევროდ ასრულებად მიიჩნია, დანარჩენი კი ოცნებად ჩათვალა და თავის აღგილას ჩაჯდა.

— ბეთლემში ბერები უნდა ინახულოთ აუცილებლად, საგანძურის გადანახვაში დაგეხმარებიან. სანოვაგე აუტანეთ, მადლია. იქნებ თავისებური რჩევებითაც განუგეშონ. ბრძენი და გამოპრძმედილები არიან ეფრემი და ბარძიმი, რომლებმაც სოფელშიც მოგვინახულეს და მალევე გაემგზავრნენ. მათი ნათქვამი სიტყვა და საქმენი განუზომელ-აუწონავია. თუ რამ გადაწერილი აქვთ, თავადაც გადაინახონ, ვინ იცის რა მოხდება — დაამატა თავის მხრივ მამა გაბრიელმა და დაჯდა.

ნატბევის შემოსასვლელთან ახალგაზრდების ურიამულმა დაარღვია მყუდროება.

– რა მოხდა, რა ამბავია? – იკითხა ბასილმა და თითო ახალგაზრდებისაკენ გაიშვირა. ყური ახალგაზრდებს მიაპყრეს. რამდენიმე წუთში ახალგაზრდებს ობოლა და ჭაბუკა გამოეყვნენ და უხუცესებისაკენ გასწიეს.

– რა მოხდა ბიჭებო, რა ურიამული გქონიათ? – იკითხა ელიზბარმა და ახალგაზრდები სუფრასთან მიიწვია.

– ისეთი არაფერი ელიზბარ ბიძია. ცუგა და ყურშა მოგვევლინენ მოულოდნელად და ერთმანეთს მივუალერსეთ. ალბათ სხვა ძალებიც გამოგვვებიან უკან. ცარიელ სოფელში ძალებსაც ალარ უდგებათ გული. ის ხომ ადამიანის მეგობარია, ჰოდა, რაღა გააჩერებდათ, უკან გამოგვედევნენ.

– ჩვენ რომ უკან დავბრუნდებით, ალბათ ისინიც დაბრუნდებიან – თქვა პაპა მახარემ – საწყლები შიმშილმა კი არ შეაწუხათ, ადამიანის ხმის გაგონება მოენატრათ და ამად გამოგვიდგნენ უკან. ეჭ, რას იზამ, ზოგიერთებს რომ ძალის ჭკუა ჰქონდეთ?

– ვინ გყავთ მხედველობაში მახარე ბაბუა – იკითხა ჯიმშერმა და მოხუცს თვალებში შეაცემდა.

– ოსმალები ბაბუა, ოსმალები.

– ეეჭ, მაგათ ძალის ჭკუა არადა, ცოფიანი ძალის თვისებადა გუნება აქვთ, მაგრამ ოდესმე ალბათ მაგათაც მოევლებათ – დაამატა მელიტონმა.

სადილი გაუგრძელდათ. ვინ რა თქვა და ვინ რა. პაპუნა ნამოდგა სასმისით ხელში.

– ამ სასმისით მეზობლებო ჩვენი ნაწილის სოფელში დაბრუნებას ვლოცავ. გამოტიალებულ-გავერანებული სოფლის გამო ალბათ უფლისგან ცოდვა მოგვეკითხება – თქვა და სასმისი გამოცალა – ასე ჩვენი მტერი დაგვეცალოს მეზობლებო.

– ამინ – ნამოიძახეს ერთხმად.

შვილ ლაშას თანხლებით, ყავარვენს დაყრდნობილი მამამზე უახლოვდებოდა სოფლელებს.

– მადლობა უფალს, რომ არ დაგვალალატე მამამზე-პატონო. გაეხუმრა პაპა დოროთი – ამისთანა რამეები მთაში არ შეიძლება, რას გვეტყვი მაინც, რაიმე ხილვა გქონდათ?

– რაც არის არის, ცამეტი რიცხვი ცუდად ვნახე ხალხო, მგონი ეს დღე იქნება ჩვენთვის უბედურების მომტანი. არ უნდა ვამბობდე, მაგრამ ამით განა რაიმე შეიცვლება? ალარა აქვს არსებითი მნიშვნელობა, მთავარია თარსი რიცხვი დაგვეხედა, წელიც თარსია, ალბათ უფლისაგან განწირულები ვართ, მაგრამ გადაშენება მაინც არ გვიწერია. რუსთაველისა არ იყოს „იგი წავა და სხვა მოვაო“. ჩვენ თუ ალარ ვიცოცხლებთ, ვიღაც დაიმკვიდრებს ჩვენს ნაცხოვრებ ადგილებზე და ასე გაგრძელდება. მუდმივი ხომ არა ვართ, ასე ხდება დასაბამიდან.

– რას ვიზამთ მამამზე-ბატონო. თუ ცამეტი რიცხვია, იყოს ცამეტი, რიცხვს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და არც რაიმე დანაშაული მიუძღვის ჩვენს წინაშე. ყველა დღე უფლის გაჩენილია. რა დღეს, რა ხვალე. რაც დღე ჩვენ გველის, რა მნიშვნელობა აქვს რომელი რიცხვი იქნება. ჩვენ სულიერი სიძლიერე უნდა შევინარჩუნოთ მაინც – თქვა ელიზბარმა და ზენამოდგა – ჩემი ძვირფასებო, ვინც სოფლად ბრუნდება, ჯობია დღისით, მზისით ჩააღწიოთ. ჯობს ეხლავე გამგზავრება.

– რისთვის გვერეკებით მთიდან ელიზბარ-ბატონო, განა მამამზემ არა ბრძანა ცამეტიო? ვიყოთ ჩვენც ცოტა ხანს მთაში. თუ მართლა ცამეტია, რაც უფრო ახლოს ვიქნებით მაგ რიცხვთან, უფრო მეტს მივესიყვარულებით ერთურთს – დაამატა პაპა ლაზარემ – ბარემ ძვლებმაც იგრძნონ მთის სიგრილე, ძველებურად ჯანზე მოვალთ, სხვა თუ არაფერი. რამდენს მეტს ჩავისუნთქავთ მთის პაერს, იმდენს მეტს ვიცოცხლებთ.

– ეგ რომ მასეა ეს უეჭველია პაპავ, მაგრამ ხომ ვიცით, რამდენი ახალგაზრდა ვაჟკაცია სოფლად დარჩენილი, იმათაც ნუგეში და ჭკუის სწავლება სჭირდებათ, ვიდრე შემოგვიერთდებიან. მოქმედების გეგმა ხომ უნდა დავუსახოთ საბოლოოდ. კი, მართალია გადაწყვიტეს, პირველი შეტაკება თავითან ბეჭებზე გადაიტანონ, მაგრამ ისევ და ისევ გამოხიზვნა სჯობს ჩემი აზრით. ერთად რომ ვიქნებით დიდ ზიანს მივაყენებთ მომხვდურებს.

– სოფლად დარჩენილებს ისეთი წინამძლოლი ჰყავთ, არაფერი შეეშლება. ასე რომ ცოტა ხანს მამყოფეთ მთაში. იქნებ ველარასოდეს ველირსოთ ამოსვლას.

– ჰო, პაპა ლაზარე. მართალი ბრძანდებით, იყავით რას გვიშლით.
 მზე გადაიწვერა და უკანასკნელი სხივები აკრიფა, შორს თოვ-
 ლიან მოებზე. მთაში კი ამ დროს უკვე ბნელოდა. ახალგაზრდებმა
 კვლავ ააბრიალეს კოცონი და შემოეხვივნენ. წინა ღამით დაწყებუ-
 ლი საუბრის თემა არ შეცვლილა. აზრთა სხვადასხვაობაში დრო ჩუ-
 მად გაიპარა, რამდენიმე საათში სიჩქარემ დაისადგურა, მხოლოდ აქა-
 იქ მამლების ყივილი და ძალლების ყეფა არღვევდა მყუდროებას. ახ-
 ალგაზრდები კვლავ ფხიზლობდნენ და მორიგეობდნენ მთის შემოგ-
 არენში – არჩევანის დრო არ იყო, ყველას ერთი ფიქრი ასულდგ-
 მულებდა – დაეცვათ შეხიზნულები.

შაბათ დღეს სამლენელოების რამდენიმე წევრი და უხუცესი სოფ-
 ლელებიდასაბრუნებლად გაემზადნენ. პირადი ბარგი ფუთებში გამოკრეს
 და აიშალნენ, რომ ამ დროს მთის ბოლოზე ადამიანი დალანდეს.

– ვინ უნდა იყოს? – იკითხა რამდენიმე ერთად და ისევ მთის
 შემოსასვლელს, რომელსაც ნატევისყელს ეძახიან სოფლელები,
 ხელმოჩრდილივით დააცქერდნენ – ჩვენი სოფლელი არ უნდა იყოს.

რამდენიმე წუთში სოფლელებს მათი გამოზრდილი ობოლი ბიჭი
 მათე მოადგა. გაიხარეს სოფლელებმა, რა ხანია ალარ ენახათ შეთ-
 ვისებულ-გაშინაურებული ობოლი.

– რა ამბავი მოგვიტანე მათე, ხომ მშვიდობაა? – შეეკითხა მამამზე
 შვილობილს და მოეხვია.

– მამამზე-ბატონო, ამ დღეებში აპირებენ ოსმალები სოფელში
 შემოქრას. გაუგიათ, რომ სოფელში ბევრ ლორს მოუყრია თავი და
 გამოუცხადებიათ, თუ არ ჩაგვპარდებიან, ადამიანებს ღორებსაც ზედ
 დავაკლავოთ. ამიტომ ოთხშაბათი დღე აურჩევიათ – ოთხფეხი ოთ-
 შაბათის უნდა დაიკლასო, ეს ამბავი გაღმა სოფელში მცხოვრებმა, ქალ-
 ბატონმა აიშემ გვამცნო და სასწრაფოდ აქეთ გამომაქცია, თან გუ-
 ლით გეხვეწათ, თუ შეუძლიათ გაიხიზნონ.

– მდაა, ესე იგი ცამეტი რიცხვი ემთხვევა მეზობლებო ოთხშა-
 ბათს. ვაი და ვუი მომხვდლურს. ვაი ჩვენ ხალხო – ალარ დააბოლავა
 მამამზემ და თავზე ხილაბანდი შემოიჭირა – წავიდეთ, დავბრუნდეთ
 სოფელში. ჩვენ იქ უფრო საჭირო ვართ, ეგებ ჩვენთან შეჩერდნენ
 და... ვინ იცის, ეგებ უკან წაეთრიონ, უფალი ჩვენთანაა.

– უფალი ჩვენთანაა, უფალი შეგვეწიოს – ბანი დააწიეს სოფ-ლელებმა.

დაბრუნდნენ სოფელში უხუცესები, ქალი, კაცი, სამღვდელოების წარმომადგენლები და ხეიბრები. საღამოთი ბუხრებზე კვამლი აადინეს. ძალების ყეფა-წერტუნმა სოფელი გააყრუა. ორფეხზე დგებოდნენ და ისე ეფერებოდნენ მობრუნებულ პატრონებს. აკვამ-ლებული ბუხრები მეზობელი სოფლიდანაც შეამჩნიეს. გაუხარდათ მცხოვრებთა დაბრუნება, ყოველ ნაბიჯს უთვალთვალებდნენ გულის-კანკალით და გაფაციცებით.

– ეჱ, მეზობლებო, მყუდროება დაგვერლვა. ბოლო სიკვდილია, მაგრამ კეთილი დასასრულიც ხომ კარგია – თქვა პაპა მახარემ და ყალიბინი გააბოლა – ნუთუ ველარ ვიხილავთ მთაში დარჩენილებს? არ ჯობდა მათთან ვყოფილიყავით?

– კი პაპა-ბატონო, კარგი იყო მთაში ყოფნაც, მაგრამ შე-მოთრეულ ხალხს ხომ დახვედრა უნდა? – თქვა მამამზემ და განზე გაიხედა.

– კაი დახვედრას მოვუწყობთ, მათმა მზემ.

– რავა შებრძოლებას ხომ არ აპირებ?

– შებრძოლება სისულელე იქნება, მაგრამ თუ ჩვენს ღირსებებს ფეხევეშ გათელავენ, მაშინ აუცილებელია და არც უკან დავიხევთ, ჯერჯერობით მკლავიც გვივარგა და არც ხმალ-ხანჯალი დაგვუან-გებია.

– ბევრი-ბევრი, ორი-სამი ოსმალო მივაწვინოთ, დანარჩენები მშეირი მგლებივით მოგვესევიან და ფეხით გაგვთელავენ, ისე რომ იარაღსაც არ იხმარენ. თუ ვინმე გადარჩა ან შეგნებულად დატოვეს ცოცხალი, მეგზურობას მოსთხოვენ, არამც და არამც გზა არ უნდა მიასწავლოს ვინმემ.

– მაგ ასპიტებმა ისეთი გაკვეთილი მიიღეს, მაგათ მეგზური უკვე ეყოლებათ.

– შესაძლებელია მართლაც ეყოლებათ, მაგრამ თუ არ ჰყავთ, აქვე ეცდებიან გამონახვას, თუმცა ჩვენში არავინ იქნება ასეთი, საძაგლობა ჩაიდინონ.

– ჰო, რა თქმა უნდა. მაგის იმედი ნამდვილად გვაქვს.

თავი VI

ოსმალეთის სულთან მურად მეორეს მსტოვრებმა ამბავი მი-
აწვდინეს, დამორჩილებული აჭარის შუაგულში ერთი სოფელი ის-
ლამს არ ღებულობსო. ის კი არა და, ღორებიც ერთიასად მოამრავ-
ლესო და აინუნშიც არ აგდებენ თანზიმათის კანონებს – გამუსლი-
მანებულ ხალხს ჩალადაც არ აფასებენო.

უდედმამოდ და უნათესავოდ გაიზარდა, მაგრამ ოსმალეთის
ჯარში ერთობ პოპულარობამოპოვებულმა მურადმა სულთნის ტახ-
ტამდე მიაღწია და ბავშვობის ფერადი ოცნება სინამდვილედ ექცა –
ღმერთმა ოსმალეთის ნინამძღოლად აქცია. ოსმალეთი კი მისი მოვ-
ლინების დროს დედამინის რაღაც ნაწილს შიშის ზარს სცემდა.

სისასტიკითა და კაცომოძულეობით ცნობილი ბინბაში ჰყავდათ
ოსმალეთის ასკერში, რომელიც განთქმული იყო სიხარბითა და
მწვალებლობით. მისთვის სულ ერთი იყო ხელქვეითთა აზრი და საქმი-
ანობა, ყველაფერს თავის იატაგანს უმორჩილებდა და მის მადას
საზღვარი არ გააჩნდა.

სულთნის ხელქვეითმა, არზრუმის ფაშამ დაიბარა, უსისხლო და
მტარვალი ქუჩუკ-ბეი და აჭარაში გალაშქრება შესთავაზა, თანაც
სულთნის ფირმანი უბოძა ამ ლაშქრობის ნებართვაზე.

– სულთანმა ცოფები ჰყარა. ამ ამბის გაგების შემდეგ – უთხრა
ფაშამ ბინბაშს – ჯარი რამდენიც საჭიროა იმდენი წაიყოლიოს და
მინასთან გაასწოროს სოფელიო – ასე ბრძანა სულთანმა. ახლა ჯერი
შენზე და თუ დავალებას წარმატებით შეასრულებ, ჯერჯერობით
ფაშაბას მოგაკუთვნებენ, შემდეგ კი ალბათ სულთნის კარამდეც ამ-
აღლდები და ეს თუ ასე აგისრულდა, მეც არ დამივიწყო – ხალხნი
ვართ, ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ, რომ ოსმალეთი გავა-
ძლიეროთ, ერთ მუშტად უნდა შევიკრათ.

– „იახში ეფუძიმ“ – თქვა ბინბაშმა, ფაშას გულმხურვალედ
დაუკრა თავი და მისი საბრძანებლიდან უკან-უკან დაიხია და ისე
გავიდა თავის მხლებლებთან.

ბინბაში ქუჩუკ-ბეი ჭოროხის ხეობაში არ დაბადებულა, თორებ
ბავშვობა და შემდეგი ხანიც აქ გაატარა. მშობლები სადღაც ინე-

გოლოთან ახლოს ჰყავდა, ხოლო დედით და ბებით ჭოროხის აუზს ეკუთვნოდა.

დედულეთში იზრდებოდა – თეფექოიში – დედის საამყოფელში. ვინაიდან ბიჭი არ ჰყავდათ, ქუჩუკი იშვილეს... და იზრდებოდა დედულეთში, გალალებული და თავისნათქვამა იყო. სიჯიუტემ კი სახელი გაუთქვა. ახალგაზრდებს, ვის წრეშიც იზრდებოდა, არაფერს შეარჩენდა. ზედმეტად ჯიუტის სახელი მიაკერეს, რომელიც სულ სხვაგვარად ალიქვეს, იქ სადაც საჭირო იყო.

ულვაშებშეღერებულს ასკერში წვევის ამბავიც მიუტანეს, უკან-მოუხედავად გაჰყვა იანიჩარს, იქ სადაც ელოდნენ.

დიდრონულვაშა მეთაურს წარუდგინეს ახალწვეული, რამდენ-იმე ახალგაზრდა შეეკრიბათ მეზობელი სოფლებიდან. ყველა მათ-განს იცნობდა ქუჩუკი და გაეხარდა კიდეც აქ რომ დახვდნენ.

- რა გქვია და რა გვარისა ხარ? – შეეკითხა უფროსი.
- ქუჩუკი მქვია, გვარად ბაირამოლლი ვარ უფროსო.
- ამოდენა აღნაგობის პატრონს ქუჩუკი ვინ შეგარექვა კაცო – ჩაირობროხა ულვაშებიანმა.

- რა იცოდნენ ამხელა გავიზრდებოდი, თვარა დევს დამარქმევდ-ნენ ალბათ – უპასუხა ქუჩუკმაც.

- ასკერში უნდა გაგიშვათ, ეს სახელმწიფოს სჭირდება. სულთ-ნის სამსახური არავის დაეკარგება.

- მზად ვარ ვემსახურო სახელმწიფოს და სულთანს.
- შეადგინეს დოკუმენტები, დაადგინეს სამსახურის ადგილი და ექვსი ახალგაზრდა ერთად გაუშვეს რეგულარულ არმიაში. ოს-მალური კანონები მტკიცე იყო და ჯარში სამსახურზე თავის არიდე-ბას, პირიქით რამენაირად წასვლას ამჯობინებდნენ, ამიტომაც სიხ-არულით მიიღეს ახალგაზრდებმა გაწვევის ვალდებულება.

ოსმალეთის შორეულ აღმოსავლეთში გადაისროლეს ის ნაწილი, რომელშიც ქუჩუკი და მისი ამხანაგები გაამწესეს.

დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ აღნიშნულ ადგილას მიაღწიეს, ტრიალ მინდორში, რამდენიმე შენობა და რამდენიმე ძირი ხე იდგა, ირგვლივ კი თოვლიანი მთები მოჩანდა...

ჯმუხი და გოროზი გამომეტყველების უფროსმა ჩაიბარა ასამ-დე ახალგაზრდა და თავიანთი ადგილი მიუჩინეს.

– ახლა დაწექით და დაიძინეთ, დალლილები ხართ, დილიდან კი წვრთნას დავიწყებთ, თორემ რამდენიმე დღეს რომ გაგაჩეროთ ასკერში ყოფნის სურვილი იქნებ გადაიფიქროთ. დაიძინეთ ყველამ.

ახალგაზრდებმა ერთმანეთს გადახედეს, შეიძმუშნენ და სიტყვის შეუბრუნებლად შელაგდნენ მათოვის განკუთვნილ შენობაში.

– აქ იანიჩრები არ დაგვხვედრიან, როგორც ჩანს საგანგებოდ ჩვენთვის ააგეს ეს შენობები – წაიბურტყუნა ქუჩუკმა და სახლიდან წამოლებულ ქვეშაგებზე მიგორდა... დაწექით ბიჭებო და ერთი კარგად გამოვიძინოთ.

მეორე დღეს კი უთენია წამოყარა ბიჭები იუზბაშმა და დაიწყო ყოველგვარი ხერხებისა და წესების სწავლება. დღეები დღეებს მის-დევდა, წლები წლებს. ქუჩუკი ასმეთაურობამდე მივიდა. შემდეგ კი...

გამუდმებული ომები ჰქონდა ოსმალეთს გარე სამყაროსთან, ამიტომ ჯარი ყოველთვის ყალყზე ჰყავდათ სულთან-მპრძანებლებს. ჩიტის ამბავი და მზად იყო ოსმალეთის ასკერი. მუდმივმა მზადყოფნაშ ზეზეურად ძილიც შეასწავლა იანიჩარებს, უცებ წახემსებაც და ძლევამოსილ ჯარს, ყოველთვის ძლევამოსილებას მატებდნენ.

მრავალ ომში მიიღო მონაწილეობა ქუჩუკმა და ყველგან ძლიერის სახელი დაიმკვიდრა. ბინბაშობამდე მიაღწია კიდეც.

აჭარაში ლაშქრობა მეორედ მოუწია. სიხარული ველარ დამალა.

ბინბაშმა წვევის ბრძანება გასცა ერთგულ მსახურებს და თავის რეზიდენციაში დაბრუნდა. გულს სიხარულისაგან ბაგაბუგი გაჰქონდა.

„ეს ბრძოლა თუ მოვიგე, იქნებ მართლაც მივალნიო სასურველ მიზანს. სულთანიც ჩემნაირი ადამიანია, იქნებ მეც ავიარო იმ კიბეებზე, სულთანმა რომ მიაღწია. არაფერია მოულოდნელი, მთავარია ჯარმა მიერთგულოს. ჯერ თუ ოსმალეთის ჯარების სარდლად ვიქეცი, მერე სულთონბამდე ერთი ნაბიჯია. ღმერთო გაღმომხედვე – თქვა ბინბაშმა და ხელებაპყრობილს, უფალზე მავედრებელს საამო ურუანტელმა დაუარა.

კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო...

მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილი, ნაალაფევს დახარბებული, კბილებამდე შეიარაღებული დარჩეული იანიჩრები წვევისამებრ მოევლინენ ქუჩუკ-ბეიის. ცხენზე ამხედრებული ბინბაში თვალებს არწივივით ატრიალებდა და ყოველ მხედარს სათითაოდ ეფერებო-

და გულში. დიდ მიზნებს დიდი სიყვარული სჭირდება, მაგრამ ბინბაშს მარტო სიძულვილი ედო გულში – რაც შეიძლება მაღლე მოხვედრილიყო იმ სოფელში, სადაც მიუთითეს.

დარჩეული მხედრებიდან უმეტესი ნაწილი აჭარის დაპყრობის მონაწილე იყო, ამიტომ მათთვის ახალი გალაშქრება სიხარულს არ იწვევდა, ხოლო ისინი ვინც პირველად მიდიოდნენ, სიხარულს ვერ მაღლავდნენ და იატაგანს ათამაშებდნენ. თანაც ყიუინით გამოხატავდნენ ნაოცნებარს.

ბინბაში იუზბაშებისა და ონბაშების წრეს შეერია, მომალლო ადგილი შეარჩია და მხედრებს გადახედა.

ჩვენი დიდი იმპერია ჩვენისთანების იმედზეა და ეს იმედი არ უნდა მოვუსპოო. ამით ჩვენი საქმეც კეთდება, ჩვენ ხომ ამ სახელმწიფოს წარმოვადგენთ, თუკი რაიმე საკბილოს ვიშოვით, უპირველეს ყოვლისა ჩვენია, სახელმწიფოს ჯვრკვერობით ხელმწიფური საქმეა მთავარი – დიდებულ სულთანს ტერიტორიული მთლიანობა აინტერესებს, ხალხების დამორჩილება და ღვთიური ბრძანების შესრულება – გაამუსლიმანოს ყოველი ურწმუნო, რათა მათი სულები იხსნას იმქვეყნიური ჯოვანობეთისაგან. ეს ამოცანა ჩვენთვისაც სავალდებულოა, რამდენ ადამიანსაც გადმოვიბირებთ ჩვენს რვაულზე იმდენი მაღლი დაგვეწერება და უფლისა და სულთნის თვალში ავმალლდებით, საიქიოს კი სამოთხე გარანტირებულია. ამ საერთო საქმეში თუკი ვინმე გვიღალატებს, ბოლიშს არც მოვუხდით და არც მოვახდევინებთ, დაულაპარაკებლად გავუყენებთ გაგზავნილ გიაურთა გზას, ვინც დაიმსახურებს, წყალობით აგვავსებენ. ნაალაფევი ჩვენი იქნება, სახელმწიფო არ მოგვთხოვს.

– როდის უნდა დავიძრათ ეფენდი? – შეპბედა ერთმა მეთაურთაგანმა.

– დღეისსანორს ადგილზე უნდა ვიყოთ, ცოტა დროა დარჩენილი, აჩქარებულად უნდა მოვემზადოთ.

– ჩვენ უკვე მზად ვართ ბინბაში, თუნდაც ახლავე წავიდეთ.

– მაშ სახვალიოდ.

– საქმის გადადება ცუდად მაქვს დაცდილი ეფენდი, ჩვენ დავიძრებით, ნელა ვივლით და თუ თქვენ რაიმე საქმე გაქვთ მოსაგვარებელი, წამოგვეწევით, თუ ცხენებს არ გადავლლით უკეთესი იქნე-

ბა, არც იანიჩრები დაიღლებიან, არაქათგამოცლილები კარგ საქმეს ველარ გააკეთებენ.

– მართლაც ასე აჯობებს ფერადბეგო, დაიძარით და მეც სულ მალე წამოგეწევით.

ათასხუთასზე მეტ ჯარისკაცს მოუყარა თავი ბინბაშმა, რამდენ-იმე ათეული დაბალი რანგის მეთაურიც შემოიკრიბა, სწრაფად მო-აგვარა საქმეები და ჭოროხის ხეობით აჭარის მთიანეთისაკენ მიმა-რთა ჯარიც და გულგუმანიც.

– ჩვენი ასკერი ყველას სჯობია, რამდენი ტერიტორია დავიპ-ყარით ჩვენი იმპერიის საკეთილდღეოდ, კიდევ ბევრს დავიპყრობთ დიდი სულთნის ძლიერების გასამტკიცებლად, ჩვენც დიდი წყალო-ბა გველოდება – გადაულაპარაკა ბინბაშმა იუზბაშებს და ულვაშები მათრახის წვერით შეიფხანა, გონებით კი იმ სოფელს გადაწვდა – რას მიქვია სოფელი, როცა ამოდენა ტერიტორიები ჩვენს ხელშია. გავაცამტვერებთ, მიწასთან გავასწორებთ. უუხ, გიაურებო.

– გურჯები მაგრები არიანო ამბობენ.

– გავტეხთ მაგათ სიმაგრეს. ეს ერთი სოფელი დაგვრჩია და...

– განა იმ სოფლით მთავრდება გურჯისტანი?

– არა, მაგრამ გურჯისტანიც მთლიანად ჩვენი გახდება, ჩვენს დორშას დაემორჩილება. მთელი დასავლეთი – ბათუმიდან აფხაზე-თის ჩათვლით ჩვენს ასკერს უკავია. მაგრამ ამ სოფლისათვის ვერ მოიცალეს, იმიტომ რომ იქ ძალიან წინააღმდეგობას აწყდებინ და ჩვენც დაამატებით სწორედ ამიტომ გამოვაგზავნეს, რაც მეტი ვიქნებით, მით უკეთესი. ხან გავიმარჯვებთ, ხან დავმარცხდებით, მაგრამ საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება.

– დაგვანებებენ ვითომ?

– წინ ვინ დაგვიდგება.

– სხვებიც არიან ძლიერები. ესეც არ იყოს, სპარსეთი არ დაგვ-ანებებს მთლიან საქართველოს, მადა იმათაც აქვთ, მერე კიდე დიდი რუსეთი?

– იმათ ჯერჯერობით ძალა არ შესწევთ ჩვენზე გამკლავებისა, შიდა საქმეებით არიან დაკავებულნი.

– მე მაინც მგონია ბინბაშმ, აჭარის იქით ველარ წავიწევით.

უკვე მერამდენედ გადაჯეკეს ეს გზა აჭარაზე კალიებივით შემოსულმა და ჭირსახადივით მოდებულმა ოსმალებმა.

გზადაგზა, რაც სოფლები ჩაიარეს, სიხარულით არავინ ხვდებოდა, კარები გამოიხურეს და მძულვარე თვალებით მიაცილებდნენ დამპყრობლებს. მხოლოდ აქა-იქ ხვდებოდნენ ხოჯა-მოლები, სულთნის ერთგული ლაქიები და თუ რამე შეეძლოთ, ასკერს ამარაგებდნენ.

გვარას ციხის მისადგომებთან, ჭოროხის გამოლმა ნაპირას ცხენი შეაყენა მეთაურმა და ასკერს შესვენება უბრძანა. ცხენები ველზე გაუშვეს და დასანაყრებლად ფეხი მოირთხეს.

ხოჯა მიეახლა ბინბაშს.

– „სელამ ალეიქუმ ეფენდი!“ – ოდრიკალად მოიხარა ხოჯა.

– „ალეიქუმ სელამ ხოჯა ეფენდი!“ – სალამი დაუბრუნა ქუჩუკ ბეიმ და დაჯდომა შესთავაზა, თანაც ირიბად შეათვალიერა. ხასიათი და სახის ელფერი შეამონმა ცბიერმა მეთაურმა. უხასიათობა არ ემჩნეოდა ხოჯას და ამან გუნება გამოუკეთა ბინბაშს.

დაჯექი ხოჯა-ეფენდი.

– „სალოლ ფაშავ,“ ვიდგები ასე ჯობია.

– რა მდგომარეობაა აჭარაში ეფენდი?

– ჯერჯერობით მშვიდობაა, თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ადგილას აჯანყებულ ხალხს. ისინი დააწყნარეს მაგრამ?

– თქვი რისი გრცხვენია რაა კიდევ?

– ერთი სოფელი ეფენდი...

– ჰომ? – რაფერ გგონია მაი სოფელი ჩვენ დაგვავინყდა თუ? სწორედ მათ მოსარჯულებლად ვართ წამოსულები – მუქარანარევი სიხარულით წარმოსთქვა ბინბაშმა და ლუკმა ჰირში მოიქცია – თუ ისურვებ წამოდი და როცა ხალხს გავამუსლიმანებთ, ხოჯად დაგსვამთ. აქ კიდევ სხვას გამოვაგზავნით.

– ჯერ მოარჯულეთ და მერე დიდო ბატონო, თორემ წინასწარტრაბაზი ვერაფერი მოსაწონია.

– არასოდეს დამიტრაბაზია. თუ ვიტყვი, ვასრულებ კიდევაც – ავად გადაატრიალა თვალები და ხოჯისაგან გაგულისებულმა ჯარისკაცების ამხედრების ბრძანება სასწრაფოდ გასცა. მერე თითქოს დაუტკება ხოჯას და შეეკითხა:

– რამდენი მანძილი იქნება სოფლამდი ხოჯა-ბატონო?

– ცხენით ნახევარი დღის სავალია, ხოლო შენ ქვეითები არა გვყავს როგორც ვხედავ. არც სურსათი მიგაქვთ. გეყოფათ განა?

– ჩვენიანები არ არიან გზადაგზა სულ? ვალდებული არიან გამოგვკვებონ.

– ამდენ ჯარისკაცს ნახევარი ქალაქის მოსახლეობა თუ გასწვდება, თორემ დამშეული ხალხი ხელს ვერ გაგიმართავს, თვითონაც ლუკმას არიან დანატრებული.

– ჯერ მათრახმა იცოდეს და თუ არ გაჭრა, მაშინ იატაგანებს დავატრიიალებთ.

ხოჯა არ იყო ოსმალეთის ყურმოქრილი მონა, მხოლოდ თავი გაჰქინდა შარიათის კანონს ამოფარებულს, ამიტომაც ბინბაშს თავდახრით არ შეხვდა, მისი მიზანიც ეშმაკურად წამოაცდენინა და გაფრთხილებაც მიაყოლა.

– მათრახი, გინდ იატაგანი თუ იხმარეთ გამუსლიმანებული მოსახლეობის წინააღმდეგ, რასაც დროს გაატარებ ბინბაშო, რომ ჩამოივლო მაშინ შემატყობინე.

– მაშ, მე ხუმრობის გუნებაზე ვარ? რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოგივლით ხოჯაბატონო და შემდეგ მოგახსენებ – დაცინვით მიუგო ბინბაშმა და ცხენს მათრახი გადაუშეუილა.

არ ეწერა ბინბაშს ოცნების ასრულება.

შუალამისას მიადგნენ აულებელ ციხე-სიმაგრეს, გაუტეხელ ქრისტიანთა სოფელს. ცხენები ქშინავდნენ და ფრუტუნებდნენ, ხოლო იანიჩრები წყევლა-კრულვით ულრჭიალებდნენ კბილებს ქრისტიან მოსახლეობას.

ბინბაში იუზბაშებს მიუპრუნდა.

– აქ სადმე მინდორი უნდა გამოვნახოთ და დავბანაკდეთ, მაგრამ ნუ ვიხმაურებთ. სოფელს მაშინ უნდა დავეცეთ, როცა ლრმა ძილში იქნებიან. დავაფრთხობთ და ამოვუუჯავთ.

– არ დაგავიწყდეს ეფენდი, ქრისტიანები დილით, სინათლის დადგომამდე დააქუხებენ ზარებს და ძილს პირიქით დაგვიფრთხობენ. ზარების ულარუნზე მთელი სოფელი სალოცავში იქნება შეკრებილი და ეს უფრო გაგვიადვილებს მათ მორჯულებას – მიუგო ერთეულმა იუზბაშმა.

- მთლა კაი იქნება თუ ქილისაში იქნებიან თავმოყრილი, მი-
ვუკეტავთ კარებს და...
- ცეცხლის წაკიდებას ხომ არ აპირებთ ეფენდი?
- რატომაც არა?
- ეგ ვერ მოგიწონე ბინბაშო, კანონით არ შეიძლება.
- ქრისტიანების მოსარჯულებლად არაფერს კრძალავს შარ-
იათი.
- თუ ამოვწვავთ ვიღა უნდა გავამუსლიმანოთ?
- წამით დუმილი ჩამოვარდა.
- რა გვონია ეფენდი, ეგენი არა ფხიზლობენ? ეცოდინებათ უკვე
მაგათ ჩვენი შემოსვლა.
- სანახევროდ დაცლილ სოფელში მართლაც მიწვდა ოსმალთა მგ-
ზავრობის ამბავი. დარჩენილი ვაჟკაცები ლამისეულ გზას დაადგნენ
ნატბევისკენ და გზადაგზა ბჭობდნენ, რომელ ვინროგბში ჯობდა მო-
მხვდურებზე გამკლავება.
- რას იტყვი ბინბაშო თუ გაგვიგეს შემოსვლა? – კვლავ შეეკითხა
იგივე იუზბაშმა.
- მტკვერი არ აგვიდინონ ფეხებთან. ნაცარტუტად ვაქცევთ
სოფელს, ასეთია ბრძანება, ხოლო ხალხს თუ გავამუსლიმანებთ
ცოცხლებს სახლებს შევუნარჩუნებთ, ვინც არ მიიღებს ისლამის
რჯულს თავებს დავაყრყვინებთ. გოგონებს კი... ალარ დააბოლავა
ბინბაშმა და რაღაცნაირი სიამოვნებით გაიზმორა.
- არავის შეუმჩნევია სიბრძეები ბინბაშის ხუნტრუცი.
- იუზბაში მიუჟახლოვდა მეთაურს და ვითარება მოახსენა და-
ბანაკების შესაძლებლობაზე.
- ცხენები არ დაამშიოთ და ლაგამი არ აჰყაროთ. ეცადეთ არ
იჭიხვინონ. დიღით სწრაფად უნდა დავეცეთ სოფელს. ახლა ძიღის
დროა, შეგიძლიათ მოისვენოთ. სასწრაფოდ გაშალეთ კარვები. შორ-
საა მინდორი?
- არა, აქვეა ახლოს.
- ჰოდა, საქმეს მივხედოთ, ყოველი წუთი ძვირფასია, ხვალ მა-
გარი იფლისლვრა გვექნება.
- ოფლის თუ სისხლის?

– ჩვენი მისია უნდა შევასრულოთ და სულთნის იმედი არ უნდა გავაცრუოთ – თქვა და ოუზბაშს უკან გაჰყვა, როდის-როდის შელაგდნენ კარვებში.

ძილი არ მოჰკარებია ბინბაშს თვალებზე. ლამით ჩუმად გაიპარა და სოფლის დათვალიერება გადაწყვიტა.

მთვარის ულიმლამი ნათელში მკრთალად მოჩანდა სოფელი. ძალებმა გნიასი ატეხეს, მაგრამ ქუჩუკბეის სვლა არ შეუწყვეტია. ოლოლმა დასძახა თავთან, არ მოეწონა ბინბაშს.

„გიოზლერინე ქოროლსუნ“ – მიაძახა დამფრთხალმა და გზა განაგრძო. ძალებმა ყეფა ატეხეს. მალე მთელი სოფლის ძალებმა მიბაძეს ერთმანეთს და ყურთასმენის წამლებად აყეფდნენ. გახმაურდა სოფლის სიჩუმე. ტყემაც ხმა მისცა ძალების გნიასს.

„ესე იგი სოფელს სძინავს, ძალები კი ფხიზლობენ. ხვალ ნაცარტუცად ვაქცევ მთელ სოფელს, თუ წინააღმდეგობა გამიწიეს. ხალხს ძალებსაც მივაყოლებ და ლორებსაც, ნაალაჯევს კი იანიჩარებს დავურიგებ – შედგა, გაზმორა და მთვარეს თვალები გაუსწორა – მე თუ ფაშობა მერგო, ჯერჯერობით აქ დავრჩები და აჭარას მოვთხოვ სულთანს საგამგებლოდ. ჰარამხანას გავიჩენ, მსახურებს დავისევ და რაც ქონებაა აჭარაში, სულ ჩემს სასახლეში მოვაზიდვინებ. შემდეგ დრო გაივლის, სულთანიც შეიცვალოს იქნებ და ახალ სულთანს, ჩემს საგმირო ამბებს შევალამაზებინებ და მივაწვდი. იქნებ სასახლის კარზე აღმოვჩნდე. მერე კი?... მერე სხვა ქვეყნებსაც მივხედავთ. დიდო „ალლაჰ“, იქნებ მერე სულთანბასაც გამოვკრა ხელი“.

წამით ჩაფიქრდა და ისევ შეხედა მთვარეს, რომელიც ოსმალე-თისა და სამუსლიმანო ქვეყნების ცაზე დასავლეთისაკენ მიცურავდა. სასახლე კი... სად უნდა ავაგო სასახლე? „ჰელბეთ“ აქ დავრჩები. მე რომ სოფელს დავიმორჩილებ წინამორბედთაგან განსხვავებით უძლიერესის სახელი მერგება. ჩემამდე ვერავინ შეძლო ამ გიაურთა დამორჩილება. მერე ხელ-ფეხი გახსნილი მექნება და... ისეთ სასახლეს ავაგებინებ არზრუმის ფაშას არც დაესიზმრება, მერე კი...

ბუჩქებში რაღაცამ დაიშლიგინა

„ალბათ ტურაა. ამ შუალამეს ჭკვიანი კაცი ლოგინში უნდა იყოს. თუმცა... ამათ განა ჭკუა ეკითხებათ? ოსმალეთმა მთელი მცირე აზია ჩაიგდო ხელში, სპარსეთს ყურადღებას არ აქცევს და რა გახდა ერთი

სოფელი. ნეტა ვისი ან რისი იმედი აქვთ, რომ წინააღმდეგობას გვი-
წევენ? არა, ნამდვილად უჭკუონი არიან, თუმცა გიაურებს ჭკუა რო-
დის ქონდათ... სულ სხვაა ჩემი საქმე. ღამით რომ დავდივარ. იანიჩა-
რი მუდამ უნდა ფხიზლობდეს”.

ასე ფიქრობდა იმ ღამით ქუჩუკბეი, მაგრამ ის კი არ იცოდა, მის
ნაფიქრალს რამოდენიმე საათის არსებობის მეტი არ ეწერა.

გამთენისას ქუჩუკბეი თავის კარავში შეძვრა და ბალიშზე ზურ-
გით მიყერდნო, „თესპე” დაიჭირა და მარცვლას შეუდგა, თან ჩუმად
რაღაცას ბუტბუტებდა.

„ღმერთი არ მომიძულებს „ჰელბეთ”, ახლა თუ გამარჯვება მეღ-
ირსა ჩემს ბედს ძალი არ დაჲყებს. ჯარს კი სოფლებში ჩავაყენებ
და მორჩილებაში მეყოლება მთელი ხეობა. „ალლაჰ, ალლაჰ”, – ხმამა-
ღლა წარმოთქვა და დილის ნამაზისთვის მსახური იხმო.

მსახური პირადი დაცვის მეთაურიც იყო... ერთი ჯმუხი და ახ-
მახი ვინმე იყო თურქმანი ოსმანი. მუდამ წვერმოშვებული, მუდამ
ფხიზელი და შემართული. მისი ამ თვისებებით ასმეთაურობამდე
მიღწეულს წინ ლამაზი მომავალიც ელოდა, ყოველშემთხვევაში თვი-
თონ ასე ფიქრობდა.

ოსმანმა წყალი და ტაშტი მოართვა.

ბინბაში შუა განბანვაში იყო, იუზბაში იუსუფი შევიდა კარავში.
ოსმანმა თითით ანიშნა იუზბაშს და ისიც უკან-უკან გაიძურნა
კარავიდან.

ბინბაშმა განბანვა მოათავა და ლოცვად დადგა, გულით კი თავის
კარმიდამოს მინვდა და ღმერთს ლოცვაში მისი აყვავებაც შესთხოვა.

მამლებმა გათენებისა იყივლეს სოფელ ჯინიშში. იმავ წუთს კი
ზარების რეკვის ხმა გაისმა. ბინბაშმა ლოცვა შეწყვიტა, რაც შარია-
თის კანონებით არ შეიძლებოდა.

ომ, „გიაურებო”, რა დრო შემირჩიეთ. ლოცვად არ ვიდგე განახ-
ებთ სეირს. ღმერთო მაპატიე ლოცვა რომ შევწყვიტე, მე ხომ გიაურ-
თა მოსარვეულებლად მოვედი – ჩაიბუტბუტა და ლოცვა განაგრძო.

– გიაურებიც სალოცავად ემზადებიან ალბათ მბრძანებელო –
შეპედა ისმანამ, მაგრამ ბინბაში უკვე ლოცულობდა და პასუხი
ალარ გასცა.

ზარებმა კი ულრიალს უმატეს. გამალებით რეკავდნენ.

ობოლმა მათემ ყველაზე ადრე გაიგო ოსმალთა შემოხეტება, სოფელს შეატყობინა და ღამითვე მთის გზას დაადგა, ძნელ და ხიფა-თიან მოკლე გზას, საიდანაც დაბრუნება ალარ ეწერათ. ძალლების გროვაც გაიყოლა თან.

არ ეძინათ სოფელში დაბრუნებულებსაც, იცოდნენ მათეს წყ-ალობით ოსმალთა დაბანაკების ამბავი. მათი გადაწყვეტილება ურყევი იყო, რადგან მთიდან დაბრუნდნენ გადამალვასაც ალარ აპირებდნენ. როდესაც ოსმალთა შემოსვლის ამბავი გააგებინა მათე ბიჭმა სოფლელებს, ალარ დაუძინათ და სალოცავში მოიყარეს თავი. უფალზე ვედრებით გაუთენდათ დილა.

განაწილდნენ სამრვდელოების მესვეურები და უხუცესები სამ-ლოცველოებში.

პაპა მახარემ და ლაზარემ ზარები ააჟლრიალეს. ეკლესიის დედო ზარს საყდრის ზარმაც პანი დაანია და ჰარმონიული რეკვა მზის ამოს-ვლამდე არ შეუწყვეტიათ, ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. რეკდნენ გა-მალებით და საგანგაშოდ.

უჩვეულო ზარების რეკვის ხმაზე მეზობელი სოფლის მცხოვრე-ბლები მიხვდნენ თუ რა ცეცხლი ტრიალებდა ნადარბაზეველთა ცხ-ოვრებაში, წამოიშალნენ და მზერა მიაპყრეს ყოფილ თუ არგაყოფილ მეზობლებს, შველით კი ნამდვილად ვერავის უშველიდნენ – შარია-თის კანონები შველას კი არა, „გიაურებთან“ მისვლის ფიქრსაც კი უკრძალავდნენ გამუსლიმანებულებს.

ზარები კი რეკავდა და რეკავდა ავისმომასწავებლად.

მზის ამოსვლა და ოსმალთა ყიუინი ერთი იყო. საბრძოლო ნაღარაც ლრიალებდა გულისამრევად. წუთები და სოფლის შუაგულ-ში ალმოჩნდნენ ცხენოსნები.

პაპა დოროთის ხელი დაელალა, თოქს მოშორდა და ჩაიმუხლა. მამა ანტონი მიუახლოვდა პაპას, მაგრამ მან თითო ზარისაკენ გაიშ-ვირა.

– მიდით და რეკეთ, ვიდრე არ შემოვლენ რეკვა არ შეწყვიტოთ.

ბინბაში გამალებით უახლოვდებოდა ეკლესიას, მაგრამ უცებ ცხენი შეატრიალა და იუზბაშებს ნაჩქარევად მიუგო: – ეკლესიაზე თქვენ მიიტანეთ იერიში, მე კი ზემოთ წავალ. გზას მოვუჭრი ტყეში რომ არ გაიქცნენ – თქვა და ცხენი დაქუსლა...

დაფუქობულმა ცხენმა სოფლის განაპირა ქედი ქშენით აირბინა.
იანიჩრები ყიუინით მისდევდნენ მეთაურს.

აღმართი ძნელი იყო.

ერთ ხრამთან ფეხი დაუსხლტა ბინბაშის ცხენს, წაიფორთხილა
და ბინბაში წინ გადააგდო. გადავარდნისას თავი ქვას დაჰკრა და
ხრამის ფსკერამდე სული აღარ დაჰყოლია.

მასავით ჯერ და მკაცრი იუზბაში ოსმანა, უკან გაჰყოლოდა
ბინბაში. წამსვე ისკუპა ცხენიდან და ბატონთან გაჩნდა, მაგრამ ბინ-
ბაშს უკვე მამაზეცირიც ველარ უშველიდა. ოსმანამ თავში წაიშინა
ხელები. იანიჩრები ჩაყვნენ ხევში ოსმანას. რის ვაი-ვაგლახით ამ-
ოიტანეს ბილიკზე მკვდარი ბინბაში.

ოსმანა სიმწრისაგან თითებს იკვნეტდა და ავად ატრიალებდა
თვალებს.

– უუპ, გიაურისშვილებო, მე თქვენ გიჩვენებთ სეირს – სოფ-
ლელების მისამართით დაიქადნა ოსმანამ და ცხენი სოფლისაკენ
შეაბრუნა – ბატონი პატივით უნდა დავასაფლავოთ სადმე, ისე რომ
მისი საფლავის ადგილი ჩვენს გარდა არავინ იცოდეს. საქმეს შევუდ-
გეთ, სხვებმა კი მომყევით – თქვა ეს და ისევ სოფლისაკენ იპრუნეს
პირი.

სოფელში ისევ ისმოდა ზარის ხმა – ულარუნებდნენ და
ულარუნებდნენ შეწყობილად.

– „ბუნლარუნუნ ახირ ზამან გელდი“ – თქვა ოსმანამ და იატა-
განი იძიშვლა, ცხენზე წამოიმართა და ისე წავიდა ეკლესიისაკენ.
ალაყაფის კარები ცხენის წიხლებით შეაღო და შიგ შევარდა. იანიჩა-
რებიც ამას ელოდნენ – შეცვივდნენ ეზოში. ოსმანა ჩამოქვეითდა და
კიბეები აირბინა, მაგრამ მას იანიჩრები წვდონენ და უკან ჩამოიტოვეს.

წამით შეჩერდა ოსმანა და უკან გაბრუნდა, კიბეებზე ტევა აღარ იყო.
გარეთ გავარდა და სამრეკლოსაკენ აიხედა. იქ უკვე ხელჩართული ბრძო-
ლა გაემართათ დამხვდლურებსა და ოსმალებს.

გამხეცებული სისხლსმოწყურებული იანიჩარები აღარავის არ
ინდობდნენ, ერთმანეთზე მიაწვინეს მოხუცები, ზარები ძელებიდან
ჩამოგლიჯეს და ეზოში გადაყარეს.

სოფელში გასული იანიჩარების გუნდი შემოეხეტა გალავნის
შიგნით. ბინბაში ვერსად დალანდეს და ოსმანა იუზბაშს მიადგნენ.

– „ბუ ქოიდენ ინსანლარ სილმიშლერ” – უთხრა ერთერთმა მე-
თაურმა და ულვაშზე ხელი გადაისვა.

ოსმანამ წამით მზერა მოატარა მინდორზე შეგროვილ იანიჩა-
რებს. გონებაში რაღაც გადაწონა.

– ეგენი მთაში გაიქცეოდნენ – უთხრა ონბაშს ქართულად და
თვალი გორებს მიაბჯინა.

– „ბინბაშ ნერდე ვარ ეფენდი?” – ეხლა სხვა შეეცითხა.

– „ბინბაშ ელდი ყარდაშ” – დანანებით უპასუხა ოსმანამ.

იუზბაშ იუსუფს ოსმანას ნათქვამი ჩაესმა და უმაღლ მიიჭრა მასთან.

– „ბუნდან სორა ასქერ ბაშბაქან სენ ოლურსუნ” – უთხრა ოს-
მანას იუსუფმა და თვალები გაუსწორა.

ოსმანა ცხენზე შეიმართა და მხედრის საკადრისი პოზა დაიკა-
ვა, აქაოდა უფროსობას ნამდვილად შევძლებო.

– „იახში იუზბაშ” – უთხრა იუსუფს და იანიჩარებში შეერია.

ეკლესიის მთავარი ზარი ისევ რეკადა. ვერ შეალწიეს ოსმალებმა
იმ სიმაღლეზე, კარები დაგმანული იყო.

ისარი მიუწვდინა ერთ-ერთმა იანიჩარმა.

სამრეკლოზე ამოხოცილ მოხუცებს იანიჩარები ძირში ყრიდნენ.
ოსმანამ გარეთ გაიწვია ყველა.

– გალავანი გამოკეტეთ და „ქილისეს” ცეცხლი წაუკიდეთ – თქვა
უცებ გაბინბაშებულმა ოსმანამ და ყურადღება დაძაბა.

ეკლესიიდან ცოცხლადგადარჩენილი დეკანოზი ბასილი მო-
ჰყავდათ იანიჩარებს იატაგნისწვერმიბჯენილი.

– „გიაურინუნოლლი ფაფაზ” რამდენი ქილისე გაქვთ – წვერში
წვდა ოსმანა და მათრახი გადაუშეუილა.

სიმწრისაგან შეტოკდა ბასილი, მაგრამ არ განძრეულა, ვერ გაი-
გო ოსმანას ნათქვამი.

– რამდენია-მეთქი ძალლიშვილო „ქილისე”, გაგვიძეხი და შენი
ხელით გათხარე შენი სამარე, იმ „ქილისესთან” – უთხრა ქართულად
და იქითკენ უბიძგა, საიდანაც ზარის ხმა ისმოდა.

ოსმანას იუზბაში ქელეში მივარდა და ბინბაში ქუჩუკ-ბეი რომ
ვერსად იხილა გულაძეერებით შეეცითხა:

– „ოსმან ეფენდი, ბაშბაქან ნე ოლდუ”?

– „ელდი, ეფენდი, ელდი” – თქვა და ცრემლები მოიწმინდა.

იუზბაშმა წვერებიანი დეკანოზი რომ შეამჩნია მიიღია მოსაკლავად, მაგრამ ოსმანამ შეაჩერა, მიუბრუნდა და ისევ გაუმეორა ბრძანება დეკანოზს, რომ სხვებსაც გაეგონათ.

– „დოლრუ გით ქოფექოლლუ” – და ზარის ხმისკენ მიუთითა.

ზარის ხმას მიყვნენ იანიჩრები. საყდარს მიუახლოვდნენ და მინდორზე გაიფანტნენ.

ლამაზი შენობა დალანდეს, რომლის სამრეკლოზე ნახევრადშიშველი გოგონა ასულიყო და ზარს გამალებით რეკავდა.

დაწინაურებულ ოსმანას იანიჩარი მიუახლოვდა.

– „ეფენდიმ, ქილისიედე, ჩიფლაქ ქიზ ზილ ჩალიორ ნე იაფალიმ?”.

– „ვურუნუზ” – გასცა ბრძანება და ცხენი შეაბრუნა.

– ეფენდი შენი ხელით უნდა მოკვდეს ეგ გოგო – უთხრა იანიჩარმა და მშვილდ-ისარი მიაწოდა.

ოსმანმა გაბრაზებით გამოართვა მშვილდი, დაუმიზნა და...

ქონგურზე გადმოეკიდა საცოდავი.

ზარი კი მაინც ულრიალებდა საწყალობლად. იატაკზე დავარდნილ მახარეს თოკისთვის ხელი არ შეუშვია.

– ცეცხლს მიეცით მაი ქილისეც – ბრძანა ოსმანამ.

ცეცხლი სოფლის შუაგულში ბრიალებდა უკვე, იწვოდა ნადარბაზეველთა სამლოცველო. საყდარსაც შემოუწყვეს შეშა და წაუკიდეს. ძეხორციელი აღარ ჭაჭანებდა სოფელში. მოახსენეს კიდეც ოსმანას და იუსუფს იანიჩრებმა.

იუზბაშებს და ონბაშებს უხმეს. სასწრაფოდ გამოცხადდა ყველა. იუსუფი წამოიმართა ცხენზე და ასკერს მიმართა.

– ბინბაში ქუჩუკბეი დაგველუპა უბედური შემთხვევის გამო, ამიერიდან, ბინბაშის მოვალეობას მისივე გამოზრდილი ოსმანი ითავებს, ბინბაშიც თვითონ იქნება. თანახმა ხართ?

– „დოლრი ეფენდი, დოლრი” – გაისმა აქეთ-იქიდან და ყიუინაც დასცეს.

– რა გალრიალებთ ოხრებო, მოხუცებს რომ დავერიეთ, ის გიხარიათ თუ ბინბაში რომ დაგველუპა. სოფელში, რომ არავინაა ხომ ხედავთ. გახიზნულან სადღაცა. ვის ეცოდინება მაგათი ამბავი, მონახეთ ვინმე.

– არის ერთი კაცი, წუხელ სოფელში გვახლდა, იმან იცის თუ სად იმალებიან წუპაკები.

– მაჩვენე ვინაა ამბის მცოდნე.

მეზობელი სოფლიდან შემოსულიყო ნადარბაზეველებზე განაწყენებული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა. წარუდგინეს ოსმანას.

– იცი სად იქნებიან ეს ძალლიშვილები? – შეეკითხა და იატაგანი შეათამაშა ოსმანამ – ყველას თავები უნდა დავაყრევინოთ, შებრალება არ იქნება.

– ადგილსამყოფელი არ ვიცი, მაგრამ გზა ვიცი მისასვლელი, კარგი ბილიკი მიუყვება მათ იაილას – წელში მოიკავა და უკან დაიხია, მიმალვას აპირებდა.

– გაგვიძლვები იმ ადგილებში – უთხრა ოსმანამ და პატარა ქისა გაუქნია – ეს ჯერჯერობით, შემდეგ კი წყალობა არ მოგაკლდება.

ეკლესიაზე ავარდნილი კვამლი შორი სოფლებიდანაც შეამჩნიეს, საყდარში კი ისევ ზარი რეკლა.

ზარს ცოცხლადგადარჩენილი მახარე რეკლა. კვამლი მისწვდა მის თვალებს, მაგრამ მაინც რეკვდა ზარს, საზარლად აუღარუნებდა.

სიწყნარის ალემა არ გასჭირვებია მოხუცს. ნელ-ნელა წამოიმართა და კვამლიდან გაიჭრიტა. ოსმალები გახვეტილიყვნენ მინდვრიდან, სულიერი არ ჭაჭანებდა ირგვლივ.

თოკით გადმოეშვა ძირს, ცეცხლი ჩაქრო დიდი გაჭირვებით და სოფლის მოკლე გზით სახიზარის გზას დაადგა, მაგრამ სოფლის თავს ველარ მიალწია, გზაში დალია სული.

სოფლის თავიდან კარგი საცალფეხო ბილიკი ჰქონდათ სახიზარებისკენ. სოფლის მცველი ვაჟუკაცები, ამ ბილიკის საწყისში, სოფლის თავში ნაციხართან მოყრილიყვნენ და იქიდან ადევნებდნენ თვალს სოფელში დატრიალებულ ცოდვის კალოს. მახარეც შენიშნეს, და რომ ვერ მიალწია მათთან, გზაში შეეგებნენ.

ერთი ლამაზი ხის ძირას მიაბარეს მიწას მახარე პაპა. თვითონ კი ბილიკს დაადგნენ და ერთ ვიწრობში ოსმალებზე გამკლავება გადაწყვიტეს.

იანიჩარები კი ყიუინით კეცავდნენ აღმართს.

ერთ ყანასთან ცხენი დაფეთდა და ორფეხზე აიმართა.

– ნადირი ხომ არ იყო სადმე – ჩაილაპარაკა იანიჩარმა. ტურების ხროვამ გაიშლიგინა და მიიმაღნენ. იმავე დროს ახალგაზრდების ჯგუფმა ყიუინა დასცა და ხმალამოწვდილი მივარდა მომხვდურებს.

ხმალთაკვეთება დამხვდურთა ამონცვეტით დამთავრდა.

სისხლით მოირწყო ყანა. გავეშებულნი შეუყვნენ აღმართს.

– ცხენები არ დაღალოთ, ფეხით იარეთ, სად წაგვივლენ ეგ უღმერთოები – თქვა ოსმანამ და ცას ახედა.

ავად იქუფრებოდა ცა. არ ეჭაშნიკა ოსმანას ამინდის ასეთი ცვალებადობა.

„ალბათ უფალი არც ჩვენ დაგვტოვებს დაუსჯელს“ – გაიფიქრა ოსმანამ და მიდამოს თვალი მოავლო. არსად მინდორი არ ჩანდა.

ქუხილის ხმა მიწვდა მათ ყურებს. უკან გამოიწყების ბრძანება უნდა გაეცა, რომ ამ დროს მეხი ჩამოვარდა შორიახლოს. დაფრთხენ ცხენები.

ამინდი უცებ შეიცვალა. წამოვიდა თქეში წვიმა.

– გავაგრძელოთ გზა ეფენდი, წვიმა ვერ შეგვაშინებს – თქვა ერთ-მა იანიჩარმა და თვალებში შეაცქერდა ოსმანას – თბილი წვიმაა, დავსველდებით, გავშრებით.

ლელეს მიაღწნენ იანიჩარები, მაგრამ ვაი მათს თვალებს, ადიდე-ბული ლელე მოგლევილ ხეებს მიაქანებდა დაღმა.

ველარ გაბედეს ლელეზე შებმა და უკან გამოპრუნდნენ, სოფ-ლისკენ.

გამოცარიელებულ სახლებში შელაგდნენ ოსმალები, ზოგმაც კარვები გამალა და შელაგდნენ.

ეკლესია ისევ ხრჩოლავდა, საყდარი კი გადაურჩა დაწვას. მოახ-სენეს კიდეც ახალ ბინბაშს.

– შეეშვით, იდგეს, ეგებ სალოცავად გადავაკეთოთ, ქვას რა აზრი აქვს, ხალხს თუ ვერ მოვარჯულებთ, ქილისე ხომ წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევს, გადავაკეთებთ. ქილისეს ადგილას კარგ ჯამეს წამოჭიმავთ, მერე კი... მერე, ალბათ როცა ხალხს დავიმორჩილებთ, სულთანი გვიძრძანებს რა უნდა ვაკეთოთ და რა არა.

რამდენიმე დღეს კოკისპირულად წვიმდა. გამოდარებას არ აპირებდა. იანიჩარებმა სახლებში შემონახული სურსათი გამოაცა-რიელეს და თავისი სალაშქრო სურსათიც მიაყოლეს. მხოლოდ წყა-ლი არ ჰქონდათ საძებარი.

- იუზბაში იუსუფი ბინბაშის სამყოფელში შევიდა.
- ოსმანეფენდი, სურსათი გველევა, არც ის ვიცით როდის გამოიდარებს, რა უნდა ვქნათ?
 - მეზობელ სოფლებს უნდა ჩამოვუაროთ, ვალდებული არიან ასკერის შესანახად ხარჯი გაიღონ.
 - ძნელია ეფენდი, წინააღმდეგობას წავაწყდებით, საშიშია არ აგვიჯანყდნენ.
 - გულში შიში არ გაივლოთ, აჯანყდებიან და მოვუვლით, ისე, რა იცი წინასწარ, თუ რას იზამენ მცხოვრებლები?
 - ჩვენმა მეგზურმა გადაკრულად მიგვახვედრა, მაგრამ მართალი გითხრა, არ მჯერა მაინც. ნათქვამია: „გაგრილს ნანახი სჯობიაო“.
 - მაგაში გეთანხმები. მაინც რამდენ დღეს გვეყოფა სურსათი?
 - ასე თუ იწვიმა, ალბათ ორ დღეს იქნებ, სამ დღეს.
 - მოვიცადოთ, იქნებ ხვალ გამოიდაროს.
 - ორი დღის შემდეგ გამოიდარა, მაგრამ დიდხანს არ გასტანდა, ესეც შენიშნეს.

მთიდან მონაქუხი მდინარეც შეამოწმეს გამოდარებისთანავე, მაგრამ იმაზე უარესი დახვდათ, რაც პირველ დღეს.

მეორე დღეს ოდნავ იკლო მდინარემ. მხოლოდ მესამე დღეს გადალახეს ვაი-ვაგლახით და ნატბევის აღმართის აუყვნენ. ხეობაში ჩახოცილი სოფლელების დამარცხაზე არ უზრუნიათ. მათი ტყეში შეფარების შემდეგ მეზობელი სოფლის მცხოვრებლებმა, თუმცა აკრძალული ჰქონდათ, მაგრამ მაინც გამოიტირეს და დამარხეს ისინი.

მებრძოლთა ერთი ჯუფი ნატბევის ქოხებში მოთავსდა, ხოლო ვინც ნატბევში იყო ასული ადრიდანვე, ისინი უკვე ბეთლემში იყვნენ თავშეფარებული. ხევში ჩახოცილი მებრძოლები და ნატბევში ასული რაზმი, ოსმალთა შემოსევამდე სოფელში იყვნენ გამაგრებულნი. გაიგეს რა ამხანაგების ჩახოცილის ამბავი, გადაწყვიტეს ნატბევის მისაღომებთან დახვედროდნენ და იქ გაემართათ ხოცვა-ჟლეტა. ოსმალთა ასვლაც შეიტყვეს და თავს დაესხნენ კიდეც, მაგრამ რიცხობრივად უდიდესი უპირატესობით ოსმალებმა ეს რაზმიც გაანადგურეს.

საყანეები და სახიზარი ადგილი გვამებით და ხმლებით მოიფინა, ჩაუხტნენ მებრძოლები, მაგრამ ვერაფერი დაკალეს მოძალადე-მოსისხლეებს. ქართველთა ძალა ერთობაში იყო ოდიოგანვე, ცალკ-

ცალკე განაპირებულებს მტერი ყოველთვის სპობდა. ასე დაემართათ ნადარბაზევის მებრძოლებსაც.

ნახმლევი და ნაომარი ადგილი დარჩა მხოლოდ სოფლელებისგან.

მთაში ასული ოსმალები ნალიებსა და ქოხებს დაერივნენ და რაც სურსათ-სანოვაგე იყო გადანახული, ერთიანად ჩათქვლიფეს.

იუსუფ-იუზბაშის ვარაუდი გამართლდა, მაგრამ საალაფოდ გაგზავნილი იანიჩარების დიდი ჯგუფი სურსათ-სანოვაგით დაბრუნდა უკან მეზობელი სოფლებიდან და რამდენიმე დღის სამყოფი საგზალი აიტანეს იანიჩარებთან.

ისევ დაუშვა ზაფხულის წვიმა, თქლიაშით იღვრებოდა ცარგვალიდან. ისევ იელვა და იქუხა რამდენიმე დღეს. ქოხმახებში გამოკეტილებს ლოცვაც მიავინწყდათ. ისინი ძირითადად ურნმუნო მეომრები იყვნენ, ხმალ-ხანჯალს და ცხენებს შეზრდილები, კაცთაკვლასა და ნგრევა-აწიოკებაში დაოსტატებულნი. ტყე-ღრეში ნათრევებს აბა რალა ელოცებოდათ, პირიქით, წყევლა-კრულვას უთვლიდნენ სოფლელებს, ასე რომ, აწვალებდნენ. ბედის ირონიაა, თორემ, საწყევარი და სამტრო სოფლელებს უფრო ჰქონდათ და არა მომხვდურებს. ამჯერადაც, ღმერთი მომხვდურთა მხარეზე იყო, განგება უმართებულოდ სჯიდა – ბრძოლის სასწორის პინა მომხვდურების მხარეზე სძლევდა, ეს აშკარა იყო.

რამდენიმე დღეს ითქლიაშა წვიმამ, ჩახოცილი მებრძოლების სისხლი გადარეცხა.

ცოდვის კალო წინ ედოთ მომხვდურებს. ერთი კვირის შემდეგ აიბარგნენ ნატბევის საცხოვრებლიდან და გზას გაუდგნენ. შუა გზაზე იყვნენ მიტანებულნი, რომ უცებ ისევ დაუშვა, ცის ჩამომხობას ლამბდა ამინდი. რამდენიმე საათის წვიმის შემდეგ ისე აცივდა, იანიჩარებს კანკალი დააწყებინა. შემდეგ სეტყვა დაუშვა და ქარბორბალაც დატრიალდა. ხოშკაკალი იანიჩარების ჩალმებმა ველარ დაიცვა. ზაფხულის უცნაურად შეცვლილ ამინდს, უცნაური ხოშკაკალი მოჰყვა.

ასწლოვან წიფლებს აეკვრნენ სათითაოდ. სიცივისგან, შიშის-გან და ცოდვისგან კანკალებდნენ იანიჩარები. ცეცხლის დანთების არავითარი საშუალება არ ჰქონდათ. შეციებულებს სახადიც შეეყარათ და ზოგმა ადგილზე განუტევა სული. მაგრამ, უკანდახევას არ აპირებდნენ – ასეთი იყო თანზიმათის კანონი.

ოსმანამ, თავადაც აკანკალებულმა მებრძოლებს ჩამოუარა.

- გამხნევდით ბიჭებო, ცუდი ამინდი მალე გამოკეთდება, ჩვენ ცუდი ხალხი უნდა მოვარჯულოთ. სად ჯანდაბაში მირბოდნენ, რა აქვთ იქ ისეთი რომ სოფელში აღარ გაჩერდნენ და ჩვენც გვაწვალებენ.

მეგზური ნანობდა გამოყოლას, მაგრამ ოსმალთა კლანჭებს ვე-ლარსად გაექცეოდა.

იანიჩრებში ერთი ნაკითხი ონბაშიც ერია, რომელმაც ბინბაშზე შეპასუხება წარბშეუხრელად გაბედა, ვინაიდან ერკვეოდა გურჯებ-ის ადათ-წესებში.

- ოსმან-ბეი, გურჯებს ერთობა აძლებინებთ, სარწმუნოების, მამულისა და ადათ-წესების დაცვა. იქ, თუ სად არ ვიცით, სადაც მივდივართ, წმინდა ადგილები აქვთ, რაღაც განსაკუთრებული სალო-ცავიო, ასე გავიგეთ. ჰოდა, იმათ დასაცავად, დიახაც, გამოიღებენ ხელს, მაგრამ ჩვენ ხომ ვერაფერი დაგვიდგება წინ. ბრძანებას აუცი-ლებლად შევასრულებთ თქვენი მეთაურობით.

- მე მხოლოდ თქვენი დროებითი უფროსი ვარ, მუდმივი უფრო-სი სულთანი და სარწმუნოება გახლავთ. ისლამზე მორჩილება უფ-ლის ბრძანებაა და უზენაესის კანონზე წინ არაფერია. ჩვენ ყველანი ერთ საქმეს ვემსახურებით – ურჯულოთა მორჯულებას.

იუზბაში უსუფი მიეთახლა ბინბაშს.

- ოსმან-ბეი, ჩვენ მუსლიმანები ვართ, მაგრამ მებრძოლები. ვინც მიგვაჩინია გიაურებად, ისინიც ყველა წუთში ლოცულობენ, პირჯ-ვარს იწერენ, ლოცვებს ბუტყუტებენ, აი, ეხლაც, მგონი უფალს გამო-დარებას და შემწეობას სთხოვენ. ჩვენ კი... წყალი არ იშოვება ამ წუ-ში რომ განბანვა შევძლოთ და ვილოცოთ, ან ვლოცულობთ კი? რამ-დენი ნამაზი არ შეგვისრულებია, რამდენიმე დღეა. მერეც გაუხდელად გვაცვია და ავშმორდით, ასე ხომ ვერ ვილოცებთ, უსუფთაონი ვართ.

- ღმერთი გვაპატიებს, იმიტომ რომ მის ბრძანებას ვასრულებთ. უნდა მოვარჯულოთ ხალხი, ეს კი საპატიო მისიაა.

- უფლის ბრძანებაა თუ სულთნისა, რას ვერჩით უბრალო ადამი-ანებს, ცხოვრობდნენ მათვის და არ გვაწუხებდნენ.

- ეს იგივეა, სულიან-ხორციანად მუსლიმანი იყო და გული გე-დოს ქრისტიანისა. დამორჩილებულ-ისლამმილებული ხალხის შუაგულში ქრისტიანული სოფელი იყოს? არა, ეს მიუღებელია. არაფ-

რით შეიძლება. ეს ასაფეთქებლად გამზადებული აჭარაა. უნდა მოვარჯულოთ ან სულ მოვსპოთ, თორემ ერთ დღეს დიდ ომს მოგვიწყობენ ამათი გამოისობით აჭარის მცხოვრებლები. დიახ, უნდა მოვსპოთ.

გათოშილი მებრძოლები უხმოდ ისმენდნენ ოსმანის შეგონებას თუ ბრძანების მსგავს სიტყვებს, გახიზნულებს კი კულავ წყევლა-კრულვას უთვლიდნენ.

სეტყვამ გადაიღო. მიწაზე მტკაველა ხოშკაკალი იღო. ლამემაც მოატანა. ზეზეურად, ხეზე მიყრდნობილებმა გაატარეს ის ლამე.

უთენია ცხენმა დაიფრუტუნა. სადღაც ახლოს ფოცხვერმა შეიკივლა, ტურქმაც დაიჩიხავლეს.

ცივ ლამეს ხოშკაკალი გაემაგრებინა. დილით მზე აპირებდა ამოსვლას, მაგრამ ცას ღრუბელი არ მოცილებია. მებრძოლები ისევ კანკალებდნენ, თოში ძალ-რბილში გაჯდომოდათ.

– როგორმე ცეცხლი უნდა დავანთოთ, თორემ მზეს თუ ველო-დეთ, გავიყინებით – ბრძანა ბინბაშმა.

კვესაბედის დახმარებით რაღაც ძონძებს მოუკიდეს, ხმელი ტოტებიც მოძებნეს და... რამდენიმე წუთში ტყის სივრცე კვამლმა დაფარა.

ნაშუადლევს, ოდნავი სულისმოთქმის შემდეგ გზა გააგრძელეს. ბეთლემამდე ჯერ კიდევ შორი იყო.

– ზოგიერთმა ძალიან უნდა დავწინაურდეთ, ლამის სათევი ადგილი უნდა შეარჩიოთ, თან სადმე წყალიც თუა არ გამოგვრჩეს. დაბანა, გარეცხვა-დასუფთავება დიახაც გვინდა. ხვალ და ზეგ გამეორება აღარ დაგჭირდეთ, თადარიგი დაიჭირეთ. საკვები გამოიზოგეთ, თორემ ეს გიაურები არაფერს დაგვახვედრებენ, თავისთვისაც არ ექნებათ სამყოფი. არ ვიცით რამდენი დღე დაგვჭირდება მაგათ სადევნად – თქვა ბინბაშმა და მეგზური მოიკითხა.

ნარუდგინეს ბინბაშმა ახალგამუსლიმანებული. ბეგყოფილი თავადების მოსამსახურე ქაჩალ-ბეი.

– შორია კიდევ იმ გიაურებამდე – ჰკითხა ბინბაშმა.

– არ ვიცი თუ სად იმყოფება ოსმან-ბეი, მაგრამ მჯერა რომ ეს ბილიკი მათთან მიგვიყვანს. ასე ლამაზი გზა სხვა რამეს არ უნდა ნიშნავდეს. ვეცდები გავერკვე. მე მხოლოდ იაილამდე ვიცოდი გზა –

უთხრა და თავი დალუნა – ვფიქრობდი იქ დაგვხვდებოდნენ. ისე შე-
ლამებულზე ან კაი დილას კვამლი რომ ვერ შევამჩნიოთ არ შეიძლე-
ბა, ცეცხლს აუცილებლად დაანთებენ.

– გველოდებიან და ნიშანს მოგვცემენ, აგერ ვართ და მოდითო?
არ არიან ეგენი სულელები. ცეცხლს კი ნამდვილად გამოიყენებენ,
მაგრამ თუ რამ მოსამზადებელი აქვთ, ღამით მოამზადებენ და ღა-
დარში დატოვებული კერძი დილითაც ცხელი ექნებათ.

– კვამლს ხომ ვერ დაფარავენ ბინბაში – ჩაერია საუბარში
იუზბაში იუსუფი – კვამლს შევამჩნევთ აუცილებლად.

– კიდევ ვიმეორებ, სულელები არ არიან, მიუხედავად იმისა გი-
აურები არიან. კვალს ყოველნაირად შეეცდებიან რომ არ გამო-
ამჟღავნონ.

– ღმერთი ჩვენსკენაა, აუცილებლად მივაკვლევთ.

– კი, ჩვენკენაა, მაგრამ კაი დახვედრაც მოგვიწყო, ხან წვიმა,
ხან სეტყვა, ხან რა და ხან რა.

– ჰო, ოსმან-ბეი, მაგრამ ღმერთი მარტო ჩვენი ხომ არაა, ყველა-
სია. ალბათ იმათაც აძლებინებს.

– მაი, არ მეშლება მე, მაგრამ ომის ღმერთი ჩვენკენ უნდა იყოს.
ხომ ვართ უძლეველნი.

– „პელბეთ”, ასეც იქნება, იდიდოს „ალლაჰი” – სიხარულით წამ-
ოიძახა ონბაშმა.

– გზები უნდა დავზივეროთ, ხაფანგში არ უნდა მოვყვეთ. ეშმაკო-
ბა არც გიაურებს აკლიათ, მაგრამ ჩვენ მაინც უნდა ვაჯობოთ და
ვდლიოთ. რაც აქამდე გამარჯვებები მოგვიპოვებია, ჭკუით და მოხ-
ერხებით მივალნიეთ და ახლაც არ უნდა მოვიკოჭლოთ. მიუხედავად
იმისა, მათი უპირატესობა ტყიანი ტერიტორიებით განისაზღვრება,
მაგრამ ტყესაც ცეცხლს მივცემთ.

– ტყემ რა დააშავა ოსმან-ბეი, ცოდოა. აი, გიაურები თუ ვიგდეთ
ხელში, უინს ვიყრით მათზე.

– ქალები თუ ყავთ ნეტა წამოყვანილი? – იკითხა მოუთმენლად
ერთმა იუზბაშმა.

– კი, კი ეყოლებათ, ალბათ სადედოფლოდ გაგვიმზადებენ აი? –
თვალების ავი კვესებით თქვა ბინბაშმა – ჩვენი მისია მათი მორჯუ-
ლებაა. თუ კაცები დავიმორჩილეთ, მერე ქალებიც დაგვნებდებიან,

მეტირა გზა ექნებათ. ისე კი იცოდეთ, წინდანინ ქალებს არ ებდლვნათ, თორემ ცუდად დამთავრდება ჩვენი საქმე.

სიჩუმე ჩამოვარდა რამოდენიმე ხანს. შეღამებულზე მზემ გამო-ანათა მთელი ძალით. ცა გადაისარკა.

– აი, ღმერთი ჩვენკვენაა-მეთქი. როგორ გამოგვიდარა?

– მთის წესები არ იცით თქვენ? ნუთუ დაგავიწყდათ? – მთაში უცეპ იცვლება ამინდი, ამიტომ ფრთხილად უნდა ვიყოთ, ყველაფ-რისათვის უნდა ვიყოთ მზად – თქვა ბინბაშმა და ცხენიდან ჩამოხტა – ცოტა ფეხითაც გავიაროთ, ცხენზე ჯდომა ორგანიზმს მოგვი-დუნებს და მერე ბრძოლა გაგვიჭირდება.

– მართლა რჯულის შეცვლაზე უნდა ველაპარაკოთ ხალხს თუ უნდა ვეომოთ? – იკითხა ერთმა ონბაშმა და ბინბაშმ შეაცექერდა – მაგათ, რომ რჯულის შეცვლა სდომებოდათ სოფელში დარჩებოდ-ნენ და იმდენ ლორს ალარ დაგვახვედრებდნენ სოფელში. ლორები კი ამოვუხოცეთ, მაგრამ, აქაც ხომ ეყოლებათ წამოყვანილი?

– ზაფხულში ლორებს ტყეში ერეკებიან, აქ წამდვილად არ ეყოლე-ბათ წამოყვანილი მაგრამ... თუმცა – თქვა ერთმა იუზბაშმა – საქონე-ლი აუცილებლად ეყოლებათ, წვრილფეხიც და მსხვილფეხიც; თუმ-ცა ეხლა ნაკვალევი არ ამჩნევია. მაგრამ ხომ შეიძლება მაინც გავიგ-ოთ მათი მიმართულება?

– ეგ როგორ, თუ კვალი არ ამჩნია?

– როგორ და... სკორეთი, ნაკელით, ნაშარდით მიკვლევა შეი-ძლება ბინბაშო. ამაში მენდეთ.

– აბა თქვენ იცით.

დიდი მანძილი გაირეს, წინ წაგზავნილი მზირები შემოხვდნენ გზაზე, გახარებული იერით.

– ოსმან-ბეი, კარვებიც გავშალეთ და იქ რომ ცივი წყაროა, ჩემს ეზოში ვინატრებდი იმას. ძალიან კარგი ადგილია. ამათ უნდა ჰქონ-დეთ და ჩვენ არა?

– ამიერიდან ყველაფერი ჩვენი იქნება.

– იცი ბეი, ერთმა ბრძენმა თქვა – „გუბეს რომ გადაახტები, ჰოპა მერე დაიძახეო“.

– მიგიხვდი ეგ „ჰოპა“ ჩვენთვის მუდამ იქნება.

– უფალი შეგვენიოს.

საკმაოდ შებინდებული იყო, როცა კარვებში შეღლაგდნენ. მაღალი თუ დაბალი რანგის მეთაურები ერთ დიდ კარავში მოთავსდნენ და სახვალიო გეგმის განხილვას შეუდგნენ.

– როგორც კი მივუახლოვდებით ამ ძალლიშვილებს ერთ ლამეს თავს დავესახმებით და გავუუჟავთ. ხევწნას არ დავუწყებთ სარწმუნოების შეცვლაზე. ქუჩუკ-ბეი რომ ყოფილიყო, იქნებ სხვანაირად მოქცეულიყო, მაგრამ ეხლა დანდობა არ იქნება, აღარაფერი გვაქვს სახვეწარი.

– როდის უნდა ჩავებათ ბრძოლაში?
 – ალბათ გამოენისას, როცა ჯერ კიდევ მძინარენი იქნებიან.
 – ოსმან-ბეი მძინარეს ნადირსაც არ კლავენ. ეს იგივეა ზურგიდან ესროლო ვინმეს.

– ახლა მაგის გარჩევის დრო არ არის. ბრძანება ბრძანებაა. როგორც კი გავიგებთ მათს ადგილსამყოფელს, უცებ დავეცემით. ვინმე ჯაპანი ხომ არ გვირევია?

– რას ბრძანებთ მბრძანებელო, ამოდენა გზას საღალატოდ გამოვლიდა ვინმე?

ლამე უხმაუროდ ჩათავდა. დილით ბრდლვიალა მზემ შემოიჭვრიტა ოსმალთა კარვებში. სწრაფად წამოდგნენ, წაივარჯიშეს და მალევე მოწესრიგდნენ. რამდენიმე წუთში კი გზას დაადგნენ.

– რა ჯანდაბა მოარბენინებდათ ამ გაუვალ ტყეში, ვერ დაეტიენ სოფელში? – თქვა ერთმა იანიჩარმა.

– რა გინდოდა სოფელში დაგვლოდებოდნენ და თავები უცებ წაგვეცალა? ვერ მოგართვეს. სული მწარეა „ყარდაშ“.

– აქ ვითომ შეღავათი ექნებათ? თუ მთის ჰაერზე უფრო იოლია სიკვდილი? იქნებ ასეც იყოს მარა მაგათოვის სულერთი არაა სად მოკვდებიან?

– ოსმან-ბეი ხომ არ აჯობებს ხალხს სარწმუნოების შეცვლისაკენ მოვუწოდოთ?

– არავითარი მოწოდება და ლმობიერება. ასკერის ლირსებას მიწასთან გაასწორებთ. რახან ტყე-ლრეში გვარბენინეს ამ ლორისშვილებმა, ყველას ბრძანების შესაბამისად დავაყრევინებთ თავებს.

შორს კვამლი შენიშნეს მებრძოლებმა და ბინბაშს მიეჭრნენ, ახარეს ვითარება.

– მგონი ახლოსა ვართ მიზანთან. ამაღლაშე შეიძლება მიუუახლოვ-დეთ და დილით ავასრულოთ სულთნის ბრძანება.

– ჯერ გათენდეს და მერე ვილაპარაკოთ.

– ისე კი ჯობია ოსმან-ბეი ამაღლაშ ვიაროთ, ახლოს მივიდეთ და გამთენისას უცაბედად დავეცეთ. ეძინებათ, მთვარეც გვიწყობს ხელს. მივეპაროთ დამიჯერეთ – წამოაყენა წინადადება სულეიმან იუზბაშმა.

– შესაძლებელია თქვენი ვერსია, მაგრამ გამოძინებაც სჭირდებათ ჯარისკაცებს და ძალ-ლონის მოკრება. ერთი დღე-ლამეც დაველოდოთ. მოვწესრიგდეთ. ხვალის-იქეთ, გამთენისას დავეცეთ. ისე შეიძლება თითო-ოროლამ მივეპაროთ და თუ სადმე დაბანაკებული არიან, ალბათ ერთად იქნებიან, გარს შემოვერტყმით. ასე უფრო სჯობს და ნიშანზე ყველა ერთად ვიმოქმედებთ. ისე ყველამ ერთად რომ მივიტანოთ უცაბედი იერიში, იქნებ შეგვამჩნიონ და ისეთ ადგილას მიგვიმწყვდიონ, ერთიანად ამოგვუურონ. ეშმაკმა უწყის ამათი ტერიტორიების ამბავი. შეიძლება ისეთი ხრამი ჰქონდეთ ამ ადგილებში, თვითონვე გადავიჩეხოთ იქნება. თუ ვინმე ადრე მოწესრიგდება, დაზვერეთ გზა, ოლონდ უხმაუროდ. ძლიერები კი ვართ და ძალაც ჩვენს ხელშია, მაგრამ ამჯერად არ შეიძლება ჩვენი ჩავარდნა. მთელი სა-სულთნო ჩვენ შემოვყურებს, უნდა გავიმარჯვოთ აუცილებლად.

– თქვენი ბრძანების მორჩილი ვართ ყველანი. თუ ასე მიგაჩნიათ საჭიროდ, დავრჩით ამაღლაშც, ხვალაც და თანდათან წავინიოთ წინ, ძალაც მოვიკრიბოთ. მართებული გადაწყვეტილებაა ოსმან-ბეი, სურსათი თუ არ გამოგველია.

– რაც აუცილებელია ის გააკეთეთ და დაიძინეთ, ოლონდ ყარაულობა აუცილებელია. დილით ნუ იჩქარებთ წამოხტომას, გამოიძინეთ. როცა ადგებით, იარაღი მოაწესრიგეთ. ბრძოლის წინ მშეირი და მოუწესრიგებელი თუ ვინმე იქნება, მათრახი ელოდება. მოსვენება და ძილი ყველას უნდა. ძალები მოიკრიბეთ...

საოცარი თბილი ლამე დაიჭირა. ისეთი თბილი, რომ ჩასუქებულ მეთაურებს კარავში დასცხათ კიდეც.

ბრდლვიალა მზიანი და ძალიან თბილი დილა გათენდა. უკლებლივ ელვიძა ყველას, დილის ნამაზიც შეესრულებინათ და ლოცვებს ბუტბუტებდნენ უკვე-ეუცნაურა ბინბაშს ლოცვაც.

– ასეთი ლამაზი ბუნება ამ გიაურებს რომ უბოძა ღმერთმა განა ეს სამართალია? ყველაფერი კარგი ჩვენ, მუსლიმანებს უნდა გვქონდეს. იფიქრეთ, რომ ეს ყველაფერი თქვენია, წართმევას გვიპირებენ და უნდა დავიცვათ. ამ შეგნებით უნდა ვებრძოლოთ გი-აურებს. ისე რა მოხდა, რომ ყველას საბახნამაზი გილოციათ?

– მართლა ურნმუნოები კი არა ვართ. სიძნელეების გამო ვტოვებთ ნამაზს თორემ, მუდამ ვლოცულობთ. დღეს კი, ბრძოლის წინ აუცი-ლებლად ყველას ვალია ლოცვა. ღმერთს გამარჯვებას ვთხოვთ.

– სალოლ ბიჭებო. ხვალ ალბათ სურვილს ავისრულებთ.

– მართებულად იქცევით, ვინც უფალს ივიწყებს, ის მუდამ ხი-ფათს უნდა ელოდოს.

– ამ გიაურებს უფალი კი ახსოვთ მარა ხიფათი რომ ელოდებათ?

– მაგათ უფალს სძინავს ჯერჯერობით...

– მაგას ნუ იტყვი ოსმან-ბეი, ღმერთი გვიწყენს, უფალი ხომ ერ-თია ქვეყნიერებაზე. როგორ დავიჯერო მათთვის სძინავს და ჩვენთვის ღვიძავს?

– ჩვენ მუხამედფეილამბერი გვიცავს...

– ამათ კი მათი იესო ჰყავთ დამცველად...

– რას გეტყვი იცი? ნაკლებად ხართ ჩახედული მუსლიმანურ ქითაბებში. რომელ ხალხსაც უფლის წინაშე დანაშაული მიუძლვის, იმას უფალი განა ხელს დააფარებს? არა არ დააფარებს.

– რა ასეთი დანაშაული მიუძლვით ოსმან-ბეი, არაფერი ვიცი...

– რა და ჩვენ რომ წინააღმდეგობას გვიწყევენ ეს. გიაურები არ უნდა იყვნენ ქვეყნიერებაზედ. ქითაბებში ასე სწერია და ამათ არ უნ-დათ დაჯერება იმისა, რომ ბოლო ფეილამბერი ჩვენი მუხამედ ფეი-ლამბერია და ყველა მისი მორჩილი უნდა იყოს.

– ქრისტიანობა ხომ დიდი ხნის სარწმუნოებაა... კარგი და მოხ-და ისე, რომ ჩვენს სარწმუნოებას უდიდესი საშიშროება დაემუქროს, ჩვენთვის იოლი იქნება თავსმოხვეულ რჯულზე შეთვისება? შე-ვურიგდებით და არ შევებრძოლებით, ისე როგორც ესენი?

– არაფრის გაგონება არ მინდა. ჩვენ გიაურები უნდა დავიმორ-ჩილოთ ფეილამბერისა და სულთნის სახელით... დანარჩენი დიდი ღმერთის საქმეა, მთავარია ჩვენ ბრძანებას და ისლამს არ

ვუდალატებთ... არა, ამათი საქმე გათავებულია. ახლა ყველა კარავი შემოიარე და მებრძოლები გაამხნევე, ხვალეც და თუ საჭირო დარჩება ზეგაც დავისვენოთ, მერე კი ერთი დღე გვეყოფა ამ გიაურების გასანადგურებლად, ბევრი არ იქნებიან. დაცვა გააძლიერეთ. არც მათ ეძინებათ ალბათ და შეიძლება ვინმე მოთვალთვალე დავიჭიროთ, მერე გაგვიადვილდება ბრძოლა. აბა თქვენ იცით, ძალიან უნდა იგხით, იქეთ არ ჩაუვარდნენ ხელში ჩვენი მცველები. აბა ყველამ გამოიძინეთ, კარგად დაისვენეთ.

- ბრძანება თქვენია და შესრულება იქნება.
- ბრძანება ჩემი კი არა, სულთნისა და მთელი ოსმალეთისაა, თავი არ უნდა შევირცხვინოთ. ისე ქუჩუკ-ბეი არ დაგვლუპვოდა აქამ-დე მოვითავებდით ამ საქმეს. ლმერთმა გაანათლოს მისი სული. ასე მგონია თან გვდევს და სანამ არ გავიმარჯვებთ ალბათ ვერ მოისვენებს...
- თუ ასეა, რაც ადრე მოვასვენებთ მის სულს, უკეთესი იქნება.
- დადგება მაი საათიც.
- ჩვენი სულთანი ახმედ-III ალბათ წყალობას არ მოგვაკლებს თუ გავიმარჯვებთ.
- თუ გავიმარჯვებთ კი არა უნდა გავიმარჯვოთ. ჩათვალეთ რომ ბრძოლა უკვე მოგებული გვაქვს.
- ხოჯა ნასრედინმა ხომ იცი რა თქვა?
- რუზე რომ გადახტები „ჰოპა“ მერე დაიძახეო არა? კიდეც გადავხტებით, კიდეც გადმოვხტებით და „ჰოპას“ და ჰარიჰარალესაც დავძახებთ.

თავი VII

ბეთლემის ეკლესიის მიმდებარედ უზარმაზარი მინდორია, რომელსაც ირგვლივ ასწლოვანი წიფლები არტყია, ხოლო ტყეში შქერი, წყავი და გაუვალი ეკალ-ბარდია. აქა-იქ ბილიკებიც იყო, მაგრამ ისინიც ეკალ-ბარდებს დაეფარა. ერთადერთი ბილიკი სოფლიდან მხოლოდ სალოცავისაკენ ჰქონდათ განმენდილ-გაკაფული ბერებს და ამ ბილიკს კარგად იცავდა სოფლის ახალგაზრდობა.

ბანაკი რამდენიმე კარვისაგან შედგებოდა, სადაც ათ-თხუთმეტს ეძინათ ნაბდებზე თავმიდებულებს. ჯანმაგარი ახალგაზრდობა კარვის გარეთაც ათევდა ღამეს. ნინა დღის ნასეტყვარი ამინდის მიუხედავად საოცრად თბილი დარი დადგა. მიუხედავად მთის სიმაღლისა ჰაერიც თბილი იყო. შორს, ღარათში უკვე გამქრალიყო თოვლი და კარჩხალის სუსხი ვეღარ აღწევდა ბეთლემის მინდორამდე. მინდორს კი ნამდვილად იცავდა ძალიან მაღალი წიფლის ხეები.

ლამე თბილი და მთვარე – ვარსკვლავებიანი იყო. ჰაერი ისეთი სუფთა, როგორც ხიზნების გული და სული.

ბანაკის შუა ხატები დაავანეს. უკლებლივ ყველამ ილოცა ხატებთან მუხლმოდრეკილმა და ზოგი ძილს მიეცა, ზოგმაც გვიან დაიძინა.

ყარაულები ხშირად ენაცვლებოდნენ ერთმანეთს. ძილით მხოლოდ ასაკოვნებსა და მანდილოსნებს ეძინათ, ხოლო იარაღასხმულნი ყველა ბანაკის ირგვლივ უზარმაზარ ხეებთან იყვნენ ამოფარებულნი. უბრალო ჩქამზეც კი მზადყოფნაში იყვნენ. ოლოლის გადახსილი ჰქონდათ სანიმნედ, თუკი საშიშროება მიუახლოვდებოდათ.

ლამაზი დილა გაუთენდათ დაბანაკებულებს, ბრდლვიალა მზიანი და ძალიან თბილი.

გოგონები ნამოიჭრნენ და კარვებიდან გავიდნენ. ჯერ ხატსალოცავთან ილოცეს და მოყარაულებს ჩამოურბინეს. ასკინკილით დახტოდნენ, მაგრამ ამ ასკინკილას უდარდელი-ბავშვური სიხალისე აკლდა...

ზანტად გამოიშალნენ კარვებიდან ხნიერებიც და ისინიც, ვინც გამთენისას მიწვა დასაძინებლად.

ყველა ხატსალოცავთან შეიკრიბა.

სასულიერო პირებმაც და სხვებმაც ხატებთან ლოცვაში დაითენეს. ანაფორიანებმა ჯერ ხელაპყრობილებმა ილოცეს, შემდეგ პირველი გადასახეს შეკრებილებს და ხატთან მუხლი მოიყარეს. ყველა მუხლებზე დაიჩიქა და ლამაზი დღის დასალოცავ სიტყვებთან ერთად უფალს შემწეობა შესთხოვეს.

ახალგაზრდებმა, მოყარაულებმა და შორსნასულმა მზირებმაც მიაშურეს მლოცველებს. დიღის ლოცვა ერთსულოვანი და თითქოს რაღაცნაირი ურუანტელის მომგვრელი იყო.

– გვფარავდეს უფალი ან და მარადის, დამიწებოდეს ჩვენს მდევარს და მაწიოკებელს თვალები, მარჯვენა გახმობოდეს სანამ ჩვენზე ხელს აღმართავდეს, მინა გახეოქოდნენ და შიგ ჩაშვავებულიყვნენ... უფალი ჩვენთანაა... გნამდეთ, რომ ჩვენ ჩვენს მეობას, სარწმუნოებას და მამულს ვიცავთ, ჩვენი წინაპრების დანატოვარს ვმწყემსავთ... ცოდვას არ ჩავდივართ... დიდო უფალო, შეგვენიე და დაგვიცავი უწმინდურთაგან... ამინ! – დაასრულა მამა ეფრემმა.

– ამინ – დაბალი ხმით გაიმეორეს სოფლელებმა და მუხლები გამართეს.

– წავიხემსოთ შვილებო და ვისაც როგორ შეგეძლებათ და რამდენ ხანსაც გაძლებო ხატ-სალოცავთან ილოცეთ და უფალს ევედრეთ... რისთვის უნდა გავიწიროთ... ამოიხსრა მამა ეფრემმა და თავის კარვში შევიდა. იგი გამუდმებით უფლისსავედრებელ წიგნებში იყო თავჩარგული და ამჯერადაც წიგნებს მიუბრუნდა.

– ლოცვა და მხოლოდ ლოცვა გადაგვარჩენს – გამოთქვა აზრი ანიკომ და გოგონებს გადახედა – ხომ ასე სწერია წიგნებში?

– განა იმ ქვეყნის ხალხი სულ არ ლოცულობდა, რომლებიც ოსმალეთმა ჩაყლაპა? ისინი რა, ურწმუნოები იყვნენ? არა, რაღაც ხდება ზეცაში, თორემ მუსლიმანები ასე ვერ აიშვებდნენ. რამდენი ქრისტიანული ქვეყანა მოინელეს არა? ნამდვილად რაღაც ხდება უფალთან, ასე რომ მოგვიძულა ერთმორწმუნები... რაღაც ხდება – თქვა საბამ და ცისკენ აიხედა.

– ზემოთ რომ იყურები რამეს დაინახავ ვითომ? ის გვასწავლე რა ვქნათ.

– რა უნდა ვქნათ გოგონებო და უნდა ვიპრძოლოთ, ან ჩვენ გავი-
მარჯვებთ, ან ისინი. ვინ იცის რამდენი არიან. ჩვენ კი საუკეთესო
ვაუკაცები ჩაგვიხოცეს, სანამ აქ ამოვაღწევდით – ჩაერია საუბარში
მოახლოებული მირიანი.

სასულიერო პირები ერთად შეგროვდნენ...

– თქვენი აქ ყოფნა უკვე აღარ შეიძლება – მიმართეს ეფრემსა და
ბარძიმს – რამდენი ახალგაზრდაც საჭიროა იახელით და საღვთო
წიგნები, ხატები, განძი ეკლესიას შეაფარეთ. აქ ერთი ხატი გვეყოფა
– წმინდა გიორგისა, თუ დაგვიცავს ეს ხატი დაგვიცავს. აბა გზას გაუდ-
ექით და ნულარ დაახანებთ.

– გაბრიელმლვდელმთავარო, ჩახოცილი ვაუკაცების სული-
სათვის გვალოცე და ვწიროთ. რა ვიცით ვინ გააპატიოსნებს მათ...
მიმართა მამაოს ელიზბარმა.

– ჰო, ეს აუცილებელია და ვალია ჩვენი... ვწიროთ და მართლაც
დავულოცოთ გზა სამოთხისაკენ. ნეტა ვინ დამარხავს მათ – ჩაიბუტ-
ბუტა გაბრიელმა და ხატს მიუახლოვდა. ისევ ხატთან მოიყარეს თავი.
სწირეს და ლოცვით შეავედრეს უფალს მათი სულები.

მზემ აიშუადლევა. საოცარი მცხუნვარებით აჭერდა ბეთლემის
მინდორზე თავშეყრილებს.

– ასეთი სიცხე დიდი ხანია არ ყოფილა, საბოლოოდ ხომ არ გვი-
წილადებს ამ სითბოს? – ნარმოსთევა ალმასხანმა.

– ბუნებამ სატირალი უკვე იტირა მგონია. ის ქარაშოტი და სეტ-
ყვა ჩახოცილი ვაუკაცების საცოდაობის გამო მოუვლინა მგონი
უფალმა ამ ურჯულო-უსისხლოებს. გავიგეთ რომ ეკლესიაცა და საყ-
დარიც ცეცხლისათვის მიუციათ, იქ მყოფები კი ამოუხოციათ. ეს
საცოდაობა და სისხლი კი გადარეცხა უფალმა, მაგრამ მათ რაიმე
ზიანი მიადგათ თუ არა, არაფერი ვიცით.

– ვილაც მეგზური ეყოლებათ მაგ წუნკლებს, თორემ ვერ მოგვაგ-
ნებენ.

– შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ ჩვენ ხომ ვერ გავიგებთ მაგას.
ყოველშემთხვევაში ჩვენიანი არ იქნება. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუ-
დია. როცა შეჭირვებული ვართ, ყველაფერს ვფიქრობთ.

– ჰო, საფიქრალს რა გამოლევს. ისე ჩვენ, ხნიერები ჯანდაბას, მარა ახალგაზრდები რისთვის უნდა შეაწყდნენ მტერს?

– მეც მასე ვფიქრობ, მაგრამ ახალგაზრდები ძალიან ჯიუტობენ, თორემ გავამგზავრებდით საქართველოს სხვა ტერიტორიაზე.

– კი არ ჯიუტობენ, მამაცობენ და მამაცურადვე დაუხვდებიან მომხვდურებს.

– ხომ იტყვიან – მომხვდური და გამარჯვებული დიდხანს ვერ იქნებაო...

– მაი ქვეყნისთვისაა ნათევამი და არა ჩვენისთანა მოკვდავები-სათვის. ისტორიას წლები ქმნიან და ისეთი არაკაცებიც ჩვენ რომ ჩაგვდგომიან კვალში. არავის და არაფერს არ ივიწყებს ისტორია, მაგრამ სავალალო ისაა, რომ ჩვენ ცნობისწადილს ვერასოდეს დავიოკებთ.

– როდესაც გმირები იბრძვიან დალუპვამდე, იმას არ ფიქრობენ რა იქნება ჩვენს შემდგომო. ბრძოლაში ერთი აზრი იბადება და ამოძრავებთ მებრძოლებს – დაიცვან ის, რისთვისაც იბრძვიან. ჭეშ-მარიტი მეომარი ყოველთვის ამას ფიქრობს.

– ეგ საფიქრალი განა ჩვენიცა, მაგრამ ხომ იცი, აღამიანს მაინც აინტერესებს, რა იქნება სიკვდილის შემდეგ.

– ჩვენი დალუპვის შემდეგ ჩვენთვის სიბნელე იქნება, ხოლო მზე, მთვარე და ვარსკვლავები იყო, არის და იქნებიან მუდამ. ქვეყანა თუ არ დაიცა, გააგრძელებს არსებობას. ქვეყანა და ცხოვრება სასწორზე ძევს – ხან ერთი პინა დაძლევს და ხან მეორე.

– ნეტა ჩვენი პინა საით დაწონის?

– ეგ უფალზეა დამოკიდებული. ისარი ხომ უფლისკენ, ზემოთ იყურება, როცა არაფერი ეხება. ცალ მხარეს ცოდვა გადასძლევს, ცალ მხარეს კი მაღლი. აი, იმ მხარეს, საითკენაც მაღლის თევზებმა უნდა დასძლიოს – ჩვენია. უფლის წინაშე ხომ მართლები ვართ. აბა რისთვის გადასძლევს მეორე მხარეს?

– ჰო, ჩვენ ყოველთვის მართლები ვართ ყველანი, მაგრამ ალბათ რაღაც გამოგვრჩა მხედველობიდან, უფლის გზიდან გადავედით და ამისათვის უნდა დავისაჯოთ, როგორც ჩანს.

– განა მარტო ჩვენ? აჭარა გატიალდა ხომ ხედავთ. ამ ვერაგთა ნათარეშალზე მარტო ეკალ-ბარდი და ჭინჭარი უნდა გაჯევილდეს,

მაგრამ ჩვენი ხალხი მაინც ეგუება ყველაფერს. ისე არ გადავშენდებით, აჭარის სახსენებელი მოისპოს. იქნებ დიდზე დიდი ცოდვა ტრიალებს ჩვენს სათაყვანებელ კუთხეში?

– ცოდვის ტრიალი არ ვიცით, მაგრამ ის კი ვიცით, რომ რუმის სულთანმა თამარ მეფის ცოლობა მოინდომა, მის შემდეგ სასულთნოებსა და შახებს კბილები ჩვენზე აქვთ ალესილი. ბუნებით გაუმაძლარნი არიან, მაგრამ აბა რომელი მეფე ან ხელმწიფე არ ზრუნავს თავის ხალხზე – ტერიტორიის ხელში ჩაგდება ყოველთვის პირველ ადგილას იდგა. აბა ისე, როგორ შეიქმნება უზარმაზარი სახელმწიფო ხალხსაც ხომ უნდა გამოკვება.

– შავი ქვა და ჭირი მაგათ მუცლებს. ჩვენი მეფეები როდის იპყრობდნენ სხვათა ქვეყნებს, თავისას იცავდნენ მხოლოდ.

– ჩვენ ხომ პატარა ერი ვართ მხოლოდ. ჩვენ თავდაცვა დაგვანათლა უფალმა, სად შეგვწევს იმის ძალა, ვინმე დავიპყროთ. ჩვენ მხოლოდ ჩვენი ამტანობა გვაძლებინებს. ისე აღმაშენებელი რომ გვყოლოდა, ან თამარ მეფე...

– ეჰ, ესენი წარსულს ჩაპარდნენ და ასე მგონია საქართველო იმათ მსგავს შვილებს ველარ გამოჩეკავს. ხვედრს უნდა შევეგუოთ, მაგრამ სადამდე?

– მეტირა გზა... თუმცა არის გზებიც, მაგრამ რისთვისაც ჩვენ თავს ვდებთ ამაზე ღირსეული არაფერი იქნება. ნააღრევად სიკვდილია ძნელი, თორემ თუ საძრახისად არ დავიხიცებით, არც წავწყმდებით...

ხანგრძლივი სიჩუმე ჩამოვარდა მოსაუბრებში. კარავიდან შაოსანი გოგონა გამოვიდა და თავშეყრილებს მოუახლოვდა. მისი დანიშნული და კიდევ რამდენიმესი ნატბევამდე ამოულიტეს ვერაგმა ოსმალებმა, ამიტომ თვალცრუებულიანები და ძაძებით მოსილნი დადიოდნენ, უწუმრად და გულით გოდებდნენ.

– მათი საცოდაობით გული გვიკვდება – გადაუჩურჩულეს ერთმანეთს.

– ამათ რა უჭირთ ცოცხლები გვყავს, ცოდონი ისინი არიან ვინც ამათ დაცვას შეენირნენ.

– ეჰ, რა დღეს და რა ხვალე, ჩვენც ეგ დღე გველის.

– შაოსნებისა თუ დალუპულებისა?

– რომელია მჯობის მჯობი... ორთავე ერთნაირი ჭირი არაა? მე რომ მკითხოთ სიკვდილამდე ვაებას, გმირული სიკვდილი სჯობია, ერთ დროს ხომ მაინც გველოდება სამარის პირთან მიქელგაბრიელი.

– ეეპ, თითქოს ბავშვურად ვმსჯელობთ, მაგრამ მაინც მართლები ვართ...

ვაჟყაცებმაც კანტიკუნტად მოიყარეს თავი მინდორზე. უხუცესები, ანაფროსნებიც გამოჩნდნენ და გვიანი სადილობის თადარიგს შეუდგნენ. შესაწირავიც შესწირეს.

– არ ვიცი პირველად ვინ წარმოთქვა ეს სიტყვები, მაგრამ მეც ვეთანხმები – თქვა თანდილამ – მშიერ სიკვდილს, მაძლრად სიკვდილი სჯობიაო. ფიქრით და დარღით არაფერი გამოვა, მშივრები ხომ არ უნდა ამოვწყდეთ, ძალაც გვჭირდება მტრის მოსაგერიებლად.

– კაი დაგემართოს, კაი სამახარებლოც გეკუთვნის, მაგრამ მოვიგერიებთ კი?

ნუთით სიჩუმემ დაისადგურა...

– ერთი ჩემს აზრსაც გაუწიეთ ანგარიში – წინ გამოვიდა ფირანა – მივიტყუოთ სადმე ხრამში და ამოვჟუჟოთ, განა ვერ შევძლებთ?

– ჰადაპა, იმდენი გავწყვიტოთ რამდენიცა ვართ... იცით რამდენი იქნებიან ეგ წუნკლები? თუ უკვე გარს არ შემოგვერტყენ... ჰო, მართლა მზევერავები თუ გაუშვით, ჩვენი ტყე-ღრე ნაცნობია ჩვენთვის და უჩუმრად მიპარვას შევძლებთ. ამაღამ უნდა შევძლოთ ეს, თორემ დღისით – მზისით ძნელია, შეგვამჩნევენ.

– განა ვიცით სად არიან რომ დავზვეროთ?

– ნიშანი აუცილებლად იქნება. ისინი არაფერს მოერიდებიან ისეთი ოხრები არიან, ცეცხლს აუცილებლად დაანთებენ, ან თუ ცხენები ჰყავთ აუცილებლად დაიჭიხვინებენ, იმიტომ რომ მაგათ ცხენებს საკვები არ ექნებათ, ან ცეცხლს ხომ კვამლი აუვარდება. ყველაფრის გამოყენება შეიძლება ნიშნისათვის...

– მზვერავებს მე შევარჩევ და ახლავე შევუდგები თადარიგს – თქვა ფირანამ – საამისო გამოცდილება აქვთ ბიჭებს. წავალ აბა მე და საქმეს მივხედავ.

დღე ამგვარ გასაუბრებაში და მისვლა-მოსვლაში გაილია. საღამოსანს კარვებს მიაშურეს, მაგრამ ძილს ალარავინ აპირებდა იმ ღამით.

ფირანამ რამდენიმე ახალგაზრდა იახლა და გზას დაადგა. ჩუ-
მად მიღიოდნენ, ფეხისცეცებით. ისინი ერთმანეთზე იყვნენ თან
შეზრდილები, ნადირობის დროს ყველა ხის ძირს იხსომებდნენ, ამი-
ტომაც არ უჭირდათ ლამე სიარული. მთვარის ამონვერამდე უნდა
მოესწროთ დათვალიერება.

ერთგან ცეცხლი შეამჩნიეს. მათი ბანაკიდან არც ისე შორს იყო.

— გალმა მინდორზე არიან ბიჭებო, ძალიან მოახლოებულან, რომ
მივუახლოვდეთ შეიძლება მგლებივით შეგვესიონ და აგვკუნონ, ამ-
იტომ ჯობია უკან დავპრუნდეთ, ვიცით ხომ მათი ადგილსამყოფე-
ლი. ჩვენს შორის არც ისეთი ხრამია, რომ ჩავიტყუოთ. მეტი გზა არაა
— თავი უნდა დავიცვათ ისევ ჩვენს მინდორზე, მაგრამ უფალმა იცის,
როდის შეგვებმებიან. ისე მაგათი მამაძალლობის ამბავი რომ ვიცი,
ლამე მოგვიახლოვდებიან, არც დილით შეეშინდებათ, მშვილდისრე-
ბიც ექნებათ. ვაგლას რომ ჩვენ არა გვაქვს... თორემ ერთი ჩასაფრე-
ბული ას კაცს ლამაზად გაისტუმრებდა საიქიოს. ასე თუ ისე, ხმლებ-
ის, თოფების და ჩვენი ვაჟების მიედითლა უნდა ვიყოთ.

ერთ საათში ბანაკში მოპრუნდნენ და ეს არასასიამოვნო ამბავი
ყველას გააგებინეს.

— იარაღს ხელი არ უშვათ, გინდაც ზედ დაგეძინოთ, თუკი უე-
ცრად დაგვესხნენ თავს, უნდა ვიპრძოლოთ ან გავიმარჯვოთ, ან
სასახელოდ დავიხოცოთ. მშიშრები ხომ არ გვირევია — იკითხა
მამამზემ და იარაღი მოსინჯა.

გოგონებს უკვე ვაჟურად ჩაეცვათ და იარაღში ჩამჯდარიყვნენ.

— აგერ ვართ ბაბუა და თავსხლაფი დაესხას იმას, ვინც მტერს
ზურგს უჩვენებს, გავწყდებით წმინდა საქმისათვის და ჩვენს ჯაბან-
ობას მტერს არ ვაგრძნობინებთ. ვაჟების მხარდამხარ ვი-
პრძოლებთ და თუ ვერ გავიმარჯვებთ, ძვირად დავუსვამთ მაინც
ჩვენზე შებრძოლებას. ჯერ იმ ვაჟების სისხლი უნდა ავილოთ ნატ-
ბევის მისადგომებთან რომ ჩახოცეს, ეკლესიებზე მილვრილი სისხ-
ლიც ცას შესჩერს. ძვირად უნდა დავუსვათ მომხვდურებს ყოვე-
ლივე. ხომ მაგრად ვართ გოგონებო, გავბედავთ შებრძოლებას? —
იკითხა ეკატერინემ.

— ვიპრძოლებთ და მაშ, როგორ. მანდილი არ ლირსებოდეს ვინც
შერცხვება — გავწყდებით და არ დავნებდებით.

არც ქალები ჩამორჩებოდნენ ახალგაზრდებს.

– არავინ არ უნდა გაიგოს, რომ ქალები ვართ. ყველანი მამაკაცების ტანსაცმელში გამოვეხვიოთ და ასე შევეგებოთ მოძალადებს. შევძლებთ ქალებო წინააღმდეგობის გაწევას და ხმლის მოქნევას.

– შევძლებთ, შევძლებთ – იყო ერთიანი პასუხი...

განსხვავებული აზრი კი არავის არ ჰქონდა – ყველა ერთსულოვანი იყო და საბრძოლველად შემართული.

– ამალამ უაღრესი სიუხიზლე გვმართებს. ვისაც როგორ შეუძლია, ისე უნდა შევენაცვლოთ ერთმანეთს – ბრძანა დოროთი პაპამ და ჩიბუხი გააბოლა.

ხეობის გაღმა-გამოღმით უზარმაზარი ხეები იყო აღმართული. ერთგან მაღლობზე მოტიტვლებული კლდე იყო, ძნელად ასასვლელი, მაგრამ ამ კლდიდან უზარმაზარი ტერიტორია მოჩანდა. ბიჭებმა მთელი ღამე იწვალეს და კლდის თავზე მოექცნენ – სულ შვილი იყვნენ.

ოსმალთა ბანაკი ხელისგულივით მოჩანდა მთვარის ირიბ სხივებზე.

კარგა მოზრდილი იყო ეს კლდე და მის წვეროზე სასწაულებრივად ამოზრდილი მოცვისა და მაყვლის ბუჩქები თავის შეფარებისათვის ხელსაყრელი ჩანდა. მტრის ბანაკიდან ყოველშემთხვევაში შეუმჩნეველი იქნებოდა და ამის იმედიც ჰქონდათ ბიჭებს. ღამე თბილი იყო და ბიჭები რიგრიგობით იძინებდნენ კლდის წვეროზე.

ირიურავა. დილით ოსმალთა ბანაკები მოათვალიერეს. პირკატა ეცათ – უამრავი ოსმალო ირეოდა მინდოოზე.

– ათასზე მეტი არიან, ზოგიც ხეების უკანაა მიმალული. საშველი არაა ბიჭებო – გადაულაპარაკა მათ ფირანამ – რა უნდა ვიღონოთ, ხომ არ გადავიდეთ გურიისაკენ?

– ეგ გადაწყვეტილია ბიჭებო – უნდა ვიძრძოლოთ. ისინი რახან აქ მოვიდნენ, ესე იგი ცნობილია მათთვის, რომ აქ ვიმყოფებით და ალბათ ისიც იციან რამდენი ვართ, სხვა შემთხვევაში აქ არ დაბანაკდებოდნენ. დიახ, მათთვის ცნობილია ჩვენი მიზნები და ყოველი ნაბიჯიც...

– ნეტავი ვინა ჰყავთ მეგზური – ერთი მანახა და თავს ქვით გაუჭერავ. მასეთისთვის იარაღით სიკვდილი ცხონების ტოლფასია.

– აბა მაგას როგორ გავიგებთ ბიჭებო – დანანებით თქვა ფირანამ.

ბეთლემის მინდორი დილით მოზუზუნე სკას დაემსგავსა. საუბე-დურო ამბავი ჩამოიტანეს ბიჭებმა კლდის წვეროდან.

— ეს ძალლი-მამაძალლები ჩვენ ნამდვილად გვზვერავენ, თავად კი ძალებს იკრებენ. უფალმა იცის როდის დაგვესხმიან თავს. ხომ არ გადავიდეთ გურია-იმერეთისაკენ, რისთვის უნდა ჩავიხორცოთ ხალხო, უაზრობა არ იქნება რომ შთამომავლობაც ვეღარ დავტოვოთ? გადავიდეთ, შეგვიფარებენ და მერე დროთა განმავლობაში ნელ-ნელა დავპირუნდეთ. ა, რას იტყვით ხალხო? — იკითხა ხვარამზემ და ხალხს მოავლო მზერა — ამოილეთ ხალხო ხმა, რამ დაგამზუჯათ ა?..

— როდის გვჩვეოდა წალმა-უკულმა ლაპარაკი ქალო, ერთ დღეს გავჩინდით, ერთ დღეს დავილუპებით. ინილო-ბინილო საჭიროა განა? არ დავიხევთ უკან არც ერთი ნაბიჯით. დანდალოს და მაჭახლის ხალხმა მაგალითი დაგვიტოვეს — გაწყდნენ ისინი და არ დანებდნენ. ჩვენც მათ მივბაძავთ. ვინც უკან დაიხევს, შინაურების სისხლი და-ლიოს და ყვავ-ყორნის წერა გამხდარიყოს. მე წაგიძლვებით წინ, ერ-თად შევებათ ყველა და თითო წუნკალს კი მივაწვენთ. ჩვენც დავი-ლევით, მაგრამ არც ერთი ჩვენთაგანი არ დანებდება. ვინმე თუ შე-ეცდება დანებებისათვის ხელის ანევას, ჩვენ მოვუსწრაფებთ სიც-ოცხლეს. რა ვქნათ ხალხნო გავწყდეთ?

— გავწყდებით და არ დავწებდებით, წინაპრების სახელს არ შე-ვარცხვენთ, ჩვენი ულირსობით მათ ძვლებს არ გავაქანებთ საფლავებ-ში — დააწიქს ხმა ბებია ხორეშანის ღალადისს.

მთელი დღე იარალი ფერებს, აპრიალებს, ლესებს. თოფები დატენეს და შელამებულზე წმინდა გიორგის ხატი უფრო მაღლა წამოსწიეს, რათა შორი მანძილიდან ყველასათვის ყოფილიყო შესამჩნევი.

— ზეგ თამარობა უნდა ვიზეიმოთ, მაგრამ თარსი ცამეტი რიცხ-ვი გვაქვს გასავლელი. ალდგომა და ხვალეო — ამჟამად არ იოქმება, მაგრამ ხვალინდელი დღე გვიჩვენებს, თუ როგორ ზეიმს ჩავატარებთ ზეგ. მიუხედავად იმისა არ გვაქვს საქმე საზეიმოდ — თქვა ელენემ და შორს გაიხედა...

... ამ ზეიმმა კი სამი საუკუნით დაიგვიანა.

სამი საუკუნით გადასწია საზეიმო განწყობა ოსმალთა ჯარის ნადარბაზევში შემოსვლამ, სამჯერ სამასასამოცდახუთი დღით და-შორა 1713 წლის 13 მაისს ეს ზეიმი...

... უშფოოთველად ეძინათ ბეთლემის ხიზნებს. ავბედითი დილის დადგომამდე, საუბედუროდ, ბანგშეპარებულებივით მიეძინათ. იქნებ არც ჩასძინებოდათ, მაგრამ საოცრად თბილმა ლამეტ თავისი ქნა – წინა ღამით ღამენათვეებს რული მოეკიდათ. იარაღში ჩამჯდართ ეძინათ...

ალიონი მოიპარებოდა, ხოლო ნახევარმთვარე სუსტად ანათებდა, საიდანლაც წამოპარული ღრუბლებიდან.

მამაზეციერმა ქართველ, ერთ მუჭა, ქრისტიანობის დამცველ სოფლელებს, კი არ დაანათლა – დაათარსა. უბედური 13 მაისის დილა დგებოდა... ოთხშაბათი... ოსმალებსაც ძვალ-რბილში ოთხშაბათის დადგომა ჰქონდათ გამჯდარი – სოფლად რომ ფეხი შემოდგეს დაქადნებაში ოთხშაბათი დღე მოაყოლეს. ჰოდა, ავადაც გაუთენდათ ნა-დარბაზევლებს ეს დღე – მათვის საბოლოოდ და საბედისწეროდ...

გამთენის ხანს შეპარნენ ბეთლემის მინდოორზე...

საბედისწერო და ამაზრზენი სანახაობის წინა საათები, ერთი მუჭა სოფლელების ბოლო წუთები, ოსმალეთის სულთნების ბოლო საკბილო, სისხლის სუნით და ღვარით დამამთავრებელი.

– დაჰკარით ბიჭებო, მტერი შემოგვეპარა – დასჭექა რომელი-ლაცამ და თოფიც გაისროლა. გაგორდა ოსმალო, დაეცა თოფის დამჭექიც. აიშალა ბანკი. მაჭაზელების ქუხილზე წამოცვივდნენ ვაჟკა-ცები და უცებ მოვარდნილ უბედურებას მკერდით შეეგებნენ. საბე-დისწერო წუთების უამი ზეიმობდა...

მთვარესაც მრუმე ღრუბლები გადაეფარა. წყვდიადში არა ჩანდა რა. ძნელი იყო თავისიანისა და მომხვდურის გარჩევა. ალლოთი და შეახილებით აგნებდნენ გზას. უპირატესობა მტრის მხარეს იყო, მებრძოლები ალყაში ჰყავდა მომწყვდეული. ინათა, მაგრამ ვაი, მნახველის თვალს – ველი ოსმალოს ბრძოთი იყო დაფარული.

ხატ-სალოცავის ირგვლივ შეჯგუფდნენ სოფლელები.

ხელჩართულ ბრძოლაში უამრავი ოსმალოს თავიც დაგორდა.

მარდი იყვნენ ნადარბაზევლებიც და უმონყალო ხოცვა-ულე-ტაში სამჯერ მეტი ოსმალო გაწყვიტეს, ვიდრე თავად იყვნენ.

დღის სინათლის მატებასთან ერთად მებრძოლთა რაოდენობაც ილეოდა.

– არც ერთი არ უნდა დარჩეს ცოცხალი – ასეთი იყო ბრძანებაც და იანიჩართა დაუოკებელი წყურვილიც.

ქუხდა თოფები, ელვარებდა უძლეველად მონათლული ქართული ხმალი, ბობოქრობდა გმირული ქართული სული, მაგრამ მცირე აზის მპყრობელი ოსმალები ძლიერნი იყვნენ... ბევრნი იყვნენ...

სისხლის სუნნაგეშები, ამგვარ ბრძოლებში გამობრძმედილი ასპიტები ერთზე ათი მოდიოდა.

ველარ უშველა ერთ მუჭა ქართველობას ველარც წირვა-ლოცვამ და ველარც პირვერის წერამ, ველარ დაიცვა ვერც წმინდა გიორგის და ვერც ქრისტეს გამოსახულებიანმა ხატ-სალოცავებმა.

მცირე ხნის შემდეგ დამხვდურნიცა და მომხვდურნიც ერთმანეთში აიზილნენ. ზედახორად ეყარა დახოცილები.

დამხვდურთაგან ამბის ნამღები ალარ დარჩაო – გვიამბობს გადმოცემა. (არავინ იცის თუ რა ბედი ეწიათ განძის გადამნახველებს...).

რამდენი ქართველიც დაიღუპა, სამჯერ მეტი ოსმალოს გულის ფიცარიც შეინგრა.

ერთი ჯგუფი ქართველთა, მახლობელი ტბის ნაპირას ამოუწყვეტიათ. ტბაც გაწითლებულაო...

ასე შეაკლეს თავი მტერს სოფლელებმა. საუკუნო სამარე ჰპოვეს ბეთლემში. საუკუნო დიდებაც დაიმსახურეს...

ბეთლემის მინდორზე ჰპოვეს საუკუნო სამარე მეზობელი სოფლებიდან შეხიზნულმა პატრიოტებმაც, რომლებიც ძმათა დასახმარებლად მოვიდნენ.

სძლიერ გაუტეხელი სოფლელები, უმოწყალოდ ამოჟლიტეს, გამარჯვებულებმა ყიუინა დასცეს. ვერაგობა და მიპარვით თავდასხმა ვერაგი სულიერის ბუნებაში ზის. მძინარე ნადირს გარეული მხეციც არ ესხმის თავს – ოსმალებმა კი მხეცზე უარესი მხეცობა ჩაიდინეს – ამ ვერაგობის და სიმეცის მსვერპლი შეიქმნენ ბეთლემის გმირებიც.

დაწვეს ქართველთა ხატ-სალოცავი და მირონი. ასპიტი გზამკვლევიც მიაყოლეს ჩახოცილ დამხვდურებს. თურმე ღრეობაც გაუმართავთ...

სამ დღეს ეყარნენ დახოცილები. არავის უზრუნია ოსმალთაგან არც თავისიანის და არც დამხვდურთა ცხედრების დამარხვაზე. დიახ, სისხლის სუნით გაულენთილებს და ისლამის კანონებით დამთვრალთ გამარჯვების სიხარულით, ღმერთიც მიავიწყდათ და რჯულიც.

სამ დღე-ლამეს ღრუეობდნენ მთის სუფთა ჰაერზე... მაგრამ გვამების ხრწნის სუნმა შეაწუხა ოსმალები და ტყე-ტყე ისევ სოფლისაკენ იბრუნეს პირი. ამ საცოდაობის შემყურეს მრუმე ღრუბლებიდან კოკისპირული წვიმა მოჰყვა – ცა თითქოს ჩამოქცევას ლამობდა – ამბობს გადმოცემა.

ვერაგულად დაღვრილი სისხლი მიწის ზედაპირიდან გადაირეცხა.. სისხლი კი... დიახ, ბეთლემის მინდორზე დაღვრილი სისხლი აჭარისწყალზე გამართულ თავსაკვეთზე თავწაცლილი 1400 ქართველის სისხლს შეემატა – ბეთლემის მდინარით შეერთო შავ ზღვას.

იცოდნენ ნადარბაზევლებმა, რომ სარწმუნოებისა და სამშობლოსათვის თავგანწირვა მარტო შარვალ-კაბით არ გამოიხატებოდა. ისიც იცოდნენ, ბრძოლად ჩასვლას ხანდახან ჩაუსვლელობა უფრო ვაჟკაცობის სახელსაც არგუნებს მეომართ, მაგრამ გმირებმა ამისთანა დახვედრა ინებეს – მაღლაკაცობას ვაჟკაცობა ამჯობინეს.

ხატ-სალოცავის ირგვლივ ჩაწყვეტილი ვაჟკაცების სიცოცხლით თითქოს მინელდა მებრძოლი სული, მინავლდა ვაჟკაცური შემართება. ლირსეულად იცავდნენ ბეთლემის გმირები სარწმუნოებისა და სოფლის ლირსებას. მათ თავიანთი სხეული და სული სამშობლოს, ერის და სოფლის სადიდებლად არ დაიშურეს, მაგრამ ვაი, რომ ვერც ამან უშველა სოფელს... ძალმომრეობამ თავისი გაიტანა.

დიახ, თუმცა საზოგადოების, ერის და სამშობლოს წინაშე – სარწმუნოების სიძლიერე ერთხელ კიდევ გაახვიეს შარავანდებში, მაგრამ არა უმტკიცენეულოდ.

ის, რაც სწამს ადამიანს, მისთვის უმაღლესი ლირებულებაა და ამ რწმენას ანაცვალებს თავს. ამის ბევრი მაგალითი გვაქვს ქართველებს. სწორედ რწმენისადმი ერთგულებისა და სიმტკიცის სამაგალითო ნიმუში დაგვიტოვეს ბეთლემში წამებულებმა. მათ იცოდნენ რისთვის იბრძოდნენ. ისინი ზნეობრივად მაღალ იდეალებს ემსახურებოდნენ.

საკუთარ ტაფაში და ქონში იხრაკებოდა და იწვოდა ქართველი. საკუთარ ვარამ-ნალველში ჩაიწვნენ და ჩაიფუტქნენ ნადარბაზევლებიც. რამდენიმე ოჯახი გადარჩა. ოსმალთა უკან დაბრუნების შედეგ ისინი ლამით გაიპარნენ და ბეთლემის საცოდაობის ველს მია-

შურეს. ადგილზე მისულებს გამოხრულ-გატიალებული ძვლებილა დახვდათ. აღარ იცნობდა არც შიანური და აღარც გარეული. ბუნებამაც არ დაინდო ისინი.

მტრებისა და სოფლელების ერთმანეთში არეული ძვლები ერთ უზარმაზარ საფლავში დამარხეს – ბუნების მიერ დანატოვარ უზარმაზარ ნაღარევში ჩაალაგეს ძვლები და რამდენიმე დღეს ავსებდნენ მიწით. ჭირისუფლებს მეზობელი სოფლებიდანაც ეხმარებოდნენ.

ხატ-სალოცავი ხელუხლებლად იდგა.

სამ დღეს იგლოვეს დახოცილები. გადარჩენილ ხატ-სალოცავთან უკანასკნელად სწირეს და სულისმოსახესნიებელი სითხეც წაუქციეს. ერთი მუჭა, გმირული სულისა და გმირულად დახოცილები მთელმა აჭარამ გამოიგლოვა, ხოლო ჯერ კიდევ ისლამმიულებელმა, სასწაულებრივად გადარჩენილმა კანტი-კუნტმა მოსახლეობამ სოფლისა და სარწმუნოებისათვის თავდადებულთ აღაპიც გადაუხადა. უკანასკნელად სწირეს საყდარშიც. ეკლესია ცეცხლმა გაანადგურა, მისგან მხოლოდ საძირკვლის ქვებილა დარჩა. ჩაკლულ-ჩახოცილების სახელზე თითო ძირი ხე დარგეს ხელმადლიანმა და სული-ერად მდიდარმა გულშემატკიცვრებმა.

დროთა განავლობაში უტეს ტყედ იქცა ბეთლემის მინდორი.

ამონყვეტილი და გავერანებული სოფელი მოითარებეს ოსმალებმა. რისი წალებაც არ ღირდა ცეცხლს მისცეს სახლებიანად. ვინც გადარჩა მუჰაჯირში გაირევას. ნადარბაზევი მეხსიერებიდან ამოიშალა. სოფელს ოსმალებმა „დოვმუზქო“ ანუ „სალორეთი“ დაუნარჩუნეს სახელად და მას შემდეგ, დღემდე ასე იწოდება ერთ დროს მტკიცე, უდრევი და მხიარული სოფელი. ეს სახელი პირველი აღნერის დროსაც რქმევია, რომელიც ოსმალების მიერ იყო შერქმეული, ხოლო მათი ამონყვეტის შემდეგ ძველი სახელწოდების ხსენება მოუშალეს მცხოვრებლებს და „სალორეთი“ საბოლოოდ დაუკანონეს 1566-74 წლებში.

დიახ, ნადარბაზევლები 1500-იან წლებამდეც იპრძოდნენ.

ცხოვრება თავისი დინებით დიოდა. ისტორიის ჩარხი ხან წალმა ხან კიდევ უკულმა ბრუნავდა. დიდხანს არავინ ეკარებოდა გატიალებულ-გავერანებულ სოფელს. არც ოსმალები გაჩერებულან ამ სოფელში, თუმცა რამდენიმე ხნის შემდეგ ისევ შემოსახლდნენ და

მართვა-გამგებლობისათვისაც იყვნენ ეშვებდალესილები, მაგრამ ცარიელი სოფელი აბა რა სამართავი იყო.

მცირე დროის შემდეგ ისევ უკან გაბრუნდნენ. სოფელი ჯერ-ჯერობით ბეგების ხელქვეით რჩებოდა.

თითქოს შესუსტდა ოსმალთა მმართველობა. ნადარბაზეველთა ამოწყვეტით თითქოს შეჩერდა ისტორიაც, მაგრამ არა... კანტი-კუნტად შემოდიოდნენ უკვე საღორეთად წოდებულ სოფელში და სახლდებოდნენ კეთილი ნებისა თუ იძულებით ადგილნაცვალები. ივსებიდა სოფელი ნელ-ნელა, მაგრამ ძალიან უმძიმდათ თავშეწირულ-თა ნასახლარზე დასახლება.

დრომ ბევრი რამ წაიღო და წარხოცა. ბევრი რამ დავიწყებას მიეცა. ისლამი დამკვიდრდა სოფელში.

ადრე თუ წინააღმდეგობას შეასკდა ისლამი, ყველაზე მტკიცედ სწორედ ამ სოფელში გაიდგა ფესვები. თანამედროვე ხალხი ისე მტკიცედ იცავს თავსმოხვეულ სარწმუნოებას, როგორც წინაპრები ერთ დროს იცავდნენ ქრისტიანობას. ოსმალური პოლიტიკის მიუხედავად მაინც სახლდებოდნენ სოფელში. ჩამოსახლდნენ აფხაზეთიდან, მესხეთიდან, გურიიდან, ქართლიდან და სხვა რეგიონებიდან.

უხეშად რომ ვთქვათ „ნაყარ-ნუყარა“ მცხოვრებლებთან ისე ვერ ავრცელებდნენ თავიანთ კანონებს ოსმალო ასიმილატორები, როგორც სხვა სოფლების დამორჩილებულ და სარწმუნობაშეცვლილ ხალხში.

დიდი ხნით გადაიწია საღორეთის ისტორიის სამანები და ხსოვნა ყოველგვარისა.

აქა-იქ, კანტი-კუნტად თუ ვინმე შეეხება წარსულს. ოსმალთა ძალმომრეობით დაბეჩავებულ ხალხს მოსწყინდა ბევრი რამ.

XV საუკუნის ბოლოს ოსმალები აჭარას მოედვნენ და აწიოკებდნენ. მაშინ განყდნენ დანდალოს მცხოვრებლები. ამავე წლებში ნადარბაზევის (შემდგომ საღორეთი) გარდა, ყველა სოფელი გმინავდა იატაგანის ქვეშ. სოფელ ნადარბაზევს „დოვმუზქოი“ – ღორების სოფელი შეარქევს ოსმალებმა და დროებით თავი მიანებეს. სწორედ იქედან დამკვიდრდა ეს სახელიც „საღორეთი“ ანუ ღორების ადგილი.

XIII საუკუნემ ბევრი სიმწარე და ტკივილი არგუნა საქართველოს. არც წინა საუკუნეები იყო დალხინებული. მეცამეტე საუკუნე,

როდესაც ოსმალები საქართველოს სამანებს მიუახლოვდნენ, ფაქტიურად საქართველოს უბედურებათა დამწყებად ითვლებოდა. თუმცა უკანაც მოვიხედოთ: როდესაც ოსმალთა სულთანმა თამარ მეფეს გაუბედა და ცოლობა სთხოვა, სწორედ მაშინ გატყდა ნავსი – თვალები საქართველოს მიებჯინა და დღევანდლამდე ვერ „მოუნელებიათ“ საქართველო და ქართველები.

მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნე, მთლიანად მეოცე საუკუნეც საქართველოსათვის მძიმე პოლიტიკური სიმძიმით მიმდინარეობდა. წინა ორი საუკუნე ესმალთა უღლით იყო დადრეკილი, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ბოლო და მეოცე საუკუნე ამ უღლით გამოწვეული მძიმე შედეგების აღმოფხვრას დასჭირდა.

სოფელი სალორეთი, ანუ ძველი ნადარბაზევი (თამარ მეფის საპატივცემულო და საყვარელიც) ოსმალთა უღლის სიმძიმეს განსაკუთრებულად გაჭირვებით იტანდა. თუ ადრე, შესუსტებული იყო ოსმალთა რეჟიმი, მოგვიანებით ფანატიკოსების ქარცეცხლში იყო გახვეული სოფელი – ხან ვინ აქებდა, ხან ვინ დასცინდა, ხან ვინ ანგრევდა და აჩანაგებდა და ხან ვინ ურევდა გულსა და გზას მცხოვრებლებს და მუჰაჯირობისაკენ უბიძგებდნენ.

სოფელში ასე თუ ისე, უხვად თუ სუსტად მიედინებოდა ცხოვრება. გლეხი ყოველთვის ჭაპანწყვეტით მიათრევდა სიცოცხლეს, იყო ხალისიანი თუ უხალისო, მადლიანი თუ ცოდვიანი, ცრემლიანი თუ სისხლიანი, მწარე თუ ტკბილი სიცოცხლეც, ცხოვრებაც და ყოფაც. ივსებოდა და იცლებოდა სოფელი. მოდიოდნენ, სახლდებოდნენ, ალორძინებდნენ და ისევ მიდიოდნენ. მერე სხვა მოდიოდა, სახლდებოდა და ასე გამუდმებით ტრიალებდა სოფლის ბეჭ-ილბალი, სოფლად ოცამდე გვარმა მოიყარა თავი. მათგან ერთმა გვარმა, მრავალი ქარცეცხლი გამოიარა, ბევრი ტკბილ-მწარე ცხოვრება ნახა და დღემდე მოალწია. ამ გვარის ხალხი საქართველოს ბევრ რეგიონს და უცხო ქვეყნის ფარგლებს გაწვდა...

ისტორია კი ასე დაიწყო...



თავი I

ლამაზია საქართველოს ის კუთხე, სადაც ბაგრატიონთა ნაფეხურები და ნასაქმარი დღესაც მონიშებით მოიხსენიება, ციციშვილ-ფანას კერტელთა დამსახურება, აბუსერისძეთა და ხიმშიაშვილთა მოღვაწეობა დაუვიწყარია და კეთილი კვალით გამოირჩევა. ესაა დიდებული მესხეთი, ანუ სამცხე-საათაბაგო.

ამ ტერიტორიას ოსმალო 1500-იან წლებიდან დაეუფლა, მაგრამ სანამ სრულად დაიმორჩილებდა, მანამ ბევრი რამ გადახდა ამ კუთხეს ოსმალთა და სპარსთა გამოისობით და არც ადგილობრივები აკლებდნენ ხელს ბოროტი საქმიანობით...

რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ შედგენის მიუხედავად, როცა დაწვრილებით და საგულდაგულოდ აღწერეს და დაბეგრეს ეს კუთხე აქა-იქ მაინც სიხალვათე იგრძნობოდა. ზოგან ვერ „ამყარებდნენ“ თავის სურვილებს ოსმალები... ამგვარი სირბილე, ანუ თანზიმათის სისუსტე თუ წაყრუება ჯერჯერობით დიასამიძეთა მამულშიც იგრძნობოდა.

კანტი-კუნტად გაითარეშებდნენ შალვა დიასამიძის მამულში ძუნკალ ძალებივით წუნკალი ოსმალები, ხან რას წაიღებდნენ და ხან რას. ამით ახვედრებდნენ გულმონქყალე და ნამუსიან ჯავახელ მცხოვრებლების პატრონს შალვას, რომ მათაც შიოდათ და დიდი დროც ალარ სჭირდებოდათ, მათ ხელში გადავიდოდა ყოველივე. ამ მიმოთარეშებით, ასე ვთქვათ არაფრად აგდებდნენ დიასამიძეთა ძალაუფლებას...

ნამდვილად ასე ფიქრობდნენ და დროც მათ სასარგებლოდ ვიდოდა.

მანამ კი...

შავშეთში დიდი ხნის წინ შევიდნენ ოსმალო დამპყრობლები. სოფლები მოარბიეს, მოაოხრეს და თავიანთ კანონებს დაუმორჩილეს.

შავშეთი, ნიგალი, სარფი მომავალი შეტევების საწყის ადგილებად აქციეს და ნახტომისთვის ყოველთვის მზად იყვნენ.

სანამ დიდი თურქობა დაიწყებოდა ცოტა ხნით სიმშვიდე სუფევდა საზღვრისპირა ტერიტორიებზე – ოსმალეთი ისე ალარ მრისხანებდა, როგორც შესვლის დროს. ასე იყო მუდამ – ერთს ეკვეთებოდნენ ზვავივით და მერე ვნებათალელვას რომ დაიცხობდნენ,

თითქოს მიივიწყებდნენ მოთარეშებულ მხარეს, სულის მოთქმას აცლიდნენ და ისევ იწყებოდა თავიდან ყოველივე – ოსმალო თავს არ აწევინებდა დამორჩილებულ ხალხს.

ანკესზე გამობმული ღლავივით ჰყავდა ამ ტერიტორიებზე მოსახლე ხალხი – ჯერ მოქანცავდა და შემდეგ კი ყლაპავდა.

საზღვრისპირა ტერიტორიებზე ფაშები და ბეგები გამგებლობდნენ. ერთ-ერთი მათგანი იყო ენვერ-ბეგიც. მის საგამგებლოში სრული სიმშვიდე იყო, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ყველაფერი დამთავრებული იყო ოსმალთა მხრიდან. ოსმალეთის მთავრობას ეშინოდა ხალხი არ აყრილიყო ამ მინა-წყლიდან და ამიტომ სიმკაცრეს ალარ იჩენდნენ – ხალხი სჭირდებოდათ, მუშახელი. სახელმწიფოს კი რჩენა უნდოდა, ამიტომ სოფლებს აწერდნენ სასუსნავს, სოფლების დაცლა კი ვერაფერი ბედენა იყო. ამის გამო დაპყრობილ-დამორჩილებულებში სიმკაცრეს ერიდებოდნენ.

შავშეთში დაბუდებული სიწყნარის ატმოსფერო, ქარიშხლის წინ ამინდის გაწყნარების ტოლფასი იყო.

ქარიშხალი კი ნამდვილად ემუქრებოდა მთლიან საქართველოს – ეს ოსმალთა ანგარიშით, თორებ რაც წაიღეს დღეს ყველასათვის ცნობილია. მათ საქართველოს გული დაიპყრეს. დიახ, საქართველოს გულში ჩასცეს ლაზვარი.

ტაო-კლარჯეთი, შავშეთ-იმერესევი, ნიგალი, ნახევარი სართი, ნახევარი კირნათი და ბევრი სხვა ტერიტორია – საქართველოსათვის მოურჩენელ-მოუთავებელი ტკივილია... იარა, რომელიც არასოდეს მოუშუშდება საქართველოს.

ქართველი ერის დიდების აკვანი იყო ის ტერიტორია, რომელიც ამჟამად თურქეთს უპყრია. აქ ნარმოიშვნენ ისეთი მოღვაწეები, რომლებმაც საქართველოს სახელი საერთაშორისო ასპარეზზე წასწიეს და სწორედაც ეს ვერ აიტანა ოსმალურმა რეჟიმმა – ჩაყლა-პა საქართველოს ნოენიერი ნაჭერი. მიუხედავად იმ დროს გაბატონებული მკაცრი ისლამური რეჟიმისა მიგრაცია მაინც ხდებოდა – მიზეზთა გამო ახერხებდნენ მავანნი საცხოვრებლად სხვაგან გადასვლას.

მესხეთ-ჯავახეთის ტერიტორია მრავალფეროვანი ბუნებით ხასიათდება. შედარებით დაბალი გორაკ-ბორცვიანია, მაგრამ მაინც

მაღალმთიანეთს მიეკუთვნება. არის ვაკე ადგილებიც და ნახევრადუდაბნოს მიახლოებული სავარგულებიც. ჰავა მშრალი – ზაფხულობით მაღალი ტემპერატურით, ხოლო ზამთრობით დაბალი, ძალიან ცივი ტემპერატურით.

დიდებულია მესხეთი და მისი დიდების ამბავი იმთავითვე ურუჯავდა გულს ოსმალოს, ხოლო საქართველოს შინაურ მტრებს მოსვენება არ ჰქონდათ ერთმანეთის ქიშპობაში ამ მართლაცდა დიდებული კუთხის დასაპატრონებლად.

მეთვრამეტე საუკუნეებს ლამაზი ისტორია შემოგვინახა, რომელმაც აჭარაში ჰპოვა ლამაზი დასასრული, თუმცა, სამწუხაროდ არც ეს ისტორია იყო თავიდან ბოლომდე უმტკივნეულო.

ისტორიამ კი ჯავახეთის ცხოვრების შეუგულში შეგვახედა...

... მზემ ჯავახეთის მწვერვალები შეავარდისფერა. შორეულ ლრუბლებსაც სტყორცნა სხივები და მენამულისფრად ააელვარა.

დილიდანვე საამო სითბო იგრძნობოდა, მხოლოდ ლელის-პირებში შეიძლებოდა ადამიანს სიგრილისათვის მიეშვირა მკერდი.

ტყეს ნიავმა გადაუარა და ააშრიალა, ფრთოსნები შეაღვიძა და შეაულურტულა.

მამა თევდორე პირჯვრისწერით გამოვიდა გარეთ სენაკიდან და ლმერის მაღლი შესწირალამაზი დღის გამო. ნელი ნაბიჯით გაუყვაეზოს, გალავანს მიადგა და დაბლა ჩაკარგულ მდინარე ქვაბლიანს ჩახედა.

თვალმა ფრთქიალი დაუწყო. მხარიც შეუტოკდა. ცუდად ენიშნა მღვდელმთავარს, კიდევ ერთხელ გადაინერა პირჯვარი და ხელებაპყრობილი უფალს შეევედრა:

– უფალო, მამაზეციერო, ავს ნუ შემასმენ ამ დილით, დაგვიფარე ყოველი ბოროტებისაგან მინიერი ცოდვილნი – კვლავ გადაინერა პირჯვარი და იქვე მდგომ ნებიერას მიეფერა.

წმინდა მამები – ამბროსი და დომენტი უთენია წყლის სათავეზე დასახედავად ნასულიყვნენ და იმ დროს მობრუნდნენ, როცა მამა თევდორე ლრმადჩატიქრებული ნებიერას ეალერსებოდა.

– დილის მადლი შეგვენიოს მამაო თევდორე. რაღაც ძალიან ლრმად ჩაფიქრებულხარ, ავი რამ ხომ არ გიგრძნო გულ-გუმანმა? – შეეკითხა ამბროსი და იქვე ნამორზე მოიკალათა.

– არა მამაო, სიზმარი ვნახე წუხელ და ამის გამო ვარ ჩაფიქრებული, მგონი კარგად ახდება – მზე და მთვარე ვნახე შეერთებული.

– ღმერთო დიდებულო, ჯვარი აქაურობას. გეთანხმებით მამაო. კარგად ახდება ეგ სიზმარი. ვიღაცის დაქორნინებას გავიგებთ მგონია.

– ალდგომა და ხვალეო. ვნახოთ რას მოგვიტანს დღევანდელი დღე. ჩიტმა შემომჟღურტულა ამ დილით და ეს მენიშნა კარგად. მხარის შეტოკება და თვალის ფართქუნი დაუმალა სულიერ ძმებს.

– დილის მადლი შეგვეწიოს მამაო, დროა წავიხემსოთ – შეახსენა მამა დომენტიმ მღვდელს.

ანაფორების ფრიალით გაეშურნენ ფანჩატურისაკენ, სადაც დილის კერძს მადისალმძვრელი სურნელება ასდიოდა.

– უფალო, დილის მადლი მოგვანიჭე, შეგვარგე და გაგვაძლე, ნურასოდეს გამოგვილევ ბარაქას. ყველა დაპურე ჩვენს ერთად უფალო, ნურავის დატოვებ მშიერს. ამინ! – დაილოცა მღვდელმთავარმა. პურს ყუა აატეხა და ლუკმა პირში მოიქცია.

მზემ ჩამოიშუადღევა. აქა-იქ ღრუბლებიც წამოჰყარა.

მამა თევდორეს თვალი გაექცა, ერთ წერტილს მიაშტერდა და სულიერ მეგობრებს ხელით მიანიშნა – გალმა გაიხედეთო.

ერთ-ერთი სოფლის აგარაკზე მტვრის კორიანტელი ავარდა. მზე აუტანლად აჭერდა და მტვერიც ამის გამო იდგა. აქა-იქ თოფის ბათქაბუთქიც გაისმა. ძალლებიც ალავლავდნენ. აგარაკზე კი ქალის მოთქმით გაბმულმა კივილმა მახლობელი ტყეც შეაშფოთა. ან-ყურისაკენ სწრაფმავალი მხედრები დალანდეს მამებმა.

– ღმერთო დიდებულო, ფარსაგ რამეს ნუ შეგვამთხვევ, ბოროტი გვაცილე, კარგი ამბავი გვასმინე – შეპლალადა მამა დომენტიმ და მომავალ მხედრებს შორეული ჯვარი გადასწრა.

საამ სავანელმა გაქაფული ლურჯა ეკლესიის გალავანსშიგ ჯიქურ შეაგდო.

ნებიერა შეჩქვიფდა, შეიკუნტრუშა და წმინდა მამების გვერდით დადგა, თვალები და მუხლი გაქცევაზე ეჭირა. უცხო მხედრებს ყურებ-დაცევეტილი შეპყურებდა და თან გაკვირვებისა და შიშის გრძნობას თავისებური წკმუტუნით გამოხატავდა.

სავანელი ჩამოქვეითდა, მუხლი მოიყარა და გაკვირვებულ მამებს მუხლმოდრეკით შეევედრა:

– ცუდი ამბის მაუწყებელი არა გახლავართ. შიში შეგამჩნიეთ სახეზე და ამიტომ ვამბობ. დიასასამიძეებს ქალი წავგვარე მამაო და გეხვეწები ეხლავე ჯვარი დაგვწერე, თორემ სადაცაა მდევარი მოგვენევა და მერე საქმე საბედისწეროდ შეტრიალდეს იქნება.

მამები გაკვირვებულნი, უტყვად შესცექროდნენ ამხედრებულ, ოღონდ თავდახრილ და დამორცხვებულ ქალს.

– ქალი თუა თანახმა შვილო?

– როგორ არა მამაო, აბა ამოდენა გზას რად გამომყვებოდა, თანახმა რომ არ ყოფილიყო. მაგის ნუ გედარდებათ მამაო, თქვენ მხოლოდ ეს თხოვნა შეასრულეთ, ჯვარდაუწერლებს არ გვინდა შეერთება. ჯვრისწერის შემდეგ გულმშვიდად ვიქნებით.

მღვდლებმა ერთმანეთს გადახედეს.

– მაშ, აღვასრულოთ ნება ღვთისა და მთხოვნელისა ძმებო. რახან გულით სწალიათ ჯვრისწერა დაე, მოხდეს ის, რაც მათ სურთ. ამაზე დიდ სიხარულს ჩვენ ვერასოდეს ვერ მივანიჭებთ ვერავის. მეც გამებარდა, რამეთუ ძალიან წესიერი და ღვთისმოშიშნი არიან ორთავე, დაე, აღსრულდეს მიწიერ ცოდვილთა სურვილი და ღვთის ნება – ჩამომარცვლა მღვდელმთავარმა და სულიერი ძმების თანხლებით საამსა და თამთას ეკლესიაში შეუძლვა.

– ძე ღვთისა და მონა მისი საამი და თამთა ამიერითგან უკუნითი უკუნისამდე დაგვილოცნია, ერთსულ და ერთხორც ექმნენ ერთმანეთს და ცხოვრების ჭაპანი ერთად ეწიოთ, რამეთუ ღვთის წინაშე მართალნი არიან და ჩვენც ფიცით შეგვიერთებია. ვასრულებთ მამაზეციერის მიერ დადგენილს და ღვთის მონების სურვილს. დაე, ნათელი გზა გქონოდეთ და საქართველო გედიდებინოთ. ღვთის რისხვა დაგტეხოდეთ თავს, თუ ერთურთის ავი გაივლოთ გულში. დღეიდან გზა ხსნილი გაქვთ და ნებადართული შეერთებისა. ღმერთო გადმოხედე და ყველგან გაუმარჯვე შვილთა შენთა – ამინ...

– ამინ – გაიმეორეს წმინდა მამებმა.

მუხლმოდრეკილი საამი და თამთა ზე წამოაყენეს, ერთურთს ამთხვიეს და შარბათით სავსე თასიც დააცლევინეს.

– ა, მამაო თქვენი სიზმარი მზისა და მთვარის შეერთებისა, რა უცებ აგიხდათ – თქვა მამა დომენტიმ.

— ეჰ, ძმებო, მზე და მთვარე კი ვნახე შეერთებული, მაგრამ ნისლის საბურველიც ერტყა გარს — მრავალმნიშვნელოვნად დააბოლოვა თევ-დორემ და ცისკიდურს ისევ გახედა, ისევ უტოკავდა მხარი და თვალი.

ის-ის იყო, ჯვრისწერა მოათავეს. ეზოში გამოიშალნენ. ცხენების თქარუნის ხმა მიწვდა მათ ყურთასმენას. საამი და თამთა საიდუმლო კარით ეზოს მიღმა გაისტუმრეს და ისევ ეზოს დაუბრუნდნენ.

— ახლა ისეთი დროა, ყოველმხრივ მზად უნდა ვიყოთ, მტერსაც დახვედრა უნდა და მოყვარესაც — ნარმოოქვა მამა თევდორემ, ერთხელ კიდევ გადაინერა პირჯვარი და იქვე სამალავს მიაშურა, სადაც ავი დროის შესაფერის იარაღსაც ინახავდნენ.

ცხენების ფეხისა და ხვიხვინის ხმა უფრო ახლოდან მოისმა და ამ დროს მეწინავე მხედარიც მოადგა გალავანს. თოფ-იარალში ჩამჯდარი, ხმალამონვდილი თვალებს რისხვით აკვესებდა.

ხვენეშამორეული სიბრაზით მივარდა მამა თევდორეს და შეევედრა:

— მამაო თევდორე, ქალი მომტაცა ვიღაც უდღეულმა, ჩემი დედის-ერთა თამთა, დაგვიწყევლე მამაო, შეაჩვენე რომ ერთურის ხილვას ვერ ელირსონ. თუ ნებით გაჰყვა და ცხენებით მიდიან, ხრამში გადაჩეხილიყვნენ და ყვავ-ყორნების საჯიჯვნი გამხდარიყვნენ, თუ ფეხით — მინა გასკდომოდეთ და ჩაცვენილიყვნენ. დიასამიძეებს ამისთანა სირცე-ვილი ჯერ არ გვიჭამია და დაგვეხმარე მამაო, თუ რამ შეგიძლიათ.

წმინდა მამები გაკვირვებულნი და თითქოს შეცბუნებულები უმზერდნენ მოღალადეს და მის თანმხლებს. იდროვეს და პასუხი დააყოვნეს, მაგრამ მღვდელმთავარმა ველარ მოითმინა დიასამიძეთაგან ამგვარი მკრეხელური სიტყვები და ალაპარაკდა...

— ჩვენ სასულიერო პირებად გვთვლით თუ ჯადოქრებად და სატანის მსახურებად. რა ჩვენი საქმეა წყევლა და შეჩვენება, ისეთი რა მოხდა. ერთ კაცს ერთი ქალი და პირიქით, ქალს კაცი ეკუთვნის და თუ ნებით გაჰყვა, ჩვენ უფლის უკეთურს ჩავიდენთ განა? დაგიწყევლოთ და შევაჩვენოთ არა? ქვეყნის ვალი რომ გადევს კისრად, ვალს გადახდა უნდა...

— რა ვალი მამაო, რავა შეფარვით გველაპარაკები.

— რა ვალი და... ცოლი მოიყვანე? კი. შვილი შეგეძინა? კი. იმ შვილს სანაცვლოდ უნდა გათხოვება — შენ რომ გამოაკელი ვიღაცის გვარს ქალი, თავადაც უნდა შემატო ქვეყანას, ასეა ეს წესი უფლისაგან.

ნმინდა მამებმა გულში ჩაიღიმეს.

– რა საფილოსოფოსო ესაა მამაო, მაგდენი კი ვიცით, მაგრამ ვიღაც მდაპიომ რატომ უნდა... სიტყვა ვეღარ დაასრულა ქალის მშობელმა. გაღმიდან მხედარი შეემატა ჯგუფს და თამთას მშობელს ფარატინა ქალალდი გადასცა.

– იმ დიდი კაკლის ხესთან ვნახეთ ბატონო, ქვაზე იდო.

გაშალეს ფურცელი და...

„ძვირფასო მშობელი! გვაპატიეთ, ობოლას გავყევი თქვენი ნებართვის გარეშე. ბავშვობიდანვე შეთვისებული ვართ და არა-სოდეს ვუღალატებთ ერთმანეთს. აქამდე ვერ ვთქვი, სამწყემსავში რომ გავდიოდი ხანდახან, ოსმალები მითვალთვალებდნენ, ეს ნამდვილად ვიცი და, იმათ ხელში ჩვარდნას სიკვდილს ვამჯობინებ. სიკვდილი რა ენად მოსატანია, როცა ვაჟუკაცი საამი ჩემს საპატრონოდ გაუჩენია უფალს და მეც იგივე მწადია, რაც უფალს. ავს ნუგაივ-ლებთ გულში და თუ დაგვლოცავთ, მადლი ერთიასად გაგიმრავლდებათ. ღვთისმოში და თქვენი ერთა თამთა”.

თავზარი დასცა ამ ამბავმა დიასამიძეებს.

– ჩემი ხელით მოვკლავ ორთავეს, რომ გადავეყარო – ამოიგმინა მშობელმა და გულზე მჯილი დაირტყა, შემდეგ ორთავე ხელი თავზე წაიშინა – ის მდაბიო, როგორ ამჯობინა მშობელ მამას. ვაიმე, ჩემო გამწარებულობელ-ილბალო, თურმე რა მელოდა. შეგვიჩვენე მამაო...

– შვილნო ჩემნო, ცუდის ჩადენა ყოველ ნაბიჯზე შეიძლება. ჩვენ მიწიერებმა კარგი უნდა ვთესოთ მუდამებ. მე ღვთის წინაშე ცოდვას ვერ ჩავიდენ, უკეთურად ვერ მოვიქცევი, თუნდაც იმიტომ, რომ ღვთისშვილთა შეერთება ისევ ღვთის ნებითვე ხდება და ამ წესს აბა როგორ შევაჩვენებთ. რა წერია მაგ წერილში ეს უნდა გაგვანდოთ შვილნო.

– უდღეურ, ობლად გაზრდილს, ნამდვილად მწყემსად დაბადებულს უნდა გაპყოლოდა ნაფერები დიდგვაროვანის გოგო? საამს გაპყოლია მამაო, სვანიძეების ნაშიერს.

– რას ერჩი კაცო იმ ბიჭს, ვაჟუკაცია. მაგისთანა ღვთისნიერი ნეტა ბევრი გვყავდეს საქართველოში. რა ბრძანება მწყემსად დაბადებული... შენი ქალიშვილიც გამოდიოდა სამწყემსავად?

– ეგ ბავშვობაში იყო...

- ბავშვობაში თამარ მეფეც მწყემსავდა...
- იმას ირმები ჰყავდა მამაო – შეესიტყვენენ თანმხლებნი.
- უფლის გაჩენილები ყველანი თანაბარია – ქალიც, კაციც, შველ-იც და ცხვარიც, მგელიც და თხაც, ამიტომ რაც არ ხელმენიფება ნუ მთხოვთ შვილნო ჩემნო, იარალი ჩააგეთ და ღმერთს შენდობა სთხოვეთ, რამეთუ ცოდვა ჩაგიდვიათ გულში. კარგ საქმესაც და ავსაც, ისევ კარგით უნდა გადახდა. თუ რამ ავი გიდევთ გულში შემოდით და მოინანიეთ, რამეთუ უფალი მალალია და თავისი საქმის თვითონ უფრო გაეგება, შეგინდობთ ცოდვებს. გაპარულთა მხრიდან კი ცოდვის ნატამალს ვერ ვხედავ, მით უმეტეს, რომ ბიჭსაც ვიცნობთ, თუ მათი დაცილება გწადიათ... ეგებ ძალით წაიყვანა? ვინ იცის?
- არა მამაო, თავად გაყოლია იმ უდლეურს...
- ჰოდა, რაღას ვერჩით... ხომ გაგიგონიათ – ქალმა ცხრაულელი ხარ-კამერი გაათრიაო... ჰო, თუ იპოვით და ეკლესიაში მოიყვანოთ და მთხოვს უნებური ნაბიჯის მცდარობა გამოვასწორებინოთ, შეიძლება მაშინ სხვა ღონეს მივმართოთ.
- მამაო თევდორე, ორთავე შეაჩევენე, ორთავე. ამას მარჩიელობა და ენკი-ბენკი ალარ სჭირდება – დაელრივა მამაოს დიასამიძეთა გვარის გამაგრძელებელი – თორნიკე.
- იწილო-ბიწილო გვინდა ახლა მამაო ჩვენ? თუ რამე შეგიძლია დაგვეხმარე – გაფიცხდა ქალის მამიდაშვილი – ვამეხ თორელი და მღვდელს ჯიქურ მიაშტერდა, ისიც ავად აკვესებდა თვალებს.
- არა, შვილებო, უკან დაბრუნდით და ვწებათალელვა დაიცხრეთ, თუ ცოდვა ჩაიდინეს, ღმერთი მიუზღავს სამაგიეროს, მაგრამ ამის ნამდვილად არ მჯერა – არ არიან ის ბავშვები ცოდვილები, რადგან ორივეს ვიცნობ საკუთარი ხუთი თითოვით. ეგ თოფები და ხმლები მტრისთვის შემოინახეთ, ვინძლო დაგჭირდეთ. ქართველებმა ერთურთს თუ დავერიეთ შვილნო ჩემნო, ურჯულოსაც მეტი არ უნდა, მოგვდგება და... მოჩხებარ მამლებს მელამ რა უყო, კარგად მოგეხსენებათ, ჰოდა, ჩვენ ერთმანეთი უნდა დავინდოთ და შემოვინახოთ, რათა მტერი არ მოგვერიოს. მტერი კი მოგეხსენებათ ძალიან გაგვიმრავლდა. სულის მოთქმის საშუალებას არ გვაძლევენ ოსმალო წუნკლები. ყველაფერი გაითვალისწინეთ შვილებო, ერთურთს მხარში ამოვუდგეთ. არ გამტყუნებთ, არ არის ეგ იოლი ამბავი, შვილმა

მშობელს არ უნდა გადაუსწოოს წინ, მაგრამ ისიც კარგად მოგეხსენებათ, ბრძენ ხალხს რომ უთქვამს – „ის ურჩევნია მამულსა, რომ შვილი სჯობდეს მშობელსაო”, ჰოდა იქნებ რა ცხოვრება ააწყონ ბავშვებმა, იქნებ ყველას გვაჯობონ. მე მეტი სათქმელი არა მაქვს, გაბრუნდით უკან და შინაურები გაახარეთ. უფალმა დაგიფაროთ ავი და უკეთური ზრახვებისაგან.

უფალო შეუნდე მონასა შენსა, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმონენ, ამინ! – დაასრულა მამა თევდორემ და იქვე მყოფთ პირველარი გარდასახა.

მშობელი კი არა ცხრებოდა.

– ვაიმე, ჩემო იღბალო... გაგიმწარებ სიცოცხლეს თუ კაცი ვარ – მიაწყევლა მამამ და ყელამდე იარაღში ჩამჯდარი ვაჟკაცების ამაღლით სოფელ სავანისაკენ გაბრუნდა.

დიასამიძე იმისათვის კი არ ბორგავდა, შვილი რატომ გამე-პარაო, არა ნამდვილად, იმისათვის – საამს რომ გაჰყვა ცოლად.

სოფელ სავანეს თავზე არწივი დაბოინობდა, ყვავ-ყორნების ჩხავილს სვავების ყაშყაშიც უერთდებოდა. ავად ენიშნა მამა თევ-დორეს ყოველივე და ერთხელ კიდევ შეჰდლალადა უფალს:

– უფალო, შეუნდე ცოდვა დიასამიძეს, რამეთუ უგუნურ არს მისი ფიქრი, გულისხმაში ჩააყენე ღმერთო და სატანა განუდევნე გვამი-დან, სახლში მიაბრუნე და უკეთური რამ არ ჩაადენინო.

შეუნდე ღმერთო...

მამია განრისხებული დაბრუნდა სახლში, მაგრამ ფატმას თბილ-მა სიტყვებმა გული მოუბრუნა, ერთი ამოიოხრა და სახლში შევიდა.

– რამდენი დავიდარაბა გამოვიარე – ჯერ გატაცება და სტამ-ბოლში მოხვედრა, შემდეგ მდიდრული ცხოვრება, ფატმასთან ურთ-იერთობა და დაქორწინება, ბოლოს სამშობლოში დაბრუნება... (წამის უსწრაფესად გაურბინა გონებაში ყოველივემ)... შემდეგ ქალიშვილის შეძენა და... ერთ შვილზე გადავეგე, ნიავს არ ვაკარებდი და ისე ვზრდი-დი.. როგორ გადამიხადა... ალბათ ფატმას მშვილებლებმა დაგვწყევლეს, თორემ... არა, ჩემი ალმზრდელები ავს არ გაივლებდნენ გულში. ოსმა-ლეთიდან გამომგზავრება ხომ მათივე თანხმობით მოხდა, ალბათ, რაღაც ცოდო მაინც მიმიძლვის უფლის წინაშე... ნუთუ ის, რომ წინა-პართა რწმენას ვალიარებ? მე ხომ არ მიღალატნია უფალზე... რწმენის

შეცვლა? ჰო, ალბათ, მაგრამ ყველა მლოცველი უფლის სახელს არ ვადიდებთ? არ ვიცი, არ ვიცი რაღა ვიფიქრო, ღამისაა თავი გამისკდეს....

ფატმამ სამხარი შემოუტანა მეულლეს და ანითლებულ-ავარდ-ისფერებული, რომ დაინახა, დაუყვავა, მოეფერა.

– არ დაწყევლო მაინც შვილი, ცოდნა, მამის წყევლა დედისას არ ჰგავს. ახდება იცოდე. არ უნდა ჩაედინა ამისთანა რამ, მაგრამ რას ვიზამთ... ვიცი რაც გადარდებს – მემკვიდრეობის გამგრძელებელი რომ ალარ გვყავს არა? უფალი მოგვხედავს, არ გაგვწირავს... იქნებ შეგვეძინოს შვილი ჲა?

– რაღა დროის შვილია ქალო... ან თუნდაც გაგვიჩნდეს კიდეც... რაი მერე – განა მოსვენებით ვიქნებით?

– ცხოვრება ბრძოლაა... მას ძლიერები და მოხერხებულები ჭკვიანურად იყენებენ. ჩვენ ჯერ ისე არ გაგვჭირვებია, ამის გამო აუტკივარი თავი ავიტკიოთ... გასათხოვარი იყო და გათხოვდა თავისი ჭკუით... განა მეც ასე არ მომივიდა? ნანობ?

– მაშინ სხვა დრო იყო და სხვაგანაც ვიყავით, უფალმა გვაპოვნინა ერთმანეთი.

– ახლაც უფალია ჩარეული. რა გონია უფალმა არ შეაერთა? დაწყნარდი უფლის ნებით ხდება ყველაფერი.

მამაო ამბროსიმ საამი და თამთა სამალავიდან გამოიყვანა და თუთის ხის ძირში ძელსკამზე დასვა.

– სახლ-კარი გამოიტირეთ... საით აპირებთ წასვლას, ღამისთევას. ათასი რამ გაქვთ ანე საფიქრალი – ჴკითხა მამაო თევდორემ – თქვენ ახლა ჯვარდანერილები კი ხართ და ყველაფრის უფლება გაქვთ, მაგრამ შვილნო ჩემნო, მდევარი კვალში გყავთ და ვაი თუ მოუზომელი ნაბიჯი გადადგან, ვაითუ... სათქმელი ალარ დაამთავრა მამაო თევდორემ.

– აჭარაში გადავალთ მამაო, ან სხვაგან, დიდია საქართველო, როგორმე დავემკვიდრებით სადმე – მსწრაფლ მიუგო საამმა.

– აჭარაში ხომ ოსმალური კანონებია შვილო ჩემო, გაგიჭირდება, იქნებ სხვაგან წახვიდეთ?

– დიდია ქვეყანა მამაო, ვიცი აქ აღარ დამედგომება, დიასამიძეები არასოდეს მაპატიებენ ამ ნაბიჯს. აჭარაში მირჩევნია მამაო, იქ აბდულ-ბეგ ხიმშიაშვილია მმართველად. ოსმალთა გავლენა ასე თუ ისე შესუსტებულია, ჯერ ისე მაგრად არა აქვთ ფეხი მოკიდებული აჭარელთა ერთსულოვნებისა და ვაჟუკაცობის მეოხებით. თავის გატანა შეიძლება. აბდულ-ბეგს მთელი აჭარა ემადლიერება, ეს ნამდვილად ვიცი. იქ, სადღაც აქედან წასული ჩვენი ხალხია, თავდგირიძები, შალიკაშვილები, აბულაძეები. მოვნახავ, როგორმე და შემიფარებენ აღბათ. რაც არ უნდა მოხდეს, ქართველები ქართველებად დავრჩებით მაინც, ოლონდ თავი გავიტანოთ როგორმე. მე კი ჩემი თავის იმედი მაქვს და არ გამიტირდება. ბევრნაირი ხელობა ვიცი, თამთასაც ხელსაქმე ეხერხება, ხალხურ მკურნალობაშიც ერკვევა, წიგნიც აქვს თავისებურად შედგენილი, ასე რომ ხელს არ გვკრავენ მგონია სადაც ვიქენებით. შალიკაშვილები კი შორეულ ნათესავად გვერგბიან და იქნებ ისინი უფრო მოვძებნო. კაი ხალხია ვიცი.

– იმათ ღალატი ჩაუდენიათ და იმიტომ წავიდნენო აქედან – თქვა მამა ამბროსიმ...

– ღალატი რას მიქვია მამაო... განა ჩვენ არ ჩავიდინეთ ეხლა ღალატი? ამისათვის შეგვაჩვენებთ?

– შეუძლება ღალატი არაა შვილებო, კეთილი საქმეა და უფლის მიერაა დაწესებული.

– ჰოდა მით უკეთესი. კაცი რაღაც კარგს აკეთებს, მაგრამ ის კარგი სხვებს უკეთურ საქმედ მიაჩნიათ. რა ჩაიდინეს შალიკაშვილებმა ისეთი.

– ერთ დროს რაღაც მოსვლიათ და არ უპატიებიათ.

– ერთ დროს თამთას მშობლები ოსმალეთის ხიზნები იყვნენ და ახლა აქ არიან... დრო მიდის, არ ჩერდება და ბევრ რამეს ავინყებს ხალხს... ერთ დროს ჩვენც აღარ მოგვიგონონ იქნება...

– კარგით შვილებო, თავისთავს როგორმე უნდა მიხედოთ. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, მაგრამ ახლა სადმე წასვლა მაინც არ ეგების, შეიცადეთ ჩვენსას და მერე გზა ხსნილი გაქვთ, საითაც გული გაგიწევთ, იქეთ ჰპოვეთ ადგილსამყოფელი. ცოტა ძნელი კია ქალის ერთად მგზავრობა, მაგრამ აწე ყოველგვარ გასაჭირს უნდა სძლიოთ როგორმე. გზაში ორი ცხენი საძნელოა. ქალს ნაბდის ქვეშ ვერავინ

შეამჩნევს და გზაც უხილაოთ იქნება. უშიშარ ადგილას ფეხითაც ივ-ლით. ცხენი ორთავეს გზიდავთ, ერთი კაცის წონა ძლივსა ხართ.

– გმადლობთ მამაო, თქვენს რჩევას დავყვებით ყოველთვის და სადაც არ უნდა ვიყოთ, შეჭირვების უამს თქვენი სიკეთე დაგვეხ-მარება მგონია, თქვენი კეთილი გულებისა და დალოცვის იმედი გვა-ქვს...

წუთიერმა დუმილმა დაისადგურა. თამთა მორცხვობდა, თუმცა ნებიერასთან თამაშით გაერთო, მაგრამ ქალური მორცხვობა და მოკრძალება მაინც თავისას აკეთებდა.

– აქვე, ცოტა მოშორებით ერთი უკაცრიელი ტყეა, სადაც პატ-არა ქოხები გვიღვას, პაპანაქებაში ავდივართ და იქ ვიძინებთ ხოლმე. ბოსტანიც გვაქვს ახლოს და სარჩო-საბადებელიც თვითონ მოგვყავს. წყაროს წყალიც იქვეა. ჩიტების ურიამული კი ნამდვილად ყურთას-მენის დამატებობელია. ცოტა უხერხული კი ახალშეუდლებულ-თათვის, მაგრამ ძილი შეიძლება. ნაბადსაც გათხოვებთ და ღამით წაიმატეთ, აგრილდება. უშიშარი ადგილია, ძე-ხორციელმა არ იცის ჩვენს გარდა იმ ადგილის არსებობა. ახლა მითუმეტეს სიცხეებია და არც ისე საჩითიროა ბუნების ნიაღში ძილი და თაფლობაც – დაამთავრა სათქმელი მამაო ამბროსიმ და საამსა და თამთას ღი-მილით შეხედა.

– მადლობელი ვართ მამაო ამოდენა პატივისთვის, თუ კაცი ვარ გადავიხდი ამ პატივისცემას...

– არა, შვილო ჩემო – ჩაერია საუბარში მღვდელი თევდორე – ნურასოდეს ნუ იფიქრებ სამაგიეროს გადახდას – ნურც ავის გამო და ნურც სიკეთის წილ. ყოველგვარ სამაგიეროს გადახდა ცოდვად ითვლება. კეთილი საქმე არასოდეს არ იკარგება. სანთელ-საკმეველს კი გზა არ გაუმრუდდება. ამაგის დაფასება კი შეგიძლიათ. იხარეთ, იბედნიერეთ, ერთმანეთს ნუ უღალატებთ და შვილები გაამრავლეთ. უფალს ნუ შესცოდავთ და ყოველი საქმე კეთილი გულით შეასრუ-ლეთ, მტერსაც კარგი სიტყვით გაუმასპინძლდით და მშეერ-ტიტვე-ლას საბოძვარით.

– გმადლობთ მამაო, ფუძეს რომ გავიჩენთ, სხვა საზრუნავი არც გვექნება.

მამა დომენტიმ სუფრასთან მიიწვია ყველანი.

– ახლა ჩვენ დარიბულ სუფრას მივუსხდეთ. უკვე სამხრობაა და თქვენ არა თუ სადილი, ნახემსებიც არ იქნებით და მოშიებული იქნებით – თქვა მამა თევდორემ და ახალშეულლებულებს ფანჩატურ-ში შეუძლვა.

აქამდე დამორცხვებულმა თამთამ შორეულ, ნაცნობ სერებს გადახედა და თავი მძიმედ ჩაკიდა. ფეხათრევით მიჰყვა სულიერ მა-მებს – ბავშვობიდანვე ამ დღემდე წმინდა მამებთან შეთამამებული და შეჩვეულები იყვნენ, საკუთარ მშობლებივით მიაჩნდათ, ამიტო-მაც თავპატიჟი აღარ დაიწყეს და მიჰყვნენ მათ. თამთამ ისევ სერებს გახედა, სადაც ქარი ტყეს ალივლივებდა და მოგონებებში ჩაიძირა.

„ბავშვობა ამ სერებზე გაგვიტარებია, ყოველი ქვა და ხე, ყოვე-ლი ნაკადული ჩემთვის ნაცნობია. ფრთოსნებს ჩემი გამოჩენა სიამ-ოვნებდათ და თავს დამჭირებულებდნენ. რამდენი თაგული გვიკრე-ფია სოფლის გოგო-ბიჭებს. ყველა წავიდ-წამოვიდა, ერთი მე დავრ-ჩი მარტოსული სოფლად. წიავს არ მაკარებდნენ, რადგანაც დედის-ერთა ვარ და დახე ბედ-მდევარს... არა, არ უნდა გადამედგა ასეთი ნაბიჯი, მაგრამ რა ვუყოთ თუ ეს ყოფილა ბედისწერა. ეს ბიჭი კი ბავშვობიდანვე გულის რჩეული იყო – მალულად გახედა „ობოლას“ (ობლად გაზრდილს ეს სახელი თამთამ შეარქვა) – როგორ მეთქვა უარი, როცა მასაც ვუყვარდი. არც ის ვიცოდი, შუამავლები თუ მოგვიგზავნეს და მშობლებმა „ობლობის“ გამო დაიწუნეს. თითქოს ობოლი ადამიანი არაა. სადაა სამართალი თორემ... ოსმალებიც როგორ მითვალთვალებდნენ? რომ გამემხილა მშობლებზე ოსმალ-თა მოახლოების ამბავი, იქნებ სისხლიც კი დალვრილიყო. არა, ამას ვერ ვიზამდი, კიდევ ეს ნაბიჯი მიმაჩნია გამართლებულად. ღმერთო ძლიერო, ყოვლისშემოქმედო, შენ დაგვიფარე, გზები გაგვინათე, დაგვიცავი ყოველგვარი ბოროტებისაგან“ – შეევედრა გულში თამ-თა და ხმამალლა კი გამოუვიდა ნათქვამი.

– გისმინოს უფალმა შვილო – უმალ მიუგეს წმინდა მამებმა.

თამთამ დაიმორცხვა, გულისნადები რომ გაამჟღავნა და თავი ჩალუნა სახეანითლებულმა.

მაგიდას შემოუსხდნენ.

– მიირთვით შვილებო, ნურაფრის ნუ მოგერიდებათ.
 – ღმერთო ყოვლადძლიერო, შენ გაგვიმართლე ყველა მიწიერ ცოდ-
 ვილს, შეგვენიე, ძალა მოგვეცი დავთრგუნოთ ყოველგვარი ბოროტი,
 შეგვაძლებინე მადლიანი საქმეების კეთება, ბინიერება გვაშორე, სიყვარუ-
 ლი გაგვიმრავლე, სარჩო-საბადებლის ბარაქა არ მოგვაკლო, ვჯვარით
 დაგვიფარე ღმერთო – პირველარი გადასახა სუფრას მამაო თევდორებ
 და შეუაგაყოფილი ნუგბარი და ჭიქა ლვინო მიართვა ახალშეულლებულებს.

ნეფე-დედოფალმა ფეხზე ადგომით მიირთვეს ნაკურთხი, შე-
 ლოცვილ-დალოცვილი და მღვდელმთავარს მადლობა შესწირეს.

ფანჩატურში დაფეხობული ნებიერა შემოვარდა და მამაო ამ-
 ბროსის მიეხურა. ნკმუტუნებდა და ყურებდა ცქვეტილი მალი-მალ
 გარეთ იცქირებოდა.

– რაღაც საშიშროება იგრძნო. ასე ადამიანისგან დამფრთხალი მი-
 ნახავს ჩვენი ჭრელა – თქვა დომენტიმ და გარეთ შესამონმებლად გავიდა.

მოშორებით ბუჩქებში რაღაც შექანდა. დომენტის იარაღი ეპყრა
 ხელთ, უმალ ბუჩქებთან გაჩნდა და სოფელ კლდის მკვიდრი, დიასამ-
 იძების ღლაპი, თამთას ბიძაშვილი შერჩა ხელთ.

– რას აკეთებ ბალლო ამ დროს აქ?
 – მმმე, აქ ბბიძამ გაამომაგზავნა – ენა დაება მზირს – გგაქ-
 ცეულები თუ იიმმალებიანო საყდარში ნნახეო – ამოიზლუქუნა
 შეშინებულმა.

– ვინ გაქცეულები, რა გაქცეულები, აქედან მოუსვი ახლა თორემ
 გაქცეულებს გიჩვენებ მე შენ – დაექადნა დომენტი.

ბალლო ფაცხაფუცხით ხმისამოულებლად მიბრუნდა და მოკურცე-
 ლა. დომენტი შებრუნდა ფანჩატურში და ისევ სუფრას მიუჯდა.

– ტყიურია, მაგრამ შინაურ ნაგაზზე არაფრით ნაკლები არ არის.
 თუ საშიშროება იგრძნო, ხელათვე გვაფრთხილებს – თქვა მამაო ამ-
 ბროსიმ სტუმრების გასაგონად.

თამთას კუნაპეტი თვალებით შესცქეროდა ნებიერა. თამთა ადგა,
 მიუალერსა, თავზე ხელი გადაუსვა და შუბლზე აკოცა. ჭრელამაც
 ხელები დაულოკა სამაგიეროდ, შემდეგ საამს შეხედა უნდოდ და
 მასაც აულოკა ხელები.

– ეეჲ, შვილებო ჭრელას გუმანი და ალლო აქვს ძლიერი. ეს ნიშანი
 ძალიან დიდი უბედურებისა და ასევე ძალიან დიდი ბედნიერების

ნიშანიცაა. შეხეთ, თვალებზე ცრემლიც კი მოადგა შველს. ჯერ სიბრალულისა და მერე სიხარულისა. ბევრ გაჭირვებას და დაბრკოლებას გადალახავთ და მერე ბედნიერი იქნებით. ასე გვამცნობს ჭრელას ცრემლები – ჯერ წვეტნვეთობით, ძალისძალად და შემდეგ ლაპალუპით დაგორებულნი, ერთიც უნდა დავამატო შვილებო – ვიდრე აქედან წახვიდოდეთ დიდი საწყენი რამ შეგხვდებათ. თუ რა, ამას ვერ ვიტყვით. ცხოვრებაში ყოველგვარ გაჭირვებასა და სიხარულს, ერთად და მედგრად უნდა შეხვდეთ და ვაჟუაცურად გადაიტანოთ.

– გმადლობთ მამაო, ასეც ვაპირებთ. ეგერ გაღმა სერზე, რომ ხუთასწლოვანი ნიგოზია მამაო, იმის ჩრდილქვეშ შევფიცეთ ერთმანეთს. წერილიც იქ დატოვა თამთამ. ეხლა კი თქვენი ლოცვაკურთხევაც გაგვინათებს გზას და ვეცდებით ლირსეულ მამულიშვილებად დავრჩეთ და ლირსეული მამულიშვილებიც აღვზარდოთ, თუ რა თქმა უნდა უფალი ამის ლირსს გაგვხდის.

– ლირსეული მამულიშვილობა მხოლოდ რჩეულთა ხვედრია შვილებო. ოდიოგან მოყოლებული, საქართველოს გამარანგებელი და გამაოხრებელი, მოლალატე ქართველები და დიდების მანიით შეპყრობილი, სხვათა კარზე სახელოს მაძიებლები, დიდებულები თუ წრილაზნაურები გახლდათ. არც ახლა ვართ დაზღვეულები ამისგან და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ქართული სისხლი იარსებებს. რა გვაქვს ჩვენ შვილებო ერთმანეთში გასაყოფი. ამ ცოდვილ ქვეყანაზე ყველა დაეტევა, ღმერთს ყველასათვის სარჩო-საბადებელი აქვს გაჩენილი, ჩვენ კი, ქართველებს ერთმანეთი ვერ გაგვიტანია, სულ ვედავებით, ვკიჯგნით ერთმანეთს და რას ვედავებით ერთურთს ჯერაც ვერ დაგვიდგენია. ერთმანეთის შური და გაუტანლობა დალუპავს შვილებო საქართველოს და ეცადეთ ვისაც როგორ შეგეძლებათ და სადაც ხელი და გული მიგინვდებათ, სულ სიკეთე და სიმართლე თესოთ, რამეთუ დიდი მდინარეები ჰატარა ნაკადულებიდან იწყება და თუ თქვენ სასახლო ოჯახს შექმნით და სხვათა მაგალითი იქნებით, ეს იქნება ჰატარა ნაკადული, რომელიც წლების შემდეგ დიდ მდინარედ იქცევა და ჩვენც მოსვენებული წავალთ მიწაში. სანამ პირში სული გვიდგას, თქვენი მლოცველი და ღმერთზე მავედრებელი ვიქნებით, სადაც არ უნდა ვიყოთ და რა მდგომარეობაც არ უნდა გვქონდეს, დღეს რომ თქვენი შეუღლებით სიხარული მოგვანიჭეთ,

ამ სიხარულით და ჩვენი დალოცვით უფალმა გზები აგიმზიანოთ, გახაროთ და გამრავლონ, ამინ!

– გმადლობთ მამაო, ჩვენც სანამ ვიცოცხლებთ, თქვენი მადლიერი ვიქენებით და სადაც არ უნდა ვიცხოვროთ, თქვენი ნათელი სახეები არასოდეს დაგვავიწყდება.

– ახლა შვილები თქვენი სადმე სოფელში მისვლა არ ეგების და იმ ჩვენ ქოხმახამდე უნდა მიგაცილოთ. შიში რომ არაფრისა გექნებათ, იარაღზე გეტყობათ და შენი ვაჟკაცობის ამბავიც ვიცი, მაგრამ ვაჟკაცობა თავის ადგილას და ახლა სიფრთხილე და ჭკუა-გონების მაქსიმალურად მოხმობა გმართებთ. დროა უკვე გავემგზავროთ, თორემ იმ ლლაპის აქ გამოჩენა კარგს არას მოასწავებს, გზაც ციცაბო და გრძელია და.. აღარ დაამთავრა სათქმელი მამა ამბროსმა.

– ბილიკი მიგვასწავლეთ მამაო და ცხენით იოლად ავალო.

– არა შვილო ჩემი, იმ ტყეში ცხენის სუნი რომ აილონ, მგლები დაესევიან და დაგლეჯვენ. დატოვეთ, მოვუკლით როგორმე.

– კარგით მამაო, გვჯერა თქვენი, უკეთ უწყით რა სჯობია.

საამი და თამთა მამა ამბროსის თანხლებით ფერდობს შეუყვნენ.

მწვანე მოლი ხასხასებდა ქოხის ეზოში. შემორაგულ ეზოში ვერავი-თარი სულიერი ვერ გაიჭაჭანებდა მამაოების გარდა და ჭიშკარიც დახშული იყო ყოველთვის, ვიდრე თავად არ შეალებდნენ. ქოხის კარები შეალო მამა ამბროსიმ, კლიტე დაუტოვა და მშვიდობიანი ლამეც უსურვა.

ჩიტებმა შემოსული სტუმრები შეამჩნიეს არაჩვეულებრივად აუივუივდნენ და მოუსვენრობა დაეტყოთ.

– ე, ბალებო ნახეთ რა ამბავში არიან სამოთხის ბინადრები? როცა ამოვალო ასე უღურტულებენ ყოველთვის. ახლა საკენკსაც დავუყრი და მერე ნახე მაგათი გალობა... ჰო, მართლა, ეს სანოვაგე სამ დღეს გეყოფათ, ნუ იჩქარებთ ნასვლას, იქნებ რა შეგემთხვათ ან შეგამთხვიონ ცხელ გულზე თქვენიანებმა. იყავით და ჩვენ ამოგაკითხავთ. ლამე მშვიდობისა და ტკბილად გათენება.

– გმადლობთ მამაო, ლამე მშვიდობისა.

მამა ამბროსი დალმართს დაუყვა. ქოხში შევარდნენ საამი და თამთა, ჩაეხვივნენ ერთმანეთს და ტახტზე მიგორდნენ.

– რა ლამაზი ადგილები გვაქვს არა? ნეტავი შეგვეძლოს აქ დარჩენა. ამ ქოხზე მეტს არას ვინატრებდი, ოლონდ ტკბილად ვიცხოვროთ...

ეჰ, ეს მხოლოდ ნატვრაა, თორემ ვინ იცის ოსმალები რა დღეს დაგვაწევენ. როგორც გავიგე, სულ ახლოხანში აპირებენ აურაცხელი ბარგი-ბარხანით, დიდიან-პატარიანა და დიდძალი ჯარით სამცხე-ჯავახეთის და ალბათ სხვათა დაპყრობასაც. აირევა ქვეყანა და ხალხი სხვაგან წავა. ადრე თუ გვიან ჩვენც ასე დაგვემართებოდა. ჩემი და შენი გზებირომ არ გაყრილიყო, ამიტომაც დავყევი შენს ნებას. ახლა ერთად ვართ და მე და შენ პირველი მერცხლები არა ვართ სხვაგან გადაბარებით, ხომ არიან სხვა კუთხებში აქედან წასულები. ოლონდ კარგად იცხოვრე და სადაც გინდა იქ სახლობდე. ეჲ, შეგვეძინება შვილები, დავაფრთიანებთ, შემ-დეგ შვილიშვილებით, შვილთაშვილებითაც ვიხარებთ, ხალხში გავერ-ევით, ქველ საქმეს ვიმოქმედებთ, ვეცდებით მუდამ კარგები ვიყოთ ხალხ-ისათვის. მერე მოვხუცდებით, წლები დაგვამძიმებს, იქნებ ველარასოდეს ვიხილოთ აქაურობა... არადა, როგორ მოგვენატრება... ბევრსაც მივავი-ნყდებით... იქნებ ჩვენიანებიც და სხვა სოფლის ხალხიც გადაიხვეწონ აქედან... დავიქსაქსებით და გადავსხვაფერდებით... ნეტა როგორი ცხ-ოვრება გვექნება, რას მივაღწევთ... ყველაფერი საფიქრელია, არა საამ?

— ვიცოდი, რომ ჭყვიანი იყავი, მაგრამ ასე ბრძენი თუ იყავი რას ვიფიქრებდი. თუ კაი ხალხში მოვხვდით, ხომ ავშენდით, მაგრამ ისე-თი დრო დგება, ჩვენ ჩვენი თავის იმედით უნდა ვიყოთ მაინც. შრომა არ მეზარება, შენც გვერდში ამომიდგები ისე, როგორც შეგვეძლება და ალბათ ხალხის სიყვარულსა და ნდობას დავიმსახურებთ. ყოვ-ელშემოხვევაში ცუდს არას მოვიმოქმედებთ... იცი რა ძნელია, რამე რომ დაგვიშავდეს უნებურად, იტყვიან — რამ მოათრია ესენიო... ღმ-ერთით სამაგალითონი ვიქნებით.

— ეჭვად არ გაივლო გულში, რომ ცუდები ვიქნებით, მაგრამ, ხალხ-ის ამბავი ხომ იცი, მუდამ რომ კარგად ვიქნებით, იქნებ შურიც ალვძრათ... ადამიანი ბუნებით ეგოისტია და უძლები... ბედით კმაყოფილი არავინაა და ჩვენ, რომ შეხმატკბილებულები ვიქნებით, მართლაც იქნებ შურით შემოგვხედონ არა?.. ეჲ, რა ფუჭად ვფიქრობთ ახლა ამისთანებს ჩემო ობოლა. აღდგომა და ხვალეო. ჩვენი მომავალი ახლა დაიწყო და ღმერთით კეთილ გზაზე ვივლით ყოველთვის... მშობლებს რომ დავე-ლოცეთ ხომ უბედინიერესები ვიქნებოდით, მაგრამ არა უჭირს რა, წმინ-და მამების დალოცვაც გაგვინათებს გზას და შეგვიმსუბუქებს ხვედრს. თუმცა მაინც მეშინა მშობლებმა წყევლა არ მოგვაყოლონ — ვერასოდეს

გავიხარებთ. ანდაზაცაა ერთი – „დედის წინ მოხტუნავე კვიცს ან მგე-ლი შეჭამს, ან ტურაო“ – არ უნდა გადაუსწრა მშობლების ამაგს...

– თუ ნანობ მაშინ უნდა დაპრუნდე უკან, ჰადაპა ერთი-ორი სილა შემოგკრან და გათავდება ყველაფერი, მე კი აღარ დამედგომება აქ, მაინც უნდა გადავიხვეწო სადმე.

– ვნანობ? არა, შენზე გაყოლას არ ვნანობ, ახლა კანონიერი ცოლ-ქმარი გვქვია, ჯვარდანერილები და ჩემთვის მეორე არავინ იქნება არასოდეს. პირველი და უკანასკნელი შენ იქნები. ანე ერთად ვიცხოვრებთ და ალბათ, ერთადაც დავიმარხებით ღვთის ძალით. ანე ცხოვრების მოწყობაზე უნდა ვიზრუნოთ. უფალმა შეგვაერთა – უფალი ინებებს ჩვენს დაცილებას, მხოლოდ სიკვდილით...

დილამდე ურთიერთალერსში და ბაასში იყვნენ, გამთენისას მილულეს თვალები, მაგრამ სულ მალე ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკმა თავისი ქნა... გაილვიძეს. მზემ ამოწვერა და მაცოცხლებელი სხივები პირველად მათ ქოხს მიანათა. ეზოში გამოვიდნენ, ცივი წყაროს წყლით ხელ-პირი ჩამოიბანეს და წამოლებულ საუზმეს მადიანად შეექცნენ.

– რა ვქნათ სიცოცხლევ, წმინდა მამებს მივეახლოთ თუ აქ დავრჩეთ? – შეეკითხა საამი მეულლეს.

– ჩვენ ახლა წმინდა მამებს ვერ ვეჩვენებით, არ შეიძლება პირველი ლამის შემდეგ მათთან მისვლა. ვიცალოთ კიდევ ორი-სამი დღე და მერე ნასვლაც შეიძლება აქედან საერთოდ...

– ჰო, მართალი ხარ. ვიყოთ, სანამ შეიძლება აქ დარჩენა, ალბათ წმინდა მამები თავად გვეტყვიან, როდის წავიდეთ.

– ოსმალთა შემოსვლა დღედღეზეა მოსალოდნელი, ამიტომ რაც მალე წავალთ, უკეთესი იქნება.

თავი II

ოსმალებმა მცირე აზია ისე დაიჭირეს, ნახევარი ცივილიზაცია გაანადგურეს, აქედან უკვე აღარსად წავიდოდნენ და არც არსებობდა ძალა, რომ ძალითვე გაერეკათ სხვათა ტერიტორიებიდან. ის კი არა, სხვადასხვა სახელმწიფოებისაკენ ეჭირათ კიდევ თვალი. ერთ-ერთი რიგში საქართველოც იყო...

ოსმალთა სულთან მუსტაფა-II-ის დროს, ოსმალეთმა ძალიან დაქვეითებულად მოაღწია, მაგრამ ახალმა სულთანმა (1695-1703) სწორად წარმართული პოლიტიკის წყალობით სახელმწიფო ეკონომიკურად მოაძლიერა, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა მოსვენების მდგომარეობას. აღორძინებულმა და გაძლიერებულმა ოსმალეთმა კვლავ სხვა სახელმწიფოებისაკენ გაიწვდინა ხელი.

შავი ლრუბელი წამოვიდა ოსმალეთიდან და ავისმომასწავებლად გაიშალა ირგვლივ. დაწყნარებული „ამინდი“ ქარიშხლის დაწყებას პირდებოდა მეზობელ ქვეყნებს.

მთელი რვა წლის განმავლობაში გამუდმებით მიმდინარეობდა ჯარის გაძლიერება და არც თუ უშედეგოდ.

სულთან აბმედ III-ის დროს (1703-1730წწ), მთელი ოცდაშვიდწლიანი მმართველობის პერიოდში ოსმალეთი ძალიან გაძლიერდა და საომარ მდგომარეობაში იყო გამუდმებით. ძირითადად საქართველოსაკენ იწვდიდნენ ხელს და ამის ნიადაგზე სპარსეთთან ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა ჰქონდათ, სისხლისლვრით მთავრდებოდა ორი სახელმწიფოს დავა საქართველოს გამო. არც ერთი არ თმობდა პოზიციებს. ოსმალეთს არასოდეს არ დაუხევია უკან და ხელი არ აულია საქართველოს დაპყრობის გეგმაზე. ისე როგორც რვაფეხა თავის მსხვერპლს, ოსმალეთიც იმგვარად თვლიდა საქართველოს და ყველა კუთხით უსინჯავდა ნიადაგს მის ჩასაყალაპავად. საქართველოს დაქუცმაცება ნელ-ნელა, პატარ-პატარა ტერიტორიებით დაიწყეს.

მარბიელი რაზმები უფრო და უფრო შეეჩივია ლომისის მიდამოებს, ამასთან ერთად მთელი მესხეთის ტერიტორიასაც. დიას, უზარმაზარი რვაფეხა იყო ოსმალეთი, რომელიც ბინძურ საცეცებს

ყველგან უწვდენდა და რასაც მოიხელთებდა თავისაკენ ეწეოდა, წუნიდა, ფიტავდა და ანადგურებდა.

მესხეთის ბუნებით მოხიბლული ოსმალები პატარ-პატარა რაზმებს ზედიზედ აგზავნიდნენ ამ კუთხეში სათარეშოდ. საიდან პირუტყვს გარევავდნენ, სად ოჯახებს დაანიკოკებდნენ, სახლებს გადაბუგავდნენ და ასე მუდმივად მოუსვენარ მდგომარეობაში ჰყავდათ მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობა.

უბედურებას ბოლო არ უჩანდა.

დილის ბინძუნდში აღმოსავლეთით ნამგალა მთვარე გამოჩნდა ჯამში ჩამჯდარი ვარსკვლავით. ცუდად ენიშნა შალვას ოსმალთა ემბლემის ხილვა ცაზე.

სახლეული უთენია დგებოდა, მთელი ჯალაბი გამოენიდან საქმისაკენ ეშურებოდა. ერთადერთი მებატონე შალვა დიასამიძე იყო მთელ მესხეთში, ვისი ოჯახიც მუხლჩაუხრელად შრომობდა და ამ შრომის ფერხულში თუ სხვა რამეში არავითარი წოდებრივი განსხვავება არ იგრძნობოდა. სიამტკბილობდნენ და ხარობდნენ. ამიტომაც სწორედ დისამიძეთა გვარი ყველაზე მდიდარი იყო მესხეთში.

შალვას თავისი საბატონო თავისუფალ ასპარეზად ჰქონდა. სწორედ იმის გამო, რომ შალვა თავდაცვაზე ძალიან არ ზრუნავდა, ოსმალებიც გათამამდნენ და ხშირად სტუმრობდნენ მის მამულს და სადაც რას წააწყდებოდნენ, თან მიითრევდნენ.

ერთ დილით ჯალაბი ერთად შეჲყარა შალვამ ხემისის წინ, დაილოცა და ცას ახედა.

— ხალხნო, ჩემს ცხოვრებაში არ მინახავს დილით ცაზე მთვარის ამოსვლა და თანაც ისმალთა ემბლემასავით ბრიალი. არ მომწონს მე დღევანდელი ხილვა. ფრთხილად უნდა ვიყოთ, ფხიზლად დავდგეთ, რათა მომავალი თაობისათვის შევინარჩუნოთ, დავიცვათ მინა, მამული და სარწმუნოება. ურჩხული ხახას გვიბჩენს ყველას. ქართველს გაუძლია. კიდევაც გაძლებს და მტერსაც მტრულად დახვდება, მაგრამ ვაი, რომ მტერი ძლიერია... ქართველები ერთი მუჭავართ, მაგრამ მუშტად შეკვრა ვერა და ვერ მოგვიხერხებია. ავი ნიშანია ეს მთვარე და ავადაც ჩაივლის წლები. აღდგომა მოახლოებულია და... ალარ დაამთავრა სათქმელი. მჭადი და ყველი მოციცქა და კარში გავიდა, თოფ-იარალი აისხა და ბედაურს მოევლო ზურგზე.

– მეგობართან მივდივარ და ფხიზლად იყავით – დაუბარა ჯალ-აბს და პირველით დაადგა გზას.

... ავად ენიშნა შალვას იმ დღის მთვარე. არც მამაზეციერს ეცინე-ბოდა...

„ვინ იცის რა გველის. ოსმალეთის სულთანი ისეა აბორგებული, მტკვარმა რომ იცის ადიდება ლანქერობისას და ნაპირებს გადმო-დის. ასეა ხონიქარიც და არ არსებობს ჯერჯერობით ძალა, მისი ასკერების შესაკავებლად. ერეკლე, დავითი ან კონსტანტინე ცალ-ცალკე რას გაუმკლავდებიან თუ ალმოსავლეთ დასავლეთი ერთ მუშ-ტად არ შევიკარით.

და მესხი ბატონებიც... ერთმანეთს ვებრძვით ყველანი და დაქაქ-სულები ვართ. მოგვდგება და გაგვანადგურებს კიდეც, აბარას იზამს. ღმერთო დაგვიფარე – წარმოსთქვა ხმამაღლა შალვამ და პირველი გადაინერა – ანიკება-დარბევის სცენაც წარმოიდგინა და გააურ-ჟოლა – ღმერთო დაგვიფარე ყოვლად ძლიერო” – თქვა ისევ და ჩაქარულას ვინროებს დაუყვა.

ნისლი აიკრიფა და მეზობელი სოფლის ფერდობებმა მზის სხ-ივებით შევარდისფერებული ცის ფონზე ლამაზად გამოანათა. არაჩვეულებრივი დილა გათენდა. მოწმენდილ ცაზე მთვარე მზის ათინათებით აელვარებული, ხეებზე ჩიტების სტვენა-ჭიკჭიკი, მამ-ლების გადაძახილ-გადმოძახილი, აქა-იქ ძაღლების ყეფა ერწყმოდა და ახმიანებდა სოფელს. ხარობს სოფელი სოფლური ცხოვრებით, ყოველდღიური ხმაური სოფლის მცხოვრებლებს ხალისს მატებს. ხარობენ სოფლელები ურთიერთმეზობლობით და თავიანთი ლამაზი სოფლის სილამაზით ამაყობენ.

ოთხ სოფელს ერთი უზარმაზარი, ნოყიერბალახიანი მინდორი აქვს, უტეხი ტყებით შემოფარგლული. ამ მინდორზე კლდისა, აგარ-ისა და აწყურის მოხალისე ახალგაზრდობა მარულასაც მართავს ხოლმე.

ოთხივე სოფელი პირუტყვეს საბალახოდ ამ მინდორზე ერეკება. ოთხ სოფელს – კლდეს, ფერსას, აგარას და აწყურს ლამაზი ადგილი არგუნა ბუნებამ სააგარაკოდ, რომელიც აწყურის ეკლესიდან სულ რამდენიმე კილომეტრში მდებარეობს. აგარაკები თითქმის საცხ-ოვრებლად უქცევია მოსახლეობას. ზამთრის გასვლისთანავე

აიბარგებიან და გვიანობამდე რჩებიან, ვიდრე არ აცივდება. საბალ-ახო მინდორი კი საერთო აქვთ, უტეხი ტყით შემოფარგლული და მუდამ მობიპინე. იქვე ცივზეცივი წყარო მოჩუხჩიუხებს ნაძვის ხის ძირიდან. ეს წყარო და მისგან შექმნილი მომცრო ტბა უფრო მეტად ბავშვებს იზიდავს, სადაც ხშირად ჭყუმპალაბენ. აიშლებიან დილაუ-თენია გოგო-ბიჭები და მხიარული ასკინკილით მიერეკებიან ნახირს ცვრიანი ბალახის საბალახოდ. ერთი გნიასი აქვთ ერთად თავშეყ-რილ, წამოჩიტულ თუ პანია ბავშვებს, სტვენა-ყიუინა, გადაძახილ-გადმოძახილი და თამაშობანი აქვთ საღამომდე გამართული ყოველ-დღე – დარსა თუ ავდარში.

რამდენ წყალს ჩაუვლია ამ მინდორზე, რამდენი ახალგაზრდა დაფრთიანებულა და ფეხი აუდგამთ ამ მინდვრებიდან ცხოვრების ბილიკებზე, რამდენ ომში წასულან და ვეღარ დაბრუნებულან, რამ-დენს თავი უსახელებია ბრძოლებში და ასე წლითიწლობით, საუკუნ-ეთა განმავლობაში და ასე იქნება დაუსრულებლივ.

მრავალი ავ-კარგის მომსწრეა ოთხივე სოფელი. მარტო მღვდე-ლი თევდორეს გმირობა ეყოფა თრიალეთის მიდამოებს სახელად. იმ მღვდელისა, გმირობისათვის რომ აწამეს და აკუნეს ოსმალებმა და მადლიერმა ერმა ეროვნულ გმირად შერაცხა. ეს მღვდელი აწყურის ეკლესიდან გადახვეწილი და სოფელ კველთას დამკვიდრებული ხუცესის – თევდორეს შვილიშვილი იყო.

1609 წელს, ქართლის მეფის ლუარსაბ II-ის შესაპყრობად მო-სულ ოსმალებს, მეგზურად იძულებით წაყვანილმა ხუცესმა თევ-დორემ გზა აუბნია და ლაშქრის ნაწილი ამის გამო დაილუპა. როცა მღვდლის ეშმაკობას მიხვდნენ იგი აკუნეს. ხალხისათვის ნანამები და ერზე თავშეწირული ხუცესი სახალხო გმირად იქცა. ვერავითარ-მა ეშმაკობამ, სიძლიერემ თუ სტუმართმოყვარეობამ მესხეთს ვერ უშველა. იგი მეთვრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან ოსმალეთის, უფრო სწორად ახალციხის (ახისხის) საფაშოდ იქცა მაინც.

მინდორი, რომელიც ოთხი სოფლის ზიარი ტერიტორია იყო, და-კოდილას სახელს ატარებს – არავინ იცის, თუ რა დროიდან და რატომ შეერქვა. ქართულ ლექსიკონებში ბევრი ლამაზი სიტყვაა, რომელიც სხ-ვადასხვა მნიშვნელობით იხმარება. ასეა თუ ისე ამ მინდორზე გულლომი ვაჟაპეტი მრავალჯერ შეპმიან მტერს, უკუუქცევიათ ან გაუნადგურე-

ბიათ კიდევც. ბევრი ამბის მომსწრეა და ვინ იცის კიდევრა ამბებით შემორჩება ისტორიას.

დაკოდილას მინდვრის განაპირას, ტყისპირში კარგა მოზღვილი ქოხი ჩაუდგამთ ოთხი სოფლის ბინადართ, ხვატსა და ავდარში თავშესაფარებლად. აქ იყრინა ბავშვები თავს ყოველდღე, წამოლებული საგზლით დასანაყრებლად და ამ დროს ჯარგვალი მოზუზუნე სკას ემსგავსება.

მოლახტე-მოთამაშეთა შორის ყველაზე პატარა, დიასამიძეთა გვარის გამგრძელებელი, შალვას ნაბოლარა და ერთადერთი ვაჟი მამუკა ჯიჯგვი ბიჭია და თამაშობებში ხშირად თავისზე მოზრდილებს ბევრად სჯობნიდა.

ასე იყო იმ ლამაზდა ავადსახსნებელ დღესაც, როცა შალვამ ცაზე მთვარე და ვარსკვლავები ცუდად ინიშნა.

შალვა, ახალციხის და მისი შემოგარენის მფლობელი, არ თავი-ლობდა და ჯალაბს, უმეტესად კი მოსამსახურებს და თავის ბავშვებს მთელ სეზონს იმ აგარაკზე ამყოფებდა. საქონლის გამოსაკვებად და ბავშვების ჯანმრთელობის მიზნით. ასე გრძელდებოდა წლი-თიწლობით, ვიდრე ოსმალო დაეპატრონა მთელ ტერიტორიას.

მშვიდობიანი ხალხის სინგნარით შეგულიანებულმა ოსმალებმა ახალციხის სანახები ეს მერამდენედ მოითარებეს ლმერთმა უწყის. ოსმალთა ძლიერებით ზურგგამაგრებული ლეკებიც აღწევდნენ ხოლმე მესხთა ტერიტორიაზე და აწიოკებდნენ მოსახლეობას.

აღდგომის წინა დღე იყო. ოსმალო იანჩირები შინაურულად ჩაც-მულნი, პატარა რაზმად შეკრულნი ჯემალ-ონბაშის მეთაურობით ახალციხის განაპირა სოფლებს ათვალიერებდნენ. ბედი იყო თუ ბედისნერა? სწორედ იმ ველზე აღმოჩნდნენ რაზმელები, შალვას საგა-ამგებლოში რომ შედიოდა ველის განაპირას მდგარ ქოხში გაათიეს ლამე და დილით ეპირებოდნენ სოფლის დარბევას.

ბავშვებმა ნახირი, რომ გამოშალეს მინდორზე, შემდეგ ზოგი კუ-კუმალობანას თამაშობდა და ზოგიც კიდევ რას, თანაც მზის ამოსვლას შეჰსაროდნენ. ჯიჯგვი ბიჭი ბავშვებს გამოურიგდა. მოსაშარდა-ვად ტყეში შევიდა და სწორედ ქოხის მიღმა ხეს მიადგა, რომ უცებ მამაკაცის ხმადაბალი საუბრის ხმა მოესმა. მიაყურადა ქოხს და როცა საუბარი ეუცხოვა, გულმა არ მოუთმინა და ქოხში შეიჭვრიტა.

შიგნიდან შეამჩნიეს. გაქცევას აპირებდა, რომ ზურგში ჩაავლეს ხელი. ძლიერმა ხელმა თავისკენ შეაპრუნა ჰატარა. მამუკამ ავის მაცნეობისა დაუსტვინა და ბავშვებს ნიშანი მისცა.

ბავშვები მსწრაფლ დაეშვნენ აგარაკისაკენ. მამუკა მცირე ხნით ოსმალოს შემორჩია ხელში. იანიჩარი შიგ შეთრევას უპირებდა. გულმა ცუდი უგრძნო მამუკას, ოსმალოს მაჯაზე ჩააფრინდა კბილებით და ხელი გააშვებინა, გადახტა და სოფლის ბილიკისაკენ მოკურცხლა. ხმაურზე რაზმის მეთაური გამოვარდა გარეთ.

– რა ამბავია აქ? – იკითხა

– ბიჭი იჭვრიტებოდა ქოხში, დავიჭირე, მაგრამ იმ გიაურიშვილმა მაჯაზე მიკბინა და გამექცა – თქვა ოსმალომ და სიმწრისაგან დაიგრიხა.

– აუჰ, რა ვაუკაცები მყავხართ? შეიპყარით და მომგვარეთ – ბრძანა ჯემალ-ონბაშმა.

ჯიჯაგვი ბიჭი სირბილშიც მარდი იყო, ბადალი არ ჰყავდა, როცა თავი გაითავისუფლა ოსმალოს ხელიდან თავქვე დაეშვა და უმალ აგარაკზე ამოჰყო თავი.

ოსმალო მდევრები უკან ხელცარიელნი დაბრუნდნენ და ქოხში შელაგდნენ.

– ჰაიტ, „გიაურინუნოლლი“ – მიაგინა ონბაშმა და თან ტყისაკენ გაუტიეს.

– მაგის გაქცევა კარგს არას გვიქადის. როგორმე უნდა შევიპყროთ, ჯანიანი ჩანს. სულთნამდე რომ მივალნიოთ, წყალობით აგვავსებს მგონია – ჩაილაპარაკა ჯემალმა და ბავშვების მოტაცებაში განაფულ ჩაუშს-ქესკინ ფუხარას გადახედა.

– საღამოთი ჩვენს ხელთ იქნება ეფენდი – მიუგო ქესკინმა და ჩასისხლიანებული თვალებით სოფელს გახედა.

– ამინ, გისმინოს ალაშმა – შესძახა ონბაშმა.

მამუკას გამაფრთხილებელი სტვენის შემდეგ ბავშვები დაფრთხენ, ნახირს ვინდა ჩიოდა, აგარაკისაკენ დაეშვნენ დაფეთებულნი.

– რა ამბავია ბავშვებო, ასე რამ დაგაფეთათ? – შეეკითხენენ წყაროზე თავშეურილი ქალები – ავი რამ ხომ არ გვჭირს?

– ქოხში ვიღაც კაცები იყვნენ და მამუკა დაიჭირეს. მამუკამ სტვენით გაგვაფრთხილა და ჩვენც გავიქეცით. მამუკა თავს დაიხსნის როგორმე, მაგარია – სხაპასხუპით უყვებოდნენ ბავშვები.

ბავშვების მონაცემლს შიშით ისმენდნენ ქალები. მამუკას დედა იქვე ჩაიკეცა.

შეჩორქეოლდნენ მოაგარაკენი. წამიერად გონს მოსული მარია-მის კივილმა შესძრა აგარაკი.

– ვაიმე, შვილო – ამოიბლავლა და ისევ გულს წაუვიდა.

მარიეთის მხრიდან გამორბოდა ჯიჯაგვი ბიჭი და წყაროსპირას მოყრილ ქალებს მიუახლოვდა. დედა რომ გულწასული დაინახა, თვი-თონაც იბლავლა და ქალებიც აატირა.

– დედა, დედიკო, ნუ გეშინია, მე აგერ ვარ დედიკო – ჩასძახა ბავშვმა დედას.

დედას ბავშვის ხმაზე ცნობიერება დაუბრუნდა და შვილი მკერ-დზე მიიკრა.

– აგარაკის აწიოკებას აპირებენ მგონია, ისე ლაპარაკობდნენ ოსმალები – ამოისლუკუნა ბავშვმა.

– ბავშვები გავიზიზნოთ ხალხნო სადმე, დანარჩენს ეშველება – თქვა უხუცესმა ქალმა.

– მართალი ბრძანდებით ქალბატონო, ეხლავე შევუდგეთ საქმეს, თორემ მერე გვიანი იქნება – თქვა ასწელს გადაცილებულმა ბერიკაც-მა და სახლისაკენ წალასლასდა.

ჯიჯაგვი ბიჭი დედის სოფელში გახიზნეს. ხელმოცარული იანი-ჩირები უკან გაბრუნდნენ და ნახირი გაიყოლეს თან. ტყე-ტყე მიღ-იოდნენ, რომ არავის შეემჩნია ნაალაფარი საქონელი.

– იმ ბიჭს სადმე მაინც მოვიხელთებთ, სად წაგვივა. ახლა ეს ნახი-რი ვიკმაროთ და ჩვენს გზას ვეწიოთ – თქვა ჯემალმა და ცხენი შეათა-მაშა – მე დავწინაურდები და არტაანის ფაშას სამახარობლოს ავა-ცლი, მერე თუ ის ბავშვი ჩავუყვანეთ ყველას სათითაოდ სამახარობ-ლო გველის. რამდენიმე ხანში კი ჩვენი ჯარი აქაურობას დაიკავებს და მერე ხელ-ფეხი გახსნილი გვექნება...

– შენს პირს შაქარი, ჯემალ-ეფენდი, ლმერთმა გისმინოს, ჩვენც დავიღალეთ ალმა-დალმა წანწალით, თუ აქ ოსმალო შემოვა და ალარ წავა, აქ დავემკვიდრებით და გაგვიადვილდება ყველაფერი. ლმერთ-მა გადმოგვხედოს...

სოფელი ჭორტა ლამაზ გორაკებზეა შეფენილი, მდინარე ჩქარულას ერთ-ერთი შენაკადის მარჯვენა ნაპირას ამაყად წამომართული – ყველის ციხის მიდამოში, პატარა და კოხტა.

შალვა დიასამიძე საცოლოდ როცა იყო შეღერებული, აქარაში აბუ-სერიძებს სტუმრობდა – ნათესავი ჰყავდათ იქ, თავისი ძუძუმტე. როდე-საც უკან ბრუნდებოდა ჭორტაში მეგობარსაც ესტუმრა. ცხენზე ამხე-დრებული ვაჟუაცი ბევრის გულს ინადირებდა, მაგრამ არ იქნა და მშობლებს რძალი არ აღირსა.

ჭორტის განაპირას, ანკარა წყაროსთან თავი შეეყარათ გოგო-ბიჭებს, ერთი გრიასი ჰქონდათ და მხიარულებას მატებდნენ, ისედაც გულმხიარულ სოფელს.

შალვამ თვალი ჰკიდა დიდ ლოდზე წამოსკუპებულ ქალიშვილს, რომელიც უკვე დიდობაში გადასულიყო და ბავშვურ ანგლობაში არ ლებულობდა მონაწილეობას.

გოგომაც შეამჩნია უცხო მხედარი და მიაშტერდა. ერთი შეხედ-ვით გაუგეს თითქოს ერთმანეთს – გულმა გული იცნო.

შალვა მეგობარს ეწვია.

– როგორ დაგიცდა ფეხი ჩემს ოჯახში შალვა ბატონო, რამდენი ხანია არ გვინახავს ერთმანეთი – უთხრა შალვას პირგაბადრულმა ამხანაგმა და გადაეხვივნენ ერთმანეთს.

– შორეულ მეგობართან ვიყავი საქმეზე და აქეთობას, რომ მოვ-დიოდი... ალარ დაამთავრა სათქმელი და თვალი გზისკენ გაექცა. ნამ-იერი თვალგაშტერება შეამჩნია მეგობარმა და შალვას გულისწადილი ამოიცნო.

გზაზე მარიამი მოდიოდა თუნგით ხელში.

– ვისია ეს მზეთუნახავი ჩემო გიორგი – მიუბრუნდა შალვა ამხ-ანაგს – წელან წყაროსთან დავლანდე და მართალი გითხრა გული შემიქანდა.

– ეგეც გასათხოვარია და შენ კი დასაქორწინებელი, სწორ გზას ადგახარ შალვა ჩემო, თუ გვარიშვილობით არ დაგვიწუნებ – ალარ დაამთავრა გიორგიმ სათქმელი და ყალიონი გააწყო. შალვამ ჯიქურ შეხედა გიორგის.

– როდის აქეთ დაინტე ქარაგმებით ლაპარაკი, ჩვენს შორის გაუგებრობას არ უნდა ჰქონდეს ადგილი.

– ასეცაა შალვა-ბატონი. ეგ გოგო ჩემი ძმისშვილია და სწორე-დაც ამის გამო გითხარი თუ არ დაგვიწუნებ-თქო.

– მეგობრად თუ მიგილე, სხვაორივ რად დაგიწუნებ ვითომ. გამოვა ამ საქმიდან რამე?

– შენი ხმალი და ჩემი კისერი. ისე თვალგაშტერებით შესც-ქეროდით ერთმანეთს ორთავე, თქვენი დაუწყვილებლობა ცოდვა იქნება. საქმე მოგვარებულად ჩათვალე...

– ისეთი დროა გიორგი, ბევრი ცერემონიების თავი ნამდვილად არა მაქვს. ქორწილს კი ნალდად გადავიხდი. თუ არ დამზარდები, დღეისსწორს ამბავი შემატყობინე.

– კი ბატონი, ოლონდ შენი სურვილი იყოს და... თავადიშვილი სიძედ ვის არ უნდა. მოხარული ვარ და შენს ერთგულად მიგულე.

შალვა გახარებული დაშორდა მეგობარს და სახლისაკენ გაუტია. კვირაძალს ქორწილიც გამართეს...

საამაყოდ ჰქონდათ ჭორტელებს სიძის დიდგვაროვნება. ქეიფი და სტუმრობები ულევი ჰქონდათ ჭორტაშიც და სავანეშიც. ხარობდ-ნენ და ლალობდნენ. ბედნიერება ბედნიერებას ერთვოდა.

შემოდგომამ ისე მოატანა, არც უგრძევნია ბედნიერ ცოლ-ქმარს. ურთიერთალერსში გაილია მთელი წელი. შალვას საქმეები თავზე-საყრელი ჰქონდა და როდესაც სახლში მობრუნდებოდა, უზომო სიხ-არულით ევსებოდა გული – გაუმართლა მარიამმა.

გამრჯვე და კეთილი ქალი დადგა მარიამი. სამი ქალიშვილი შესძინა შალვას. უძეობას ჩიოდა ორთავე და ცოტა გულისატკივარი მხ-ოლოდ ამის გამო ჰქონდათ, თორემ სხვა სადარდებელი არაფერი ჰქონდათ. უფალს შესთხოვდნენ და იმედს არ კარგავდნენ, რომ გვარის გამგრძელებელი, სათავადოს მომავალი პატრონი უფლის ძალით გაუჩინდებოდათ.

ერთ დღეს მარიამს თავბრუ დაეხვა. მეზობლის ქალმა მოუსწრო და დაცემას გადაარჩინა.

– ფეხმძიმედ ხარ გენაცვალე? – დაუყვავა ქალბატონმა თებრომ.

– მგონი კი, მაგრამ ვაი, ჩემს თავს, თუ მეოთხეც გოგოა.

- შვილი შვილია ქალო, რა გული გაგტეხია.
- ქალბატონო თებრო, ასეთი ფეხმძიმობა ნამდვილად არ მქონია, სულ ვმიზეზიანობ და ცუდად ვხდები ხანდახან.
- პოო, მოსალოცად გაქვს საქმე – ბიჭი იქნება, თანაც დიდი. თავს მიხედე გენაცვალე. მთავარია არ ინერვიულო.

ერთ დღეს შალვას მიერ გასროლილი თოფის ხმა სავანის გორებ-მა ექოდ დაბრუნეს. ფრთოსნები დააფრთხო, სოფლელებიც ააფორიაქა უცაბედმა გასროლამ და გაიგეს რა, ბიჭის დაბადება მის-ალოცად იხუვლეს შალვასთან.

ჯიჯგვი ბიჭი მოევლინა ქვეყნიერებას ღნავილით.

ჯანმრთელი და სხმარტალა დაიბადა ტუხა-ბიჭი. მამუკა შეარქეს შინაურულად, აწყურის ეპისკოპოსს მოანათვლინეს და დავთარ-შიც მამიად გაატარეს.

საქართველოში ქრისტიანობის საქადაგებლად ღვთისმშობელს ანდრია პირველ წოდებული და სვიმონ კანანელი გამოუგზავნია ხატით მისსავე წილხვედრ ქვეყანაში: „რათა მე ვიყო განმგებელი ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევენიო მათ და არავინ მტერ-თაგანი მძლე ექნას მათ“. ისინი ჩავიდნენ ტრაპიზონში, შემდეგ აჭარა-ში, სადაც ეკლესია ააგებინეს, იქედან სამცხეში გადავიდნენ და მრავალი სასწაულის მოხდენის შემდეგ, მესხებმა ქრისტეს რჯული აღიარეს. ღვთისმშობლის ხატი კი აწყურის ეკლესიაში დაასვენეს „მკვიდრად უკუნისამდე უამთა“.

1477 წელს სპარსელებმა აწყური მოახხრეს და ანდრია მოციქულის მიერ დატოვებული ძვირფასი ხატიც გაიტაცეს. (საკვირველია რად სჭირდებოდათ მუსლიმანებს ქრისტიანული ხატი?..)

აწყურის ეკლესიის ეპისკოპოსი მღვდელმთავარ თევდორეს მამა იყო. ხუცეს თევდორეს აკუნწვის შემდეგ მის შვილს სოფელ კველ-თაში აღარ დაედგომებოდა და ისევ მამისეულ სოფელს – აწყურს დაუპრუნდა. სასულიერო წოდება მამიდან შვილზე გადადიოდა ტრადიციულად. ხუცესის მოკვლის მოსალოდნელმა საშიშროებამ სოფლიდან გადახვენა და... აწყურში ეპისკოპოსად აღიარეს... მის შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. ას წელზე მეტი გავიდა ხუცეს თევ-დორეს აკუნწიდან. 1716 წელს დაიბადა ტუხა ბიჭი. მომნათლავი მღვდელი კი კვლავ თევდორე გახლდათ – იმ აკუნული თევდორეს

შვილთაშვილისშვილი. კვლავაც აწყურის ეკლესიის მღვდელმთა-
ვარი.

– სასახელო ვაჟკაცი გაგზრდოდეთ შალვა-ბატონო და ქვეყანა
ესახელებინოს შვილო-ჩემო! – დალოცა ნათლული.

– გმადლობთ მამაო, უფალმა ისმინოს შენი ლოცვა.

იზრდებოდა ჯიჯაგვი ბიჭი...

– ქალო მარიამ, ეს ბალლი ისეთი ჭკვიანი და საზრიანია, ისეთი
ჯანმაგარი და დაუზარელი, კეთილი, ნინათგრძნობა მეუბნება – სიხ-
არულს ჩვენსას რაღაც უამური რამ ელოდება. ღმერთმა გვაშოროს
ყოველგვარი ფათერაკი, მაგრამ გული არ მომატყუებს – მიგრძნობს
რაღაცას – უთხრა ერთ დილას შალვამ მეუბლეს – რამდენიმე ხნით
ადრე, ვიდრე დაკოდილას მინდორზე ოსმალები შეიპყრობდნენ მა-
მუკას.

– ფუი, ეშმაკს, რა შეგიჩნდა კაცო, რა დააბედე ბავშვს, იქნებ რა
მომავალი აქვს... შენ კი?... დაიჩინებ ხანდახან რაღაცას და მერე გააზ-
ვიადებ. სამი ქალი გაგიზარდე და ამისთანა რამ ჯერ არ გითქვამს.
ნადი სანთლები დაანთე.

– ღმერთმა გისმინოს ქალო, მე კი მინდა სხვანაირად? მარა გული
სხვა რამეს მითქვამს.

– კაი ერთი თუ ღმერთი გწამს, მიაფურთხე ეშმაკს. განა გულს
რაიმე დაეჯერება?

– გულს თუ რამე არ დაეჯერება, აბა შენც ვერ დაგისვამდი ცო-
ლად. გულმა მიგრძნო მაშინაც, როცა პირველად დაგინახე, რომ
ჩინებული მეუბლე იქნებოდი, შევცდი? არა, არ შევმცდარვარ...

– გული კი არა თვალებში გვქონდა მაშინ ჭკუა ბიჭი. თვალებმა
გვაპოვნინა მაშინ ერთმანეთი და არა გულმა. აბა, ბრმები რომ ყუ-
ფილიყავით, გულები მიაგნებდნენ ვითომ ერთმანეთს?

– კი შენი ჭირიმე, გეთანხმები, მარა ისიც უნდა გითხრა, ბრმე-
ბიც პოულობენ ერთმანეთს და ვისაც მხედველობა არა აქვსო, იმათ
გულის კარები აქვთ ლია, ასე ამბობენ. ეჲ, მე მაინც ნინათგრძნობა
მაქვს ცუდი და... ალარ დაამთავრა სათქმელი და საავდროდ მომზა-
დებულ ცას გახედა.

– წავედი აბა მე – თქვა და გზას გაუტია.

შალვას გუმანი არ ღალატობდა, სიზმრისაც სჯეროდა და სკეპტიკურად არასოდეს ყოფილა განწყობილი. ცრუმორწმუნე არ იყო, მაგრამ მოვლენათა რეალურად შეფასების უნარი გააჩნდა.

ეშმაკი იყო ჩასაფრებული ბედისწერაში.

იმ ავადსახსენებელი დღის შემდეგ შალვამ ჯიჯგვი ბიჭი ცოლეურს – სოფელ ჭორტაში გახიზნა. სხვებმა კიდევ სხვაგან – თავისიანებში... დედულეთში მამუკას გამოჩენით გაიხარეს, ხვევნა-კოცნით გული იჯერეს, მშობლებიც გახარებულნი იყვნენ ჯალაბის სტუმრობით.

– რას მივაწეროთ თქვენი სტუმრობა სიძევ-ბატონო, რომელმა ქარმა გადმოგაგდოთ – იკითხა სიმამრმა.

– ქარის რა მოგახსენო და... შავმა ღრუბელმა კი მართლა გამომაქცია თქვენსკენ... ისედაც კი გვენატრებოდით მაგრამ...

– რავა მოკიბულად ლაპარაკობ ბიჭო?..

– მამია მომტაცეს კინაღამ ოსმალებმა. ვაგლახ ჩვენ ქართველობას, ძალიან შესუსტებული ვართ და... დაგვლალეს ამ სპარსელებმაც და ოსმალებმაც, აქეთ კიდევ შინაბლილობები და... ჰო, მართლა მამია უნდა დავტოვოთ თქვენთან რამდენიმე ხნით და მერე წავიყვან, როცა საშიშროება ჩაივლის – თქვა და ბუჯგა ულვაშებზე ხელი გადაისვა.

– სულაც მე გავზრდი სიძე-ბატონო, ქონება არ მაკლია და ბავშვების სიყვარული არც შენზე ნაკლები ვიცი, ნურაფრის მოგერიდება, დატოვე, ისედაც გამოყრუებულები ვართ ცოლ-ქმარი უბავშებოდ და შეგვიქცევს, თუმცა ისიც უნდა გითხრა, არც ჩვენა ვართ დაზღვეულნი ოსმალობისაგან.

– ცოტა ხანი შეიფარეთ და... თუ ბედი მდევარი ყველგან დამდევს, მოხდეს რაც მოსახდენია, ღმერთი თავის ძეს არ გაწირავს – თქვა და პირჯვარი გადაიწერა – ისე მამიას, რომ რამე დაემართოს მგონი ჭკუიდან შევიშლები.

– ჩემი იმედი გქონდეს შალვა-ჩემო, დახვედრა და საკადრისი პასუხის გაცემა ჩვენაც შეგვიძლია, თუ... აღარ დაამთავრა სიმამრმაც და განზე გაიხედა.

– იმედი რომ არ მქონოდა თქვენი, არც გეახლებოდით. ახლა კი ნახვამდის, უნდა დაგტოვოთ და სოფელს მივაშუროთ, თორებ ჩემს საბატონოს მართლა კაი დღე რომ არ ელის, ამას უკვე ვგრძნობ.

– აქაურობაც შენი საბატონოა, თუმცა... გზა მშვიდობისა და თავს გაუფრთხილდით.

მარიამიც ვაჟკაცურად მოახტა თავის ფაშატს და მამის კარ-მი-დამოს დაემშვიდობა.

„ღმერთო დაგვიფარე და ბოლოს ნუ გამიმწარებ. მაცქერინე ჩემს ლამაზ კუთხეზე. ჩემი ერთა დაიფარე უფალო, ყველა დაგვიფარე ღმერთო“ – ლოცულობდა თავისთვის გულში მარიამი.

გზად შალვამ დის სოფელიც მოინახულა. გაიხარეს და-ძმამ ერთ-მანეთის ხილვით, მთელი სათორელო შეგროვდა ერთგული და უბოროტო მებატონის ირგვლივ.

– რა დრო გავიდა, რაც აქეთკენ ფეხი არ დაგიდგამს – უთხრა წყენანარევი სიყვარულით დამ.

– რა ვიცი დაო, ხომ ხედავ მთელი ახალციხე ჩემი საპატრონოა, იქეთ კიდევ სხვებს უნდათ წახმარება და მოვიცლი განა? ხომ იცი, რა ვეშაპი გვემუქრება...

– და-ძმამ თუ ერთმანეთი დავივიწყეთ, კარგად გვქონია საქმე.

– დავიწყება რა სათემელია ჩემო დაო, მოუცლელი ვარ, აქეთ კიდევ ლეკ-ოსმალები გვაწუხებენ და... დახვედრა ხომ უნდა – ხან იარაღით, ხან კი პურ-მარილით, ჰოდა ფეხი ვერსად გამიდგამს ამათ გადამკიდეს.

– მართლაც ძნელი უამი გვიდგას ძმაო და თუ ვაჟკაცობაზე მიღ-გა საქმე, თოფ-იარაღს მეც კარგად ვხმარობ, იცი ეს შენ და არაფერ-ზე უკან არ დავიხევ, მეც თქვენს გვერდით ვიბრძოლებ.

– შენი იმედი კი მაქვს ჩემო თამრო. შენისთანა ქალებმა შეუნარ-ჩუნეს საქართველოს ძლიერის სახელი და დღესაც განცვიფრებაში მოჰყავს მთელი მახლობელი ალმოსავლეთი თუ ჩრდილოეთი. საერ-თო საქმეში კი მართლაც გვმართებს აბჯარის ჩაცმა, რამე თუ ძლიერებმა უნდა ვიხსნათ სამშობლო მტერთაგან.

აჭარაში ორი წლის უკან სოფელ ნადარბაზევის მცხოვრე-ბლებიც ამოუჟღეტიათ ოსმალებს, სადღაც ბეთლემის ტყეში გახ-იზნულთაგან ნახევარზე მეტი ქალები იყვნენო და თუმცა საბედის-

წერო, მაგრამ გმირული მაგალითი დაუტოვეს მომავალ თაობებს. იქ სოფლად აღარავინ დარჩენილაო, ასეთი ამბავი გავრცელდა მესახეთში. გასულ წელს, რომ აქედან შალიკაშვილები გადაიხვენენ იმ გავერანებულ სოფელში დასახლებულან, ხოლო თავდგირიძეები სხვაგან ჩასახლებულან, დიდი ხანი არაა რაც აბულაძეებიც გადაბარგებულან აჭარაში.

— კი მაგრამ ძმაო, იქ ხომ ოსმალეთია შესული. თუ ისევ ოსმალებს უნდა ჩაუვარდნენ მუხლებში, აქედან რალას გარბიან, ისიც აჭარაში, რომელ ტერიტორიასაც არც თუ ისე აქებენ.

— იქ ადგილობრივი ბეგებია ხელისუფლებაში და ასე თუ ისე მკაცრი კანონი არ მოქმედებს და ალპათ ამიტომაც მიიწევენ იქითკენ. აბა მეტი რა გითხრა, არც მე ვიცი ბევრი.

შალვამ დას თავისი მგზავრობის მთავარი მიზეზი დაუმალა და აქ შეცდა კიდეც. თამროს ისეთი სახელი ჰქონდა გავარდნილი, მისი შიშით ავისმოსურნე ვერავინ გაიჭაჭანებდა ახლომახლო. დიასამიძეთა მოდგმას ყველა უფრთხოდა — შინაურიც და გარეულიც.

შალვა ცხენს მოახტა და სახლისაკენ გაქუსლა.

აგარაკიდან ნახირგარეკილი იანიჩრები ყველის ციხის გზას დაადგნენ, ვინაიდან ეს გზა გადიოდა არტანისაკენ. ტყე-ლრეებითა და ვინროებით მიდიოდნენ ოსმალები. რაგინდარა ქურდიც არ უნდა იყოს, გული მაინც პატარა აქვს, ლაჩირული, ამიტომაც სააშკარაოზე გამოსვლას ძალიან ერიდებოდნენ.

სოფელი ჭორტა სწორედ ამ გზის გარდიგარდმო იყო გაშენებული. საძოვრებიც ამ გზასთან ახლოს მდებარეობდა.

ჯიჯგვი ბიჭი აქაც თავისტოლებს დასდევდა ნახირში და ლალობდა. მალე შეითვისეს შვიდი წლის ტუხა-ბიჭი ჭორტელმა პავშვებმა და მეთაურადაც აირჩიეს, მაგრამ... ოსმალეთიდან დაძრულმა „შავ-მა ლრუბელმა“ სავანის გორაკზეც გადაიარა და ყველგან გაიშალა.

ჯემალ ონბაშის რაზმელებმა ნახირი არტანის ბაზარზე ფულად აქციეს და ამჟამად მტკვრის ხეობას დაუყვენენ სათარეშოდ. ყველის-ციხის მიდამოებში თავიანთი ხალხი ეგულებოდათ და მათი ამგზავრებაც ეწადათ. ამ მიზნით გზა გაიმრუდეს და სოფელ ჭორტაში ამოჰყვეს თავის.

მტკვრის ხეობიდან ახალციხის ტერიტორიის გადავლით უდის ტერიტორიას ეწვივნენ, სადაც სოფელი ჭორტა მდებარეობდა, რომელ-იც ერუშეთის მთისწინეთის ერთ-ერთი პატარა სოფელი გახლდათ.

ქესკის ფუხარა თვალებგაფაციცებით დადიოდა იმ მარცხის შემდეგ, როცა ჯიჯგვი ბიჭი დაუსხლტა ხელიდან და აპა, ბეღმა გაული-მა – ჯიჯგვი ბიჭი ჭორტელების საძოვარ მინდორზე დალანდა და ჯემალ ონბაშს ნებართვა სთხოვა მის ხელში მოსაგდებად.

– ნებართვა რად გინდა კაცო, აბა მარდად, ისევ არ გაგისხლტეთ ხელიდან, ხომ ხვდებით როგორ სიმდიდრეს გამოვკრავთ ხელს, ყველას თანაბრად გავუნანილებ რასაც მოიცემიან.

უზარმაზარ ნაძვის ხეებთან კუკუმალობანას თამაშობდნენ ბავშ-ვები. თვალდახუჭული ტუხა ბიჭი კუკუს დაძახებას ელოდა, რომ უცებ სიბნელეში აღმოჩნდა. თავზე ტომარა ჩამოაცვეს და ნაბადში გაახ-ვიეს, მოახტნენ ცხენებს და ისე გაქუსლეს, ბიჭმა დაყვირებაც კი ვერ მოასწრო.

ელოდნენ ბავშვები თვალებდახუჭულის გადაძახილს და დრო რომ გაინელა, თვითონვე გამოძვრნენ სამალავიდან, მაგრამ მამუკა ველარსად დალანდეს.

– ნეტა, თავად დაგვემალა ბავშვებო? – წამოიძახა ერთმა და ირგვლივ მიმოათვალიერეს – იქნებ ნაძვზე აძვრა?

გაიძალნენ ბავშვები, ეძებეს მაგრამ ამაოდ... ბავშვებმა ცხენების ნაფლოქვარები შეამნიეს.

– მამამისმა ხომ არ მოაკითხა ნეტავ? ასე არ მიგვატოვებდა, ხომ გვეტყოდა... არა, აქ რაღაც სხვა ამბავია – თქვა მოზრდილმა გოგო-ნამ – ის ხომ ამ სოფელში საშიშროებას გამოარიდეს, მისი გატაცე-ბაც უნდოდათ, იქნებ გაიტაცეს კიდეც ჰავა...?

ველარ მიაკვლიეს და ფაცხაფუცხით სოფელში გაბრუნდნენ.

მეხის გავარდნაზე მქუხარედ გაისმა ჯიჯგვი ბიჭის დაკარგვის ამ-ბავი. მთელი სოფელი გამოიერინა საძებრად, მაგრამ ამაოდ. გვიანი იყო უკვე მისი ძებნა – ჯემალ-ონბაშის რაზმი უკვე არტაანის გზას ადგა.

სალამოსპირზე არტაანის ფაშას მოტაცებული ბიჭი მიჰვარა, რომელმაც პირველი შესვედრისას აღუთქვა – ბატონიშვილს მოგ-გვრიო და დანაბირებიც შეასრულა, ჯილდოდ კი მოსირმული თოფ-იარალი, კარგი ცხენი და მოზრდილი ქისა ოქრო მიიღო. არტაანის

ფაშას კი ოლთისის ფაშას ვალი ჰქონდა და მოტაცებული გურჯი ბიჭით ცდილობდა ვალის გადახდას.

ჭორტელებმა როდის-როდის მხოლოდ ცხენების ნაფლოქვარები ნახეს, ოსმალთა საზღვრამდე მისდიეს და მხოლოდ მაშინ მოეგნენ გონს – ბიჭის დაკარგვა ოსმალთა ნახელავად მიიჩნიეს და უკან გამობრუნდნენ.

უკვალოდ დაიკარგა ჯიჯგვი ბიჭი.

ოლთისის ფაშას ქორწილი ჰქონდა დანიშნული. ზეიმზე ოსმალთა დიდგვაროვნების დასი ჰყავდა მოწვეული. ქეიფის მოყვარულ სერასკერსაც შეპბედა და ქორწილში მიიპატიჟა.

– დიდო მწყალობელო და ალაპის მოციქულო, შენის ნებართვით ქორწილი მაქვს და მეწვეეთ ამალით და ჯალაბით, თანაც ვასალ-ქვეყანას გადახედეთ და ისიამოვნეთ – შეატყობინა დიდ სერასქერს – დიდი სერალის წევრს, რომელსაც თავპატიჟი არ გაულია, გადაიცვა და სტამბულიდან გაუჩინარდა მცირე ამალით. რამდენიმე დღის შემდეგ, სწორედ ქორწილის წინა დღით ეწვია ფაშას ოლთისში.

ოლთისის ფაშას უმშვენიერესი ქალიშვილიც ჰყავდა, ქართული სისხლის და ჯიშ-ჯილაგის, რომელიც მთელ საფაშოში იყო ცნობილი სილამაზითა და კაი ქალობით.

მოენონა უძღებ და არშიყ სერასკერს ქალი და... რა დაუშლიდა ჭკუაში – მოითხოვა.

ეწვავა ფაშას ეს ამბავი, გაცეცხლდა და გუნებაში კიდეც გაინია, მაგრამ გონს მოეგო და ჩაცხრა.

დღილით ეახლა სულთნის მოადგილეს და შეპბედა:

– დიდო ბატონო და მწყალობელო, დღეს ქორწილი დამიშვენეთ და თქვენთვის საჩუქარი მაქვს, ისეთი რაც თქვენს გულს სურს.

ნამით გაყუჩდა ფაშა და თვალებში შეაცექრდა.

– რა ისეთი საჩუქარია, მე რომ მსურს და რა იცი რომ გამეხარდება. ქორწილში მოწვევისათვის მადლობას მოგახსენებ, მაგრამ აქ ერთ გოგოს მოვკარი თვალი, ხომ არ შეგიძლია მიპასუხო, ვისი და რა ჯიშისაა...

– შენ ხომ ცოლიანი ხარ, დიდო მწყალობელო, მერეც... საუბარი ალარ დაამთავრა ფაშამ.

– ჩვენი კანონებით, ხომ იცი რომ რამდენიმე ცოლის ყოლის შეგვიძლია, ჰოდა... ალარც სერასკერმა დაამთავრა საუბარი და ჯიქურ შეხედა ფაშას.

– დიდო ბატონო, ჩემი ქალიშვილია და თანაც ხვალ-ზეგ ვათხოვებ, დანიშნულია უკვე... თუ ჩემი გაუბედურება გწადია, აპა იატაგანი და მომკალი ბარებ.

– კარგი, კარგი ფაშავ, იატაგანი არც შენზე ნაკლები მაქვს... ჰო, რა საჩუქარია, ბარემ დააბოლავე სათქმელი.

– გურჯისტანიდან ისეთი ბიჭი გადმოვიყვანეთ, თვალები ზედ დარჩება კაცს, მზეს დაუბნელებს თვალებს. მოგეწონებათ.

– მომგვარეთ, აბა ვნახოთ თუ არ აჭარბებ.

ფაშის ტაშის დაკვრაზე მსახური შემოვიდა.

– რას მიბრძანებთ დიდო მწყალობელო?

– გურჯი ბიჭი შემოიყვანეთ.

რამდენიმე ხნის შემდეგ მტირალი ბიჭი შემოიყვანეს ფაშასთან. სერასკერს ბიჭი ძალიან მოეწონა, გაიხარა. არწივივით აბრიალებდა თვალებს მამუკა.

– სამაგიეროს რას მოითხოვ – მიუგო ფაშას.

– არაფერს დიდო მწყალობელო, ოღონდ სისხლი ნუ დაიღვრება ...

– როგორ გავიგო, რა სისხლი?

– ქალი ჩემი არ გამიუბედურო და...

სერასკერმა იგუმანა, თუ ქალი დავიუფლე, ფაშა ჩემი მოკვლის ბრძანებას გასცემს და ამ უცხო მხარეში, რომ რამე მომივიდეს, ვერც ვერავინ გაიგებს, მით უმეტეს, რომ არავინ იცის სად ვიმყოფები ახლა, ამიტომაც გამარჯვებული კაცის იერით მესაუბრებაოფაშა, გონს მოეგო, ზედმეტი კითხვები აღარ დაუსვამს, მაგრამ გულში ჩაითქვა – თუ დრო დამიღვა შენს ნაფიქრალს გავაცამტვერებო, სიტყვით კი უთხრა – მოვრიგდეთ მაშინო, ცხენს მოახტა და მხლებლებს დაუბარა, ბიჭს არაფერი დაუშავოთ, მომყვევითო და გაქუსლა, მაგრამ ფაშა წინ გადაუდგა.

– დიდო ბატონო, ქორწილი ჯერ არ დაწყებულა და ასე ჩქარარისთვის გადაწყვიტეთ გამგზავრება, მოიცადეთ და რამდენ ხანსაც გინდათ ისიამოვნეთ.

ერთი გაფიქრება კიდეც გადაწყვიტა სერასკერმა მობრუნება და დარჩენა, მაგრამ ცხენი აღარ შემოუბრუნებია.

– შენს ქორწილში დარჩენა მართლაც კარგია, ამოდენა გზა ხომ ამისათვის გამოვიარე, მაგრამ...

– დარჩით დიდო მწყალობელო, ქალსაც გადმოვაყვანებ გურ-ჯისტანიდან თუ მოიცდით...

სერასკერმა თვალები მოჭუტა, სახეც აენთო და...

– ვერაგი ხარ ფაშავ, შენი ოვახი უბედურებით დაინგრევა და სხვისი არა ხომ? ვინ გინდა კიდევ გააუბედურო?

– რათა დიდო ბატონი, ისინი ხომ გიაურები არიან და თანდა-თან მორჯულება გვინდა, ასე სჯობია.

– შარიათში კი გვიწერია მასე, მაგრამ ღმერთის წინაშე ყველა ერთნაირები ვართ და სხვისი უბედურება არ უნდა გიხაროდეს.

ფაშამ თავი მოთოკა, მიხვდა გადაკრულს.

– დიდო მწყალობელო, მაგ ბიჭის ცოდვაში ბრალი არ მიმ-იდლის, არ ვიცი ვისია და არც დავინტერესებულვარ, უფლის წინაშე მართალი ვარ – არტაანის ფაშამ ვალში გადამიხადა მხოლოდ...

– კარგი, კარგი, თუ ვალის გადახდაზეა ლაპარაკი, მაშინ შენ ღმერთის ვალიც გადაიხადე უკვე. იმაზე კარგ საქმეს შენ ველარა-სოდეს გააკეთებ, რაც ბიჭის ჩუქებით გააკეთე...

– გულუხვი ვარ დიდო ბატონი და თუ უფალს ამით რაიმე ვარგე, ესეც შენი დამსახურებაა.

– ახლა უნდა დაგტოვოთ ნამდვილად. გააგრძელეთ ქორწილი და ღმერთმა კეთილი საქმები გაკეთებინოთ სულ. მეორეც – ბავშვს ნურავის მოსტაცებთ, თორემ შენც ისევე დაისჯები, როგორადაც სხვის ოვახებს სჯით ამგვარი საქციილით... დაფიქრდით ფაშავ.

სერასკერმა ბავშვს გადახედა, მოეფერა და სტამბულისაკენ გაქუსლა.

გზადაგზა რომელიმე დიდ ქალაქში ჩერდებოდნენ სულის მო-სათქმელად. ერთერთი ასეთი გაჩერება სამსუნში მოხდა. სერასკერს ნათესავი ჰყავდა ამ ქალაქში და მონახულება მოინადინა. ისე შეეთვი-სა ნაფეშქაშებ მამუკას შვილივით იხუტებდა. გარეგნობა ხელს უწყ-ობდა სერასკერს, ლამაზი პიროვნება იყო, ცხენზე შეზრდილს ცხ-ენოსნობაც შვენდა. არც ქალები იყვნენ მისდამი გულგრილი და საზოგადოებაში ჭკვიანი ადამიანის სახელიც ჰქონდა მოხვეჭილი.

მამუკა ამიტომაც იოლად შეეთვისა – იგრძნო, რომ მისი ახალი პატრონი უბოროტო ადამიანი იყო.

ნათესავთან საღამოთი მივიდნენ. გაიხარეს ერთმანეთის დანაწვით. სალამ-ქალამის შემდეგ მევლუდმა ბავშვზე მიუთითა და ჰკითხა თუ ვისი იყო. მამუკა კი ენის უცოდინრობის გამო მუდამ დუმდა და ხანდახან ამოისლუკუნებდა.

– ასლან ეფენდი, დიდო სერასკერო, რას მივაწერო შენი გამოჩენა. რამდენი წელია არ მინახიარ. ეს მხლებლები ჰო, მაგრამ ეს ბავშვი? რამდენადაც ვიცი შვილი არ გარგუნა ლმერთმა. ბავშვი ხომ არ შეიძინე? გურჯი ხომ არა?

– არა არ მიყიდია, მაჩუქეს და ნამდვილად გურჯია, მაგრამ რად გინდა ერთმანეთის ენა არ გვესმის და...

– სადაური ხარ შვილო? – ჰკითხა მევლუდმა ქართულად.

– ახალციხელი ვარ, შალვას შვილი – გაუხარდა ქართულის გაგონება ბავშვს.

– დიასამიძე ხომ არა ხარ?

– ჰო, დიასამიძე ვარ, ახალციხის ბატონის შვილი.

– ვიცნობ მამაშენს.

– დამტოვებ შენთან, ვინაა ეს კაცი და სად მივყავარ, არაფერი ვიცი.

– ნუ გეშინია შვილო, ეგ ისეთი კაცია, მამასავით შეგიყვარდება, ნუ აწყენინებ და აგაყვავებს. დაჰყევი მის ნებას და ისეთი კაცი გამოხვალოსმალებს შენზე ალოცვინებს.

– გისმენ და ვეცდები კარგად მოვიქცე.

სანადიროდ მიმავალ შალვას მოახსენეს შვილის გატაცების ამბავი. ცხენიდან გადმოვარდა უბედური აბის გაგონებისას მთასავით კაცი, თითქოს დაპატარავდა კიდეც. მასავით გულდამდულრული მსახურები მისცვივდნენ გულკეთილ ბატონთან და ოთახში შეიყვანეს, სადაც მარი-ამი თმებს იგლეჯდა უკვე და სახეს იხოკავდა. პირველად მარიამს აცნობეს უბედურება.

– მზეს დავუბნელებ გამტაცებლებს და ვიპოვი ჩემს ერთას. ვაი, შვილო – დაიგმინა შალვამ და ტახტზე დაემხო.

ახალციხის ბატონი მსახურებმა პირველად იხილეს ასე დამ-ნუხრებული და განრისხებულიც. ოთახიდან ფეხაკრეფით გავიდნენ.

შავი ღრუბლის გორგალი ახალციხის თავზე შავად გაიშალა. შავი ბურუსი ჩამოწვა მამუკას მშობლების გულში.

ახოვანი ვაჟკაცი იყო შალვა ახალციხელი. თოფ-იარალში ჩამჯ-დარი ხომ ლირდა და ლირდა ნახვად. მნახველს მარტო მისი იარალი უბნელებდა თვალებს. რჩეული ვაჟკაცების რაზმიც ჰყავდა მცველე-ბად – მასავით გულზვავიანი და შეაჭვრულ-შემართულები.

შეჰყავარა ერთ სალამოს მეგობრები და რაზმიანად გზას დაადგა ყველისციხისაკენ. გამოენისას მიადგა სიმამრის კარებს თავისი რაზმით.

აფორიაქებულ შალვას შვილის გაუჩინარების ამბავი დაწვრილებით მოახსენეს.

– ჩემს ვაჟკაცებსაც გაგაყოლებ სიძე-ბატონო, გული დამეთუთქა მამუკას დაკარგვის გამო. ალარ ვიცი რა მოვიმოქმედო ბევრი ვეძე-ბეთ და ვერსად მივაკვლიეთ.

– ერთი მეგზური გამაყოლე, მეტი არავინ მინდა, იმათ კი თუ სადმე გადავეყარე, მარტო მოვუვლი – თქვა და ხმალი შეათამაშა. – კაცი არ ვიყო თავები თუ არ დავაყრევინო. აღამიანის სიცოცხლე მაგათ ფეხებზე ჰკიდიათ და მაგათზე ნაკლები ადამიანების კუბო დავდგი, სადაც წავასწრებთ იქვე ავკუნავთ. მოდის ამისთანა რამეე-ბი მაგ არაკაცებისათვის.

– როგორც იტყვი შალვა ბატონო. ამასაც გეტყვი, ამ დღეებში ისევ აპირებენ დაბრუნებასო, საიდუმლოდ მაცნობეს და მე ვაპირებ-დი დახვედრას. ახლა მეც თქვენთან ერთად წამოვალ ჯაზზე ვარ და მკლავიც მერჩის, მეგზურიც მე ვიქნები და მებრძოლიც.

– კარგი როგორც გენებოს. წავიდეთ და ერთად ვიმოქმედოთ. ამ დროს ამბის მომტანიც გამოჩნდა.

– ტყეში იმ ქოხში ითევენ ღამეს, ყველისციხესთან რომაა ბა-ტონო შალვა და იგივე ხალხია მგონი, მამუკა რომ გაიტაცეს – ასე მაცნობეს სოფლელებმა. დღეს კიდევ აპირებენ ნახირის და ვილაცის გატაცებასო.

ყველისციხის სამხრეთით, სადაც არტაანიდან მომავალი გზაა გაჭიმული, ტყის პირას ქოხია, სადაც დაგვიანებული მგზავრები ითვევნ ლამეს ხოლმე. ცხენოსნებისათვის ნახევარი დღის სავალზეა ეს ადგილი.

ჯემალ ონბაშის რაზმი გამარჯვებით გათამამებულნი, ისევ გად- მოსულიყვნენ სათარეშოდ. მადა ჭამაში მოდისო იტყვიან და ონბა- შის მადაც ძლიერ გამძაფრებულიყო. სიცხიანი მაისის ლამე იყო და იანიჩრებს ხისძირში მიწოლილთ ეძინათ უკვე რამდენიმე დღეა. ნახ- ტომისათვის ემზადებოდნენ.

შალვამ დაიფიცა, რომ ცოცხალი არავინ გაეშვა. ლამით წაადგნენ თავზე მძინარებს და გამოენისხანს დაყვირება და ხმლის დატრი- ალება ერთი იქნა. ისეთი მოულოდნელი იყო თავდასხმა, დაყვირე- ბაც ვერ მოასწრეს იანიჩარებმა – თორმეტი ოსმალოს თავი დაგორ- და მინდოოზე.

გათათრებული მესხი, ჯემალ ონბაშად ქცეული რაზმის მეთაური კატის სიმარდით ავარდა ხეზე, მაგრამ შალვას ძლიერ მარწუხებს ვე- ლარ გაექცა, მისი ძველი ავკაციური საქმეებიც ახსოვდა შალვას და ხი- დან ჩამოაგდო თუ არა, ხანჯალი პირდაპირ გულში აძგერა. მერე კი თავიც მოჰკვეთა.

– ავკაცობის ჩამდენი ვაჟკაცური სიკვდილის ღირსნი არ არი- ან. ლაჩარია ყველა ქურდი და მამაძალლი და ლაჩირული სიკვდილია მათი ხვედრი – უთხრა სიმამრს სახეარეულმა შალვამ – არც დამა- რხვა ელირსებათ ამ წუნკლებას.

– მამუკას ამბავი მაინც გაგვეგო ამ მამაძალლებისაგან, აწე რა გზას უნდა დავადგეთ, ვისგან გავიგოთ?

– არტაანის ფაშამ რომ ეს ამბავი არ იცოდეს, შეუძლებელია. ჩაძ- ალლებული ონბაში ფაშის ხელქვეითია და მის გარეშე ნაბიჯეს არ გადა- დგამდა. აქედან ყველა კვალი ფაშის ტერიტორიაზე მიდის და... ფაშაც მისი ხელშემწყობია და ამიტომ გულდიდობდნენ და ათას მამაძალ- ლობას სჩადიოდნენ. ჯემალ ონბაშს კი, გათათრებულ მესხს ბევრი ოჯახი ჰყავდა ჩვენს ტერიტორიაზე გამწარებულ-გაუბედურებული და რომ არ ჩაეძალლებინათ ქართველებს, ოსმალეთში გადაასწრო და ფაშას ქვეშევრდომობა და მფარველობა სთხოვა, შემდეგ კი ხედავთ თქვენც, როგორ აიშვა და საშველს აღარ გვაძლევდა.

– ახლა თქვენ უკან გაპრუნდით, მე და ჩემი ძმადნაფიცი ერეკლე არტყაანის ფაშას ვეახლებით და ყველაფერს დაწვრილებით გავიგებთ.

შალვამ და ერეკლემ ცხენები დაოთხეს და ნაშუადლევს არტაანის ფაშის სასახლეს მიადგნენ, თანაც წვევის ნებართვა ითხოვეს.

ქიბარ-ფაშამ (დინდარ-ფაშა) მალევე მიიღო შალვა. ძველი მეგობრები იყვნენ და ძმებივით გადახევივნენ ერთმანეთს.

– რა გაგჭირვებია შალვა-ჩემო რომ მეახელი. ამოდენა გზას ტყუილუბრალოდ არ გამოივლიდი. ჯალაბი ხომ კარგადაა ლმერთის ნებით?

– რა გამჭირვებია კი არა, ხმალი რომ დამკრა სისხლი არ გამომდინდება. შვილი მომტაცეს მამაძალლმა ოსმალებმა.

აյ ხმა ჩაუწყდა შალვას, ფაშას კი ჯიქურ მიაჩერდა, მაგრამ სასიკეთო ვერაფერი ამოიკითხა ისლამის ყურმოქრილი მსახურის თვალებში.

– რაო, რაო? რა მესმის, შვილი? გოგოა თუ ბიჭი?

– დედისერთა ვაჟი მყავს ფაშა-ბატონო და მზე და მთვარე მასზე ამომდიოდა, ჯერ მხოლოდ შვიდი წლისაა.

– შავგრემანი ხომ არაა? ჯმუხი და თანაც კუნთმაგარი?

– ჰო, ეგრეა, ლმერთმანი საჩუქარს მიიღებ ამ ამბის გაგებით. სადაა თუ კაცი ხარ, ნუ დამიმალავ.

– ვიცი ვინც იზამდა მაგას, თავებს წავაცლი თუ მოვიხელთე – აბობოქრდა ფაშა და მსახურის მოსახმობად ტაშიც კი შემოჰკრა, მაგრამ შალვამ შეაჩერა.

– თავების წაცლაზე ნუ გაისარჯებით და ინერვიულებთ, ეგ უკავე სისრულეშია მოყვანილი, შენ ის ბრძანე ფაშა-ბატონო, ბავშვის ასავალ-დაავალი ხომ არ იცით, ეგებ ვიპოვო.

ცბიერი იყო ფაშა. გაიგონა-რა, რომ ამ საქმის ჩამდენთაგან ცოცხლები აღარ იყო აღარავინ, ვინდა გააგებინებდა შალვას, ბავშვის მის ხელში ყოლას და ვითომდა დიდად შენუხებულმა მომხდარი ამბით, შალვას მიუგო:

– არა, ჩემო შალვა, ნამდვილად არ ვიცი სად იქნება, მაგრამ ის კი ვიცი, რომ სტამბოლიდან სერასკერი იყო სტუმრად ოლთისის ფაშასთან და იქნებ მას მიპევარეს მსახურად. ამისთანა რამეები ხდება ჩვენთან, მაგრამ მე თუ რამე შემიძლია, მზად ვარ დაგეხმარო, სე-

რასკერს კი კვალში ნამდვილად ვერ ჩავუდგები, უბრალოდ ვერ შევძლებ.

– მადლობელი ვარ ფაშა-ბატონო, კარგად ბრძანდებოდეთ და ისიც იცოდეთ, ვინც არ უნდა გადმოვიდეს ჩვენს ტერიტორიაზე ბოროტი განზრახვით, ცოცხალს არ გავუშვებთ, დანარჩენი კი ჩვენს შორის დარჩეს...

– შალვა ჩემო, ბოროტი განზრახვით ვინც გადალახავს საზღვრებს, ისინი ნამდვილად დასასჯელნი არიან, მაგრამ ცოტა ხანში, ადრე თუ გვიან დანამდვილებით არ ვიცი, ოსმალეთის სულთნის ბრძანებით მთელი ტერიტორია თუ არა, საქართველოს ნაწილი მაინც ჩვენი იქნება, ასე ვთქვათ – ოსმალეთისა.

– ომი გარდაუვალია, ეს მეც კი ვიცი, მაგრამ თავდამსხმელი იგივე საზღვრის დამრღვევია, ადათ-წესების, ტრადიციების, სარწმუნოების და ერის მტერი და ასეთებს ტაშით არსად ხვდებიან, ხოლო ქართველთა გმირობის ამბავი შენც კარგად მოგეხსენება. საზღვრის დამრღვევებს, ვინც არ უნდა იყოს ყოველთვის ომი ელოდება და ისიც უნდა გახსოვდეთ შენი ჩათვლით, რომ დამარცხებული ქართველი, თუ მაინც დამარცხდა, ესეც დღოებითა, არასოდეს დაიჩიქებს არავის წინაშე. მუქარა მიღებულია და არსად არა ვარ გამქცევი. იტყვიან – „მოვიდა სეტყვა და დახვდა ქვაო“, აი, ეს ქვა ჩვენ ვიქნებით, მეორეც, სხვის ტერიტორიაზე თავდამსხმელი აუცილებლად მოიტეხს კისერს, იმიტომ რომ თავდამსხმელი ავი საქმის ჩამდენია, ბარბაროსია, ხოლო დამხვედრნი თავისი ადგილ-მაჟოლის დამცველი და თუ როგორი დამცველები ვიქნებით ამას დღო გამოაჩინს. ერთი დღო იმ თქვენს სულთან-სულეიმანსაც არ შერჩა, რომელიც დიდებულ სულთანადაა აღიარებული და სხვებს რა მოუვათ, უფალი ჩვენთანაა...

– ეჰ, შალვა ჩემო, უფალი ახლა ჩვენს ხალხს უფრო სწყალობს, ვიდრე გიაურებს...

– ჩვენ გიაურები არა ვართ, ქრისტიანები ვართ. თუკი სარწმუნოებათაშორისი ომია, ასე იყოს, მაგრამ ბავშვების მოტაცებას და გაყიდვას უფალი არავის პატიობს. ეს ბარბაროსობაა, უკეთური საქმე... გიაურებს გვეძახთ? ეს დაბალი განათლებისა და უჭკუოთა მონაგონია, თორემ ქრისტიანები მუსლიმანთა მსგავსად მორწმუნენი ვართ. გიაუ-

რო ურნმუნოა და ასეთებს ჩვენც კი ვეძრძვით. ისეთი მამაძალლობა კი, რომელიც ბავშვთა გატაცება და ტყვედ გაყიდვაა, ყოველგვარ საზღვრებს სცდება, ქართული ხმალი გამოიტანს განაჩენს.

ფაშას გულმა რეჩხი უყო, ამგვარ გაფრთხილებას არ იყო ჩვეული, მაგრამ რაღაცამ შებოჭა... იქნებ იმან, რომ სისხლით ქართველი იყო, თუ შალვას მეგობრობის ხათრმა და მისდამი პატივისცემამ. ასე თუ ისე წყენა დაფარა და ველარაფერი უთხრა სამაგიეროდ.

ალაყაფის კარამდე მიაცილა სტუმრები და აწენილი ფიქრებით სასახლეში შეპრუნდა.

– რომ იცოდეს ჩემი ხელი ურევია, არც მე დამინდობს – გაიფიქრა გულში და მუთაქებზე მიგორდა.

ოლთისის ფაშის ქორწილში შავშელი დიდებულებიც ერივნენ და საკუთარი თვალებით იხილეს, თუ როგორ მიჰვარეს სერასკერს მტირალი გურჯი ბიჭი, მაგრამ ჩვეულებრივ ამბად ჩათვალეს, თუმცა გული დაეთუთქათ ბავშვის საცოდაობით, მაგრამ სერასკერს აბარას შეპედავდნენ და ამ ამბავმა ჩვეულებრივად ჩაიარა.

ამ დიდებულებში ერთი, შალვას მეგობარიც ერია, რომლებიც ერთმა შემთხვევამ დაამევობრა.

ფაშისაგან უკან გამობრუნებულ შალვას და მის ძმადნაფიცებს ერთ ტყეში ნადირობისას შეხვდა ეს მეგობარი, შეხვედრა მოულოდნელი იყო, რადგან მონადირე თავისი ტერიტორიიდან შორს წასულიყო.

– შალვა? – როგორ დაგიცდა ჩვენს მხარეში ფეხი და მაინც რა გულზე ხარ რომ აქეთ მხარეს წამოსულხარ. რაც არ უნდა იყოს უცხო მხარეა. და...

– რატომ უნდა შეგახსენო ჩემო ენვერ, რომ ესეც საქართველოს ნაწილია და ისიც კარგად მოგეხსენება, რომ არც არავისი მეშინია, ხოლო აქ გადმოსვლა კი ბედნიერი შემთხვევით არ მომხდარა – თქვა შალვამ და ოსმალეთის ცას გახედა.

– თქვი, რა გერიდება.

– მერიდება კი არა გული მაქვს დათუთქული – ბავშვი მომტაცეს ურჯულოებმა და აქეთ გადმოიყვანეს, მაგრამ არ ვიცი სად ვეძებო. სწორედ ამიტომაც მოვეშურებოდი შენსკენ და აპა, უფალმა შეგვახვედრა კიდევაც. თუ რამ იცი ამის შესახებ, ნუ დამიმალავ.

– ოლთისის ფაშასთან ქორწილში გახლდი და იქ სერასკერს მიჰგვარეს ერთი შავტუხა, ჩაფსკვნილი ბიჭი, ასე შვიდი თუ რვა წლის იქნებოდა. მგონი სერასკერმა იახლა თან, გული დაგვეთუთქა მისი საცოდაობით. მგონი მამუკა ერქვა. არ ვიცი ვისი იყო, იქნებ ისაა?

– დიახ, ისაა და არ ვიცი როგორ მოვინელებ მის ამბავს.

– ის კი დანამდვილებით არ ვიცი ვინ მიჰგვარა სერასკერს, ან იქედან ვინ გამოიტაცა... ძალიან დამამწუხერე შალვა ჩემო, მითხარი რით დაგეხმარო, მიგულე შენ სამსახურში. სტამბოლში ჩემი ძმა და დეიდაშვილი ცხოვრობენ, ცდასა და ხელს არ დავაკლებ. არ შეიძლება ეს ამბავი არ გახმაურდეს, მივაკვლევთ როგორმე მის ადგილსამყოფელს. ცოტა შორი გზაა, მაგრამ შენი ხათრისთვის, შვილებს გეფიცები, ფეხით ჩავალ და ისე დავძებნი.

– აჩქარებით საქმე არ გააფუჭოთ ენვერ ჩემო. დაზვერვა ჯობია, შემდეგ კი ერთად ვიმოქმედოთ. ამ ავი საქმის ჩამდენი საიქიოს გავამგზავრე უკვე. მე ახლა უკან ვპრუნდები, მალე კი ისევ გადმოვალ და თუ რაიმეს გამიგებ, მაღარიჩს ვიხდი.

– არ გრცხვენია ბიჭი? ასე მიცნობ? ძმები ხომ ვართ, ჟოდა ძმის ხათრით ყველაფერს გავაკეთებ. ძმობაში სარწმუნოებას არ ვაქცევ ყურადღებას. მთავარია ადამიანობა, რომელსაც ვერაფერი გადაწყნის და ვერც შეედრება, მე კი ჩემი სიტყვებისა მჯერა და არასოდეს ვულალატებ, არც ძმობის სიწმინდეს დავაბიჯებ ფეხს. ასე რომ მენდე. ისე საქმის გადადება საზარალოა. ცხელ კვალზე მიყოლა სჯობს ჩემო ძმაო. მოდი მე გავყვები სერასკერს უკან. გზა ძალიან გრძელია, მაგრამ ძმის ხათრით მანძილს ვინ ზომავს. გავიგებ ასავალ-დასავალს და ეგებ მოვიპაროთ.

– დავალებით კი ვერ დაგავალებ, მაგრამ მაგ სიკეთეს თუ მიზამ ვალში არ დაგრჩები, იცი ეს შენ.

– მოეშვი შალვა ჩემო მასეთ ლაპარაკს. სიტყვა სიტყვაა, შენს აქეთ მობრუნებამდე ამბავს დაგახვედრებ.

– აბა ნახვამდის ჩემო ძმაო, სული ერთი მექნება ამბის გაგებამ-დე.

– მშვიდობით გევლოს. აუცილებლად მეწვიეთ სახლში, შეძლებ-ისდაგვარად გაგიმსპინძლდებით.

– გმადლობ ენვერ. ახლა კი ნახვამდის.

შალვამ და მისმა მეგობარმა იმ ღამესვე გადალახეს საზღვარი და სანახევროდ დამშვიდებულმა გამთენისას სიმამრის სახლს მიადგნენ.

ადრე ამდგარიყო ელიზბარი და ყანას ოოხნიდა. ერთმანეთს დილამშვიდობისა უსურვეს.

– დილის მადლი არ მოგიშალოს უფალმა, რომელი ხართ მანდ, არ მეცნობით.

– ჩვენა ვართ ბატონო ელიზბარ, დავბრუნდით ოსმალეთიდან.

– შალვა ჩემი მერე მანდრას ამოფარებულხარ, ეზოში ვერ შემოხვალ? პატიჟი გინდა? ეი, დედაკაცო, სიძეს გამოხედე.

შალვა და ერეკლე ეზოში შევიდნენ და ძელსკამზე მოწყვეტით დაეშვნენ.

– ახლა ერთ კარგ ძილს რა ჯობია. დალლილებიც ვართ და უძინრებიც.

– წაიხემსეთ შვილებო და დაისვენეთ კიდეც. ბავშვის ამბავი თუ გაიგეთ სიძევ-ბატონო?

– სერასკერს აახლეს თურმე და თან წაუყვანია, სტამბოლში.

– ვაიმე, ჩემი სიკვდილი, მეხი კი დავაყარე მაგენს. ვაიმე მამუკა, მიწა გასკდომოდეთ შენს ავის მდომელებს – მიაწყევლა ელიზბარის მეუღლემ და იქვე ჩაიკეცა.

– ახლა რას აპირებ?

– აჩქარებით საქმეს ვავნოთ იქნებ. მისამართს დამიდგენენ და შეიძლება გამოვაპაროთ.

– შვილი ვის არ ეწვის შალვა მარა – თქვა ელიზბარმა და ხანგრძლივი პაუზა გააკეთა...

– რა გინდა მაგით თქვა?

– რა და, ერთი აზრი მომივიდა. თუ მისამართს დავადგენთ და ინახულებთ, დააჯერეთ, რომ სულთნის კარზე გაიზარდოს და სწავლა მიიღოს, ოლონდ ეჭვი არავინ არაფერზე არ უნდა აიღოს. იქ ჩვენი კაცი რომ გვეყოლება, ვინ იცის როგორი დრო დადგება და საჭირო შეიქმნება.

– თქმა იოლია ბატონო ელიზბარ, გაძლება არ გინდა? – ამოიხსრა შალვამ და შორს გაიხედა.

– თქმა არც მე მეიოლება, მაგრამ ამ ნაბიჯს თუ გავამართლებთ, სანანებელი არ დაგვრჩება იცოდე. მხოლოდ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ, თუ დავაუკაციდება და დაქორწინებას დაუპირებენ, იქაური ვინმე ჩვენიანი შერთონ. აუარებაა საქართველოდან გატაცებული. არ მინდა ოსმალოს სისხლი შეერიოს ჩვენსას. თუ გეგმით ვიმოქმედებთ, იქნებ გადმოყვანაც მოვახერხოთ, ან დრო დადგეს იქნებ ისეთი, რომ თავისით გადმოვიდნენ. ოსმალეთის ტერიტორიაზე ჩვენი კაციც გვჭირდება, მზირის როლს შეასრულებს. ეცადეთ შვილივით დაიახლოვონ მერე კი მოვლენებს დაველოდოთ, ნუ ავჩეარდებით, ასე ჯობია დამიჯერე.

– სერასკერიც ქართველია დედით, ასე გავიგე და მეუღლეც ქართველი ჰყოლია, მაგრამ უშვილოები დარჩენილან. შვილივით ნამდვილად შეიყვარებენ, მაგრამ შემდეგ ვიკითხოთ, დრო რას გვეტყვის.

– თუ ასეა მით უკეთესი შვილო, არაფერს მოაკლებენ „შვილობილს”, სწავლა-განათლებასაც მიაღებინებენ. რითია საძრახისი, თუ მეზობლის ენა სრულფასოვნად გვეცოდინება. ნათქვამია – მტერს რომ ეომო და გამარჯვების იმედი არ დაჰკარგო, მისი ენა უნდა იცოდეო. პოდა, ჩემო შალვა...

შალვამ კი ამ დროს ჩაყვინთა. სიმამრს სათქმელი პირში შეაცივდა. ცოტა ხნის შემდეგ ორთავე საძინებლამდე მიაცილა და კარი გამოიხურა.

„გადაიყოლებს ამ ბავშვის დარდი, რა ამის დრო ჰქონდა ეხლა. ლმერთო გადმოგვხედე ყოვლისმფარველო და დარდი გაგვიქარვე“ – ჩაილაპარაკა ელიზბარმა და ყანას მიაშურა.

შალვას რომ გამოელვიძა უკვე კარგად შებინდებულიყო, წამოხტა და გარეთ გავიდა.

– რავა დაფეთებულივით გამოვარდი გარეთ, მოგდევს ვინმე თუ? – შემოუძახა სიმამრმა.

– ახლა სახლისაკენ რომ გავუტიოთ უფრო უპრიანი იქნება.
– ხომ არ დაგიბარებია როდის დაპრუნდებოდი, ლამეც აქვე გაათიეთ ბარემ და დილით წაპრანდით ბატონო, თუ მაინცდამაინც წასვლას ეშურებით.

შალვას სიტყვა აღარ შეუბრუნებია ელიზბარისთვის. პირზე წყაროს წყალი შეისხა და სიმამრს გვერდით მიუჯდა.

– დილის საუბარს მივუბრუნდეთ შალვა ჩემო თუ, თანახმა ხარ რაც გირჩიე?

– ძნელი კია, მაგრამ მგონი შენი რჩევა ჯობს, რა ვიცი გავა ცოტა დრო, მეც გული დამიცხრება როგორმე, მერეც კარგად ავწონ-დავწონი, ენვერ-ბეგსაც მოვეთათბირები და თუ იმანაც ასე მირჩია და დახმარება აღმითქვა, რა ძალაა, დავყვები თქვენს ნებას.

– გიქებ საზრიანობას, მეც შენს გვერდით მიგულე მუდამ, არაფერზე უკან არ დავიხევ. ახლა ძალაც გამიორკეცდება. იმედის სხივს ნამდვილად ვხედავ ამ საქმეში და გაგვიმართლებს მგონია. ახლა ვივახშმოთ და ისევ დასვენება და ძილი მოგიხდებათ. ისე მართლა ვინაა ენვერ-ბეგი?

– იმერხეველია, შავშეთის ბეგი, ძმადნაფიცია ჩემი. ჩემთვის თავს გადასდებს, დახმარებაც მან აღმითქვა.

– მართლა რა მდგომარეობაა ოსმალეთის საქართველოში, სა-დაც ეგ შენი ენვერ-ბეგია ბატონ-პატრონი?

– მდგომარეობა რომ სახარბიელო არაა ეს ნამდვილად ვიცი.

მაგიდას მიუსხდნენ და ღვინოს გემო გაუსინჯეს, დიდხანს შემორჩენ ვახშამს – ვინ რა თქვა და ვინ რა.

– შალვა ჩემო, თუ მასე არასახარბიელო ვითარებაა, ალბათ ადრე თუ გვიან ჩვენს ტერიტორიებსაც მოედებიან კალიებივით.

– აპირებენ მართლაც, თუმცა რაღა აკლია.

– ჰოდა, თუ ოსმალებმა უნდა იბატონონ, იმ შენს ენვერ-ბეგს ჩააგონე, მამუკა ისე აღზარდონ, იქნებ ფაშობა მისცენ შემდეგში, ვინ იცის დრო რას გვიქადის. ჰოდა თუ მამუკა დაამტკიცეს ფაშად, ხომ ავშენდით მაშინ.

– რას ვაპირებთ ბატონო ელიზბარ, სარწმუნოება შევიცვალოთ თუ ვეომოთ და გავწყდეთ?

– ისე უნდა მოვახერხოთ მამუკა გახადონ ფაშად და მერე იო-ლია.

– ეჲ, სანამ ეგ გაიზრდება და ფაშა გახდება, ოსმალეთი ნახევარ საქართველოს ჩაყლაპავს. მანამ შემოვლენ ჯავახეთში. მე თუ მკითხავთ, გარიდება ჯობია. ვეომოთ თუ გავწყდეთ? არც ესაა ქართველი-

სათვის საძრახისი. ალბათ ვითარება გვიჩვენებს, თუ როგორ მოვი-
მოქმედოთ. რასაც მეფე გვიპრძანებს ისე უნდა მოვიქცეთ, მაგრამ
უბრძოლველად მაინც ვერ მივატოვებთ კუთხეს, ხოლო თუ აქედან
აყრა მოგვიწია დიასამისების საგვარეულოს, მე მგონი ძალიან ბევ-
რი უფრო მეტად დასავლეთისაკენ გადავალთ. დიდია საქართველო,
დავსახლდებით სადმე.

- აჭარაში რომ სოფლებია დაცარიელებული ეს თუ იცი შალვა?
 - ვიცი, როგორ არ ვიცი, სარწმუნოებისათვის ბევრი გაიწირა.
ჩვენ მათ ნასახლარზე ვერ დავსახლდებით, უფალი არ გვაპატიებს.
- ნაშუალამევს მიწვნენ მოსასვენებლად.

თავი III

სერასკერს, ასლან-ბერი ბაირახტაროლლის მეუღლე ქართველი ქალი ჰყავდა, მამის სიცოცხლეში ქისა ოქროთი ნაყიდი, ვიღაც ფიქ-რიე. ჯერ კიდევ ბავშვი გაიტაცეს საქართველოდან ოსმალეთში და იქ ერთ ვაჭარს გროშების ფასად მიჰყიდეს. ეს ვაჭარი ოსმან ბაირახტარი იყო, ასლანის მამა, რომელსაც ასევე ქართული სისხლისა და ჯიშის ქალი ჰყავდა ცოლად, სახელად მერიემი (მარიამი). როდესაც ბავშვები წამოიზარდნენ (ასლანისკბილა იყო ფიქრიაც,) მარიამმა მისი რძლობა დაპირა. ერთად იყვნენ გაზრდილები და შეთვისებულნი და ფიქრიამაც თანხმობა განუცხადა. მარიამს ის უფრო უხაროდა, რძალიც რომ მისი სისხლის იყო. სახელიც კი შეუცვალა და ილდიზ-ხანუმი შეარქვა, სილამაზის გამო. ჰოდა, ჩვიდმეტი წლიდან შეუდგა ილდიზ-ხანუმი მოვალეობის შესრულებას და გახდა დედოფალი.

მამის გავლენით შვილი ასლანი მაღალი წრის საზოგადოებაში განსაკუთრებული ყურადღებით სარგებლობდა. იმთავითვე სამხედრო ხელოვნებას მიჰყვა და გახდა სერასკერი. ეს იმ დროის-ათვის დიდ თანამდებობას წარმოადგენდა.

ოლთისში, ფაშის ქორწილში გოგოს რომ თვალი დაადგა ასლან-ბერი, ცოლობა ნამდვილად დაუპირა, ვინაიდან უშვილო იყვნენ, მაგრამ ფაშა არტყანის ფაშის ნაჩუქარი ბიჭის ჩუქებით გამოძრა ამ საქმიდან და სერასკერს თავისი აზრი გადააფიქრებინა. მამუკას, რომ თვალი შეავლო სერასკერმა, ცას ენია სიხარულით. შვილის სიყვარულს ეს ბიჭი თუ შემასწავლისო – გაიფიქრა ჯიჯგვი ბიჭის აღნაგობით მოხიბლულმა და უკან სახლისაკენ გაქუსლა.

„ქართველები რაღაც განსაკუთრებული სისხლის ხალხი არიან – ლამაზები, ჭკვიანები, ძალ-ლონით სავსე. ვისაც ქართული სისხლის ნაწილი უჩქეფს ძარღვებში ჯანმრთელები და ჭკვიანები გამოდიან. აი, მამასაც ქართველი ქალი ჰყავდა მეუღლედ და ამიტომაც ქართველს ვგევარ ახოვნებით და გულიანობით.

არც სილამაზე მაკლია, მაგრამ ერთი დანაკლისი კი მაქვს, რომ არც და არც ძმა მყავს. მარტოსული ვარ. ცოლიც ქართული ჯიშის მყავს, მაგრამ ორივენი უშვილონი ვართ. რაღაც ცოდო გვანევს კისრად! ჰო, ალბათ, თორემ უფალი ასე მარტოსულს არ დამტოვებ-

და... ცოდვა? ჰო, ცოდვის ჭაობში ვცურავთ ოსმალები. დედაჩემი ხომ გამოტაცებული იყო გურჯისტანიდან, განა წყევლას არ მოაყოლებდნენ მშობლები გამტაცებელ-გამყიდველს? იქნებ ეს ცოდვა მოგვსდევს ოსმალებს... ჰო, ნამდვილად ეგრე იქნება და, ეხლა ეს ბიჭიც ხომ იქედანაა გადმოყვანილი, ალბათ წყევლას არ მოგვაკლებენ, მაგრამ მე ხომ დამნაშავე არა ვარ. მე მესამე თუ მეოთხე ადამიანი ვარ ვის ხელშიც აღმოჩნდა. წესით უკან უნდა გავაგზავნოთ, მაგრამ რა ჩემი ბრალია თუ ისევ გურჯები ჰყიდიან თავიანთ ხალხს? არა, მაგათი საქმე წასულია ხელიდან, კაცი რომ მეზობელს ბავშვს მოსტაცებს და გაუყიდის, ჯოჯოხეთის კერძი როგორ არ გახდება, მაგრენი ერთმანეთის გაუტანლები არიან და სწორედაც ეს გვიადვილებს მთლიანად გურჯისტანის დაპყობის საქმეს, მთლიანად თუ არა ნანილობრივ მაინც. ჰოდა, ამ ბიჭს ისე აღვზრდით, რომ ფაშობამდე მივაღწევინოთ, შემდეგ კი როდესაც გურჯისტანი ჩვენი იქნება, იქ დავსვამთ ფაშად და საქმე საათივით წავა... დიდო ალლაპ, გაღმოგვხდე, დაგვეხმარე!"

რამდენიმე დღეში სტამბოლში, სახლში დაბრუნდა და ილდიზ-ხანუმი გაახარა – მამუკა ჩააბარა აღსაზრდელად. ილდიზ-ხანუმმა ქართული კარგად იცოდა და ასევე ოსმალურიც. სომხებისა და ქურთების ენაც შეისწავლა.

ასლან ბეიმ მამუკა რომ ჩააბარა, ქალმა გაიხარა – შვილივით გავზრდი, და კაიკაცობის სახელს დავუმკვიდრებ საზოგადოების ფართო წრეშით.

– სადაური ხარ შვილო? – შეეკითხა ქართულად, რამაც ბიჭის გაოცებაც გამოიწვია და სიხარულიც.

– ახალციხიდან ვარ დეიდა, თქვენ ქართული საიდან იცით?

– დეიდა კი არა დღეიდან მე შენი დედა ვიქნები. შენსავით საქართველოდან გამოტაცებული ვარ და გაყიდული. დღეიდან კი დედა-შვილი ვიქნებით, გული არ გეტკინება. ხომ დამიძახებ დედას? ჩვენ შვილი არ გვყავს და შენ იქნები ჩვენი შვილი, მემკვიდრეც და დიდი ქონების პატრონიც.

– კი დაგიძახებთ დედას, ჩემს მფარველს კი მამას, მაგრამ მე ხომ დედაც და მამაც მყავს, და სხვებიც კიდევ.

ილდიზ-ხანუმმა თავზე ხელი გადაუსვა, გულზე მიიხუტა და ცრემლები გადმოცვივდა. მამუკა მოშორდა და...

— რა გატირებთ ქალბატონო. თუ შვილივით მღებულობთ რაღაზე ტირით.

— ჭკვიანი ყოფილხარ შვილო. რა მატირებს და... ლორები არიან ოსმალები, პირუტყვივით ყიდულობენ სხვის შვილებს და ყიდიან, კიდევ კარგი, რომ ჩემთან მოხვდი შვილო, ლმერთს არ გაუწირიხარ. მე ხომ ქართველი ვარ, ჰოდა, არც შენი ენა დაგავიწყდება, ოსმალურსაც შეგასწავლი და რასაც მთხოვ იმას შეგისრულებ.

— ეხლა რომ გთხოვო საქართველოში გამაგზავნეთ ჩემს მშობლებთან დამაბრუნეთ-მეთქი შემისრულებთ?

ილდიზ-ხანუმი ერთი პირობა შეცდა, სათქმელს ეძებდა...

— მაგის გარდა შვილო, რაც გინდა ის მთხოვე. მაგის შესრულება ძალიან ძნელია და არც მოხდება, მაგრამ დრო კიდევ წინაა და ალბათ მაგ საქმესაც მოევლება.

— მადლობა დედიკო, დაგიჯერებ ყველაფერს.

— სწავლა-განათლებას არ მოგაკლებთ, მდიდრულად გამოგანყობთ, შემდეგ დაგაქორწინებთ კიდევაც და დიდი კაცი დადგები... დღეიდან შენ მაჰმუდი გერქმევა და როდესაც გაიზრდები – მაჰმუდები, ან მაჰმუდ-ბეგი, მაჰმუდ-ფაშა და სხვა, აბა რა. ისე მოგივლი, როგორც საკუთარ შვილს. ამით უფლის ვალსაც მოვიხდით.

— რა ვალს?

— რა და რომ გეპატრონებით და კაცად გაგზრდით. ვინ იცის როგორ იწყევლებიან შენი მშობლები არა?

— ეგ ნამდვილად მასე იქნება, მაგრამ თქვენ თუ კარგი ადამიანი ხართ, ცოდვა არ შეგხვდებათ.

— ბავშვის გატაცება და გაყიდვა თავისთავად დიდი ცოდვაა შვილო. გაიზრდები და ყველაფერს მიხვდები.

მამუკას ცივ ნიავს არ აკარებდნენ, ისე ზრდიდნენ. ასლან-ბეი ყოველ წევულებაზე და თავყრილობაზე დაატარებდა და მალალ საზოგადოებას აცნობდა. მასწავლებლებიც დაუქირავეს და სახლშიც ამეც-ადინებდნენ. ბავშვმა ოსმალური, სამუსლიმანო ლოცვები და შარიათის კანონებიც იოლად შეითვისა კეთილი დედობილის მეშვეობით. დაქირავებულმა მასწავლებლებმა კი ფრანგული და რუსული შეასწავლეს.

– რაც მეტი ენა გეცოდინება შვილო, იმდენად დაგაფასებენ და მეტი კაცი იქნები. დრო წინაა, ასპარეზი ფართო, ვინ იცის სად მოხვდები და როგორ დაგჭირდება. ენების ცოდნა კი სავალდებულოა – დაარიგა მასწავლებელმა.

სასულიერო განათლებას ჯერ სახლში, შემდეგ კი მოლას წყალობით ეზიარა. შემდეგ სტამბოლის მდიდართა სასწავლებელში მიაბარეს და იქვე დაამთავრა უმაღლესი პოლიტიკურიც.

მოლა საქართველოდან უმაღლესი განათლების მისალებად წასული, მაგრამ უამთავითარების გამო სტამბოლში ჩარჩენილი აჭარელი მეპმედ-ეფენდი იყო. იგი ქედის მკვიდრი იყო და იმდროისათვის სასულიერო და კულტურის დარგში კარგად გათვიცნობირებული. სასულიერო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ერთ-ერთ ჯამეში ხოჯად, შემდეგ მთავარ ხოჯად მიავლინეს ერთხანს და მისი ქედიდან გადახვენის მიზანსაც თანდათან ახორციელებდა – იქაური საქართველოს ანუ ოსმალეთში მოქცეულ ტერიტორიაზე განლაგებული მატერიალური კულტურის ძეგლების აღწერილობას აწარმოებდა, რასაც დიდი დრო მოანდომა, მაგრამ ამ საშვილიშვილო ქართულ საქმეს დიდი მონაბეჭით და სიფრთხილით ეკიდებოდა. კალამიც უჭრიდა და გონებაც. ვიდრე მუხლი ერჩოდა ყველა კუთხე-კუნძული შემოიარა და აღწერა. ოფლნანრეტი და მრავალლამენათევი მოზრდილი ნაშრომიც გამოიუვიდა. ჩანაწერებს ძველი ქართული ნუსხა-ხუცურით აწარმოებდა და ეჭვი რომ არავის აელო განმარტებებს ოსმალურ ენაზე გვერდით ურთავდა, ოლონდ ნახევრად ზღაპრულსა და თანაც თითქოს სომხურიდან ნათარგმნს (ნუსხა-ხუცური და სომხური ხომ ერთმანეთს წააგავს) სიტყვები კი ქართული იყო, მხოლოდ ოსმალური ასოებით.

მეპმედ-ხოჯას საცხოვრებელი გაურკვეველი წარმოშობის პიროვნებისაგან ჰქონდა ნაქირავები, რომელიც ხან ოსმალობას, ხან სომხობას, ხან ქურთობას და ხან კიდევ რას არ იჩემებდა. ხოჯა ყოველთვიურად კეთილსინდისიერად უხდიდა გადასახადს, თუმცა ერთ დღეს მისი მიზეზით ხოჯას მთავრობის წარმომადგენლები ესტუმრნენ და ბინა გაუჩხრიკეს. საეჭვო რომ ვერაფერი ნახეს ხელნაწერები გამოგლიჯეს და წავიდნენ. სამნუხაროდ, ხელნაწერები უკან აღარ დაუბრუნებიათ. თუმცა მას შემდეგ აღარც შეუწუხებიათ. ამ მიზეზის გამო საცხოვრებელი გამოიცვალა და ერთ-ერთ ჯამეში

მოლობა დაიწყო, ვიდრე სერასკერს გადაეყრებოდა, მანამდე ჯამეზე იყო მიკედლებული, შემდეგ კი სერასკერის წყალობით ერთ-ერთი ჯამის მთავარი ხოჯაც გახდა და ბინაც იქვე ახლოს გამონახა.

მეპმედ-ხოჯას უკვე აღარ შეეძლო ხელახლა შემოევლო ტერი-ტორიები და აღეწერა. მისი ჩანაფიქრი მტვერმა დაფარა. იმედი გადა-ეწურა და მას შემდეგ ჯამეში აღამ-ათენებდა, ვიდრე სერასკერი არ დაეხმარა.

ერთ დღეს სერასკერმა დაიბარა თავისთან ხოჯა. მანაც არ დაახ-ანა და სახლში ეწვია დიდი სერალის წევრს.

– რას მიპრძანებთ დიდო ბატონო? რისთვის დაგიბარებივარ?

– კი არ დამიპარებიხარ, მოსვლა გთხოვე. ჩვენ სასულიერო პირე-ბის დაბარების უფლება არა გვაქვს. სათხოვარი მაქვს შენთან ჩემს შვილს ენა უნდა შეასწავლო, აგრეთვე სამუსლიმანო წეს-ჩვეულება, კანონები და სხვა რამ, თვითონაც კარგად იცით, რა უნდა გააკეთო.

– თანახმა ვარ მწყალობელო, შევასრულო თქვენი თხოვნა.

– გასამრჯელოს გადაგიხდი, გულს არ გატკენ.

– ნუ შეწუხდებით ბატონო, მარტო თქვენთან სიახლოვე და ურთ-იერთობა მეყოფა, ველარავინ შემაწუხებს. ბიჭს კი საკუთარი შვილივ-ით ალვზრდი, გქონდეთ მაგის იმედი.

ხოჯა მეპმედი გამჭრიახი ადამიანი იყო. მან კარგად აულო ალლო სერასკერის ჩანაფიქრს და მამუკას ისე ზრდიდა, როგორც ჭეშმარიტ ქართველს. მამუკამაც რომ გაიგო, ხოჯა ქართველი იყო სიხარულით ცას ენია. მათი ნაუბარი კი სხვებისთვის მიუ-წვდომელი იყო. ხოჯას ბევრი ლექცია არ დასჭირვებია, რათა მოზარდისათვის ჩენერგა მშობლიური კუთხის არდავიწყება და სიყვარული.

– ეხლა შენთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს ვინ ვარ და რა-ტომ ვარ ოსმალეთში. ერთი წესით არ დაივიწყო, რომ ჩვენ სისხ-ლითქართველები ვართ და თუ, აქედან საქართველოს ვერას ვარგებთ, არც უნდა ვავნოთ. ესეც დაიხსომე: რაც არ უნდა მოხდეს, ჩვენ მაინც უნდა დავბრუნდეთ ჩვენს სამშობლოში, მანამდე კი ყველაფერი ისე უნდა შეისწავლო, როგორც აქაურობას, შენს მშვილებლებს და შარ-იათს სჭირდება. ჩემში კი ეჭვი აღარავის შეაქვს, ხოჯიობას ნამდ-ვილი წესით ვასრულებ და ალლაპის წინაშეც მართალი ვარ. მოტყუე-

ბით ვერავის მოვატყუებ, ოლონდ მე და შენს შორის რაც საუბარი იქნება, ჩვენში უნდა დარჩეს.

– მე სერასკერს მამა კი დავუძახე, მაგრამ შენ იქნები ჩემი მამაც, მამობილიც, გზის გამკვლევიც, მასწავლებელიც. ყველაფერს ისე გავაკეთებ, როგორც ჩემს მშობლებსაც გაუხარდებოდათ.

– ჰო, მართლა – დიდი კაცივით მიმართა ხოჯას – ოდესმე მოვახ-ერხებთ უკან დაბრუნებას.

– საქმეს ისე ეტყობა, შეიძლება თვითონ გადაგვაგზავნონ. არაფერია გამორიცხული. მანამ კი აქაური ცხოვრებით ვიცხოვრებთ და როგორც დაგარიგე ისე მოიქეცი – არც დედობილ-მამობილთან წამოგცდეს და არც არავისთან.

– გიჯერებ ხოჯა-ბატონო, მაგრამ ხანდახან მამა რომ დაგიძახო ამაზე არ გამიწყრე.

– როგორც გინდა შვილო ისე მოიქეცი.

მეპმედ-ეფენდი თავისუფალ დროს სტამბოლის კუთხე-კუნ-ჭულში დაატარებდა, იქ გადახვენილ-ჩარჩენილ ქართველებს და მათ დუხჭირ ცხოვრებას აცნობდა. ყველაფერმა ამან კი დიდი გავლენა მოახდინა მამუკაზე. რისი შეთვისებაც საჭირო იყო, ყველაფერს ეწა-ფებოდა.

ერთ დღესაც ახალგამოტაცებული მამუკას საძებრად ენვერ-ბეგი ეწვია სტამბოლს. სამი თვე ბევრი დრო არ იყო, მაგრამ ენვერ-ბეგს ეჭვი ეპარებოდა, რომ იცნობდა მას. დაახლოებით იცოდა სერასკერ ასლან-ბეგის მისამართი და ბედი იყო თუ რა, სწორედ იმ ჯამესთან წააწყდა მამუკას, სადაც მეპმედ-ეფენდი ლოცულობდა.

მამუკამ ვერ იცნო ენვერ-ბეგი, რადგანაც მისი გამოტაცების დროს მამუკა სულ იცრემლებოდა და ვერავის დამახსოვრება ვერ შეძლო, ენვერ ბეგს კი კარგად დაამახსოვრდა მტირალა ჯიჯგვი ბიჭი და ხოჯის ერთად რომ დაინახა გაუხარდა, მაგრამ მორიდებით მიე-ახლა და ხოჯას ქართულად მიესალმა.

მამუკას გაუკვირდა, თუმცა ხოჯას არ გაკვირვებია.

– გამარჯობა ჩვენებურო – მიესალმა ენვერ-ბეგი.

– საიდან გამოიცანი რომ მე თქვენებური ვარ, ან თუნდაც მასე არ იყოს, ამჟამად ოსმალეთის ქვეშევრდომები ვართ და ასეც გაგიმა-რჯოს და ისეც.

— ეს ბიჭი ვინაა მეპმედ-ხოჯავ, სერასკერის შვილობილი ხომ არაა?

მამუკამ არ იცოდა ვისთან ჰქონდა საქმე და ენვერ-ბეგს ამრეზ-ით ახედა, თანაც ხოჯას შეავლო თვალი.

— რატომ შვილობილი, შვილი ვარ მისი — გაეპასუხა ენვერ-ბეგს.

— რატომ გენერინა შვილი, მე ხომ ვიცი, რომ შენ შალვას შვილი ხარ, ახალციხელის. იცი მე ვინა ვარ? მამაშენი და მე ძმობილები ვართ და ისიც ვიცი, რომ შენი მამობილი უშვილოა.

— არაფერი უწყენინებიათ ჩემთვის. ეხლა მოდი გადაგეხვევი თუ მართლაც მამაჩემის ძმობილი ხარ — და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

მოკითხვა-მიკითხვის შემდეგ, იქვე ყავახანაში შევიდნენ და განაპირა მაგიდას მიუსხდნენ. ენვერ-ბეგმა მოსვლის მიზეზი აუხსნა. ხოჯას ფერფურმა გადაუარა და ხელები მაღლა აღაპყრო, თანაც რომ არავის გაეგო ქართულად თქვა:

— ალლაჲ, ნუ დამლუპავ — შეევედრა ღმერთს.

— ნუ გეშინია ნურაფრის. არაფერიც არ მოხდება. ბავშვი აქ დარჩება მანამ, სანამ შესაფერისი ვითარება არ დადგება. ყველაფერი ლამაზად ჩაივლის უფლის ნებით.

— რას მთავაზობ? — იკითხა ხოჯამ.

— ბევრს არაფერს. ბავშვი უნდა ალიზარდოს ისე, როგორც თავაღიშვილს შეეფერება. შემდეგ შეხვედრაზე თავი არ უნდა ამარიდოთ... ჰო, კინაღმა დამავიწყდა — მალე მამამისთან ერთად ჩამოვალ.

— მამა ჰყავს? — თითქოსდა გაიკვირვა ხოჯამ, მაგრამ წინანდელი მათი საუბარი არ მოუსმენია და არც ბავშვისაგან ჰქონდა განაგონი მისი ვინაობა.

— ჰყავს და მერე როგორი. ნუთუ აქამდე არ იცოდი ხოჯა-ბატონო?

— მართალი გითხრა ამაზე საუბარი თითქოსდა აკრძალულივით ჰქონდა და მეც გადამავიწყდა შეკითხვა. — ვინ არის მამა?

— ახალციხის ბატონ-პატრონი.

— ვინ, დიასამიძე?

— ჰო, შენ საიდან იცი?

– ბაზარში ყური მოვკარი ამ ამბავს, ახალციხის ბატონიშვილი გაუტაცნიათ ოსმალეთშით და ეგარ ვიცოდითუ იმ დიდი გვარის შვილს დავატარებდი ქალაქში. მერე როგორ შეხვდა მამამისი ამ ამბავს?

– კინალამ არტაანის ფაშა იმსხვერპლა ამ ამბავზე. გამტაცებლებმა ჯერ არტაანის ფაშას მიჰვარეს, იმან კი ოლთისის ფაშას გადაულოცა და დანარჩენი შენც კი იცი სერასკერთან როგორ მოხვდა. მამამისი ეხლა ჩვენს რჩევებს დიდ პატივს სცემს და შეთანხმების გარეშე არცერთ ნაბიჯს არ გადადგამს.

– მაინც რა შეთანხმებაზე გაქვთ საუბარი?

– ისევ და ისევ შვილის შესახებ. დიასამიძეები საერთოდ ფიცხი ხალხია. შვილის გატაცება რომ გაიგო გადაირია. მამაა და აბა რა გაემტყუნება, მაგრამ მეგობრებმა დავაშოშმინეთ როგორმე და დავიყოლიეთ იმ ამბავზე რომ, რახან ოსმალეთში მოხვდა ბავშვი, ბარემ ისე აღზრდილიყო, როგორც ჩვენთანა მიღებული და.... შემდეგ, ალბათ რაღაცას მივაღწევთ.

– მაინც რის მიღწევაზეა საუბარი ბეგო. მე ამ ბავშვის ბატონ-პატრონი ვარ ყოველნაირად და არც არაფერი არ უნდა დაიფაროს, საჭოქმანო რამ არ უნდა დარჩეს ურთიერთობაში. მე თუ არ მენდე, ძნელი დარჩება ურთიერთობა. თუ არ მეცოდინება ყოველივე, გააძნელებს თქვენი შეთანხმების კეთილად დასრულებას. მე დაახლოებით ვხვდები თქვენს ჩანაფიქრს. ჩვენ ერთმანეთში სრული ნდობა უნდა მოვიპოვოთ.

– ნდობით როგორ არ უნდა გენდო, როდესაც ვხედავ რომ ბავშვი შენს ხელშია. დაფარული არაფერი გვაქვს – ბავშვი ისე უნდა ალიზარდოს, სადაც მოხვდება იქაური ქუდი უნდა მოირგოს თავზე.

– მეც მაგ აზრს ვიზიარებ და ერთი წუთითაც არ გაივლოთ გულში, ქართულ სისხლს ვუღალატო.

– სალოლ ხოჯა-ეფენდი, ასეც ვფიქრობდი. აწე ჩემი წასვლის დროცაა და ვეცდები ხშირად შეგხვდეთ. დიდი მადლობა კაი-კაცობისათვის და უპატივცემულოდ არ დარჩები.

– გულში არ გაივლოთ. ჩემი ჯილდო ის იქნება მამია კარგ კაცად რომ დადგება, ამის გარანტიას კი მე გაძლევთ.

ენვერ-ბეგი მეშმედ-ხოჯას დაემშვიდობა და გზას გაუდგა. ძალიან ძნელი იყო მისთვის ეს გზა და ძალიანაც გრძელი და დამლ-

ლელი, მაგრამ ძმადნაფიცის ხათრით დაადგა ამ გზას. ქართული სისხლი მაინც თავისას აკეთებდა... ქართული სული თორემ. შავშეთის მმართველი ასეთ საქმეში ფეხს არ ჩასდგამდა. ქართული სისხლი და სული უდუღდა და ოსმალეთში იყო თუ საქართველოში, ოსმალთა სიძულვილი ყველგან ერთნაირად თუხთუხებდა.

ენვერ ბეგმა ერთი-ორჯერ ინახულა შალვა დიასამიძე. რაღაცნაირად ახერხებდა დრო გამოენახა მეგობრის მოსანახულებლად და სანუგეშოდ. საზღვარზე გადასვლა უხილაოს არ იყო, მაგრამ ნადირობის მოტივით გადადიოდა საზღვრის მიღმა, იქეთ კი ხელ-ფეხი გახსნილი პქონდა. ერთხელაც შალვას გაუნია გულმა მეგობართან ხევზუვებითა და ვიწროებით, უმოკლესი გზით გაემართა შავშეთისაკენ. მეგობარმა გაიხარა შალვას სტუმრობით. ენვერ-ბეგი მამუკას ამბებს ხშირად აწვდიდა მოუსვენარ მამას. ამჟამად კი ახალ დაბრუნებული იყო სტამბულიდან.

მეგობრები ერთმანეთს გადაეხვივნენ.

ცოლ-შვილი სახლიდან ათვალიერებდა ენვერისა და უცხო კაცის ხვენას. ენვერის მშობლებიც თავისი სახლიდან ადევნებდნენ თვალს.

– ნეტა ვინ უნდა იყოს? – აქაურს არ გავს, ჩატულობაზე ეტყობა
– ჩაილაპარაკა თავისთვის მურთაზმა და სახლიდან ეზოში გავიდა, ბილიკი გადაჭრა და შვილის ეზოში შევიდა.

– გაიცანი მამა, ახალციხელი შალვაა, მე რომ მოგიყევით იმ ბავშვის მშობელი.

– მობრძანდით მშვიდობიანად შალვა-ბატონო ჩემს სახლშიც, ჩვენიანებისათვის კარიც და გულიც მუდამ ლიაა.

– მადლობა კეთილი გულისათვის, მოსული ვარ და როგორც შეგიძლიათ ისე მისტუმრეთ.

– თქვენ ხომ ძმობილები ხართ შვილო, სტუმრად ალარ ითვლებით, ჩვენი ოჯახის წევრი ხართ – უთხრა მოახლოებულმა ესმამ და შვილის ძმობილს თავადაც გადაეხვია. ენვერ ბეგის ცოლშვილიც გამოიშალა ეზოში და მისალმებისთანავე ოჯახში შეიპატიუა.

– კაცო ფეხზე რომ გაგიჩერებია სტუმარი სადაური წესია, მითუმეტეს ქართველები ვართ. რამოდენა გზა გამოიარა, დალლილია, ნამებზავრიც, თანაც ეშიება – უთხრა ენვერ-ბეგს ქეთევანმა. და სახლში შეუძლვა.

– მოშიებულიც ვარ, დაღლილიც, თუმცა ეს ნადავლიც ერთად მოვამზადოთ, მანამ კი იოლზე გადავიდეთ – თქვა და ზურგჩანთიდან კურდლელი ამოილო, – კი შემეცოდა, მაგრამ ამისთანა ცოდვები ტრიალებს დუნიაზე? მერეც უფლიდან ნება გვაქვს აღებული, როდესაც მოგშივდება, რალაცით უნდა დანაყრდე, ჰოდა მეც კურდლელი მომცა ულუფად.

ბავშვებს თვალები აეცრებლათ ნანადირევის დანახვაზე, მაგრამ ბაბუა მურთაზმა მდგომარეობა განმუხტა, დაავლო ხელი ნანადირევს, ამას მე მივხედავო და თავის ეზოში გაიტანა.

ორი დღე-ლამე დარჩა შალვა შავშეთში, ენვერ-ბეგმა თავისიან-ებთან და ნაცნობ-მეგობრებთანაც ასტუმრა. ენვერ-ბეგის სახლეულს გულს უთუთქავდა შალვას მწუხარება, ამიტომაც შინმოსულს დარდს უქარვებდნენ მხიარული ამბების მოყოლით, ხოლო ბავშვები ფანდურზე ამღერებდნენ ქართულ სიმღერებს და ცდილობდნენ სტუმრისთვის სიამოვნება მიენიჭებინათ. ქალები კი წყევლა-კრულ-ვას უთვლიდნენ ბავშვის გამტაცებლებს.

– რა ჰქენი ენვერ, ბავშვი ინახულე? – წასვლის დღეს კითხა შალვამ და სმენად იქცა.

– კი ჩემო შალვა. მისი მამობილი არ მინახავს. ბავშვი ერთ ხოჯისთვის მიუბარებია აღსაზრდელად.

– ხოჯას მიაბარეს კაცო? – გულზე მოხვდა შალვას.

– არ იფიქრო ოსმალია, ქართველია, საქართველოდან გადახვენილი თვითნასწავლი მეცნიერ-მუშავი. არაფერი არ იდარდო, ისე-თი კაცია და ისე აღზრდის შენს შვილს, თავად შენც კი გაგიკირდება. ღრო დადგება, შეგახვედრებ შვილსაც და მეშმედ-ხოჯასაც. ასე თქვა აჭარიდან, ქედიდან ვარო. სოფელი არ დაუსახელებია და თავი-სი გვარი არ უთვევამს, მაგრამ ჩანს, რომ კაცური კაცია ის ჩვენი ხოჯა.

ენვერ-ბეგთან სტუმრობამ სულ მხიარულებაში ჩაიარა. მოწყენის ღრუბელი არ მიაკარეს მის სახეს. მადლიერებით აღვსილი ორი დღის შემდეგ ნასვლას დაეშურა.

– ღროა ჩემო ენვერ სახლში წავიდე. სტუმარი ორი დღითააოჩვენში იტყვიან. თქვენს კანონშიც ასე წერია: „სტუმრად იმდენ ხანს ნუ დარჩები, რომ მასპინძელს თავი მოაბეზრო“.

– გულშიც არ გაივლო, რომ თავი მოგვაბეზრე, მაგრამ შენისაქმისა შენ იცი, როგორც აჯობებს ისე მოიქეცი.

– ჰოდა, კარგად ბრძანდებოდეთ და მე წავედი ახლა...

ხევენა-კოცნით გააცილეს კაი მანძილზე და უკან მობრუნდნენ.

ენვერ-ბეგისა და მეჟმედ-ხოჯის შეხვედრის შემდეგ მრავალმა წყალმა ჩაიარა, დიდი დრო გავიდა. მამუკა მამამ მხოლოდ ერთხელ ინახულა, შემდეგ საზღვარზე მდგომარეობა შეიცვალა და ველარ მოახერხა შეხვედრა. ენვერ-ბეგი კი არ ივიწყებდა დანაპირებს და შეძლებისდაგვარად ნახულობდა მამუკას.

დავაუკაცდა მამუკა. საცოლოდ შეღერებული ამაყად დაიარებოდა. შვენოდა შავი კოკორა ულვაშები და გასათხოვარი გოგონებიც ეკეპლუცებოდნენ.

ყველაფერი შეიცვალა მის ფიზიკურ თუ სულიერ არსებაში ქართული ენისა და იერსახის გარდა. სამშობლოს სიყვარული გულიდან არ ამოუღია. სიზმარივით ახსოვდა გატაცების ამბავი და ის კი არ იცოდა, რა დღე დაადგა მის გამტაცებლებს. სერასკერყოფილი, მიუხედავად იმისა რომ ჩამოაქვეითეს და უმუშევარი დატოვეს, ხარობდა თავისი შვილობილით. უფრო მეტ დროს უთმობდა ოჯხება და შვილობილზე მზრუნველობას, მაგრამ იმას ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ბედი სხვა რამესაც უმზადებდა, სამართლიანსა და თავსატეხს.

შვილობილს ადრევე უანდერძა და ნოტარიუსით გადაუფორმა მისი ქონება. ეჭვი არ ჰქონდა თუ ბედი ოდესმე თავის შვილობილთან დააშორებდა და სიხარულს ჩაუმნარებდა.

– ანე მაინც მოსვენებით ჩავალ საფლავში, მეცოდინება რომ ჩემი ქონება პატრონის ხელშია და არ განიავდება.

– იცი ბაი, ქართველებს ერთი გამოთქმა აქვთ – „სანამ რუზე არ გადახტები ჰოპლა არ დაიძახოო“ – უთხრა ილდიზ-ხანუმმა.

– ჰოო, შენც მართალი ხარ, მაგრამ ქონებას ხომ პატრონი ჰყავს?

– შენ თუ იცი ასლან-ბეგი, რომ შენი ქონების პატრონს იქ, მთებს გადალმა, საქართველოშიც ყავს პატრონი და ვერ მოისვენებ. თუ გაგხ-სენებია ამ ხნის მანძილზე რომ ბავშვს მშობლები ჰყავს და ვინ იცის, დღესაც გლოვობენ და წყევლა-კრულვას ითვლიან ჩვენი მისამართით, მითუმეტეს, ჩვენ ბავშვს ვეძახით, თორემ უკვე დიდი იყო, როდე-საც შენ ჩაიბარე. აბა შენი შვილი გაეტაცნათ ამგვარად რას იზამდი. ლმერთის ხომ გჯერა, არამი არავის შერჩენია, იცი ეს შენ, არამად გქონდა სერასკერის ტახტი და აი, ხომ ხედავ, რა გჭირს ეხლა. ამ ბავშ-

ვს, რომ ბავშვობა ახსენდება და მშობლებიც მოენატრებოდა, ამაზე თუ გიფიქრია ოდესმე?

მე რომ საქართველოდან გამომიტაცეს და ასევე დედაშენიც, რა გგონია ჩვენი მშობლების წყევლა არ მოგწვდებოდათ? მაგ ბავშვს კარგად ახსოვს მშობლიური მხარე და მშობლებიც. მე ეჭვი მაქვს, რომ შვილობილი ვიღაცებს ხვდება ქალაქში, თუ არ ვცდები თავი-სიანებსაც, ოლონდ არ ვიცი ვის. მეპმედ-ხოჯას მართლაც სულს ენ-დობა ადამიანი და მაგის იმედი მაქვს, ცუდს არაფერს ჩაიდენს და არც ეჭვების შემოწმება დამიწყია, მაგრამ რომც ცუდი რამ დაგვე-მართოს იცოდე დედაშენის, ჩემი, შვილობილის მშობელთა წყევლა-კრულვა ერთ წერტილში მოიყრის თავს და არ ვიცი ვის თავს დაატყ-დება უფლის რისხვა. გგონია არ დავისჯებით? (ლმერთო მე უბრალო ვარ და ნუ მკითხავ ცოდვასო, შეევედრა გულში).

– რატომ უნდა დავისაჯო, ყველანი გიაურები იყავით და ლმერ-თის ნებით გაგამუსლიმანეთ, ამისათვის უნდა დავისაჯოთ? ეს ხომ ყურანში წერია და ჩვენი კანონებიც იცავს.

– ლმერთი ერთია და ყველას პატრონი, მაგრამ იქ არ წერია მოიტაცე და გაყიდეო. შენ რა გგონია გველის წინილის მშობელსა და ადამიანის შვილთა მშობელს ერთი სახელწოდება არ აქვთ – მშობლე-ბი? თუ გველი მოსაკლავიაო და წყევლა არ შეუძლიათ? იმათაც უფა-ლი პატრონობს. ასე რომ არ იყოს, არც გააჩინინებდა და რახან გააჩინ-ინა, ესე იგი მშობლები ჰქვიათ ყველა შვილის გამჩენს და რახან ასეა, ყველა სულიერის წყევლა ახდება. შენ რა გგონია, ხე რომ მოჭრა, ის არ დაგწყევლის? ეს წამით არ გაივლო გულში და რახან უფალი ყვე-ლაფრის გამგებელია და პატრონი, ცოდვა-მადლიც მისგან მოდის და მთავარია ის იცოდე რაა ცოდვა და რა მადლი! ასე რომ გეშინ-ოდეს იმ წყევლა-კრულვის, რაც ჩვენს სახლს დაჰყურებს.

სერასკერყოფილი ღრმად ჩაფიქრდა, მუთაქაზე მიწვა და ორი ობოლი კურცხალი ჩამოუერდა სახეზე.

„მართალია ჩემი ხანუმი. უფრო ის იქნებოდა ჭკვიანური, მაშინ ჩემი ძალაუფლება გამომეყენებინა და ბავშვი უკან გადამეყვანინე-ბინა, მაგრამ ეშმაკმა მაცდუნა, უშვილო რომ ვიყავი ამიტომ, ევაც და ადამიც ხომ ეშმაკმა აცდუნა... ჰო, ალბათ ყველა ცოდვა ჩვენს კისერზე გადაივლის. მე ხომ სიბოროტით არ ჩამიდენია, ვეპატრო-

ნე, ან კიდევ მეც... რა ჩემი ბრალია, თუ დედა გურჯი მყავდა და მეუღლეც გურჯის შვილია... ისე ბავშვი რომ უკან გადამეყვანინებინა, ამით მისი მშობლების გულსაც მოვიგებდი და უფალთანაც მართალი ვიქნებოდი. ეხლა? სულ ცოდვებით ვარ დატვირთული. დაფიქრება ლირს ამ ამბავზე. ვიცოდე მაინც ვისი შვილია... ლმერთო დიდებულო – ხელები ალაპყრო და ლმერთს შეევედრა – ბოროტება არ ჩამიდენია და სიკეთით დამასრულებინე სიცოცხლე. თუ რამე ცოდვა უნებურად გამომივიდა ესეც მაპატიე... ადგა, აბდესი (მუსლიმანური ნამაზის წინა განბანვა) აილო და სალოცავ ფარდაგზე გადავიდა, უფალს შეევედრა და ნამაზს შეუდგა”.

ამ დროს ხოჯა მეპმედ-ეფენდიმ შემოალო კარები. სერასკერი მუ-
თაქებზე მიგორებულიყო და ჩიფიქრებული კრიალოსანს მარცვლავდა.

– „სელამ ალეიქ'უმ”, დიდო მწყალობელო, რაზედ ჩაფიქრებულხ-
არ ასე მწარედ. ლმერთი დიდია და ჩვენ მისი „ყულები” ვართ, დალონ-
ება არც ლმერთს უყვარს და არც მოტირალი ადამიანი კიდევ.

– ეჱ, ჩემო მეპმედ-ეფენდი, რაც ვიცხოვრე ზღაპარი მეგონა ყვე-
ლაფერი, მთავარი კი ანინდელი ცხოვრებაა. შვილობილის ბედზე
ვდარღობ... ”

– თუ დაოჯახებას აპირებთ, ჰყავს მაგას უკვე დანიშნული მწყ-
ალობელო, ისიც საქართველოდან მასავით გამოტაცებულია და
არავინ იცის სადაურია.

– ძალიან ბევრმა უცნაურობებმა მოიყარა თავი. დედაჩემი, ჩემი
ხანუმი, აგერ შვილობილი, ახლა კიდევ სარძლოც... მთელმა ქართველო-
ბამ აქეთ მოიყარა თავი. „ჰელბეთ”, ისინი აპირებენ ჩვენს დაპყრობას?

– ჰოდა, იმას გეუბნებოდი ასლან-ბეი, ესენი თუ შევაულლეთ
უფრო გაუგებენ ერთმანეთს.

– მე სხვა რამ მადარდებს. ცოდვა არ მასვენებს. არ უნდა წამომ-
ეყვანა ეგ ბავშვი იქედან, შემეძლო ისევ საქართველოში დამებრუნე-
ბინა. ვინ გადავიდოდა მაშინ ჩემს სიტყვას, მაგრამ უშვილობის დარ-
ღი მკლავდა და სულმა წამძლია. ეხლა ხანუმმაც ამიშალა სალერლელი
და თვალი ამიხილა. მაგის გაბრუნების სურვილი ისევ მაქვს და კიდე-
ვაც ვერ ველევი, მაგრამ არ ვიცი ვისი შვილია და... ალარ დაამთავრა
სათქმელი და ხოჯას ახედა – ისე რაღაც დავალებასავით რომ მიგვე-
ცა? – მასწავლებლად ხომ არ მივავლინოთ გურჯისტანში, აჭარაში?

– თქვენ ბრძანეთ მწყალობელო და მშობელიც მოინახება, მაგრამ როგორ შეელევით, ან სულაც ნაადრევი ხომ არ არის?

– საკუთარი შვილივით შევიყვარე და მართლაც ძნელია, მაგრამ იმაზე დიდი ბედნიერება რა იქნება, რომ ამდენი წლის შემდეგ განათლებულ, მდიდარ შვილს მშობლებს მივგვრი, საფლავშიც დარღვი ალარ ჩამყვაბა და დამშვიდებული წავალ იმქვეყნად.

– მართალი ხართ დიდო ბატონო, ღმერთი ამ სიკეთისათვის სიკეთითა და მადლით აგავსებთ და სიბერეს არ გაგიმწარებს.

– მართალია ქონება ნოტარიუსით დავუმტკიცე და მემკვიდრე-დაც ვალიარე, მაგრამ თუ უკან გავაპრუნებთ ქონებაც მასვე დარჩება, აბა მე რა თავში ვიხალო.

– ქონების რა მოგახსენო დიდო ბატონო და თუ მამუკას თავის მშობლებს მივგვრით, ისიც მეუღლითურთ, მშობლებისათვის ეს იქნება დიდი ბედნიერება და სიმდიდრე.

– მოიცა, მეჰმედ-ეფენდი, შენ თქვი შეყვარებული ჰყავსო, ხომ არ იცი მდიდარია თუ არა მაგის საცოლე?

– არა დიდო ბატონო, მხოლოდ ქალაქში ხვდებიან ერთმანეთს და ეგაა. ისე მდიდრულად კი აცვია ხანუმს.

– მეჰმედ-ეფენდი, მე უცოდველი მინდა ჩავიდე მიწაში, უფრო სწორედ ცოდვა მონანიებული. ამდენი ხანია ბიჭი წამოყვანილი გვყავს და ჯერ აზრადაც არ მომსვლია მისი ნათესავებისა და მშობლების ბედით დავინტერესებულიყავი. ხომ ეწამენ შვილის დაკარგვით. მათ მწესარებას ნანილობრივ იმით გამოვისყიდი, რომ ქონებას გავატან აქედან თავის სამშობლოში. მოდი ერთ საქმეში მომეხმარე და ღმერთი სამაგიეროს გადაგიხდის.

– გისმენ და გემორჩილები დიდო მწყალობელო...

– მონახე როგორმე ქალის მშობლები და ქორწილზე დაითანხმე. ქორწილს მე გადავუხდი და ქალსაც მე გავამზითვებ. ჩემი ნაანდერძევი ქონებაც ქალისთვის მზითვად დამითმია. რას მირჩევ ეხლა ხოვა-ბატონო?

– დიდო ბატონო, თუ ცოდვების მონანიებას ამ გზით აპირებთ, ნება თქვენია, ვინ დაგიშლის, მგონი მადლობელიც კი დაგრჩებიან, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი გამოიტაცეთ.

– მე, ეფენდი კი არ გამოვიტაცე, გამოვიხსენი თუ სიმართლე გინდა იცოდე. ვინ იცის ფაშა რა დღეში ჩააგდებდა საცოდავს. მე კი უშვილობის დარდმა ეს სიკეთე ჩამადენიდა და ხომ იცი, საკუთარ შვილზე უკეთესად ვეპყრობოდი და ვზრდიდი, განა ეს ცოტაა?

– ასი წლის შემდეგ ყოფილიყოს ასლან-ბეი და ლმერთი სამოთხეს არ აგაცილებს, ამქვეყნად ისე ტკბილად გაგატარებინებს დროს და ცხოვრებას, ზღაპარი გეგონება.

– „სალოლუსუნ ეფენდი“ დანარჩენი საქმე შენ უნდა მოაგვარო. მადლს მარილიც მოვაყაროთ. თუ ის გოგო უყვარს და ცოლობაზე უარს არ იტყვის, საქმე დავაგვირგვინოთ და ვალი მომახდევინე, პირი მომაბანინე იმ ხალხთან.

– ვეცდები დიდო ბატონო, საქმე მოგვარეულად ჩათვალეთ. თუმცა ერთი რამ მეეჭვება. ქალის გამოხსნა ხომ დაგვჭირდება.

– არც ეგაა ძნელი საქმე ჩემო მექმედ, მხოლოდ შემდეგში, მამუკას და მის მეულლეს რომ გავაგზავნით საქართველოში, ამის შესახებ ჩემსა და შენს გარდა არავინ უნდა იცოდეს.

– გისმენ და გემორჩილები.

– აბა ნახვამდის. ჯუმა დღეს ჩემთან გელოდები და ამბავსაც მომიტან. ისე კარგს იზამ გოგოსაც თუ მოიყვან, ზოგი რამ მინდა გამოვკითხო.

– კარგი ბატონო.

– სამაგიეროს რას მთხოვ ეფენდი?

– თუ არ განმირისხდებით, ერთი სათხოვარი მაქვს მართლაც.

– ბრძანე, გისმენ, რაა ისეთი რომ ვერ შეგისრულო...

– ნეფე-დედოფალს მეც მინდა გავყვე გურჯისტანში. მეც ხომ ქართველი ვარ, თქვენებურად გურჯი...

– ალლაპ, ალლაპ, რა ესმის ეს ჩემს ყურებს, ეს კი არ ვიცოდი.

– თუ ინებებთ მოგიყვებით ჩემს ამბავს დიდო ბატონო.

– სიამოვნებით, ოლონდ მეორედ რომ მოხვალ შემდეგ, თორემ ამდენიამბების შემდეგ გადავიდალე და აზრებიც კი მერევა.

– კარგად ბრძანდებოდეთ, დიდო ბატონო და ჯუმა დღეს გეახლებით.

მექმედ-ეფენდი იმ ჩაიხანაში შევიდა, სადაც მამუკა და ფატმა-ხა-თუნი ელოდნენ. ორთავეს ხელი მოჰკიდა და თავის სახლში წაიყვანა.

– თქვენი დაშორება ლვითისგმობასავით იქნება – თქვა მეპმედ-ხოჯამ.

– სალოლ ხოჯა-ბატონო, შენი იმედი გვაქვს – უპასუხა ფატმა-ხათუნმა.

– მადლობის გადახდა ორთავეს ბევრჯერ მოგიხდებათ, მაგრამ მე თქვენი მადლობა მაღამოსავით მომერგება, თუმცა უნდა იცოდეთ ისიც, რომ მე რასაც თქვენთვის ვაკეთებ, ლმერთის წინაშე ვიხდი ვალს მადლობასაც უფალი გადამიხდის და იმაზე მეტს, ვიდრე მთელი ოსმალეთი ერთად აღებული.

– რაა ასეთი მაღალი საქმე, რასაც ჩვენთვის აკეთებ და ჩვენ არ ვიცით. ვხედავთ, რომ ჩვენთვის სულს არ იშურებთ, ამაზე მეტი რა უნდა იყოს ნეტა? – ეხლა ორივეს მისამართით დასვა შეკითხვა ფატ-მა-ხათუნმა.

– მოვა დრო და ყველაფერს გაიგებთ. წინასწარ თქმა კი არ მაქვს დაცდილი კარგად. საქმე რომ გამოვა, მერე უნდა თქვა რომ გავაკე-თო.

– მართალს ბრძანებთ ხოჯა-ბატონო, გეთანხმებით და მუდამ თქვენი დამჯერე ვიქნებით.

– თქვენ ორთავეს კარგი მშობლები გყავთ და თქვენი შეკავშირებით გაიხარებენ, მაგრამ ჯერჯერობით თქვენი ამბავი ჩემს გარდა არავინ იცის. მე თქვენი გულის მესაიდუმლეცა ვარ და რაც არ უნდა მოხდეს, აუცილებელია ვიცოდე.

– ნაბიჯს არ გადავდგამთ ისეთს, შენი მოუწონარი რომ იყოს. ბავშვობიდან დამჯერე ვარ – უთხრა ფატმამ.

... და რომ ორთავე – მამუკა და ფატმა ნაშვილები იყვნენ, ეს მარტო მამუკამ და მეპმედ-ხოჯამ იცოდნენ. ფატმა კი ისე იზრდებოდა, როგორც ოსმალოს შვილი.

... და მისი ბავშვობა, რომ ლამაზი იყო, ამითაც ბედნიერი იყო ფატმა...

ნამით გადაერთო ბავშვობაში...

ფატმა ხათუნს არ ახსოვდა დატყვევება და გაყიდვა. რაღაც უხეში სიზმარივით გამოყვა ბავშვობის ნაწილი.

ციცქნა ბავშვი იყო, როდესაც ვიღაც ახმახმა მოიპარა აჭარული სოფ-ლის შუკაში და ოსმალთა გემზე აიყვანა ბათუმში. ივაჭრეს და მორიგლენი კიდეც. გაიყიდა პატარა გოგონა სხვებთან ერთად. რამდენი ტანჯვა-წამე-ბა და ვაება გამოიარა იმ დღიდან აღარც ახსოვს. ერთი სიხარულიანი დღე არ ჰქონია. როდესაც ტიროდა არავინ უყვავებდა, მათრახით აშინებდენ და ტირილით დაოსებულს სხვა ტყვების გვერდით მიეძინებოდა. სტამბოლის ბაზარში, აუტანელი მზის ქვეშ, მშეერი და დაკონკილი პატარა ხბოსავით გაჰყიდა ვაჭრობაში განაფულმა ოსმალომ.

ფატმა ერთმა ღვითსნიერმა უშვილო კაცმა იყიდა, ოლონდ თავი-სი ხანუმის თანხმობის შემდეგ. ცოლ-ქმარი ტიპიური ოსმალო სოფ-ლელები იყვნენ, ამიტომაც ცოტა თავის მოსაწყლებით იაფად დაათ-მობინეს ვაჭარს ბავშვი.

ქალი ბაზარში იქეთ-აქეთ აცეცებდა თვალებს, ხოლო ქმარმა, როდესაც პატარა ბავშვი დაინახა. ცოლი მოძებნა და უკან მოაბრუნა.

– შეხე მაიშექერ, რა ლამაზი ბავშვია, მოდი დავათმობინოთ იმ ვაჭარს. შვილი არ შეგვეძინა და უშვილოდ ხომ არ გადავეგებით. ბუნ-ჩულა ბავშვია, წავიყვანოთ, ვინ იცის ვის ხელში მოხვდება, ცოდვაა – თქვა ოსმანმა და ცოლს თვალებში შეხედა.

უშვილობის ხსენებამ მაიშექერს გული ატკინა, თუმცა ქმრისათვის არ უგრძნობინებია. თითქოსდა მხიარული სახით მიუბრუნდა და...

– აბა, რომელია? ეგერ რომ ტირის ის ხომ არა?

– ჰო, ეგაა.

– მერე, შე კაცო მაგის გამზრდელი ვართ ჩვენ? ამ ხნის ადამი-ანები ვართ, ბავშვი რომ ავიყვანოთ, ხალხი რას იტყვის?

– ხალხმა რაც უნდა ის თქვას, მე ღმერთის წინაშე ჰელბეთ ვალ-ში ვარ. ჰელბეთ ცოდვა მანევს. გამოვისყიდი ბავშვს, ცოდვაა, ხედავ რაფერ ტირის? მაგას ახლა შია კიდეც, რამდენი აწვალეს გზაში ვინ იცის. მაგის გაზრდით დიდ მადლს გავაკეთებთ და ღმერთი გვაპატიე-ბს მგონი, რამე ცოდვა თუ მიგვიძლვის. ხომ ხედავ, შვილი არ მოგვეცა.

– გვაპატიებს, თორემ ერთბაშად წყვილ-წყვილი ბავშვები არ გაგვიჩინოს ამ სიბერეში.

– მაგისთანებიც მომხდარა ქალო, შვილად აყვანის შემდეგ, თითქოსდა უშვილო ცოლ-ქმარსაც შეძენიათ შვილი. რაო, რა თქვი – სიბერეშიო? ჩვენ თუ ბერები ვართ ქალო... უარს ამბობ?

– არა ოსმან, თანახმა ვარ, წავიყვანოთ, გულს გადავაყოლებთ
მაინც, დედობას ვერ გავუწევ, მაგრამ დედის მაგივრობას კი ვიზამ.
დამლაპარაკებელი მეყოლება, როდესაც შინ არ იქნები. მეც
საზრუნავი მექნება და საჭორიკნოდ ვეღარ მოვიცლით ქალები.
„თამამ ბაი”*...

ოსმან-ალამ ჩალის ფასად გამოიხსნა ბავშვი გაკერპებული კა-
ცის ხელიდან და სახლის გზას ფეხით დაუყვა.

– ცოდვა კაცო ბალანა, ხელში აიყვანე, მაგას რომ წვალება აქვს
გადატანილი...

ოსმან-ალამ ბავშვი მალლა აიტაცა და მკერდზე მიიხუტა. ბავშვიც
ორთავე ხელით შემოეჭდო ყელზე და ცრუმლებით მხარ-კისერი დაულბო.

– ნუ ტირი გენაცვალე, მალე მივალთ სახლში – დაუყვავა მაიშე-
ქერ ხანუმმა ბავშვს და ლოყაზე მიუალერსა.

ბავშვმა ცრუმლნარევი, წუხილნარევი, სიხარულიანი თვალები
მიაპყრო მოალერსეს და ხელები მისკუნ გაიშვირა. თოთო ბავშვი
ოთხი-ხუთი წლის, პატარა ტანის, დაკონკილი ტანისამოსიდან მარ-
გალიტივით იმზირებოდა.

– სადმე ჩასაცმელი ვუყიდოთ კაცო, ასე ჩამოფხრენილს ხომ არ
მივიყვანო სახლში, სირცხვილია.

იქვე შუკაში შეუხვიეს, სოფლის მაღაზიაში, სადაც ნაირ-ნაირი
ფერის კაბები იყო. ოსმან-ალამ ბავშვი ჩამოსვა და კაბებთან მიიყვანა.

– რომელი გინდა გენაცვალე, აირჩიე – უთხრა ბავშვს, მაგრამ
პატარამ ვერაფერი გაიგო, რომელიც აქამდე ინსტინქტურად ემორ-
ჩილებოდა მათ. მაღაზიის შიგნიდან გამყიდველი გოგონა გამოვიდა
და ცოლ-ქმარს მიუახლოვდა.

– სადაური ბავშვია ნეტავი? – შეეკითხა

– მგონი გურჯისტანიდან უნდა იყოს – განაცხდა მაიშექერმა.
გამყიდველმა ცოტათი ქართული იცოდა და ბავშვს მიუახლოვდა.

– აბარომელი კაბა გინდა ლამაზო? დაადე ხელი – მიმართა ქართუ-
ლად. ბავშვს გაუხარდა, თავის ენაზე რომ დაელაპარაკნენ, მივიდა და
გოგონას ხელები შემოხვია, მიეკრო და თანაც ჩამოიტირა.

– ნუ გეშინია გენაცვალე, რომელი კაბა გინდა?

ბავშვმა რამდენიმეს მოჰკიდა ხელი და ალარ გაუშვა. ყველა შეიძ-
ინა ოსმან-ალამ. ერთიც საჩუქრად მისცეს, ზოგმა ნუგბარი უფეშქაშა.

– იყიდეთ ალბათ არა? კაი ბავშვი ჩანს, კაი გოგო გაიზრდება – უთხრა მაღაზიის მეპატრონები – ბელნიერება ნუ მოგაკლოთ ღმერთმა, ან რამე თუ დაგჭირდებათ ჩვენთან მობრძანდით, ფეხ-კეთილი ყოფილიყოს ეგ ბავშვი.

მაღაზიიდან გამოსულებმა გზა გააგრძელეს.

– რაფერ გაუხარდებათ კაცო მაზლიშვილებს პატარა ბალანა არა?

– შენ ეგ თქვი და – რავა მაიშექერ, შენ არ გიხარია ვითომ თუ რაა?

– არ მიხარია კი არა.... ხომ არ ვიცეკვებ ეხლა კაცო... მომეცი ეხლა მე ჩავიხუტო თვარა... ისე დედობას თუ მაგრძნობინებს, ეს მაგრძნობინებს.

– ეჰ, ბიჭი მაინც ყოფილიყო ეს ბედდამწვარი.

– რატომაა ბედდამწვარი, დამწვრები ვართ ქალო? მაგის ბედი ეხლა ჩვენა ვართ... მართლა მაგის ბედი, თორებ ჩვენნაირი კი არაა ყველა, წაიყვანდა ვიღაც და მოსამსახურედ გაზრდიდა. მოსამსახურის ბედი კი რაფერია, კარგად იცი შენ. ჩვენ კი შვილად აღვზრდით.

ოსმან-ალა და მაიშექერი სოფლის აღმართს შეუყვნენ. ბავშვი აქეთ-იქეთ აცეცებდა თვალებს, ხანდახან ამოისლუკუნებდა, მოეჭ-დობოდა ყელზე თავის დამხსნელს და გაირინდებოდა. ახალმა კაბებმა ცოტა გული მოულბო პატარას. გაინია, ძირს ჩამოსასმელად მისცა ნიშანი ამხუტებელს. აღმართი ფეხით აიარა, თითქოს გულმა უგრძნო რომ სახლს უახლოვდებოდნენ.

სახლიც კარგი ჰქონდა ოსმან-ალას. იგი საშუალო დონის გლეხი იყო. სოფლად პატივს სცემდნენ. მათ უშვილობას ყველა შეეწყებინა, მაგრამ აბა ვინ დაეხმარებოდა ამ საქმეში. როდესაც ბავშვი „შეიძინეს“ მათი სიხარული ყველამ გაიზიარა. ვის რა მოჰქონდა საჩუქრად და ვის რა.

რამდენიმე თვეში ბავშვს თვალებში დარდიანი შუქი გაუქრა. ბავშვები ათენ-ალამებდნენ მის გვერდით. იქვე მეზობლად ქართულის მცოდნე ერთი ოჯახიც ცხოვრობდა და მათი მეშვეობით ბავშვმა მისოვის უცხო ენაც შეისწავლა, ნელ-ნელა აითვისა.

გაითქვითა და ჩაიკარგა ოსმალური სოფლის ყოფაში გოგონა. სახელიც კი მშვილობლებმა შეურჩიეს – ფატიმა. სოფლის ცოდნაც

შეისიხლხორცა და ადათ-წესებიც. გაიზარდა და დამშვენდა. თუ ნაშვილები იყო, ისიც კი გადავიწყდა. სოფლის სკოლაში მიაღებინა განათლება ოსმან-ალამ, ხოლო როდესაც სასწავლებელი დამთავრა, სოფელი მიატოვეს და ქალაქში გადაბარგდნენ, თუმცა მთლიანად მაინც არ დაუტოვებიათ სოფელი. ჯუმა დღეს მეზობლების გულისგასახარად ადიოდნენ და მათ გვერდით ლოცულობდნენ, უქმ დღეებსაც იქ ატარებდნენ. არ იყვნენ ამპარტავნები, პატიოსნების განსახიერება იყვენენ და სოფელიც დიდ პატივს სცემდა.

ქალაქში ოსმან-ალამ კარგი სახლი შეიძინა, ხეხილიანი ეზოთი. სახლის ქვემოთა სართულზე ყავახანა გახსნა და აუარებელი მუშტარიც კი მიიზიდა. უხინჯვრ და ნამუსიანი მომსახურება ჰქონდა, ამიტომაც მუშტარი მის ყავახანას უფრო მეტად ეტანებოდა. იმდენი სიმდიდრე დააგროვა, რომ სახლის შემოგარენი ნამდვილ ბალნარად აქცია. მისი ყავახანის სახელიც „ჩიჩეგ-ხანის“* სახელით მოიხსენიეს.

ახალგაზრდებს ფატმა-ხათუნის სილამაზე უფრო იზიდავდა და მუშტრებიც გამოულევი იყო მის ბალნარში.

ერთ დღეს ხოჯა მეპმედ-ეფენდი ეწვია ოსმან-ალას ყავახანას მაპმუდის (მამუკას) თანხლებით, როგორც მამუკას აღმზრდელი ყველგან დაატარებდა თავისუფალ დროს.

მამუკამ ყავახანაში მშობლიური ქართული ლაპარაკი გაიგონა, არც მეპმედ-ეფენდის გამოპეპარვია მხედველობიდან მამუკას ყურების ცეკვეტა და მშობლიური ენის მოსმენა.

ფატმა-ხათუნი თავის მეზობელს დაბალი ხმით ეჩურჩულებოდა, ვისი წყალობითაც დაეუფლა როგორც მშობლიურს, ასევე ოსმალურ ენას. რომ არა ჯევრიე, ფატმას ქართულიც კი მიავიწყდებოდა.

ფატმამ ახალგაზრდა სტუმარზე მიუთითა ჯევრიეს.

– ჯევრიე-ბაჯი, ამ ბიჭს პირველად ვხედავ ჩვენს ყავახანაში. ოსმალს არ ჰგავს, მგონი გურჯია.

– თუ გინდა მივალ და ვკითხავ.

– სუ, გოგო რაფერ შეიძლება, შარიათი გვიკრძალავს.

– აბა, როგორ დავადგინოთ ვინაა?

– ყავას რომ მიუტან ქართულად მიესალმე და თუ გურჯია, არ შეიძლება არ გიპასუხოს ქართულად.

– ყავაც შენ მიუტანე და მიესალმე კიდევაც, მგონი მოგეწონა არა?

– მრცხვენია, არა ვერ ვიზამ.

– აბა მე მიყურე ეხლა. თუ არ მივიქციო მაგისი ყურადღება, ისე-დაც გვაკვირდება მგონია. მაგან ჩვენი ლაპარაკი გაიგონა, ან კიდევ რომელიმეს დაგვადგა თვალი – თქვა ეს და დახლს იქეთ გაუჩინარდა.

– ფატიძა. მოდი აქეთ, მომებმარე მარტო ვერ ვაკეთებ – დაუძახა ჯევრიემ ხმამალლა და თან მალულად მაგიდისაკენ გაიჭვრიტა.

მამუკამ თვალები ჭყიტა და თავი ქალიშვილებისაკენ მიაბრუნა.

– გურჯია ფატმა-ბაჯი, მეტი რა გინდა, მგონი მოგეწონა ხომ?

ფატმამ დაიმორცხვა, მაგრამ ყავიანი ფინჯვები მაინც თვითონ მიუტანა მუშტრებს.

მეპმედ-ხოჯამ ალლო აულო ყველაფერს და ყავის მოტანი-სთანავე ქართულად შეეკითხა:

– მოიცა შვილო, სადაური ხარ, ვისი შვილი ხარ, ან აქ რას აკეთებ?

– ყავახანის მეპატრონის შვილი ვარ – დამორცხვებით მიუგო ფატმამ და ფეხაკრეფით გაშორდა სტუმრებს.

– რა იყო მაპმუდ, მოგეწონა ხომ? ჩვენებურია, ქართველი, მაგრამ ყავახანის პატრონირომოსმალია. აქრალაც ამბავია. აქაური ასე ლამაზ ქართულს ვერ დაილაპარაკებდა. ეგვეც გამოტაცებულია საქართველო-დან, მაგრამ აქ მსახურად არაა, ხომ ხედავ მეპატრონის შვილი ვარო. ეს კაცი მგონი უშვილო უნდა იყოს და ეგ გოგონაშვილები ჰყავს, ასე ვთქვათ „ნაყიდი“.

მამუკა თვალებად იქცა.

იმ დღის შემდეგ მოუხშირა ოსმან-ალამ ყავახანაში სიარულს... ბევრმა წყალმა ჩაიარა, ვიდრე ოსმან-ალარალაცას იგუმანებდა. ერთ ჩვეულებრივ დღეს ყავას მიირთმევდნენ ხოჯა და მამუკა. ვიდრე მა-მუკა გოგოს თვალებით ჭამდა და ერთ ადგილას ვერ ისვენებდა, ოს-მან-ალა სამალავიდან გამოვიდა და სტუმრებს თავზე წაადგა.

– „სალამ ალეიქუმ“ ხოჯა-ეფენდი.

– „ალეიქუმ-სალამ“ ოსმან-ალა – სალამი დაუბრუნა და ოდნავ გაკვირვებულ მეპატრონეს ირბად ახედა – „ნე ოლდი“* ეფენდი.

– რაცხა ძალიან მოუხშირეთ ჩემს ყავახანაში სიარულს ხოჯა-ბატონო. საქმე არა გაქვთ? ნამეტანი ხომ არ მოგდით?

– „ეთმე-ილამა”* ოსმან-აღა, მეც აქვე ვცხოვრობ, თქვენ ახლოს. ცოლი მე არ მყავს და შვილი. ყავის ან ჩაის დასალევად აბა შორს ხომ არ ვივლი? თუ გწყინს მუშტრის მოსვლა კარგი აღავ, მაშინ სხვაგან ვივლით.

– მე მაგ მიზნით არ მითქვამს, მერეც ცოლ-შვილი არ მყავსო აბა ეგ ვაჟბატონი ვისია?

– ეეჭ, ოსმან-აღა, მე მისი მასწავლებელი ვარ. ეს კი დიდი სე-რასკერის შვილია.

ოსმან-აღას უკმერი სიტყვა უნდა ეკადრებინა ხოჯისთვის, მაგრამ სერასკერის ხსენებამ წელში მოდრიკა და მამუკას მაღალი წრისათვის მისალები სალამით მიესალმა.

ფატმა-ხათუნს არ გამოპარვია მხედველობიდან ეს მოქცევა. იცოდა მამის გავლენა და ძალიან გაუკვირდა ასე მოდრეკილი რომ დაინახა, ისიც ვიღაც ახალგაზრდა მაჰმუდის წინაშე.

ოსმან-აღა უკან-უკან სვლით დახლის უკანა კარით ბალში გავი-და და იქვე ჩეროში მიესვენა.

– რა იყო მამა, რამ დაგალონა ან ფერი რატომ გადევს ეგეთი სახეზე? – ჩაეძია ფატმა.

– კინაღამ სერასკერის შვილს ვაწყენინე შვილო. იმნაირი თვალებით გიცქერდა რომ... აღარ დაამთავრა სათქმელი და ფატმას სახეში შეხედა.

– მიყუროს რამდენიც უნდა – თქვა ფატმამ, მაგრამ მამას თვალებში ვეღარ შეხედა.

– მიმალავთ რაღაცას შვილო – წყენანარევი კილოთი მოიკითხა. ფატმას ტირილი აუგარდა და ყავახანაში შევიდა.

ხოჯა და მამუკა რაც ყავახანის სტუმრები გახდნენ, მის შემდეგ კარგმა დრომ განვლო. იქეთ ფატმა იწვოდა, აქეთ კი მამუკა და... ერთ დღესაც შემთხვევით ორთავე პირისპირ აღმოჩნდნენ ქალაქის ერთ-ერთ მაღაზიაში.

– გამარჯობა ფატმა – მიესალმა მამუკა.

– იცოცხლე ბატონო – მიუგო ფატმამ და მდაბლად დაუკრა თავი. კი მაგრამ როგორ მიცანით ბატონო, ან რა გნებავთ?

- შენი სიცოცხლე და ბედნიერება, მეტი არაფერი.
- აბა კარგად იყავით – თქვა და ნაბიჯი გადადგა.
- მოიცა ნუ წახვალ.
- რა გნებავთ ბატონო? სირცხვილია, დაგვინახავენ. – თქვა და თავი ჩაღუნა, სახე აელანდა.
- მომზონხარ ფატმა, უშენოდ ალარ შემიძლია.
- მეც, თქვა მიბნედილი, ელდანაკრავი ხმით და მაღაზიდან გავიდა.
იმ დღის შემდეგ ხოჯას წყალობით ხშირად ხვდებოდნენ ერთმანეთს ფატმა და მამუკა. ხარობდნენ ახალგაზრდები და... არც ოსმან-აღა და არც სერასკერი ბაიბურში არ იყვნენ. ოსმან-აღა ვერ ბედავდა ხმის ამოლებას, სერასკერს კი არ ეცალა და არც არაფერი იცოდა.
- ცხოვრება კი თავისი დინებით მიედინებოდა და ისტორიის ჩარხი ხან წალმა და ხანაც უკულმა ტრიალებდა. დროთა მდინარებამ ფატმაც და მამუკაც ჩაითრია თავის ტალღებში. წრეს არ გადამცდარან არასოდეს. ორივემ იცოდა ქართულიცა და ოსმალურიც. უფრო მეტად კი ქართულმა დაახლოვა ერთმანეთი.
- როდის ვიქორწინებთ? – ეს მერამდენედ ეკითხებოდა ფატმა მამუკას.
- ცოტა კიდე დავიცადოთ, მგონი რაღაცები ხდება ჩემს თავს თუ რა ეს არ ვიცი.
- ღმერთო, უბედურება აგვაცილე – შეევედრა უფალს ფატმა.
- ნუ გეშინია, საქმე ყოველგვარი კეთილად მთავრდება ჩვენთან, ხომ იცი, რამხელა თანამდებობის პირია მამა – დააიმედა ფატმა მამუკამ ერთ დღეს და მორიგი შეხვედრის დრო დათქვეს.
- ფატმა უზომოდ ბედნიერად გრძნობდა თავს.

ოსმალეთში პოლიტიკური ვითარება შეიცვალა. მთავრობაში შეხლა-შემოხლამ მასიური ხასიათი მიიღო. ახალი სულთნის არჩევა დღე-დღეზე უნდა მომხდარიყო. ცხოვრების პირობები გაუარესდა. სიძვირე სულს ხდიდა მშრომელ ხალხს, საშუალო ფენასა თუ გლეხებს.

ოსმან-აღას ყავახანას მუშტარი შეუთხელდა, იკლო შემოსავალ-მაც და ოსმან-აღა დარდმა შეიპყრო. ძველებური მედიდურობით ვე-

ლარ აბოლებდა ნარგილეს თავის რჩეულ საზოგადოებაში, რომელიც მის ბალში იყრიდნენ თავს. მწუხარებამ ხელი დარია, ცალკე ფატმას ბედზე დარდობდა და ცალკე კიდევ თავისაზე – სიმდიდრის წყალობით მაღალ საფეხურზე რომ უმიზნებდა, დროებით შეჩერდა. ამ არეულობაში მისთვის ვიღა მოიცლიდა. არც ისეთი ახლობელი ვინმე ჰყავდა, გულის დარდი რომ გაემხილა. ერთადერთი, ვიზეც შეიძლებოდა გულის გადაშლა, ხოჯა მეპმედ-ეფენდი მიაჩნდა, მაგრამ ისიც ახალი ნაცნობი იყო...

ამის გაფიქრება და ხოჯის გამოჩენაც ერთი იყო – შეაბიჯა ყავახანაში და არჩეულ მაგიდას მიაშურა. ყავა შეუკვეთა, თესპე ჩამომარცვლა და ფანჯარაში გაიხედა.

წარბი შეუთამაშდა ხოჯას, რაც კარგად ჰქონდა დაცდილი. დღეს უღალატა ჩვეულებას და მაპმუდის გარეშე შევიდა ყავახანაში. მაპმუდი კრივის დარბაზში დატოვა და სანამ ვარჯიშს დაამთავრებდა, აქ ელოდებოდა.

ფატმამ ყავა მიართვა, მაგრამ ხოჯას გასაწყლებული კითხვი-ანი თვალები შეანათა.

მიუხვდა მეპმედ-ხოჯა ფატმას დანაღვლიანებულ თვალებს და სანამ ის რამეს შეეკითხებოდა თვითონვე დაასწრო.

– შენ ეშმაკო, გულზე მოგხვდა დღეს რომ მარტო შემოვედი? აქამდე არ მითქვამს და არც მამუკას წამოცდენია – ვარჯიშობს შვილო კრივში და იცი რა წარმატებებს აღწევს? მერეც ნავარჯიშევი, კუნთმა-გარი, ჯანმრთელი მოკრივე გვერდით რომ გეყოლება, ამას რა სჯობს.

ფატმა გაიბადრა და ხოჯას მოცილდა.

ოსმან-ალამ შემოაბიჯა ყავახანაში, ხოჯა რომ მარტო დაინახა, მამუკა მოისაკლისა, ვინაიდან მათს ერთად ყოფნას იყო მიჩვეული. ისიც კითხვიანი თვალებით მიაჩერდა ხოჯას.

– „სალამ ალეიქუმ“ მეპმედ-ეფენდი, დღეს რატომლაც მარტო მობრძანებულხართ, ხომ მშვიდობაა?

ხოჯას გულში ჩაეცინა, ისე თითქოს მოიფხანა, იგრძნო, რომ ოსმან-ალასაც თვალიდაედგა სასიძოდ გამზადებულ მამუკაზე. საამისო არაფერი აგრძნობინა, მაგრამ გაეხარდა ძალიან.

– „ალეიქსუმ სალამ“ ოსმან-აღა. მშვიდობა რომ არ იყოს, აქაც ვერ მოვიდოდი. მაჲმუდი სავარჯიშოდ წავიდა დარბაზში და მე აქ დაველოდები.

– ხოჯა-ბატონო, ყავას რომ მიირთმევთ, შემდეგ ბაღში შემობრძანდით, ცოტა სასაუბრო მაქვს. აქ მარტოდ ხომ არ იჯდებით შენი ვაჟკაცის დაბრუნებამდე.

– „საღოლ“ ოსმან-აღა, აუცილებლად შემოვალ.

როდესაც ხოჯა ოსმან-აღას ბაღში შევიდა ის უკვე ნარგილეს აბოლებდა.

– დაბრძანდი ხოჯა-ბატონო. ნარგილე ხომ არ გავაწყობინო შენთვისაც? თუ არ ეტანები?

– ხოჯიობა და ნარგილე სად გაგონილა? ცოდვაა დიდი.

– ის ცოდვა არაა ხოჯა-ბატონო ჩვენი ჯარი ქვეყნებს რომ იპყრობს და სისხლის მდინარეებს? კაცის კვლა ცოდვა არაა?

– ეჰ, რა გიპასუხო, გეთანხმები, მაგრამ სახელმწიფოს თუ ასე სჭირდება, მეტი რა გზაა.

– მოდი პოლიტიკას მოვეშვათ, უჩვენოდ მოაგვარებენ, ჩვენ შინაურ ამბებს მივხედოთ.

– ჰო, შენ რაღაცაები გაინტერესებდა, მზად ვარ პასუხი გაგცე, თუ რამე შემიძლია.

– აქამდე არ მიკითხავს და ეხლა მაინც გამაგებინე, სერასკერის შვილობილი, რომ სულ შენს გვერდითაა, რა ნათესაური კავშირი გაქვთ ან შენ და მაჲმუდს, ან კიდევ შენ და სერასკერს?

ხოჯამ უმაღლ ალღო აუღო ოსმან-აღას შეკითხვას და პასუხისათვის თავი აღარ აურიდებია, თუმცა პასუხამდე დაასწრო და თავად დაუსვა შეკითხვა.

– როგორ მიდის შენი საქმეები ოსმან-ეფენდი, ვაჭრობა ხომ არ შეთხელდა?

– ისე არ გავლატაკდებით ვინმეს დასაცინი გავხდე.

– მე მაგისტრის არ მიკითხავს – ცბიერება გაურია ხოჯამ სიტყვაში.

– შენ ხოჯა-ბატონო კითხვაზე არ მიპასუხე. მე კი ძალიან მაინტერესებს თქვენი ნათესაური კავშირები.

- არავითარი ნათესაური კავშირი არაა. მე მაპმუდის აღმზრდელი ვარ, მასწავლებელი და დამცველი. ხოლო, რაც შეეხება ნათესაობას – მე და მაპმუდის სამშობლო ერთი გვაქვს, სერასკერს კი სხვა.
- დიდო ალლაჰ, სერასკერი სხვა ქვეყნიდანაა?
- არა, ჩვენ ვართ სხვა ქვეყნიდან...
- აბა შვილობილი?
- ეს გრძელი ამბავია, თუ გაინტერესებს მოგიყვები.
- მეპმედ-ეფენდი მეორედ რომ შემომივლი შემდეგ მომიყევი ყველაფერი. ეხლა კი მაინც მიპასუხე – შენ და სერასკერს როგორი დამოკიდებულება გაქვთ ერთმანეთთან?
- ძალიან კარგი, ოჯახის წევრივით ვყავარ მიღებული. კაცმა შვილი ჩამაბარა და... რა იყო, რამე განუხებს?
- სადმე მაღალ საზოგადოებაში მინდოდა მოხვედრა, ადამიანობა არ მაკლია, ქონება, ერთი ნაბიჯით წინ რომ წავინეოდე... – ალარ დააბოლავა სათქმელი.
- ჰორ? მაგ საქმეში მგონი ველარ გიშველის ოსმან-ბატონო. ეს-ესაა ამ არეულობაში ჩემს მეგობარსაც შეუყენეს წყალი, ისე მოიშორეს თავიდან, როგორც ლერი თმა. ეხლა სახლში ზის და ოჯახის სიხარულით ტკბება – ეს თქვა და თვალი შეავლო მოსაუბრეს, ფერფური რომ ეცვალა, ეს შეამჩნია ხოჯამ.
- მდაა, ალარ ყოფილა ჩემის საშველი. ცოტა ადრე რომ მეფიქრა...
- მთლად ნუ გადაიწურავ იმედს ოსმან-ეფენდი, დალაგდეს ვითარება, ახალ სულთანს ავირჩევთ და... იქნებ სერასკერს ისევ გამოუძახონ და...
- არის ვითომ რაიმე საშუალება? ვიქონიო იმედი?
- იმედის ნაპერნკალს კი ვხედავ, მაგრამ შენი მტკიცე იმედიც უნდა მქონდეს. თუ ამ შანსს ვერ გამოიყენებ... ალარ დაამთავრა სათქმელი ხოჯამ.
- ოსმან-ალასაფექრალს მიეცა, თვალებიც საფლაც შორს გაუქცა.
- რა უნდა იყოს ისეთი რომ ვერ შევძლო.
- შეუძლებელი ფეილამბრობაა თვარა, სხვა ყველაფერს მოევ-ლება, ჰოდა შენი იმედი უნდა მქონდეს ალავ.
- ოლონდ მაღალ საზოგადოებაში მოვხვდე და არაფერს დავი-შურებ.

- სიტყვა სიტყვაა იცოდე.
- გნებდები. რა პირობას მიყენებ?
- მოიტა ხელი.
- ხელი რა შუაშია, ამ წვერს გეფიცები ეფენდი.
- წვერი თორემ, ხვალ შეგიძლია გაიპარსო...
- ოსმან-აღას გაეცინა ხოჯას მახვილსიტყვაობაზე.
- კარგი, როგორც გსურს.
- მე კი არ მსურს, ისევ შენი სიკეთე მინდა თორემ, აბა მე რა მაქვს დასაკარგი, ან ვინ რას მაძლევს.
- ოლონდ ეს საქმე გამოვიდეს და გულნაკლულს არ დაგტოვებ.
- მე ოსმან-აღა კაცობა მაქვს და ამ საქმიდან გამოსარჩენს არ მოველი.
- რაა ბოლოსდაბოლოს შენი პირობა აღარ მეტყვი კაცო?
- შენს ფატმას და მაჰმუდს ერთმანეთი მოსწონთ რა ხანია და თუ ამ ამბავს გულცივად არ მოეკიდები, სერასკერყუფილი რაღაცას მოგიხ-ერხებს მაღალ საფეხურზე რომ აინაცვლო. ხომ გითხარი, შეიძლება ისევ დააბრუნონ უკან, ახალგაზრდა კაცია და ჯერ ისევ დასჭირდება მთავრობას, მითუმეტეს რომ არავითარი ხინჯი არა აქვს და მომდუ-რავიც არავინ ჰყავს. ჯერჯერობით მის სიტყვას ისევ წონა აქვს.
- ოსმან-აღა ისევ ჩაფიქრდა და შორს მენამულ ღრუბლებში შემა-ლულ მზეს გახედა.

ემწვავა ამ ამბის მოსმენა.

„შვილობილს როგორ უნდა შეველიო, არადა გათხოვების ასაკ-იც რომ აქვს უკვე? ვიღლაც თხერ-მამაძალლი რომ გადაეკიდოს, მერე მოგჭამა ჭირი. არა, ჩაყოლა სჯობია მგონია. არ უნდა ჩანდეს ურიგო ბიჭი, რაც არ უნდა იყოს სერასკერის შვილობილია, თუმცა, ნუთუ...“

- ხოჯა-ეფენდი, ერთი რამ ეხლავე მითხარი და ვიფიქრებ ამის შემ-დეგ, ოლონდ ნამდვილად გამაგებინე რაც მაინტერესებს.

- გისმენ ოსმან-აღა.

მეპმედ-ეფენდის სახეზე ლიმილმა გადაურბინა, მიხვდა რისი შეკითხვაც სურდა ოსმან-აღას და იმედი ჩაესახა. თუმცა ოსმან-აღას არ შეუმჩნევია ხოჯის გალიმება.

- ჰო, ოსმან-აღა.

- სადაურია მაჰმუდი?

– საქართველოდან, ახალციხე გაგიგონია? ახისხას ეძახიან ოს-მალები, თორემ ნამდვილი სახელი ლომისია.

– შენ ეფენდი სადაური ხარ?

– მეც ოსმან-ბატონი საქართველოდან ვარ, გურჯისტანიდან, მაგრამ ეს უკვე ძველი ამბავია და შენთვის არ იქნება საინტერესო. ისე შენი შვილობილიც გურჯისტანიდანაა, აჭარიდან – ასე არაა ოს-მან-ბატონო?

ოსმან-ალას გულში რაღაც ჩასწყდა. თითქოს ხოჯის სიტყვებმა ნიადაგი გამოაცალა. ხოჯა ნიშნს უგებდა – ვიცი ბატონი არც შენა ხარ დიდი ბედენა, შვილი არ შეგეძინა და ვიღაც გომბიო გიშვილები-აო. მოუხვდა ოსმან-ალა ყველაფერს და ცოტა ეწყინა კიდეც, მაგრამ არ შეიმჩნია, აქამდა ვითომ არ მსმენია.

– ჩვენი ამბები არც ისე უინტერესოა მეპმედ-ბატონო, შეიძლება წიგნიც კი დაინეროს. ვილაპარკოთ, ოლონდ ცოტა მოგვიანებით. ახლა კი საშუალება მომეცი, ცოტა ვიფიქრო.

– იფიქრე ბატონო, იფიქრე – ჩაიქირქილა ხოჯამ და ყავახანის პატრონს ფეხაკრეფით გაშორდა.

მამუკა უკვე დაბრუნებულიყო და ფატმასთან განმარტოებუ-ლიყო – „ჩიჩეგხანის ბალის კუთხეში” ამოჩემებულ ადგილას იდგნენ და ჩურჩულებდნენ. სანამ მათი მამობილების (მეპმედ-ხოჯაც მამო-ბილივით იყო მამუკასათვის) თვალს მოშორებული იყვნენ და რიდი არათრის ჰქონდათ, ერთმანეთს ესიყვარულებოდნენ. მეპმედ-ხოჯამ თვალი უყო მამუკას, ისიც სასწრაფოდ მოშორდა ფატმას და ეზოს გარეთ გავიდა. ხოჯა ფატმას მიუახლოვდა.

– ფატმა-ხანუმ თუ შეგიძლია ქალაქში გამოხვიდე, თუნდაც ეხ-ლავე. რას იტყვი, მამობილი ხომ არ გაგიბრაზდება?

ფატმას სახეზე ფერ-ფურმა გადაურბინა და იქვე სკამზე ჩამოვდა.

– ვინ ეფენდი?

– მამობილი შენი, ოსმან-ალა. რა არ იცოდი თუ? – გაიკვირვა ხოჯამ.

– რას მერჩი ხოჯა-ეფენდი? – თქვა და აქვითინდა.

– საწყენად არ მითქვამს შვილო. ნამდვილად არ ვიცოდი შენ ეს ამბავი თუ არ იცოდი აქამდე. ეხლა რახან ჩემგან გაიგე ასეთი მოუ-ლოდნელი ამბავი, გთხოვ მაპატიო, წინდაუხედავად მოვიქეცი.

– თუ სიმართლეა, საპატიებელი რა გაქვს, მაგრამ რა იცი ჩემს შესახებ ეფენდი?

– ბევრი რამ შვილო და თუ ხვალ ქალაქში გამოხვალ ბევრ რამეს მოგიყვები და არათუ გენებინოს, მადლობასაც მეტყვი.

– გამოვალ ხოჯა-ბატონო. მამა ხვალ სახლში არ იქნება, ამაღამ სოფელში მიდის ქორწილში და დედისგან როგორმე დავიხსნი თავს. ეხლა ვაჭრობაც არაა ისეთი და ჯევრიეც ეყოფა ყავახანას. რომ მომაკითხავდეთ ჯარბია, მარტო სად ვიარო, იმდენი ოხერტიალია ქალაქში, ნამდვილად მეშინია მარტო გავლა.

– არ გაგიგოს ეშმაკობა და არ ჩაგვმწარდეს.

– ნუ გეშინიათ. მაშინ ისევ ყავახანაში შემობრძანდით და აქედან გამოგყვებით.

მეორე დღეს მამუკასათვის უქმე დღე იყო და ესეც აადვილებდა საქმეს. დილიდანვე მოვიდნენ ყავახანაში. ყავაც დალიეს და ფატ-მასთან ერთად ქუჩაში გავიდნენ.

– აქედან ეხლა ჩემთან წავალთ, რას იტყვი ფატმა.

– უხერხეული არაა ეფენდი?

– არა. შენც ხომ გაინტერესებს რაღაცები და ბარემ მოგიყვები. სამივენი ჯამეს მიუახლოვდნენ.

– ვაიმე, აქ რა გვინდა ეფენდი?

– ეს ჩემი ჯამეა, სახლივითა ჩემთვის. გინდ სახლში მიმიყვანიხ-არ და გინდ ჯამეში, შენთვის სულერთი არ არის?

– არა ეფენდი, „აბდესი”* არ ამილია.

– აბდესი მერე აიღე, როცა გაგესაუბრები. ეს ოთახია და არა სამ-ლოცველო.

ხოჯამ თავისი ოთახის კარი გაალო და ფატმა და მამუკა მიინვია. მამუკა მიჩვეული იყო, ფატმა კი დაიმორცხვა.

– მოდი, მოდი, ნუ გრცხვენია. ჩემთვის შვილებივით ხართ.

– არავინ შეგვამჩნიოს ეფენდი.

– ნუ გეშინია. თქვენ აქ დამელოდეთ, მე შუადლეს ვალოცებ ხალხს და მოვალ.

ფატმა რბილ სავარძელში მოთავსდა და ხოჯას კითხვის თვალები მიანათა. ხოჯა ჯამეში შევიდა. რამდენიმე წუთში ჯამე მლოცველებით აივსო.

შეუდღის შემდეგ ხოჯა მოჭუკუკუკე წყვილს დაუბრუნდა.

– გისმენ ხოჯა-ბატონო, რაიმე თუ იცი ჩემს შესახებ, არ დამიმალო.

– შენი ბავშვობა თუ გახსოვს შვილო?

– რომ გამომიტაცეს სოფლიდან და გემზე ამიყვანეს, იქედან მოყოლებული ყველაფერი მახსოვს, მაგრამ დედობილ-მამობილი ისე კარგად მეპყრობოდნენ, ყველაფერი დამავინწყდა და აღარც მინდოდა გასენება. შენ რომ არ გეთქვა, ნამდვილად არაფერი მახსოვდა.

– შვილო გვარი არ გახსოვს შენი? ან სოფელი?

– ხუთი წლისაც არ ვიყავი, გვარი კარგად არ მახსოვს, რაღაც გრძელი გვარია და სიტყვაში „დელი“* ურევია.

– სოფელი?

– მგონი აქნა თუ აქცვა არ ვიცი. ბალანა აბარას დავიხსომებდი.

– მაი სოფლები მართლაც არის აქარაში, ბათუმიდან კარგად მოშორებით. მაგის მსგავსი გვარი კი რამდენიმეა გურჯისტანში – ჭალადიდელი, მურადელი, ნოღაიდელი, ალავერდელი, ჭყონდიდელი.

– მგონია ნოღაიდელი უნდა იყოს... არ ვიცი, არ ვიცი, აღარაფერი არ მახსოვს. ობოლი ვიყავი, ბებია და ბაბუა მზრდიდნენ, მარა მათი სახელები თუ გამახსენდება კარგი იქნება... იცი, მეჟმედ-ეფენდი, აქ რაღაც ავადმყოფობა შემეყარა და მის შემდეგ მეხსიერებიდან ბევრი რამ გადაიშალა. რაც გითხარი შეიძლება ისიც კი დამესიზმრა. ყველაზე მეტად ის მახსოვს დედობილ-მამობილი რომ მეფერებოდნენ როდესაც მიყიდეს. მარა მაშინ ენა არ ვიცოდი აქაური და არც არაფერი მიკითხავს მათვის. როდესაც ენა შევისწავლე, ისეთი მეზობლები მყავდა და ისე მანებივრებდნენ, ჩავიკარგე მათ ყოფაში. მეტი რაღა. ახლა თქვენს ხელთა ვარ. რაც მე ვიცოდი მოვყევი ყველაფერი.

– ის რაც მე უნდა მომეყოლა, მართლა გცოდნია შვილო შენ და მე აბა რაღა უნდა გითხრა ისეთი, რომ გაგაკვირვო? ოსმან-აღამ და მაიშექერ ხანუმმა შენ რომ გამოგიხსნეს, მაშინ იმ ბაზარზე მეც ვიყავი. ბათუმიდან გემი რომ ჩამოვიდა გავიგე და მივედი იმ მიზნით, ვინმე ჩვენიანი მენახა და შემთხვევით შენს ამბავს შევესწარი. ნაწნავებით ეჭირა შენი თავი უბედურ შენს გამყიდვებს. ჩამოფხენილ-ჩამოკონკილი და ფეხშიშველი, მშიერი, ნამტი-რალევი, და ამათ რომ გამოგიხსნეს იმ ოხერის ხელიდან, ვიგრძენი ნამდვილი პატრონები იქნებოდნენ და აღარაფერი მითქვამს. დამ-

ასწრეს ნამდვილად თორემ მე უნდა წამომეყვანე. რაღა აზრი ჰქონდა შენი დელობილ-მამობილის ვინაობის და მისამართის გაეცეს, მივხვდი რომ ღვთისნიერი ხალხი იქნებოდნენ და ხალი ჩავიქინიე. ყავახანაში რომ დავინახე ოსმან-ეფენდი, მაშინ გამახსენდა კიდეც მისი სახე, აღნაგობა და დიდხანს ვაკვირდებოდი და შენც რომ დაგინახე ქართულად მოლაპარაკე, ვთქვი თუ იქნება, ეს იქნება-მეთქი. დიდხანს ვაკვირდებოდი და დავანამდვილე რომ ბაზარში შეხვედრილები თქვენ იყავით – კისერში დიდი ხალი რომ გაქვს იმით დამამახსოვრდი. ყავახანაშიც წამით დავინახე შენი ხალი....

– ჰო, მართლაც მაქვს ხალი.

– აბა ამდენი ტყუილად გელაპარაკე? გეუბნები ვიცი მეთქი და მაშინდელი ჩემი სურვილი მე გამომეხსენი იმ ვაჭრიდან ნაწილობრივ დავიკმაყოფილე იმით, რომ ეხლა ჩემს გვერდით იმყოფები და ჩემი სარძლოც ხარ. ღმერთმა ისე აგისრულოს ყველაფერი, რაფერც მე ამისრულა შენი ხელმეორედ ნახვის სურვილი. რაღაც არსებობს ქვეყნიერებაზე ხომ ხვდები. მაშინ შენი საცოდაობით გული დამეხრუკა და ახლა ხომ ბედნიერი ვარ და ვარ – ჩემს შვილობილს გვერდს რომ უშმევენბ.

– ხოჯა-ბატონო აქამდე მატყუებდი თუ რა არის ველარ ვხვდები, შენი შვილობილია თუ სერასკერის?

– რამ გაყო შვილო, სერასკერის სახლში ღამეს ათევს, ისინი აცმევენ და აქმევენ, დანარჩენი ჩემს ხელთაა. რა, ცუდად აღვზარდეთუ? ხომ არ გადაიფიქრე?

– არა ბატონო, გადაფიქრებით არა მაგრამ, აწე როგორ წარიმართება ჩემი ბედნი?

– ხოჯას ნათქვამს თუ არ ენდობი, მამუკამ ხომ იცის ყველაფერი, არ გაგიმხელიათ ერთმანეთისთვის ყველაფერი?

გული აუჩუყდა ფატმას, სახეზე წამონითლდა და ცრემლებად დაიღვარა.

– ამას ტირილი კი არ უნდა შვილო, ერთმანეთს უნდა გაუგოთ და დაფარული აღარ უნდა გქონდეთ არაფერი.

– სიხარულმა ამიჩუყა გული ხოჯა-ეფენდი, მატირე ცოტა ხანს სიხარულისა... ჩვენ უკვე გავუგეთ ერთმანეთს და ამიტომაც ვიმყოფები ახლა აქ. აწე რას ვაპირებთ, აღარ მეტყვით?

– ეხლა აქედან მამუკას მამობილთან წავალთ და დანარჩენს იქ ვილაპარაკებთ.

– ვაიმე, უხერხულია. სერასკერთან მე რა მესაქმება?

– მამუკას ცოლობას თუ აპირებ, მამობილ-დედობილსაც ხომ უნდა იცნობდე? დედობილიც შენსავით გამოტაცებულია გურჯისტანიდან.

ფატმას თვალები გაუფართოვდა.

– ღმერთო, ნუ გადამრევ. კარგი თანახმა ვარ, წავიდეთ, მაგრამ ხომ არ გაგვირისხდებიან?

– არა, თვითონ მთხოვეს შენი მიყვანა.

– ხოჯა-ბატონო გოგო დასანახავად სახლში მიყავთ თუ მის დასანახავად მასთან მიდიან? სადაური წესია? ესე იგი თვითონ მოითხოვეს არა? ასეა საქმე? მაშინ ერთი რამ მაინც ამიხსენი – ამის იქეთ რას გვიპირებთ?

– დაგაქორწინებთ და მერე, ცოტა მოგვიანებით მამუკას მამულში გადაგიყვანთ, ეს უკვე გადაწყვეტილია.

– მერე მამუკას მამობილ-დედობილი, ან ჩემი? მერე თქვენც კიდევ როგორ უნდა დაგტოვოთ ხოჯა-ბატონო? როგორი შეჩვეულები ვართ მერე?

– მეც თქვენთან ერთად მოვდივარ, მაგრამ ისე უნდა გადავიპაროთ, შენიანებმა ვერაფერი გაიგონ, მერე კი სერასკერი ყველაფერს მოაგვარებს.

– თვითონ თანახმაა?

– კი ხელს ის გვიწყობს, თორემ აბა ჩვენ რას გავხდებით.

– ერთი რამ ძალიან მაკვირვებს, ამდენხანს ზარდა, ყველაფერი ხომ ფული ჯდება, ჯერ მოტაცება და ეხლაუკან გაშვება რა მუდამია?

– სერასკერს სხვაგვარი გეგმები აქვს, ჯერ არ გვიმხელს.

– სად გვიპირებენ მაინც გასტუმრებას?

– ახალციხეში ანუ ქართულად ლომისში.

– იქ ხომ ქრისტიანები არიან?

– მერე რა, სიყვარულმა რჯული არ იცის. მიუხედავად იმისა თქვენ ორთავე მუსლიმანურად ხართ ალზრდილები, თუ საქრისტიანო საქართველოში იცხოვრებთ, იქ მეტი თუ არა სტუმართმოყვარე

ხალხია. მამუკა ხომ ქრისტიანად დაიბადა და თავის მშობლებთან მიღის, შენ ხომ ქრისტიანი ხარ, ან წოლაიდელი, ან ჭყონდიდელი თუ რა-იქაც ხომ შენი სამშობლოა და მეც კიდევ საქართველოდან ვარ.

– ლმერთო შემენიე მე უბედურს.

– უბედური რათა ხარ შვილო, ქართველი ხარ და ქართველის ცოლი უნდა გახდე და ხომ ხედავ, სულ ქართული მოდგმისა შევიყ-არეთ, ან შენი ბედნიერების მსურველი ვართ ყველანი. ლმერთია დამხმარე და გაგვიმართლებს ყველაფერში, რამეთუ ბოროტებას არ ჩავდივართ.

– ლმერთმა გვისმინოს ეფენდი.

სერასკერის სახლს მიუახლოვდნენ.

მამუკამ კიბეები თვალისდახახმაბაში აირბინა და თავის ოთახ-ში შევიდა. ილდიზ-ხანუმი ფანჯრიდან ათვალიერებდა მოსულთ. ხოჯა რომ შეიცნო, გავიდა და მიიპატიჟა.

– მოპრძანდით ეფენდი, ბაი სახლში გახლავთ.

გოგოს გადახედა და...

– ეს გოგო ვინლაა, ფატმა ხომ არაა შენი ნაქები?

– ჰო, ფატმაა. მამუკას დანიშნული – ეს კი ყურში ჩასჩურჩულა.

– ასეთი რძალი შემხვდებოდეს მეტი რაღა მიჭირს.

– აგერ არა ვარ ქალბატონო? – წაეხუმრა ფატმაც, ოლონდ ქართუ-ლი სიტყვებით.

– უი, შენ კი გენაცვალე – უთხრა და ჩაიუხუტა. არა, მართლა რომ დაგნიშნო ეხლავე, უარს ხომ არ იტყვი?

– ასე რატომ ჩქარობთ ქალბატონო? – თქვა და გვერდით გაიხე-და, გულში კი ჩაითქვა – ნეტამც მალე მოხდებოდესო.

– დიდი ხანია იცნობთ შვილო ერთმანეთს შენ და მამუკა?

– სიყვარულისათვის საკმარისია.

– შენ გენაცვალე, ალლომ რომ არ მიმტყუნა. მართლა გიყვართ ერთმანეთი?

– სხვანაირად ნუ მიიღებთ ქალბატონო, ხოჯის სიტყვების მერე გეახელით, დაგიპატიუნივართ. წესით გოგო იქ უნდა დაინახონ სა-დაც ცხოვრობს. რახან წამოვყევი ქალბატონო, ესე იგი ნამდვილად ვაპირებ მამუკას მეულლეობას, თუ თქვენ იქნებით თანახმა.

– აქედან შენი გამშვები აღარა ვართ მაშინ.

ფატმაშ თავი ჩაქინდრა და აქვითინდა. თუმცა ეს ქვითინიც და ცრემლებიც სიხარულისა და ბედნიერებისა უფრო იყო.

ილდიზ-ხანუმმა გვერდით მოისვა და მკერდზე მიიხუჭა.

– ნუ ტირი გენაცვალე, არაფერს გაგიჭირვებ, რასაც მოისურვებ აგისრულდება. ამოდენა სიმდიდრის პატრონები ვართ და მამუკას გარდა არავინ გაგვაჩნია. ყველაფერი თქვენი იქნება. ოლონდ თქვენს შვილებს მოვესწრებოდეთ და ისე მოვკვდებოდეთ ნეტა.

– ღმერთი თუ ინებებს მოესწრებით ქალბატონო. რა დროის სიკვდილზეა ლაპარაკი, ჯერ შეუა გზაში ხართ და ჩვენ კიდევ ჯერ უღელი არ დაგვიდგამს.

– ისე გემოვნებიანი ბავშვი გავზარდეთ მეპმედ-ეფენდი არა? ფერი ფერს და მადლი ღმერთსო-ამათზე უთქვამთ. დიდო ღმერთო, რაღაი ამათ ბედნიერებას მომასწარი, ყურბანსაც* დაგიკლავ.

– ქალბატონო ჯერ დაგვაქორწინეთ და... ხომ იცით რომ ნინასწარ ყურბნის შეპირება ცოდვად ითვლება, ვაი თუ ველარ შეას-რულოთ...

– შენც მართალი ხარ შვილო, მაგრამ რომ გაქორწინებთ ეს ხომ საეჭვო აღარაა, ხომ თანახმა ხარ?

– მე კი ვარ თანახმა, მაგრამ მამუკას აღარ ეკითხებით?

– ჰაიტ, თქვე ეშმაკებო...

თავი IV

სერასკერყუოფილი ფეხმორთხმით, ღრმად ჩაფიქრებული იჯდა და თესპეს მარცვლავდა, როდესაც კარებზე ხოჯამ დააკაუნა.

- მობრძანდით ბატონო, კარები ლია.
- „სალამ ალეიქუმ“ დიდო მბრძანებელო.
- კეთილი იყოს შენი სტუმრობა ხოჯა-ბატონო, ხომ მშვიდობაა?
- მშვიდობა რომ არ ყოფილიყო შენთან როგორ მოვიდოდი.

ცოტა სალაპარაკო მაქვს და...

– „ოთურუნუზ“*, დაბრძანდით და ვილაპარაკოთ, დრო არ მაქვს თუ რა. რა ხდება?

- მე სალაპარაკოდ გეახელით მაგრამ...
- რა არის ახალი ქვეყნიერებაზე?
- მე ბატონო პოლიტიკაში არ ვერევი და ეხლა თუ მოვედი მხოლოდ იმიტომ, რომ მამუკას და ფატმას ბედზე ვილაპარაკოთ. უყვართ ბატონო მაგენს ერთმანეთი და რაიმე მიზეზით რომ ერთმანეთს დაშორდნენ, ამაზე მეტი ცოდვა არაფერი იქნება ქვეყანაზე. რაც ადრე მოვაგვარებთ ქორწილს, მით უკეთესი იქნება.
- მე არაფერი ვიცი ამ ამბების შესახებ, არასოდეს გაგიფრთხილებივართ. ჩუმად აკეთებთ საქმეს? – გაეხუმრა თითქოს ასლან-ბეი.
- არა, შენთან დასამალი არაფერი მაქვს, მაგრამ სანამ პოლომდე არ გავარკვეო საქმე, მანამდე არაფერი გითხარი. ეხლა საქმე კი მარტოქორწილს ითხოვს – ისეთივე პასუხი გასცა.

– მერე რა გვიშლის ხელს ხოჯა-ეფენდი. დავაჩქაროთ, თუ რა გაქვთ გადაწყვეტილი. შენზე მყავს მონდობილი მამუკა და მისი ბედის გადამწყვეტელიც შენა ხარ. თუ მამუკას დავაქორწინებთ, მეც მოვისვენებ და მადლსაც ვიზამთ. თუ შორიშორ არ ვამყოფებთ და არ ვაცოდვილებთ, ძალიან კარგს ვიზამთ. თქვი რაცაა საჭირო. აგერ მე და აგერ შენ. ხვალ ან ზეგ რა მოხდება ვინ იცის, სადლეისო საქმე ხვალისათვის ალარ გადავდოთ. მოიფიქრეთ და მომახსენეთ...

– სწორად სჯით მბრძანებელო, გადადება მართლაც გაგვიჭიანურებს საქმეს. შემდეგ ათასი რამ იჩენს თავს.

ამ დროს კარები გაიღო და ილდიზ-ხანუმმა გოგო შემოგზავნა ოთახში ყავით ხელში. ასლან-ბეიმ თვალი ვერ მოსწყვიტა გოგოს და გაოცებული ხან ხოჯას შეხედავდა და ხანაც ილდიზ-ხანუმს.

– მიიღოთვით ბატონებო ყავა, დანარჩენს მალე მოგარომევთ – თქვა ფატმამ. ყავა მაგიდაზე დადგა და სველი პირსახოცით ხელები დაასუფთავებინა კაცებს.

– ასეთი რძალი რომ შემხვდებოდეს, ჩემს ბედს ძალიც არ შე-ჰყეფს მშიერივით, ხოჯა-ეფენდი – თქვა ასლან-ბეიმ.

– ჰოდა, ეგაა შენი სარძლო ასლან-ბატონო. თუ რაიმე წუნს დას-დებ, არ დაგვიმალო.

– ღმერთმა დაიფაროს, ანგელოზია ნამდვილი. არა, მართლა არ მეტყვით ბოლოსდაბოლოს ვინაა?

– გითხრა ბატონმა ხოჯამ და... ეგაა ჩვენი მაჟმუდის რჩეული... მეც მომენტია, კაი გემოვნება ჰქონია ჩვენს შვილს.

– ნამდვილად. მომიახლოვდი შვილო. ვისი ხარ მითხარი...

ფატმამ დაიმორცხვა და ხელებჩამოშვებული, ალმურმოდებუ-ლი მიუახლოვდა სამამამთილოს.

ასლან-ბეი ფეხზე წამოვარდა და სარძლო გულზე მიიხუტა.

– მაშ უარს არ იტყვი ჩემს რძლობაზე არა? ყელამდე სიმდიდრე-ში ჩაგსვამთ ორთავეს.

– სიმდიდრე რად მინდა ბატონო, ოლონდ ყველა შევეწყოთ ერთ-მანეთს და ტკბილად ვიცხოვროთ.

– აგაშენა ღმერთმა მაგ სიკეთისთვის. შენი გამშვები აქედან არა ვართ, ვისაც რა უნდა ისა თქვას, ხვალვე ქორწილს გადავიხდით ისეთს, ჩიტის რძე არ მოაკლდება მართლა.

ფატმამ თავი ჩაჰკიდა და აქვითინდა.

– შენ ეხლა სიხარულით უნდა ცეკვავდე, მაგრამ უცხო რომ ხარ ეს გაკავებს, დამილოცნიხართ შვილებო – თქვა და მალულად შემო-სული შვილობილის ერთად ფატმაც გულზე მიიხუტა – გამაბედ-ნიერეთ და არაფერს დავიშურებ თქვენთვის. ილდიზ-ხანუმ ჩაიბარე ეს ბავშვები და ქორწილისათვის მოამზადე.

სერასკერყუფილმა კმაყოფილებით ჩაიღიმა და ხალიჩაზე გაგ-ორდა.

– ბედიც ასეთი უნდა, გემოვნება ჰქონია ჩემს შვილობილს. სისხ-ლი სისხლს ცნობს დიდო ბატონო. ლამაზმანების მეტი რაა, მაგრამ ქართულმა სისხლმა იმძლავრა და აპა ისიც.

– მეც სანახევროდ ქართული სისხლი მაქვს მეპმედ-ბატონი და მგონი ამიტომაც ვარ ასე დამყოლი. ერთი ეს მქონდა საღარდებელი ამდენი წელიწადია და ამის დაქორწინებასაც მოვესწარი. არაფერი მაკლია – ქონება თავზე გადამდის, მამუკაც გავანათლეთ, ჩვენც სანიმუშო ცოლ-ქმრობა გვაქვს აქამდე. ეს ნამდვილად ქართული სისხლის ნამოქმედარია. ჰატივი ვეცი გურჯ-ხანუმს და მეორედ იმიტომ ალარ დავქორწინდი... ილდიზ-ხანუმმა თავად დამრთო ნება მეორედ ქორწინებისა, მაგრამ მე ჯერ უარი ვთქვი, მეორეც, სად მეცალა მეორე ქალისათვის. ერთხელ კინალამ მოვტყუვდი ნამდვილად... მამუკას რომ არ გადავყროდი, ალბათ ნამდვილად ვიქორწინებდი, მაგრამ მადლობა ლმერთს შვილობილის პოვნისათვის, თორემ ჩემი ქონების ჰატრონს, რომელი ქალი დამეშლებოდა. შნო არ მაკლია და თანამდებობა, თუმცა სადა მაქვს ეხლა თანამდებობა, მაგრამ იმედს არ ვკარგავ მაინც. ერთი ამათი ქორწილი გადავიხადოთ და ლმერთი მოწყალეა, გადმომხედავს.

– შენ კარგი ადამიანის სახელი გაქვს ასლან-ბეი და მარტო ეს ლირს ერთ რამედ.

– შენ მეპმედ-ეფენდი მაინც არ მითხარი ვისი შვილია სარძლო. ეგებ მძახლობით დამიწუნოს...

– რას ბრძანებთ ასლან-ბეი, რომელი იქნება დამწუნებელი მთელ სტამბოლში ასლან ბაირახტაროლისა. ასეთი არავინ მეგულება. რაც შეეხება სარძლოს, ოსმან-აღის შვილობილია ბატონი.

– რომელი ოსმან-აღის?

– ჩიჩეგხანის მფლობელისა.

– ოო, მსმენია, კაი კაციაო ამბობენ. მდიდარი, ჭკვიანი და გავლენიანი.

– კი ნამდვილად ეგრეა, ოლონდ ამ ბოლო დროს ცოტა ველარაა თავის სიმაღლეზე თორემ...

– რა სჭირს, ისეთი რა ამბავია მის თავს?

– ისეთი არაფერი მაგრამ...

– თქვი რა გერიდება.

– მაღალი წრის საზოგადოებაში უნდა მოხვედრა და ვერავითარი საკბილო ვერ იშოვა მაღალ წრეში რომ მოხვდეს. ეხლა ამ არეულობამაც დარია ხელი, მუშტარმა იკლო და...

– მე აგერ არ ვარ მეპმედ-ბატონო? დავეხმარები. ასეთი გოგოს აღმზრდელი დიახაც დაამშვენებს მდიდრების საზოგადოებას. ერთი პატარა ბანკეტი და მისი ჯანი, უცებ ავარდება ზევით. თუმცა მოიცა, ეგ კაცი თუ დეპუტატი არ გავხადო, ეს ულვაშები გამპარსეთ მაშინ. დიახ, დეპუტატი და მერე თვითონ გაიკვლევს გზას. რას იტყვი, გოგოს ამბავი არ შევტყობინოთ?

– ხვალ ხომ არ ვაპირებთ ქორწილს მბრძანებელო?
 – რა თქმა უნდა, რისთვის გადავდოთ?
 – ხვალე მამუკას სპორტულ არენაზე ელოდება საზოგადოება. დილიდანვე კრივია დანიშნული. ქემერქოფრის* ახლოს რომ უზარმაზარი დარბაზია იმაში. მოკრივეები მზად არიან და ხალხიც გაფრთხილებულია. დილიდანვე მოაწყებიან დარბაზს, მგონი ფულიც აქვთ გადახდილი. მამუკა ჭიდაობაშიც და კრივშიც დებულობს მონაწილეობას. გამარჯვებულს დიდი ჯილდო ელოდება და იმედი მაქვს, რომ მამუკა გაიმარჯვებს, მის მწვრთნელებს ვხვდებოდი ხშირად და აღფრთოვანებულნი არიან მამუკას აღნაგობით და მონაცემებით. უთუოდ ჯილდოს წამოვილებთ.

– რა ჯილდოა დაწესებული?
 – ფულადი და ალბათ მედლებსაც მისცემენ.
 – ორივე სახეობაში?
 – ჰო, მგონი, იმიტომ რომ ძალზედ ლონიერია, კრივშიუკან არ დაუხევია, მეტოქეები ვერ უმკლავდებიან და ასეთი ძალის მქონე პიროვნები-სათვის ჭიდაობა რა ბედენაა. მთავარია ძალა და მოხერხება. ილეთებს ძალიან კარგად ფლობს. ასე, რომ შენ თუ ლირსული იყავი სამხედრო ელიტაში და მთავრობაში, ეხლა მამუკას ჯერია გვასახელოს და დიდება მოგვიტანოს, ეგებ როგორმე წაგადგეს შენაც ასლან-ბატონო მაგის აღზევება.

– შენ ხომ იცი, წაადრევია ლაპარაკი გამარჯვებაზე. მანამ სანამ დამარცხებული არ გეყოლება ცხვირწინ.

– მაშინ სანაძლეოს დადება მოგვიწევს ბატონო სერასკერო.
 – სანაძლეო არა, მაგრამ, იცი რა? ჩვენ საქორწინოდ მოვემზადებით და სპორტული შერკინების შემდეგ, სალამოთი ჩავატაროთ ქორწილი, არაფერი გვიძლის ხელს.

– სადღაც მართალს ბრძანებთ მბრძანებელო.

– ჩვენ ხომ მამუკას ვერაფერში წავადგებით დარბაზში, მან მისი საქმე მოითავოს, ჩვენ კი იქეთ საქორწინო სუფრას გავწყობთ და ვინც დაესწრება შეჯიბრს, იქვე დარბაზში გამოვაცხადებთ, რომ სალამო-თი დანიშნულია ქორწილი. მსურველებსაც დავპატიჟებთ. მანამდე კი სხვებსაც მივაწვდენთ ხმას. მენდე ასე ჯობს. მე ამაღლა გავაფრთხ-ილებ ჩემიანებს, ისედაც ბევრი არა მყავს. ყველაფერს ჩემს თავზე ვიღებ ხოჯა-ბატონო, შენ კი მშვიდად გამოიძინე.

– გისმენ ასლან-ბეი, ისე იქნება, როგორც შენ ბრძანებ. არენაზე კი შეგვიძლია დავესწროთ მე და მისმა დანიშნულმა, ასე ვთქვათ სა-ცოლემ და გვერდით, რომ ეყოლება ფატმა, მისი დამარცხება გამორ-იცხული იქნება.

– კარგით, მასე ჰქენით. ახლა შენ გინდა ჩემთან მოისვენე, გინდ შენს ბინაში. მე კი ქორწილის თადარიგს ეხლავე შევუდგები.

– როგორც შენ ბრძანებ ასლან-ბეი. მე წავალ და კარგად გამოვ-იძინებ, რადგან ხვალ ლამით ძილი არ მიწერია, გაგვითენდება მექორ-ნილებს. აბა კარგად ბრძანდებოდეთ.

ასლან-ბეიმ მეგობრები ჩამოიარა იმ ღამით და ღამითვე შეუდგნენ საქორწინო სამზადისს.

ფატმა და მამუკა სახლში ცოლ-ქმარივით ჭუკჭუკებდნენ. ისევ ილდიზ-ხანუმმა იმარჯვა და ორთავეს ერთ ოთახში გაუშალა ლოგინი.

ფატმამ დაიმორცხვა და სადედამთილოს გამომცდელად შეხე-და. ვერ გაეგორას უპირებდა.

– რას მიპირებ დედი, სახლში აღარ მიშვებთ თუ რაა – ჰკითხა ფატმამ და სახე წამოუნითლდა.

– სახუმაროთ გიყვართ შვილო ერთმანეთი? ამაღლა მვე შეგიძლი-ათ დატყებეთ, ცოლ-ქმარი ხართ უკვე, ხვალე კი ქორწილსაც ჩავა-ტარებთ. ნურაფრის გრცხვენიათ. აბა შელაგდით თქვენს ოთახში. მე ვიცი თქვენი გულების ძერის ამბავი. დამილოცნიხართ ორთავე. თქვენ და მე ვიცით ამღამინდელი ამბავი – მოჰკიდა ხელი და სა-წოლამდე მიაცილა. დილით წუ იჩქარებთ ადგომას...

მამუკასაც და ფატმასაც ცა გაეხსნათ ღამით. დილამდე თვალი არ მოუხუჭავთ. ალერსში გალიეს დრო.

დილით სასადილო ოთახში გამოლაგდნენ. ილდიზ-ხანუმი უკვე მაგ-იდას აწყობდა. ფატმაც მიეშველა მაგიდის გაწყობაში.

- მე ვიზამ შვილო, შენ ხელი არ დააკარო რაიმეს.
- არა დედა, ჩემთვის ხომ უცხო არაა დიასახლისობა, მაგაში უკვე გამოვეკილი ვარ.

ილდიზ-ხანუმმა ჯერ შარბათი დაალევინა ორთავეს, შემდეგ ტკბილეულით გაუმასპინძლდა და...

- ადექი, გამოყევი - უთხრა ილდიზ-ხანუმმა ღიმილით რძალს და მეორე ოთახში გაიყვანა. იქ მაგიდაზე ეწყო ოქროსა და ბრილიანტის სამკაულები და სუნამოები, რომლითაც ილდიზ-ხანუმი სარგებლობდა. საქორწინო ძვირფასი კაბაც ღამითვე მოუტანა რძალს.

- რაც აწყვია, ყველაფერი შენია, გამოეწყვე ისე, როგორც შენ გსურს, რომელი სამკაულიც გინდა ყველა შენია.

ფატმას თვალები აუჭრელდა ამდენი ძვირფასეულობის ხილვით და შეუდგა მორთვას.

- მე დაგეხმარო თუ ვინმე წაგახმარო მორთულობაში.

- არა, დედა, მე თვითონ და თუ რამე არ მოგეწონებათ, შემდეგ შემისწორეთ.

ერთი საათის შემდეგ ფატმა დარბაზში მორთულ-მოკაზმული გამოვიდა. იქვე სერასკერიც დახვდა.

- მთელი ოსმალეთის თვალივით ხარ. ვენაცვალე შენს გამჩენელს და აღმზრდელს. დიდებულ ქორწილსაც გიხდით.

„ქემერქოფრის“ ახლოს სულთანდარბაზი იყო განთავსებული, ზღვას გადაჰყურებდა მისი აივნები და ფანჯრები. ოსმალები სეირის მოყვარულები არიან და დილით ღამისეული გზებით ადრიანად მოინევდნენ დარბაზისაკენ.

დარბაზი გადაიჭედა. ხალხი შევიბრების დაწყებას მოუთმენლად ელოდა. იცოდნენ რომ კრივი და ჭიდაობა იმართებოდა, მაგრამ სპორტსმენებს ერთეულები თუ იცნობდნენ.

ფატმა, ილდიზ-ხანუმი და მამუკა ეტლით მივიდნენ და დარბაზში შევიდნენ. მათვის განსაკუთრებული ადგილი იყო გამზადებული, ილდიზ-ხანუმმა ხოჯის მეშვეობით ადრე იზრუნა ადგილები-სათვის.

სცენაზე ახალგაზრდა მამაკაცი გამოვიდა და გამოაცხადა – დარბაზში იმყოფებიან ახალ დაქორწინებულები – სერასკერ ასლან-ბეის შვილი, რძალი და დედამთილი. რჩეულ საზოგადოებას ტაშის გრი-ალით წარუდგინეს ნეფე-დედოფალი. ტაში არ ცხრებოდა.

გამომცხადებელმა ზანზალაკი დაანკარუნა და ხალხის ვნება-თაღელვა შეაჩერა.

– დღეს გაიმართება შეჯიბრება-შეხვედრები მუშტი-კრივში და ჭიდაობაში. ათამდე სპორტსმენი შეეჯიბრება ერთმანეთს. გამარჯვე-ბულს დიდი ფულადი ჯილდო და სამახსოვრო მედალი ხვდება წილად. ერთეურო მათგანია სერასკერის შვილიც, რომელსაც შეხვედრის შემდეგ ქორწილი აქვს დანიშნული. ვინც პატივს სცემთ ასლან-ბეის, მისი დავალებით ქორწილში გეპატიუებით.

დარბაზში მაყურებელთა ნახევარზე მეტი სერასკერის კეთილისმყოფელი იჯდა შეჯიბრების მოლოდინში. შეჯიბრება დანიშნულ დროს დაიწყო. სპორტულ სამოსში გამოწყობილი მამუკა რინგზე თავის წონასთან შედარებით სიმარდით ახტა და სცენას წრე შემოუარა. კუნთებად ქცეული მამუკა ტანადაც ახოვანი იყო და ლამაზი აგებულების. მის დანახვაზე დარბაზმა იხუვლა და ისევ ტაშით დააჯილდოვა.

ქალთა სქესის წარმომადგენლები ნერწყვის ყლაპვით შესცემოდნენ ათლეტს. ქართული სისხლი ქართულად ჩქეფდა მამუკას ძარღვებში, ფატმასთან შეულლება კი ღონის უმაგრებდა.

შეხვედრის მონაწილენი სცენის ირგვლივ ჩამწკრივებულიყვნენ. მათგან ზოგს ნაწვევი ჰქონდა მამუკას მკლავის ძალა და შეხვედრას უაზრობად თვლიდნენ, მაგრამ გადაჭედილ დარბაზს ხომ მაყურებელის ჟინს ვერ გაუწილებდნენ, ამიტომაც ყველა თავის რიგს ელოდა.

მამუკას ქართული ილეთებიც ჰქონდა შეთვისებული ერთი ქართველი სპორტსმენის მეშვეობით, რომელიც ერთ დროს ოსმალეთის თუ არა, სტამბოლის საზოგადოებას კარგად ახსოვდათ ბეჭ-დაუდებელი ფალავანი.

სპორტსმენების შეხვედრა წუთი, წუთნახევარი და დიდი-დიდი ხუთი წუთი გაგრძელებულიყო. ქართული სისხლი ძალუმად ჩქეფდა და გულიც ლომივით უძგერდა მამუკას.

ყოველი შერკვინების შემდეგ დარბაზს ტაში აზანზარებდა. გამარჯვება მამუკამ მოიპოვა. ერთი საათი გასტანა შევედრამაც და დაჯილდოების ცერემონიამაც. ფატმასა და ილდიზ-ხანუმის მისამართით კი ქების სიტყვები და შორეული კოცნის მინიშნებები მოდიოდა.

ტაში დიდხანს არ ჩამცხრალა.

მამუკამ ჯილდოც და ფულადი საჩუქრებიც ფატმას ჩააბარა და თავის მწვრთნელს, რომელიც დარბაზის შუაში იმაღლეოდა, მიეახლა და მამაშვილურად გადაკოცნა, ციმციმ აიყვანა და სცენაზე დასვა.

დარბაზში ისევ ტაშმა იგრიალა. იცნეს სტამბოლის ჩემპიონი მოჭიდავე.

– მაჟმუდ, მაჟმუდ – გრიალებდა დარბაზის ერთი ნახევარი.

– დაუდ ფეხლევან, დაუდ ფეხლევან – ყიუინებდა დარბაზის მეორე ნახევარი და ზოგმა არც კი იცოდა ვინ ვინ იყო, მხოლოდ სახელებს ნარ-მოთქამდნენ და ტაშს უტყყაპუნებდნენ.

ფატმას და ილდიზ-ხანუმს საჩუქრები ჩააბარეს სერასკერის კეთილისმდომელებმა. ტაშის გრიალით დატოვეს დარბაზი და ვისაც ქორწილში წასვლის სურვილი ჰქონდა პირდაპირ სერასკერის სახლისაკენ აიღეს გეზი.

საჩუქრებით დატვირთული ფატმა, ილდიზ-ხანუმი, მეჟმედ-ეფენ-დი, დაუდ ფეხლევანი და მამუკა ფაიფონში მოკალათდნენ და ქალაქის შემოვლით საქორწინო დარბაზს მიადგნენ. სერასკერს მეზობლის უზარმაზარი სახლის სარდაფი გამოყენებინა და თავის სახლშიც გაეწყო მაგიდები.

ჩიტის რძე არ აკლდაო, რომ იტყვიან, სწორედაც რომ ამ საქორწინო სუფრაზე ითქმოდა.

მოდიოდა და მოდიოდა სერასკერის ნათესაობა და კეთილისმ-სურველნი.

ქორწილმა შუალამემდე გასტანა.

ქორწილის დაწყებამდე მეჟმედ-ეფენდიმ და ასლან-ბეიმ ფატ-მას მამა მოიგონეს.

– რა ვენათ ოსმან-ალა მოვინვიოთ პირდაპირ ქორწილში, სიურპრიზი იქნება მისთვის არა მეჟმედ-ეფენდი?

– ის ეხლა შორსაა აქედან, თავის სოფელშია, თუ ხვალე დაბრუნდება, ვაახლოთ ფაეტონი და მოვაყვანინოთ, ასე უფრო დაფასება გვექნება ერთმანეთში.

– ჰო, მეპმედ ბატონი, ჭკვიანი კაცი ხარ, ნამდვილად მასე სჯობს, თორემ გოგოს გაპარვას რომ გაიგებს იქნებ განრისხდეს კიდევაც. სიფრთხილეს თავი არ ტკივა.

ოსმან-ალა ქორნილს ვერ დაესწრო, მაგრამ როდესაც შეატყობინეს, შვილობილი ორი ლამე არ ჩანსო, ცოფები ჰყარა. ყავახანაში მიღი-მოდიოდა და ბორგავდა.

მაიშექერ-ხანუმიც ჯავრობდა. არც მან იცოდა გოგოს ადგილ-სამყოფელი.

– უგზოუკვლოდ ხომ არ დაიკარგებოდა, არც ისეთი უჭკუოა უცნობს მიენდოს. არც ჯევრიემ იცის არაფერი, თუმცა მეეჭვება მისი გულწრფელობისა – ყავახანიდან ისე წავიდა, რომ გოგოს არაფერი დაუბარა? ასე ფიქრობდა მაიშექერ-ხანუმი.

– ეს ამბავი ხოჯამ რომ არ იცოდეს არა მგონია – თქვა ოსმან-ალამ და ჯევრიეს მიუახლოვდა – რამდენი დღეა არ გამოჩენილა ხოჯა და მისი ვაჟუბატონი?

– ორი დღეა, იქნებ სამიც ეფენდი. ზუსტად არ მახსოვს.

– ფატმა რამდენი დღეა არაა შენს გვერდით?

– სამი დღეა უკვე.

– ნამდვილად მაპმუდმა მომტაცა. რომ არ ვიცი სად ცხოვრობენ? სად ვეძებო? თუ არ მოვძებნო? – მაიშექერს დაეკითხა ოსმან-ალა და სამზე მოწყვეტით დაეშვა.

იმავდროულად ქუჩაში, ყავახანის კართან ეტლი გაჩერდა და იქედან ორი დრობაისელი მამაკაცი გამოვიდა, ყავახანაში შევიდნენ და მაგიდას უნდა მისხდომოდნენ, რომ დახლის მიღმა კაცი შენიშნეს.

– „სალამ ალეიქუმ“ ეფენდი, ვინ ბრძანდებით, გაგვეცანით.

– „ალეიქუმ სალამ“, ეს მე უნდა გკითხოთ, ვინ ბრძანდებით, თუ მთავრობის ხალხი ხართ ხარჯები გადახდილი მაქვს, თუ მუშტრები, მაშინ დაბრძანდით და ყავას მოგართმევთ.

– ოსმან-ალა თქვენ ბრძანდებით?

– ჰო მე ვარ. ვინა ხართ არ იტყვით?

– ჯერ ყავა მოგვართვით და გეტყვით ვინცა ვართ. ისე ნურაფრის გეეჭვება. ჩვენ სერასკერმა გამოგვგზავნა.

– ჯევრიე, ყავა მოართვი ჩვენ სტუმრებს და ტკბილეულიც მოაყოლე.

– რა ხდება ჩემს თავს? ნუთუ შვილის ამბავი უნდა მაცნობოთ?

– ოსმან-ეფენდი სერასკერმა გუშინ ქორწილი გადაიხადა.

თქვენც უძებნიხართ, მაგრამ ჩანს, რომ არ ბრძანდებოდით სახლში, უნდა გაუწყოთ, რომ ქორწილს მთელი ქალაქის დიდებულები ესწრებოდნენ და... თქვენი შვილი პირდაპირ ბრნყინავდა.

– ვერაფერი გავიგე, რა ქორწილზე მელაპარაკებით.

მოსულებმა ერთმანეთს გადახედეს. ორთავე ერთნაირად ფიქრობდა – ეს კაცი ან სულელია, ან განრისხებას აპირებს და იქნებ გაგვრეკოს კიდეც აქედან.

– ოსმან-ალა, სერასკერის ბიჭი გუშინ ქალაქის ჩემპიონი გახდა ჭიდაობაში და კრივში, საღამოთი კი თქვენი ქალიშვილი ედგა დედოფლად საქორწინო მაგიდასთან. რომ იტყვიან „ფერი ფერს და მაღლი ღმერთსო“. ძალიან კარგი შვილი აგილზრდიათ.

– გოგოს გათხოვებას და შვილის ქორწინებას თავისებური ცერემონიები ახლავს... ესე იგი მოიტაცეს არა?

– არა ოსმან-ალა, გოგო თავისი ნებით გაყვა. ნუთუ არ იცოდით ქალ-ვაჟის ურთიერთობის შესახებ? არამედ ნია არ გცოდნოდათ.

– აი, თურმე რისთვის დადიოდა ის ხოჯა ჩემს ყავახანაში. ყველაფერი მისი მოწყობილია.

– ურიგო სიძე არა გყავთ ოსმან-ბატონო, ქალაქის ჩემპიონი, სერასკერის ვაჟი, მერე როგორი თვალ-ტანადი, ზრდილობიანი, განათლებული... განა კიდევ დავამატოთ რამე?

– ზრდილობიანი ადამიანი ზრდილობიანად იქცევა. ეთქვათ მაინც..... მერეც შუამავალი იყო საჭირო, ნიშნობა...

– როდესაც ორი ადამიანი, მითუმეტეს დასაქორწინებელ-გასათხოვარი უგებს ერთმანეთს, იქ მესამე პიროვნების ჩარევა ზედმეტია.

– იქნებ რა მედო გულში, გავამზითვებდი...

– ეხლა ოსმან-ალა გთხოვთ ჩვენთან ერთად წამობრძანდეთ, ასე-თია სერასკერის ნება-სურვილი, მოწინებით გთხოვათ ეწვიოთ.

– რა გაეწყობა, მოვდივარ მაშინ – თქვა და ტანისამოსის გამო-საცვლელად ზედა სართულს მიაშურა.

როდის-როდის დაბრუნდა, მდიდრულ სამოსში გამოწყობილი, აბა ისე როგორ შეიძლებოდა, ბოლო-ბოლო სერასკერის მძახალი, ჩემპიონი სიძის სიმამრი და კარგი სარძლოს აღმზრდელი კაცი გახლდათ.

რამდენიმე წუთის შემდეგ სერასკერის ეზოში შეაპიჯეს. ეზოში კი ხოჯა შეეფეთა.

– „სელამ ალეიქუმ“ ოსმან-ბეი, მოპრძანდით, „ ხოშგელდინიზ“* ...

ოსმან-ალას გაუკეირდა ასეთი მიმართვა, რისხვანარევი თვალე-ბი უცებ გაუფერმკრთალდა და ხოჯას მიაპყრო.

– გუშინ ალა ვიყავი ეფენდი, დღეს კი ბეის მექახით? ხომ არ მამასხარავებთ. გოგო მომტაცეთ, ესეც შენი მოწყობილი იქნება, ლომის ხახაში შემაყოფინე თავი არა?

– როგორ გეკადრებათ ოსმან-ეფენდი, ყველაფერი შენს სასიკე-თოდ ეწყობა. გოგოს ამბავში კი დამნაშავე არავინაა, უყვართ ერთ-მანეთი რამდენი წელია და... მაგათი დაშორება ჯოვანხეთის კერძს გაგვხდიდა შენც და მეც; ისე კი უნდა გითხრა ნაუცბათევად მოხდა ყველაფერი, ისე რომ მეც ვერ მოვსულვარ აზრზე.

– რალა მეთქმის, რომ ვიჩივლო ვიცი ვერ მოვიგებ და არც ღმ-ერთთან ვიქნები მართალი, ყველაფერი თქვენებურად გადაგინწყვეტი-ათ, ანე რას მიპირებთ თუ მეტყვით კარგი იქნება – ირონიულად და თითქმის მრისხანედ მოუქცია ოსმან-ალამ.

– ე, ბატონი, სერასკერიც ეგერაა და თვითონვე მოგახსენებს.

– „სელამ ალეიქუმ მოსაფირ“*, „ხოშგელდინიზ“ – გამოეგება ასლან-ბეი და მძახალს გადაეხვია – სახლში შემოპრძანდით.

სასტუმრო ოთახში შეიკრიფენ სამივე, ოსმან-ალა დაჯდომას ვერ ახერხებდა, უცხოდ გრძნობდა თავს. ოთახს ათვალიერებდა, თავი მუზეუმში ეგონა.

– დაბრძანდით ოსმან-ბეი, ფეხზე ხომ არ იდგებით, შენ უკვე სტუმრად ალარ ითვლები, დაბრძანდით...

ოსმან-ალა ხალიჩაზე ფეხმორთხმით დაჯდა. ამ დროს კარები გაილო და ფატმა-ხანუმმა ყავა შემოიტანა და მამობილის დანახვაზე სინი კინალამ დაუვარდა. წამიერი დუმილის შემდეგ ფეხზე წამომდგარ ოსმან-ალას თავდახრილი მიეახლა და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

- მაპატიე, მამა – თქვა და ცრუმლები ჩამოუგორდა.
- ჩემთვის გეკითხა, გაგამზითვებდი, აწე კი ვნახოთ.
- არაფერი არ მინდა მამა, ისედაც ბედნიერი ვიქნები.
- ნება შენია შვილო, ისე, რომ გეთქვა უკეთესი იქნებოდა, მეც რა მეღო გულში ეგებ.

ფატმა-ხანუმი ითახიდან აცრუმლებული გავიდა. უკან შემოყოლილი და ჩუმად მდგარი ილდიზ-ხანუმიც უკან მიჰყვა და კარებიც მიიხურა.

- ოსმან-ბეი – მიმართა სერასკერყოფილმა.
- ოსმან-ალა ფეხზე წამოდგა ისევ.
- ასლან-ბეი, დიდო მბრძანებელო, ნება მიბოძეთ გვითხოთ, ბეი ჩემთვის არავის უწოდებია აქამდე, რა მოხდა გუშინს შემდეგ აქ ვერ გამიგია. წელან ხოჯას დავუსვი ეს შეკითხვა და პასუხი არ გამცა, ეგებ თქვენ გამაგებინოთ რა ხდება, გოგო რომ მომტაცეთ ეს ვიცი, დანარჩენი რალაა?
- ოსმან-ეფენდი, მეპმედ-ხოჯამ შენი მდგომარეობის შესახებ მიამბო. დღეიდან ჩათვალე, რომ ბეი ხარ ჩემთვის და შემდეგში კი ყველასათვის იქნები, ასე იქნება ან და მარადის. მალალ წრეშიც მოხვდები, ჯერ კიდევ წონა მაქვს და სანამ ცოცხალი ვიქნები, ჩვენი ურთიერთობა არ მოიშლება, რაც არ უნდა მოხდეს. მერეც კიდევ მძახლები ვართ, მოყვრები, ჰოდა „დოსტებში“* არასოდეს შემშლია. ცოტა ადრე შემეტყო ჩვენი ბავშვების ამბავი, ისეთ ადგილს გავიჩალიშებდი, ბევრს მარტო გაფიქრებაც სანატრელი ექნებოდა. ახლა რალაი... ისე შენ ისეთი საქმოსანი ადამიანი ხარ, აუცილებლად წაგნევენ წინ. აწე ერთი მასპინძლობა და... თუმცა ესეც ჩემზე იყოს... ქორწილში დამსწრებოდი, გაგაცნობდი მეგობრებს. აწე, ერთ დღეს მოვიპატიუებ და შენი საქმეც გადაწყვეტილი იქნება, აი, გოგოს რომ გამოგიგზავნით სახლში და წამოვიყვანთ ხელმეორედ მაშინ.

- მადლობა ასლან-ბეი, სიკვდილამდე შენი მევალე ვიქნები.
- როგორ გეკაღლება ოსმან-ბეი, ჩვენ ხომ ბარი-ბარსა ვართ, მძახლები და ჩვენში ზევითა-ქვევითა სალაპარაკო არაა და არც ერთ-მანეთის მოვალე ვიქნებით არასოდეს. ჩვენი შვილებისათვის და მათი ბედნიერებისათვის ყველაფერი უნდა გავაკეთოთ ის რაც შეგვიძლია ლმერთის ძალით და საქმე-საქმეზე რომ მიდგეს – შეუძლებელიც კი.

- შვილების თუ შვილობილების ასლან-ბეი?
- ესეც გაგიგია ჩემო მძახალო. ყველა საფეხურზე ბარი-ბარს ვართ.
- არა ასლან-ბეი, შენ დედაც გურჯი გყავდა, ხანუმიც გურჯია და შვილობილიც... ეხლა კიდევ გურჯი-ხანუმი მოიყვანე რძლად. მე და ჩემი ხანუმი კი სუფთა სისხლის ოსმალები ვართ, შენ კიდევ სან-ახევროდ.
- ჰო, რა თქმა უნდა... თქვა და ულვაშებში ჩაიღიმა.
ადრეული ვახშმის შემდეგ ოსმან-ალა წამოდგა და...
- ასლან-ბეი, მე ეხლა ჩემს ყავახანას დავუბრუნდები ჯობს, ვინ იცის რა დღეში არიან მუშტრები და...
- რა გეჩქარება ოსმან-ეფენდი, მეულლე ხომ სახლშია, მიხედავს. განა მოსამსახურები არ გყავთ?
- ჩემმა ხანუმმა ისიც კი არ იცის გოგო სად არის, წავალ და ვახარებ. იმას ეხლა საქმისათვის ეცლება? მე რომ სოფლიდან დახპ-რუნდი თვალებამოღამებული დამხვდა. გოგო რომ დაიკარგა თვალი არ მოუხერხავს. როდესაც დავბრუნდი მეზობლის გოგო – ჯევ-რიე ადგა თავზე ლოგინზე მისვენებულს. მე რომ გამიმხილეს, ერთი პირობა თავბრუ დამეხვა, მაგრამ ჩემი აფეთქება არ შეიძლებოდა იმ წუთს და ხანუმი ვანუგეშე, მარა ყავახანას რომ მივაშურე „პერსი“* არ გადამსვლია, მანამ ვიდრე შენი ხალხი არ მოვიდა. ეხლა კი უნდა დაგტოვოთ.
- ჩვენი კარებილია ეფენდი, როდესაც მოგესურვებათ მესტუმრეთ.
- „დოლრი“* ასლან-ეფენდი. კარგად ბრძანდებოდეთ.
- ასლან-ბეის დაქირავებულმა ეტლმა ისევ უკან მიაცილა ოსმან-ალა და თავის გზაზე წავიდა.
- ოსმან-ალა სახლში ავიდა და ცოლს მოახსენა ყოველივე.
- მაშ იმ ბიჭს გაჰყვა, ხოჯა რომ ატარებდა ყავახანაში?
- არაფერი გვეთქმის „ხანუმზე“, ისეთი კარგი ხალხია და ისეთი სიმდიდრის პატრონი, ჩემს გოგოს გაუჭირდეს კი არა... აქეთ დახ-მარებაც კი აღმითქვა. ახალ სულთანს მგონია რამოდენიმე დღეში აირჩევენ და თუ ასლან-ბეი თავის ადგილას დააბრუნეს, ჩემს ბედს აღარ ვუჩივი, მეც გამიხერხებს სადმე ისეთ სამსახურს, მთელი სტამ-ბოლი რომ გაიგებს და დამაფასებს.

– ნეტა რა გაკლია გულს, განა არ გაფასებენ? ნახევარი სტამბოლი ჩვენი ყავახანის სტუმარია, მეტი რაღა გინდა.

– მეტი რა უნდა მინდოდეს ქალო, მაგრამ ცოტა წინ რომ წავი-წიოთ, გვაწყენს განა? ქონება, სახელი, სახელოვანი საზოგადოება...

– რაღათ გინდა ეგენი კაცო, ვისთვის და რისთვის, ისეთი ბიჭი მაინც დაგვსიძებოდა ფუძეზე მოგვეყვანა. განა სერასკერი აქეთ გამოუშვებს შვილს, როდესაც იმის მეტი არავინ ყავს? თუ კიდევ ვიშვილოთ ვინმე.

– ჩვენ რომ ანი შვილს გავზრდით... კარგი დაწყნარდი, დროს მივყვეთ და ღმერთი არ მოგვიძულებს. ჯევრიეც ხომ შვილივით გვყავს, ამას მაინც გამოვუნახოთ ისეთი საქმრო, რომელიც ხელს წაგვაშველებს შინაურ საქმეებში.

– ეგ მართლაც შეიძლება... „საღოლ“* ოსმან-აღა.

XVI საუკუნის შუა სანებიდან ოსმალთა სამხედრო ძლიერება სუსტდება და ოსმალეთი დაპყრობილი ტერიტორიებიდანაც იხევ-და უკან. ეს განაპირობა დაპყრობილთა მებრძოლმა შემართებამ. გამუდმებული აჯანყებებით არყევდნენ ოსმალთა იმპერიის ძლიერებას.

1730 წლის ბოლოს ოსმალეთში ახალი სულთანი აირჩიეს. მაჰმუდ I-ს თითქმის სიღატაკემდე მისული, ეკონომიკურად გაჩანაგებული ოსმალეთი შერჩა ხელთ. ხალხი მოთმინებით ელოდა ახალი სულთნის არჩევას.

არჩევის შემდეგ სულთანმა მთავრობა გადაახალისა. იგი უკვე ახალ გზებს ეძებდა კრიზისიდან ამოსაყვანად. ოსმალეთი უკვე იხრწნებოდა და ეცემოდა. სულ უფრო გაჭირდა ცხოვრება. მარტო ერთეულები თუ იტყოდნენ ვცხოვრობთო, თორებ უმეტესობა შიმშილობითა და უსახსრობით იხოცებოდნენ, როგორც საერთოდ ხდება ამგვარ სიტუაციებში. სულთანი მაჰმუდ I-იც სხვის ხარჯზე აპირებდა ეკონომიკური პოტენციალის გაზრდას თუ არა, განონასწორებას მაინც. ამ მიზნით დასახა გეგმა დაპყრობილი თუ დასაპყრობი ქვეყნების ხაზინაში ჩაეხედა. პირველად კი ხელები საქართველოსაკენ გაიშვირა. (ეს მერამდე-ნედ?)

კავკასიონს მიეყინა მისი უსისხლო და უძლები თვალები. მთელი ქვეყანა ფეხზე დააყენა და ჩრდილოეთს მორალურად მიუსია. სულ მალე კი, ზამთრის გასვლის შემდეგ ასკერის ახალი ნაკადი უნდა გაეგზავნა გურჯისტანისაკენ – ომს აპირებდა მეზობლებთან, ჯერ კიდევ არ იყო დასრულებული ჯიშადის გეგმები, ამიტომ მისთვის სისხლისლვრა არაფერს წარმოადგენდა, ოღონდ სახელმწიფო მოელონიერებინა და რელიგიურ ნიღაბს ამოფარებულნი, ყურანის კანონებით თითქოს მოქმედებით სულ სხვა მიზანი ჰქონდათ განსახორციელებელი – მთავარი იყო ხალხი გამოეკვებათ და მაძლარი ჰყოლოდათ, რომ აჯანყება არ მოეწყოთ ახალი სულთნის საძიებლად.

ვაჭარი ოსმალები ცდუნების ანკესზე წამოეგნენ და მზად იყვნენ სალაშქროდ.

წინა სულთნის ახმედ III-ის (1703-1730 წ) მოღვაწეობამ ოსმალეთი სიღარიბისაგან ამოქაჩა, მაგრამ მთელი ოცდაშვიდი წლის განმავლობაში კიდევაც გამრავლდა და გაიზარდა მოსახლეობა. მიუხედავად გამუდმებული დაპყრობითი ომებისა, ოსმალეთი მაინც მშივრად გამოიყურებოდა. ამის გამო ერთსულოვანი მოქმედებით იგი სულთნობიდან გადააყენეს. სულთან-ახმედს ბევრი თანამდებობის მოხელე მიაყოლეს, მთავრობა ერთიანად შეიცვალა. სერასკერი ასლან-ბეიც გადააყენეს სამხედრო მინისტრობიდან და დიდხანს ექვედნენ შემცვლელს, მაგრამ ჯერჯერობით ისეთი პიროვნება ვერ გამოინახა, ვინც ასლან-ბეის დონის იქნებოდა. ეს თავად ასლან-ბეიმაც იცოდა, ადრე თუ გვიან, ისევ მონახავდნენ. ჯერ კიდევ მისი ხალხი იყო მთავრობაში და ამის იმედი ჰქონდა. სანამ იძულებით მოსვენებით სახლში იჯდა (1730-1735 წ), მამუკას დაქორწინებაც მოასწრო, ერთი დარდი მოიცილა. ეხლა კი ნებიერად ატარებდა დროს და არც იმას იდარდებდა თუ ალარ გამოიძახებდნენ – შეეძლო პენსია დაენიშნა და უდარდელად ეცხოვრა.

ჯერ კი შვილობილის ქორწილის სიხარულით და მისი ჩემპიონობით ხარობდა.

ოსმან-ალა ახალი გასული იყო სერასკერყოფილის სახლიდან, რომ ეზოს უცხო სტუმარი მოადგა და შესვლა ითხოვა. მეჰმედ-ხო-ჯაც წასვლას აპირებდა, გამოვიდა და... სტუმრის და მისი მზერა წამით ერთმანეთს გაუსწორდა.

- ენვერ-ბეგ? საიდან, როგორ, ხომ მშვიდობაა?
 - კი მეჰმედ-ეფენდი, მშვიდობაა და მეც ამიტომ გეახელით. ეფენდი, ხომ არავინ მოგვისმენს? სალაპარაკო მაქვს.
 - ნურაფრის გედარდება. შენ ახალი ამბებიც არ გეცოდინება.
- ისე მე როგორ მომაკვლიერ?
- მითხრეს აქ იქნებაო და მოგძებნე.
 - კარგი ჰქენი. ეხლა წამოდი და ასლან-ბეის შეგახვედრებ.
 - ეგ ვინდაა?
 - ვის სახლშიცა ხარ – სერასკერყოფილი.
 - არ გადამრიო. მეჰმედ-ბატონო ეს ის ასლან-ბეი ხომ არაა დედაც და ცოლიც ქართველი რომ ჰყავს?
 - ჰო, ისაა. რა იყო, რატომ მეკითხები?
 - ბევრი კარგი მსმენია მაგის მისამართით და... ესე იგი ჩვენი სამხედრო მინისტრი ეგ იყო? ჭკვიანი კაციაო ამბობენ და ყოველ საომარ მოქმედებას თავსაც არიდებდა, ამის გამო პირდაპირ სულ-თანი გასცემდა ბრძანებებს ომის დაწყებისას?
 - ჰოდა, სწორედ მაგის გამო გადააყენეს. შენ ბეგო ალბათ ისიც არ იცი, მამუკა რომ მისი შვილობილია?
 - აბა საიდან მეცოდინება. შენ ადრე არ გითქვამს და ნუთუ? მაგან ხომ არ ჩამოიყვანა მამუკა შავშეთიდან?
 - ჰო, ეგ იყო. თუ არა ეგ, ვინ იცის რა დღეში ჩავარდებოდა მამუკა და საერთოდ ვნახავდით თუ არა.
 - კი ვიცოდი სერასკერმა რომ წამოიყვანა, მაგრამ კი არ ვიცობდი მას და თუ მასთან აღმოჩენდებოდი, არც კი ვიფიქრებდი.
 - შენ ის თუ იცი, რომ მამუკა დავაქორწინეთ?
 - არა, არც ეს ვიცი. ამდენი ახალი ამბავი? გადაირევა კაცი. საიდუმლო თუ არაა, რძალი ვინაა?
 - რძალიც ქართველია, აჭარიდან „იესირჯების“* მიერ გამოტაცებული და ოსმალოზე მიყიდული. ისე კი ლმერთმა იცის ვისი შვილია. როცა ჩავეძიე – აღარ მახსოვესო, პატარა ვიყავიო, გვარიც და სოფელიც თითქოს დაასახელა, მაგრამ თავადაც ეეჭვება მართალს ამბობს თუ არა.
 - მაღარიჩი გეკუთვნის ამ ახალი ამბებისთვის ხოჯა-ბატონო.
 - დანარჩენი რა არის კიდევ ახალი?

– მამუკა სტამბოლის ჩემპიონი გახდა კრიკეტი და ჭიდაობაში.
 – მაგის იმედი ნაღდად მქონდა. მეტი? პოლიტიკისა რა ისმის?
 – ომ, ეგ უკვე ძნელი მოსაყოლია. ახალი სულთნის დანიშვნის
 შემდეგ ოსმალეთსა და რუსეთს შორის უკვე იძაბება ურთიერთობე-
 ბი საქართველოს გამო. თუმცა წამოდი და სასტუმრო ოთახში ვილა-
 პარაკოთ, ასლან-ბეისთან. ისე ადრე მოსულიყავი ცოტა, მამუკას
 სიმამრსაც გაგაცნობდი.

– კარგი, თანახმა ვარ ასლან-ბეისთან საუბარზე, შევიდეთ.
 ხოჯა-მეჰმედი ისევ შებრუნდა სასტუმრო ოთახში და ენვერ-ბე-
 გიც შეიყოლა, იმავდროულად ასლან-ბეიც შემოვიდა ოთახში და
 უცხო კაცი რომ დაინახა თავის სახლში ხოჯას კითხვის თვალებით
 შეხედა.

– ვინაა ეს კაი კაცი მეჰმედ-ეფენდი?
 – ნება მიბოძეთ გაგაცნოთ, შავშელი ბეგია დიდო ბატონო, ჩემი
 ძელი ნაცნობი.ჩვენი აზრები და მიზანი შეიძლება ერთმანეთს დაემთხ-
 ვეს და ამიტომაც შემოვიპატიუე, ისე კი სინამდვილეში მე მეძებდა, მა-
 გრამ მაინც შენთან უნდა მოგვეყარა თავი.
 – რა ამბები მოგიტანია ბეგო?
 – ამბებისა მე რა ვიცი, ახალი ამბებისათვის აგერ ხოჯას ვეწვიე
 და როგორც ხედავთ თქეენთან ალმოვჩნდი.

ხალიჩაზე მოკალათდნენ.
 – „ხოშ გელდი“* ბეგო.
 – ქართულად ვილაპარაკოთ ასლან-ბეი, ასე სჯობს.
 სერასკერყოფილს თვალები გაუფართოვდა ქართულის გაგ-
 რნებაზე და...

– თანახმა ვარ ბეგო. საიდან იცი ქართული?
 – შავშეთი განა საქართველოს ნაწილი არაა?
 – შენი კუთხე კი არა, მალე შეიძლება საქართველოც მთლიანად
 ჩვენი გახდეს.

ენვერ-ბეგს გულმა რეჩხი უყო ამ ამბის გაგონებაზე. მეჰმედ-
 ეფენდიც გაფითოდა. მისთვის ახალი იყო ეს ამბავი. მათი მზერა ერთ-
 მანეთს შეხვდა და თავები ჩაჰკიდეს.

– რა ხდება ასლან ბატონო, თუ საიდუმლო არ არი, აგვიხსენი
 ცოტა რამ.

– ოსმალეთსა და რუსეთს შორის ამბები მწვავდება. ოსმალეთის მთავრობა მიმდებარე ტერიტორიებზე პრეტენზიებს აცხადებს. მალე ჩვენს ხელში აღმოჩნდება ბევრი ტერიტორია, შეიძლება დიდ მამულებს გამოვკრათ ხელი.

– მერე თქვენ ხომ... ალარ დაამთავრა სათქმელი ხოჯამ.

– ჰო, ეფენდი მთავარი ალარ მითქვამს. ჩემი მდგომარეობაც იცვლება. ეს წუთია მაცნობეს, მთავრობაში მიწვევენ ისევ, ასე რომ... ორივეს გამომწვევად შეხედა.

ენვერ-ბეგმა და ხოჯამ ერთმანეთს მრავლისმეტყველად შეხედეს და თავები დახარეს.

„ეჱ, ვინ იცის, გავალწევთ კი საქართველოში – ფიქრობდა ხოჯა

– მდგომარეობა თუ გამწვავდა, საზღვრებსაც გაამაგრებენ, მერე კი ჩიტიც ვერ გადაიტრენს იქეთ”.

– რამ ჩაგაფიქრა მეჰმედ-ბატონო ასე მწარედ, სადარდო გაქვს რაიმე?

– კი ბატონო. თუ საიდუმლო არაა რა თანამდებობას მოელით?

ასლან-ბეიიმ ენვერ-ბეგს გადახედა.

– ვენდობი, როგორც საკუთარ თავს. შეგიძლიათ ყველაფერი თქვათ დიდო ბატონო – თქვა ხოჯამ.

– ჯარების სარდლობას შემპირდნენ, ისევ სამხედრო მინისტრობა აღმითქვეს. მოადგილედ ოლთისის ფაშა გადმოჰყავთ მგონი. მართლა ბეგო? შენ საიდან ხარ? შავშეთიდან არა?

– ჰო, შავშელი გახლავართ, იმერხევის მკვიდრი, არტანუჯში ვცხოვრობ. ახლახან ძველი სულთნის ფირმანი მომივიდა ართვინის ბეგლარ-ბეგობას მთავაზობენ, მაგრამ სულთანი რომ შეიცვალა, არ ვიცი ახლა რა ბედი მენევა, იქნება აქაურები ჩამოგვირიგონ ოლთისში, არტანუჯში და საერთოდ შავშეთში.

– ოლთისის ფაშად რომ დაგსვან ბეგო რას იტყვი?

– ეეჱ, სადა მაქვს მაგისი ბედი. ისე ძალიანაც არ მიმიწევს გული თანამდებობისაკენ, მაგრამ თუკი დამავალებენ მეტი რა გზაა.

– ჩათვალე ბეგო, ოლთისის ფაშა ხარ უკვე, ფირმანს და ბეჭედს ადგილზე ჩაგაბარებთ. სულ მალე მოხდება გადაადგილებები.

– სამაგიროს გადახდა დამჭირდება ბატონო ასლან-ბეი.

– მე რას მიპირებთ ასლან-ეფენდი ცოტა არ იყოს შეცძუნებულ-მა შეჰერადრა ხოვჯამ – ჩვენი ამბები როგორც ჩანს დიდი ხნით გადა-იდება.

– რა ვქნა მეპმედ-ეფენდი, ყველაფერი ვთქვა.
– თქმა სჯობია დიდო ბატონო, თორემ უთქმელობა ყველას გვავნებს.

– რახან ასე თვლით თანახმა ვარ.

ენვერ-ბეგმა ყურები ცქვიტა.

– მამუკა დავაქორწინეთ, შენც გაიგებდი უკვე. მე და მეპმედ-ეფენ-დიმ გადავწყვიტეთ გურჯისტანში გავამგზავროთ ცოლ-ქმარი, მა-გრამ სანამ გადავგზავნით, მანამ ფაშობა უნდა მივანიჭოთ და იქ როდე-საც ოსმალეთი გამაგრდება ფაშაც ჩვენი მაპმუდი იქნება, დანარჩენს ვითარება გვიჩვენებს.

– კი მაგრამ თუ პოლიტიკური ვითარება შეიცვალა და საქართვე-ლო ჩვენი გახდება, რალა აზრი აქვს მათ გადაპარებას? ველარ მოით-მინა ენვერ-ბეგმა.

– თუ ფაშობის მინიჭება ვერ მოვახერხეთ, მაშინ აუცილებლად უნდა გადავიყვანოთ და წინასწარ შევამზადოთ იმისათვის, რომ როდესაც იქაურობას დავიმორჩილებთ, პირდაპირ ფაშის ტახტზე დავამტკიცებთ მაპმუდს და მოსვენებით ვიქნებით. არ მიღალატებს შვილობილი. რა ამაგი მაქვს განეული მისთვის ხომ იცით.

– მეეჭვება მაგენი ბატონო. ჩიტი იქაა ძლიერი სადაც გამოიჩინე-ბა, ახალციხეში ფესვებს რომ გაიდგამს შემდეგ მისი მოთოკვა ძნე-ლი დარჩება – გამომცდელად უთხრა ბეგმა ასლან-ბეის.

– ახალციხე ჩვენი იქნება და გვინდა თუ არ გვინდა იქ ჩვენიკაცი უნდა დავსვათ და ამის გამო მაპმუდზე კარგ კანდიდატურას ჩვენ ვერ ვიპოვით. აქაურობაც იცის, იქაურობასაც კარგად ჩაუკვირდე-ბა და ორივე მხარისათვის სასარგებლო საქმეს გააკეთებს.

– მამა და შვილი გინდა ერთურთს წაჲკიდო? ჯერ მადლს აკეთებ თითქოს და მერე მტრობა გინდა გაალვივო მამა-შვილს შორის?

– ყველაფერი მოგვარდება. ეხლა მომისმინეთ ორთავემ. ფაშო-ბა რომ დაგიმტკიცდებათ ბეგო, მერე შენზე იქნება ამათი გურ-ჯისტანში გადასვლის ცერემონიები. ჩემზე სამაგიეროც გექნება გადა-ხდილი და საქმესაც წაადგები.

– კი მაგრამ ხოჯა-ბატონიც გურჯისტანში მიძრდანდება? ისე მეტყედ-ეფენდი მე რომ დამითმო, უფრო უპრიანი იქნება, პირველ ვეზირად დავნიშნავ და სასულიერო საქმეებსაც ჩავაბარებ ჩემს სფეროში.

– საღოლ ენვერ-ბეგო ნდობისათვის. მე ხომ ქართველი ვარ და გაჭირვების უამს ჩემს კუთხეში რომ ვიყო ნამდვილად სჯობს.

– რამდენი ხანია აქეთ ხარ მეტყედ-ბატონო – ჰკითხა ენვერ-ბეგმა.

– თექვსმეტ წელზე მეტია. რატომ მკითხე?

– შენს კუთხეში ვინმე გელოდება? ახსოვხარ ვინმეს? მერეც ამდენი ხანია ხოჯიობ, საქართველოში რომ გადახვალ ისევ ხოჯად აპირებ მოლვანეობას, თუ გაქრისტიანდები და გურჯებს გვერდით ამოუდგები ოსმალების წინააღმდეგ, თუ პირიქით მათ გამუსლი-მანებას შეუდგები?

– არც ერთით ცოდვა არ დამეწერება. ისე ბუდეში დაბრუნება მუდამ ჯობია, იქნებ მეც მივაღწიო რაიმეს, სიბერეში შეიძლება დავქორწინდე კიდეც. ღმერთზეა დამოკიდებული ყველაფერი.

– აქედან გაპარვა, ოსმალეთის ღალატში ხომ არ ჩაეთვლება ასლან-ბატონო – მიუბრუნდა ენვერ-ბეგი სერასკერს.

– გააჩნია, ვინ როგორ შეხედავს. ჩვენ ჩვენი საქმე გავაკეთოთ და ვისაც რა უნდა ის თქვას. ჰა, რას იტყვი, ყაბულს ხარ ბეგო ჩვენს დახმარებაზე?

– მე მამუკას მამას შევპირდი დახმარებას და არ ვუყურებ არავითარ მდგომარეობას, სიტყვას კი არ ვუდალატებ.

– მომწონხარ ბეგო. სიკეთით აგავსებ. ჩვენი ურთიერთობა მტკიცე უნდა იყოს, დღევანდელმა საუბარმა კი არ უნდა გაუონოს. მეწვი-ეთროდესაც მოგესურვებათ, საქმე კი აუცილებლად უნდა გაკეთდეს.

ენვერ-ბეგი და ხოჯა მხიარულ ხასიათზე გამოვიდნენ ასლან-ბეგის სახლიდან.

– ენვერ-ბეგო მამუკას არ ინახულებთ და ისე წაბრდანდებით?

– სად არის მერე, რატომ ვერ დავინახე?

– ქალაქში იქნებიან, ალბათ მაღაზიებში დადიან, ახალგაზრდები არიან, ქალაქი ხუთი თითივით იციან, მაგრამ ასე ხელიხელჩაკიდებულნი ხომ ჯერ არ ყოფილან, მერეც ჩემპიონს ყველა ხომ უნდა იცნობდეს. მერეც თაფლობის დღეები აქვთ და ხომ ვერაფერს და-

ვუშლით. ერთი დარდი მოვიცილე – ჩემთან იყო გამუდმებით მამუკა და ეხლა ცოტა ხანს მაინც სახლში დაკავდება. რაღა აქვს სადარდო – უმაღლესი განათლება მივაღებინეთ, ქალაქის ჩემპიონობა გაინაღდა, მერეც ვინც მას სურდა ის მოისვა გვერდში და აწე ალარაფერი საფიქრალი ალარა მაქვს.

– ჰო, მართლა ხოჯა-ბატონო, მართლა აპირებთ გურჯისტანში გადასვლას?

– კი ბეგო და შენი იმედი მქონდა, ასლან-ბეისაც რომ არ ეთქვა ვწუხდი ძალიან, რომ ალარ გამოჩნდი. დაილოცოს ლმერთის სახელი. გინატრე და მოხვედი კიდევაც. აწე დაჩქარებაა საჭირო თორებ ამ არეულ დროში ვინ იცის რა მოხდება კიდევ.

– რისი გეშინია მაინც ვერ გამიგია. აჭარაში ოსმალები ბატონობენ, ასევე ახალციხეშიც და მის ირგვლივაც, ასე რომ გადასვლა არც ისე სადარდოა, თქვენ რომ გვონიათ. საქმე ისაა როგორ მიგილებენ.

– ეჱ, რას იზამ, მე ჩემიანებს გამოტირებული ვეყოლები ალბათ. მამუკას ხომ პატრონი ჰყავს და მიელიან კიდევაც. გამუსლიმანების კი რა მოგახსენოთ. ლმერთი ერთია და მასთან მისასვლელი გზები თუ სხვადასხვაა, ეს არაფერი სადარდოა. ქრისტიანულად შეეხვეწები ლმერთს თუ მუსლიმანთა ენაზე ეს მაინცდამაინც საჩიონირო რად უნდა იყოს, მთავარია გწამდეს. გამოქვაბულში ინამებ თუ ჯამეში ამას არავინ არჩევს.

– მართალს კი ამბობთ ხოჯა-ბატონო, მაგრამ ყველა თუ გაიგებს შენ მსჯელობას. ესაა საფიქრალი.

– რა გაგება უნდა ამას, აჭარაში ოსმალები არიან და მეც ხომ ხოჯა ვარ – ქართული ვიცი, ოსმალურიც და სახლშიც ვიქწები, ჩემს კუთხეში და ხალხში, მტრად არავინ მომეკიდება, ეს ვიცი. მამუკას და ფატმას კი ძალვა მოუვლის, ჩემი სადარდებელი ალარ იქნება.

– როდის აპირებთ მაინც წასვლას?

– ასლან-ბეი უპირო კაცი არაა, ისე კი რაც ადრე წავალთ, მით უკეთესი იქნება. შეიძლება ერთ კვირაში მოვახერხოთ, შეიძლება რამდენიმე წელიც დავრჩეთ. მგონი გაჭიანურდება, იმიტომ, რომ სანამ მთავრობაში დალაგდებიან და მოლონიერდებიან დროც კი გავა.

– ერთ კვირას მეც აქ ვრჩები საქმეებზე და თუ კი მოხერხდება ამ დღეებში, მეგზურობას გაგინევ და თუ გადაიდება, არც ისაა საშიშროება. საიდან გინდათ მაინც გადასვლა?

– ახალციხეში უნდა გადავიდეთ, რაც არ უნდა იყოს.

– შორი გზაა, დაიქანცებით.

– არა უჭირს, დავიქანცებით შევისვენებთ, მთავარი ისაა, როდის წავალთ, ეს მარტო ჩვენს სურვილზე აღარაა დამოკიდებული. როგორც ასლან-ბეი გადაწყვეტს ისე იქნება, აბა ჩვენ მარტო რისი მაქნისები ვართ. ხომ დაინახე რა თქვა, იქნებ აქ მივანიჭოთ ფაშის ტიტულით. ჯერ ახალგაზრდა კი არის მარა, ხომ იცი, საქართველოში რა მცირენლოვან მეფებს ამეფებდნენ. ახალგაზრდა ფაშაც მისალებია, მაგრამ საქმე ისაა, როგორ შეაფასებენ ამ ნაბიჯს იქით. ისე შალვას მამულში მშვიდობაა, ასე გავიგე ვიღაცეებიდან.

– ახლოს არ იკარებს ოსმალებს, მაგრამ თუ ერთიანად მოედებიან გურჯისტანში, ვინ დატოვებს ისე არხეინად. ხომ თქვა სერასკერმა, მამუკას რომ ფაშად დავსვამთ მერე ყველაფერს მოევლებაო.

– მდაა. მაი კი გავიგონე და დიდი ხანია ვიცი, მარა ერთი რამ მაფიქრებს. მიუხედავად იმისა ჭკვიანია, ახალგაზრდაა და ოსმალებმა რომ საშველი აღარ დააყენონ და მამა-შვილს შორის კონფლიქტი მოხდეს, ამით ვქამთ სირცევილს. ამდენ ხანს გადაკარგული შვილი ფაშად დაპრუნდეს და მერე მამას დაუწყოს კბენა, ვერაფერი ბიჭობა იქნება. ძალიან საფრთხილოა და კარგადაც უნდა დავფიქრდეთ.

– რალაცას მოვიფიქრებთ. მეც თუ ფაშად დამამტკიცეს, ყოველ ლონეს ვიხმარ, რომ კონფლიქტი არ წარმოიშვას მამა-შვილს შორის. ეს ისე სიტყვას მოჰყვა, თორებ შალვა ისეთი ჭკვიანია, ოღონდ შვილი საღსალამათი დაუბრუნდეს და თუ საჭირო დარჩება თვითონ იქაურობას გაეცლება და შვილს გადაულოცავს ყველაფერს. საერთოდ კი დრო და ვითარება განსაზღვრავს ყველაფერს. აბა, ნახვამდის მეპმედ-ეფენდი. დღეის სწორს გამოგივლით და ამბავი დაწვრილებით მეცოდინება.

– სახლში ვიქნები მუდამ ბეგო და როცა ინებებ მაშინ მესტუმრე.

ხოჯა სახლისაკენ წავიდა, ენვერ-ბეგი კი ქალაქს შეერია და ნათე-სავებისკენ გასწია.

ასლან-ბეი მუთაქებზე მიგორდა, თესპე* ჩამომარცვლა და მის განვლილ გზას გონებაში გადაავლო თვალი.

„ ხუთი წელია სახლში ვზივარ, ახალი სულთანი კი ავირჩიეთ მარა... ხუთი წლის მანძილზე არავის გავახსენდი. დაჩაგრულივით ვგრძნობდი თავს. ერთი დიდი სიხარული რომ არ მოენიჭებინა

ჩემთვის მამუკას ჩემპიონობას და ქორწინებას, მე მგონი ლოგინად ჩავვარდებოდი, ამათ ნამდვილად გამახარეს და გამაბეჭნიერეს.... დაპირება ნამდვილად უნდა შევუსრულო, მაგრამ ვაი თუ აღარ გამოიძახეს, ხუთი წელია ველოდები გამოძახებას, ხუთი წელი დიდი დროა, ბავშვიც ისე დავაუკაცდა ვერ გავიგე. დრო შემომადნა ხელში და ისევ ამათ მიშველეს თორემ, მართლა ჭკუიდან შევიშლებოდი. ეხლა კი? თუ ისევ აღმადგინეს, მაშინ ყველა დაპირებას შევასრულებ. ჯერ მაპმული ფაშად ვალიარებინო, თუმცა ჯერ ნაადრევია ამაზე ფიქრი, მაგრამ ხანდახან საქმე ისე აეწყობა, რამდენიმე დღეში ყველა სურვილს შეისრულებს კაცი, ღმერთია ჩემი დამხმარე”.

მუთაქაზე მიეძინა კიდეც ფიქრებში და ზომვაში.

სერასკერიდან წასული ხოჯა გზაში თავისი უკარგრებს მიეცა:

„რა მაქვს დასაკარგავი, უბრალო ნაკითხი კაცი ვიყავი, ეხლა ოსმალური კარგად ვიცი, ფრანგული, არაბულიც. რაც ვიცხოვრე კარგად ვიცხოვრე, გული არ მტკივა, არც აწე გამიჭირდება. თუ ოსმალები დიდი ხნით დამკვიდრდებიან აჭარაში და საქართველოს რაღაც ნაწილში, ხოჯა ვარ და თავს გავიტან, თუ ქრისტიანობამ იმძლავრა, ქრისტიანად ვარ დაბატებული და საბუთად ნათესაობა მყავს აჭარაში ჩარჩენილი. არა, ჩარჩენილი მე ვარ თვითონ, თორემ ისინი ხომ იქაური მკვიდრები არიან. ვაგლახ, რომ ცოლ-შვილი არა მყავს, თუმცა ამასაც მოესწრება ადამიანი, ბოლობოლო ჯერ ორმოცისაც არა ვარ... აქედან რომ წავიდე, სანანებელი არაფერი მექნება, გარდა იმისა, რისთვისაც წამოვედი, მიზანი ბოლომდე ვერ მივიყვანე, თუმცა მშობლიურ კერას რომ დავუბრუნდები ისევ დავწერ ნაშრომს, ჯერჯერობით მეხსიერება არ მღალატობს და ინფორმაციაც ბევრი მაქვს დაგროვილი... ეჰ, ჩემიანებმა თუ მიცნეს მაინც... 16 წლის განმავლობაში რა ამბები დატრიალდა ვინ იცის”.

ხოჯა სახლში შევიდა და ფიქრებით დამძიმებული ტახტზე წამოწვა. შეისვენა და ისევ წამოდგა. ჯამეში უნდოდა ნასვლა მაგრამ გადაიფიქრა.

ისევ ფიქრებმა წაილო....

„წასალები არაფერი მაქვს მშობლიურ მხარეში, ანდა ზედმეტი ბარგის წალება რა საჭიროა, გზა ისედაც გრძელია და დამქანცველი,

ან რა მაქვს რომ წავილო, რა მაბადია. ამ ერთ კვირას ჯანი უნდა მოვიკრიბო, კარგად გამოვიძინო, დავისვენო, მერე კი?”

კარებზე დააკაცუნეს. ფიქრი გაუწყდა ხოჯას. ადგა და კარები გააღო. კართან სახლის პატრონი იდგა.

– მობრძანდით ბატონო, ხომ მშვიდობაა?

– სახლის ქირა გაქვს გადასახდელი ხოჯა-ბატონო რამოდენიმე თვისა, ხომ არ გავიწყდებათ? თუ კანონს მივმართო მაინცდამაინც და გინდა ცუდი კაცის შთაბეჭდილება დავტოვო?

– ერთი-ორი კვირაც უნდა მაცალოთ ეფენდი და მერე რამოდენიმე თვისას წინასწარ გადაგიხდი.

– ამ ერთხელაც გენდობი და... თქვა და უკმაყოფილო სახით გაშორდა ხოჯას.

„ისე აგიშენდა ცხოვრება, რავარც მე აღარა ვარ ქირის გადამხდელი“. ერთი კვირის შემდეგ ჩემი სახელიც დაგავიწყდეს იქნებ, ან ძალის წარმატების დაგამახსოვრდეს”... თქვა და კარებიც გაიხურა.

ასლან-ბეიმ მამუკა და ფატმა მისალებში გამოიძახა. გვრიტებივით შემოფრთხიალდნენ ოთახში.

– გვეძახდით მამა? – შეეკითხა ფატმა.

– ჰო, შემოდით, კარები გამოკეტეთდა არავინ უნდა შემოიხედოს აქ.

– რა მოხდა მამა? – შეშფოთდა ფატმა.

– არაფერია შვილები. მომიახლოვდით, რაღაც სალაპარაკო მაქვს. ასლან-ბეის წინ მუთაქაზე ჩამოსხდა ცოლ-ქმარი.

– მშობლები თუ გახსოვს შვილო? – შეეკითხა მამუკას.

მამუკას სახეზე ფერფურმა გადაპირდა. სახე მოეღუშა.

„ამისთანა რამ ჯერ არ უკითხავს, ეხლა რა ბუზანკალმა უკინა, რა ხდება ნეტავ ჩემს თავს?”

– მახსოვს და ძალიანაც კარგად. მე ხომ რვა წლის ვიყავი მაშინ. მამაჩემმა აქაც კი მომინახულა რამდენიმეჯერ.

– მართლა შვილო? მერე ვერ მოიყვანე?

– მაგას როგორ გავბედავდი... მე ხომ გამოტაცებული ვარ.

– მე ხომ არ გამომიტაცებიხარ შვილო, მე გამოგიხსენი მხოლოდ და აღგზარდე. რომ არა მე, უშვილძირო ადამიანი, ვინ იცის ეხლა რა

დღეში იქნებოდი იმ ფაშების ხელში. იმათ ხელები ჭუჭყში აქვთ გას-
ვრილი, ყიდვა-გაყიდვა და „ფარა“* უტრისალებთ ჭკუაში, მე კი უშვი-
ლობამ სიკეთე ჩამადენინა. გული ხომ არ გტკივა ჩემგან შვილო?

– არა, მაგას როგორ ვიტყვი, თქვენ ხართ ჩემი მშობელიც და
ცხოვრების ასპარეზზე დამყენებელიც. არ ვიცი როგორ გადავიხა-
დო ხოჯისა და თქვენი ამაგი.

– როგორ მოგაკვლია მაინც მამაშენმა? მერე როგორ არ წაგიყ-
ვანა თან? შენ ხომ მისი შვილი ხარ?

– ენვერ-ბეგის წყალობით, მაგრამ არასოდეს არ გვქონია
საუბარი არავის აქედან წასვლის თაობაზე. არა, აზრად არავის გაუვ-
ლია... არ ვიცი, მართლაცდა საკვირველია რომ არასოდეს ამ თემაზე
არ გვილაპარაკია...

– ხოჯამ თუ იცის ეს ამბავი?

– როგორ არა, მე მის გარეშე ნაბიჯი არ გადამიდგამს. რახან
თქვენს ხელში ვიზრდებოდი, თითქმის ყველაფერი გადავივინებ. არა
ეხლა რაღამ გაგახსენა ჩემი მშობლები, არასოდეს დაინტერესებულხ-
არ, მეც კიდევ თითქმის – ალარ დაასრულა სათქმელი.

– იცი ეხლა რა უნდა გახარო? – თქვა და თვალებში ორთავეს
გამოცდელად შეხედა.

– არა, მამა საიდან გვეცოდინება?

– გენატრება მშობლები?

– რა ადამიანი იქნება მშობლები რომ არ მოენატროს, მითუმეტეს
მე, უკვე თექვასმეტი წელი გავიდა. ძალიან მენატრებიან მაგრამ...

– მაშ მალე გექნება მათთან შეხვედრის ბედნიერება და სიხარული

– როგორ მამა? – ალმოხდა ორთავეს და ფეხზე წამოდგნენ.

– შენ რაღა გიხარია რძალო?

– აბა, მე აქ მტოვებთ და მამუკას იქეთ აგზავნით? მაინც რამდე-
ნი ხნით? თუ ისინი ჩამოდიან აქეთ? – ამის მაინცდამაინც არ მჯერა,
მეეჭვება რომ ისინი მარტო სანახავად ჩამოვიდნენ... ხომ არ გად-
მოასახლეს? თუ მამუკას და ჩემს დაშორებას აპირებთ? თავს მოვ-
იკლავ, ზღვაში გადავხტები პირდაპირ და დავიხრიობი.

– ლმერთმა გაცილოს შვილო ასეთი რამები, ეგ რამ გაფიქრებინა.
მამუკას თავის მამულში ვაგზავნი, შენ კიდევ მისი კანონიერი „ხანუ-

მი” ხარ და მასთან იქნები სიკუდილამდე. ხოჯაც თქვენთან ერთად წამოვა, ოლონდ ესაა, ჩვენ აღმზრდელები უნდა დაგცილდეთ და ეს მიკლავს გულს, მაგრამ ღვთის ძალით მალე ისევ ერთად აღმოვჩნდებით. ჰო, მართლა ფატმა-ხანუმ არამცდარამც არ გააგებინოთ ვინმეს ჩვენი საუბარი. მალულად უნდა წახვიდეთ აქედან, ჰოდა ღმერთისა და სულთნის ნებით მალე მეც გინახულებთ ახალციხეში.

– როგორ მამა?

– როგორ შვილები და... ახალციხე და აჭარა მალე მთლიანად და საბოლოოდ ჩვენს ხელში იქნება. შენ მაჲმუდ ახალციხის ფაშობას მიიღებ და იქაურობის ბატონ-პატრონი იქნები. ენვერ-ბეგი კი ბე-გობას დაემშვიდობება და ოლთისის ფაშა გახდება. თუ ერთმანეთს მხარში ამოუდგებით, ძალიან კარგს იზამთ.

მამუკას სახე მოელრუბლა და წამით თავის სადარდ-საფიქრალს ჩაუღრმავდა:

„მაშ, აჭარის და ახალციხის სრული დამორჩილება განიზრახეს არა? ხმები დადიოდა, აჭარა დიდი ხანია დაიპყრესო, მაშ ტყუილია? მერე რა გზით აპირებენ ხელში ჩაგდებას, უნდა იომონ არა? ხალხი უნდა განწყვიტონ? ჩვენი ხალხი ნებით არ დამორჩილდება. მაშ აჭარა ისევ თავისუფალია? სანამ ცოცხალი ვიქნები ოსმალების მტერი ვიქნები. ვაცლი, თუ ფაშობა დამიმტკიცეს, მერე დედას ვუტირებ ყველა მომხვდურს. ღმერთო მომეცი ძალაც, მოთმინებაც და გაძლებაც”.

– რატომ გადაწყვიტეთ მამა ჩვენი გამგზავრება? – ჰკითხა მაჲმუდმა – აკი აჭარა დამორჩილებულია ოსმალეთზეო, ახალციხის ნაწილიცაო...

– ჰო, შვილო, ნაწილობრივ დამორჩილებული არიან, მაგრამ მალე მთლიანად დავიმორჩილებთ, უნდა გავამუსლიმანოთ, ასე წერია ჩვენს კანონში.

– მერე, ეს ხომ ომის გარეშე არ ჩაივლის?

– მუსლიმანებზე ნაბრძანებია ღვთისგან, გიაურები უნდა გაამუსლიმანოთ, თუ წებით არ მიიღებენ ისლამს, ძალით უნდა მივალებინოთ, ჰო, თუ წინააღმდეგობა გაგვინიეს, ომი იქნება...

– მამა, დედაც ხომ გურჯი გყავდა, ხანუმიც გურჯი გყავს, მე და ფატმაც... ცოდო არ არიან დედის მხარე, ცოლის მხარე, შვილობილ-

ის მხარე აოხონ? თქვენ თვითონ ჩაუდგებით ჯარს საომრად და წინ წაუძლვებით?

– არა შვილო, მე თუ ისევ დამაბრუნებენ სამსახურში ხომ კარგი, თუ არადა არც ისე და არც ასე მე არავინ შემეკითხება, ეგ ყველაფერი სულთნის ბრძანებით იქნება, რომლის შეუსრულებლობას არავის აპ-ატიებენ. ამიტომ მინდა რომ შენ ახალციხის ფაშა გახდე და თვითონ მიხვდებირა უნდა აკეთო. აქედან კიდევ ენვერ-ბეგიც, მომავალი ფაშა დაგეხმარება და...

– ენვერ-ბეგი მე თავს ხომ არ გამიყადრებს, უფროსია ჩემზე რაც არ უნდა იყოს.

– უმცროს-უფროსობა რას მიქვია, როდესაც ორივე და ჩვენ ყველა დიდ სულთანს და ოსმალეთის იმპერიას ვემსახურებით. მხ-ოლოდ წოდებების განსხვავებით.

– როდის აპირებთ ჩვენს გამგზავრებას მამა?

– ასე ერთ კვირაში. შენ ჩემო რძალო, წასვლამდე ინახულე დე-დობილ-მამობილი და შემდეგ თქვენს გზას დაადგებით.

– ეხლა კი ერთი რამ უნდა დაგმობლვროთ ყურანის კანონებით:

„ტყუილად ნურავის ნურაფერს შეპირდები; როდესაც საუბარს დაიწყებთ მართალი ილაპარაკეთ, იქონიეთ რწმენა, უკულმართ საქმეს ნუ ჩაიდგინთ, იყავით სუფთანი და განწმენდილნი, სხვაზე ხელს ნუ აღმართავთ. მოერიდეთ არამ და საჭოჭმანო საქმეებს. ეცით ერთ-მანეთს პატივი. სულ მადლი და კეთილი საქმე აკეთეთ“.

– ასეც ვიზამთ მამა, ასეც ვაპირებთ, დიდი მადლობა – მიუგო ფატმამ.

ფატმა-ხანუმმა და მამუკამ ლამე თეთრად გაათიეს. არ უძინია ასლან-ბეისაც. მას თავისი დარდი ანუხებდა – თავის გონებაში ფი-ანდაზებს იგებდა...

„შვილობილს ახალციხეში ვაგზავნი, ვინ იცის რა მოხდება. იქნებ ველარც ველიორსო აწე მათ ნახვას. ჩავიგდებთ კი ახალციხეს და აჭარას მთლიანად ხელში? არ დავმარცხდებით? დიდია ღმერთი და ძლიერია სულთანიც. ალაპის დახმარებით დავიპყრობთ ტერიტორიებს. ღმ-ერთო ძლიერო დაგვეხმარე და გაგვამარჯვებინე“.

გამოენისას მიეძინა სერასკერს.

ფატმა-ხანუმი ლოგინზე ჩამოჯდა და მამუკას მიაპყრო თვალები.

– რას ფიქრობ მამუკა, ოსმალების ნება-სურვილის აღმსრულებელი იქნები თუ სამშობლოს დასაცავად იბრძოლება?

– ოსმალები ხომ სასტიკი დამპყრობლები და ბარბაროსები არიან, როდესაც სხვის ქვეყანაზე მძლავრობენ. ამათვის სულერთია დიდგვაროვანი, მდაბიო, მეფე და ყმა-გლეხი. დამორჩილებულებს და დაუმორჩილებლებს ყველას საქონელივით ექცევიან: – უნდათ მოჰკლავენ, უნდათ გაყიდიან. ჩვენ როგორ მოგვექცენ მერე? მართალია ჩვენ ლვითისნიერი ადამიანები შეგვხვდნენ და გაჭირვება და დამცირება არ გვიგრძენია, მაგრამ განა ჩვენით წყდება საქმე? მარტო იმას ვერ ვაპატიებ მშობლიურ კუთხეს რომ მოგვწყვიტეს და სანამ პირში სული მექნება ოსმალთა წინააღმდეგ ვიბრძოლებ, რა თქმა უნდა ძალაუფლება თუ მექნება. მეც და შენც ქრისტიანებად ვართ დაპადებულნი და ვერავითარი ძალა ვერ გადაეღობება წინ ჩვენს მრწამსას.

– მუსლიმანობა ცუდია ვითომ? რამდენი განბანვაა დღეში, როგორი სისუფთავე...

– ალარაფრის გაგონება არ მინდა, ამათ სულში აქვთ ჭუჭყი და ვერავითარი განბანვა ვერ გარეცხავს. შემდეგ ხომ იცი ნამუსს როგორ ეხებიან.

– პო, ეგ მეც ვიცი, მოსვენებას არ მაძლევდნენ ყავახანაში. ეხლა ჩემპიონი პატრონი მყავს და ალარ მეშინია ალარავის. ისე შეკითხვით გამოგცადე, მაგრამ მაინც მენანება აღმზრდელების მიტოვება. ჩემთვის არასოდეს უწყენინებიათ და რომ იტყვიან ცივ ნიავს არ მაკარებდნენ, ისე აღმზარდეს. მენანება, მართლა მენანება მათი მიტოვება, მაგრამ ყველას და ყველაფერს შენ მირჩევნიხარ და ის სიხარული მასულდგმულებს, თუ მართლა გადაგვაგზავნიან, როდის ჩავისუნთქავ ჩვენი სამშობლოს ჰაერს.

– მეც მენანება ფატმა, მაგრამ მშობლებიც მენატრება. ჩემი დაკარგვის შემდეგ სიცოცხლე განახევრებული აქვთ. თექვსმეტი წელი გავიდა უკვე, ხანშიშესულები არიან, მიხედვა ეხლა უნდათ. სწორედ კარგ დროს მაგზავნიან ახალციხეში. ერთი დავემკვიდრო იქით და მერე მე ვიცი... მელიან მშობლები, ეპ... რამდენი რამ შეიცვლებოდა იქ თექვსმეტი წლის მანძილზე, იქნებ ველარც მიცნონ კიდეც.

– ნეტავი შენ მამუკა, მშობლები გელოდებიან, მე ვინალვლო თორებ. როგორ უნდა მივაკვლიო, მეხსიერებაში აღარაფერი შე-მომრჩა, სულ პანია ვიყავი, როგორ უნდა დამმახსოვრებოდა. ხო-ჯას კი მოუყევი რაღაცები, მაგრამ ის როგორ მომაძებნინებს, ჯერ თავისიანები ჰყავს მოსაძებნი და მერეც იქ თუ ოსმალები არიან ფესვებგადგმული, მე როგორ მოვახერხებ ვინენ მოძიებას.

– ერთი მაცალე ფაშის ტახტზე დაჯდომა და შემდეგ ყვე-ლაფერს ავისრულებ. თუ აქედან ჩამშვები გამაყოლეს, იმის მოშორება არ იქნება ძნელი, მაგრამ ჩემს მამობილს რომ ყურს ვუგდებ, არც არავის არ გამაყოლებს... თუ ფაშისა მელირსა ხომ კარგი, თუ არა და ჩემს ხალხში არ ვიქნები მაინც? არაფერი არ იდარღო. ერთი გადავიდეთ და თუ ბედი გვაქვს შენიანებიც მოინ-ახება. ისე რა გერქვა გამოტაცებამდე აღარ გახსოვს?

– კი, მაგრამ არავისთვის არ გამიმხელია, თამარი მერქვა, სა-ბრალო ბაბუაჩემმა შემარქვა. ბაბუაც და მამაც ნასწავლი და გა-ნათლებულნი იყვნენ, მგონია უმაღლესი სასწავლებელიც კი ჰერონ-დათ დამთავრებული, წიგნებსაც კი წერდნენ. მაშინ არაფერი გამეგბოდა, მაგრამ ეხლა ვხვდები... ეჱ, ჩვენი ჰაერი ჩავისუნთქოთ მართლა და აღარაფერი მინდა...

ძალიან გვიან დაიძინეს, თითქმის შემოათენდათ. შუადლისას მეჰვედ-ხოჯა მოადგა ასლან-ბეის სახლს. ჯერ კიდევ ეძინა ლამენათ-ევ სერასკერს.

ხოჯა ილდიზ-ხანუმმა შეისტუმრა სასტუმრო ოთახში.

– რაღაც სიჩუმეა, სახლში ილდიზ-ხანუმ. ამდენი ხანია დავდი-ვარ და ასეთი სიმშვიდე არ მახსოვს აქ არასოდეს.

– ძინავს ყველას.

– რა მოხდა ლამე ათიეს?

– „ჰელბეთ“. აბა რა ვიცი, სასტუმრო ოთახში არც ერთი არ გამოჩენილა. იძინონ, რა საქმე აქვთ. გავალვიძო მეჰვედ-ეფენდი? სასწრაფო ხომ არაა რამე?

– არა, არ არის საჭირო. ისე ახალგაზრდები რომ მინახულებდ-ნენ კარგი იქნება.

– როდესაც გაიღვიძებენ გადავცემ. სად იქნებით მაინც?

– ერთ გზაზე არაა ჯამეც და სახლიც? მომძებნიან.

ხოჯა თავის გზას დაადგა.

ლამენათევ ახალგაზრდა ცოლ-ქმარს გვიანობამდე ეძინათ. თითქ-
მის შუადღე იყო მოახლოებული. მზე უკვე საღამოსაკენ გადახრილიყო
როდესაც წამოდგნენ და სამზარეულოში გავიდნენ. იქ კი მათვის გამზა-
დებული საუზმე ელაგა მარმარილოს მაგიდაზე. ახალგაზრდებმა ოს-
მალური ჩვეულების მიხედვით საუზმე ძირს გადმოდგეს.

ამ დროს ილდიზ-ხანუმმა შემოიხედა სამზარეულოში და იატაკზე
ფეხმორთხმულებს მუახლოვდა.

– რა ძილქუში დაგაწვათ, ამდენი ძილი შეიძლება – უთხრა ახ-
ალშეუღლებულთ და გულიანად გაუღიმა მათ. არ იცით რომ ძილი
სიკვდილის ძმა? – ყურანში სწერია.

– დაგვათენდა დედა და... გვიან ჩაგვეძინა. მაპატიეთ ქალბა-
ტონო, მეტი ალარ დაგვემართება.

– იძინეთ შვილებო, იძინეთ, სანამ შვილი არ შეგეძინებათ, მერე
თქვენი ძილი მკვდარია. მაინც ერთი რამ უნდა გირჩიოთ, ჩვენ ყვე-
ლანი ქართველები ვართ და რამდენადაც ვიცი იქ ჩვენ სამშობლოში
საჭმელს იატაკზე არ მიირთმევენ, ეს დიდი ცოდვაა. სუფრა ანუ საჭ-
მლიანი მაგიდა მუხლებს ზემოთ უნდა იდოს. ერთადერთი, რაც მუხ-
ლებს ზემოთ კი არა, მაღლა თაროზე უნდა იდოს, ეს სამუსლიმანო
ქითაბია და საჭმელიც ამ სიწმინდეზეა გატოლებული, ხოლო რაც
შეეხება იატაკზე ჭამას, ეს ოსმალების ველური გადმონაშთია. ესენი
ხომ ძველი მომთაბარე მონლოლების ნარჩენი შთამომავლები არი-
ან, მონლოლები კი მეომარი და მესაქონლე ხალხი იყვნენ და აპა სად
ექნებოდათ სპეციალური მაგიდის ტარების თავი, ან რამდენი უნდა
პქონოდათ, ამიტომაც მინდოორში და სადაც მოეხერხებოდათ, ძირში
ჭამდნენ საჭმელს.

ცოლ-ქმარი ყურადღებით უსმენდა და თანაც გაკვირვებული
იყვნენ ქალბატონ ილდიზის განათლებულობით.

– მაპატიეთ ქალბატონ შეკითხვა, მაგრამ რომ არ გუთხოთ არ
იქნება, საიდან გაქვთ ამდენი ცოდნა? პირდალებული შემოგც-
ქეროდით ორთავე, შეგვამჩნიეთ ალბათ.

– მეპმედ-ეფენდის უნდა ვუმადლოდეთ. ის მეცნიერი კაცია,
ხოლო ხოვიობა იმისთვის ისწავლა, რათა თავი შეენახა და დაეცვა
ამ ველურთაგან.

– რატომ გაქვთ ასეთი სიძულვილი ქალბატონო ოსმალებზე?
რამდენადაც ვაკვირდები ბოროტები არ არინ...

– ეჰ, შვილებო, თქვენ არ იცით ოსმალების შინაგანი ბუნება. ამათ თავიანთის გარდა არავის დანახვა არ უნდათ. დედამიწის ზურგზე მათი მსგავსი არავინ ჰქონიათ. აბა რისთვის ებრძვიან მათ ირგვლივ სახელმწიფოებს. იცით რამდენი სახელმწიფო მოინელეს, სანამ ამხელა იმპერიას შექმნიდნენ?

– ოსმალეთის ისტორია გცოდნიათ ქალბატონო. მიხარია ასეთი განათლებული დედამთილი რომ მყევხართ.

– ჰო, იმას გეუბნებოდით თუ რამდენი ქვეყანა მოინელეს – ოსმალეთის სახელმწიფო ჩამოყალიბდა 1360-იან წლებში. ოსმალეთის იმპერიამ თავის ხმალს დაუმორჩილა და თითქმის მიწის პირისგან აღგავა ბიზანტიის იმპერია, ეგვიპტე, ბულგარეთი, როდოსი, დოდეკანესი, უნგრეთი, მესოპოტამია, იემენი, ტრიპოლი. ახლა კი საქართველოს ჯერია. თუ ამ წარმატებას მიაღწევენ, შემდეგ მიადგებიან სომხეთსა და სპარსეთს.

– თუ ეს სიმართლეა ქალბატონო, მაშინ ესენი ერი კი არა, სისხლისმელი ხალხი ყოფილან.

– ოსმალთაგან რაც შეიძლება შორს უნდა დაიჭიროთ თავი. თუ ძალიან გალიზიანდენ კაცს თავს წააგდებინებენ და ქალს დაეუფლებიან, სწორედ ამიტომაც მიიჩნევენ გურჯისტანისაკენ, იციან რომ იქ ულამაზესი ქალები იზრდებიან.

ფატმა უსიამოვნებისაგან შეიძმუშნა და სახე დაემანქა.

– ღმერთმა დაგვიფაროს ქალბატონო ამისთანა საშიშროებისაგან. წარმოდგენა შემეცვალა ოსმალებზე.

– რას იზამ შვილო, ასეა ეს. ჰო, მე რომ გვითხე ღამე რისთვის გაათენეთ არ გიპასუხით.

– გზაზე ვფიქრობდით ქალბატონო, რამდენი დღის სავალია და როგორ დავიქანცებით შემდეგ. მერე კიდევ... თქვენი დატოვებაც გვიძნელდება და გვენანება შეჩვეული ადგილების მიტოვება ქალბატონო. ახალნაქორნილევი ვართ, ჯერ ჩვენით არ დამტკბარხართ და ასე უცებ უნდა დაგშორდეთ.

ფატმას ცრემლები ჩამოუგორდა.

– ნუ ტირი გენაცვალე. გზაზე წასვლის სურვილს ტირილი და ცრემლი არ შვენის, ცუდად მაქვს დაცდილი. ჩვენ არაფერი გვიჭირს. ისე კი მალე გინახულებთ. ჰო, მართლა, ხოჯამ დაიბარა მინახულონ. ისაუზმეთ და ქალაქეში გაიარეთ, მშობლებიც მოინახულეთ.

– გმადლობთ ქალაქატონო – თქვა და მოეხვია.

მეპმედ-ხოჯა სახლში დაუხვდათ. სამივემ „ჩიჩეგხანისაკენ“ გასწია.

ქალაქი ყოველ დღე იერსახეს იცვლიდა. უკეთესი ცხოვრების მოსაწყობად მოსახლეობა არაფერს იშურებდა, ოლონდაც ქალაქი კეთილ-მოეწყოთ და გაემშვენიერებინათ. მომრავლდა სავაჭრო ფარდულები, სასადილოები, მეჩეთები.

– ამ ქალაქის მიტოვება არ გინდა ხოჯა-ბატონო? – უთხრა მა-მუკამ ხოჯას და გამომცდელად გადახედა.

– რას გეტყვი შვილო იცი? როდესაც ჩიტის ბარტყი ბუდეს ტოვებს, სადაც ის ალიზარდა, როდესაც თბილი ქვეყნებიდან უკან მობრუნდებიან აუცილებლად ნაბუდარს მიაშურებენ და მათოვის ამაზე სასიამოვნო არაფერია. ჰოდა, ჩვენ რაღა გვემართება, რატომ არ უნდა გვიხ-აროდეს სამშობლოში დაბრუნება, განა ჩიტები გვკვობიან?

– რა უკულმართადაა მოწყობილი ხოჯა-ბატონო. დაიბადები ერთ ადგილას, დიდხანს დაჲყოფ სხვა ადგილას და მერე არჩევანში ხარ რომელი ჯობია.

– ეჱ, ჩემო მამუკა, მე რომ ჩემი ბებიის კალთაში ჩამაღებინა თავი ეხლა, სხვას არაფერს ვინატრებ. განა მართლა გადამავიწყდა? ბებიის ნანაზე ტკბილი არაფერია ქვეყანაზე – ისაა შენი მშობელიც, მთელი დუნიაც და სიყვარულიც. განა შენ ალარ გახსოვს დედის ნანა?

– როგორ არ მახსოვს, მაგრამ არც ამათგან მახსოვს ცუდი მოპყრობა, ამიტომ მართლაც ძნელია აქედან აპარება და წასვლა, თუმცა... ყველაზე კარგი ის იქნება ჩვენს ველმინდვრებზე კოტრიალას რომ გავაკეთებ, იქაურ სუფთა ჰაერს ჩავისუნთქავ და ანკარა წყლით გავიგრილებ გულს. აქ მარტო მტვერს ვყლაპავთ და ერთხელაც საბანაოდ არ გავსულვარ. რა სჯობია ჩვენს მდინარეში ჭყუმპალაობას ტოლ-ამხანაგებთან ერთად...

– გელირსება მამუკა მალე მაგათი ნახვა, ახლა კი ვხვდები რალრმადა გამჯდარი ფესვები სამშობლოს სიყვარულისა. გველირსე-

ბა და თანაც მალე – თქვა ხოჯამ და ამავე დროს ჩიჩეგხანასაც მიუახლოვდნენ.

ოსმან-ალა და მისი ცოლი ცას ეწიენ სიხარულით შვილობილი და სიძე რომ დაინახეს ეზოში შემოსულები. ხვევნა-ალერსში რამდენიმე წუთი გავიდა, ადგილიდან ფეხის მოცვლას კი ვერ ახერხებდნენ. ისევ ჯევრიემ გამოიყანა მდგომარეობიდან.

– მაიშექერ-ბიცოლა, ასე უნდა დახვედრა სიძე-ქალიშვილს? ფეხზე რომ გაგიჩერებია შუა ეზოში, ბალში გაიყვანე და გრილში დასხი. თორემ სიძეს დასიცხავს – თქვა ჯევრიემ და თვითონაც ორ-თავეს ჩაეკონა. ხოჯა კი ტკბებოდა, მათ სიხარულს იზიარებდა.

– ესენი განა სახლში შემოსაშვები არ არიან, მარა ახლა რალაი. წამოდით შვილებო, ბალში გავიდეთ – თქვა მაიშექერმა. შიდა ეზოში გავიდა ყველა და მოწნულ სკამებზე მოთავსდნენ.

რამდენიმე წუთში ჯევრიემ არომატული ყავა მოართვა ყველას და თავად დობილს მიუჯდა გვერდით, რომელიც მოშორებით განმარტოვდა.

– კარგია გათხოვება გო?

– დაიკარგე იქეთ. გათხოვდები და მერე მიხვდები... იცი როგორი ბიჭია მამუკა?

– ვიცი, როგორ არ ვიცი და.. შენ რომ არ გაყოლოდი მაგ ბიჭს, აუცილებლად მე მოვხიბლავდი.

– სუ, უბედურო არ გაგიგონოს.

– გამიგონოს კი არა... ერთი ჩავეკონებოდე...

– მერე ვინ გიშლის?

– რას გეტყვი იცი? გამიგონია კაცს შვიდი ქალი ეკუთვნისო, პოდა ცოტა ხნის შემდეგ მეც რომ...

– რატომ გაჩერდი, შენც ხომ არ გინდა აუჩილო გული მამუკას?

– შენ რა გგონია, ჩვენს ყავახანაში რომ დადიოდნენ ეგ და მისი მასწავლებელი მე გული არ შემიქანდა? შენ რომ მოგწონდა ვიცოდი. ცოლობას უპირებდი, ამის ხათრით ვერაფერი ვთქვი, თორემ მეც შენსავით მომწონდა – თქვა და განზეგაიხდა.

– ხომ არ გიყვარდა ჯევრიე? ცოდვა ხომ არ ჩამიდენია მე რომ გავყევი ცოლად? თუ გიყვარდა ეგ უნდა გეთქვა. ადრე მე მხოლოდ

მომწონდა და ბაზარში გაყიდული და ბაზარშივე ნაყიდი გავძედავ-
დი რაიმეს თქმას, მითუმეტეს ვიცოდი რომ სერასკერის შვილობილი
იყო. შენ კი უფლება მეტი გქონდა, ოსმალო ხარ და იმიტომ. მერეც
რას გეტყვი იცი? თუ ოდესმე შვილი არ შეგვეძინა, რა უჭირს მერე, მე
თავად ვახარებ მაგ ამბავს. წაგიყვან ჩემს შემცვლელად. ცოტა ძნე-
ლი ასატანი კი ამის მოთმენა, ძალიან მაგარ ნერვებს მოითხოვს,
მაგრამ შენი ხათრით ყველაფერზე თანახმა ვარ.

ჯევრიე ისევ მიეკრო დობილს.

– რამდენი რამ გადმოალაგე გო, ასეთი კარგი გულის თუ იყავი,
აქამდე არ ვიცოდი. მაში, მეც რომ ცოლად გავყვე, ალარ გამიბრაზდე-
ბი? ჯერ ხომ არ დამტკპარხართ ერთმანეთით. როდესაც მოილლები
მაშინ შეიძლება შეგენაცვლო, ეხლა კი შენც სუ და მეც სუ...

– არც მე შემიძლია ამისთანა რამეს შევურიგდე, მაგრამ მამუკა
თუ ფაშა გახდა, ხომ იცი ფაშებს ჰარამხანები* აქვთ და თუ მამუკა-
მაც მოინდომა და ამ წესს არ უღალატა, აუცილებლად შენ დაგისავამ
გვერდით, მაგრამ ქართველები ვართ და ეს წესი საქართველოში არაა
დანერგილი.

– საქართველოში ხარ თუ ოსმალეთში?

ფატმა-ხანუმმა ტუჩებზე იკბინა. უნებურად კინალამ თავი გასცა.

– ჴო, ოსმალეთში ხომ ხარ?

– კი, ჩემო დაო, მაგრამ ერთი რამ მაინც მაკვირვებს, თუ კაცზე
რამდენიმე ქალია ნებადართული, ჩემს მამამთილს იმოდენა შეძლე-
ბა აქვს, იმოდენა თანამდებობა ჰერნდა და უშვილოდ რომ დარჩა,
რატომ მეორე ხანუმი არ მოიყვანა და ბიჭი იშვილა მაინცა და მაინც.

– ცოლი ხომ გურჯია მაგისა, წებას არ დართავდა. მერეც კიდევ
რომ დაქორწინებულიყო... ბევრ ცოლს კაცი სახლში უნდა ჰყავდეთ
ხომ იცი, თუ არა და ოსმალების ამბავი არ იცი? ვინმე შეეპარება
მეორე თუ მესამე ცოლს და თავს მოჭრის, ასე ირჩია მინისტრმა კაც-
მა...

– ჴო. ალბათ, მასეა და... მეტი ამბები აღარ გაინტერესებს? სულ
გათხოვება, ჰარამხანა, შეძვრომა-გამოძვრომა... როგორაა საქმეე-
ბი, ეს რამდენიმე დღეა აქაურობის არა ვიცი რა...

– ყველაფერი ისეა, როგორაც დატოვე, არაფერია ახალი. ოლონდ
ესაა, მუშტარმა იკლო.

- არ გადამრიო, რაა მიზეზი, რა მოხდა?
- ჰო ასეა და რას იზამ... აღრე ალბათ შენს გამოც დადიოდნენ და რომ გათხოვდი, მერე მუშტარმა იკლო.
- მერე შენ ხომ ხარ ულამაზესი და... ნუთუ ჩემს გამო დადიოდნენ. მართლა? არა მგონია... იცი ქვეყნის საქმე ველარაა ყალიბში და ამიტომ მოიკლო მუშტარმა, მე არაფერ შეაში ვარ...
- შენ არ იცი ფატმა, მაგრამ მე ხომ ვიცი, რომ გათხოვდი, ძალიან ბევრმა დასაქორწინებელმა მოგიკითხა და რომ გაიგეს, მას აქეთაა რომ მართლა მოიკვეთეს ფეხი...
- ჰო, კარგი, კარგი. ახლა ამაზე ლაპარაკი სისულელეა. მე პატრონი მყავს და... ბოლოსდაბოლოს ბედს არ ვუჩივი... მთელი სასულთნოს ერთერთი ხელმძღვანელის შვილობილია და მერეც ჩემ-პიონი...
- ღმერთმა მზე და მათვარესავით შეგაბეროთ ერთმანეთს... ვიხუმრე გო, მეც გამომიჩნდება ვინმე, მთავარია ერთმანეთი არ დავკარგოთ. იქნებ ვინმე გურჯი მეც გამომიჩნდეს, ნამდვილად არ ვეტყვი უარს.
- გადმოგვხედავს ალბათ უფალი, ყველაფერში დაგვეხმარება. ახლაც კიდევ ომს აპირებენ გურჯისტანთან და ცოტა გავფართოვდებით კიდეც.
- მერე გაგიხარდება შენი სამშობლო რომ ააწიოკონ? გამომ-ცდელად შეხედა ჯევრიემ.
- არა, ნამდვილად არ გამიხარდება. ომი ვის უხარია. მერეც თუ სამშობლოზე მიდგება ლაპარაკი, ჩემი სამშობლო ეხლა აქაა. იქაურობა ჩემთვის უცხოა. განა თევზისთვის ის ადგილია ძვირფასი, სადაც ლიფსიტობენ? არა მგონია. რაც მეტია საარსებო ფართობი, მით უკეთესია, ამიტომაც ეპრძევის სულთანი სახელმწიფოებს...
- სალამო ხელში შემოადნათ. საამურ, ტკბილ მუსაიფში დრო ისე გაიპარა, შებინდება ვერ იგრძნეს.
- ნასასვლელად სანამ გაემზადებოდნენ, ფატმამ კუთხე-კუნჭული მიმოირბინა, ყველაფერს მიესიყვარულა, რაღაც რაღაცებს აკოცა და მამუკას მიერ ქართულად დაწერილი წერილი, რომელიც საგულდაგულოდ პქონდა დამალული, მოიპარა და ეზოში გამოვიდა. ერთხანს ეზო-კუნჭულს მიმოავლო თვალი და ის იყო შიდა ეზოში

უნდა დაბრუნებულიყო, რომ ვიღაც ახმახი, ულალთმიანი ახალგაზრდა აეტუშა წინ და გასასვლელი ჩაუკეტა.

– იმ ვიღაც ბუშს რომ გაჰყევი ცოლად, ჩვენ ოსმალები რას ვაკეთებთ ვითომ, რა იმაზე ნაკლები შეძლება, ტან-ფეხი მაქვს?

– რას კადრულობ, გავთხოვდი ხომ ხედავ. არ შეგვენის ასეთ ახალგაზრდას ასეთები...

ულალთმიანი ფატმასთან მიიწია და მოხვევნას უპირებდა, მაგრამ ფატმამ ხმადაბლა შეიკივლა. ამ დროს მამუკაც გამოიდიოდა ეზოში, მაგრამ ფატმამ ისეთი გაულანუნა ახმახს, ვაჟკაცსაც შეეხარბებოდა. ულალთმიანი წაბარბაცდა, მაგრამ არ წაქცეულა. ისევ მიიწია ფატმასთან მოსახვევად, რომ სწორედ დროულად გამოჩნდა მამუკა და როდესაც ეს სურათი იხილა, ნავარჯიშევი მუშტი თავისით აღიმართა და უროსავით დაეცა ლაზლანდარას მხარზე.

ჩაიკეცა ოსმალო. მამუკას და ფატმას უკან აღარ მოუხედავთ, ისე შევიდნენ უკანა ეზოში, ფატმა ცახცახებდა.

– რა მოხდა შვილო – შეეკითხა ოსმან-აღა.

– აქამდე არ მითქვამს მამა, მოსვენებას არ მაძლევდა ერთი მუშტარი, ეხლა კი ნადირივით მებდლვნა და მოხვევას მიპირებდა.

– მერე? – თქვა ოსმან-აღამ და თვალები ავად დაკვესა.

– მერე ის რომ მიიღო მისალები ჩემგანაც და მამუკასგანაც, მგონი აწე ჩვენკენ აღარ გამოიხედავს.

– კი ვამჩნევდი ადრე იმ გარენარს, როგორ გიცქეროდა მგელივით, მარა რას ვიფიქრებდი – თქვა მეჰმედ-ეფენდიმ და წამოდგა.

– დარდი ნუ გექნებათ, აქაღარ შემოვა ეგ ვიღაც ნაძირალაა.

– არ გინდა მამა, ნურაფერს ეტყვი, მითუმეტეს ჯევრიეც გასათხოვარია და რაიმე არ აუტეხოს. ეგ ახმახი ქალაქელი უსაქმურების მეთაურია და რომ ველარ დამინახავს, ეგებ გადაუაროს და აღარც აქაურობას გაეკარება. ისე კი ჯევრიე ყურადღებაში გყავდეთ, ნუ მოშორდება ყავახანას.

– სახლში წასვლის დროა უკვე, წავიდეთ მეჰმედ-ეფენდი.

– ხშირად გამოგვიარეთ შვილებო, რაღაც ორი პარასკევი გვაქვს დარჩენილი და ნუ მოგვანატრებთ თავს.

– კი დედა, აბა რას ვიზამთ, დარდი ნუ გექნება – უთხრა ფატმამ. მშობლები გადაკოცნა და ქუჩაში გავიდნენ.

უკვე ბნელოდა. ოსმან-ალა და მაიშექერი ჯევრიეს თანხლებით სახლში შევიდნენ და ყავახანის ჩაკეტვა დააპირეს, მაგრამ ...

ულალთმიანი ყავახანიდან რამოდენიმე ნაბიჯზე ლობეს მიყრდნობოდა და ავად იმზირებოდა. ახლომახლო რამდენიმე ახალგაზრდა მიღი-მოდიოდა.

გვერდის ავლას აპირებდნენ, მაგრამ ულალთმიანის ხმაშ შეაჩერა სამივე.

– რას ინებებთ ბატონო? – აგდებულად მიახალა მამუკამ და უკან, მისკენ შებრუნდა.

– უნდა გავსწორდეთ აქვე, შენ მე ვინა გგონივარ ჰა?

ულალთმიანის ნიშანზე ამხანაგები ახლოს შეჯაფულდნენ.

– ცემას ხომ არ მიპირებთ ბიჭებო? მერე არ გეცოდებათ ახ-ალდაქორწინებულები? ცოდო არა ვარ? – ისევ აგდებულად მიუგო შეგროვილ ხულიგნებს.

– დაარტყით მაგის დედაც... შეიგინა ერთმა დაკუნთულმა და მამუკასკენ გაიწია აპრიალებული დანით.

ფატმამ შეჰქველა. მამუკამ ცალი ხელით ეზოსაკენ უბიძგა ფატ-მას და დანიანს ისეთი უთავაზა, ლობე მეორე მხარეს გაატანინა.

– აბა, რომელი ხართ უფრო ძლიერი. მაჰმუდის სახელი თუ არ გაგიგონიათ, ან დაიხსომეთ მაინც ვინცაა.

ულალთმიანმა წაიწია დასარტყმელად, მაგრამ მამუკამ ერთი ისე-თი უთავაზა, მკერდთან რაღაცამ გაილანუნა, დანარჩენებიც თითისკვრით ერთმანეთს მიაწყვიტა და დაუმატა.

– დღეის შემდეგ თუ კიდევ სადმე გადამეყრებით, ან საერთოდ თუ ოდესმე გავიგე ქალაქში თქვენი ავკაცობის ამბავი, ძვლები აღარ შეგრჩებათ მთელი. ცოტაც გაიკითხეთ თუ ვინაა მაჰმუდ-ბეი და შემდეგ ისე ჩაიდეთ ლუკმა პირში, თქვე არაკაცებო – თქვა მამუკამ და თვალებით ქუჩისაკენ მიუთითა...

ფეხზე მყოფებმა წაქცეულები წამოაყენეს და გაიძურნენ, უკან ალარ მოუხედავთ.

ისე უცებ მოხდა ყველაფერი, ოსმან-ალას არაფერი შეუტყვია. როდესაც მოახსენეს, ეზოში გამოსულს უკვე იქ ალარავინ დახვდა.

– ავია ეგ ულალთმიანი – ჩაილაპარაკა თავისთვის.

— ავიაო? მაგათ რომ მამუკამ გაფრთხილება მისცა, ამ არემარეში კი არა, მთელ ქალაქს გაეცლებიან მგონია — თქვა ერთერთმა მუშტარმა — ლაპარაკის და ჭამის მაღადა დაუკარგა ყველას.

— მაღლობა ღმერთის — ჩაილაპარაკაოსმან-აღამდა სახლში შებრუნდა. მაიშეერი შემფოთებული დაუხვდა ოსმან-აღას.

— რა მოხდა, რა ხმაური იყო ქუჩაში? ის ქალაქელი ხულიგანი ხომ არ იყო კიდევ?

— ვინ ქალაქელი?

— ერთი წითური ბიჭია, მის დანახვას ვერ ვიტან. ერთხელ ჩვენს გოგოს წეაეტანა, მაგრამ მკაცრი გაფრთხილება მივეცი. ეხლა რაღა უნდოდა? მე ეს ამბავი არ მითქვამს შენთვის. ერთხანს აღარ ჩანდა და ვთქვი გადაიკარგა-მეთქი. ჰო, რა უნდოდა?

— ფატმასკენ გაწეულა და მამუკას დაუთეოქვია ყველა, თანაც გაუფრთხილებია, რომ არსად გამოჩენილიყო ამის შემდეგ.

— ვენაცვალე ხელებში, ტყუილა კი არაა ჩემპიონი, მარა ღვთის კანონებში რომ მიტევება წერია, ამის დავიწყებაც არ შეიძლება. „ბოროტს ბოროტულად არ მოექცეო”, მარა ადამის მოდგმა ამ კანონებს არ სცნობს მგონია. ეს რას ჰეგავს იცი? ოსმალო რომ ქრისტიანს იატაგანს სცემს (ეს ბოროტება არაა?) ქრისტიანმა უნდა მიუტევოს და თაყვანი სცეს ხმლის დამრტყელს... არა, სანამ ადამიანი იარსებებს ცხელი სისხლი თავისას იზამს, რაფერ გინდა მოითმინო კაცმა, როდესაც უყურებ, შენ ცოლს, დას, დედას ან ახლობელს ვინცხა უჯიშო ხელის მოხვევას ან შეხებას უპირებს? ვენაცვალე ხელებში — ბოროტება უნდა ამოშანთო, რომ სხვა ბოროტება არ ამოიზარდოს. ამაზედაა ნათქვამი — „ღმერთის იმედი გქონდეთ, მაგრამ აქლემის დაბმაც ნუ დაგავიწყდებათ”. ჰოდა ამ წითურას არ უნდა სცოდნოდა რომ სხვისი ნამუსის შემბლალავ, თავისსავე ნამუსს შეუბლალავენ? მაგრამ ყველაზე მთავარი მუსლიმანისათვის ისაა — „ადამიანს, რომელსაც თავისი რისხვის მოთოკვა შეუძლია, ღმერთი სიკეთეს მიუზღავს”

— იმიტომ არ გავეყარე და არც მეორე ცოლი მოვიყვანე, ასეთი განათლებული რომ იყავი ამან გადაგარჩინა თორებ... ჰაიდე, ეხლა ძილის დროა...

თავი V

ერთი კვირა სანთელივით დაიღია.

სერასკერის ოჯახში გაცილების სამზადისი იყო. რაც ნოტარიუსით ქონდა მამუკას დამტკიცებული, ოქრო-ვერცხლად და ფულად აქციეს და მცირე შეკრულაში მოათავსეს, აუცილებელი საგნებიც ცალკე ფუთაში გამოკრეს და ლარიბული სამოსით შემოსეს ორთავე.

– ასე უფრო ჯობს. გზაში ათასი მამაძალლია. როდესაც საშოვარზე გადიან, არავის ინდობენ, შეიძლება იარაღიც გამოიყენონ. კაცის მოკვლა თუ კოლოს გასრესვა ერთნაირია მათთვის, ამიტომ სიფრთხილეა საჭირო. ასე ლარიბულად შემოსილებს არავინ გერჩით – გააფრთხილა ასლან-ბეგი მგზავრები.

– კი მაგრამ ენვერ-ბეგი რომ მდიდრულადა ჩაცმული?

– მით უკეთესი. ის ბეგია და თქვენ მისი მოსამსახურები ხართ ვითომ. ბეგს არავინ ერჩის, რაღაცნაირ მორიდებას იჩენენ, ესეც არ იყოს რამდენჯერ იმგზავრა და არაფერი დაუჩივლია ჯერაც, როდესაც გადადაწყდა და ეხლა უკვე სამგზავროდ ხართ გამზადებულნი, დიდ გზას დაგილოცავთ. საქმე აწყობილია საათივით. მთავარია ქალაქიდან გახვიდეთ, დანარჩენი კი იოლია. სახალისოა მგზავრობაც. ტყის თუ მინდვრების ბილიკები, სუფთა ჰაერზე ცხენებით მგზავრობა – უჰ, რა სჯობს მარა, იცით რამდენი ხანია არ მიმგზავრია? რაც შენ ჩამოგიყვანე მამუკა შვილო, შენმა სიხარულმა აპა აქამდე მომაღწევინა, ყველაფერი მიმავიწყა. ეჸ, ნეტავი თქვენს ერთად მოვდიოდე. მომწყინდა ყველაფერი ქალაქური ცხოვრებაც, მტკვრიანი ქუჩები, ხალხის ყაყანი, თანამდებობაც... იცი როგორ დავისვენე სულიერად, რაც გამათავისუფლეს? ქვეყნის ტვირთის ზიდვა ძალიან ძნელია, მაგრამ ხალხი რომ ამოგირჩევს და მათავრობაც ბეჭედს დაასვამს ხალხის სურვილს, მეტი რა გზაა...

სერასკერს ცრემლები ჩამოუგორდა, მაგრამ მგზავრებს მოარიდა და სახე მოიწმინდა.

– ჰო ძალიან მექნელება ახლა თქვენი გამგზავრება შვილებო, მაგრამ როგორმე უნდა გავძლოთ, იმპერიას ასე სჭირდება, როდესაც სახელმწიფოს ჭირდება, უკან დახევა, ლალატია ქვეყნისა, ეს ყველამუნდა ვიცოდეთ, როდესაც გაცილებთ გურჯისტანისაკენ ეს ჩვენს

ოჯახსა და სახელმწიფოს სჭირდება, ამიტომ გაძლება გვმართებს ყველას, იმედია მალე გინახულებთ. ახლა კიდევ ოსმან-ბეის შემოტე-ვას რაღა გაუძლებს.

კარებზე დააკაკუნეს. ეუცხოვათ კაკუნი, გააღეს და...

– ენვერ-ბეგ? – მოპრძანდით ბატონო – შეიპატიუა ასლან-ბეიმ სტუმარი და სასტუმრო თოახში შეუძლვა.

ცოტა ხნის შემდეგ მეჰმედ-ხოჯაც მოვიდა პატარა ბარგით.

– „სელამ ალეიქუმ“ ბატონები.

– „ალეიქუმ სელამ, ბუიურუნუზ-ეფენდიმ“ – ფეხზე წამოდგო-მით მიესალმნენ და ისევ ხალიჩაზე მოთავსდნენ.

– როგორა საქმეები? – იკითხა ხოჯამ.

– ამაღამ უნდა წავიდეთ, დაყოვნება ალარ შეიძლება – თქვა ენ-ვერ-ბეგმა და ასლან-ბეის გადახედა – დიდხანს დავრჩი და...

– სწორედ რომ დროა, ზაფხულის ღამეებში მგზავრობას რა სჯობს – თქვა ხოჯამ.

– შენ ეგა თქვი და – კვერი დაუკრა ასლან-ბეიმ – ბავშვები უკვე მზად არიან, ცხენებიც დარახტულია, ხოჯა კი ფეხით ივლის – გაეხ-უმრა სერასკერმა და გულიანად გადაიხარხარა – ერთი ცხენიც ბარგს წაილებს და მთვარიანი ღამით გაუდგებით გზას. ეპ, გული მტკივა, ასე რომ შებრუნდა ჩემი ბედი, მაგრამ იმედია ყველაფერი ყალიბში ჩადგება და ისევ ჩვენებურად ვიქტურუკებთ.

– რა თქმა უნდა ასლან-ბეი – კვერი დაუკრა ხოჯამ – ჰო, მართ-ლა ოსმან-ალას საქმე როგორ იქნება?

– დავეხმარები შეძლებისდაგვარად. ამ დღეებში სერალის სხ-დომა გაიმართება და..

– ჩვენში დარჩეს ასლან-ბატონო და შენი შვილობილი, ოსმან-ალის, მეც კიდევ უკვე შორს ვიქებით და ოსმან-ალის აკიდება ხომ ზედმეტი არ იქნება თქვენთვის, რომ ალარ მიაქციო ყურადღება არაფერიც არ მოხდება – გამომცდელად ჰკითხა ხოჯამ.

– მეჰმედ-ეფენდი ჭკვიან კაცად გთვლი და ის კი უნდა იცოდე, რომ მე სიტყვის გატეხვა არ მიყვარს... ისეთი გოგოს გამზოდელს დიახაც ეკუთვნის ყველანაირი სიკეთე. მე სიტყვას ნალდად ვერ ვუღალატებ, მერე შენი თხოვნაც იყო და... ამდენი ხანია ძმებივით ვუდგევართ ერთ-მანეთს და შენ მოუწონარს როგორ გავაკეთებ, ჩემი იმედი გქონდეს.

— დიდი მადლობა ასლან-ეფენდი ნდობისთვის, მეც არ მიღალატია ადამიანობისათვის აქამდე და არც აწე ვაპირებ.

— მთავარია ადამიანური თვისებები არ დაკარგოს ადამიანმა. ჩემი თანამდებობა საპატიო იყო, მაგრამ დავკარგე, იქნებ აღმადგინონ კიდევაც, კაცობა არ დამიკარგავს, ამიტომაც ვუყვარვარ ხალხს.

— კაცობა რომ არ დაგიკარგავს, მაი ქართულმა სისხლმა ქნა, თორებ სისხლით ოსმალები რაებს ჩადიან.

— ნაძირალები და ოხრები ყველა სისხლის ხალხშია... მამაჩემიც ოსმალო იყო, მაგრამ არ იყო ცუდი კაცი და მე მგონია, არც მე ვარ სიგლახის განსახიერება... მე ჩემს ადამიანობას არასოდეს ვულალატებ, მარა, ეხლა რომ გულიც და სახლიც გამომიცარიელდა ამას რა ეშველება ეს მითხარი შენ – ნაღვლიანად უპასუხა ხოჯას.

— კაცის თავზე ბევრი რამაა მოსალოდნელი და კაცობა და ადამიანობა მაშინაა, როდესაც მაგრად იდგები და ადამიანობას შეინარჩუნებ. ყველაფერს უნდა გავუძლოთ.

— ჰო, რა თქმა უნდა ხოჯავ, გაგვიძლია და გავძლებთ კიდევაც. ჰო, ერთი რამ მაინტერესებს კიდევ მეტმედ-ეფენდი – რამდენი ნლისა ხარ და ეს სახელი ნამდვილია თუ ეფარები მაგ სახელს?

— აქამდე არ დაეჭვებულხარ, ეხლა რალა მოხდა?

— რალა მოხდა კი არა, შენ რომ სამშობლოში გადახვალ და იქ თუ სხვა სახელით იქნები, როგორ მოგნახო, როდესაც მომენატრები, თუ იქნებ გაუჩინარებას აპირებ?

— სახელი მართლაც სხვა მაქვს – ახმედი მქვია და ხალიფაშვილი ვარ გვარად, სოფელ სამზიარელი. ხანდახან სამზიაროლლის გვეძახდნენ ოსმალები. მათი დამსახურებაა, რომ სტამბულში მოვხვდი სასწავლებლად. ჩემი პირადი საქმეები და მიზნებიც მქონდა, მაგრამ რომ დამიჭირეს და ეჭვი აიღეს ჩემზე, მოვახერხე სახელის გამოცვლა, მაგრამ ხოვიობაზე და ადამიანობაზე არასოდეს მიღალატნია... რაც შეეხება ნლოვანებას, არა ვარ ძალიან ხნიერი – სულ ოცდათერთმეტი წლისა ვარ, მამიაზე, თქვენს მაჲმუდზე კი სულ ცოტა შვიდი წლით ვარ დიდი. ისიც უნდა გითხრათ ასლან-ბეი, ჩემი ძმაც და ბიძაშვილიც, აქვე სტამბოლში იმყოფებიან. ჩემი ძმა, ისმაილი სულთანჯამის მთავარი ხოვაა, ის ალოცებს სულთანს. ალბათ დიდხანს დარჩება – კარგი ხმისა და უალრესი ნასწავლობისთვის დატოვეს.

ბიძაშვილი ხასანი კი მეორე დიდ ჯამეშია, ანუ ორთაჯამეში ხოჯის შემცვლელი.

– კი მაგრამ მთელი ქართველები აქ ყოფილხართ, სტამბოლი აიღეთ?

– ქართველები კი არა, ეხლა მუსლიმანი გურვები ვართ, მაგრამ დარწმუნებული ბრძანდებოდეთ ასლან-ბეიი, რომ ჩვენ რაც არ უნდა სხვა რწმენა მივიღოთ, გულით ყოველთვის ქართველებად დავრჩებით და ენას არასოდეს დავიცინებთ, არც იმას დავიცინებთ ოსმალები რომ გვაწინებდნენ, მაგრამ როცა იქნება ღმერთი გადმოგვხედავს...

– რომ გადახვალთ რწმენას შეიცვლი?

– ჯერვებულით არა, მაგრამ დრო და ვითარება მეტყვის ამას, თუ რა გავაკეთოთ, ისე კი ჩვენს ქართულ ისტორიას ლალატი ვერ ალამაზებს ძალიან... მოლალატები სასტიკად არ გვიყვარს.

– შენ რომ ახლა აქედან გადახვალ, მოლალატე ხომ არ შეგერქმევა ხოჯავ? შენ ხომ უნდა გააგრძელო ქადაგება შენს ხალხში რომ მუსლი-მანურ რვეულზე გადავიდნენ?... „ლვოთის სარწმუნოების გავრცელები-სას ბოროტი ცილისნამების ნუ შეგეშინდებათ“ – ასე სწერია ყურანში.

– რაც ჩემზე იქნება დამოკიდებული და რასაც ვითარება მოითხოვს, ისე ვიმოქმედებთ... ჰო, ამას დრო და ვითარება მიბრძანებს, არასოდეს შემშლია და ანე არ შემეშლება მგონია, ყურანი კი თითქმის დავიზეპირე...

– ღმერთმაც ასე ქნას ეფენდი...

ენვერ-ბეგი საუბარში არ ჩარეულა, მხოლოდ უსმენდა, ხოლო მათი საუბრიდან ბევრი რამ გულში ჩაიბეჭდა და სამომავლო გეგმი-სათვის შეხამება გადაწყვიტა. ეს გეგმა კი შავშეთის, ახალციხისა და აჭარის კეთილმეზობლობა იყო, ოლონდ მშვიდობიანი გზებით...

– დაუუჩქაროთ ეხლა, თორემ საცაა შუალამე მოაღწევს და ძილიც დაგვაწვება – თქვა ენვერ-ბეგმა და წამოდგა.

– ძილი არაფერია, შიმშილმა თუ არ შეგვანუხა – თქვა ხოჯამ და ფუთებს გადახედა – მე ერთი სამი დღის საჭმელი მაქვს მარაგად, მარა, სამი დღის შემდეგ რა ვქნათ? რამაზანი მაინც ყოფილიყო.

– საჭმელსაც რალაც ეშველება, ფული ხომ გვაქვს ხოჯა-ბატონო – თქვა მამუკამ – გზაში როგორმე ვიშოვით. ყველგან სავაჭროებია გახსნილი, ესეც არ იყოს, ჩვენც მზადა გვაქვს რამდენიმე დღისა...

ხევენა-კოცნაში და გამოთხოვებაში დიდი დრო გავიდა. ძნელი იყო განშორება.

– არ ვტირივართ, ცრემლებს არ გაყოლებთ. გზაზე მიმავალთ ცრემლებით არ გააცილებენ. მშვიდობიანად გევლოთ შვილებო და იმედი მექქნება დიდი დრო არ გავა, შევხვდებით ერთმანეთს – თქვა ილდიზ-ხანუმმა და საბოლოოდ გადაეხვივნენ მგზავრებს.

– საკუთარი ბავშვებივით გებარებიან ესენი ენვერ-ბეგო – დაამატა ასლან-ბეგიმ.

– დარდი ნუ გაქვს, მართლაც შვილებივით მოვუკლი.

ცხენებს მოახტნენ და ქალაქიდან შუალამისას გავიდნენ. კარგა მანძილი ისე იარეს, ხმა არავის ამოულია, ყველას საკუთარი საფიქრებელ-სადარდებელი აწუხებდა – ასე ვთქვათ ბუდე მოიშალეს და თითქმის სხვა ცხოვრებაში უნდა გადაებიჯებინათ ფეხი. მხოლოდ ენვერ-ბეგს არ ეტყობოდა მოწყენილობა.

– რას ჩამოიგიშვიათ ცხვირი, სამშობლოში მიდიხართ, სხვაგან კი არა – შეახსენა მგზავრებს.

– ეჰ, ენვერ-ბეგო, ოსმალეთიც ჩვენი სამშობლოა თითქმის – გაეპასუხა ხოჯა – მე ჩემი საუკეთესო ნლები აქ გავატარე, აგენტაც ფეხი თითქმის აქ აიდგეს და ახლა მართლაც რომ გვეძნელება აქაურობის მიტოვება. სამშობლოს სიყვარული ყველაფერს ჩრდილავს, მაგრამ შეჩვეული ჭირიც რომ საშიში ალარაა? მერეც სამშობლოში ახალი ცხოვრება უნდა დავიწყოთ, შეთვისება ძნელია. იცი? აქაურობა მაინც მოგვენატრება, არ გვქონდა უხალისო ცხოვრება, თავისუფლად ვიყავით, არ ვიყავით შებოჭილი, ამაზე მეტი რაღა გინდა ადამიანს.

– ყველაფერში მართალი ხარ ხოჯა-ბატონო, გეთანხმები, მაგრამ ეხლა ჩივილი კი არა გეგმების მოფიქრებაა საჭირო, რომ როდე-საც სამშობლოში გადახვალოთ, როგორ უნდა დაიწყოთ ცხოვრება, დიახაც რომ ეხლავე უნდა იფიქროთ. ამ ახალგაზრდებს გული კი არ უნდა გაუტეხოთ, დამხმარე და მცველიც შენ იქნები, სადაც არ უნდა იყონ. მე გადაგაცილებ გადაღმა, მაგრამ ღმერთმა იცის, შევხვდებით კი ერთმანეთს? თუმცა ყველაფერს დრო გვიჩვენებს.

ქალაქის განაპირას „ხანი“* იყო, სადაც ენვერ-ბეგმა ცხენები შეაჩერა და ჩამოქვეითება პრძანა.

– აქ შევისვენოთ, გამოვიძინოთ და დილაუთენია დავადგეთ გზას, სანამ მზე დაგვაცხუნებს, მაგრამ მგონი ხვალე ღრუბლიანი ამინდი იქნება და მზე ალარ შეგვაწუხებს, ასე რომ თუ გაგვიმართლა დიდ მანძილს გავივლით შუალამემდე, როცა ერთ ლამის გასათევს მივალნევთ კიდევ. თუ ამინდმა გვაცალა, კაი იქნება.

ჩამოქვეითდნენ, მოსამსახურეს ცხენები ჩააბარეს და დასაძინებლად შევიდნენ სახლში.

უთენია წამოდგა ენვერ-ბეგი და მძინარეებს ჩამოუარა. ისე ღრმად ფშვინავდნენ, ერთი პირი დაენანა კიდეც მათი გალვიძება, მაგრამ დრო არ ითმენდა, გამგზავრება კი აუცილებელი იყო. წამოდგნენ ნამძინარეები, ხელ-პირი დაიბანეს, დანაყრდნენ და ისევ ამხედრდნენ.

ხოჯამ გამოვლილ გზას გადახედა. ენვერ-ბეგი მიუხვდა უკან მიხედვის მიზეზს და ხოჯას საუბარი გაუბა.

– მიგიხვდი ხოჯავ უკან მიხედვის მიზეზს. ეხლა, როდესაც უკაც-რიელ ადგილას მოხვდით, უფრო გაგიძნელდება ტოლ-მეგობრებზე, უამრავ ნაცნობებზე მოცილება, მაგრამ უნდა გითხრათ, რომ ყველაფერს ჩემი კუთხის ჰასუნთქვა და წყაროს წყლის დალევა მირჩევნია. შავშეთში ვარ გაზრდილი და აქ ჯაჭვით, რომ დამაბან ვერ გავძლებ. ქალაქში ძმა და ჩემიანები ცხოვრობენ, მაგრამ მათთან რომ ვიყავი, თითქოს ეკლებზე ვიჯეექი. რა ვენა, ასეთი ხასიათი მაქვს. სოფელი მაინც სულ სხვაა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ დილის სიოს ქროლვაზე საქონლის ბლავილს, ძალლების ყეფას, ჩიტების ჭიკჭიკს და მამლის ყივილს რომ გაიგონებ ლელის ჩხრიალზე შერთულს, ამას არაფერი სჯობს, ასე რომ აქაურ ვარდს, ჩემი ბალჩის ეკალი მირჩევნია, როგორც გინდათ ისე გამიგეთ.

– მართალს ბრძანებთ ბეგო.

– ჴო, მართლა, ოსმან-ალამ იცის თქენი გამგზავრების ამბავი?

– არ იცის და რომ გაიგებს მერე ნახე მისი გაცოფება. ჯერ იყო და შვილივით გაზრდილი ფატმა გამოვაცალეთ ხელიდან ნაუცბათევად, ეხლაც კიდევ საერთოდ მოვცილდით. ცოდონი არიან, მოენატრებათ შვილობილი და სიძე.. ამას მოევლება, შენ უნდა ნახო ჩემი ბინის პატრონი, რომ ვედარ მნახავს. მთელი წლის ქირა მქონდა გადასახდელი.

ენვერ-ბეგს სიცილი აუგარდა. ხოჯაც აყვა.

– გამოიპარეთ არა? თუ სადმე წაგასწრო ტყავს გაგაძრობს.

– თუ ჩვენთან გადმოაღწია, ტყავის გახდა მერე ნახე. მთელი იმ წლების მანძილზე ქირას ვუხდიდი და... მე ტყავი უკვე ამძვრალი მაქვს.

- რამდენი წელი უხადე ქირა?
- თექვსმეტი წელი. რაც ჯამაგირი ავილე, მაგას შევატოვე და თავს სერასკერის პატივისცემით ვირჩენდი.
- კი მაგრამ ჯამეს ხომ ამდენი ოთახი აქვს, ერთში არ შეგეძლო გეცხოვრა?

– შენ მე წმინდანი ხომ არ გგონივარ. ჯამეში ცხოვრება როგორ შეიძლება, ცოდვაა, ის ხომ სამლოცველოა და არა... ჰო, ერთი ოთახი მართლაც მქონდა, მაგრამ სტუმრებისათვის, დავჯდებოდით, ყავას დავლევდით და ქვეყნის ამბებს გადავწვდებოდით. მამუკა და ფატ-მაც ხშირად დამყავდა, კულტურული შეხვედრებისათვის, ცოდვა კი არ ჩაგვიდენია. უფლის კანონებიდან არასოდეს გადამიხვევია.

– დიდი მადლობა ხოჯა-ბატონო. ნალდი ადამიანი სხვაგვარად ვერც მოიქცევა. შენი ადამიანობის სამაგიეროს ჩვენ თუ ვერა, ღმერ-თი ნალდად გადაგიხდის და მარტო ის გეყოფა უფლის წინაშე ვალის-მოსახლელად. ესენი რომ დააქორწინე და სამშობლოს უბრუნება... ეს დიდი მისიაა შენი მხრიდან... ესენი ხომ ნამდვილად დაგიფასებენ.

– მამია ჩავაბარო მშობლებს და შემდგი დაფასება ლვთისგან მეყ-ოფა, თუ დამცალდა სიცოცხლე.

– თუ დამცალდაო, სად მიგეჩქარება? ჯერ შენიანებს დაუბრუნ-დი, მერე კი ოჯახს მოეკიდე და... რაო, ნაადრევი ხომ არაა შენი დაო-ჯახება? – თქვა ენვერ-ბეგმა და გადაიხარხარა – მე შენს ადგილას სულ სხვაგვარად მოვიქცეოდი, ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხარ, მოეკიდე ოჯახს და თუ ხოჯიობას გააგრძელებ, ჩვენი მთავრობა იქაც დაგეხმარება და წინ ნაგწევს, მაღალ ადგილას მოხვდები, ეს კი ხელს არ შეგიშლის ორივე ქვეყანას გამოადგე, ანუ ქართველებსა და ოს-მალებს. როგორ? აი, როგორ. შენ ვიცი ძნელ საქმეს დაგავალებენ, ქრისტიანთა გადმობირებას სარჩმუნოებაზე, ეს შეგიძლია კიდეც გაუკეთო, მაგრამ ერთი საქმე, რაც ყველაზე საჭიროა და მნიშვნელო-ვანი ესაა, ხალხს რომ მუ჈აჯირობას ააცილებ. ქვეყანას ნუ გაანად-გურებინებთ მუ჈აჯირობის სენს, ხალხი ნუ აიყრება თავის საცხ-ოვრებლებიდან და ნუ მოაშურებს ოსმალეთს, რადგანაც ვიცი მათ

აქ ტაშით და ზარ-ზეიმით არ ხვდებიან, ყველა მუჭაჯირს ავინწოებენ და საცხოვრებლად უკაცრიელ უდაბნოში ერეკებიან. აი, ეს საქმე უნდა მოაგვარო, ხალხი ცოდვაა... თუმცა, როგორც ჭკუა და ვითარება გიჩვენებს ისე იმოქმედე, მაგრამ ის ვიცი, რომ სისულელეს და ცოდვას არ ჩაიდგნ.

ენვერ-ბეგი გაჩუმდა, ხოჯა ხმას არ იღებდა. დიდხანს დუმილით იარეს. ბოლოსდაბოლოს ალაპარაკდა ხოჯა.

– ენვერ-ბეგო და თქვენც ბალლებო, ამიერიდან მეჰმედ-ხოჯას ნულარ დამიძახებთ. ახმედ ხოჯა ვარ თქვენთვისაც და საერთოდ ყველასათვის. აი, საბუთიც რომელიც არ დამიკარგავს. ჩამოსვლის ხანს ავიღე და აქამდე ვინახავ. მეჰმედ-ხოჯის სახელს ამოფარებული იმ-იტომ ვიყავი, რომ ყველა ოსმალად მთვლიდა, ეხლა როდესაც გავუჩინარდით, ალარაა საჭირო სახელ – მეჰმედისა და მითუმეტეს ხოჯის ხსენება. შეიძლება რომ წერიც მოვიშორო დროთა განმავლობაში, თუ საჭირო დარჩა, ისევ გამოვიშენებ.

– ჭკვიანური აზრია, გეთანხმები – უთხრა ენვერ-ბეგმა და ცხენები ააჩქარა – ცოტა სწრაფად ვატაროთ, არაფერი უჭირთ, თორებ ამხელა გზას ასე ნელა როგორ გავლევთ.

მამუკა და ფატმა უხმოდ მიყვებოდნენ დაწინაურებულებს. დუმილმა ხასიათში მოადუნა ფატმა და საფირალს მიეცა.

„ეჰ, რას არ მოგიმზადებს ბედ-ილბალი. ჯერ იყო და ოსმან-ალამ მიშვილა და უკეთურთა ხელიდან დამიხსნა. მადლობა ღმერთს, რომ ის ლვთისნიერი შემხვდა, თორემ ვინ იცის რა დღეში ჩავვარდებოდი, ვის ხელში მოვხვდებოდი. მე კი უმაღურობა გამოვიჩინე. ჯერ უნებართვოდ გავთხოვდი, ეხლაც უოქმელად გამოვიპარეთ და... ეჰ, საწყლები, ჩვენს ამბავს რომ გაიგებენ რა დღეში ჩაცვიდებიან, იქნებ ასლან-ბეისთან ფეხიც არ დაადგან... ღმერთო მაპატიე ყველაფერი, მშობლებივით იყვნენ და ცუდი არაფერი მიგრძვნია მათთან, სულ მეფერებოდნენ და თავს მევლებოდნენ. ღმერთო ძლიერო, ოლონდ ჩემს სამშობლოში შევდგა ფეხი და ჯანდაბას ყველაფერი. ჩემი მამუკას იმედით ყველგან თავს გავიტან. თუმცა რაღა ყველგან, ხომ მის მამულში მის გვერდით ვიქნები... ღმერთო გვაცოცხლე და დაგვეხმარე“ – ეს ბოლო სიტყვები ხმამალლა წამოცდა.

მამია შეიშმუშნა და ფატმას გაეხუმრა:

- რა იყო გენაცვალე, ხომ არ გეშინია?
- არა მამუკა ლმერთის ჩვენი დაცვა და ბეღნიერება შევევედრე,
- ჰომ, არა უშავს. ლმერთი დაგვიცავს, ნუ გეშინია. ჩვენ რომ არ დაგვაშორა და შეგვაუღლა, ანი ნურაფრისა გეშინია.
- გმადლობ მამუკა, მეც მაგის იმედი მაქვს, უფრო სწორედ შენი.
- ჩემში გეჭვება რაიმე თუ?
- არა, ისე ვთქვი თორემ...
- ეჱ, ძლივს არ დაიმარტოხელეს ერთმანეთი? – გადაულაპარაკა ხოჯამ ენვერ-ბეგს და ლიმილით ცოლ-ქმრისაკენ მიახედა.
- ჩვენ მაგნის უფროსები კი არა, ეხლა დამცველები ვართ და ცოცხალი თავით ახალციხეში უნდა გადავიყიყანოთ, თორემ იქნა დიასამიძე გადაგვეკიდება და აქეთ კიდევ სერასკერი და ოსმან-ალა – უთხრა ხოჯას ენვერ-ბეგმა და ნეფე-დედოფალს მიუხედა, რომლებიც ცოტა მოშორებით მიჰყებოდნენ მცველებს.
- საშიშია რაიმე? – იკითხა ხოჯამ.
- არა, თუ ჩემს საგამგებლოში შევალწევთ, მერე არაფრის მერი-დება, მანამდე კი... ვინ იცის რამხელა გზა გვიძევს წინ, ხან ტყიანი, ხან უდაბნო, და მთელი ოსმალეთი ყაჩალებითაა სავსე. როდესაც საომარი მდგომარეობაა და არეულობები მაშინ ხანდახან უცოდველ-იც სცოდავს, გამოდიან საშოვარზე და თუ რაიმე საცბილო ან ხალ-ჩასაჭიდი ვერ ნახეს, შეიძლება კაციც კი მოკლან. ამიტომაა საშიში, მით უმეტეს, რომ ოსმალებს არც სინდისი აწუხებთ, არც ნამუსი, ათასობით მამაძალლი და ვიგინდარა დაოსტატებული არიან ძარცვასა და ყაჩალობაში, ხანდახან ჩემს სამფლობელოშიც ბედავენ შემოჭრას და თავისი ბინძური საქმიანობის კეთებას, მაგრამ ბევრ-ჯერ დავიჭირე და რამდენიმე დღით ჩავამწყვდი, ამის უფლება მაქვს და ვერც ვერავინ ვერაფერს მეტყვის. მცველები მყავს იმდენი, ვერ ვითვლი. ჩემი სამფლობელო იგივე საქართველოა და ყველა ოჯახი ქართულად აზროვნებს, ამიტომ სჯერათ ჩემი და მიუხედავად სარწ-მუნოებისა, რასაც ვეტყვი იმას შეასრულებენ. თითო ოჯახიდან თითო მცველი მყავს, სულ დარჩეული ახალგაზრდები, მაგრამ მათ ვიყენებ საჭიროების შემთხვევაში, ისე კი სახლში ვამყოფებ. მე ხომ სულთნის სამსახურში ვარ, მაგრამ სულით და გულით ქართველი

ვარ და ჩემი შავშეთლების შეგნებაც ამგვარია. არც მწვადს ვწვავთ და არც შამფურს, მაგრამ არ ვიცი რამდენ ხანს გაგრძელდება ეს.

— ეგ ყველაფერი ვიცი ბეგო, მაგრამ ჩვენ თუ დაგვესხმებიან თავს, რა უნდა წაგვართვან?

— იარაღზე თუ მიდგება საქმე, არავის დავეჯაბნინებით, მაგრამ მან-ამდე ჩემი საბუთი გამომადგება — შავშეთის მმართველი ვარ ბოლოსდაბოლოს, იმხელა ტერიტორიის უფროსი.

— ეჰ, ბეგო, როგორ გველიან მამუკას ხალხი არა? რა სიხარული ექნებათ ახლა იმათ არა?

— ჯერ არაფერი იციან. როდესაც ჩემთან მივაღწევთ მერე უნდა გავაგებინო ეს სასიხარულო ამბავი, არც მე ველოდი თქვენს გამომგზავრებას, ჩემთვისაც მოულოდნელი იყო და მეც არანაკლებ მიხარია, ისე როგორც გაეხარდება შალვას. ჩვენი გეგმაც დაგვირგვინდა, ეს ძალიან მიხარია — შალვა ცას ეწევა სიხარულით, ამის დარღმა დაადნო კაცი. საქმე მერეა, როდესაც ქრისტიან მამას გამუსლიმანებული შვილი მიუვა და მართვა-გამგეობის ჩაბარებას მოსთხოვენ სულთნის მოხელეები. რაღაც ისეთი უნდა ვიღონოთ მამა-შვილს შორის კონფლიქტი არ ჩამოვარდეს, თუ ეს ასე არ მოხდა, დიდი უბე-დურება იქნება — შალვას მთელი სასულთნო წაეკიდება, შეიძლება ვერაგულად იმქვეყნადაც გაისტურონ, ამიტომ გეგმა უნდა შევაღგინოთ, რომ ხიფათს ავაცილოთ ორთავე. ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც ასლან-ბეის სერასკერად დაამტკიცებენ ისევ, შვილობილის მონახულებას მოინადინებს და ეჭვი არ მეპარება აუცილებლად ჩემთან ამოივლის... არ ვიცი როგორ მოვიქცე მაშინ.

— წინასწარ რა სადარდოა ბეგო. შენ თუ ფაშად დაგსვეს, მერე უფლებები დიდი გექნება, ასე რომ ძალიან ნუ აიტკიებ თავს. ზოგს მერე იფიქრებ...

— მადლობა ახმედ-ბატონი. შენ რჩევებს დავაფასებ ძალიან.

ენვერ-ბეგის სოფელს მეათე დღეს მიაღწიეს მგზავრებმა. მგზავრობა უხილეთო იყო, მაგრამ დამქანცველი.

ენვერ-ბეგის სახლეულმა გაიხარა მისი დაპრუნებით. პირველად დედა გამოეგება ეზოში, მერე კი ცოლი და შვილები.

– ასე გადაკარგვა იქნება შვილო. მთელი თვეა წასული ხარ და შენი არაფერი ვიციოთ.... ესენი კიდევ... ვინ არიან შვილო?

– სტამბოლში ვიყავი დედა, სახელმწიფო საქმეებზე და ამიტო-მაც შემაგვიანდა. ჩვენ რომ გვინდა ყველაფერი ისე არაა მოწყობილი, ამხელა თანამდებობის გაძლოლა იოლი საქმე ხომ არაა დედა... მალე მგონი ოლოთისის ფაშობასაც მომილოცავ, რას იტყვი – ვივარგებ?

– შენისთანა ჭკვიანი შვილი ბევრი რომ მყოლოდა, მთელი ოს-მალეთი თქვენს ხელში იქნებოდა. იქნებ რომელიმე სულთნადაც აერ-ჩიათ... ისიც კაცია და თქვენ ვისზე ნაკლები იქნებოდით ვითომ. მარა აქ ერთი მყევხარ და სულის ბერვით გაგზარდე, მაგრამ ხომ გაფასე-ბენ შვილო... რითი ხარ სხვაზე ნაკლები, რატომ ვერ ივარგებ ვითომ ფაშად, შნო არ გაქვს თუ მოხერხება... ივარგებ კი არა, ხალხს სალო-ცავად ყავხარ და თუ ფაშა გახდი, ხალხს ხელს წაშველებ, ერთიასად დაგლოცავენ და მადლიანი იქნები.

– მადლობა დედა... შენი დალოცვა მაკლია.

– დიდი გამჩენი იყოს შენი მფარველი შვილო. დიდ თანამდე-ბობას სერიოზულობა სჭირდება შვილო. ფშაკაფშუკა ადამიანი არ-სად ივარგებს.

– არა ვარ სერიოზული თუ?

– კი ხარ შვილო, კი, კაცობის გამოცდა ჩაპარებული გაქვს. წე-ლან ამ ხალხზე გკითხე, რატომ არ გამეცი პასუხი, სტუმრების ვი-ნაობაზე?

– ესენი დედა, გახსოვს შალვა ახალციხელი რომ გვსტუმრობდა?

– ეგ როდის იყო შვილო, რაღაც აღარ მახსოვეს...

– თხუთმეტი წლის უკან, შვილი რომ მოსტაცეს უბედურმა ოს-მალებმა, ე, ის ბიჭია ეს, ეგეც კიდევ მასავით გატაცებული აჭარიდან, ეხლა მისი ცოლია და მესამე – ამათი აღმზრდელი, ისიც საქართვე-ლოს მკვიდრი, აჭარიდან წასული, ოსმალეთში ჩარჩენილი და ჟამთასვლაში გამოჯევილი ხოჯა ახმედ-ეფენდი. ეხლა ყველა საქართველოს დაუბრუნა მამუკას მშვილებელმა ოსმალეთის სე-რასკერმა – ასლან-ბეიმ. ჩვენთან დაისვენებენ, ძალას მოიკრებენ და შემდეგ ახალციხეში გადავიყვანთ ლმერთის ნებით. ათი დღეა გზაში ვართ, დავიღალეთ. ეხლა მოვისვენოთ და ხვალ-ზეგ ვისაუბროთ.

– გზა ხომ მშვიდობით იარეთ შვილო?

– კი დედა... ანე ალარ მეშინია, ჩემს სამფლობელოში ვართ უკვე...
 ... ენვერ-ბეგის შვილებს კარგად ახსოვდათ შალვა დიასამიძის
 სტუმრობა. ეხლა რომ გაიგეს მამუკა შალვას შვილია, შემოქვივნენ
 ცოლ-ქმარს და კითხვები დააყარეს. შემდეგ სახლში შეუძლენენ და
 ოხუნჯობით ნელ-ნელა შეიყოლიეს სამხიარულოდ. გათხოვილი
 გოგოები სტუმრად მისულიყვნენ მშობლებთან. ცოლ-ქმარსაც მეტი
 რა უნდოდათ, უცებ ალღო აუღეს ენვერ-ბეგის შვილებს და სახლი
 მოზუზუნე სკას დაემსგავსა. როდის-როდის დასაძინებლად დაწვა
 ყველა.

დილით ცოტა შეაგვიანდათ ადგომა, სამაგიეროდ ადრიანად
 უცნობი ცხენოსანი მოადგა ენვერ-ბეგის ჭიშკარს, რომელიც მისმა
 მამამ შეამჩნია და თავისთან შეიპატიუა.

– „სელამ ალეიქუმ ეფენდი, ბუირუმს“ – მიიპატიუა მურთაზმა.

– „ალეიქუმ სელამ ეფენდი“. ქართულად ვილაპარაკოთ ჯობია,
 ვიცი რომ ქართველი ხარ და მეც აჭარელი გახლავართ, ოლონდ თი-
 ფლისში გაზრდილი და ოსმალეთს შეკედლებული. დაუდ-ფეჰლევანი
 ვარ ოსმალებისათვის, თქვენთვის კი დავითი, გინდაც დაუთ ფეჰლე-
 ვანდოლლი ანუ მოჩხუბარიძე.

– მობრძანდი, მობრძანდი, სტუმარი ღვთისააო იტყვიან, მეც
 მასპინძლობას გაგიწევ; ხოლო თუ რა საქმეზე ხარ მოსული, თუ
 საჭიროა თვითონ მეტყვი, თუ არადა შვილი გაიღვიძებს სადაცაა,
 ნამგზავრი არის და დაღლილია.

– ნამგზავრი კი არა ნამგზავრები არიან, მაგათ კვალს გამოვყევი,
 ველარ მოვუსწარი. ძალიანაც კი უვლიათ, ველარ წამოვეწიე, არც
 ცხენი ვაჩქარე, რომ მერბინა დამივარდებოდა გზაში და უცხენოდ
 რაღას ვიზამდი. უმეტესად ლამით ვიარე, უნაგირზე მეძინა. სალსალა-
 მათი ჩამოვედი და ბედს არ ვემდური. ამათი მეზავრობის ამბავი ვი-
 ცოდი და... მეც ვბრუნდები საქართველოში, მომწყინდა ოსმალეთში
 ერთფეროვნება. ჩემი ხალხის გვერდით ვიყო ჯობია, ესეც არ იყოს
 მალე ომსაც აპირებენ და ჩემი ხალხი სისხლს ლვრიდეს და მე სისხ-
 ლისმლვრელებს მშვიდად ვუყურო, ვერ ვიზამ, რაც აქამდე ვითმინე
 მეყოფა...

– კარგი მოგიფიქრებია, მაგრამ შენ მაინც ვისი მეგობარი ხარ
 ამათგან?

– შენი მთავარი სტუმრის, მამუკას აღმზრდელი ვარ, მე ვავარ-ჯიშებდი.

– მაგდენი არ ვიცი შვილო, წუხელ არ გვილაპარაკია, დაღლილები აღარ შევაწუხეთ და დაიძინეს მოსვლისთანავე, არ იყო საჩქარო, აქ დარჩებიან, ვიდრე არ დაისვენებენ. ახლა წუთით დაგტოვებ, შენც წაიძინე ცოტა, ნამგზავრი ხარ, მოგიხდება.

დიდი მაღლობა, მართლაც ჯობია.

მურთაზმა და ესმამ ქათმები შეწვეს, ქართული კერძები გაამზადეს და ნამგზავრებს უხვი საჭმლით დატვირთული მაგიდა დაახვედრეს.

როდის-როდის წამოდგა ენვერი და ეზოში გამოვიდა, მეხუთე ცხენი რომ დაინახა, გაიკვირვა და მამას ეახლა.

– ვისია მამა ეს ცხენი, ეგერ რომ აბია?

– სტუმარია, თქვენს კვალს გამოჰყოლია, მამუკას მასწავლებელი ვარო ასე თქვა. ძინავს ეხლა. იძინოს ცოტა.

ახმედ-ხოჯა აივნის კუთხეში მიმჯდარიყო და კრიალოსანს მარცვლავდა.

– ხომ არ დაგვაგვიანდა ადგომა ხოჯა-ბატონო? – იკითხა ენვერმა

– მე „საბახნამაზი“* რა ხანია ვილოცე ბეგო. ლოცვას არ ეღალატება, რა სარწმუნოებაზე და რა ენაზეც გინდა, ოღონდ ილოცე.

ენვერ-ბეგის სახლეული უკვე ფეხზე იყო. ყველანი ეზოში გამოეფინენ დილის გრილი სუფთა ჰაერი ხარბად ჩაისუნთქეს. ეს დილა კი უკვე შუაღლეს უახლოვდებოდა, მაგრამ გრილი და ღრუბლიანი იყო. სოფელი კი მთისწინეთში მდებარეობდა, მაღალ ადგილას.

ფატმა და მამუკა სახლის უკანა ეზოში გასულიყვნენ, საიდანაც საქართველოს მოსაზღვრე მთები მოჩანდა. ეს ერთი გაფიქრებით, თორემ შავშეთიც საქართველო იყო...

– ჩვენი ქვეყნის ჰაერს ვსუნთქავთ მგონია, ამ მთებს უკან ხომ ჩვენი მამულია, ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი საქართველო – ღიმილნარევად უთხრა მამუკამ ფატმას და მოეხვია.

– სანამ ოსმალეთში იზრდებოდი სამშობლოზე ლოცულობდი?

– ყოველდღე და იმედს არ ვკარგავდი რომ სამშობლოში დავბრუნდებოდი. რაც ჩვენ გამოვიარეთ, მე ეს წინასწარ ვიცოდი,

რომ ასე უნდა მომხდარიყო. მე ხომ დიდი ვიყავი, როდესაც გამიტა-
ცეს, ყველაფერი მახსოვეს. ამდენ ხანს რომ დავრჩი მამაჩემის სურ-
ვილიც იყო. ეს გადასვლაც მისი მოწყობილია. ენვერ-ბეგი და მამა-
ჩემი ძმებივით არიან. ასე რომ ჩვენი მგზავრობა უხილაოდ მიღის
და მალე ჩემს სახლში ვიქნებით.

– შენ გაგახარა ლმერთმა მამუკა. თუმცა პატარა ვიყავი, მაგრამ
მეც მახსოვს სოფელი... შუკებში დავრბოდით ჩემი ტოლი ბავშვები და
ეხლაც მიკვირს, რალა მაინცდამაინც მე დამავლეს ხელი იმ დღემკვ-
დრებმა. ეჰ, ნეტავი ჩემიანები მაპოვნინა – თქვა ფატმამ და ცრემლები
წამოუვიდა ღვარად.

– ნუ დარდობ გენაცვალე, სოფლის სახელი ხომ გახსოვს, იქნებ
მოვინახულოთ, ცხოვრება ყალიბში ჩადგება, ნუ გეშინია, ყველაფერს
ვიღონებთ რაც ცხოვრებას დასჭირდება.

დაუთ-ფეხლევანს ანუ დავითს უკვე გამოეძინა და ეზოში გამ-
ოვიდა. მაპმუდმა ანუ მამუკამ როდესაც თვალი ჰქიდა, თვალებში
თითები ამოისვა, სიზმარში ხომ არ ვარო, გაიქცა მისკენ, ციმციმ
ასწია და ისე გადაკოცნა მისი საყვარელი მწვრთნელი.

– რას მივაწერო შენი აქ გაჩენა მასწავლებელო, აქაური ქართვე-
ლი ხომ არ ბრძანდები?

– არა ჩემო მამია. განა საქართველოს დედაქალაქიდან ვარ, ეგ
არაა საიდუმლო, ხოლო აქ როგორ გავჩინდი და თქვენი წყალობით.
მე ვიცოდი, თქვენ რომ უნდა გამომგზავრებულიყავით, მაგრამ
საათებში შევცდი, მეგონა დილით ნამოხვიდოდით და შენს მამობილს
რომ შევეკითხე, ხუთი-შვიდი საათის წასულები არიანო – მითხრა,
მეც თქვენთან ერთად მინდოდა სამშობლოში დაბრუნება და ამიტო-
მაც მოგყევით უკან. ერთი მეგზური მახლდა, კარგად გადავუხადე,
აქაური შავშელია ენვერ-ბეგსაც კარგად იცნობს და მისი მეშვეობით
მოგაკვლიერთ. არ გამწირა ბედმა, რომ წამოგენიეთ, თორემ რომ გად-
აგესწროთ, მერე ალბათ გამიძნელდებოდა თქვენი ნახვა. მე შენი იმედ-
ით მოვდივარ მამუკა, შენს სამშობლოში უნდა დავრჩე, თორემ თბი-
ლისში არავინ მელოდება, უფრო სწორად არც მინდა გამოჩენა. ეს
ძველი ისტორიაა. სწორედაც ჩემმა ღონებ შემაცვლევინა სახელმწი-
ფოც და საცხოვრებელი ადგილიც – მოწინააღმდეგები რომ დავამა-
რცხე, მტრად გადამეკიდნენ და ხიფათს მოვშორდი თორემ ეხლა

ცოცხლებში ალარ ვიქენებოდი, ისრეპით მიპირებდნენ დაცხრილვას. ერთი მისიონერი იყო იმხანად თბილისში და იმას გამოვყევი ოსმალეთში, დანარჩენი ცხოვრება თქვენთვის საინტერესო აღარაა, ისე ზოგი რამ სერასკერმა და მეპმედ-ხოჯამ იციან. ადრე სერასკერის დაცვაში ვიყავი და დიდი მეგობრობა გვაკავშირებს, ქორწილშიც იმიტომ დაგიმშვენეთ გვერდი. არც გამომგზავრების ამბავი დაუმალავს შენს მამობილს, ვენდობით ერთმანეთს ყველაფერში.

– რაიმე საიდუმლო მისით ხომ არ ყავხარ გამოგზავნილი სერასკერს საქართველოში? – ჰკითხა ენვერ-ბეგმა და მამიას შეხედა.

– არავითარი მისია, დავამთავრე ყველაფერი. დავსახლდები მამიას ახლო-მახლო და ცოლ-შვილი თუ ვერ მოვნახე, ალბათ ახალ ოჯახს მოვეკიდები, ჯერჯერობით კი ეს ვიკმაროთ, დანარჩენი შენს მამულში ვილაპარაკოთ მამია.

მურთაზი მიუახლოვდა მოსაუბრეებს.

– არ მოგშივდათ მაინც? საუბარი სუფრასთან შეიძლება, მაინცდამაინც ლვინო უნდა გვქონდეს რომ ილაპარაკოთ? ისე არ შეიძლება?

– ჰო, მობრძანდით სუფრასთან – მიუახლოვდა ესმაც – კაცო მაგისტრის გამოგზავნე, შენც რომ საუბარში ჩართულიყავი?

ნოუიერ მაგიდას შემოუსხდნენ და მადიანად მოილხინეს კიდევ, საღილის შემდეგ ეზოში მწვანელ მოხასხასე მოლზე გამოეფინენ.

ენვერ-ბეგი მამუკას მიუახლოვდა.

– რას იტყვი მამუკა, გავემგზავროთ თუ დავისვენოთ კიდევ ცოტა ხანი?

– არ შეგანუხოთ კი, რა ვიცი როგორ გვეტყვი.

– რა შეწუხებაა. მამაშენის ხათრით რას არ გავაკეთებ. რამდენი წელია შენს მოსანახულებლად დავდიოდი სტამბოლში, ყველა მამაშენის ხათრით იყო, თორემ მე აბა სხვა საქმე არა მქონია. შენ კარგად არ იცი, როგორია მამაშენი. აბა რა გეხსომება, პატარა იყავი და...

– თქვენ ვეღარ შეგანუხებთ, დალლილი ხართ, თუ სანდოს გაგვაყოლებთ, წავალოთ ჩვენს გზაზე.

– ორი-სამი ღლე მაინც უნდა დაისვენოთ.

– კარგი, როგორც იტყვი, გემორჩილებით.

სტუმრებს ისე მოექცნენ მასპინძლები, თავი საქართველოში ეგონათ (თუმცა მაინც საქართველო იყო, ჩვენი ტკივილი...) ქართული ტრადიციის არაფერი დაუკლიათ.

მესამე დღეს ენვერ-ბეგი ამხედრდა, მაგრამ მამუკას მასწავლებელი არ მოეშვა, გინდა თუ არა მეც უნდა გეახლოო და დაიყოლია.

– ბეგო კია შენი საგამგებლო, მაგრამ ხიფათს თვალი არ უჩანს, არავინ იცის ერთი საათის შემდეგ რა მოგივა ადამიანს. მარტო იარაღი ვერაფერი ბედენაა, ლონეც უნდა გერჩოდეს ადამიანს, რომ სიტუაციის მიხედვით გამოიყენო. ლერთმა დაგვიფაროს ავისაგან, მაგრამ მაინც ჯობია, ორი კაცის ერთად ყოფნა, გზას მალე გალევ, არ მოგეძინება, თითქოს არც დაილები... მერეც ეს გზა ხომ უნდა გავიაროთ ჩვენ საქართველოს ტერიტორიაზე გადასასვლელად, ხომ უნდა ვიცოდე რა შეგხვდება ამ გზაზე.

– ჰო, ყაბულსა ვარ, წავიდეთ, გეთანხმები ყველაფერში – „მარტოკაცი ჭამაშიაც ბრალიაო“ – ეს კი ვიცი მამაჩემისაგან და რადგანაც კაცზეა აქ საუბარი, მარტოკაცად თავი არასოდეს არ უნდა იგრძნო, მაგრამ რატომლაც თითქოს მარტოსულად ვგრძნობ თავს – იგერ რომ სახლია, ის ჩემი ძმისაა, ტრაგიკულად დაგველუპა და სამი ობოლი დაგვიტოვა – ერთი ვაჟი და ორი ქალი, იმათ მამაჩემი ზრდის მარა, ძმა რომ გვერდში გედგომება ჭირში თუ ლენიში მოყვრისათვის სიხარულია და მტრებისათვის თვალის დავსება. მარტო რომ დარჩები იცი რას იტყვიან ავის მოსურნეები? მალე მაგის სახლი უდედოო სკას დაემსგავსება, რომელიც გამოივსებაო (დაცარიელება, უსიცოცხლობის ნიშან-წყალი).

– აბა, მაშ წავიდეთ რადგან მასეა.

ენვერ-ბეგი და დავითი გზას დაადგნენ. არ იყო საჩქარო და ნელა მიღიოდნენ. ორ კაცს სალაპარაკოს რა გამოულევს და არც მათ „ეცალათ“ უქმი დროისათვის, შეყვნენ საუბარს.

– ისე ძალიან ლამაზია საქართველოს ტერიტორია, ყველაფრით შეზავებული უკიდეგანო ტყეები, მთები, ცადაზიდული კლდეები, ხას-ხასა ბალახიანი ველ-მინდვრები. უდაბნო არა გვაქვს და არც გვინდა. ოსმალეთის ტერიტორია თითქმის უდაბნოა, მაგრამ მე რომ ვუყურებ უსაშველო არაფერია და ესენი ამ უდაბნოებს, დრო მოვა და ოაზისებად და ბალნარებად აქცევენ. ადამიანს ყველაფერი შეუ-

ძლია, გარდა ამინდის მართვისა. პოდა, ის მინდოდა მეთქვა, აქ შეიძლება კაცმა სამოსახლოც აირჩიოს, მაგრამ იქით უფრო მეწევა გული, ჩემი ქვეყნისაკენ.

— პო, კარგად დაახასიათეთ ბუნება. მართლაც ყველაფერი გვაქვს, მაგრამ ოსმალეთის სულთანმა ჩვენი მიზნები შეკვეცა. ხომ ხედავ მთელ სამხრეთ საქართველოს დაეპატრონა — ამით გვაფრთხილებს. თქვენ კლდე-ლრებში შეიყუჯეთ, ყველაფერი კარგი ჩვენიაო... კონსტანტინოპოლის დაცემამ ხელ-ფეხი გაუხსნა ასმალეთის სულთნებს და ყველაფერზე უნდათ დაპატრონება, თუმცა დადგება დრო — საქრისტიანო არ აპატიებს მათ თავზე გაღუნული იატაგანის აჩრდილს, მაგრამ ყველაფერს აქვს დასასრული და მგონია რომ ერთ დროს, დიდი ხნით მუსლიმანები იბატონებენ უზარმაზარ ტერიტორიაზე. ეს ძალიან დიდი ხნის შემდეგ იქნება ალბათ, მაგრამ მაინც იქნება. იცი ასმალებს რა დევიზი აქვთ? სანამ არ გაიმარჯვებენ არ ტრაპახობენ. ასეა მუჰამედ მოციქულის შეგონებებში მოცემული: „დროზე ადრე სიკვდილს ნურასოდეს ინატრებთ რადგან ფუჭი წუთისოფლის მიტოვებით იმედისა და გამარჯვების სურვილიც ქრება“. აი, ასე და ოსმალები ყოველთვის ხვალის იმედით ცხოვრობენ და მართლაც იმედი აქვთ იმისა, რომ ისლამური სარწმუნოება დაიპყრობს და მოიცავს მთელ დუნიას.

— მთელ დუნიას მართლაც ვერ დაიპყრობენ, მაგრამ იქნებ ქრისტიანულს გადაამეტონ. ორჯერ მეტი რომ გახდნენ, მაშინ შეიძლება სარწმუნოებათაშორისი მიეცი გაჩალდეს და ნახევარი მსოფლიო მოისპობა ამ ომში.

— ოსმალეთს და მთელ სამუსლიმანო სამყაროსაც ეს იმედი აქვთ.

— იცი რას გეტყვი ჩემო ენვერ? ერი გამორჩეული უნდა იყოს. რა აქვთ ამათ გამორჩეული? ერთსულოვნება და მოღუნული ხმალი, აი რაა მათი სიძლიერე, თორემ ნამდვიოლ მუსლიმანს უპირველესად უნდა გააჩნდეს „ზრდილობა და ქცევა“ რითაც უნდა ხიბლავდეს ყველას, განურჩევლად ეროვნებისა და სარწმუნოებისა. კი მეც მომწონს დღეში ხუთჯერ განბანვა (აბდესი) და მერე ხუთი ნამაზი (ვახტი, ლოცვა). ლოცვა თავისთავად ყველას ესაჭიროება, მის გარეშე ღმერთს ვერ დავუახლოვდებით და სხვა რომ არაფერი, ეს ლოცვა ღმერთზე ხვეწნაა. მერეც — წინადაცვე-

თა, ვიღაც-ვიღაცებმა ოსმალებს და მუსლიმანურ სამყაროს მი-
აწერეს ეს ადათ-წესები და რიტუალები, მაგრამ იგი წარმართუ-
ლი დროიდან და ინდოეთიდან მოდის. ეს ჰიგიენურად გამართლე-
ბულია და ამის წინააღმდეგ არავინ არ უნდა გაილაშქროს. ერთი
რამ კი უცნაურია, თუმცა არა ოსმალური, მაგრამ მაინც სამსჯე-
ლო – არიან ტომები, სადაც ქალიშვილი რომ შეეძინებათ, ზრ-
დასრულ ასაკში მშობლები (ქალები) საქალწულე აპკს თვითონვე
უზიანებენ და ამაში რა დევს არ ვიცი, არავინ იცის და ისეთივე
ტრადიციაა ეს, როგორადაც წინადაცვეთა.

– შენ ბევრი ფილოსოფია გცოდნია ჩემო დავით.

– ეს ფილოსოფია კი არა, ყოველდღიურობაა.

– მე ეს შევითვისე ძალიან კარგად და მომწონს კიდევაც ჩემო
დავით. გეთანხმები ლოცვის რიტუალში და რაც შევითვისე ყველა
ადამიანისათვის, განურჩევლად სარწმუნოებისა, სავალდებულოა.
„ვინც ალლაპს ადიდებს, იმას არ უნდა შეეხო და არ უნდა გაჭორო.
არც ცოდვაჩადენილი არ უნდა განდევნო და მოიკვეთო (მისი დარი-
გება და მორჯულება უფრო მადლია) და ურჯულოდ არ უნდა მიიჩ-
ნიო და მესამე – ყალბი სახე არ უნდა აჩვენო მორწმუნე ადამიანს –
უნდა იყო გულით მორწმუნე და არა ენით“. ბევრი რამ კარგი აქვთ
ოსმალებს, მაგრამ სხვისი მიწების დაპატრონების სურვილს და მას-
თან „ჯიპადს“* ვერ ვეგუები.

– ოსმალურ კანონებში ისიც წერია, რომ „რასაც სხვას გაუკეთებ
და სხვისთვის სიგლახეს ინდომებ, ისევ შენ მოგიბრუნდებაო“.
სიგლახე და ბოროტება არაა სისხლისლვრა და ქვეყნების აოხრება?
ეს მათი მიზანია და საბაბად აქვთ გამუსლიმანება. ხომ შეიძლება
ადამიანი კეთილი რჩევა-დარიგებით და მაგალითებით მოაქციო? კი
შეიძლება, მაგრამ ერს თუ სისხლში, სისხლისლვრა აქვთ გამჯდარი,
იმათ არაფერი ეშველებათ... ამის მაგალითს ოსმალები იძლევიან მათი
დევიზის საპირისპიროდ, მაგრამ უფალი მტყუანს და მართალს არა
მარტო იმქვეყნად, აქაც განსჯის.

– მაგის იმედი მეც მაქვს, მაგრამ მაგისთანა რამეს ჩვენ ვერ
მოვესწრებით. ამას შთამომავლების შთამომავლები თუ ნახავენ
რასაც არაერთი საუკუნე დასჭირდება, მაგრამ მე ერთი რამ მნამს
კიდევ – სახელმწიფო იქნება ის, ხალხი თუ ქვეყანა, რომელიც ისპო-

ბა მეორის ხერხებით, ალბათ ეს ლვთის მსჯავრია და დასასჯელს ასჯევინებს ძლიერს და ასე გააგრძელებს დიდხანს, ვიდრე ქვეყანაზე ერთი გამარჯვებული არ დარჩება.

– ეჭ, ჩემო ენვერ-ბეგო, ლვთის კანონებში შევიჭრით, ღმერთს კი დაგეგმილი აქვს როდის რა უნდა გააკეთო... ჩვენ, მოკვდავებმა კი „ბედისწერის ბრძანებას უნდა დავემორჩილოთ“. ასე წერია ისლამის კანონებში.

საუბარ-განსჯაში ბოლოს საზღვრამდე მიაღწიეს, რომელიც უშუალოდ ენვერ-ბეგს ემორჩილებოდა.

ენვერ ბეგს მდაბლად დაუკრეს თავი გუშაგებმა.

– მოპრძანდით ჩვენობ ბატონობ და თუ შეგვეძლება გაგიმასპინძლდებით. ეს მეორე ვინ გახდავთ? – ცნობისმოყვარედ დაამატა დამხ-ვდურმა სტუმარ-მასპინძლობის ადამ-წესებს.

– ჩემს მოპატიუებაზე მადლობას მოგახსენებთ. დაწინაურება არ გინდა?

– როგორ არა ბატონო, მაგრამ კითხვაზე არ მიპასუხეთ.

– სჯულის კანონის გაგეგება რაიმე ან ზრდილობის?

– კი ბატონო, დავაშავე რაიმე? – შიშნარევად იკითხა გუშაგმა

– „ყველაზე მაღლა დგას ის ვინც სხის საქმეში არ ერევა“...

– ეგ ხომ მუჰამედ მოციქულის შეგონებიდანაა...

– ჰოდა, რადგანაც ეგ გცოდნია. ნულარც წელანდელი შეკითხვის პასუხს მოითხოვ. ახლა აი, რა დავალება უნდა შემისრულო. იქეთ გაღმით რომ მოხუცი საქონელს აძოვებს, ის უნდა მომგვარო.

– როგორ ენვერ-ბეგო, იარაღით შევაშინო თუ ვთხოვო თქვენი სურვილისამებრ? მერეც ის ურნმუნოა და როგორ მივიდე.

– შენ ცდები, ის ურნმუნო კი არა ქრისტიანია, იქნებ ჩვენიანიც აღმოჩნდეს, შენ რა გგონია, ამ საზღვრის იქით არ არიან ოსმალები? ეს კი უნდა გცოდნოდა. შორს არიან შექრილი ჩვენები, ასე რომ წადი და ის კაცი მომგვარე.

– მერე საგუშაგო ვის უნდა დავუტოვო?

– შენ მართლა გელოდება დაწინაურება, საგუშაგოს ვერ ტოვებ და კანონს არ არღვევ – იცი კიდევ რა წერია სჯულის კანონებში? – „ერთგულია ის ვინც საიმედოა, თავისი სიტყვის პატრონია და სხვებს ცილს არ დასწამებს“. შენი ერთგულება ნამდვილად ჩანს, სი-

ტყვის პატრონიცა ხარ გეტყობა და მე რომ საგუშაგოს ვერ მანდობ, ეს კი ცილისნამებაზე მეტია. ჩემს ხელთ არ არის საგუშაგოც და მისი მცველიც? შენი მდგომარეობა შეიძლება ერთ წამში შეიცვალოს შენ საზიანოდ.

– მაპატიე ეფუნდი... სჯულის კანონებში ისიც სწერია „შეცდომა შეუნდეთო“...

– ჰო, მიპატიებია, წადი ის კაცი მომგვარე, საქმეა მოსაგვარებელი, ხოლო შენ დაიხსომე „მუსლიმანმა ან კარგი უნდა თქვას ან დადუმდეს“.

– გისმენთ ბატონო, ეხლავე...

გუშაგმა მწყემსი კაცი რამდენიმე წუთში მოიყვანა ბატონთან.

– გამარჯობათ ბეგო, რამ შეგანუხათ, რა საქმეა ასეთი, მწყემსი დაგჭირდათ?

– ღმერთმა გაგიმარჯვოს კეთილო კაცო. მწყემსიც ადამიანია და ლოთის გაჩენილია. მიწა ყველას გაგვათანაბრებს. შენ ისიც გეცოდინება ვინ ვარ.

– როგორ არ ვიცი ბეგო, ხომ შენი საგამგებლოა ამ გორების გადალმა, რადგან აქ მოპრძანებულხარ, პატივისცემაც შემიძლია, ვიცი რომ ნადირობის მოყვარული ხარ და ტყეში თუ მინდორში ბალახებზე დაფუნილ სუფრაზე მიგირთმევია საჭმელი. გადმოდი გაგიმასპინძლდები, ვიცი არ გეხამუშება. კორდზე გავტეხოთ პური და ქართული ლუკმაც მიირთვით „ვისაც ერთი ღმერთი და აღსასრულის დღე სწამს, ყოველთვის სტუმართმოყვარეობა უნდა გამოიჩინოს“.

– ეგ მუსლიმანური შეგონებაა, მაგრამ ყველასთვის მისაღებია, ადათ-წესებს სარწმუნოება არა აქვს. მეორეც – ქართული ლუკმაო, მეგანა ქართულ ლუკმას არ ვჭებ? მესამეც – ჩემს შესახებ ყველაფერი გცოდნია, მაგრამ ის რაც ეხლა უნდა გთხოვო, ხომ არ იცი. თუმცა ერთი შეკითხვა, საიდან იცი ვინ ვარ და რა მოქმედი ვარ?

– ჩვენი მფარველისგან, შალვა დიასამიძისგან.

– იცნობ მას?

– მისი საქონელია. იქეთ რასაც ხედავ, აბა მე გლახაკს იმდენ საქონელს ვინ მომაშავებდა.

– მთლად უკეთესი თუ შალვას მწყემსი ხარ. ამდენი საქონელი თუ განდო შალვამ, მე რა უფლება მაქვს სათქმელი არ განდო. ამ

დღეებში მისი შვილი და რძალი აქ იქნებიან, ამ ადგილას და შალვას უნდა გააგებინო ეს ამბავი, რომ დაგვხვდეს.

– ამალამვე ბეგო. მოდი ერთი გადაგეხვიო ამ სასიხარულო ამ-ბისთვის, შალვა უმაღლარიჩოთ არ დაგტოვებთ.

ენვერ-ბეგი თავად ემთხვია თმა-წვერ გათეთრებულ მოხუცს და უკან გამობრუნდა. გუშაგები გააფრთხილა და მის გასაგონად მოხუცს გასძახა: – დღეს პარასკევია, მომავალ პარასკევს აქ იყვნენ – უთხრა, შემდეგ უკან გამობრუნდნენ და შუალამისას შევიდნენ ეზოში. მოუთმენლად ელოდნენ ამბის მოტანას.

– პარასკევამდე აქ დარჩებით, არაფრის მოგერიდოთ, პარასკევს კი საზღვარზე გადახვალო და... თქვა ენვერ-ბეგმა და ხმა ჩაუწყდა, გული აუჩვილა მათთან განშორების ფიქრმა და აუხსნელი მერმისის ცნობისწადილმა. ადგა და საძინებელს მიაშურა.

– გულადიც არის და გულწილიც, არც ვამტყუნებ. შეგვეჩვია და განშორება უკენწლავს გულს. არაფრის, გადაუვლის, ისე კი ჩვენ ყველას ერთნაირი დაავადება გვაქვს – განშორება გვიჭირს ძალიან – თქვა ახმედ ხოჯამ და მიმოიხედა.

– ჩვენ დავიღალეთ და უნდა გვაპატიოთ, გამოძინება გვინდა – თქვა დავითმა და მურთაზის სახლს მიაშურა.

ენვერ-ბეგი დილაუთენია დგებოდა და ერთი თვის არყოფნას ინაზღაურებდა, სადაც მისასვლელი იყო მიღიოდა და საქმეებს აგვარებდა.

პარასკევი დღეც მოახლოვდა. დილით ხოჯის ეზანმა* ზეზე წამოჰყარა ყველა და დილის ნამაზი ილოცეს მურთაზის სახლში, იმდენი იყვნენ პატარა ჯამეს არაფრით ჩამოუვარდებოდა. შემდეგ საუზმე მიირთვეს და წასვლას დაეშურნენ. საკუთარი და-ძმებივით და შვილმშობლებივით შეეჩვივნენ ერთმანეთს სახლეულნი და მეზობლები, უფრო სწორად ენვერის ბიძაშვილები და სხვა შინაურები.

ხვევნა-კოცნას ბოლო არ უჩანდა. უცხო თვალი ვერ შეამჩნევდა რომ ესენი სტუმრები იქნებოდნენ.

ენვერ-ბეგის წინამდლოლობით ცხენებზე ამხედრდნენ და გზას დადგნენ.

– ბატონო ენვერ, სერასკერმა შენთან მეგობრობა დამავალა, ანდა ვიყავით კი მტრები? – ჰკითხა მამუკამ.

– მდგომარეობა საომარია და ჩვენ ერთმანეთს მხარში უნდა ამოვუდგეთ. მე ვეცდები თავიდან ავიცილოთ ჯარზე ხლება საქართველოსაკენ გამოლაშქრებისას და საერთოდ ჩემი სამფლობელოდან არავის მივცემ უფლებას ლაშქრობისას. რა მაქვს სამტრო, მეც ხომ ქართველი ვარ და ქართულ მიწაზე ვცხოვრობ. სალაშქროდ იმდენი იანიჩარი ჰყავთ, თვლა არა აქვს. არც ამაზე ვარ თანახმა. მაგრამ მე ვინ მკითხავს – თავს წამაცლიან უბოდიშოდ.

– ღმერთი ამ სიკეთეს არ დაგიკარგავს ბეგო და თუ ჩვენ თანაბარ სიმაღლეზე მოვხვდით, მერწმუნე, ჩვენი მეგობრობა არ მოიშლება.

– რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა.

მაისის თბილმა ნიავმა ყვავილების საამო სურნელი დააყენა ტყის ბილიკზე. ყურთასმენას არ ცილდებოდა შორიდან მოღწეული ფანდურის ჰანგები და სიმღერის ხმა – ენვერ-ბეგის შვილები და შვილიშვილები სიმღერით გზას ულოცავდნენ სამშობლოში მიმავალებს.

თითქოს ბუნებაც იზიარებდა მათ სიხარულს. ტყის საამო შარი-შურიც მომაჯადოებლად მოქმედებდა მგზავრებზე.

ახმედ ხოჯამ ათასი მადლობა უძლვნა გამჩენელს.

– ენვერ-ბატონი.

– რა იყო მამია?

– საზღვარი ღამით უნდა გადაკვეთოთ?

– რა გაქვს სამალავი. ჩემი მხარე გაფრთხილებული მყავს, იქით კიდევ შევუთვალე და შენიანები დაგხვდებიან, ამიტომაც დაგაყვნეთ ამდენ ხანს. შენ ნურაფრის გედარდება, ყველაფერი მოგვარებულია. მთავარი ისაა ოჯახებმა ერთმანეთი არ დავივინყოთ. ვნახოთ, როგორ წარიმართება ვითარება.

ენვერ-ბეგს ყველა სოფელში გულთბილად ხვდებოდნენ და ყველან სახლში ეპატიუებოდნენ გულლია მასპინძლები. ყველგან მშობლიური სითბო შეიგრძნეს მამუკამ და ფატმამ, მათი ვინაობა ხომ არავინ იცოდა. ქართული სტუმართმოყვარება ჯერ კიდევ შემორჩენილიყო იმიერ საქართველოს საზღვრისპირა შავშეთის სოფლებში, ქართული იერსახე ჯერ კიდევ არ დაეკარგათ.

მგზავრებს თავი უკვე საქართველოში ეგონათ, ისე მოიხიბლნენ შავშეთის ბუნებით.

– რა დიდებული მამულის პატრონი ვართ და ოსმალეთს უნდა ძალის გამოყენებით შეინარჩუნოს ეს და სხვა ტერიტორიებიც, განა ეს სამართალია?

– მართალს ბრძანებთ ახმედ-ეფენდი, მართლაც საცოდაობაა ამ მამულებს ოსმალო რომ ეპოტინება. ეხლა რაღაც, უკვე ხელში ჩაიგდო მთელი შავშეთი და ნიგალისხევი, მაგრამ ხალხი მაინც საქართველოსაკენ იცქირება და თუ არ მიდიან, იმიტომ რომ მამაპაპური მამულების მიტოვება ეძნელებათ. ჩვენი ხალხი, ვიცი საომრად არ გავა და ყოველშემთხვევაში შინ ჯდომას უფრო არჩევენ, მაგრამ ოსმალომ თუ იარაღის ძალით გაირეკა ჩვენი ხალხი, მაშინ თქვენზე უარეს დღეში ჩავცვივდებით.

– ღმერთმა დაგვიფაროს ენვერ-ბეგო განსაცდელისაგან.

საზღვრისპირა სოფლის განაპირა ტყესთან შეაჩერეს მგზავრები. საბუთები მოსთხოვეს. ოსმალო იანიჩარი ავად იმზირებოდა. ენვერ-ბეგმა თავისი ვინაობა უთხრა ოსმალოს და ისიც დაუმატა – ეს ადამიანები იქით, საქართველოს ტერიტორიაზე ისე უნდა გადავიყვანოთ, ცივმა ნიავმა არ დაპკრას არავის. სულთნის ბრძანებააო – დამატა ბოლოს.

იანიჩარი ბეგის წინაშე ოდრიკალად მოიხარა და თან მეგზურობაც აღუთქვა.

– ცივ ნიავს რომ ვერ ავეფარები ამას გეტყვი ბეგო, მაგრამ შემიძლია გაგაცილოთ, მეგზურობა ხომ გჭირდებათ?

– უშენოდაც ვიცი აქაურობა, შენ ის მითხარი, ვინ მორიგეობს დღეს საზღვარზე?

– ჯემალ ონბაში* და მისი ასკერები*, შენი ხალხიდან არავინაა ვიცი.

– მაგას რა მნიშვნელობა აქვს, სულთნის ბრძანებას ყველა ვემორჩილებით.

მამუკას გულმა რეჩხი უყო. ჯემალ ონბაში იყო რომ გამოიტაცა საქართველოდან.

ენვერ-ბეგს კითხვიანი თვალებით შეხედა.

– რა იყო მამუკა, რაღაც შეშფოთდი.

– ჯემალ ონბაში იყო მე რომ გამომიტაცა. დღესაც მახსოვს მისი სახე.

ენვერ-ბეგმა გადაიხარხა.

– ნურაფრის გეშინია. იმ ჯემალ ონბაშს და მის ძმაკაცებს მა-
მაშენმა წირვა გამოუყვანა. ეს სულ სხვა ჯემალია, მივალთ და ნახავ.

შავშეთიდან ფოსოფისკენ მიმავალი გზა პუნქტრივად პატარა ხევხ-
უვებით და დაბლობებით ხასიათდება. სწორედ ამ გზას აღგნენ მგზავრე-
ბი. არსიანის ქედსა და აჭარის მთებს შორისაა მოქცეული ეს დაბლობი
და ძირითადად სანადირო აღგილებად ითვლება, სწორედ ამიტომაც კარ-
გი ბილიკებია ტყე-ლრები, მინდვრებზე და მგზავრებიც გაუჭირვებლად
მოგზაურობდნენ. აქ როგორც თხმალო მონადირები, ისე შავშეთლები
და ხანდახან აჭარიდან გადასულნი ნადირობდნენ. მონადირეთა გაკვა-
ლულ ბილიკებზე გამუდმებით დათარებობდნენ და დაშლიგინებდნენ
ტყიურები და კარგი მონადირე ნაკვალევით ხვდებოდა, თუ რომელი ნა-
დირი იყო და საითკენ მიდიოდა.

ნადირი კი გამოულეველი იყო, რომელიც სოფლელთა ყანებს
მუსრს ავლებდა და სწორედ ამიტომაც იყო გამუდმებით ჭიდილი
ნადირსა და ადამიანს შორის, გამუდმებით ტკეპნიდნენ გზა-ბანარებს,
რამაც შედეგად კარგი ბილიკები დატოვა, რომელზედაც ხანდახან
მშვიდობიანი ხალხიც დადიოდა – ვინ აპანოებზე, ვინ კიდევ შეში-
სათვის და... ვიდოდა ხალხი ყველა წლებსა და დროში...

... მგზავრებმა ხეობაში ცივ წყაროსთან შეისვენეს. ცივი წყლით
გული გაიგრილეს და იქვე, მონადირეთა ხელით მოწყობილ, ქვებით
დამშვენებულ სუფრას მიუჯდნენ. დანაყრდნენ სახლიდან წამოლე-
ბული სამგზავრო სანოვაგით.

– ნეტა თამარ მეფე თუა გავლილი ამ ხეობაში? – იკითხა დავითმა.

– ეგ არ ვიცი, მარა, ის კი ვიცი რომ შოთა რუსთაველს აქვს აქაუ-
რობა შემოვლილი და ზოგი შაირი თუ ლექსი აქ დაუწერია... ის ქვაბი,
რომელშიც ტარიელი ითვედა ლამეს, სადღაც ამ ტერიტორიაზე უნდა
იყოს, ან აქვე ახლომახლო, ან ცოტა დასავლეთით. ასე თუ ისე ჩვენ-
სკენაა – დასძინა ენვერ-ბეგმა და გორებს გადახედა.

– მეც მასე მაქვს გაგონილი ბეგო – კვერი დაუკრა ახმედ-ხოჯამ
– მამაჩემი განათლებული კაცი იყო, თუმცა არაბული წარმომავლო-
ბის ვართ (ხალიფა), მაგრამ დროთა განმავლობაში გაქართველე-
ბულები. არ ვიცი რა დროიდან ეზიარნენ ქართულ ცოდნას, მაგრამ
ის კი ვიცი, რომ ბაბუაჩემი ქართულად გათვითცნობიერებული იყო

და მამაც იმავე ცოდნით აღიზარდა, მხოლოდ მე მერგო პატივი მეზობელი ქვეყნის ენაც მესწავლა და მათი ყოფა და კულტურა. ამგვარად გავხდი სულიერი წინამძლოლიც და სწორე გითხრათ, უკმაყოფილო არა ვარ, „სადაც იქნები იქაური ქუდი უნდა დაიხურო” ...მეც ამიტომ ვატარებ „ბაშლულს”* საქართველოში გადავალ და იქ რა თავსაბურავიც იქნება იმას ვატარებ. ეს ნახევრად ხუმრობით, თორებ მართლა თავსაბურავზე კი არ არის ნათქვამი, სადაც იქნები იქაურობას უნდა მოერგო ყოველნაირად. ჰოდა, იმას ვამბობდი, მამაჩემიდან გამიგონია, რომ შოთა რუსთაველმა უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსნის” ნაწილი შავშეთის მიდამოებში შექმნა. ამის დავიწყება კი არ შეიძლება.

რამდენიმე საათს შემორჩენენ ცივ წყაროსთან. დაისვენეს, საუბრით გული იჯერეს და წასასვლელად მოემზადნენ. ახალგაზრდები სუფთა ჰაერს ხარბად ისუნთქავდნენ. ეს შენიშნა ენვერ-ბეგმა და ლიმილით შეეკითხა მგზავრებს.

– უკანასკნელად ისუნთქავთ ოსმალეთის ჰაერს არა? ხომ არ გენანებათ აქაურობის მიტოვება?

– აქაურობით თუ მთლიან ოსმალეთზეა საუბარი, ვერ მოგიწონებ ენვერ-ბეგო – გაეპასუხა ახმედ-ხოჯა – აქაურობა აქაურობაა და ის შენი და ჩვენია, ქართულია, ძირძეველი საქართველოა, ბაგრატიონთა და კურაპალატთა სამფლობელოები, ხოლო, ჰაერს იმიტომ ვსუნთქავთ ასე ლრმად რომ... საქართველოს ჰაერი უბერავს ამ ხეობაშიც, ჩვენი, მშობლიური. საქართველოს მარტო სუფთა ჰაერით იცნობს ადამიანი, ახლავე უნდა შევაჩვიოთ ფილტვები, რომ მერე ჩვენს მამულში ლრმად სუნთქვით არ დაგვისკდეს. ლმერთს მადლობა რომ ისევ მეღირსა საქართველოს ნახვა. მწარე სინანული გამომყვა ქედას რომ ვტოვებდი და აქეთ მოვდიოდი. მირჩიეს სწავლა სტამბოლში მიმელო, მაგრამ არავის დაუძალებია ისე წამოვედი და აპა, ხომ ხედავთ, რამდენ ხანს ჩავრჩი. ოსმალეთის საქართველო ფეხით შემოვლილი მაქვს, ბევრი ჩანაწერიც მქონდა. მაგრამ ჩამომართვეს, ტვინიდან კი ვერ ამომილებენ, ისე მაქვს ჩაბეჭდილი, თუ ვიცოცხლე, კარგ ისტორიას დავტოვებ თუ არა და მე ამათი სიხარული მეყოფა – მამუკასა და ფატმაზე მიუთითა – მათით ვსულდგმულობდი და ვსულდგმულობ და ვსუნთქავ, ამათი სამშობლოში დაბრუნება უფრო

მიხარია და ესეც ერთგვარი ისტორიაა. მეც მათი „ყურბანი“ ვყოფილიყავი. ამაზე დიდი ბედნიერება რა იქნება, მშობელს განათლებული, ზრდილი, ჩემპიონის წოდებით, თანაც ცოლის ერთად შვილი სალსალამათი მიჰვარო და თანაც... ალბათ მაღლე ფაშის ტიტულით?...

– შენს ამაგს არ დაგივიწყებს შალვა ახალციხელი, არც მე ახმედ-ეფენდი, შენი კაცურ-კაცობა საზომად მექნება. თუ საშუალება მექნება, ღმერთით ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

– „ინშალლა“* ბეგო, ღმერთმა გისმინოს.

– ეხლა კი დროა მეგობრებო ავიბარგოთ, რაღაც ერთი საათი დაგვრჩენია და პირდაპირ საზღვარს მივადგებით, მერე კი... მერე მშვიდობით. ეჲ, თქვენი არ იყოს, მეც მეთანალება გული, როგორ შეჩვეულები ვიყავით ერთმანეთზე...

მზემ საშუალეოზე კარგა მაღლა აინია. თბილი ამინდი იდგა, უსაშველო არაფერი იყო. სამი მამაკაცი მაყარივით მიაცილებდა ნეფე-დედოფალს საქართველოსაკენ, მშობლიურ კუთხისაკენ.

ჩიტების უივილ-ხივილს ერთგვარი მხიარულება და სიტკბო შეპქონდათ მგზავრების გულში. ტყეში ხის ტოტებიც თითქოს მათზე შრიალებდნენ და თავს უქნევდნენ სამშობლოში მიმავალთ, ნიავი ნაზად აჩურჩულებდა მოყვავილე შქერებს და იელს, საამური შარი-შური გაპქონდათ წაბლისა და ნეკერჩლის ფოთლებს. შვლებმაც გადაუჭრეს გზა, შეღვნენ და სიხარულით სავსე თვალებით შეაცეკრდნენ მიმავალთ, შემდეგ შეიკუნტრუშეს და მათ სავალ ბილიკებზე გაიქცნენ, ხანდახან ყურებდაცქვეტით უკან მიიხედავდნენ და ისევ განაგრძობდნენ გზას.

– ეჲ, ნეტავი თქვენ – მიაძახეს ყველამ ერთხმად.

– ჩვენ ბილიკზე მაგათი დაწინაურება ძალიან კარგის ნიშანია – თქვა დავითმა და მგზავრებს გადახედა – შორეულ მგზავრობას ნიშნავს, ალბათ ნეფე-დედოფალის შორეული მიზნების დაგვირგვინებას ან რაღაც შორეულზე გვაკვალიანებს. ჩვენ მიგვიძლვიან – დაიხსომეთ ახალგაზრდებო, ეს კარგის ნიშანია.

– მართლაც რაღაც მინიშნებაა, რომ არ გვიფრთხისან, ღმერთია ჩარეული ამ მგზავრობაში – დაამატა ენვერ-ბეგმა.

– ღვთის გარეშე განა რაიმე ხდება? არაფერი. ამიტომაც თუ თქვენაც გჯერათ რომ შვლების სახით ღმერთმა მელაიქები* მოგვივლინა,

ეს ძალიან დიდი და კარგის ნიშანია ამათ სავალ გზაზე, იქნებ ყველა-საზე?.. ამას მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ მწამს, რომ ღმერთი გზებს გაგვინათებს და გაგვიადვილებს – თქვა ახმედ-ხოჯამ და ლოცვა ჩაი-კითხა...

ტრიალ მინდორზე გავიდნენ, სადაც საძოვარზე გამოფენილ ნახ-ირსადევნებული ხბოებისა და ბატკან-პორჩოლების გნიასი იდგა და მკაფიოდ მოისმოდა მათი ბლავილ-კიკინი, რომელილაც სოფლის მემთეურებს გაერეკათ საძოვარზე საქონელი. შედგნენ, თვალი გადა-ავლეს საქონელიან მინდორს, ერთხანს ეალერსნენ და შემდეგ გზა განაგრძეს.

– პატარა ტყეს გადავივლით და მეორე მინდვრის გადალმა თქვე-ნიანები დაგვხვდებიან – გამოაცხადა ენვერ-ბეგმა და მამუკას მი-უხედა.

ცხენებზე სიხარულისაგან შეტოკდნენ, მზერად იქცნენ, თითქოს-და ტყის იქით მინდვრის დანახვას აპირებდნენ უკვე.

მზე დასავლეთისაკენ გადაიხარა, როდესაც მგზავრები პატარა შენობას მიადგნენ. მრავალფერად გადალებილ-აჭრელებული შენო-ბა თითქოს შეუმჩნეველი იყო მინდვრისა და ნარგავების ფონზე. შე-ნობის წინ დასუფთავებულ-მოვლილი პატარა ბაღნარი იყო გაშენებ-ული. ყველაფერს სამხედრო დისციპლინა ემჩნეოდა. ეზოში ოსმა-ლოს სამი იანიჩარი და ენვერ-ბეგს წინა დღით შეხვედრილი გუშაგი იდგნენ და მომავლებს ხელმოჩრდილვით გასცეკროდნენ, ერთი მათ-განი მეთაური იყო, ჩაცმულობით იცნობოდა. მგზავრებმა ცხენები შენობის წინ შეაჩერეს. ჩამოქვეითებას არ აპირებდნენ. იანიჩარი მე-თაური თავად ეახლა ენვერ-ბეგს და სამხედრო წესით მიესალმა.

– ჯემალ ონბაში და თანმხლები იანიჩარები ვმორიგეობთ ორი დღეა, საზღვარზე წესრიგია, შეგიძლიათ ცხენებიდან ჩამობრძანდეთ და დაისვენოთ.

– კარგი ჯემალ, გაფრთხილებული ხომ იყავი ჩვენს ვიზიტზე?

– კი, აბა რას აკეთებს ის შენი გუშაგი... თუნდაც არ ვყოფილ-იყავი, თქვენი სიტყვა ხომ კანონია ჩვენთვის. გასაგებია, რასაც ამ-ბობთ ამ წუთას დავზვერავთ იქითა მხარეს და მოგახსენებთ ბატონო – თქვა ეს და შეტრიალდა, შენობის მეორე მხარეს გავიდა.

ასიმდე მეტრის იქით ახალციხელები იდგნენ.

– იდგნენ და ელოდნენ ნეფე-დედოფალს თავისი მაყრებიანად. ჯემალ ონბაშს ხელიც კი დაუქნიეს გახარებულებმა. ჯემალი მობრუნ-და და ენვერ-ბეგს მოახსენა:

– გელოდებიან ბატონო თქვენი მეგობრები, მაგრამ ხომ შეიძლება მეც ვიცოდე ვინ არიან, სად მიდიან, რა მიზანს ემსახურებიან. წესია, საზვარია და ჩვენ ჩვენსას მოვთხოვს უფროსობა.

მართალი ხარ ჯემალ, კანონი ყველასათვის ერთია. ესენი ყველ-ანი სულთნის ქვეშევრდომები არიან, მაგრამ მათში ყველაზე ახალ-გაზრდა ეს ვაჟბატონი, ახალციხის მომავალი ფაშაა, ე, იგერ რომ გველოდებიან იმათი შვილია. დანარჩენი არც მე მეხება და არც შენ, მთავარია ჩვენ ესენი გადავაცილოთ და თავისიანებს მივგვაროთ, სახელმწიფო საქმეებს კი სულთანი მიხედავს მალე.

– გისმენთ და გემორჩილებით ბეგო, აღასრულეთ თქვენი ნება, შეგიძლიათ ეახლოთ მომლოდინებს – თქვა ეს და ჭიშკარი ფართოდ გაული მგზავრებს.

სამშობლონატრულებს ცრემლები მოადგათ თვალებზე, გული აუჩქროლდათ, ფატმამ კი ქვითინი დაიწყო.

– კარგი ეხლა, რისი ცრემლებია, სახლში ხართ უკვე მოსულები. ეხლა ორ-სამჯერ დააცხიკვეთ და ოსმალური რეჟიმის ბაცილები გამორეკეთ თრგანიზმიდან – გაიხუმრა ენვერ-ბეგმა და ჭიშკარში პირველმა შეაბიჯა.

– სიხარულმა აგვაცრემლა ბეგო და კიდევ თქვენთან განშორებ-ის სევდამ – უთხრა ახმედ-ხოჯამ.

– ყველაფერი ბუნებრივია. აბა ჰე, თუ უკან მიხედვა გინდათ მი-იხედეთ და გამოემშვიდობეთ თქვენს მეორე სამშობლოს და ჰაიდა, გადავიდეთ თქვენიანებთან.

– უკან თუ მივიხედავთ, ისევ შენს მამულს და ჩვენს სატკივარს დავინახავთ – იქეთ დარჩენილ საქართველოს, თორემ სხვა რაღა დაგვრჩენია. გავაგრძელოთ ნაბიჯები...

იანიჩარებს თავი დაუკრეს და შენობის მეორე მხრიდან საქართველოს მიწაზე დაადგეს ფეხი.

სანამ თქვენიანებს არ ჩაგაბარებთ, მანამ უკან დამბრუნებელი არა ვარ – თქვა ენვერ-ბეგმა და ჯემალისა და ერთი გუშაგის თანხ-ლებით ახალციხელ სტუმრებს ეახლა.

– საღოლ ბეგო, შენს ამაგს არ დავივიწყებთ.

– ვალში ძმობილთან ვიყავი და გადახდილია უკვე.

გარიყულას მინდორზე შალვა და ენვერი ერთმანეთს გადაეხვივნება. ხევენა-გამოთხოვებამ ერთ საათს გასტანა. დასხდნენ საპურმარილოდაც.

* * *

ზვიადი მთები და გაუვალი ტყეები შემოსჯარვია შავშეთს. მესხეთ-ჯავახეთისა და აჭარისა მთების გაგრძელებას წარმოადგენს შავშეთის ქედი. ზამთარი მკაცრია და ზაფხული ზომიერი, როგორც მთელი სამხრეთ საქართველოს მახასიათებელი.

მშრომელი ხალხია შავშეთის მკვიდრნი, სტუმართმოყვარე და მებრძოლი, ავთან ავი და მოყვარესთან კეთილი. იციან აქაურმა მცოვრებმა ცხოვრების ავ-კარგი. ათადან და ბაბადან (წინაპართაგან) მოდგამთ ტრადიციული ადათ-წესები, მაგრამ...

XIV საუკუნიდან მოყოლებული ოსმალეთის ბატონობის მძიმე უღელი ედგათ კისრად. (ამაყი ხალხია ქართველები, არც არავის სოხოვენ დახმარებას, თითქოსდა სიორცხვილად მიაჩნიათ, არც თითს მოღუნავენ, არიან უკადრისები და მაშინ როდესაც შეიძლება მეზობელს სოხოვონ დახმარება გადასარჩენად, უკეთურებს აჯიჯგნინებენ თავის მეობას და საქართველოს ტერიტორიას აოხრებინებენ. წავიდა თამარ მეფის დრო – ამას ვეღარ მიხვდნენ).

მძლავრია ოსმალეთი, მაგრამ მაინც არ უდრკებიან მათ სიძლიერეს. მოსული ხელისუფლების დამპყრობელ და აუტანელ ჩაგრას ხშირი აჯანყებით პასუხობენ შავშელებიც, ხან აქ, ხან იქ იფეთქებს ცეცხლის კერა, ოსმალოს იატაგანი კი ყველგან მუსრს ავლებს უწყინარ ხალხს. ტყეში იხიზნებიან, მერე ისევ ბრუნდებიან და ახალ ცხოვრებას აწყობენ, შემდეგ ისევ გაიხიზნებიან და... ამგვარი ყოფით დაიღია შავშეთ-ნიგალისხევის მოსახლეობა.

ზვიადი მთები, გაუვალი ტყეები და გამოქვაბულიანი კლდეები ხელს უწყობდა გახიზნულებს, რათა დიდხანს გაეძლოთ დროებით თავშესაფარში. მთავარია სულის გადარჩენა, თორემ თუ ფიზიკურად განადგურდები, ქვეყანაც მოისპობა, გაჩანაგდება სოფლები და საცხოვრებლები. ცოცხალი ადამიანი კი მაინც მოეწევა რაღაცას. გახიზვნას კი ისევ მთიელები ახერხებდნენ, დარჩენილებს კი მძიმე ხარკს

ადებდნენ და სულს ხდიდნენ აუტანელი ხვედრით. დაბეჩავებულ ხალხს პირუტყვივით ექცევალნენ და მათვის არ არსებობდა არც სინდის-ნამუსი, არც შებრალება და არც ღმერთი, ჰოდა, ღმერთსა და სარწმუნოებას ამოფარებულნი თავიანთ სანადელს აღწევდნენ. დამპყრობელი დაპყრობილი ტერიტორიებით ცდილობდა ქვეყნის ეკონომიკის წამოწევას. ხალხი კი მაინც ქედუდრეკელია, ნაფუძარზე ახალ ფუძეს აგებს, შვილებს აჩენს და მომავლის იმედით ცოცხლობს.

მძიმე ხარჯი დააწვა ქვემო ქართლს – სამცხე-საათაბაგოს ძირდველ მოსახლეობას, შემდეგ აჭარაც წაამატეს და არსიანის ქედის ორივე მხარის მოსახლეობა მძიმედ დახარკეს. ხარკთან ერთად თანზიმათის კანონების მტკიცედ გავრცელებას ცდილობდნენ.

ყველაფერი შეუცვალეს ხალხს, მხოლოდ ენას ვერაფერი მოუხერხეს, ქართველ ხალხს ქართული ლაპარაკი ვერ ამოუძირკვეს. ამ ერთადერთი მძლავრი ფესვით ხარობდა გადაშენების პირად მისული იმერ-ამერი.

ხალხი რომ უმძიმეს მდგომარეობაში არ ჩავარდნილიყო, ამისათვის ადგილობრივი ფეოდალები ცდილობდნენ დაპყრობილ ტერიტორიებზე თავიანთი გავლენის დამკვიდრებას. ახერხებდნენ კიდევაც და იშვიათობა იყო მთელი სამცხე-საათაბაგოს და აჭარის ტერიტორიაზე უცხო ტომის ან ბეგი ან ფაშა მჯდარიყო გამგებლად. არც ადგილობრივების ულელი იყო მსუბუქი, მაგრამ შინაურები იყვნენ და შეჩვეული ჭირი ერჩიათ შეუჩვეველს. აქა-იქ უსისხლო, მტარვალი ბეგი ან ფაშა დაჯდებოდა საგამგებლო ტახტზე და მათგან შევიწროებული გლეხობა ისევ აჯანყებებს მართავდა. საბოლოოდ ისევ გლეხობა ზიანდებოდა, ზარალი კი აურაცხელი იყო და აუტანელი.

ენვერ-ბეგის, შალვა ახალციხელის, აბდულ-ბეგ და სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილების და კიდევ ბევრის სახელს, ისტორია და ხალხი დავიწყების მტვერს არ დააფარვინებს.

სამცხის ცას შავი ლეუბელი ნელ-ნელა წამოეპარა, ავდარი კი აუცილებლად იყო მოსალოდნელი. დიახ. ოსმალეთი უკვე ადგილ-ადგილ, ნანილ-ნანილ შექრილიყო... ერთი გაელვება, ერთი ჩახმახის გამოკვრა და სამცხის ტერიტორიას უკვე ლომის ხახა ელოდებოდა. ავი დარი დაუდგა სამცხეს, თუმცა იგი 1500-იანი წლებიდან ფაქტობრივად უკვე ოსმალთა ხელში იყო. გარიყულას ველზე და საერთოდ შალვა დიასამ-

იძის საგამგებლოში ჯერჯერობით მშვიდი ატმოსფერო სუფევდა. სიმშვიდე იყო ახალციხეში და მის შემოგარენში, მაგრამ ეს ტერიტორიები დიდ, მსუსურ და ბოლო ლუკმად ჩანდა ოსმალთა სულთნის სარკეში.

... მანამდე კი?..

...შალვა ახალციხელს ამალა და მთელი საგვარეულოს ხალხი ახლდა თან გარიყულას მინდოოზე. დედამ რომ შვილი დაინახა სიხარულისაგან ჩაიკეცა. ორად ორი კურცხალი ჩამოუგორდა ლოყაზე, მაგრამ ისიც უმაღლ მოიშორა.

– რა ამბავია შალვა-ბატონო? ოსმალეთზე თავდასხმას ხომ არ აპირებთ? – გაეხუმრა ენვერ-ბეგი ძმაკაცს და გადაეხვია ისევ.

– სადაური თავდამსხმელები ჩვენა ვართ ბეგო, მაგრამ დახვედრა და თავდაცვაც კი შეგვიძლია აპა?

– ნეტამც, ნეტამც, ოორემ ხომ ხედავ – შეჩერდა და მოიხედა, იანიჩარები შორს გასულიყვნენ და ველარაფერს მოკრავდნენ ყურს – ხომ ხედავ შალვა-ბატონო, ლანქერი ყველგან და ყველაფერს ლეკავს. ოსმალო აქაც მოაღწევს და... აღარ დაამთავრა სათქმელი და შალვას შეხედა.

– რას იზამ, ჩემო ენვერ, ქართველ ხალხს ჭირი არასოდეს აკლდა და აწეც, თუ ვინმე მოგვერევა, უნდა გავუძლოთ, ალბათ ასეთია განგების წესი.

– სანამ ცოცხალი ხარ ადამიანი, ხმალი არ უნდა ჩააგო, უნდა იბრძოლო შალვა-ბატონო.

– ერთი მუჭა დავრჩით, როგორ გინდა გაუმკლავდე ისეთ ზვირთს, რომელიც ყველაფერს ანგრევს.

– ჩვენი იმედიც გქონდეს შალვა-ბატონო. არც ჩვენ ვართ დალხინებულები და თუ მარნუსები ძალიან მოგვიჭირეს, გულ-ხელს არც ჩვენ დავიკრეცთ. იყო მსაგასი შემთხვევები და ხალხი აჯანყდა, რომ ველარაფერს გახდნენ დათმობაზე წავიდნენ და შეგვეშვნენ, მაგრამ დროს გვიძებნიან. არ გვაყრიან ხეირს. მე ბეგობა მომანიჭეს და შავშეთი ჩამაბარეს, მაგრამ მამოწმებენ მაინც.

– ღმერთო, მომეყურა თუ მართალია. ბეგო, შენ ხომ ოსმალეთის ქვეშევრდომი ხარ.

– მეც და ჩვენს ქართველობას თქვენსავით გვძულს დამპყრიბელი. განა ჩვენ, ჩვენი ფეხით შევედით ოსმალეთის დროშის ქვეშ?

ძალით, იარაღით შეგვრეკეს და თუ შემთხვევა იქნება და ხვალის იმედი, იარაღს უანგს არ შევაჭმევინებთ.

– რაღაი ეს გავიგონე, ანე აღარ გვიჭირს.

– გჯეროდეს, ღრმად ირწმუნე ჩვენი შემართება, მაგრამ ერთი რამ მაინც უნდა გითხრა, თუმცა გულსატკენია ყველასათვის... ოსმალეთი ბევრ ტერიტორიას გადაეფოფრება, მაგრამ ყველას ვერ ეპატრონება. იქნებ ნაწილი დაიტოვოს მთლიანად, არც არასოდეს აღარაფერი ეშველება, აქედან რომ ვთქვათ, იმიერ საქართველოს, რომელშიც ჩვენ ვცხოვოთ. ამ გორების გადაღმა რაცაა ის უკვე დაკანონებული აქვთ. მალე ყველა სოფელში ოსმალურ ოჯახებს ჩამოგვისახლებენ და მერე მოგჭამა ჭირი ველარაფერს უზამ, იმ-რავლებენ და იმრავლებენ. ასე რომ ჩვენს გაოსმალებას ბევრი აღარ უკლია. ენა შეიძლება არ დაიკარგოს, მაგრამ როგორც ერი – ჩვენთან აღარ იარსებებს, ველარ ვიტყვით შემდეგ, რომ ქართველები ვართო, იმიტომ რომ დავთრებში და სახელმწიფო საბუთებში ოსმალურად გაგვატარებენ.

– ქართველები ბევრ რამეს შევგუებულვართ და შევეგუებით, მაგრამ ძნელი ასატანი კია – ერთი ძმა ლელის გაღმა ცხოვრობდეს, მეორე ლელის გამოლმა, მაგრამ ვიდრე ეს დრო დადგებოდეს, რომელიც არ მეტვება, მანამ როგორც შეგვეძლება ისე ვიმეზობლოთ.

დამხვდურები და შემოსულები ისე დიდხანს ეცნობოდნენ ერთ-მანეთს და იმდენი ისაუბრეს, შალვას და ენვერს არც უგრძვნიათ დრო როგორ გარბოდა.

შალვამ, პურ-მარილი იქვე მოლზე გააშლევინა სტუმრების საპატიოცემულოდ. თოფებიც დააქუხებინა, რაზედაც საზღვრის გუშაგებ-მა ყურები ცქვიტეს, შემდეგ შვილი და რძალი მოისიყვარულა და პურის ჭამა ეშხში შეიყვანა. ჭინჭილები შეავსო ლვინით და პირველი თვითონ დაილოცა.

– ამით თქვენს დაბრუნებას გაუმარჯოს და ჩვენს მეზობლობას და ძმობას – თქვა და გადაჰკრა. შევსებული ჭინჭილა ენვერს მიაწოდა.

– ჩვენ ძმობილები კი ვართ ბატონო შალვა, მაგრამ შენ ასაკით უფროსი ხარ და ყველაფერში შენ გემორჩილებოდი, შენი წინააღმდეგი არასოდეს წავსულვარ, დავალებებიც პირნათლად შეგისრულე – შვილი რძლის ერთად ჩამოგიყვანე, როგორც ჩვენი შარიათის

კანონებში წერია: „უმცროსი ძმის მოვალეობა უფროსის წინაშე შვილის მოვალეობის მსგავსია” – აი, ამგვარად ვმოქმედებდი და შედეგიც თვალწინაა... მაშ, გაუმარჯვოს ჩვენ ურთიერთობას და საქმის კეთილად დასასრულს... დალევა კი აკრძალული გვაქვს, ბოდიში უნდა მოგიხადოთ...

– ღმერთი გაპატიებთ, კი არ გაძალებთ, მაგრამ მგონი ორი-სამი ჭინჭილა არაფერს გიზამს, შარბათივითაა, დედის რძესავით შეგერგება.

ენვერმა გადაჰკრა და ერთი ლაზათიანად შეიშმუშნა.

– ამის დაულევლობა იქნება? ძარღვებში დამიარა ხელად.

– ღმერთმა თუ მუხამედ მოციქულმა, ბევრის დალევა და აურზაური აკრძალა თორემ, ნორმა ყველაფერი შეიძლება.

თითო ჭინჭილა ყველამ დალია და მშვიდობიანობა უსურვეს საქართველოს და ქართველ ხალხს.

– ამაზე დიდ სიხარულს ნეტა კიდევ მომანიჭებ ოდესმე ენვერ ჩემო?

– არ ვიცი, დრო წინაა, მაგრამ შენს სიხარულს ხომ ღმერთი ადევნებს თვალს. ჩვენს წიგნებში ასეც წერია: – „ღმერთის სიხარული

– მამის სიხარულია, ღმერთის „უკმაყოფილება – მამის „უკმაყოფილება” – ეს უფრო სხვა რამესაც მიესადაგება, მაგრამ ამჟამად ასე ჯობს. თუმცა ისიც უნდა დავუმატოთ, რახან შვილი გვერდს გიმშვენებს, მის გასაგონად უნდა ვთქვათ, რომ „მამის მორჩილებაში ყოფნა – ღვთის მორჩილებაში ყოფნაა, მამის შეურაცხყოფა – ღვთის შეურაცყოფაა”.

– დიდი და მძიმე სიტყვებია, ანუ ვალდებულებები ღვთის წინაშე. რა აზრი აქვს ვის წიგნშია და ვისი ნათქვამია, ძალიანაც სწორია და ყველას მართებს მისი შესრულება.

შალვამ უცნობებს მოუხედა და...

– ენვერ ჩემო, ეს უცხოები არ გამაცანი, თუ ვინ არიან, არც ლაპარაკობენ და ვერ გავიგე ოსმალებია თუ უცხოელები?

ენვერ-ბეგმა ჩაიცინა და დავითს და ახმედ-ხოჯას გადახედა.

– თქვენ ეხლა სიხარულით უნდა ცეკვავდეთ და რას დამუნჯებულხართ, ხმას ვერ ამოილებთ?

– ჭამა-სმას შევექეცით ბეგო და ესაა მიზეზიც.

– თუ სასმელი დალიეთ, ჩუმად რატომ მიირთვით? ბოლოსდაბოლოს საქართველოში ხართ, საქრისტიანოში და ღვინო თუ დალიე, ვითომ ქრისტიანზე არ გაისაუბრება? ჯვარი და ნახევარმთვარე უკ-

ბენენ ერთმანეთს თუ საიქიოს იესო და მუჰამედი წაიჩსუბებენ ჩვენი ქეიიფის გამო? ცოდვაა მშიერ-მწყურვალი ყოფნა, მხოლოდ ცუდს ნუ ჩაიდენთ და სიკეთე არასოდეს დაიკარგება „მადლს მარილიც მოა-ყარეო“ – იტყვიან და ამ ნეფე-დედოფლის აღმზრდელებს დიახაც გაქვთ თავის ამაყად აწევის უფლება.

– მაინც არ გაამხილე ვინ არიან ენვერ-ჩემო.


– ერთი შალვა ჩემო, აჭარიდანაა, ხოჯა ახმედ-ეფენდი, მამუკას მეორე მამობილი და ეს ვაჟუკაცი კი მამიას მწვრთნელი გახლავთ, მაგის წყალობით გახდა მამია სტამბოლის ჩემპიონი კრივში და ჭიდაობაში.

– ბატონებო და ქალბატონებო – ეხლა დამხვდურებს მიმართა ენვერ-ბეგმა – ესენი რომ არა – თქვა და ორთავეზე მიუთითა – ვინ იცის რა დღეში ჩავარდებოდა ჩვენი მამია. არც ენა დაავიწყებინეს, არც მამულის და სამშობლოს სიყვარული და ჩემი მეშვეობით თქვენს ამბეჭაც აწვდიდნენ. გამოწვრთნეს, ასწავლეს და კაცად დააყენეს. ამაგს არ ვიცი ვინ ზღავს, ეს მეორე კაცი, როგორც გითხარით ამის მწვრთნელია, მაგრამ მეც ერთი კვირაა რაც გავიცანი, სტამბოლში ნახვის საშუალება არ მქონდა. კაცური კაცის სადღეგრძელო უნდა დაილიოს, რომელთა უშუალო ქმედებებით უცხო ცის ქვეშ უცხო ადამიანს, თუმცა მაინც მშობლიურს, ეპატრონენ და კაცად ჩამოაყ-ალიბეს, სწორად აღზარდეს და მნამს რომ ეს აღზრდა თავის შედეგს გამოიღებს კეთილი საქმეების კეთებით. ამინ – თქვა ენვერ-ბეგმა და მესამე ჭინჭილაც დაცალა – ეხლა ჩემი წასვლის დროა, ძლივს ჩა-ვალნენ სახლში დაბნელებამდე და იქაც ამბებს ელიან თქვენი შეხ-ვეღრისა. ჩემს წასვლას და თქვენს დარჩენას გაუმარჯოს, ღმერთმა და ბუნებამ ხვალის იმედი ნუ მოგვიშალოს.

– ამინ იყოს – ჩაიბუზუნეს დამხვდურებმა.

ენვერ-ბეგი ცხენს მოევლო და სიხარულისა და გამომშვიდობების ნიშნად ხელებაზეულმა ცხენიც ორ ფეხზე შეაყენა, საზღვარს გაშორდა, ხელი დაუქნია ყველას და თავეკვე დაეშვა.

ხარობდა შალვას ხალხი. ქეიფმა დაბნელებამდე გასტანა. რო-დის-როდის აიშალნენ და სახლს-კარს დაუბრუნდნენ. მშობლებისა და შვილ-რძალის სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. ცხენებს მია-ჭენებდნენ შინისაკენ.



თავი I

მთვარიანი ღამე დაბეჭდა მამუკას და ფატმას სახლში დაბრუნებას. ბაღრი მთვარით გაქათქათებულ არე-მარეს ღამის ფრთოსნები ახმიანებდნენ. ნელი სიო ქროდა და მცირედ ნაქეიფარებს გულს და სახეს უგრილებდა. სახლში ბრუნდებოდა შალვა თავისი სახლეულით, ნათესავებით და ამალით. ვინც ახლო-მახლო ცხოვრობდა, ყველანი თავიანთ სახლებს დაუბრუნდა, მხოლოდ შორიდან მოსული ქალიშვილები, სიძეები და მათი ბავშვები დარჩნენ შალვას-თან.

შალვა დიასამიძის მამას – ლევანს ორსართულიანი, იმ დროის-ათვის უჩვეულო, ქვითკირის სახლი აეშენებინა სოფლის შუაგულში, შემალებულ ადგილას. ეზო-მიდამოში უზარმაზარი მინდორი იყო გადაჭიმული, სადაც უამრავი შენობა იღვა – საბძელი, მოსამსახურე-თათვის განსხვავებული საძინებლები. მცირე ზომის კარის ეკლესია და მოძღვართათვის ცალკე სენაკი. ირგვლივ ხეხილი ჰქონდათ მოშენებული, რაც ძალიან უხდებოდა უზარმაზარ მინდორს და რომელიც ერთგვარ ქარსაფარსაც წარმოადგენდა შენობებისათვის.

ორსართულიანი სახლი დიდი ტევადობისა იყო. სტუმრიანობის დროს კი ძალიან მოსახერხებელი.

შალვას მამა ლევანი ახალციხელი იყო, მაგრამ დედულეთში დასახლდა, სოფელ კლდეში. დედამისიც დიდგვაროვანი იყო, მაგრამ დედულეთში ოჯახს გაუქმება ელოდა, მამაკაცებიდან ალარავინ იყო ცოცხალი და დედის ძმის ოჯახშიც მარტო გოგონები იყვნენ. გვარის გამაგრძელებელი და სახლის პატრონი ალარ რჩებოდა. დედამ შვილი გაგზავნა მამისეული კარ-მიდამოს საპატრონებლად.

სწორედ ის შენობები და სახლი ააგო ლევანმა, რომელიც თვალ-გულს ახარებდა. ასე შემოსახლდა სოფელ კლდეში ერთი დიდგვაროვანი დიასამიძე...

შინ დაბრუნებულებმა კარის ეკლესიში ილოცეს, უფალს მადლობა მიუძღვნეს მამუკას მშვიდობიანად დაბრუნებისათვის და სახლში შევიდნენ.

შალვა გაბადრული სახით წარუდგა დიდ სასტუმრო ოთახში თავშეყრილებს და განუცხადა.

– უკვე გვიანია, ყველანი დაღლილები ვართ – ზოგი ემოციებით, ზოგი გზით, ზოგი ჭამა-სმით, გამოვიძინოთ, ხვალ, ზეგ უქმე დღეებია და სალაპარაკო ხომ აღარ გამოგველევა – ვიჭუკჭუკოთ.

შალვას ოჯახმა მიიძინა, მხოლოდ ლელის ხმაური და ძალების ყეფა ისმოდა სოფელში.

დილით ადრე ადგა მამუკა, ეზო-კარი შემოიარა, ეკლესიასთან შეჩერდა და ფიქრით თავის ბავშვობას გადაწვდა...

ჯერ კიდევ პატარა იყო, როდესაც ეკლესიაში დაჰყავდა მოძლვარს და ლოცვებს ასწავლიდა. ბეჯითი ბავშვი იყო და ბევრი ლოცვანი შეისწავლა, მაგრამ მეხსიერებიდან ყველა გადაეშალა.

ახსოვდა, როგორ არ ახსოვდა, ეკლესიაში რომ დადიოდა, მაგრამ ეკლესია ჯამეთი შეიცვალა და მის შემდეგ არაბულ ლოცვებს ბუტბუტებდა და ლოცულობდა კიდევაც.

„ოლონდ ილოცე, ლმერთი გახსოვდეს, ცოდვები არ აკეთო, სულ სიკეთე თესე, არ მოიპარო, არ იმრუშო, სხვებზე ცუდი არ თქვა, არავის ზიანი არ მიაყენო, წმინდა ადგილები არ წაბილნო, არავის აწყენინო. პო, მეტი რალა დარჩა? გლახაკები გაიკითხე, სიმდიდრეს ნუ დახარბები, იკმარე ის რასაც ლმერთი გარგუნებს, მადლი შესწირე ლმერთს ჯანმრთელობისათვის და ილოცე სადაც გინდა და რა ენაზეც გინდა... რა აზრი აქვს ეკლესიაში შევალ თუ ჯამეში, ხომ ვლოცულობ... ახმედ-ხოჯას უნდა შევეკითხო, როგორ მოვიქცე და კიდევ ბატონ დავითს, ისინი არიან ჩემი სულის მოძლვრები... ჯერჯერობით მათ გარეშე ნაბიჯს არ გადავდგამ... პო, ისე ვიზამ, როგორც დამარიგებენ!”

მზე კარგად ამოიწვერა, როდესაც შალვას სახლეული ეზოში გამოეფინა და ხეხილის ძირებთან მოთავსებულ ძელსკამზე ჩამორიგდნენ. მამუკა იდგა ერთ ადგილას, გულში ფიქრობდა, თუ რომელი შევიდოდა ეკლესიაში სალოცავად, მაგრამ ფიქრი ფიქრადვე დარჩა და ეკლესიაში არავინ არ შესულა.

„მაშ რა საჭიროა თუ არავინ დადის შიგ, ნუთუ ის კმარა ეზოში რომ გვიდგას?”

ფატმა მიეახლა მამუკას, მიდამოს თვალი მოავლო და თავისებური ლულუნა ხმით ჩაუბულბულა: – რა კარგი ადგილები გვქონია

მამუკა, როგორიც ვინატრე ისეთი მამული დამხვდა, მერე რა ბუნებაა, რა სიმშვენიერე...

- ეს ყველაფერი შენია რასაც ხედავ, მიჩუქნია ქალბატონო...
- მხოლოდ ეკლესია არ მინდა...
- ჯამეში დადიოდი სალოცავად?
- არა.

– აბა, შენთვის რა აზრი აქვს ეკლესია იქნება თუ არა. ლოცვა თუ იცი მაინც?

- სალოცავი საკითხავები კი ვიცი, მეხერხება...
- ყოჩაღ, მაშინ როგორც შენ გსურს, ისე ილოცე, მთავარია სული გქონდეს უხინვევო და როგორც გინდა ისე ილოცე...

ჰო, შენ მართალი ხარ, მაგრამ, თუ დაგვაძალეს ეკლესიაში სიარული, მაშინ რაღა ვქნა?

- ა, ხომ ხედავ არავინ შესულა სალოცავად... ალბათ ასეა საჭირო, როგორც მოიქცევიან, ისე მოვიქცევით ჩვენც.

ამ დროს ახმედი მიუახლოვდა ცოლ-ქმარს. კრიალოსანს მარცვალი მარცვალი.

- ილოცე ხოვჯა-ბატონო? – შეეკითხა მამია.

– რა ხანია ჩემო პატრონო, აბა ისე როგორ შეიძლება. მე ხომ ბავშვობიდან მუსლიმანი ვარ, მუსლიმანად დაბადებული, შენ კი ქრისტიანად ხარ დაბადებული და ნება შენია, შენს ქვეყანაში როგორ მოიქცევი – გინდ მუსლიმანად დარჩი, გინდაც ქრისტიანობას დაუბრუნდი.

– სწორედაც ამის შეეკითხვა მინდოდა ხოჯავ-ბატონო, დილის შემდეგ ვფიქრობდი.

– ჰოდა პასუხიც გაგეცი და ერთსაც გეტყვი კიდევ – სამოთხე და „ჯენენეთი“ ერთი და იგივეა. სამოთხეზე ანუ „ჯენენეთზე“, მუსლიმანურ „ქითაბებში“ ასე სწერია: „საჯენენეთო“ იგია, ვინც მშობლებს დაუჯერებს, დედას დააფასებს და მამის სიტყვებიდან არ გადავარ, აგრეთვე ისიც წერია, რომ სამოთხე ქალის ფეხქვეშააო. თუ დედა გეტყვის ქრისტიანობას უნდა დაუბრუნდეო მეტი გზა არა გაქვს, უნდა დაუჯერო... მე ეხლა თქვენი მრჩეველი კი არა ვარ, მსახური ვარ ბატონიშვილო და აწე ყველაფერი მშობლებს დაეკითხეთ,

როგორც გირჩევენ, ისე მოიქეცით და ვითარების მიხედვით იმოქმედეთ. პატარა ალარა ხარ, მალე ოცდაათი წლის შესრულდები და აწეშენ უნდა გეკითხებოდეთ ჭკუას, ნურც იმის შეგეშინდება, ფაშად მაკურთხებენ და გინდა თუ არა მუსლიმანი უნდა ვიყოო, ნურც იმის, რომ მამობილი შეგამოწმებს. შეგამოწმებს და შეგამოწმოს, შენც ისე მოიქეცი, როგორადაც საჭიროა. ეშმაკობაც გჭირდება ბატონიშვილო... ვითარების ანალიზისა და შეფასების უნარიც უნდა გქონდეს. მე თუ ნებას დამრთავთ, თქვენსას დავრჩები ცოტა ხანს, იქნებ მალე გაკურთხონ ფაშად და ცოტა ხანს კიდევ ვივარგებ შენს მრჩევლად... თუ ისე მოხდა, რომ ქრისტიანობა გირჩიეს, არც ესაა მტკიცნეული – გააკეთე ის რასაც გიბრძანებენ მშობლები, მართალია მათი სიყვარული დაგავიწყდა, მაგრამ ჯობს გაიხსენო, ის რაც გასახსენებელი გაქვს, ხოლო ღმერთს რომ თრივე სარწმუნოებით ემსახურო, ნეტა გეტყვის ასე რატომ აკეთებო? არა ნამდვილად არა და რამდენჯერაც მეტს ილოცებ ღმერთზე, იმდენჯერ მეტად დაგეხმარება...

– მადლობა ხოჯა-ბატონო, გავითვალისწინებ ყველაფერს, მაგრამ ნების დართვა რამ მოგაგონა, განა დავიმსახურე უნდობლობა? ათი წლის შემდეგ შენს ხელში ვიზრდებოდი და ვაღი მოსახდელი მაქვს. არავის თანხმობა არ მჭირდება, ბრძანდებოდე რამდენხანსაც მოგესურვება. ასევე ვეტყვი დავით მასწავლებელსაც და რომ აქედან ნააღრევად გადახვენა იფიქროთ, გულს მატკენთ იცოდეთ...

შალვამ გაქაფული ცხენი შემოაჭენა ეზოში და ჯეელივით ჩამოხტა.

– არ გიძინია შალვა-ბატონო? ამ დილით საიდან მოხვედი? – შეეკითხა ახმედ-ხოჯა.

– იაილებზე ავედი ღამეში. რძე და ყველი ჩამოვიტანე. ალარ შევაწუხე მსახურები...

– შენ ეხლა ისე გახარებული ხარ შვილის დაბრუნებით, რომ ყველაფერი შენით გინდა გააკეთო? ხომ არ გაგნელებია შვილის სიყვარული?

– არა ჩემო ახმედ და არც ის სიძულვილი გამნელებია, მამიას გატაცებით რომ ამკიდეს.

– მართლა გაჟუჟუ ისინი თუ მატყუებენ? კაცის ცოდვა დაიდე?

– სიმართლეა მაგრამ არა კაცის, არამედ არაკაცების და ცოდვა რად იქნება ნეტავ? როდესაც წურბელები მოვაცილე ხალხს. იცირამ-

დენი ვიღაც ააწიოკეს? ოჯახს რომ ერთადერთ მარჩენალ ძროხას წაართმევ, ამის შემდეგ წამრთმევზე კაცი იწოდება თუ გათახსირებული ნაძირალა...

– სადღაც მართალს ბრძანებ, მაგრამ მთავრობისათვის რომ გადაგეცათ არ ჯობდა?

– აქ მთავრობაც მე ვარ, მოსამართლეც და მსაჯულიც...

– საშიში კაცი ყოფილხარ.

– საშიში არადა, არაკაცებისათვის საშინელებაც ვარ და საშიშ-როებაც...

– ერთი რაღაც უნდა გკითხო შალვა-ბატონი. ქორწილის გადახდას ხომ არ აპირებ შვილებზე? გიფიქრია ამაზე?

– შენ გაგახარა ღმერთმა, როგორ გგონია, გადავდებ ამ საქმეს? ერთ კვირაში მოვახერხებ. თექვსმეტი წლის უნახავი შვილი ჩამომივიდა ცოლის ერთად და ქორწილს კი არა, მეფურ სუფრას გავშლი. ნახე რა დიდებულები მეწვიონ.

– მაგის მჯერა, მაგრამ ერთი რამ მაეჭვებს, მაგათ ქორწილი გადავუხადეთ და მუსლიმანური ცერემონიებიც ჩავატარეთ, შენ რას აპირებ? მონათვლა ხომ არ გნადია ქრისტიანული წესით?

– მაგას მარტო ვერ გადავწყვეტ... ეს ბავშვზეცაა დამოკიდებული და სულიერ მამებსაც უნდა დავვეკითხო.

– მამიას ფაშად ამზადებენ ხომ იცი. პრობლემები რომ შეიქმნას?

– მოფიქრებაა საჭირო... ეგებ არ უნდა ფაშობა...

– შალვა შეგ ჭკვიანი კაცი ხარ. ბავშვიც ჭკვიანად დავაკაცე. აქ ადრე თუ გვიან ოსმალები შემოვლენ დედა-წულიანად. ოსმალო ფაშის გაბატონებას ისევ ჩვენი კაცი იყოს არა ჯობია? კი ჯობია და თუ სარწმუნოებას შეუცვლით, ჯვრისწერის ცერემონიამ არ უნდა გაჟონოს, ძალიან ვიწრო და ერთგულ წრეში უნდა ჩავატაროთ, ეს არავითარ ზიანს არ მოუტანს არც სულიერებას და არც ქვეყანას. ამას მე არ უნდა გეუბნებოდე, ხოვა კაცი, მაგრამ საქმეს ნუ ვავნებთ და ვინც გინდა ის ვიყოთ...

– რას გეტყვი ჩემო ახმედ იცი? თუ შემოვლენ და გაპატონდებიან მე ხალხს დავეკითხები – თუ ბრძოლაში გამომყებიან ვი-

ბრძოლებთ, თუ არადა გავეცლებით, მაგრამ არ მინდა იფიქრონ, მშიშ-რებმა ტურებივით გაიძურნენო... არც ხალხის შეწყვეტა მინდა მაგ ურჯულოებზე. თუ მამიას ფაშად მოისურვებენ, ამის წინააღმდეგი არ ვიქნები ნამდვილად – იგი ხალხსაც დაიფარავს და მამულებსაც არ წაახდენინებს მომხვდურებს, ხოლო თუ სარწმუნოებას შეგვაცვ-ლევინებენ, ეს ხალხის ნებაა, უნდა შეიცვლიან, არ უნდათ და გაე-ცლებიან აქაურობას. მომხვდური ვერ გაჩერდება უცხო ადგილას...

– შენ მაგ იმედზე ხარ? ამდენი სახელმწიფოები რომ ჩაყლაპეს და არსად ალარ მიდიან, ხომ ხედავ შალვა-ბატონო, აქაურებზე რად იტყვიან ვითომ უარს, მითუმეტეს რომ იტყვიან ყურის ძირშია ჩვე-ნი ტერიტორიები მათვის, მერეც წელან ურჯულოები ახსენეთ. არ არიან იგინი ურჯულოები, მათაც სწამთ ღმერთი, როგორც ჩვენ, მა-გრამ განსხვავება მუჟამედსა და ქრისტეშია, ჯვარსა და ნახევარმთ-ვარეში, მეტი არაფერი... ჰოდა, რახან ღმერთი სწამთ და სჯერათ ურჯულოებიც არ ეთქმით... ისე კი ურჯულოები ნამდვილად გვირე-ვიან ჩვენც და იმათაც, არიან ასეთებიც, მე მაგალითად ისე შევეწყვე მუსლიმანურ ადათ-წესებს, არ მგონია მოვცილდე და თუ აჭარა მთლიანად ოსმალებმა დაიკავეს დიდი ხნით, მე ჩემს ხალხს ასე უფრო მოვუტან სარგებლობას, ქართულ საქმეს უმნიკვლოდ გავაკეთებ.

– ორ ღმერთს ემსახურები ერთდროულად?

– რათა შალვა-ჩემო ორ ღმერთს. ღმერთი ერთია, ხოლო რასაც შენ ფიქრობ ეგენი მოციქულებია და არა ღმერთები, ისეთები როგორიც შენ ხარ, როგორიც სულთანია – ხალხის წინამძღვანები, ისინიც ღმერთს მორჩილებენ... რაც შეეხება ჩემს სამსახურს, დავრ-ჩები ალბათ ხოჯად, ოღონდ ხალხს ისე მივუდგები, როგორც ვითარე-ბას შეეფერება. ლალატი რაც მთავარია არ გამომივა. საქვეყნო საქმე ყველამ უნდა ვაკეთოთ. ჩვენ წავალთ, მარადიულები არა ვართ, ქვეყ-ანა კი რჩება, ასე რომ რასაც ქვეყნისათვის გავაკეთებთ, ის ღმერთ-საც გაუხარდება და ხალხსაც.

– მართალს ამბობ ყველაფერს ახმედ-ბატონო, მე ისიც ვიცი, რომ ოსმალები სისხლისმსმელები არიან, არ ინდობენ არავის და არაფერს, უნდათ რომ ყველა და ყველაფერი თავიანთ ხმალს და კანონებს დაუმორჩილონ. ვიცი ისიც, რომ გაქნილები, ეშმაკები, გაიძ-ვერები არიან და მაგათთან კარგი სიტყვა არ ჭრის.

– ყველაფერში გეთანხმები, მაგრამ ისიც უნდა გითხრა, რომ ქართველებზე ეშმაკი და მოხერხებული არც ერთი ერი არაა. არ იყვნენ ოსმალები და იყვნენ ქართველები... აბა რამ მოაღწევინათ აქამდე ქართველებს. ეგენი ეხლა გამოჩნდნენ მართალია, მაგრამ გეთანხმები, რომ ძლიერები და სისხლის მსმელები მართლაც არიან და ამიტომ ძლიერს საქართველოს ნაწილიც. ჩვენ ერთი დაუძლეველი სენი გვსპობს – შინაომები და ეს იციან ოსმალებმაც, სწორედ ამიტომ მოიწევენ ჩვენკენ... ასეთი ლამაზი მთა-ბარის, ლამაზი საქართველო-სათვის რომ ვერ მოგვივლია, მათაც მეტი არ უნდათ... ეშმაკობა თქვი მაგათი? მართლაც უარესად გადამტერებენ ერთმანეთს და მერე მათი გაშველების მოტივით შემოვლებ... კი ვერაგები მართლაც არიან და ჩვენ რომ ჩვენს ქვეყანაში ერთი სიტყვა ვერ მოგვინახია ასე იზამენ, – დაერევიან ჩვენს კუთხეებს აბა რას იზამენ... ქიშპი, შური, ეგოზმი, ცალკერძობა – გაგვანადგურებს ნამდვილად.

– რა მაგის პასუხია და ახმედ-ბატონი, ცოტა წინ გავიხედოთ, მოხდა ისე რომ შემოვიდნენ მესხეთში და ჩაეთესლენ აქ, თუ შენი თქმისა არ იყოს – მამია ფაშად დასვეს, მიატოვებ და ნახვალ თუ ისევ მოჩევლად დაუდგები? თუ ნალდი მამულიშვილი ხარ, მაშინ შენს ალზრდილს დაუდგები გვერდით და დაარიგებ ვითარების მიხედვით, მე კი აქაურობას გავეცლები, თავს არ შევაკლავ, მაგრამ სანამ მამიას ფაშიბას დაუმტკიცებენ, ოსმალებს მწარედ ვანანებ ჩვენს დაპყრობას – უბრძოლველად არ გავეცლები, მაგრამ რომ უარესად არ გვავნონ, ვინაობას არ გავამხელ ჩემსას, ისე კი კუდით ქვას ვასროლინებთ მცირე დროით მაინც...

– ღმერთმა ხელი მოგვიმართოს შალვა-ჩემო. ქვეყნის სასარგებლოდ ყველანაირად შეიძლება ხელის გამოლება. გიპასუხებ შეკითხვაზეც... ვიდრე ფაშად არ დაამტკეცენ მამიას, ეს უეჭველია დიდი დრო გავა მანამდე, წავალ, ჩემიანებს მოვინახულებ და მერეც შეიძლება გადმოსვლა. შენ მართალი ბრძანდები, კი უნდა ახლადდანიშნულ ფაშას მრჩეველი. არც დავითი იტყვის უარს. ორთავეს თანაბარი სიყვარული გაგვაჩნია მამუკას მიმართ და თანაბარი უფლება და შანსიც გვექნება, რომ ვედგეთ გვერდში... ყბულსა ვართ. მამია ეხლაც ვერ გვიმეტებს, რომ ჩვენ მოვშორდეთ. ვიქენებით ცოტა ხანს და მერე კი წავალთ. თუკი საჭიროება მოითხოვს კვლავ გეახლებით...

– ჩემი სახლიც და გულისკარებიც თქვენთვის ლიაა. თქვენ თავისუფლები ხართ, ამიერიდან ყველაფრის უფლება გეძლევათ, მოიქცეთ ისე როგორც გენებოთ...

– დიდი მადლობა შალვა ჩემო, ერთმანეთის იმედი ნუმც მოგვჟღოდეს – უთხრა ახმედ-ხოჯაძ და შალვას გადაეხვია.

შალვამ წაიხემსა სტუმრების – ამჯერად თავისიანებთან ერთად და კვლავ ეზოში გამოვიდნენ.

– რას იტყვით ბატონებო – მიმართა ახმედ-ხოჯას და დაუდეფენდს – ქორნილი რომ დავაჩეაროთ ხომ არ აჯობებს. მე ამის არ მიჭირს, შევძლებ ხვალიდან შევუდგე საქმეს.

– ყველაფერი ადრე ჯობია, სიკვდილის გარდა შალვა-ბატონო. ეგ შენი ნებაა, მაგის რჩევა ჩვენგან არ გჭირდება. სახლეულს მოელაპარაკე და ისე იმოქმედე, როგორც ჭკუაში დაგიჯდება.

შალვამ ძმებთან და ბიძაშვილებთან მოთათბირება არჩია, მოახტა ცხენს და გაქუსლა. ორ დღეში საქორნინო სუფრა გაიშალა, მესხეთის დიდებულებიც დაპატიჟა და თავისიანები არავინ გამოუტოვებია. ქორნილს რომ იტყვიან ჩიტის რძეც არ აკლდა. ხარობდა ყველა და შალვას სათითაოდ ულოცავდნენ შვილის მშვიდობიანად დაბრუნებას.

ანურის მღვდლებიც არ დაივიწყა შალვამ და საპატიო ადგილიც მიუჩინა ნეფელ-დედოფალთან. მღვდლები ყველას არ იცნობდნენ, მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მაინც მამიას აღმზრდელებზე გაამახვილეს და შალვას შეკითხვაც დაუსვეს.

– ესენი ჩემო ძვირფასებო მამიას აღმზრდელები არიან – ერთი სპორტის ოსტატია, მეორე კი ხოჯა, აჭარიდან დროებით ოსმალეთში გადახვენილი.

ხოჯას ხსენებაზე მრვდლები აიმრიზნენ. ეს შეამჩნია ახმედ-ეფენდიმ და მათ მიუბრუნდა:

– ძალიან არ მოგეწონათ ჩემი ხოჯიობა და ისიც ქორნილში მოხვედრა, მაგრამ ჩვენ მამიას მამობილებივით ვართ და რომ არა ჩვენ, ვინ იცის იქნებ ვერასოდეს ეხილა მშობლები მამიას, ხოლო ჩვენ, მე და თქვენ სასულიერო პირები ვართ და ღვთის წინაშე თანაბარულებიანები ვართ ადამიანთა სწორ გზაზე დასაყენებლად.

მათი საუბარი ამით ამოიწურა. ქორნილმა კი ორ დღეს გასტანა.

მამია და ფატმა ჩვეულებრივი ქართული ოჯახის შესაფერისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. ახალშეულლებულთ, რომ იტყვიან ხე-ლისგულზე ატარებდნენ. მდიდარი იყო შალვა და არაფერი უჭირდა.

ერთ დღეს ფატმამ და მამიამ იმ ადგილის მოსანახულებლად გადაწყვიტეს წასვლა, საიდანაც მამია გაიტაცეს ოსმალებმა.

გაიხარეს ბებია-ბაბუამ დიდი ხნის უნახავი შვილიშვილის და რძლის ნახვით. მთელმა სოფელმა მოიყარა თავი ელიზბარის ეზოში. ულოცავდნენ შვილიშვილის, ჯიჯაგი ბიჭის ვაჟკაცად დაბრუნებას.

მეზობლებმა ელიზბარის საპატივცემულოდ დეკეული წამოაქციეს, სხვა საკლავებიც მიამატეს, ღვინო და არაყი ხომ ჰქონდათ და ჰქონდათ და ორდლიანი მეფური პურ-მარილი გაუშალეს ნეფე-დედოფალს. ქალებმა კი საჩუქარიც მიართვეს – ვისაც რა გააჩნდა.

ხარობდნენ მეზობლები და ქეიფს ბოლო არ უჩანდა.

– ჩვენ გვცეს ამოდენა პატივი თუ ბაბუაშენს? – ჰკითხა ფატმამ მამიას.

– ჩემი დაკარგვით მთელი საგვარეულო და სანათესაო დამწუხრებულა მაშინ, ეს მამამ მომიყვა – ჰოდა, ეხლა რამ გაყო ჩემი და შენი ან ბაბუასი და მეზობლისა. სიყვარულია ქალო ჩვენს მხარეში სიყვარული. ეს ხალხი ჩვენც გვესიყვარულებიან და ბაბუა ელიზბარ-საც – სასახელო კაცია, მთელ სოფელში დაფასებული, მაგისი ძმა კი მამაჩემის კარგი მეგობარია. სწორედ ბაბუას ძმის მეშვეობით მოხ-და ჩემი მშობლების შეულება. საერთოდ კი, რომ იცოდე მამაჩემს სცემს პატივს ყველა. ახალციხე და სხვა რეგიონებიც მამის დიდი მადლიერნი არიან. მამაჩემის დამსახურებაა, რომ დღესდღეობით მის საგამგებლოს მთლიანად დაპყრობას ერიდებიან ოსმალები, მაგრამ ვიცი ასე დიდხანს არ გაგრძელდება.

პურ-მარილის შემდეგ მამია და ფატმა იმ ადგილისაკენ გაეშურნენ, საიდანაც ერთ დროს მამია დაიკარგა. ცხენებით მალე მიაღწიეს იმ ადგილს.

– ეს მინდორი გახლავთ სოფელ ჭორტას საძოვარი ადგილები – აუხსნა მამიამ ფატმას – აქედან გამიტაცეს იმ ურჯულოებმა. ასე მგონია მაშინდელი ჩემი ნაკვალევი დღესაც ამჩნევია იმ ადგილს, სადაც ხელში მომიმწყვდიეს.

ცხენების ფეხის ხმა შემოესმათ და უკან მოიხედეს. ამჟამად აღარ შეშინებია მამიას – ოსმალები რომ ყოფილიყვნენ ოსმალურად გას-ცემდა პასუხს, მაგრამ მათ გასაკვირად ისინი იყვნენ, ვინც მისი გატა-ცების დროს ამ მინდორზე თამაშობდნენ. მივარდნენ მამიას, ჯერ გადაკოცნეს და შემდეგ ბავშვობის დროინდელი ანცობა გაიხსენეს – მოიმწყვდიეს ქვეშ და აკოტრიალეს მინდორზე.

ფატმა ლიმილით და სიხარულით ადევნებდა თვალს, ბავშვობა-ში დაბრუნებულ ადამიანებს.

როდის როდის მოითქვეს სული და ტყისპირას ჩრდილში მინდ-ორზე სახელდახელო პურ-მარილი გაშალეს – სადილობის დრო იყო უკვე.

– გახსოვს მამია, შენი გატაცების ამბავი – ჰკითხა ერთმა ჭორტელმა გოგონამ, რომელიც ბავშვობიდან ძალიან შეთამამებუ-ლი იყო მამიაზე.

– რა დამავიწყებს ქალო – ძალის ნაკბენი ადამიანს დაავიწყ-დება?

იმ არგასახარებლებმა გზაშიც ბევრი მაწვალეს. გაქცევა ვიცდილე, ჯერ მცემეს და მერე თოკით შემკრეს. ცოცხლები რომ იყვნენ, ჩემი ხელით ავუგებდი მათ ანდერძს.

– ძალიან კარგი ქნეს რომ გამოგიტაცეს – გაკენწლა ფატმამ.

– შენ ჩემკენ ხარ თუ ოსმალებისაკენ? რას ამბობ ფატმა?

– შენ სულელო, ხომ გიყვარვარ?

– თავზე მეტად.

– აბა დაფიქრდი, რომ არ გამოეტაცებინე, შენი სიტყვით რომ ვთქვათ – იმ რჯულგანყვეტილებს, მე ხომ შენი ცოლი არ ვიქნებო-დი? რას იტყვი ეხლა?

– რა მეოქმის, არაფერი, სინამდვილეა, მაგრამ გატაცების ამბე-ბი რომ მახსენდება ტანში მბურძგლავს.

– შენი გატაცება ყველაზე მეტად მე მეწყინა – უთხრა იმავე გოგ-ონამ.

– მაინც რატომ ასე გამორჩეულად? – გაიკვირვა მამიამ.

– არ გავთხოვილვარ და გელოდი – ეს კი ყურში ჩასჩურჩულა მამიას და ლოყაზე ეამბორა – უფალმა გაბედნიეროთ – თქვა ეს, ცხ-ენს მოახტა და გაქუსლა.

გული ეტკინა მამიას, მაგრამ წამგარინდების შემდეგ მეგობრებისაკენ შემობრუნდა.

– რა ვქნათ, დავეშვათ სოფლისაკენ არა? – მიმართა მეგობრებს.
– რა იყო ბიჭო, თამროს ბოდიში ხომ არ უნდა მოუხადო? ჰკითხა ჭორტელი გოგოს მეზობელმა.

– ბოდიშის მოხდას რა აზრი აქვს. ზედმეტი გალიზიანება იქნება.
– ბავშვობიდან უყვარდი ბიჭო და შავებსაც ატარებდა ერთხანს, მაგრამ ჩვენ გადავათქმევინეთ, ვუთხარით რომ ცოცხალი იყავი. შემდეგ კი როდესაც შენი დაქორწინების ამბავი გაიგო, დიდხანს იტირა, მაგრამ შავების ჩაცმის ნება მაინც არ დავრთეთ. ისე ცოდვაა – თექვსმეტი წელია გელოდებოდა.

– ეგ რომ მცოდნოდა, იქნებ არც დავქორწინებულიყავი, მაგრამ ჩვენს უნებურად მოხდა ყველაფერი. ჩემი ცოლი ქართველია, აჭარიდან და ამანაც გადამადგევინა ეს ნაბიჯი, თორემ ეხლა მაინც იქნებ გამებელნიერებინა.

– ისლამი მიიღე?
– რა თქმა უნდა, აბა ისე ვინ დაგტოვებდა ოსმალეთში?
– ჰოდა ძალიანაც კარგი. მრავალცოლიანობა ხომაა ისლამურ კანონში, შენც აიღე და მეორე ცოლად დაისვი.
– ჯერ ერთი გუშინ თუ გუშინინ ვიქორწინეთ, მეორეც დრო რომ გავიდეს და ფაშობაც კი მომანიჭონ, ჰარამხანის შექმნას მაინც არ ვაპირებ ასე რომ...
– ჰარამხანა არც მე მქონია მხედველობაში, მაგრამ თამროს ისევ შენი იმედი აქვს არც გათხოვდება ვიცი!

– ეგ სულელური ერთგულებაა.
– შენ რაც გინდა ის უნოდე, მე მაგის ხასიათი ვიცი და ვერც გადაარწმუნებ, ეგ ამბავი შავების გახდას არ ჰგავს.
– რას გეტყვი გიო იცი? ჩემი მწვრთნელი ჩემზე რამდენიმე წლით უფროსია, მაგან თუ თავის ცოლ-შვილს ვერ მიაკვლია, მოდი ამ საქმეში დამეხმარე, შევრთოთ და ჩემთან ახლოს იქნება, მიყუროს რამდენიც უნდა, საკუთარ დასავით მივიღებ.
– სადღაც მართალს ამბობ მამუკა, კარგი, როგორმე დავიყოლიებ, მაგრამ ამის თქმა მუშტებად დამიჯდება მგონია.

– თუ ძალიან კარგი მეზობელი ხარ, მაგ მუშტებსაც უნდა გაუძლო. მე რაც ოსმალეთში წლები გავატარე სულ იმაზე ვფიქრობდი სიკეთე მეკეთებინა, სადაც არ უნდა ვყოფილიყავი, ჰოდა თუ დავით-სა და თამრიკოს დავაქორწინებთ, ეს ერთი ლამაზი საქმე გამოვა... თამარ მეფე და დავით სოსლანი... ხვდები ბიჭო? კიდევ ერთი თამარი და დავითი შეემატება საქართველოს.

– ღმერთმა კეთილად აგიხდინოს ყოველივე. ისე იცოდე მამუკა, შენს ერთად ვინც ვართ აგერ, შენი ერთგული ვართ ყველანი. თუ ფაშობა დაგიმტკიცეს ნუ დაგვივიწყებ.

– თქვენ იქაც მახსოვდით... აბა რა დამავიწყებდა ყოველივეს. ეს ხომ ჩვენი თამაშის ბოლო დღე იყო. კი ვიყავი ხესთან თვალებდახუჭული, მაგრამ მოტაცების შემდეგ ფართოდ ამეხილა და გონებით სულით და გულით აქეთ ვიყავი. ახმედ-ხოჯა და დავითი აქაურობის დავიწყების ნებას არ მაძლევდნენ... დიდი მადლობელი ვარ მე მათი.

– მართლა გიპირებენ ფაშობას?

– ჰო, როდესაც ახალციხეში ჩაჯდებიან მთლიანად, ალბათ მაშინ... ისე კი რამდენადაც ვიცი, სამცხე საათაბაგოს ათასხუთასიანი წლებიდან ფლობენ, მაგრამ ტერიტორია დიდია და ფრთხილობენ, ნაწილ-ნაწილ ყლაპავენ ამ ტერიტორიას, ისე რომ მისი ამონთხევა აღარასოდეს მოხდება მგონია. იქნებ ახალციხე და შემოგარენი ვეღარ დაიუფლონ მთლიანად, მაგრამ რასაც ახლა ფლობენ სრულყოფილად, ის მათ საზღვრებში დარჩება სამუდამოდ, მე თუ ფაშად დამსვეს, ისე სახელად ვიწენები, თორემ საქმით და სულით – გულით ქართულ საქმეს გავაკეთებ...

– გვჯეროდა შენი მამუკა იმ თავიდან. ძალიან კარგს ვიზამთ თუ ქართულ საქმეს არ უდალატებთ. ქართველი ქართველად უნდა მოკვდეს, რაც არ უნდა რჩმენა და სახელგვარი შეუცვალონ, ქართველმა საქართველოს არ უნდა უდალატოს. ასე იყო ჩვენი მამა-პაპადან და ასე უნდა გაგრძელდეს. რაც არ უნდა თანამდებობა მოგაშავონ ოსმალებმა, ისმაინც ისლამს უნდა ემორჩილებოდეს და მათ საქმეს აკეთებდეს. ჩვენ იმ ჩვენი სახალხო გმირის, მღვდელ თევდორეს შორეული შთამომავლები ვართ, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს რისთვის შეენირნენ ჩვენი გმირები, რას ემსახურებოდნენ.

– არ ვიცი, ვინ იყო ეგ თევდორე?

– თქვენთან ახლოს სოფელი აწყურია, სადაც დიდი ეკლესია. ეხლა რომ იქ მღვდელი მოღვაწეობს, იმის წინაპარი იყო და დიდი გმირობა ჩაიდინა. თითქმის ასოციაციათი წელია გასული მის შემდეგ, რაც თევდორემ ოსმალები ულრან ტყეში შეიტყუა და გზა-კვალი აურია. ამისათვის ის ხმლით აკუნეს, მაგრამ ქართლის მეუღლუარსაბ-
II სიკვდილისაგან სწორედ ამ გზის არევამ იხსნა. ამის გამო ის სახ-ალხო გმირად აღიარეს.

– წერა-კითხვა იცი გიო?

– ისე, ცოტა. ცოტა.

– ეგ ამბები საიდან იცი მაინც?

– წინაპრების, მშობლების გადმოცემით მოაღწია აქამდე. შენ რა მამუკა ქართული წერა-კითხვა არ დაგვინებია?

– არა, ხოჯის წყალობით ქართულიც კარგად ვიცი, რუსული და ოსმალურიც, არაბულიც, ფრანგულიც, ბერძნულიც და სომხურიც. სწორედ ამიტომ მიპირებენ ფაშობას.

– ნეტა მალე მოხდებოდეს შენი ფაშობა. ხომ დაგვეხმარები თანა-ტოლებს ენების შესწავლაში?

– შენ სულელო, რად გინდა ჩემი ფაშობა, შენ ხომ არ გავინია ფაშად დამსვამენ და ასე თავისუფლად ვიქნები? არაფერიც შეგეშა-ლოს, ენების სწავლას კირაუნდა, მე და ახმედ-ხოჯა ამ საქმეს დღესვე მოვაგვარებთ, მაგრამ შორი-შორის რომ ვართ? თუმცა ხოჯას მოვე-ლაპარაკები, იმას ხომ სახლ-კარი არა აქვს ჩემსავით, თუ მოუვლით სოფელში ყველაფერს შეგასწავლით.

– ხოჯას აყვანა მასწავლებლად, ცოტა საჩითორო ხომ არაა მა-მუკა? ჩვენი ხალხი წვერებს დააგლევჟენ მე რომ ვიცი, ისე გვძულს ოსმალები.

– რას ამბობ გიორგი, ახმედ-ბატონი ისეთივე ქართველია, როგორებიც ჩვენ. ნუ დაუძახებთ ხოჯას და დაუძახეთ მასწავლებე-ლი. ხოჯიობა თავის შესანახად აქვს, თორემ ისე დიდი მეცნიერია, ისტორიკოსი, მაგას ქართველობა არ დაუკარგავს – ახმედ ხალიფაშ-ვილია... იცი რა გვარია ეგ? თავადური! რომ არა ეგ, დაბრალებული ხოჯიობა კი არა, ქართველობა დავინყებული ექნებოდა ზოგ-ზოგებს და მეც მათ შორის. ისე კი უნდა გითხრათ, მაგან ხოჯიობა მართლა ისწავლა და ისიც სტამბულში. ერთხანს სულთანჯამეში ალოცებდა

და შემდეგ მის ძმას გადაულოცა მთავარი ხოჯიობა. მას ხელს არ უშლის ხოჯის ტიტული, ის როგორც გითხარით, მეცნიერია და ქართული საქმისათვის ირჯებოდა. გაკვრით ვიცი, რაღაც ისტორიასაც წერდა ერთ დროს და ოსმალებმა გაუნადგურეს, ასე რომ მე თუ მენობით და გჯერათ ჩემი, ისეთივე პატივისცემა და ნდობა შეიძლება ახმედ-ხოჯას გამოიუცხადოთ.

– მადლობელი ვართ ამისათვის. ეგებ ის შენი მწვრთნელიც დაგვითმოთ, გაგვავარჯიშებს.

– მართალი ხარ იცი? მაგრამ ჯერ მას უნდა შევეკითხოთ, თუ ინდომა თქვენთან წამოსვლა, ალბათ უარს არ იტყვის, მაგრამ ისე უბრალოდ ხომ არ შეიძლება კაცი მოიწვიოთ.

– შენ მაგის ნუ გედარდება, ორთავეს უზრუნველვყოფთ.

– ისე კარგი მოიფიქრე გიო, ნასწავლიც, მცოდნე ხალხიც გვჭირდება და გავრჯიშებულ-გაკაუებულიც. მერეც, ჩვენს ჩანაფიქრს შეესხას იქნებ ფრთხი – თუ ახლოს გეყოლებათ დავით ფალავანი, იქნებ თამროსთან მოახერხოთ დაახლოება და იქნებ აღარც მოძებნოს ცოლ-შვილი, თუ მოძებნა, არც ამით დაშავდება რამე. მერეც იცით რა კაცია? ოქრო ადამიანია. ერთი თუ დაუახლოვდი, მერე მოცილება ალარ მოგინდება. კარგი, ამ საქმეში ერთმანეთს ამოვუდგეთ მხარში, მაგრამ ჯერჯერობით ნუ გავახმაურებთ, თუმცა ხომ უნდა მოელაპარაკო სოფლელებს. ახმედ-ხოჯა კი მგონი დიდხანს არ გაჩერდება, დიდი-დიდი ორი-სამი წელი. მაგასაც თავისიანებთან მიეჩქარება, მაგრამ ჩემი ხათრით იქნებ დიდხანს დარჩეს – მაგას ცოლ-შვილი არ ჰყავს და არც ედარდება.

ფატმა თავის ტოლ გოგო-ბიჭებში საუბრით იყო გართული, მაგრამ ცალი თვალი მამუკასკენ ეჭირა. ოსმალეთის ამბები მოუყვავა მსმენელებს, რომლებიც საუბარს არ აწყვეტინებდნენ, მაგრამ საღამოს ბინდმა შეახსენა მათ, რომ სახლებში უნდა დაბრუნებულიყვნენ.

სალამოთი ელიზბარს სოფლის საპატივცემულო ასაკიანი ხალხი მოეწვია სუფრასთან და ორი დღის ქეიფს, მესამე დღეც მიამატეს, სოფლის საჭირობოროტო საკითხებზეც ისაუბრეს. შუშხუნა ღვინო ჭინჭილებიდან შეხეფებად გადმოდიოდა. შუალამემდე გაგრძელდა ლამაზი სადლეგრძელოები და ტკბილი მუსაიფი. შემდეგ ყველა წავიდ-წამოვიდა.

ელიზბარმა და მისმა მეუღლემ ძლივს დაიმარტოხელეს ფატმა და მამუკა, მაგრამ ისინი უკვე ძილის ჭკუაში იყვნენ.

მიწვნენ დასაძინებლად ნაქეიფარები და ტკბილი ფშვინვა ამოუშვეს.

* * *

ფატმას უკვე დაეტყო ფეხძიმობა. უფრო გალამაზდა და შეივსო. მარიამმა ერთ მშვენიერ დღეს დაადგა თვალი ორსულ ქალს.

– ერთი თქვენი შვილი მომასწრა და მეტი არ მინდა შვილო, ამდენი ხანი შვილის ნატრული ვარ და ეხლა თუ შვილიშვილით გამაბედნიერებთ, თავზე შემოგევლებით ორთავეს, სულაც მე გაგიზრდი ბავშვს, შენ ხელს არ დაგაკარებინებ – მიიხუტა მარიამმა ფატმა და ეზოს კუთხეში მოთავსებულ ლაპაზ სკამზე ჩამოჯდნენ.

– ტყუილა გიხარია დედა, ეს ბავშვი ოსმალეთშია ჩასახული და ასევე ოსმალად დაიბადება. ერთი რამე მეეჭვება – იქ, ენვერ-ბეგის სახლში ყოფნისას ცხენით გასეირნება მომინდა და როდესაც ვჯდებოდი, ძირს ჩამოვვარდი. არც არავისთვის მითქვამს და აქამდე ეჭვი მაწვალებდა, ვაი თუ მომცილდეს, ან მახინჯი დაიბადოს. ისე კი ვიცი ნამდვილად, ბიჭი შემეძინება, სიზმარიც ვიხილე, მაგრამ კარგად არ დასრულდა.

- მიაფურთხე ეშმაკს შვილო, ილოცე და გულზე მოგეშვება.
- სად ვილოცო დედა? – გამომცდელად შეეკითხა დედამთილს.
- ეკლესიაში... თუმცა, Ⴢო, თქვენ ხომ მონათლულები არა ხართ... მართალია, რას ფიქრობთ შვილო, აქამდე რომ არ გვიფიქრია ამაზე?

ბავშვის გაჩენამდე არაფერი მოხდება, გითხარით, რომ ბავშვი ოსმალეთშია ჩასახული, ვადროვოთ ღმერთს, ალბათ სიზმრის გარდა სხვა ნიშნებსაც მომცემს.

- როგორც გენებოს შვილო, ძალას ვერავინ დაგატანთ.
- მარიამმა მამუკას გაანდო ფატმას საუბარი.

– ცხენიდან ჩამოვარდნილა შვილო ფატმა, როგორ ვერ მიაქციე ყურადღება. კიდევ კარგი თვითონ საღ-სალამათია და არაფერი დაშავებია, თორებ ხეიბარი დარჩებოდა. ბავშვზე დარდობს. კი სადარდოა, მაგრამ რაც უფალს დაუწერია, ის იქნება შვილო.

– მე არაფერი არ ვიცოდი ამის შესახებ. არც ის უთქვამს ორსულად რომ იყო.

– ყველაფერს ხომ არ გეტყოდა შვილო, ზოგი რამ შენც უნდა შეამჩნიო. სხვა რა გაქვს სადარდებელი. ეხლა საჭიროა ექიმბაშს ვაჩვენოთ, თორემ ორსულობამ გართულება იცის, მითუმეტეს ცხენიდან ჩამოვარდა...

– ჩემი დები სად არიან გათხოვილები, აქამდე არ მიკითვავს.

– ერთი ანყურშია შენ შემოგევლე, მეორე ახალციხეში ცხოვრობს. რად იკითხე შვილო?

– რავა, არ მოვიკითხო დების ამბავი? ხელად გაგითხოვებიათ, ჩემი დაკარგვიდან რამდენიმე წელში.

– ჰო, შვილო, ერთ წელში გათხოვდნენ და ოჯახი დამიცარიელეს, მაგრამ შვილებს მიგზავნიდნენ ხანდახან და იმათით ვირთობდი თავს. ეხლა რალამც შენ დამიბრუნდი, რალა მიშავს შვილო, ან შენს ბავშვებსაც დავზრდით და... რალაც ორი პარასკევი დაგვრჩენია მე და მამაშენს. ძალიან იდარდა შენი დაკარგვა. ხომ დევივით კაცი იყო, დარღმა ჩამოადნო, ერთხანს იავადმყოფა კიდეც და... მართლა შვილო, ახალციხეში შენი დის ასმათის ახლოს ერთი კარგი ექიმია, ამბობენ ციცაძვილთა შთამომავალიაო და იმან განკურნა მამაშენი, ხომ არ ჩამოგვეყვანა ფატმასთვის? წინასწარ სჯობია გასინჯვა, მერე რომ თავი არ ვიტეხოთ.

– არ შეიძლება დედა ასმათს რომ ვესტუმროთ და იქვე გავასინჯოთ? ისიც არ ვიცი სად ცხოვრობს, ეს შეიძლება?

– როგორ არა შვილო, ეტლი ტყუილად გვიღგია? ხვალვე შეგვიძლია წასვლა. როგორც შენ გინდა შვილო...

– რატომ როგორც მე მინდა? როდის მერე ჩამაბარეთ აქაურობის გამგებლობა და მბრძანებლობა. სანამ მამა სალ-სალამათია იგია გამგებელიც, მბრძანებელიც და რაგინდარაც. იცი დედა? ოსმალეთში ქუხს შალვა ახალციხელის სახელი, მას შალვას კი არა „შაითანს“ ეძახიან. მართლაც ასე მკარისა?

– შენი მომტაცებლები რომ გაუუჟა ქეციანი ტურებივით, მის შედეგ ასმალთა დაუძინებელი მტერია და სადაც წააწყდება ავი საქმის ჩამდენთ, იმქვეყნად ისტუმრებს. ჰოდა, ამიტომაც გაუვარდა ასეთი სახელი. პასუხსაც ვერავინ სთხოვს.

– პასუხს რომ ვერ თხოვენ ეს იმის ბრალია, რომ ეხლა ოსმალე-
თი გაჭირვებაშია, დარღისაგან გაბრუებულები არიან და რაიმეს თავი
არა აქვთ, მაგრამ ძალას იკრებენ ვიცი და ისეთი ავები არიან, დამახ-
სოვრება ნაღდად იციან, შურისძიებით სავსენი და ვერაგები არიან.
ავხორციანებიც არიან, არ არჩევენ დიდსა და პატარას. თუ მამაკაც-
თაგან ვინმებ წინააღმდეგობა გაუწიათ, დიდი-პატარა სულ ერთია,
ერთიანად უუფავენ და თუ ქალებზე მიდგა საქმე, არც მაშინ იციან
დიდი და პატარა, ერთიანად აბახებენ ყველას. მე რამდენადაც ვიცი,
საქართველოში ნამუსი ხელშეუხებელი უნდა იყოს, ოსმალებისათვის
ეს სულერთია – ოლონდ ქალი ერქვას და სარწმუნოებას და ეროვნებას
არ აქცევენ ყურადღებას. ისე მოეტანებიან, როგორც მგლები ცხვრის
ფარას, ამიტომ მეც მძულან ოსმალები.

– ეგ ჩვენ ვიცით შვილო და ჩვენც მაგიტომ არ გვიხარია მაგათი
შემოხეტება, თორემ იმ გორებს და კლდეებს ხომ ვერაფერს უზამენ...
ისე პირიქითა საქართველოში როგორ იქცევიან?

– რაც დავინახე, ერთი სოფლის მაგალითიც კმარა. ძალიან კარ-
გად გრძნობენ თავს, თუ რა თქმა უნდა მარწუხებში მოქცეულზე ითქ-
მის კარგად არიანო, შედარებით თავისუფლებაა, მაგრამ მე მგონია
ადგილობრივი ქართველები გულმაგრად არიან და ისევე ეჯავრე-
ბათ ოსმალები, როგორც ჩვენ ქართველობას. მებრძოლი ბუნება
მაინც თავისას აკეთებს – არ უხრიან ქედს დამმორჩილებლებს.

– ამ კაი ცნობისათვის დიდი მადლობა შვილო. ეხლა მამაშენი
ვნახოთ და მგზავრობის ნებართვა ვთხოვოთ.

შალვა სადღაც წასულიყო და შუადღისას შემოაგელვა ცხენი
ეზოში, მსახურმა ბიჭმა ცხენი ჩამოართვა და ეზოს გარეთ გაიყვა-
ნა გასატარებლად.

მარიამმა ვითარება აუხსნა შალვას.

– ხვალვე წავიდეთ ქალო, მეც საქმეები მაქვს ახალციხეში. ისე
ქეთოც რომ წავიყვანოთ რა დაშავდება, დები რაც მალმალე ინახ-
ულებენ ერთმანეთს უკეთესი იქნება.

– მონახულებისარა გითხრა, მარა ცოტა ჯანმრთელობას იგიცურივის
და რადგანაც ექიმთან მივდივართ, ბარემ გაესინჯოს, ვინ იცის რა სჭირს.

– მაგას მარჩიელობა რად უნდა ქალო, წავიყვანოთ დაგვამძიმებს
თუ რა...

დილაუთენია დაადგნენ ახალციხის გზას. ქეთო დამითვე მოიყვანა სახლში შალვამ და დილით აღარ დაუგვიანიათ გამგზავრება.

შუადლისას მიადგნენ ასმათის სახლს. გაიხარეს ერთურთის ხილვით შვილებმა და მშობლებმა. ასმათმა ფატმას ჰკიდა თვალი.

– როგორ ჩამრგვალებულა. აქაური ჰაერი მოგიხდა ალბათ არა? ვახ, ფეხმძიმედ ყოფილა. ეხლა ნამდვილად გამახარე, რახანია პატარის ტირილი აღარ გამიგონია...

– ექიმი გვინდა ვნახოთ შვილო, ფატმას ცოტა უქეიფობა ემჩნევა და...

– მე მოვიყვან, ათი წუთის სავალზეა, ფეხით ვივლით, არა უჭირს.

– ჴ, მაგას თუ იზამ კარგი იქნება – კვერი დაუკრა შალვამ.

ერთ საათში ექიმიც მათ გვერდით იყო. დიდხანს სინჯა ფატმა ექიმმა, და ბოლოს წამლებიც დაუნიშნა.

– მშობიარობა მძიმე ექნება, მაგრამ მე აგერ ვარ და არაფერს გავუჭირვებ. ვნახოთ, ღმერთია დამხმარე.

– გმადლობთ ექიმო, ამაგს დაგიფასებთ – უთხრა შალვამ.

– ჴენ რომ გიმკურნალე, რაიმე მოგთხოვე? მითუმეტეს ახლა, როდესაც ამისთანა რძალი ჩამოგსვლია ოსმალეთიდან, მათი დაბრუნების მაღარიჩში ვიმოქმედებ შეძლებისდაგვარად. ბავშვი ალბათ იანვრისათვისაა მოსალოდნელი, მაგრამ ზამთარში დაბადებული უდღეურები არიან იტყვიან და...

– ვნახოთ, ვნახოთ, უფალი დაგვეხმარება...

შალვა სახლეულით სოფელს დაუბრუნდა და იმით სულდგმულობდა, პატარა რომ უნდა გაჩენილიყო მის ოჯახში, მამუკას შემდეგ ოჯახში პატარის წამოტირება აღარ ყოფილა და ეს ახარებდა მომავალ ბაბუას.

უჩვეულო მკაცრი ზამთარი დადგა მესხეთში, უხვთოვლიანი და ყინვიანი. მთელი დეკემბრის თვე შეუჩერებლივ ბარდნიდა, მთა-ბარი გააერთიანა, დაფარა ხეებიც და საცხოვრებელი სახლებიც, მოსახლეობა ახალი წლის შესახვედრად ემზადებოდა, მიუხედავად უხვთოვლიანობისა, მისვლა-მოსვლა არ შეწყვეტილა – ახალგაზრდები თხილამურებით კვალავდნენ ბილიკებს.

შალვას სახლეული დიდ მისალებში, სასტუმრო დარბაზში ძველი ჩვეულების მიხედვით ნაძვის ხეს რთავდა. ანცობდნენ შალვას

შვილიშვილები, რომლებიც დიდთოვლობამ ბაბუას სახლში გამოკეტა.

შალვას სახლში შვილიშვილის შეძენას ელოდნენ. მეზობლებიც სტუმრობდნენ შალვას – თანდილა, გაიოზი, ერეკლე, გიორგი.

– ამხნის კაცი მოვიყარე და ამხელა თოვლი არ მომსწრია მესახეთის მიწაზე – თქვა ოთხმოცდარვა წელს მიტანებულმა თანდილამ.

– რას იზამ კაცო, ეს ბუნების კანონებს ემორჩილება, მთავარია ჩვენ ღმერთი არ დავივინებოთ, თავის გაჩერილებს როგორც სურს, ისე მოექცევა – შეეპასუხა თითქმის მისი კბილა გაიოზი.

– ექიმი მაინც მყოლოდა სახლში, ძველით ახალ წელს ფატიმა იმშობიარებს მგონი. ექიმი ხომ გვჭირდება?

– მაგის ნუ გედარდება შვილო – მიუგო თანდილამ – ანუურში დედაბერია ერთი, ელისაბედი, მაგას რომ ქალები მოულოგინებია ღმერთმა იცის რამდენი, არც მას ახსოვს. შენ ქალაქელი ექიმი გყავ-და მხედველობაში არა?

– ჰო, ძია თანდილა, ის რაც არ უნდა იყოს ექიმია, ნასწავლი.

– ჰო, მაგრამ კაცია... ქალი ქალმა უნდა ამშობიაროს, რაც არ უნდა იყოს სირცხვილის გრძნობა გააჩნია ქალს, მიუხედავად იმ დროის ტკივილებისა.

– ჰო, შენც მართალი ხარ, მარა ის ქალი როგორ გინდა ამხელა თოვლში აქამდე მოიყვანო?

– შენ არ იცნობ შალვა. ბევრ ვაჟკაცს დასჯაბნის. მერე იცი რა მონადირეა? მუხლი მგლისა აქვსო – ამბობენ მასზე და მართლაც ასეა, უამრავი ნადირი ჰეყავს გაგორებული ზამთარში.

– შენ აგაშენა ღმერთმა. თუ ასეა, ბილიკების გატკეპვნას ხომ არ დამზარდებიან ჩემი ბიჭები, მამუკას მეგობრები, მეზობლებიც.

– რახან ასეა, რაღა გედარდება კაცო, ჩვენ ახალ წელს შევხვდებით მხიარულად.

– ჰო, მასეა, მაგრამ რა მიხარია იცი, ახალი წელი კვირა დღეს რომ დგება... ორშაბათს დამდგარი ახალი წელი ძალიან ცუდიაო ასე ამბობენ – ჩაერია მოსაუბრებს გიორგი.

– აბა, წლევანდელი წელი ბედინერი გვექნება არა? უფალმა კე-თილად აახდინოს შენი შეტყუბინება წმინდა გიორგის სეხნიავ.

– თუმცა ვნახოთ ვინ იქნება მეკვლე – თქვა შალვამ.

– პო, მეკვლეზეც დიდადაა დამოკიდებული ოჯახის კეთილდღეობა.
– აბა რამდენიმე ჭიქით დავლოცოთ ოჯახი და ჩვენს ოჯახებს
მივაშუროთ, ასე იტყვიან ახალი წლის დადგომის საათებში ოჯახის
უფროსები სახლში უნდა იყვნენო...

– პო, ეგ ნამდვილად ასეა. აბა ჩამოასხით ერთი, გავუსინვჯოთ გემო
– თქვა თანდილამ და მაგიდასთან გადაინაცვლა.

ახალი წლის დადგომამდე ნახევარი საათით ადრე შალვას სტუმ-
რებმა სახლი დატოვეს და თავიანთ სახლებს მიაშურეს.

მამუკა მეზობლებთან იყო გასული და სახლში დაბრუნება
შეაგვიანდა, იმ დროს დაბრუნდა, მეკვლეს რომ ელოდნენ.

კარები შალვამ შეალო.

– მოდი შვილო, მოდი. გასული წელი შენი დაბრუნების სიხარუ-
ლით იყო აღსავსე, ეს წელიც შენ მოგვილოცე. ამიერიდან ბედნიერი
წლები გვექნება ფეხბედნიერო – უთხრა და გადაეხვია. შემდეგ სათი-
თაოდ ყველას მიესიყვარულა.

მამიამ ახალი წლის წეს-ჩვეულებები აღარ იცოდა, ბავშვობიდან,
მესიერებას აღარ შემორჩია და ამიტომაც შემორჩია მეზობლებში.

– შენი ცოლიც მალე იმშობიარებს შვილო, ვაჟიანობა დაგვებედება
ალბათ, რახან შენ შემოდგი ფეხი – უთხრა დედამ და ქოჩორზე მიეფერა.

რამდენიმე საათის შემდეგ, თოფების ბათქაბუთქში მეზობლები
ისევ შეიყარნენ შალვასთან და ქეიიფი დილამდე გაგრძელდა. არც ბავშ-
ვებს მოუხუჭავთ თვალები დილამდე – ნაძვის ხის ირგვლივ დაბო-
რიალობდნენ და სიცილ-კისკისითა და სიმღერით ელფერს მატებდ-
ნენ მხიარულებას.

...ძველით ახალ წელს ხვდებოდა შალვას სახლეული. შაბათ დილ-
ით, თოთხმეტ იანვარს გაწყნარებული ბუნება თოფის გრიალმა გაახ-
მაურა – ფატმას ბიჭი შეეძინა. ბებიაქალი ორი დღით ადრე მოაყვან-
ინა შალვამ.

დედას რალაც წამლები დაალევინა ელისაბედმა და ტკივილები
დაუამა, რამდენიმე ხანში კი მიეძინა კიდეც, ბავშვი აიყვანა ხელში და
ჩვრებში შეახვია. ბავშვი წყნარად იწვა.

– ძალიან მძიმე ბავშვია, მაგრამ წყნარად წევს და არ ტირის, ეს
მოსაწონი არაა. ტრავმა ხომ არ მიიღო დედამ რამე? – იკითხა ელის-
აბედმა და მარიამს გადახედა.

- რაა ქალბატონო, საშიშია რაიმე? – კითხვა დაუბრუნა მარიამა.
- მძიმე და ჯანმრთელი ჩანს, მაგრამ რომ არ ტირის ეს მაეჭვებს. ბავშვება დაბადებისთანავე უნდა წამოიტიროს. უფალმა დაგვიფაროს, ყველაფერი მისითაა... აბა ყველა ხომ არ იტირებს, აյ მშვიდობა იყოს და სატირალში ზოგს გულზე ქონი აღნება, ისე ტირიან და ზოგს კი, მოუხედავად იმისა ძალიან ეცოდება გარდაცვლილი, ცრემლებიც არ ჩამოუგორდება... ლმერთითაა ყველაფერი. მოგვხედავს და დაგვიფარავს ალბათ...
- ისე ექიმი უნდა ამომეყვანა, მაგრამ ამ სიშორე გზას ფეხით რა გამოივლიდა ახალციხიდან – თქვა შალვამ და მეუღლეს გადახედა.
- არა ვარ ბატონო ექიმზე ნაკლები, მაგათან ვარ დაოსტატებული და ვერც ექიმი დაგაიმედებს ვერაფრით, თუ უფალს არ უნდა. ერთი ორი დღე დავრჩები კიდევ და ვნახოთ, მერე გეტყვით...
- ფატმას ეძინა, ელისაბედმა ბავშვს ლოყაზე წამოარტყა და ძალით ატირა, გაუხარდა კიდეც, თუმცა...
- ასე ძალით თუ ვატირეთ ყოველდღე, კარგად გვქონია საქმე – თქვა მარიამმა და ელისაბედს შეხედა.
- შიმშილი რომ შეაწუხებს, იტირებს ალბათ, ნუ გეშინია...
- ეხლა არ შია ქალო?
- რამდენიმე საათს არაფერი უნდა, დედისაგან იმდენი აქვს მიღებული, არაა საშიში.
- ფატმა საამოდ ფშვინავდა.
- მამია შემოვიდა ოთახში და ბავშვს დაწვდა.
- გაგიხარდა შვილო? სახელიც შენ უნდა შეურჩიო – უთხრა დედამ.
- სახელის შერჩევას რა უნდა, აგერ არ მყევხარო?
- დედა გაიღვიძებს და მასაც შევეკითხოთ, ეგებ წინასწარ ჰქონდა ჩაფიქრებული – თქვა შალვამ.
- შეიძლება, დაველოდოთ მაშინ ფატმას გალვიძებას.
- ბავშვი დედასთან ჩააწინეს და ოთახიდან სასტუმრო ოთახში გამოვიდნენ.
- ლამე მარიამსა და ელისაბედს თვალი არ მოუხუჭავთ, სანამ დალამდებოდა მცირე ხნით გაიღვიძა ფატმამ, ბავშვს მოაწოვა და ისევ მიიძინა. ელისაბედმა საქსოვი ამოაძვრინა ფუთიდან და ქსოვას შეუდგა.

– ეს ბავშვი როდესაც დიდი გაიზრდება წინდებსა და ზემოთა სა-მოსს მოვუქესოვ, ისეთს, ვინმეს რომ არ ეცმევა – თქვა ელისაბედმა.

– ერთი გაიზარდოს და არც ჩვენ მოვაკლებთ რაიმეს. თექვსმეტი წლის გადაკარგული ბიჭი დამიბრუნდა და რაიმეს მოვაკლებ ქალი? ეგაა ჩვენი იმედი, ჩვენი მაცოცხლებელი და დამმარხავი, მზე და მთვარე ამოგვდის მაგაზე. ეხლა კიდევ მის შვილს მომასწრაულად მა და... აწე რაღა გვიჭირს.

– უფალმა გისმინოთ და დაგიცვათ.

უშფოთველად და ლამაზად ჩაილია ორი დღეც. ხვავრიელად ბარდნიდა ისევ, გამოდარებას პირი არ უჩანდა.

– ჩემი წასვლის დროა, მაგრამ ასეთ თოვაში არ გინდა მგზავრობა? – შეწუხდა ელისაბედი.

– დარჩი მერე ქალო, ვიდრე გადაიდარებს, ნუ წუხხარ, მოგივლით – უთხრა მარიამთა.

ამ დროს ფატმამაც გამოილვიძა და სამი დღის გამოძინებულმა წამოდგომაც დაპირა. ოთახში მყოფთ გაულიმა და საბანი გადაიძრო. ელისაბედი უმალ მიეჭრა.

– შენ მძიმე მშობიარობა გქონდა შვილო და ერთი კვირა მაინც უნდა იწვე. იყავი, იწექი რა გენალვლება, თავზე გევლებიან, მეტი რა გინდა შვილო... იყავი დაისვენე.

ფატმამ სარკმელში გაიხედა.

– რა ლამაზად თოვს არა? არასოდეს მინახავს თოვლი. სადაც ვცხოვრობდი იქ თოვლი არ მოდიოდა, წვიმა კი ყელში გვქონდა ამოსული. წვიმა და ხულიგნები გვაწუხებდნენ.

– იქაურობას რომ კი მოშორდით შვილო, აწე რაღა გვიჭირს.

ელისაბედმა წამლები შემოუტანა ფატმას.

– ესენი რაა დედი? – იკითხა ფატმამ.

– შვილო, ბალახებისგან ვამზადებ. შენ ნაწვალები ორგანიზმი გაქვს და რომ არაფერი გაგირთულდეს, ამ წამლებით გაგაჯანსალებ, ისე თუ კი მოინდომებ, წამლების დამზადებას შეგასწავლი შვილო, მადლია.

– თქვენ საიდან შეისწავლეთ დეიდა?

– მე შვილო? წიგნი მაქვს შვილო, ცხონებული დიდი მეცნიერის ზაზა ფანასკერტელის „კარაბადინი“. ხელიდან ხელში გადადის, მარა

რადგინდა, ყველა ვერ ხვდება, შიგ ბალახების, ყვავილების, ხე-მცენა-რეების და ქვების უცხო სახელებია. ყველაფერი მოიპოვება ჩვენში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა. მე კი ექიმებისაგან ბევრი რამ შე-ვისწავლე, ზოგსაც ჩემით ვხვდები. ისე ვისაც ვმკურნალობ, შედეგი-ანია. დრო მოვა და შენც შეგასწავლი, შენ კიდევ შენ შვილებს შეას-წავლი და ასე გადაეცემა მომავალ თაობას.

– თუ მაგ სიკეთეს გვიზამ, გადაგიხდი სიკეთისათვის.

– შვილო სიკეთეს ღმერთი აჯილდოებს. ვინც სიკეთეს სჩადის ის თავისთავად ჯილდოა უფლისაგან ასე რომ რაიმეს გადახდაზდე ნუ იფიქრებ „მადლი ჰქენი, ქვაზე დადეო“ – იტყვიან, როდესაც მათხ-ოვარს გაიკითხავ შვილო, შენ სუფთა გულით და კეთილი სურვილით გაეცი, დანარჩენს უფალი მიხედავს. მე ამხელა გზა რომ გამოვიარე, გასამრჯელოსათვის არ მივლია, მთავარია ადამიანი და მისი სიც-ოცხლე. ეს ღვთის ნაბრძანებია. როდესაც ადამიანს მკურნალობ, მართალია ავადმყოფობას ებრძვი, მაგრამ აქ მთავარია ადამიანის სიცოცხლე. თუ იმისთვის ვიბრძოლებთ, რომ დავიცვათ ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე შევუნარჩუნოთ, ამაზე დიდ სიხარულს ვერ მივანიჭებთ უფალს და ადამიანს. მოვალეობის გრძნობა ყველა გასამრჯელოზე წინაა შვილო და ეს დაიმახსოვრე.

– დიდი ფილოსოფიაც გცოდნია დეიდა.

– ცხოვრება შვილო, ცხოვრება. იმდენ რამეს შეგასწავლის, რომ თვითონაც გაგიკვირდება. ცხოვრებაზე კარგი სკოლა არ არსებობს. მთავარია კარგად შეითვისო.

– ეჲ. შენნაირი ადამიანი გვერდით მყოლოდა აქამდე, მეც „დოქ-ტორი“ გამოვიდოდი.

– რაა შვილო „დოქტორი“?

– ოსმალურად ექიმია, მკურნალი. იგივე რაც შენა ხარ.

– შენ მადლიანი გოგო ჩანხარ, შუბლზე გაწერია. შეგასწავლი ყველაფერს შვილო, მე ხომ ცას არ გამოვეკრები, იმ შენი ნათქვამისა არ იყოს, შინაურ „დოქტორს“ გამოგიყვან.

– მადლობის მეტი რა მეთქმის, უფალმა გადლეგრძელოს...

შუადლისას მზემ გამოანათა, მაგრამ ცოტა ხანში დაუშვა ისევ თოვლი.

– ქალბატონო ელისაბედ, რა გვარისა ბრძანდებით? მაპატიეთ შეკითხვა...

- ფანასკერტელების არაპირდაპირი შთამომავალი ვარ შვილო, გვარად გაუხარაშვილი ვარ. არ ვიცი რისგან წარმოდგება ეს გვარი.
- გაუხარაშვილი კი არა, სიხარულიძე უფრო მოგიხდებოდა. შენ ისეთი კარგი ადამიანი ხარ და ისეთი სიხარული მოგვანიჭე...
- მე რა სიხარული მოგანიჭე შვილო, ბავშვი შენ შობე, მე ხომ არა... მე მხოლოდ ჩემი მოვალეობა შევასრულე.
- დეიდა ელისაბედ, ერთი რამე უნდა გთხოვო.
- რა შვილო?
- რა და... ამოდენა სახლი გვაქვს, ცხენი გაჭენდება შიგ, მოდი და საექიმო თუ საექიმბაშო სასწავლებელი გავხსნათ, მსურველებს მე მოვა-გროვებ, თუ მაღლია, მაღლი იყოს. რამდენიც მეტი გვეყოლება ამ საქმის მცოდნე, უკეთესია, ჰა, რას იტყვივი?
- გაგახარა შვილო ღმერთმა, მაგ კეთილი სურვილებისათვის. კი შეიძლება. ე, მაგ საქმეს ზაფხულში თუ მოვაგვარებთ, თორებ ზამთარში არ მოხერხდება, ვინ ივლის ასეთ თოვლში.
- ეგრე იყოს, ზაფხულში ჯობია, მართალი ბრძანდებით.
- ექიმბაში ელისაბედი თვეზე მეტ ხანს დარჩა შალვას სასახლეში, არც გასამრჯელო აიღო.
- რა გასამრჯელოს მელაპარაკები ქალო – მიმართა მარიამს – ეგ პირიქით მე უნდა გადაგიხადოთ, ერთ თვეზე მეტია მაჭმევთ-მას-მევთ, ღამეს ვათევ, ეს ცოტაა? აქეთ უნდა გცეთ პატივი.
- დიდად დამავალეთ ქალბატონო, რძალი შენი მეშვეობით უწინ-დელზე უკეთ გამოიყურება. თუ უფალმა მომასწრო დანარჩენ შვილებსაც შენ ამშობიარებ. ჩვენი სახლის კარები ღიაა შენთვის ყოველთვის და რძლის წინადადება თუ დააგვირგვინეთ, ყოველ-ნაირად ხელს შეგიწყობთ.
- ვეცდები ქალბატონო ეს კეთილი საქმე მართლაც დავაბოლოოთ. ელისაბედი ბიჭებმა სახლში მიაცილეს და უკან დაბრუნდნენ.
- ერთ დღეს ფატმამ ბავშვს უცნაურობები შეამჩნია, რაღაც არაჩვეულებრივად გაიბადრა, შემდეგ პირმოუშორებლად წოვა დე-დას და ჩაეძინა კიდეც, შემდეგ კი მოთენთილობა შეამჩნია და...
- დედა, ბავშვი ვერაა რაღაც ბურანში ხან ლამაზად გამოიყურება, ხან კი ცუდად მეჩვენება, ფერი აღარა აქვს ისეთი როგორიც ამ ათი დღის წინ იყო. ხომ არ მოვაყვანინოთ ქალბატონი ელისაბედი?

– არა შვილო, ქალაქელი ექიმიც ამოსულა ჩვენს მეზობლად წუხელ და რახან მასეა, ვთხოვთ და მოგვხედავს.

მარიამმა მეუღლე გააგზავნა ექიმის მოსაყვანად. შუადღის შემ-დეგ ერთად შემოვიდნენ სახლში – ექიმიც და შალვაც.

– აბა, მაჩვენეთ თქვენი ვაჟუკაცი, რა ბიჭია ერთი შევავლო თვალი.

მარიამმა ჩვილი ოთახში შემოიყვანა, რომელსაც ჯერ კიდევ ეძინა. ექიმმა ბავშვი გამოალვიძა. შემდეგ ხან აქეთ სინჯა, ხან იქით და შალვას მიუბრუნდა.

– დიდი ხნის პრაქტიკა მაქს ბატონო შალვა და რადგანაც მომიყ-ვანეთ, უნდა დამიჯეროთ კიდევაც. ამ ბავშვს გარეგნულად არაფერი სჭირს, მაგრამ ან ლვიძლი აქვს დაზიანებული, ან თირკმლები.

– შარდი ცუდი შეფერილობის ქონდა ექიმო, ვაკვირდები მეც – თქვა ფატმამ და ცრემლი მოერია.

– ჰო, დაზიანებაა აუცილებლად. რაიმე დაზიანება ხომ არ მი-გილია რძალ-ბატონო მშობიარობამდე?

– ახალი ფეხმძიმობისას ცხენიდან ჩამოვვარდი. ალბათ ამის მიზე-ზია, თორემ მერე უქეიფობას არ უერთოდი და არც რამე მომსვლია.

– ალბათ ესაა მიზეზი... ნუ გენუინებათ, უფალი მშველელია. ასეთ პატარას ისევ დედის რძე თუ უშველის, თორემ წამლები რომ მივცეთ, უარესი იქნება. მე მაშინაც ვთქვი, ზამთარში დაბადებული იშვიათად დარჩება ჯანმრთელი-მეთქი და თუ რძალი ტრავმირებული იყო ეს არ ვიცოდი, თორემ შველა შეიძლებოდა, ეხლა უფალს უნდა მივენ-დოთ, ეს ჩვენს ძალებს აღმატება.

– რას ვიზამთ ექიმო, თავს ზემოთ უფლის გარდა სხვა ძალა არ არსებობს, უნდა შევეგუოთ. რამდენ უბედურებაზე გაგვიძლია და ამას ვერ გავუძლებთ? თექვსმეტი ნელი დაკარგული შვილის მონატრუ-ბას გავუძელი და...

– ჰო, მართალი ხარ, მაგრამ შვილიშვილის მოვლენით გამოწვეუ-ლი სიხარული სულ სხვა. უფალმა დაგიფაროთ და... მეც გამომაკლ-და შვილიშვილი, ვერაფერი ვუშველე... მეძახეთ ეხლა ექიმი... თუ უფალს არ ნებავს, ვერაფერი ძალაა შენი ექიმობა...

დუმილი ჩამოწვა. დიდხანს იჯდნენ მდუმარედ, შემდეგ მარი-ამი წამოდგა და...

– ახალი წელი შემობრძანდა, ამ კაცს კი უპატივცემულოდ ვტოვებთ. ამ წუთშივე გავამზადებ – თქვა და სამზადში გავიდა.

– ექიმი კაცის დალევა როგორ შეიძლება. უცებ რომ საჭირო შევიქნე, მერეც რაიმე რომ შემეშალოს. ხომ მთელი ცხოვრების მანძილზე გულიდან არ ამომივა დაშვებული შეცდომით გამოწვეული შედეგის სიმძიმე... იქნებ უარი ვთქვათ ა?

– სამი ჭიქა სავალდებულოა, შემდეგ დაძალება არ იქნება. ისე მაინცდამაინც ჩემი ოჯახიდან უნდა დაიქცეს ქვეყანა? – თქვა შალვამ და გარეთ გაიხედა – ისევ აპირებს გაავდრებას მგონია. ამდენი თოვა შეიძლება კაცო? მოხუცებს არ ახსოვთ ასეთი უხვოთოვლიანობა და გრძელიზამთარი.

– უხვოთოვლიანობა ძალიან კარგია მოსავლისათვისო – ასე გამიგონია ბატონო შალვა. მერეც უფლის მიერ მოვლენილია და არ უნდა გენყინოთ, ეს არ შეიძლება, ცოდვად ითვლება...

– შენ მართალი ხარ ექიმო... მართალია, უფლის ნამოქმედარის განსჯა არ შეიძლება...

– იცი შალვა ჩემო, უფალმა მიქელ-გაბრიელი რომ გამოგზავნა სალ-სალამათ კაცთან სულის ამოსართმევად და მიქელ-გებრიელი რომ უკან დაბრუნდა, მათ შორის რა დიალოგი შედგა? არ იცი ალბათ და გეტყვი. მიქელ-გაბრიელმა უფალს უთხრა, იმ კაცს არაფერი სჭიროს სასიკვდილო და სული როგორ ამოვართვა, ხალხი რას იტყვისო. უფალმა კი უპასუხა – შენ სული ამოართვი და ხალხს სალაპარაკო მიზეზს მეგავუჩენო... ასე ეხლაც – თოვლზე დაიწყე ლაპარაკი და ის კი გამოგრჩა მხედველობიდან, რომ ჩემს და შენს ნებაზე არაა ამინდის ცვალებადობა, რაც უფალს ნებავს, ის იქნება...

– შენ ექიმი კი არა, ფილოსოფოსიც ყოფილხარ. საიდან ამდენი ცოდნა?

– ეჰ, ეს რა ცოდნაა შალვა ჩემო. ცოდნა ის მითხარი, ერთი უბრალო კაცი გვყავს ქალაქში და „ვეფხისტყაოსანი“ ზეპირად იცის და იცით იმ კაცმა რა თქვა? ჩვენი კუთხის შვილმა ეს პოემა დაწერა და სირცხვილია ამ კუთხეში აღზრდილმა ადამიანმა მისი შინაარსი არ იცოდესო. იმ კაცმა თუ დაწერა, ჩვენ განა ვერ უნდა შევისწავლოთო? ჰოდა, მიდგა და დაიზეპირა იმხელა პოემა. მერე კიდევ სხვადასხვა რამ დაისწავლა. აი, ასეთ კაცს უნდა მიბაძოს კაცმა, თუ გინდა...

– საინტერესოა პირდაპირ... დიდი ნიჭი უნდა იმხელა წიგნის დაზეპირებას, კი მიწყვია იგერ თაროზე წიგნები, მაგრამ კითხვით კი ველარ ვკითხულობ. მარიამი თუ მოიცლის ხანდახან ესაა და წიგნებ-საც მტვერს გადააცლის თორემ... ისე რაა იცი? ვახტანგისეული წიგნი თუ გინახავს თვალით? რამდენიმე წლის უკან დააბეჭდვინა. აი, მე კი მომართვეს და იგერ მიდევს უკვდავი შოთას, ჩვენი საამაყო მამულიშვილის მიერ ხელთქმნილი პოემა.

შალვამ წიგნი გადმოილო და ექიმს გადაუშალა.

– ეს ერთი ცალი მხვდა წილად. თუ ინდომებ, როგორმე გიშოვი.

– ნუ შეწუხდები, მეცა მაქვს, მაგრამ შენი არ იყოს, მეც ვერ ვიცლი. აბა როდის – ხან აგერ ვარ და ხან იგერ – გადასაკარგავში... წიგნისათვის ვინ მაცლევინებს, არადა კარგია წიგნიერება.

მარიამმა სუფრა გააწყო და ქმარი და ექიმი მიიპატიჟა მაგიდასთან. ამ დროს მამუკაც შემოვიდა და ერთი-ორი მეზობელიც. შალვამ სასმისები შეავსო.

– ამით ჩემო დავით ექიმო, შენს ნებისყოფას, შენს გამძლეობას, შენს ენერგიას და განსაკულტურებას გაუმარჯოს, ამ წლის თამაღლებით შენი ჯანმრთელობა ნუ მოგვიშალოს ღმერთმა და დანარჩენი ყველაფერს ეშველება. პირველი, რაც ადამიანს ესაჭიროება ეს ჯანმრთელობაა, რისთვისაც ექიმია საჭირო და აუცილებელი. მეორეა და – სულიერებისთვის სრულყოფილებაა საჭირო, რასაც სულიერი მამები გვაწვდიან. მესამეა და – ადამიანი რომ მოკვდება, მესაფლავეა საჭირო. ყველა თავ-თავის ადგილას ყოფილიყოს და ადამიანებზე ყურადღება ნუ მოეკლოთ. პირველ რიგში სამთაგან ერთს – შენ გაგიმარჯოს, ჯანის სიმრთელე მოგცეს და ასეთი სუფთა ჰაერი-ანი მრავალი ახალი წელი მოგასწროს უფალმა. შენით გვიდგია სული. შენ რომ არ განგეკურნე, ალბათ ამ სასმისს სხვები შეგივსებდნენ, მაგრამ დანანებით ვიტყვი – შენს ადგილს იქნებ სხვა დაიჭერს, მაგრამ ელფერიც სხვა ექნება. გაგიმარჯოს ექიმო და ჩვენს სადარაჯოზე ასე მხნე ყოფილიყავი მუდამ.

ბოლომდე გამოსცალა შალვამ პირველი სასმისი და გადმოპირევავა.

– ამინ! თქვეს ერთხმად.

ექიმი წამოდგა.

– ამ ხნის კაცი ვარ, დიდი სტაუის მქონე, სად არ ვყოფილვარ, ვისზე არ მიმკურნალია, არავინ შემომკვდომია, მაგრამ რაც ჩემს ცოდნას ალემატება, იმას ვერასოდეს დავიტრაბახებ, არასოდეს უკან არ დამიხევია: – თოვლში, ყინვაში, ქარში, წვიმაში, თაკარა მზის ქვეშ თუ ტალახში ხან სად მიყყავდი და ხან სად, მაგრამ ექიმის სახელი-სათვის არასოდეს მიღალატნია. ასე ვართ დამოძღვრილები – უნდა ეპრძოლო სნეულებას, მაგრამ უპირველესი სენის დამარცხება კი არაა, არამედ ადამიანის სიცოცხლეო. არ ვიცი ამას როგორ გაიგებთ, მაგრამ მაინც მარტივად ვიტყვი – უნდა გვახსოვდეს ჯერ ადამიანი, ამიტომაცაა, რომ ექიმისათვის დაუწერელი კანონია, როდესაც დაჭრილი იქნება ადამიანი, არა აქვს მნიშვნელობა ის მტერია თუ მოყვარე, დამნაშავე თუ წესიერი. ექიმმა მთელი ყურადღებით უნდა მოეკიდოს. ეხლა მართლა ფილოსოფია გამომივიდა, მაგრამ მაპატიეთ. გაგვიმარჯოს და უფალმა გვადღეგრძელოს. ამ წლის თამადობით ანინდელი ყველა წლები სიხარულისა და ბედნიერების მომტანი ყოფილიყოს. ამინ! თქვა და დალია შუშეუნა ღვინო, რომელიც მთელი საუბრის დროს შხეფებს ისვროდა და ღელავდა თითქოს – რატომ აქამდე, არ მათავსებენ იმ ჭურჭელში, სადაც უნდა ვიყოო... .

მოსადილეთა შეუმჩნევლად ოთახში შემოსულიყვნენ ახმედ-ხოჯა და დავით – ფალავანი. ექიმმა გაიკირვა, ასევე გაოცებით შეხედა შალვას და მათი ვინაობა თვალებით შეეკითხა.

– ესენი განსაკუთრებით სადღეგრძელებლები არიან დავით-ექიმი. ესენი რომ არა, ალბათ ვეღარასოდეს ვიხილავდი ჩემს მამუკას. ორთავე ქართველებია, ერთი ძველი თბილისელია, მეორე ძველი აჭარელი – უამთავითარების გამო გახოვავებული, მაგრამ სულითა და ტრადიციებით ქართველი, ჩემი შვილის აღმზრდელი და მცველი. ბატონი დავითი კი მამუკას მწვრთნელი და მისი ჩემპიონის ტიტულის მოპოვებისათვის აქტიური მებრძოლი და ნამდვილად დამსახურებული კაცია. აი, ვინ ედგნენ ჩემს მამიას გვერდით მთელი თექვსმეტი წელი და არასოდეს კაცობა არ დაუკარგავთ. მე ორი სასმისით მინდოდა ამათი დღეგრძელობა, მაგრამ მესამე რომ არ მივამატო, არაკაცობა და უპატივცემულობა გამომივა – ეს მესამე იქნება შავშელი ბეგის – ენვერის სადღეგრძელო, რომელიც უკვე ფაშა გამხდარა ოლთისისა. ამ სამი კაცის მეშვეობით უდგია სული ჩემს მამიას. ღმერთი

სამობითაა იტყვიან, მე ამის არ მჯერა, მაგრამ ის კი მჯერა, რომ ეს სამი კაცი რომ არა, მე უკვე, მამუკას უნახაბის და ავან-ჩავანის არ-ცოდნის გამო სული გამშპებოდა. ამ სამ კაცზე ჰკიდია ჩვენი ოჯახის ავ-კარგი. თქვენ გაგიმარჯოთ და თქვენთან ერთად ენვერ-ფაშას – ამინ თქვა და სამი სასმისი მოწინებით და პირჯვრისნერით დალია.

ექიმი გაკვირვებული და თანაც სიხარულით უცქერდა შალვას.

– მეც ხომ სამ სასმისს არ დამალევინებდი შალვა ჩემო?

– არა, შენ გეპატიება, ერთ სასმისში მოაქციე ყველაფერი.

– თქვენ გაგიმარჯოთ ბიჭებო, რახან ოსმალეთიდან უვნებელი დაბრუნდით, ნამდვილი ქართველები ხართ, საქართველოს პატრი-ოტები და ვხვდები რა ამაგი გაქვთ განეული ქართველ კაცზე ოსმა-ლეთში. თქვენს ამაგს ვინ დაივიწყებს, ხოლო ამაგის საფასურის გადა-ხდას ალბათ მამია შეეცდება. ამინ, გაგიმარჯოთ ერთხელ და სამ-უდამოდ, იცოცხლეთ და იხარეთ.

ახალი წლის, ერთმანეთის, სტუმრების თუ შინაურ-გარეულის სადღეგრძელოები და დალოცვა საღამომდე გრძელდებოდა და ვახ-შამიც ზედ მიაყოლეს. როდის-როდის მიწყდა ხმაური და მხიარულე-ბა. შუალამე იყო გადასული, როდესაც დასაძინებლად მიწვნენ. გა-რეთ კი ისევ ხვავრიელად ბარდიდა. დილით ექიმი გააცილეს და ისევ სახლებს დაუბრუნდნენ შალვას მოსამსახურე ბიჭები.

* * *

თებერვლის ბოლოს დიდი ყინვები დაიჭირა. მკაცრმა ზამთარმა თავისი ჭირვეულობით მთელი საქართველო შეაწუხა. განსაკუთრე-ბით უჭირდათ მესხეთ-ჯავახეთის მოსახლეობას. თოვლმა სამ მეტრს გადააჭარბა. წუხდა ხალხი – ცალკე გზების ჩრეტვით და ცალკე კიდევ სურსათ-სანოვაგის გამო. თოვლი ხვავრიელად მოდიოდა.

თითქმის თვენახევრის იყო შალვას შვილიშვილი, რომელსაც ბაბუამ თავისი მამის სახელი შეარქვა, რითაც ამაყობდნენ კიდეც.

– მამის სახელი რომ შევარქვი, ასე მგონია მამა გამიცოცხლდა – თქვა შალვამ და მამიას აღმზრდელებს გადახედა.

– იცი რას გეტყვი ჩემო შალვა? მკვდრის სახელი არ უნდა დაგერქვა... აი, მგალითად შენი სახელი რომ დაგერქვა, ან მამიას მჩ-ვილებელისა კიდევ შეიძლებოდა – უპასუხა ახმედმა.

– რას გეტყვით ჩემო კარგებო იცით? ბაბუას რომ შეეკითხება შვილიშვილი – როდის მოკვდებიო, იცით რა უპასუხა ბაბუამ? – როდესაც შენ მოკვდებიო... შვილიშვილი ვერ მიუხვდა ბაბუას ნათევამს და ეწყინა, სინამდვილეში კი ის აზრია ჩადებული, რომ როდესაც შვილიშვილს ბაბუას სახელს ალარ დაარქმევენ და ბაბუას ალარ მოიგონებენ, აი, მაშინ კვდება ბაბუა მართლაც, ჰოდა, ამიტომ დავარქვი მეც ლევანი.

– ეგ კარგია, რომ ბაბუა და საერთოდ წინაპარი, არ უნდა დავივინოთ, მაგრამ მე მაინც არ მიმაჩინა მართებულად ახალშობილზე წინაპარის სახელის დარქმევა, იმიტომ რომ იქნებ, იმ წინაპარს სიცოცხლის დღეები შეუმოკლდა, რად უნდა დააკლდეს პატარასაც. ამის დანათლება არ შეიძლება... სახელს ძებნა არ უნდა – შეევედრე უფალს და რაც გონიერაში ჩაიბეჭდება, ნაუცბათევად შეარქმევ. ალარ დაინყებ იმაზე ფიქრს ვის ერქვა და რამდენ ხანს იცოცხლა...

– ჴო, სადღაც მართალი ხარ, მაგრამ მამაჩემმა ოთხმოცი წელი იცოცხლა, ეს არც ისე ცოტაა.

– მიხვალ მაგ ასაკში და მიხვდები ცოტაა თუ ბევრი. ადამიანს არასოდეს ჰყოფნის მიღწეული. ასის გახდები და კიდევ იფიქრებ, მომავალში რა იქნებაო. მოგესწრება ის მომავალიც და კიდევ იფიქრებ, გაისაძ რა იქნებაო და ასე მივიკეცავთ წლებს, მამუკას რომ ვავარჯიშებდი, ვფიქრობდი მართლა გაზაფხულ როგორი ვითარება იქნება, რა მოხდება, რას მივაღწევთ-მეთქი და ასე შემომადნა წლები და ასე მივაღწიეთ მამუკას ჩემპიონობამდე. ოთხმოცი წელით ახსენე შალვა-ბატონო, თქვენ უკვე ორმოცდათი გაიარეთ, ჩვენ კიდევ შენს ასაკს ვუახლოვდებით და ასე მიდის წლები, როდესაც ადამიანი ცოცხალი ხარ, მართალია სიკვდილიც უნდა გახსოვდეს, მაგრამ მასზე არ უნდა იფიქრო, უნდა იფიქრო დიდხანს სიცოცხლეზე და იმის ფიქრით – ხვალ, ზეგ და გაისაძ რა იქნებაო – უნდა გალიო წლები. მართალია ამ წლებში მუდამ დალხინებული ვერ იქნება ადამიანი, მაგრამ სულით არ უნდა დაეცე და მომავლის, ხვალის იმედი არასოდეს არ უნდა დაკარგო. მე მაგალითად არასოდეს დამიკარგავს იმედი სამშობლოში დაბრუნებისა და ბედმა თუ ლმერთმა გამილიმა და შენს შვილს გადავეყარე... მართლა არ გამნირა უფალმა და აჲა, სამშობლოც მალირსა... შენი ქვეყნის ჰაერსა და წყალს, შენს მშობ-

ლიურ ენასა და მამულს არაფერი სჯობია ქვეყნად და რომ ისევ ვიხილე ჩემი ქვეყნა ამაში დიდი წვლილი ახმედ-ხოჯას, მამუკასა და მის მამობილს მიუძღვით, ხოლო რომ არა ენვერ-ბეგი, იქნებ სხვაგვარ-ად დატრიალებულიყო ჩვენი ბედი. ისე კი ყველასი მადლობელი ვარ...

– არ ვიცი მაგ მადლობას რისთვის იხდი. მე კი პირიქით, თქვენი ძალიან დიდი მადლობელი ვარ, რომ მამია ასეთი სახელოვანი დამიბრუნეთ.

– ჩვენ ქართული ვალი მოვიხადეთ, ვაჟკაცური და თუ მამიას უცხო ქვეყნის ადათ-წესებიც შევასწავლეთ ასე იყო საჭირო იქ, უცხო ცის ქვეშ, მაგრამ არც ქართველობა შევალახინეთ და ასე ჩაგაბარეთ. ჩვენ ქვეყნის ვალიც მოვიხადეთ.... ჩვენი ყოფნა-არყოფნით იქნებ არაფერიც არ დაკლებოდა ქვეყნას, მაგრამ ახალგაზრდა ადამიანები, მომავალი თაობა არ უნდა დაეკარგოს ქვეყნას, მათ უნდა გააგრძელონ სიცოცხლის ძარლი საქართველოსი, არ უნდა ჩაკლან ამ ძარლის ძალუმი ფეთქვა – საქართველომ უნდა გაუძლოს საუკუნეებს...

– ნამდვილი ადამიანები, სულით პატრიოტები ასე იქცევიან ყოველთვის. თუ ადამიანს სიყვარულის გრძნობა არ გააჩნია, ის ყოველთვის მარცხდება. თქვენ რა გვონიათ, მომხვდური რატომ მარცხდება ყოველთვის, მათ არ გააჩნიათ სიყვარულის და სიბრალულის გრძნობა, ისინი ულირსი სიძულვილით არიან გამსჭვალულნი და სწორედაც ეს ტეხავს კისერს მათს მისწრაფებებს. დროებითია ყველა მომხვდურის გამარჯვება და თუ სახელმწიფოს შიგნითაც ასეთი გულლვარძლიანები იპოვებიან, ისინი არაფრით ნაკლები არ არიან მომხვდურებზე, იმიტომ რომ ცხოვრობდე და იმ მიწას ბილნავდე ეს იგივეა საკუთარ დედას ხმალი ჩასცე სასიკვდილოდ. ქართველობას წინ პატრიოტიზმი და სიყვარული უნდა უძლოდეს, როდესაც ხმალი გიჭირავს ხელში იმას კი არ უნდა ფიქრობდე, ვინმეს თუ გავანადგურებო, რადგან ხმალი გაქვს ნაშიშვლები, მისი და სამშობლოს სიყვარული უნდა გიძლოდეს წინ... ამან გაგვაძლებინა, მაგრამ აწე რა იქნება ის ვიჩივლოთ. სამხრეთიდან ოსმალეთია მოწოლილი, ყურისძირში, თვითონ ახალციხეში დამისვეს ფაშა და ქართველი მეფეები რომ შეთანხმებულად ვერ მოქმედებენ, ეს მიხრუკავს გულს. ეხლა ბავშვზე სახელების დაქმევით ვართ დაკავებული

თითქოს, მაგრამ ყოველ წუთს მზად ვარ, მეფეთა დაძახილზე მთელი ჩემი საგამგებლო ფეხზე დავაყენო. რა გგონიათ, ფაშა დაჯდება ტახტზე და ყველა გაეგება ფეხქვეშ? არა, ხალხი წკიპზე დგას, ერთი დაძახება ყოფნით ჩემი, იმწუთას ამხედრდებიან, მაგრამ გავუმკლავდებით კი ამდენ ოხერტიალებს? არ მინდა უბრალოდ სისხლისლვრა, უნდა განვსაზღვროთ ხვალ-ზევ რა მოგველის. გაცლა, გარიდება ნამდვილად შეიძლება და თავის გადარჩენა, მაგრამ ადგილ-მამული არ გვეთმობა. ამგვარი მისწრაფებითა და აზროვნებით აჭარაში ოსმალებს შეაწყდნენ დანდალიოლები, მაჭახლელები, საღმრეთელები. მათი გმირობა უმაგალითოა, მაგრამ რად გინდა, იმტერიტორიებს მაინც ოსმალები ფლობენ ჯერჯერობით.

– საღმრეთლები რაო ვითომ, გაწყდნენ? – შეეკითხა შალვას ახმედ-ხოჯა – ისინი ჩემი მეზობლები არიან და მათ შესახებ არაფერი ვიცი.

– ოცდახუთი წელი გავიდა უკვე ახმედ-ბატონი. შენ გადასული ყოფილხარ უკვე ოსმალეთში, თუ პატარა იყავი, ალბათ და ალარ გახსოვს. სარწმუნოების შეცვლას, გაწყვეტა ამჯობინეს და ჩაიხოცნენ კიდეც. ალარავინ გადარჩენილაო – ასე ამბობენ.

– როდის მოხდა ეგ?

– ათას შვიდას ცამეტ წელშიო, ასე თქვეს, ზუსტად კი არ ვიცი.

– მაგ წელში მექქსი წლისა ვიყავი. მაშინ ოსმალები შემოსული იყვნენ ჩვენთან დაგარე სოფლის ამბავს ვინ მოგვიწვდიდა. ხალხი ოსმალთა შიშით ვერსად გადიოდა. ისე მე თხუმეტი წლისა ვიყავი, სტამბოლს რომ გამგზავნეს, დიდი ვიყავი, ეგ ამბავი კი ნამდვილად არ ვიცოდი.

– სამწუხაროდ ასე მოხდა, მაგრამ ჩვენც იმათ მივბაძოთ? კია გმირობა სარწმუნოებაზე თავის შენირვა, მაგრამ ვაჟკაცობაა ისიც, მტერი რომ მოგერევა... ჰო, დათვზე თქმული: „დათვი თუ მოგერია, ბაბა დაუძახეო”. ეს ქართველი ხალხის მოგონილია, მაგრამ რამდენ ხანს გინდა ასეთ „ბაბას” გაუძლო, ვიდრე თავისით არ მოკვდება? ერთი სულთანი თუ მოკვდა, მეორე დაჯდება მის აღგილას და რომელი იქნება ნეტა უკეთესი? არაა ჩვენი საშველი?..

– უფალი დიდია, შალვა ბატონი, დაგვეხმარება.

– რატომ გგონიათ, რომ უფალი იმათ არ დაეხმარება და ჩვენ გადაგვაფარებს კალთას... ჩვენ სულელური სიამაყე გვაქვს, ერთმა-

ნეთს ვკორტნით ავი სვავებივით. ოსმალებს კი ერთი სული აქვთ, სასულთნო გააძლიერონ, აი, რითი გვჯობნიან ჩვენ თუ მტერი მი-ადგებათ, ერთსულოვანნი არიან, ჩვენ კი... გვჯიჯგნიან და ზოგ-ზოგები ფეხქვეშ ეგებიან მოძალადეს. აი, რა გვლუპავს ჩვენ. სამცხე-საა-თაბაგო რომ მოწყვიტეს საქართველოს, ვინ იყო ხელის გამომდები, ისე ჩაყლაპეს, როგორც გემრიელი ლუკმა, ოლონდ ყველაზე გემრიე-ლი შემოიტოვეს და ნელ-ნელა გვფრცქვნიან ჩვენი მოღალატე თა-ვადების ხელშეწყობით.

– ჰო, მაგაში გეთანხმები – თქვა ახმედ-ხოჯამ, როდესაც გიორგი მეფეს (გიორგი II-ს) თავისიანებმა უღალატეს, მაშინ იყო სწორედ ოს-მალთა ურდომ – აჰმად ამირას სარდლობით რომ შავშეთი, აჭარა, სამ-ცხე, ქართლი და ჭყონდიდიც მოაოხრა. ფაქტიურად აქედან დაიწყო დიდი ოსმალობა, რომელიც აგერ უკვე ექვსასზე მეტი წელია გრძელდე-ბა და ვინ იცის სადამდე გაგრძელდება კიდევ... და ასევე გიორგის ბრძ-ოლის ველიდან გაქცევის ათი წლისთავზე საქართველო გაუგონარმა მიწისძვრამაც დააქცია... ბუნებაც ჩვენ გვემტერება...

– ჰო, საშველი დაგვადგება ალბათ – გულმდუღარედ თქვა შალვამ.

თავი II

ოსმალეთი კონსტანტინეპოლის დაპყრობისა და ბიზანტიისა და ტრაპიზონის იმპერიების განადგურების შემდეგ ხშირად ესხმოდა თავს სამცხე-საათაბაგოს, რომელიც ათაბაგმა – ყვარყვარე ჯაყელმა 1463 წელს დამოუკიდებლად გამოაცხადა და დანარჩენ საქართველოს აღარ მორჩილებდა. საუკუნეთა განმავლობაში, მათ შორის მუდმივი ომები მიმდინარეობდა. ბოლოს ათაბაგები ბეჭს შეურიგდნენ და სულთნის ხელისუფლება აღიარეს.

მანუჩარ III ათაბაგის მონამვლის შემდეგ, 1624 წლიდან ბიძამისი ბექა მოევლინა სამცხე-საათაბაგოს მმართველად. მან სახელი შეიცვალა და სეფერ-ფაშის ტიტულით ახალციხის ტახტი დაიკავა.

ოსმალთა ფაშამ, სეფერ-ფაშად წოდებულმა, ოსმალთა გავლენით დაიწყო ქართველთა შევინწროება, ქრისტიანობის მოსპობა, მოსახლეობაზე ხარჯის შეწერა და მთლიანად ოსმალური ადათ-წესებისა და კანონების გავრცელება. იგი ოსმალებზე უფრო პირნავარდნილი სისხლისმელი, მოლალატე ქართველი იყო.

სამცხე-საათაბაგოს დიდსულოვანი დიდებულები, პატრიოტი ხალხი და მთელი საქართველო, მეორე მხრიდან სპარსთაგან შექირვებულები ეპრძოდნენ ისმალოს. ძნელი და მძიმე იყო ეს ბრძოლა, ვინაიდან საქართველოს ურჩი და სულთანზე მიტმასნილი მესხი დიდებულები სამცხე-საათაბაგოს და სხვა დიდი ნაწილის მთლიანად ოსმალებზე დამორჩილებას ცდილობდნენ. ამ მიზნით, მათი ხელშეწყობით გულმოცემულმა სულთანმა მოიწადინა სამცხე-საათაბაგოს მთლიანად გაუქმება და ოსმალეთის ერთ მთლიან ნაწილად გამოცხადება.

ათაბაგ უსუფ III-ის შემდეგ (1737-1744) სამცხის ათაბაგობა აღკვეთილი იქნა და მთელი სამცხე ისმალურ ადმინისტრაციის დაუმორჩილეს.

ამ დრომდე მიმდინარეობდა ოსმალეთსა და სამცხის დიდებულებს შორის პატარ-პატარა ბრძოლები. ძნელი იყო ეროვნულ მეობაზე, სარწმუნოებაზე გამოთხოვება, მაგრამ ოსმალური კანონები ნელ-ნელა უჭერდა მარწუხებს ქართველი ხალხის შეგნებას, თავმოყვარეობას და ასევე ნელ-ნელა მიიწევდა ჩრდილოეთისაკენ, საქართველოს შუაგულისაკენ...

... ახალციხის ფაშად დანიშნული ოსმალო სამხედრო მაღალჩინოსანი იანიჩარი სისხლისმსმელი გამოდგა. მას არა მარტო სამცხის ტერიტორია, აჭარაც უნდოდა თავის გავლენის ქვეშ მოექცია და ამ მიზნით იანიჩარები მიუსია აჭარას.

„მოსწავ და მოსტყვევნა“ მთლიანი აჭარა ახალციხის ფაშამ 1737 წელს, ხალხს ხარკი დაადო და განადგურებულ-გადამწვარი აჭარი-დან ისევ ახალციხეში დაბრუნდა – დაბრძანდა თავის ტახტზე და ოსმალეთის სულთნისაგან სამთულიან ფაშად იქნა აღიარებული.

ახალციხის საფაშოში მკაცრი კანონები დაამყარა, ოლონდ შალვა ახალციხელის რეზიდენციას არ გაკარებია ახლოს – გარკვეულ ნაწილზე ისევ შალვა ბატონობდა, მაგრამ ესეც დროებითი იყო – მასზე თვალთვალი დააწესა ახალციხის ანუ ჩილდირის ვილაიეთის გამგებელმა. ეს გაითვალისწინა ენვერ-ფაშამ და ერთგული მსახურის ხელით წერილი აახლა ოსმალეთის სულთნის მიერ ხელმეორედ სერასკერად დანიშნულ ასლან-ბეის.

ასლან-ბეი, უკვე ოსმალეთის სამხედრო მინისტრის სკამს ფლობდა, ძალაუფლებაც განუსაზღვრელი ჰქონდა სულთნის წყალობით და სულთნის საპრძანებელშიც ისე შედიოდა, როგორც თავის სახლში.

ენვია ერთ დღეს და თავის შვილობილის ფაშად დანიშვნის ნებართვა სთხოვა. ემწვავა სულთანს – ახალციხეში იმუამად თავისი კაცი ჰყავდა – ისაყ ფაშა, უარით გაისტუმრა სერასკერი, მაგრამ რამდენიმე ხანში ისეთი დავალება მისცა სამხედრო მინისტრს, სიმწრისაგან თითები აკვენეტინა – შალვა ახალციხელის შეპყრობა და განადგურება დაავალა, ან მამა-შვილი უნდა გადაჰკიდებოდნენ ერთმანეთს, ან უნდა გასცლოდნენ სამცხეს.

ასლან-ბეის ქართული სისხლი უჩქედდა ძარღვებში და სწორედ ამის გამო შეუპოვარის სახელიც ჰქონდა გავარდნილი. ისევ ეახლა სულთანს და მაჲმუდის ახალციხის ფაშის თანაშემწედ დანიშვნა სთხოვა. სულთანიც დაყაბულდა, მაგრამ სამაგიეროდ ძველი ბრძანება შეახსენა. ასლან-ბეის ცეცხლი მოეკიდა, მაგრამ თანხმობა მაინც განუცხადა, თუმცა საამისოდ დრო ითხოვა.

ენვერ-ფაშის გაგზავნილი მოსამსახურე ფირმანით ხელში უკან დაბრუნდა და მისი პატრონი გაახარა. ენვერ-ფაშამ იგივე მსახური

იმავე ფირმანით აახლა ახალციხის ფაშას და საკუთარი თხოვნაც მიაყოლა – დაეახლოვებინა შალვა ახალციხელის საგვარეულო და მხედველობაში ჰყოლოდა, ხოლო შალვას ცალკე გაუგზავნა უსტარი, ატყობინებდა, რომ ახალციხის ფაშასთან დიდი სიფრთხილე გამოერინა, ვინაიდან იგი ცბიერი და სასტიკი იყო, ხოლო რამენაირი ბრძოლის მიზნისგან თავის შეკავება ურჩია. თანაც მამუკას ახალციხის ფაშის თანაშემწეობა მიულოცა.

შალვამ წერილი გადაიკითხა და ლრმად ჩაფიქრდა. ცოტა ხნის შემდეგ ახმედი და დავითი მოიწვია ოთახში.

– რას იტყვით ჩემო კარგებო ამ წერილზე, წაიკითხეთ და თქვენი აზრი გამაგრებინეთ, ვერ ვხვდები რა ხდება.

ორთავემ გადაიკითხა წერილი და შალვას მიუბრუნდნენ.

– თუ მამუკა ფაშის თანაშემწედ დანიშნეს, ამით შენ ფაქტიურად გამგებელი აღარ იქნები შენი საპატონოსი. ეს არც უნდა გეწყინოს, მით უმეტეს მამუკა იქნება უკვე ფაქტიური გამგებელი, მაგრამ ერთი რამ მაფიქრებს – სულთანი სხვა რამეს ხომ არ ფიქრობს. ახალციხის ფაშის წყალობით ეცოდინება შენი ამბებიც და ფაშაც შეეცდება შენს უკან დახევას, ანუ შენი ტერიტორიების მიტაცებას და ოსმალეთზე ანუ ახალციხის საფაშოზე მუდმივად მიერთებას. რომ ავი თვალით არ გიმზერდეს და მამუკაც ისევ არ გადაიბირონ მთლიანად, ჩვენი რჩევა იქნება მამუკასა და ფატმას მონათვლა თუ არა, ქართულ დრო-შაზე დაფიცება მაინც მოგვიწევს, რომ ქართულ ტრადიციებს არ უდალატოს, იყოს სულთნის სამსახურში, მაგრამ სულით და ხორცით საქართველოს ერთგულება გამოიჩინოს. ჩვენ ჩვენის მხრივ ჯერ რჩევის მიცემაზე თავს შევიკავებთ და შენ როგორც მშობელს, პირველი სიტყვა გეკუთვნის. დედის სიტყვას, რომ ნამდვილად არ გადავლენ, ეს ვიცით ჩვენ. გამოსავალი ერთია – ფირმანის ძალით წარუდგეს ფაშას და ერთგულების ფიცი მასაც მისცეს, ამით არაფერი დაშავდება, ჩვენ კი უნდა გავეცალოთ აქაურობას – ცბიერია ფაშა და შენს მძევლობას მოითხოვს. ჩვენ იქნებ ხელი არ გვახლოს, როგორც მამუკას ალმზრდელებს, მაგრამ ეჭვების და ზედმეტი ყურადღების ქვეშ ვეყოლებით ეს ცხადია. ოსმალური ენის ცოდნა და ენვერ-ფაშის ნაცნობობა თუ დაგვეხმარება კიდევ ამის იმედი გვაქვს. ისე არც ჩვენ გამოვუცხადებთ ნდობას ძალიან, ეცოდინება ფაშას ჩვენი წარ-

მომავლობაც. ერთი რამ ნამდვილად ახასიათებთ ოსმალებს, როდე-საც ტახტზე დაბრძანდებიან თავიანთ ერთგულ მსტოვრებს ტერი-ტორიას და ხალხს გააცხრილვინებენ და გაიგებენ ვინ რითი სუნთქავს, ამიტომ ძალიან სიფრთხილეა საჭირო. ჩვენ ეროვნული საქმე უნდა ვაკეთოთ, მაგრამ არავითარ შემთხვევაში სისხლი არ უნდა დაიღვაროს. მამუკა რომ ფაშის თანაშემწის ადგილს დაიკავებს, მერე თვითონაც მიხვდება, რა უნდა აკეთოს. კავშირები კი აუცილებლად გვექნება. ისე არ შეიძლება. ეხლა მამუკას ვახაროთ ეს ამბები.

მამუკა შემოვიდა ოთახში და ცოტათი ფერნაცვალ მოსაუბრებს გაკვირვებით გადახედა.

– რა მოხდა, მშვიდობა ხომაა, რალაც ხასიათზე ვერა ხართ.

– პირიქით შვილო, ეხლა შენს დაძახებას ვაპირებდით, ახალი ამბავი უნდა გახაროთ – ფაშის თანაშემწედ გნიშნავენ უკვე, ფირ-მანიც მოვიდა, ენვერ-ფაშა და შენი მამობილიც სალამს გითვლიან. ერთი საკითხი კი ნამდვილად მოსაგვარებელი გვაქვს.

– რა საკითხია მამა, ვერ შევძლებ?

შალვამ, დავითმა და ახმედმა ერთმანეთს გადახედეს.

– კი შვილო, შეძლებ კი არა, ვალდებულიც ხარ, როდესაც ფაშის თანაშემწის ადგილს დაიკავებ, რა უნდა აკეთო ის თუ იცი?

– მაგას რა კითხვა უნდა, ვიდრე ფაშა იქნება ფაშის ტახტზე მისი ბრძანება უნდა შევასრულო, მაგრამ თქვენ რა გეეჭვებათ, არ მენ-დობით?

– კი შვილო, როგორ არ გენდობი, მაგრამ საქართველოს, შენი ხალხის, შენი საგვარეულოს დროშაზე უნდა დაიფიცოთ, რომ საქართველოს არ უღალატებთ.

– შენ რა გვინია მამა, მარტო მშობლები და ფაშობის სურვილი მამოძრავებდა? ამათი მეშვეობით საქართველო არ ამომილია გულ-იდან და ოსმალეთიდან ვესიყვარულებოდი კიდეც, რომ არ მყვარე-ბოდა საქართველო, არც წამოვიდოდი. რა ლირსება მელოდა იქ თქვენ ვერც წარმოიდგენთ. უარვყავი ყოველივე და წამოვედი, თუ მაინც-ამაინც ფიცი გინდათ მოიტანეთ ქართული დროშა და მოგცემთ ფიცს.

შალვამ თვითონ შემოიტანა დროშა და გაშალა. დავითი და ახმე-დი მუხლმოდრეკით ემთხვივნენ. ჯერი მამუკაზე მიდგა.

– ჩვენი მეფის სახელით, ჩვენი ქართული ჯიშის სახელით, წმინდა გულით და აზრებით დამიდვია ფიცი, რომ ვემსახურო ქართველ ხალხს და სახელმწიფოს. დიდი თამარის და ჩვენი კუთხის სასიქარდულო შვილის – შოთა რუსთაველის სახელს ვფიცავ ვიქენები ისე-თივე გულმხურვალე და თავდადებული, როგორიც რამდენიმე წლის უკან, უფრო სწორად საუკუნის უკან იყო მღვდელი თევდორე – თქვა და. დროშას მუხლმოყრით ემთხვია.

– შენ რა იცი შვილო მღვდელი თევდორეს შესახებ?

– ახმედ ბატონისაგან ვიცოდი, მაგრამ მამა გაბრიელმა და თევდორემ ძალიან ბევრი მიამბეს.

– ვისგან შვილო? სად ნახე ეგენი?

– აწყურის ეკლესიასთან მინდორში შევხვდი. მართლა მამა, რომ მოვინათლოთ შეიძლება? მღვდლებმა მირჩიეს.

– შენ რომ ოსმალეთში აღიზარდე შვილო, მუსლიმანი ხარ და თანაც ფაშის თანაშემწედ ინიშნები, როგორ გინდა, ორ სარწმუნოებას უნდა ემსახურო?

– ჩვენი რწმენა ერთ უფალს ეკუთვნის და ეგ არ მაღელვებს. რახან დროშაზე დავიფიცე, სარწმუნოებაც უნდა შევიცვალო. ოსმალებსა ოსმალურად ვემსახურები და საქართველოს ერთგული ვიქენები.

– თუ მონათვლას გადაწყვიტავთ, მოხარული ვიქენებით, მაგრამ ფაშის ყურამდე არ უნდა მიაღწიოს, თორემ არ დაგინდობს.

– ეგ მეც ვიცი მამა. ხომ ყოფილა შემთხვევები, როდესაც ქართველ მეფეებს და დიდებულებს გარეგნულად მიუღიათ ისლამი, შინაგანად კი მუდამ ქრისტიანად რჩებოდნენ. ჩათვალე, რომ როდესაც მე გამიტაცეს იმ დღიდანვე ქართველთა ავად მოსურნეთა და ავად მპყრობელთა დაუძინებელი მტრის სულიერებით ვსულდგმულობდი და რომ არა ახმედ-ხოჯისა და დაუდ-ფალავანის მცდელობა, იქნებ ჩემს მამობილზეც თავი წამეგდებინებინა. მიუხედავად იმისა შვილზე უკეთ რომ მზრდიდა, სწორედ ამათმა გარჯამ მიხსნა სიკვდილისა-გან, რაიმე რომ ჩამედინა ვინ მაცოცხლებდა, ჰოდა, ასპარეზზე როდესაც გამომიყვანეს, სწორედ ოსმალებისადმი ზიზღმა გამხადა სტამბოლის ჩემპიონიც. ყოველივე ამაში შენს ძმობილს – ამჟამად ენვერ-ფაშას უდევს უდიდესი წვლილი, როდესაც პირველად შემხვდა, მითხრა, გაუძელი შენი მშობლების, ბებია-ბაბუის ხათრით და

საქართველოს სიუკარულითო. ჩემთვის ეს ყველაფერი იყო და მეც ვიტანდი ყოველივეს, მაგრამ უნდა გითხრათ რომ „ასატანი“ არაფერი მქონდა, ვინაიდან დედობილიც ქართველი მყავდა და რომ არა ის, აღბათ ნამდვილად აღარ ვიქნებოდი ცოცხლებში, იგი ხანდახან რაღაც ფათერაკების თუ საძნელო საქმეების დროს პირვევარსაც ისახავდა ხოლმე. ერთხელ რაღაც ხიფათს გადავრჩი და დაწოლილ-მა თვალდახუჭული გავიტრუნე, დედობილს მძინარე ვეგონე და როდესაც ოთახიდან გაღიოდა, პირვევარი გადაისახა. არც არასოდეს მიკითხავს და ხშირად მეც კი ვბაძავდი. მაგრამ არავის შეუმჩნევი-ვარ. იქნება ამანაც მიხსნა და ეხლა სამშობლოში ვარ. თუ ოსმალეთში შინაგანად შეიძლება ქრისტიანობის შენახვა, აქ რა ბედენაა.

– თუ ასეა შვილო, შენ ბავშვობაში მონათლული ხარ და როდე-საც შინაგანი რწმენა ასე ძლიერია, აღარ გჭირდება მაშინ ხელმეო-რედ მონათვლა, ფატმასი კი... თქვენზეა დამოკიდებული ძვირფასო მოძღვრებო რას მოიმოქმედებთ, მე ვერ ვიტყვი რომ თქვენც მოინ-ათლეთ-მეთქი, ეს თქვენზეა დამოკიდებული და არცა აქვს მნიშ-ვნელობა, კაცი საქვეყნო საქმეს მონათლული გააკეთებს თუ მოუ-ნათლავი, ქრისტიანად დარჩება თუ მუსლიმანად, ოლონდაც მთავარ-ია, საქვეყნო საქმე აკეთოს, ხალხისათვის საკეთილდღეო მისარგე-ბლით იღვაწონ. თქვენ საქვეყნო საქმე უცხოეთშიც მაღლიანად გაა-კეთეთ ნამდვილად, მამუკაზე და ფატმაზე პატრონობით. მამაზეციერიამ საქმეს და ამაგს ერთიასად გადაგიხდით და საქართვე-ლოს შვილობა რომ იქაც დაამტკიცეთ, ამას უფალი არ დაგიკარგავთ არასოდეს. კარგი საქმე არასოდეს იკარგება.

– ნამდვილად მასეა შალვა ბატონი, მაგრამ ძალიან ძნელია როლი ამ ადამიანისა, ვინც სისხლით წმინდა ქართველია, რჯულით მაჰმადიანი, სულით კი გახლეჩილი „ქართველ-თათარი“. ასეთების ყოფა ძალიან მძიმე და ძნელია. სწორედ ასეთები ჩანან ქართველთა თვალში სამშობლოს მოღალატებად, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რომ უცხო სახელმწიფოში ჩვენნაირების ყოფა უმძიმესია და არავინ გვიჯვერებს. უნდობლობაა ორივე მხრიდან. ოსმალები თავისიანებ-საც არ ენდობიან ბოლომდე, იქაც არიან ლოიალური პიროვნებები და საქართველოდან ბედის დაცინვით თუ მოფიქრებულად გადახ-ვენილებს ყოველთვის ეჭვის თვალით უცქერის არ ან-

დობენ სახელმწიფოებრივს, რადგან ეჭვის ასპარეზი ფართოა, მათი ფიქრით, ადამიანმა თუ სამშობლოს „ულალატა” და გაიქცა, ჩვენ რა ხეირს დაგვაყრისო, ხოლო ეს „ლალატი” რა ფასი უჯდება და რაოდენ მტანჯველია ადგილგადანაცვლებულებისთვის, ამას ვერავინ საზღვრავს. გაიქცა კაცი? ესე იგი მოღალატეა და უნდა მოკვდესო... ყველა გადახვენილი ერთ სასწორზე დასადები არაა. ჩვენ არასოდეს გვიღალატნია ქართულ სისხლზე და სულზე. ყოველთვის იმის ცდაში ვიყავით, თუ ოსმალთა ზრახვებს ვერ ჩავკლავდით, – რაც ჩვენს ძალებს არ აღმატებოდა, ერთი კეთილი საქმე მაინც გაგვეკეთებინა, ერთი აგური მადლიანად დაგვედო ქვეყნისათვის და ეს აგური, თუმცა უხერხული შედარებაა, მაგრამ უთქმელობა არ იქნება – ცოლ-ქმრის გადარჩენა და ქართულ სამყაროში მათი დაბრუნება იყო. საკუთარი შვილებივით დავუოფინებდით და სიკვდილ-სიცოცხლე რომ შემოედოთ სასწორზე, ამათოვის ნამდვილად ვიყავით თავის გამნირავი. ენვერ-ბეგი კი ჩვენთვის ხელმწიფის ტოლი ძალა იყო, ის იმედი, რომელიც შენ გიკავშირდებოდა ბატონი შალვა და ამ იმედის ძაფზე ისე ვიყავით ჩაჭიდებული, როგორც წყალწალებული მასზე გადაგდებულ ქამანდს და შენი თვალებით ხედავ ხვალისა და უკეთესი მერმისის იმედის ძაფი რა მტკიცე ყოფილა.

– სწორედ მაგ იმედის ძაფებმა მოგვალნევინა აქამდე დავით აღმაშენებლის გამეფების დროიდან – თქვა შალვამ და თრიალეთის გორებს გულმწუხარედ გახედა.

– ჰო, მაშინ გიორგი მეფემ ჭკვიანური ნაბიჯი გადადგა, თავის მხოლოდშობილ ძეს – დავითს, ჩვიდმეტი წლის შექირვებული მეფობის შემდეგ, თავისი ხელით რომ დაადგა მეფის გვირგვინი და მართებულადაც მოიქცა. მან წინასწარ განჭვრიტა ბავშვის მომავალი. ჭკვიანი ბაგრატ IV მეფის შვილი მეფე გიორგი II უჭკვიანესი გამოდგა, რომ ყრმა ბავშვი საქართველოს უძლეველ და გამაერთიანებელ მეფედ წარმოსახა. არც უმტყუნა მას შორსმჭვრეტელობამ და გამჭრიახობამ, შემდეგში დავით აღმაშენებელმა მტკიცე ნაბიჯი გადადგა ერის მამამთავრობაში ყოფნის დროს – საეკლესიო და უზენაესი სასულიერო ხელისუფლებაც თავისთავზე აილო და ამანაც გააძლიერა მთელი საქართველო, ხოლო მისი გამეფებიდან მიმდინარე ბრძოლებში მუდამ მარცხდებოდნენ მომხვდურები. ოსმალთა

სულთნები სულ უფროდაუფრო ახრჭიალებდნენ კბილებს დავითის ასეთი ძლევამოსილების გამო. მისი გმეფებიდან ოცი წლის თავზე საქართველოს თურქთა სულთან-მუჰამედის ფადიშაპობის დროს ასიათასიანი ლაშქარი შემოესია, მაგრამ დავით აღმაშენებელმა სულ რაღაც ათასხუთასი მებრძოლით სძლია იმოდენა არმიას და კუდით ქვა ასროლინეს. ხუთი წლის შემდეგ 1110 წელს, კიდევ უამრავი ჯარით მოსული სულთნის მხედარმთავარი გაანადგურა ბასიანის ომში, მაგრამ ოსმალები მაინც არ ცხრებოდნენ. მცირე ლაშქრით დიდგორის ველზე ისე დაამარცხეს, ამბის ნამლებიც არ დაუტოვებიათ. მან საქართველო გააერთიანა, ბევრი ტერიტორია შემოიერთა და ოსმალთაგან მთლიანად გაწმინდა არა თუ საქართველო, არამედ სომხეთის ტერიტორიაც და ყველაფერი ესენი მისი მეფობის ოცდათხუთმეტი წლის მანძილზე გააკეთა და ორმოცდათორმეტი წლის ასაკში აღესრულა, ხოლო მეფობა ჩაიბარა მისმა შვილმა დემეტრემ, რომელმაც არაერთი ომი გადაიხადა ოსმალთა წინააღმდეგ და ყოველთვის ძლევამოსილებით გამოირჩეოდა. ლრმადმოხუცმა მეფე დემეტრემ კი თავისი ტახტი შვილს – გიორგი მესამეს გადაულოცა.

ერთ-ერთი ბრძოლის წარმატებით დასრულების შემდეგ, რომელიც განჯაში მიმდინარეობდა მეფე დემეტრემ ქალაქის ალაყაფის კარი ჩამოახსნევინა და გელათში დაკრძალული მამის – დავით აღმაშენებლის საფლავზე დადო.

გიორგი მესამემაც, უძლეველ ხმალს შარავანდედი შემოარტყა – მრავალ ომში ისახელა თავი და ბაბუას დანატოვარი სახელმწიფო მკვიდრად ეჭირა ხელში, მცირე და კარგად გაწვრთნილი ლაშქრით მუდამ ანადგურებდა ოსმალთა მრავალასეულათასიან ურდოებს, ბოლოს მოხუცმა გიორგიმაც თავის ასულს თამარს გადააბარა მეფობა და როგორც ვიცით თამარმა ვაჟკაცური ენერგიით და სიძლიერით მართა მთლიანი საქართველო. ოსმალებმა ძალით რომ ვერა უყვეს ქართველ მეფებს, შინაგამცემლობის გზით სურდათ მათი ძლევა, მაგრამ უჭივიანესმა და მოხერხებულმა მეფე თამარმა ყველა ბოროტება აღკვეთა და საქართველოს ტერიტორია ისე გაამაგრა, ჩიტიც კი ვერ შემოფრინდებოდა. ოცდაორი წელი იმეფა თამარ მეფემ და არც ერთი ბრძოლა არ წაუგია. ისეთი ძლიერი სახელმწიფო დატოვა, რომ სპარსელები, თურქ-სელჩუკები მთელი მახლობელი

აღმოსავლეთი შიშით ძრნოდნენ, მაგრამ ლაშა-გიორგის მეფობის დროს საქართველოს სხვა უბედურება მოევლინა მონლოლთა სახით და საქართველოს ასოცირებასაც საძირკველი შეურყია. მონლოლებმა თავი აღარ ააწევინეს ქართველებს – კალიებივით იყვნენ შესეული და ურდო ურდოზე მოდიოდა ქართველთა გასანადგურებლად. სწორედ მონლოლთა შემოსევების დროს იშვა საქართველოში სახალხო გმირი ცოტნე დადიანი, მაგრამ ვიდრე მონლოლთა ურდოები თარეშობდნენ საქართველოში, მოსვენებით არასოდეს ყოფილან ქართველები, ვერც დავით მეფეს, თამარის შვილ-იშვილს მოახრევინეს ქედი მონლოლებმა და ვერც ქართველთა სული გატეხეს, მაგრამ ვიდრე მონლოლები დაძრნოდნენ საქართველოში, ეგვიპტეში და მის შემოგარენში, სულ ქართველთა აქტიური მონაწილეობით ამარცხებდნენ მუსლიმანები ქვეყნებს. ქართველთა მეფეები ყველა ომში „ნინამბრძოლობდნენ“. მეფე დემეტრე თავდადებულმა უძლეველის სახელი დაუმკვიდრა ქართულ ლაშქარს და სწორედ ამ უძლეველობის ტიტულის გამო მას მოტყუებით მიწვეულს მონლოლებმა თავი მოჰკვეთეს. მისი მეფობის შემდეგ კი საქართველოში შინამესისხლეობა დაიწყო, მაგრამ მცირე ხნით. საქართველოს მეფეთა ძლევამოსილება გიორგი V- ბრძყინვალემ ისევ აღადგინა და ჭკვიანური პოლიტიკითა და სიძლიერით ისევ სურდა საქართველოსთვის უძლეველობის მანტია მოესხა. მოახერხა გაერთიანებაც და ქართველთა და კავკასიელთა იმპერიაც შექმნა. ათი წლის განმავლობაში ასი წლის ნაჯიჯეგნ-ნაგვემი საქართველოს დიდება ალადგინა. ერთ ხანს საქართველოში მშვიდობიანობამ დაისადგურა, მაგრამ წინა მიწისძვრებმა და ომებმა მაინც დაასუსტა ქართველი ერი. ბოლოს ჭირი და ქლოლერა გაჩენილა საქართველოში და ამ სახადით მეთოთხმეტე საუკუნის მეორე ნახევარში ქართველების დიდი რაოდენობა დახოცილა. საქართველოს დასვენება არასოდეს ღირსებია. თავს ნამოწევდა თუ არა ერი, წელში გაიმართებოდა თუ არა, ახალი უბედურება დაატყდებოდა თავს.

თემურ-ლენგი მოევლინა საქართველოს ჭირად და უბედურებად. მან საქართველოში ქვა-ქვაზე აღარ დატოვა, გადაძოვეს ქვეყანა, ძლევამოსილის შარავანდედით ნათლული ქართველი ერი მონლოლთა ზვავს მეღგრად უძლებდა. ჩვიდმეტი წელი ითარეშა საქართველო-

ში მსოფლიოს მოძულე და ვერაგმა მტერმა თემურ-ლენგმა და აოხრებული, მაგრამ დაუმარცხებელი საქართველო საბოლოოდ მი-ატოვა.

საქართველოს ახალი საშიშროება ელოდა სპარსელთა მხრიდან, შემდეგ სპარსელებს მონღოლურდოთაგან გადარჩენილები და თურქ-სელჩუკებისაგან ნარჩენების შეერთებით წარმოქმნილი ახალი სა-შიშროებაც დაემატა ოსმალების სახით და საქართველოს ხელახალი ომები, აოხრება და ტანჯვა-წამება ელოდა. ასე დაიწყო გიაურთა გამ-აპმადიანების მიზნით მათი შემოსვებიც, რომელიც სინამდვილეში დაპყრობითი იყო და ტერიტორიების შემოერთებას ისახავდა მიზნად.

– ახმედ ბატონი, ისტორია რომ კარგად გცოდნია, ამას ნამდ-ვილად ვიჯერებ, მარა სად ამოიკითხე ეს ყოველივე?

– ოსმალეთში არაბულენოვან წიგნს მივაკვლიე, იქ დაწვრილები-თაა აღნერილი არაბთა შემოსვიდან დღევანდლამდე თითქმის ყვე-ლაფერი, არაფერია გამოტოვებული. ოსმალთა მიერ შედგენილია კიდევ „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“. ეს წიგნი ოს-მალურენაზეცაა და დაშიფრული დამწერლობითაა შედგენილი. ჩვენ-თან ხომ ქართული დამწერლობა ნუსხა-ხუცურიცაა, აი, ამის მსგავ-სია და ყველას არ ძალუს ამ წიგნის წაკითხვა, რომელიც 1595 წელს შეუდგენიათ და მასში აღნერილია სამცხე-საათაბაგოს დასახლებუ-ლი პუნქტების 1160 ერთეული, მაგრამ ორმოცდაათზე მეტი სოფე-ლი რაღაცნაირად გამორჩენიათ, როგორც ჩანს არ მოსწონებიათ ბუნებრივი პირობების გამო და სხორცედ ესაა მიზეზი, ამ კუთხეებში მაინცდამაინც რომ ვერ ბოგინობენ, თუ არ ჩავთვლით წვრილმან ქურდბაცაცობას და შენი მამუკას გატაცების ამბავს. ახალციხე ოს-მალურ წყაროებში მოხსენიებულია XII-საუკუნიდან. 1578 წლითაა დათარილებული დაპყრობის ამბავი, მაგრამ სხვა წყაროებში 1500-იანი წლებია მოცემული. ასე თუ ისე „დიდი დავთარის“ შედგენით წერტილია დასმული ქართული სახელმწიფოს გავლენაზე ამ ტერი-ტორიებზე. 1628 წლიდან კი დაფიქსირებულია საფაშოს სახელ-წოდებით. შენი ტერიტორია სანჯაყ-ბეგების გამგებლობაში რჩებო-და და ოსმალთა გამგებლობაში არ შედიოდა, ამანაც იქონია გავლენა შენს საგამგებლოში რომ ჯერჯერობით თავისუფლად ვართ. იქ მოთხოვთ აგრეთვე ეპიზოდები, რომლის მიხედვითაც გავიგე,

რომ დიდხანს, ასეულობით წლობით ირანსა და ოსმალეთს რიგრიგობით ჰქონიათ დაპყრობილი სამცხის ტერიტორია. ეხლა კი ცნობილია ჩვენთვის თუ რა მდგომარეობაში ვართ.

— ძალიან დიდი მადლობა ამ ცნობებისათვის, მაგრამ საკუთარი თვალებით ნანახს არაფერი სჯობს. ისე კი ჩვენი ისტორია თავიდან ბოლომდე სისხლიანი და ცრემლიანია, ნატანჯი და ნაგვემი, ათასჯერ დაქცეული და აღმდგარი მკვდრეთით. ნეტა სადამდე გაგრძელდება ასე? იქნებ მამუკას „ფაშა-მდივნად“ გამჩესების შემდეგ მაინც დაგვადგეს საშველი. საკუთარ კუთხეს ხომ არ ჩაუგდებს მტარვალებს?

— ეგ შეიძლება ცოტა ხნით გაგრძელდეს. ასე იციან ოსმალებმა — ჯერ თითქოს ყურადღებას მოადუნებენ, შემდეგ კი უცებ დაიზაფრებიან და მერე ვეღარაფერი აკავებთ მათ. როგორც თათარ-მონღოლთა ურდოებისა და სპარსელ-ყიზილბაშთა დანალაშქრავ ტერიტორიებზე მათი გავლის შემდეგ ბალახიც კი აღარ ხარობდა, ისეც ისმალთა ნაბრძოლ-ნალაშქრევ-გავლილ ადგილებზეც აღარ იხარებს ბალახი, ამიტომ მათ იციან რომ სადაც არ უნდა გაილაშქრონ, სადაც არ უნდა დაკვდნენ საბრძანებლად, ყველგან ლალატის სუნი სცემთ, იციან ქართველთა ორბუნებიანობა, რომ ქართველები ხან ისმალთ ემსრობიან, ხან კიდევ ყიზილბაშებს, ხან ერთმანეთს ებრძვიან და ხანაც კიდევ ერთგულების ფიცმიცემულ ყიზილბაშებს ან ოსმალებს. უსისხლოები არიან ოსმალები, უბრალოდ, სიზმარში მოლანდებული მოჩვენების გამო, ყველაზე ერთგულ მსახურსაც არ დაინდობენ. ეს მათ ქართველებისაგან ისწავლეს, როდესაც შვილი, მეფე-მამას კლავდა შეუბრალებლად და ხან, მამა-მეფე შვილს კლავდა უბრალო „დასმენის“ შემდეგ. ცუდი მაგალითი მისცეს ქართველებმა მტრებს მაშინაც, როდესაც საქართველოს სიყვარულით და გაერთიანების მონადინე სურვილით გმირი — გოორგი სააკაძე, ხან ერთ მტრეს — ყიზილბაშებს ჩაუგდეს ხახაში და ხან ისმალებს, ხოლო ასე „მიგდებულ“ სახალხო გმირებს, გულლომ მეფეებს და ბატონიშვილებს ჯერ იყენებდნენ და შემდეგ სასტიკად უსწორდებოდნენ ურჯულოები... სამწუხაროდ ეს სინამდვილეა და მარტო მღვდელ თევდორეს გმირობით გულზე მჯიდის ცემა ვერაფერს გვიშველის, რას იზამ, საქართველოში ყველა ერთმანეთს ლალატობს და სწორედ ამიტომ არ გვპატიობს უფალიც და აოხრებინებს ჩვენს თავს ამ ცვედანებს

და რჯულიპარიებს... ამოიოხრა დავით-ფალავანმა და ახმედ-ხოჯას შეხედა.

– მე რამდენადაც ვიცი – თქვა ახმედმა – ეხლა საქართველო ისევ აწენილ-აშლილია, მარტო ერეკლე მეფე ვერას გახდება მტრებთან ბრძოლაში, იქედან ნაღირ-შაჰია მომდგარი და აოხრებს საქართველოს, აქედან ოსმალები გვაოხრებენ და მე მგონია, რომ ირანი და ოსმალეთი შეთანხმებულად მოქმედებენ, ხან ერთი ჯიჯგნის საქართველოს, ხან მეორე, თორემ ეგენი რომ ერთმანეთს მტრობდნენ საბრძოლველი მინდვრების მეტი რა აქვთ. ამას კი ვერ ხვდებიან ქართველები საუბედუროდ და თუ ირანის შაჰს სხვა ქვეყნების დასალაშქრავად მიჰყვებიან და ნარმატებებსაც აღწევენ, უკან მობრუნებულები, თითქოსდა გულმობრუნებულნი საქართველოს „კეთილდღეობისათვის“ ხან ოსმალთა ფაშას წარუდღებიან ქართველთა ასაოხრებლად, ხან ყიზილბაშთა შაჰს ან ხანს და ვითომდა მომხვდურთაგან თავდასაცავად და თავის დასახსნელად ისევ მტრებს მიმართავენ. ქართველებს ერთი რამ ავიწყდებათ – ერთმორწმუნე რუსეთი მტკიცედ უნდა დაიყენონ პირობაზე, მაგრამ ვიცი ისიც, რომ რამდენჯერაც იცდილეს ასეთი კავშირის დამყარება, იმდენჯერ მოეცარათ ხელი, რაღაც ვერ გაუგეს ერთმანეთს.

– რა ხდება იცით? – თქვა შალვამ – წელან რომ ახსენე მომხვდურთა მონაცემლეობაზე, ეს რუსთა ხელმწიფემაც იცის და ქართველებს დიდად არ ენდობიან და მარტო დაპირებებით ისტუმრებენ. რუსეთს ჩვენი ქვეშევრდომობა აწყობს, ეს კი ქართველთა გულისწყრომას იწვევს. ერთადერთი გზა რუსეთის დახმარებაა, მაგრამ რომც დაგვეხმაროს, გავა საუკუნეები და რუსეთს უფრო მოვიძულებთ, ვიდრე მაოხარ ყიზილბაშებს და ოსმალებს. ეს კანონზომიერებაა ქართული, ხელს იწვდიან რუსეთისაკენ და ზურგში სამუსლიმანო სამყაროს შიშიც აქვთ, რომ მოულოდნელად ისევ არ მოგვაოხრონ. ერეკლე || ანუ პატარა კახი ჭკვიანი და ძლიერი პოლიტიკოსია და მგონია, რომ შეაკავშირებს საქართველოს, თუმცა ეჭვი მაქვს, იმიტომ რომ ერეკლეს საქართველოს მეფედ არ აღაზევებენ თავგასული ფეოდალები... თუ ერთ მუშტად არ შევიკრებით, ცალ-ცალკე ყმად გაგვიხდიან. უფრო უარესი, დამპყრობლები თავიანთ

ქვეყნებში ასიათასობით ტყვეს მიერეკებიან, ტყვეთა სყიდვითაც აჩანაგებენ საქართველოს, აქეთ კიდევ გასული წლის ეპიდემიაც და... კიდევ ვინ იცის რა გველოდება. სპარსეთის შაჰები ძალიან გამამად-ალლებულები არიან. ყველაფერს ხარკავენ საქართველოში და ამი-თაც სულს ხდიან. ისედაც გაძვალტყავებულ მცხოვრებლებს... უფა-ლი თუ არ ჩაერია ჩვენი ქვეყნის საქმეებში, საშველი აღარ არის.

— ეჭ, ხანდახან უფალი თვალებზე ხელებს იფარებს და ამიტომ ვართ ამ დღეში, თორემ რამდენი ომი გადაგვიტანია და... რიცხო-ბრივად ოცდახუთჯერ მეტ ასმალებს თუ სძლია დავით აღმაშენე-ბელმა, ნუთუ ისე დავილიეთ რომ... აღმაშენებელმა 40000 ყივჩალი ჩამოასახლა საქართველოში და ისე ომობდა. ოთხასიათას ასმალოს რომ 56000 მეომრით სძლია, ყივჩალები რაღად სჭირდებოდა?

— სამარქაფო ჯარი შექმნა ყივჩალებით, მაგრამ მათი ჩამოსახ-ლება არ იყო მართებული, გავა დრო და ისინი საქართველოს მთლი-ანად თავისი ტერიტორიად გამოცხადებისათვის იბრძოლებენ.

— ეგ არ მოხდება არასოდეს.

— როგორ არ მოხდება. როცა იციან, რომ შენ აღარ შეგიძლია მომხვდურს გაუმკლავდე და მათ დაიქირავებ, როგორ გგონია ბო-ლოს შენ არ შემოგიბრუნდებიან?

— ყველაფერი შესაძლებელია რომ მოხდეს. არეულ დროში ვართ...

ამ დროს ფატმან შემოალო კარები.

— თქვენ ისე გაერთეთ საუბარში სადილიც გადაგავიწყდათ, ვახ-შმობასაც აღარ აპირებთ?

— მართლაც და გავერთეთ, გავერთეთ კი არა შვილო, ქვეყნის, ერის სატკივარი გვტკივა და ის გვალაპარაკებს...

— მერე სამი კაცით გინდათ ებრძოლოთ უბედურებას?

— თუ სამმა და ოთხმა არ ვიტკივეთ თავი, ყველა თუ მოეშვა, მაშ აღარც სადარდო გვექნება. ერის ტკივილი ყველამ უნდა გაითავი-სოს, ყველას უნდა ეხრუკებოდეს გული საქართველოს უბედურების გამო. ყველას ვალია ხმლის მოშიშვლება, თორემ უმოქმედობით ხმ-ლებიც დაიუანგება და ჩვენი სისხლძარღვებიც.

სავახშმოდ სასადილო ოთახში შელაგდნენ. შალვამ დოქით შუშ-ხუნა ღვინო ჩამოდგა.

– ამ სასმისით დიდ უფალს ვევედრები, დაგვიცვას უკეთურთა აწინდელი ხელყოფისაგან. მშვიდობა მოგვცემოდეს – თქვა შალვამ.

– ამინ, გაუმარჯოს. მე კი დავამატებდი, რომ ქართველი ხალხი ვითარცა აღმაშენებლის დროს, ერთ ჭკუაზე და ერთ დაძახილზე დამდგარიყვნენ მტერთა წინაშე. ქუდზე კაცი – ყოველთვის კანონი ყოფილიყოს, მოსისხლებს, მტრებს და მოღალატებს გინდ თავისიანის და გინდ მტრის ტყვია, ისარი და ხმალი არ აცდენოდეს...

– ოჰ, თქვენ გაიხარეთ ამ ლამაზი სიტყვებისათვის – თქვა მარიამშა და თავადაც აიღო ჭიქა.

– ვისაც საქართველოს, ქართველი ხალხის სატკივარი არ აწუხებს და მარტო ჭამა-სმაზე ფიქრობს გულ-ლვიძლი გამოფიტვოდეს, ვისაც საქართველოს ბედი არ აწუხებს, უფალმა სატკივარი არ გამოულიოს. ვისაც დები, დედები, ბებები, გულისხმორი არ ადარდებს, უფალმა ქალის მანძილის დანახვა ანაგროს, წყალი უნდოდეს და სისხლად გადაქცეოდეს, ნათელი ბნელად ქცეოდეს – თქვა დალია და დაჯდა.

მამაკაცებმა ერთმანეთს გადახედეს და ჩილიმეს.

– ეგ ლოცვა იყო თუ წყალი ქალბატონო – ჰეითხა მეულლეს შალვამ – ნათელის ბნელად ქცევას ჯიბგირები ნატრობენ და ქვეყანას რომ ჯიბგირები და მამაძალლები დაპეატრონებიან დღეს, ხომ იცი. მიწა გახეთქოდეთ ავისმდომებლებს და მიწისძვრებით საძირკველი დანგრეოდეთ, საფლავი არ ღირსებოდეთ.

– ქალებს დიდი საქმეებიც შეუძლიათ. საქართველოში ბევრი ქალი ასრულებდა სამშობლოს წინაშე პატრიოტულ, დიპლომატიურ თუ მშვიდობის დამაგვირგვინებელ საქმეს. მათგან ძალზე საამაყოა ქართლის მეფე – სვიმონ პირველის მეულლე – გულჩარა, მეფე გიორგი X-ის ასული, რომელიც, ოსმალეთის სულთანის ტყვე – სიმონ მეფის გამოსახსნელად მივლინებულ დელეგაციას გაჰყვა ძმის – დავითის ერთად.

გულჩარამ სულთნის დედის ნდობა დაიმსახურა, რის შემდეგაც, სულთანმა და დედამისმა დაითანხმეს ქართლის დედოფალი, რომ ენარმოებინა საზავო მოღაპარაკება ირანის შაჰისა და სულთანის შორის, რომლის კეთილად დასრულების სანაცვლოდ სვიმონ მეფის გათავისუფლებას შეჰპირდნენ. ქალის დიპლომატობა არ მოეწონათ ირანელებს და მითუმეტეს, როდესაც ქართველ ქალებზე არიან შეყ-

ვარებულები თითქოს, ოსმალებს ქირდვით მოექცნენ და მოლაპარ-აკება არ შედგა, გულჩარამ, ქართველმა ქალმა იმდენი იდიპლომატა მათ შორის, არ შეურცხვენია ქართველი სული და ვაჟკაცობა და მაინც მოაგვარა საქვეყნო საქმე. 1612 წელს ზავი დამთავრდა, თუმცა, სულ-თანმა ვერაგობა გამოიჩინა და გულჩარა დედოფალს დანაპირები აღარ შეუსრულა.

1599 წელს, იედიყულეს ციხეში მოთავსებული სიმონ მეფე ტყ-ვეობაში გარდაიცვალა. ამაო გამოდგა გულჩარას მცდელობა.

კიდევ ქართველი ქალები თუ გადაარჩენენ ქვეყანას, მათი მოხ-ერხებით, თორემ გაქსუებული დიდგვაროვნები ქარის მოტანილად თვლიან ყველაფერს და თავიანთი ავზნეობით ქვეყანას საფუძველს აცლიან და უმინოდ მარხავენ ქართულ მეობას, ვაჟკაცობას, სახელმ-წიფოებრიობას, ტრადიციას, კულტურას და ისტორიულ წარსულს. ასეთი არაკაცები ყოველთვის ჰყავდა საქართველოს და ყველაზე ძნელი ისაა, ჩვენ მომზვდურებსაც უნდა ვებრძოლოთ და ასეთ არ-აკაცებსაც. ორ ასპარეზზე ბრძოლა კი ნამდვილად ძნელია.

— ქალი მეფე იყო თამარი და ისე გააძლიერა სახელმწიფო, შიშის ზარს სცემდა, როგორც გარეშე, ისე შინაურ მტრებს. რა გგონიათ მოლ-ალატე და დიდგულა ფეოდალებს, რომ დაერია და ამოაუქუვინა, დააშა-ვა ამით? არა, სახელმწიფოს ძლიერებას, ამისთანა ფეოდალების კი არა, მეფის მოსპობაც სჭირდება, თუკი ისინი უღირსად მოიქცევიან. აკი თორმეტი მილიონი იყო საქართველო თამარ მეფის დროს და კიდეც იმიტომ იყო ძლიერი, რომ უნარიანი მმართველობით ზოგი-ერთი მეზობელი ქვეყანა დამეგობრებული ჰყავდა, როდესაც ერთს ეომები მეორე ქვეყანა ზურგიდან მახვილს ჩაგცემს, ამაზე ძნელი რა უნდა იყოს. ვერაგი ყიზილბაშები უკან როდესაც დაიხევენ, ჩრდილო-ეთიდან ლეკები და ათასი ჯურის ვიგინდარა შემოესევა საქართველოს. ლეკებს გარეკავენ და შინააშლილობაში ღაფავენ სულს. გამოჩნდება ამათი დამაწყნარებელი და დიდხანს არ შეარგებენ სიცოცხლეს, მერომ უფლისმიერი ძალა მქონდეს, საქართველოს მოსახლეობას მთლიანად მოვსპობდი და ახალ ხალხს დავაჯიშებდი..

საერთო სიჩუმე ჩამოვარდა მარიამის ნათქვამზე. დიდხანს დუმ-დნენ და ისე ილუკმებოდნენ. ფატმას კი ცრემლები მოუგორავდა სახეზე, ლუკმას ცრემლებს აყოლებდა თან.

– რა გატირებს რძალო? – შეეკითხა შალვა.

– თითქოს სიხარულის ცრემლებია, მაგრამ მწარეცაა ჩემთვის.

რა გვინახავს ახალგაზრდებს, რანაირი გზა მაქვს გამოვლილი და მართლაც რას ჰგავს ჩვენი ცხოვრება, ნუთუ არასოდეს დაეწყობა ისე, ჩიტებივით გვიხაროდეს მზის ამოსვლა? განა მარტო ისაა ბედნიერება, რომ თბილი ლუკმა მივირთვათ, მაგრამ სახელმწიფოს უჭირდეს და ამას ყველა ვერ ხედავდეს? არავითარი განსხვავება არ უნდა იყოს დიდგვაროვნებსა და დაბალი ფენის შედარებისას – სახელმწიფოზე ზრუნვა ყველასათვის სავალდებულოა. ოსმალეთში, ქალებს არაფერს ეკითხებიან არასოდეს და სწორედ ესაა მათი ძლიერების ბერკეტი, ჩვენთან, აյ საქართველოში ალბათ პირიქით უნდა იყოს, გამომდინარე იქედან, რომ საქართველოს ქალი-მეფის დროს ბადალი არ ჰყავდა სიძლიერეში. იმდენად აღფრთოვანებული არიან ოსმალეთში მისი სახელით, რომ დღესაც პირზე აკერია ყველას „თამარის“ სახელი. ნუთუ კიდევ გველირსება იმისთანა პიროვნება, ვინც გადამთიელებს კუდით ქვას ასროლინებს? ღმერთო გადმოგვხედე – თქვა ფატმაშ და სისხლისამაჩქროლებელი სითხე თვითონაც მოწრუპა.

– ამისთანა ჭკვიანი ქალები მართავდნენ დროდადრო ქართულ საველმწიფოებრიობას. დღესაც გვყავს ისეთი ქალები, რომლებიც მეფის ტახტს და საქართველოს დაამშვენებენ და გააძლიერებენ კიდევაც, მაგრამ რად გინდა, როდესაც დიდებულები ვერ იტანენ ერთმანეთის გაძლიერებას, განა ქალს მისცემენ პრიორიტეტს? არა, ეს ალარ მოხდება მგონია საქართველოს ისტორიაში. დავით ალმაშენებლისა და თამარით დამთავრებული პერიოდის სიძლიერის სახელმწიფოებრიობა ალარასოდეს იქნება. დღეს როდესაც ერეკლე მეფის დონის პიროვნება გვყავს და ქართველი დიდებულები კვლავ სხვადასხვა მხარეს იყურებიან, არაფერი გამოვა. უღელში შებმული ხარებიდან, როდესაც, ერთი მხარეს ექაჩება, მეორე კი მეორე მხარეს, იქ არც სწორი ხნული გაივლება და არც ურემი გაივლის უხიფათოდ. კიდევ დიპლომატია გვჭირდება თორებმ, ხახადაბჩენილი ორი ლომი, კბილების ლრჭენით ელოდება ჩვენს ისე დასუსტებას, რომ ერთი ყლუპით ჩაგვყლაპოს. აი, სადამდე მიყვავართ ჩვენი უგუნური დიდგვაროვნების, ფეოდალების ურთიერთძლებვის სურვილს. შე-

ნიანზე მიშვერილი თოფი და ხმალი საქართველოს დალუპვას უქა-
დის აუცილებლად, გამაერთიანებლის მისიას კი ჯერჯერობით ვერ-
ავინ კისრულობს. ეჱ, რას იზამ, ჯიუტი ერი ვართ... დაასრულა შალ-
ვამ და მორიგი ჭიქა გამოსცალა.

სახელმწიფოებრივ საჭიროოროტო საკითხების მაღლა დაყ-
ენებით და გამოსავლის ძებნის ვითარებაში ჩართვა ქართველი პა-
ტრიოტის და ერთგული მამულიშვილის, მესხი დიდებულის – შალვა
დიასამიძის ოჯახში დიდებული ვახშამით, დამთავრდა რომელიც
ქართული ტკივილით იყო დახუნდლული და დამძიმებული.

– უფალო, ლამაზი ხვალე გაგვითენე, ხვალე და ხვალის იქითა
კიდევ – თქვა ახმედმა.

– ამინ – დაეთანხმა ყველა და პირჯვარი გადაისახეს...

* * *

1760-იან წლებში სპარსეთში ტატისათვის მოცილეობაში აღარ
ეცალათ და საქართველომ თითქოს ამოისუნთქა, სამაგიეროდ ოს-
მალები მძლავრობდნენ ლიხს აქეთ. მათი ძირითადი მიზანი ქუთაი-
სის ანუ იმერეთის დასაკუთრება გახდათ და დასავლეთი საქართვე-
ლოც ხომ 1700-იანი წლებიდან ოსმალებით იყო სავსე.

ვიდრე ქართველი მეფეები რუსეთში ექცებდნენ ხსნას, მანამ ოს-
მალობამ მთლიანი ახალციხე დაიკავა და დანარჩენი საქართველოს
დასაპყრობად პლაცდარმად გამოიყენეს. მომხვდურებს მოღალატე
და მეფობის მაძიებელი ქართველი თავადებიც უერთდებოდნენ.

ამ დროს კი ნადირ-შაპი თარეშობდა აღმოსავლეთ საქართველო-
ში ლეკების, ყიზილბაშების, ავლანელთა ნარჩენებით და ქართველი
მოღალატეების ჯარით. ნახევარი საქართველო ყოველდღიური ცეცხ-
ლის საბურველით იხრუებოდა. მესხეთ-ჯავახეთში მკვიდრად ჩამჯა-
დარი ფაშები განცხრომით ცხოვრობდნენ, ფხიზლად ადევნებდნენ
თვალს შაპ-ნადირის თარეშს და ქართველთა მზაკვრობით შეჭირვე-
ბულ საქართველოს.

განუკითხაობა მძვინვარებდა საქართველოში. ხოცვა-ულეტა,
ტყვეების წასხმა, შიმშილი და ეპიდემია, შინააშლილობა და ათასი
უბედურება.

ახალციხის ფაშა ფეხმორთხმით იჯდა ხალიჩაზე და მუთაქებზე მიწოლილი კრიალოსანს მარცვლავდა.

მსახურმა სტუმრის წვევა ამცნ.

ამაყად შევიდა მამის ფაშის ადგილსამყოფელში და დიდებულის საკადრისი უესტით მიესალმა.

– მოპრძანდით ეფენდი. სტუმარი ღმერთის გამოგზავნილია და შესაფერისი მასპინძლობაც შეგვიძლია – თქვა და ტაში შემოჰკრა.

მსახური შემოვიდა. ფაშამ თვალი უყო და მსახურმაც ყავითა და ტკბილეულით დახუნდლული ტაბლა შემოიტანა.

– რას მივაწეროთ შენი სტუმრობა? ვინა ხარ და სადაური ხარ? ისე კი ვხვდები რომ უბრალო ადამიანი არ იქნები.

– აი, ფირმანი, სულთანისაგან გამოგზავნილი, შენს თანაშემწედ მნიშნავენ, მალე ალბათ შენს ადგილს დავიჭრ. ისე კი აქაური ვარ, მესხი დიდებული, დიასამიძე გახლავარ.

– შალვას შვილი ხომ არა ხარ შვილო?

– ჰო, შალვასი ვარ. იცნობთ მამაჩემს?

– ვიცი, რომ კარგი ადამიანია. ვისაც არ შევეკითხე, ყველასგან მის კარგ კაცობაზე კარგი სიტყვები მოვისმინე. ისე უნდა გითხრა, რომ სულთნისაგან დავალებული მაქვს რამდენიმე თავადი მოვთოკო, ზოგის მოკვლაც მაქვს დავალებული, მათ სიაში მამაშენიცაა და რახან ბევრი კარგი მსმენია მამაშენზე, ჯერ არაფერს ვაკეთებ საზიანოს. კარგი ადამიანები მეც მჭირდება, რომ ხალხი მორჩილებაში ვიყოლიო. აი, შენ მაგალითად საიდან მომევლინე, ან ეგ ფირმანი როგორ ალმოჩნდა შენს ხელში.

– მე დიდი სასულთნოს ეხლანდელი სერასკერის შვილობილი ვარ, თექვსმეტი წელინადი მის ხელქვეით ვიზრდებოდი და ალბათ ამ ადგილისათვის მამზადებდნენ, ეს კი გეცოდინება ფაშავ...

– სიტყვიერად კი ვიცოდი, ფირმანით კი არა. მე უკვე მოვხუდი, ეხლავე შემიძლია გადმოგილოცო ფაშობა, მაგრამ ეგ უკვე ჩემზე არ არის დამოკიდებული. საფაშოს მართვა-გამგეობა შენ მოგიწევს მაშინ, რახან ეგრეა. მე დავისვენებ და სანამ ფაშობა არ მოუციათ შენთვის, მანამ შემარე აქ ყოფნა. მამაშენს კი ჩემი იმედი ჰქონდეს, ვიდრე მე და შენ ვიქნებით ამ სასახლეში, ბუზს ვერავინ აგვიფრენს.

– მეც ასე ვფიქრობდი. ეხლა რა უნდა ვაკეთო, თუ შეიძლება გზა-ზე დამაყენე, ასეთ საქმეებში გამოუცდელი ვარ...

– პირველ რიგში ხალხი უნდა გავამუსლიმანოთ, მაგრამ ურ-ჩებს ან ოსმალეთში გავაგზავნით ან საიქიოს...

არ მოეწონა მამუკას ფაშის განზრახვა და ტონი.

– ხალხის გამუსლიმანება ხოჯა-მოლების საქმეა, ჩვენ საფაშოს მართვა-გამგება გვევალება. მეორეც – ხალხის გამუსლიმანებას არავითარი აზრი არა აქვს, ხომ არავინ გვემტერება, აჯანყებას არვ-ინ აწყობს...

– ჩვენ ხალხს გამოკვება ხომ სჭირდება? ვინ გადაგვიხდის ქრის-ტიანები? გიაურები? არა მგონია და ამიტომა საჭირო მათი გამუს-ლიმანება.

– შემდეგისათვის ვილაპარაკოთ ფაშავ. ეხლა კი უნდა დაგტოვ-ოთ.

– მამაშენი მომიკითხე. ისე რომ მესტუმროს საერთო ენას გამ-ოვნახავდით.

– ვეცდები. კარგად ბრძანდებოდეთ ეფენდი. როდესაც საჭიროდ ჩათვლი, კაცი გამომიგზავნე და გეახლები, ისე კი იცოდე, დასვენება და მოსვენება მეც მინდა, თექვსმეტი წელი ოსმალეთში ვიყავი და მართალი გითხრათ დავილალე. თუ ძალიან საჭირო არ იქნება, ნუ გამომიძახებთ, მასუნთქეთ ჩემი სოფლის ჰაერით.

მთელი ნახევარი წელი ისე გავიდა, შალვას საგამგებლოში ცუდი არაფერი მომხდარა, გარდა იმისა, შალვას მეზობლების პირუტყვი გაირეკეს საძოვრებიდან.

– ამათი თარეში უნდა აღვკვეთოთ – თქვა შალვამ.

– ეგ ფაშის ხალხი არ იქნებიან მამა, ძალიან პატივით მოგიხსე-ნიათ ფაშამ. სხვების გაკეთებული იქნება. ნახირს საზღვარს მიღმა გადაიყვანდნენ. ნახირს ვინ ჩივის, ხალხი არ გარეკონ ოსმალეთი-საკენ, აქეთკენ მიყავთ საქმე, მაგრამ ჩემი იმედი ჰქონდეს ხალხს და კიდევ შენ. ფაშამ მოკითხვა დამაბარა და შენი გაცნობის სურვილიც გამოთქვა. ნახირის გარეკვას კი ავანტიურის სუნი უდის და უნდა მოვითმინოთ როგორმე.

– მე ერთი ფაშა მყავს ჩემი ჭკუისა, ენვერ-ფაშა. მეორეც შენ იქნე-ბი ალბათ და მაგ ფაშასთან არაფერი მესაქმება, ვიცი რომ არაა კარ-

გი კაცი, ინტრიგების ოსტატია და შენც უნდა უფრთხილდე, ოსმალოა რაც არ უნდა იყოს.

მამია თავის ჭკუაზე დადიოდა, თავის ხალხს ეალერსებოდა, ფატ-მას კი თავისი საზრუნავი ჰქონდა, ბავშვს უვლიდა და თან მრგვალდებოდა – მეორე ბავშვზე იყო ფეხმძიმედ.

– ღმერთო ჯანმრთელი შთამომავლობა მომეცი და სხვა არა მინდა რა ხშირად ევედრებოდა უფალს.

აგვისტოში, ფერიცვალობამდე მამიამ და ფატმამ ეკლესიაში ოფიციალურად ჯვარი დაიწერეს და ეკურთხნენ კიდეც, ოლონდ ეკლესიის მესვეურო სრული საიდუმლოების დაცვა მოსთხოვეს.

– იმედი გქონდეთ შვილნო ჩემნო – უთხრა მამაო თევდორემ – ჩვენი დიდებული წინაპრის – აკეპილ მღვდელ თევდორეს სულს გეფიცებით ჩვენგან ამბავი არ გააღწევს, ისე კი რახან ფაშას მოადგილედ გამწესებენ, დაცვაც გეყოლება და თქვენ ყოველ ნაბიჯს შეამონებენ, ამიტომ არაა სავალდებულო ეკლესიაში სირბილი, მთავარია გულით გწამდეთ. გარეგნულად კი შეგიძლიათ სასულთნოს ერთგულება დაამტკიცოთ. ოლონდ ნუ დაივიწყებთ, ყველამ ქართული სახელმწიფოს სიძლიერისათვის უნდა ვილოცოთ, ჩვენი უპირველესი საფიქრალი ესაა.

– ასეც იქნება მამაო თევდორე, სამშობლოს არასოდეს ვულალატებთ.

– ჰო, შვილო ჩვენო. მე მჯერა შენი, რომ შალვა დიასამიძისა და საქართველოს სახელს არ შეარცხვენთ.

სულიერად დამშვიდებული წამოვიდნენ ეკლესიიდან მამუკა და ფატმა.

– როგორია წუთისოფელი მამუკა არა? ქრისტიანებად დავიბადეთ და დროისა და ვითარების გამო მუსლიმანებად ვიქეცით, ეხლა კი ისევ ქრისტიანულ გზას დავადექით. ეს რომ გაგვიგონ, გვაპატიებენ ოსმალები?

– ნამდინარევზე ყოველთვის ჩაივლის წყალი, ეს გამოუვალია, ხოლო ჩვენ კი არ შევიცვალეთ, იძულებით შეგვიცვალეს. ყოველგვარი იძულება უფლისაგან ისჯება სხვადასხვაგვარად, ხოლო შენ თუკი ცოდვად მიგაჩნია სარწმუნოების ცვალებადობა, ყველაფერი უფლითაა და ყოველგვარი ნაწილები ისევ უფალს ბარდება, ოლონდ

უნდა იყოს უმნიკვლო. უმნიკვლობაში მე ვხედავ სამშობლოსა და ხალხზე, მშობლებსა და თავისიანებზე თავგადაკლული სიწმინდით მავალ ადამიანებს, ესაა მთავარი და ჩვენ ასეთად დავრჩებით მგონია სიცოცხლის ბოლომდე.

– რა თქმა უნდა მამია, მე სხვაგვარი აზრი არასოდეს მასულდგმულებდა...

– სწორედაც ამიტომ შეგვაერთა ღმერთმა, ერთნაირი აზრები რომ გვასულდგმულებს, მაგრამ არ ვიცი ჩვენს ნაბიჯს როგორ შეხვდებიან ახმედი და დავითი.

– გაუმხელ დღევანდელ ჩვენს ქმედებას მათ?

– მე მათთვის არასოდეს არაფერი დამიმალია და არც ამას არ დავუმალავ, მე მათი პატივისმცემელი ვარ სიკვდილამდე.

სალამოთი დაბრუნდნენ სახლში ფატმა და მამუკა. ვახშამს ერთად შემოუსხდნენ ოჯახის წევრებიც და მამუკას აღმზრდელებიც. მარიამმა შვილს და რძალს ხასიათის ცვლილება შეამჩნია.

– რაღაც ძალიან შეცვლილები მეჩვენებით ორთავე, დილით ასეთ ხასიათზე არ იყავით, რამე მოხდა შვილებო?

– რას ხედავ ქალო უჩვეულოს? – შეეკითხა შალვა.

– რას და ცოტა უფრო მეტად კმაყოფილი სახეები აქვთ და მგონია რაღაცას გვიმალავენ.

ფატმამ და მამუკამ ერთმანეთს გადახედეს. ახმედმა და დავითმა მიხედეს მათ და ახმედ-ხოჯა მამუკას სასიამოვნო მზერას წააწყდა.

– რა მოხდა მამია, ვიცით რომ ფაშასთან იყავი, მაგრამ შენი სახის გამომეტყველება სულ სხვაზე მიგვანიშნება.

– მართალი ხართ ყველანი, მაგრამ რასაც გეტყვით, დარჩება ჩვენში და სხვამ, ვინც არ უნდა იყოს არაფერი არ უნდა გაიგოს.

– რაა ასეთი შვილო, ალარ გვენდობი? – იკითხა შალვამ.

– მაშ პირდაპირ ვიტყვი, ეკლესიაში ვიყავით და ჯვარი დავიწერეთ.

– მერე მაგას მალვა უნდა?

– არც ვაპირებდით დამალვას, მაგრამ ახალშემოსულნი ვართ სახლში და უცებ ხომ არ ავმდერდებით. ეხლა იცით ყველაფერი.

– ნამდვილად არაა კარგი სხვებმა რომ გაიგონ.

– ჲო, არ მინდა ფაშის და სხვათა ყურამდე მიაღწიოს, ისინი სხვაგვარად ალიქვამენ და კარგი არ მოყვება ამ ამბავს, არავინ გასწევს

მამობილის ხათრს და აღარც ფირმანს მიენდობიან. მე უნდა დავრჩე მათ თვალში ისლამის მორწმუნებ და ასე უფრო გავაკეთებ ეროვნულ საქმეს.

— მაგაში მართალი ხარ – ჩაერია საუბარში დავითიც – არ იქნება შენი ამგვარი ნაბიჯი მათოვის მისალები, ამაში გეთანხმებით. ეხლა ისეთი დროა, შენით უნდა მიხვდე და გაიკვლიო ცხოვრებაში გზა, ამიტომაც როგორც მიგაჩნია საჭიროდ, ისე მოიქეცი. სიფრთხილე კი მუდამ გმართებს.

— შიშის საფუძველი ნამდვილად არსებობს – განაგრძო საუბარი ახმედ-ხოჯამ – ოსმალები დაუნდობლები არიან და ძალიან ფრთხილი, ამიტომაც მათი არმოსაწონი რომ დალანდონ, ხელათვე რეაგირებენ. მართლაც არ იქნება კარგი, რომ გაიგონ შენი ნაბიჯის მიზანი, ამიტომაც ჩვენ შინაურებს გვესმის ეს და ხატზე და დროშაზე დაფიცება არ გვჭირდება, საიდუმლოს დავიცავთ, მით უმეტეს ამის გამოცდილება გვაქვს. ერთი რამ მეც უნდა მოვყვე, რომელიც ისლამის რჯულის კანონებში წინაა წამოწეული. ამ ვითარებისათვის შეუფერებელია, მაგრამ დღევანდელი საუბრიდან გამომდინარე, საჭიროდ ვთვლი რომ ვთქვა:

შვილი, რომელიც რაღაც ნაბიჯს გადადგამს ცხოვრებისეულ გზებზე, აუცილებლად უნდა დაეკითხოს მშობლებს და მისი თანხმობით უნდა იმოქმედოს. ყველაზე დიდი ცოდვაა და მიუღებელი, როდესაც სარწმუნოებას იცვლი და ეს მშობელმა არ იცის, ხოლო თუ იცის და მათოვის მიუღებელია ეს ცვლა, მშობელზე ურჩობას არავითარ შემთხვევაში არ პატიობს უფალი შვილს. ეს ცოდვა კი ან მასზე აისახება ადრე თუ გვიან, ან შთამომავლობაში იჩენს თავს, ეხლა თქვენ დაგებადებათ კითხვა – ხომ სულერთია უფლისათვის, მისთვის რომელი სარწმუნოების ხალხი როგორ ილოცებს. იცით რა არის მთავარი? შვილმა ღალატი არ უნდა ჩაიდინოს, ეს უფლისთვისაც მიუღებელია, მიუხედავად იმისა ვის მიმართაა ჩადენილი, ღალატი ყოველთვის იყო და იქნება ადამიანის მეობის, სიწმინდის, აღმსარებლობის შემლახავი და ამდენად არასოდეს არ იქნება იგი საპატიებელი არავისზე. მშობლებზე ღალატი კი უფლის ღალატს ნიშნავს. განა უფალი ასეთ ქმედებებს გვაპატიებს? თქვენ დღევანდელი ნაბიჯი ღალატად არ ჩაგეთვლებათ – ასე თუ ისე ქრისტიანებად ხართ დაბადებული, ხოლო

თქვენთვის ისლამი იყო ძალად თავსმოხვეული. ასეთ შემთხვევაში პიროვნებაზეა დამოკიდებული ამ თუ იმ გარემოებათა გათავისება, თუ მისთვის მისალებია რაიმე, უფლება აქვს დაინარჩუნოს ის, რაც მისთვის მისალებია, ოღონდ ერთხელ კიდევ უნდა ვთქვა – ღალატის სუნი არ უნდა უდიოდეს. ერთი რამ კი უდავოა – ადამიანი რა სარწმუნოებითაც არ უნდა დაიბადოს, იმავე სარწმუნოებითვე უნდა დაიმარხოს. ეს მუსლიმანურ კანონებშიც ასეა და სხვა რჯულშიც. მიუღებელია, აგრეთვე ერთი რამ – ქრისტიანები მათი სურვილით რომ ნათლავენ მკვდარსაც რაც ქრისტიანულ კანონებში აკრძალულია, მაგრამ რას ვიზამთ, სიჯიუტეს ზღვარი არა აქვს, როდესაც ჯერ მიდგა ხალხის გამუსლიმანებაზე, ეს უფლის ნინაშე თითქოს ამაღლების ტოლი იყო, სინამდვილეში აქ სარწმუნოება საბაბია – დაპყრობა და საკვებით უზრუნველყოფა იყო მიზანი, ისეც გაქრისტიანება – მიზეზია ადამიანთა მოქცევა თითქოს ურწმუნოებიდან, სინამდვილეში შემოსავალი უდევს სარჩულად, თორებ ასეთ ძალდამტანებლებს ნეტა რა ენალვლებათ მე სამოთხეში მოვხვდები თუ ჯოჯოხეთში. როდესაც მიზეზ-მიზანთან გვაქვს საქმე, აუცილებლად სიფრთხილეა საჭირო. ადამიანები, რომელ ერსაც არ უნდა ეკუთვნოდეს, ისინი თუ მიზნად ისახავენ მარტო საკუთარი კუჭის ამოვსებას და ამ მიზნით ხალხზე თვალის ახვევას, თვალებში ნაცრის შეყრას, მოსპობა-განადგურებას, დამონებას და სხვა. ასეთები დიქტატორები ხდებიან და მათთვის სულერთია ყველაფერი და არაფერი ადამიანური არ აინტერესებთ, ასეთები წაბილნავენ ქვეყანასაც და უფლის კანონებსაც, დაღუპავენ ქვეყანას და მსოფლიოსაც.

თუ მცენარეს სხვა მცენარეები უშლიან ხელს სარეველას უწოდებენ და მას გამომარგლავენ, მიუხედვად იმისა თუნდაც ძირიფასი რამ იყოს, იმიტომ რომ ამ დროისათვის ის მცენარეა უპირატესი, რომელიც თესია. არავინ იზამს იმას, რომ სიმინდის ძირში უადგილოდ ამოსული ვარდი გააშენონ და სიმინდის ყანა გაანადგურონ. „ერთი მერცხლით გაზაფხული ვერ მოიყვანებაო“ – იტყვიან... ხადასან იტყვიან ისეც, რომ ქარავანს, რომელიც გზას ადგია ულაყი გამოურბენს და აიყოლიებს, ან ფაშატი გამოირბენს და ულაყი ქარავანი გამოენთება, ამ დროს ამრევზე ზემოქმედებას დაიწყებენ და თუ ვერ მოათვინიერეს უკიდურეს შემთხვევაში მას მოსპობა ემუქრება.

გონიერებაა საჭირო, „საითკენაც უმეტესობა მიექანება, იქითვენ უნდა წახვიდე შენცაო“ – ნათქვამია, მაგრამ თუ ისინი ზღვისკენ მიღიან დასახრიობად, ან ჭაობში ჩასაფლობად და ამას წინ აღუდგები, იქნებ შენც გაგწირონ და გაგანადგურონ. ცუდი დრო გვიდგება და ამ ლაბირინთიდან გამოსავლის პოვნა ძალიან ძნელია. უაღრესი სიფრთხილე და გონიერებაა საჭირო. ერთი რამ კი უნდა დაიხსომონ ადამიანებმა, ახალგაზრდა თაობამ – რა გზასაც წინაპარი ადგა, იმ გზას უნდა მისდომონ, თორებ გზიდან გადახვევას, მაცდური სამოთხისაკენ ლტოლვას, ხრამში გადაჩეხვა მოჰყვეს იქნებ. ოჯახი, რომელიც ჯიშ-ჯილაგზე მყარად დგას წინაპართა მადლი გაუძლვება მეგზურად. ოლონდ ამ ოჯახში თუ გამოერია ნააღრევად ან განცალკევებით მოფუსფუსე, იგი განწირულია... მამლის უადგილოდ დაყივლებამ, ომის ბედი გადაწყვიტა – მოგებული ბრძოლა წაგებით დამთავრდა. ანდაზა ძველქართულია და არასოდეს კარგავს ფასს – დედის წინ წამსწრე კვიცს ან მგელი დაგლევს ან მგლისფერი ძალლიო... უაზროდ კუნტრუში დამლუპველია, როდესაც წინაპრების, მშობლების აზრს კაცი უარყოფ და თითქოს საკუთარ გზას დაადგები, განწირულთა სიაში აღმოჩნდები, ანუ ფარას ჩამოცილებულ ცხვარს აუცილებლად მიადგება მგელი...

ამდენი რისთვის ვილაპარაკე – გამოცდილება თუ არ გაგაჩნია, გამოცდილებს, ჭირვარამგამოვლილებს უნდა დაეკითხო აუცილებლად, მარტო საკუთარი ალლო და ცოდნა არ კმარა. სწორედ ამიტომაც მარცხდებოდნენ ჯიუტი მმართველები. სახელმწიფო საქმეებში მოღალატეთა მოკალათება კარგს არაფერს უქადის იმ სახელმწიფოს, რომლის შვილიც ის მოღალატეა... და ვინ არის მოღალატე? ის, რომელიც მრავალნაცად გზას ასცდება და ახლის ძიებას შეუდგება, ის, რომელიც მშობელ ხალხს განუდგება უკეთესი, ილუზიებით შექმნილი გზისკენ მზერით. რაც არ უნდა იყივლოს მამალმა, უფალს თუ არ ნებავს, არც გათენდება. რაც არ უნდა იყეფონ ძალლებმა, ქარავანი თავის გზაზე მაინც ივლის... შენი, სიმართლე ის სარკეა, რომელშიც ყოველდღე იჭვრიტები...

– მაგარი ფილოსოფიაც გცოდნია ახმედ-ბატონი.

– ეკ, მე რომ გზები მაქვს გავლილი, ჩემი ასაკისათვის ძალიან დიდი ტვირთია, მაგრამ ვიცი, რომ კაცობაზე არასოდეს მიღალატ-

ნია და წინაპართა საფლავებს არასოდეს შევარცხვენ. არც უბედური თაგვივით არ დამემართება ვიცი, ლამურად რომ ისურვა გადაქცევა.
ქალებმა სასტუმროში შემოიხედეს.

— გვიანია უკვე, გამოიძინეთ და ხვალ-ზეგ გააგრძელეთ საუბარი. ძილს ნურასოდეს მოიკლებთ, მაგას სჯობს საჭმელი მოიკლოთ — თქვა მარიამმა და საძინებლისაკვენ მიუთითა ყველას.

— ძილი ნამდვილად კარგია და არ უნდა მოიკლო, მაგრამ ეს საჭმლის მოკლება საიდან მოიტანე, გავლარიბდით ქალ?

— არა სიტყვამ მოიტანა... ისე, გადაძლომაც არაა კარგი, მავნებელია...

დილით უთენია წამოდგნენ და ყველამ თავისებური ლოცვა აღავლინა ლამაზი, მზიანი დარის გამო.

ეზოში გამოვიდნენ და ყველა თავის საქმეს შეუდგა. შეადლისას ელისაბედმა ცხენი შემოაგელვა ეზოში. მარიამისა და შალვას ხელშეწყობით ელისაბედმა მედიცინის შემსწავლელები შემოიკრიბა ირგვლივ და სასწავლებელი გახსნა. მის ახსნილს სახლის ყველა წევრი ითვისებდა ხალისით. ერთ-ერთ ოთახში კი ახმედ-ხოჯამ ოსმალურის შესწავლის მსურველები მოიზიდა.

შალვა დილაუთენია მთაში წავიდა, საცა მისი ნახირი ბალახობდა. იგი ჩვეულებას არ ლალატობდა. თვითონ დადიოდა ნახირზე დასახედად და იქედან რძის პროდუქტების ჩამოსატანად. არც ხორცეულს აკლებდა ოჯახს.

ელისაბედის ფეხდაფეხს შალვამაც შემოაგელვა ცხენი.

— კაცო, დილით რომ წამოვარდები და მთაში გარბიხარ, ნეტა მოსამსახურეები რისთვის გვყვანან? — გასძახა მარიამმა.

— ეჰ, ნეტა შენც ივლიდე დილდილაობით ქალო. სუფთა ჰაერის ჩაყლაპვა არც შენ გაწყენდა. რაც არ უნდა იყოს ვარჯიშია. რა სჯობია მთის წყალს და ჰაერს.

საუზმე სადილად ექცათ, მაგრამ რძე და ყველი რომ მიაყოლეს საჭმელს, უფალს მაღლი სწირეს.

— ეგ ლოცვა მეც მინანილეთ, თორემ მთაში აღარ წავალ — წაიხუმრა შალვამ და ახმედ-ხოჯას მიუჯდა ძელსკამზე.

— როგორაა საქმე ახმედ-ბატონო, შევუდგეთ გაკვეთილებს?

— რა თქმა უნდა. რომ დაგეგვიანა მაინც უნდა დაგვეწყო.

– ისე კარგ საქმეს მოჰკიდე ხელი. ოსმალებთან ურთიერთობა ენის ცოდნის გარეშე როგორ იქნება. მტერი იქნება თუ მოყვარე, ენის ცოდნა მათი აუცილებელია.

– კარგი ქენით რომ დამეთანხმეთ. შენს შვილს და რძალს რა უჭირთ, მაგრამ სხვებმაც რომ იცოდნენ, არვის აწყენს, კი შეიძლება არცოდნაც, მაგრამ უცხო რომ გიცქერის და რაიმეს გელაპარაკება, არ იცი გლანძლავს თუ უბრალოდ გესუბრება, ამის გარჩევა ხომ უნდა შეგეძლოს კაცს. საექიმო საქმე კი ნამდვილად საჭიროა, ვინ იცის რა დროს გამოგვადგება. თუმცა, განა ყოველთვის არაა საჭირო? ოდით-განვე ბალაზეულით მკურნალობდნენ საქართველოში. ამას რა სჯობია. ასე მგონია ქართველი მკურნალის – ზაზა ფანასკერტელის წიგნიც უნდა იყოს გავრცელებული საქართველოში. ოსმალეთში ვნახე, მა-გრამ ვინ გამომატანდა, თანაც ოსმალურად იყო ნათარგმნი.

– არის ჩემს სახლში ეგ წიგნი, როგორც „ველხისტყაოსანი“. ის წიგნიც გულით სატარებელია. ჯერვერობით ბადალი არ მოენახება მაგ წიგნს, ელისაბედიც მაგ წიგნიდანაა ნასაზრდოები და ახლაც იმით ასწავლის, მაგრამ ყველაფერს არა – ის რაც ხალხისათვის იოლად გასაგებია და აუცილებელი, ყველაფერი ამონწერილი აქვს.

– მაგ ქალს ოსმალურ ენასაც შევასწავლით, ვინ იცის როგორ დასჭირდება. ცოტა ძნელი კია მაგრამ, როგორმე შევასწავლი.

– შენცა და ელისაბედიც საქვეყნო საქმეს აკეთებთ და თუ მე რა-მეში გამოვდგები, მიმსახურეთ. ჩვენ ყველამ ქართული სახელმწიფოსათვის რაც საჭიროა და მისაღები, ის უნდა ვაკეთოთ.

– უფალი გაგახარებს შალვა-ბატონი ასეთი კეთილი ადამიანობისათვის. ერთიც კიდევ – დავით ფალავანსაც ხომ არ შეექმნა ჯგუფი, რომელიც ძლიერებით ნაადგებიან სამშობლოს. ჯანმაგარი თაობაც გვჭირდება, ნავარჯიშევი და გამოწრობილი.

– არც ეგაა ურიგო საქმე... მსურველები კი გამოჩნდებიან. ჩემი არასოდეს მოგერიდოთ, გამომიყენეთ თუ საჭირო ვიქნები.

– ელისაბედის და დავითის გაკვეთილებს კი შეურიგდებიან, მა-გრამ მე მაქვს საჩივლელი, რაც არ უნდა იყოს ხოჯის ტიტული მაქვს და ძნელი იქნება ხალხის მოზიდვა. ქალაქში რომ ვიყო, ფაშასთან ახლოს იქნებ კიდევ მივაღწიოთ მიზანს, მაგრამ მე ხომ ხოჯობის სწავლებას არ ვაპირებ... ხალხი სწორად გამიგებს?

– მაგის ნუ გედარდება ახმედ-ბატონი, ხალხს შევყრი და ერთად ვესაუბროთ. არ იქნება მე არ დამიჯერონ... .

– შენი იმედი ნამდვილად მაქვს, მაგრამ ერთი რამ მაინც სარისკ-ოა – ფაშამ რომ გაგვიგოს, როგორ წავა მერე საქმე?

– საჩოთირო და სარისკო არაფერია. ენა ხომ უნდა იცოდეს ხალხ-მა, რომ ისლამი მიიღონ – აი, ამ მოტივით გავიმართლებთ თავს, ან კი გვეშინია ვითომ?..

– ქართველის შემშინებელი უფალია მხოლოდ, მაგრამ ურთიერ-თობის გამწვავება ნამდვილად არაა სასურველი.

– ნურაფრის გედარდება. მამუკა რას გვიკეთებს აბა, ბოლოს და ბოლოს მომავალი ფაშაა.

– მაგის იმედი ნამდვილად გვაქვს შალვა-ბატონი.

– თქვენი გამოზრდილია და აბა რისთვის არ უნდა გქონდეთ იმედი.

– საერთოდ კი, თუ ურთიერთობა დაიძაბა შემიძლია სულთნის კარამდეც მივიდე სათხოვრით, მაქვს დიდი შესაძლებლობა.

– როგორი?

– ჩემი ძმა აპედიეს ჯამეში ანუ როგორც ეხლა უწოდებენ სულ-თან-ჯამეში მთავარი ხოჯაა, ის ალოცებს სულთანს, მაგრამ ის ნამ-დვილად არ ვიცი, დღესდღეობით არის თუ არა იმ ჯამეში. აპედიეს ჯამე მეთეჯვსმეტე საუკუნიდან, ანუ მეჩვიდმეტე საუკუნის ოციან წლებში დაუწყიათ სულთან აპედ ჰირველის დროს, რამდენიმე ათეუ-ლი წლის შემდეგ იგი სულთან აპედ II-ს დაუსრულებია, ხოლო სულ-თან აპედ III-ს თვითონ ჩვენ – მე და ჩემი ძმა ვალოცებდით. მე ცოტა ხანს ვიმყოფებოდი იმ ჯამეში, ვინაიდან სხვა საქმეები მქონდა ჩაფ-იქრებული, წამოვედი და ჩემი ძმა დარჩა. ეჭ, რა მძიმე ისტორიაა ჩვენთვის ოსმალეთის ისტორია. ბევრი რამ ვიცი მის შესახებ. იქნებ ბევრმა არც კი იცოდეს, ქალაქი სინოპი – დიოგენე სინოპელის სამ-შობლოა, ასევე, ჰომეროსის და სხვათა. ამათზე წინ, უფრო დიდი მნიშ-ვნელობის ქალაქი ყარსია. 1205-1206 წლებში ის ტერიტორია მეფე თამარს დაუკავებია და სამეფო ქალაქადაც უქცევია, ხოლო მის მმართველად შენი დიდი წინაპარი – ივანე ახალციხელი დაუნიშნავთ. აი, რა გაქვთ კიდევ საამაყო ახალციხელებს... ეხლა კი ეს ვერაგები ფლობენ ყველაფერს... რა დიდი და ძლიერი იყო საქართველო და რას დავემსგავსეთ... ვინ იცის კიდევ რა გველის... ავადმყოფობა არ

უნდა შეგეპაროს, თორემ მერე მისი განკურნება ძალიან ძნელია... დაავადებულია საქართველო ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და არავინ იცის მოშუშდება იარები თუ არა... ეს იარები კი ძალიან ღრმაა ქართველთათვის.

სიჩუმე ჩამოვარდა მოსაუბრეებში.

ეზოში შეგირდები გამოეფინენ და სახლებისაკენ გაეშურნენ.

სამეულს – შალვას, ახმედს და დავითს რძალი ფატმა მიუახლოვდა და ოსმალურად მომზადებული ყავა და ტკბილეული მიართვა.

საქართველოს ჭირ-ვარამზე მოდარდე სამეულის შინაურული თათბირი მშვიდობიანი და ლამაზი საღამოს ფონზე შეწყდა.

სოფელმა მიიძინა, მხოლოდ ღელის ხმაური ისმოდა წყნარ გარემოში და ჭრიჭინობელების ჭრიჭინი.

საქართველოს მყუდროებას კი ისევ შავი ღრუბლები ჩამოსწოლოდა – დარდი, ვარამი, საშიშროება მთლიანად დაპყრობისა, მონობის უღელი და აღგვა პირისაგან მიწისა... მხოლოდ შალვას სამეურვეოში იყო ჯერჯერობით შედარებით მშვიდობიანი აგმოსფერო, მის ოჯახში მიმდინარეობდა მეზობელი მტრული სახელმწიფოს – ოსმალეთის ენისა და კანონების შესწავლა, რომელსაც ძალიან კარგად ართმევდა თავს ხოჯაყოფილი სწავლული ახმედეფენდი. საექიმო-სამკურნალო დარგს ასევე წარმატებით უძღვებოდა ქალბატონი ელისაბედი, ხოლო ახალგაზრდების წვრთნა დავით-ფალავანმა ითავა და სიხალისე და მონდომება გაულვიძა მესხეთის ახალგაზრდებს. ის, რასაც დავით-ფალავანი აკეთებდა, საშვილიშვილო და აუცილებელი იყო ახალგაზრდა მამაკაცებისათვის მებრძოლი სულის შესანარჩუნებლად. ვაჟებს არც გოგონები ჩამორჩებოდნენ... მაგრამ ეს მათი ყოველგარი მცდელობა იმით დამთავრდა, რომ სულ მალე, მესხეთის მცხოვრებლები ერთიანად აიყარნენ და საქართველოს სხვა ტერიტორიებზე განსახლდნენ... ველარგაუძლეს „დიდ თურქობას“.

* * *

ორ წელიწადს დარჩია ახმედ-ხოჯა შალვა დიასამიძის სახლში. ამ დროში ბევრი ვინმე გაანათლა ოსმალურად. მათ მარტო საუბარი და წერა-კითხვა შეასწავლა, თორემ საღვთო ლოცვები ისევ ქართული დარჩათ. მესხეთის დიდებულებში მასიურად მოიკიდა ფეხი ოს-მალურმა ენამ და უმეტესი დიდებულებისა ამ ენაზე საუბრობდნენ.

გაზაფხულზე, აპრილის თვეში ფატმამ იმშობიარა და ქალიშვილი შემატა ოჯახს – ისევ ელისაბედმა ამშობიარა. ჯანმრთელი ბავშვი მოევლინა დიასამიძების ჯიშ-ჯილაგს.

მაისის თვეში ახმედ-ხოჯა მშობლიურ კუთხეში გასამგზავრებლად მოემზადა. გულნაკლულად შეხვდნენ ამ ამბავს შალვას ოჯახის წევრები, განსაკუთრებით მამიასა და ფატმას დაენანათ.

– მამასავით შეგეჩვიეთ ორივე და აქ საერთოდ ყველა. როგორ უნდა გავძლოთ უშენოდ ხოჯა-ბატონო – თქვა ფატმამ და მოეხვია, შენ რომ არა, ალბათ არც მამუკას ცოლი გავხდებოდი და ვერც სამშობლოში მოვხდებოდით, ეხლა როგორ უნდა შეგელიოთ. ჰა? – თქვა და სახე ცრემლებით დაენამა.

– ძნელია შვილებო მართლაც, მაგრამ ადამიანებმა ყველაფერი უნდა ავიტანოთ. მეც ჩემიანები მელოდებიან ალბათ, თუ რა თქმა უნდა გამოტირებული არ ყვავარ. წავალ, მოვინაზულებ და იქნები ისევ გინახულოთ, თუ სიკვდილმა არ მიწია. ტირილი რა საჭიროა შვილო, ცრემლებს ნუ გამაყოლებთ. სამშობლოს სასახელო შვილები დაუზარდეთ და იმრავლეთ, იხარეთ.

განშორების საათები მართლაც მწარე იყო. იცრემლებოდა ყველა.

შალვამ ცხენები გამოიყვანა და მამიასაც ამხედრება უბრძანა. დავითმაც გამოთქვა სურვილი მგზავრობისა.

– ულელტეხილამდე გაგაცილებთ. კაი დიდი მანძილია, მაგრამ თქვენ რომ გზა გამოიარეთ სტამბოლიდან სიხარულით, იმ გზას ხომ ვერ შეედრება ეს მანძილი.

ულელტეხილამდე ორ დღეს იარეს და აჭარის ხეობას გადააგდნენ.

– ცხენით უფრო ადვილია ახმედ-ბატონო. წაიყვანე, შენ ისეთი სიკეთე ჩაიდინე, ცხენი რა ბედენაა... სიცოცხლეში შენი მოვალე ვიქნები.

– საქართველოს მშვიდობიანობას მოახმარე შენი ძლიერება და ვალზე ნუ იფიქრებ. მე კი მგონია კაცური ვალი შევასრულე, ჯერ

კიდევ ბევრსაც გავაკეთებ ალბათ უფლის ნებით. აწე კარგად ბრძან-დებოდეთ, დიდია უფალი, კიდევ შევხვდებით. ცხენი კი ნამდვილად არ მინდა. სოფლამდე სამზეოზე ჩავალ, მერე კი საშიში ალარაა, რამ-დენი სოფელია ქედამდე, ყველგან მიმიღებენ სტუმრად.

გადაეხვივნენ ერთმანეთს და მამაკაცური ცრემლებიც ჩამოუგორდათ.

— ღმერთმა გადლეგრძელოს ახმედ-ბატონო, სულ კეთილი გზე-ბით გევლოს და კეთილი საქმეები გეკეთებინოს — უთხრა შალვამ და ერთხელ კიდევ გადაეხვია — მშვიდობით გევლოს...

უკან დამძიმებული ხასიათით დაბრუნდნენ.

ხოჯა ახმედ ხალიფაშვილი კი დაადგა გრძელ და ძნელ გზას — გოდერძიდან ქედამდე.

ათი დღის შემდეგ შევიდა თავის სოფელში და თავისიანებიც გაახარა.

...აქ წყდება ახმედ-ხოჯას ამბავი. გავა დრო და მას კიდევ შევხ-ვდებით ლამაზი ისტორიის გზაზე.

კეთილი საქმეები არასოდეს იკარგება. არც კეთილ ადამიანებს კარგავს ღმერთი. დროთა განმავლობაში კეთილი ნამოქმედარნი კვეთ-ენ ერთმანეთს, წმინდანი ადამიანები ერთმანეთს ხვდებიან, ხოლო ასეთებს ხალხიც დიდ პატივს სცემს და მათი კეთილმყოფელობა ფარ-თო ასპარეზსაც მოიცავს.

კეთილ საქმეებს და კეთილ ადამიანობას დასასრული არა აქვს. ვიდრე ღმერთია გამგებელი, დაუსრულებელი იქნება სიკეთეც და კეთილ ადამიანთა მოვლინებაც, ვინაიდან ლოთის ხელისუფლება გა-ნუსაზღვრელი და უსასრულოა.

ივლისის თვეში გლოვის დღე ედგა შალვას ოჯახს — შვილიშ-ვილი, მამიას ბავშვი გამოეცალათ ხელიდან.

ფატმამ ლოყები დაიხოკა. დედამთილმა არ დაანება ფატმას ასე მწარედ გლოვა.

– რას იზამ შვილო, ეს უფლის ნებაა. ბევრი ტირილი არ შეიძლება შენი, ახალმოლოგინებული ხარ. გავა დრო, კიდევ გაგიჩნდება შვილი. მეც დამაკლდა ორი შვილი. რაც უფალს ნებავს, ხელს ვერ შევუშლით, ყველას გვტკივა და გვეცოდება. დამშვიდო გენაცვალე, მეორე ბავშვი გვყავს გასაზრდელი...

ფატმა ცრემლმორეული შებრუნდა საწოლში და გაღვიძებულ პატარას რძე მოაწოვა.

მამია ფაშამ გამოიძახა თავისთან და მოვალეობის შესრულებაზე მიუთითა.

– კაი ძალი დაისვენე მგონია. მე დავიღალე, რამდენი წელია ვემ-სახურები სასულთნოს და ჯერ არ დამისვენია. ახალგაზრდა ხარ შვილო და ეხლა შენ გაუძეხი საფაშოს, სანამ არ დაგამტკიცებენ, მანამდე მაინც.

მამიამ თავისი ტახტი დაიკავა და შეუდგა მართვა-გამგეობას. ხალხი კმაყოფილი იყო მისით, მაგრამ ფაშის ტახტზე სულ რამდენიმე თვე დაჰყო. ახალი ფირმანი მოვიდა სტამბოლიდან – ახალციხის ტახტზე სხვა ფაშა ჯდებოდა – სისხლით და საქმით ოსმალო.

– დიდი სულთნის სახელით და მისი ფირმანის ძალით ახალციხის ვილაიეთის ფაშად ამიერიდან მე ვიქწები შენ კი შეგიძლია დარჩე, შეგიძლია წახვიდე – განუცხადა მამიას ახალმა ფაშამ და სავარძელში მოიკალათა.

მამიას არ ეჭაშნიკა ფაშის ტონი, მის სხეულში დიასამიძის სისხლი ჩქეფდა, მაგრამ მოთოკა თავი და ფაშას უკმეხი რამ არ კადრა.

– მართვა-გამგებლობას ითავებ ფაშა-ბატონო, მაგრამ ნუ დაივიწყებ, რომ აქაურობის ბატონ-პატრონი შენს გამოჩენამდე მე ვიყავი. ხალხი კმაყოფილი იყო ჩემი გამგებლობის პერიოდში. მთავარია ხალხს მოუარო და გული არ გაუტეხო, დანარჩენს ეშველება რაიმე.

– რავა, გამიჯიუტდებიან ვითომ? მე ვიცი და იატაგანმა...

– არ შეიძლება ფაშავ სისასტიკე, ხალხი აჯანყდება.

– აჯანყდებიან და... მალე ასკერი ჩამომივა და მერე ვნახოთ ვინ დამიდგება წინ.

– თუ იარაღის ენით გინდა ელაპარაკო ხალხს, არაფერი გამოვა. არ დაგავიწყდეთ, რომ იარაღი და ჯარი საქართველოსაც გააჩინია. დროებით მაინც არ გირჩევთ...

– მე ჩემი საქმისა ვიცი, ჭკუის სწავლებისათვის მადლობა. შეგიძლია შენი საქმეები გააგრძელო...

მამიამ ოსმალური ტანსაცმელი შემოიძარცვა და ფაშას თავი დაუკრა.

– ოსმალურ წიგნებში წერია ფაშავ – გუშინდელი მტერი, მოყვარე არ გახდება. მე ჩემი გითხარი და შენ როგორც გინდა ისე გაიგე. თუ დაგჭირდე კაცი გამომიგზავნე. ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

– გავითვალისწინებ შენს რჩევას. თუ მიდიხარ, არხეინად იყავი, შენს ტერიტორიას ვერავინ გაეკარება, ვიცი ვინცა ხარ.

მამიამ ზიზლი ჩაიბეჭდა გულში და სახლისაკენ გაემართა. ელოდნენ სახლშიც უკვე.

– რა ამბავი მოიტანე შვილო, რალაც უკმაყოფილო სახე გაქვს – მიესიყვარულა დედა.

– არაფერი ისეთი დედაჩემო, ფაშად ოსმალო გამოგვიგზავნეს, მე კი თავისუფალი ვარ. აწე სახლს მივხედავ.

– ეგ კარგი, მაგრამ ხალხს რა ეშველება შვილო? – შეშფოთებით იკითხა შალვამ.

– ჩვენს მამულში ვერავინ შემოვა და ...

– რამ გაყო შვილო ჩვენი და სხვისი... განა ვინმეს დაწიოკება გაგვიხარდება? გამოსავალი უნდა ვიპოვოთ.

– გამოსავალი ან ომია მაგათანა ან უნდა გადავიხვენოთ მესხეთიდან. დიდია საქართველო, მიგვიღებენ...

– ზურგი უუჩვენოთ? ეგ არ მოხდება. თუ ხალხის აწიოკება დაიწყეს, აუცილებლად ვიომებთ. ქუდზე კაცი გამოვა. ვიცი ვერაფერს დავაკლებთ, მაგრამ არც იმას ვათქმევინებთ გაიქცნენო.

– მაგაში მართალი ხარ მამა, მაგრამ სისხლისლვრა გვინდა ვითომ?

– შენი ავტორიტეტი აღარ ვარგა ვითომ?

– სანამ მამობილს გავაგებინებთ, მანამ მოსახდენი მოხდება, მერე გინდ შემიტყობინებია, გინდ არა. იქნებ მინისტრად არც არის უკვე. იქნებ თავადაც ჩამოვიდეს, ვინ იცის. ნუ გავუსწრებთ მოვლენებს.

შალვა გაუჩინარდა ერთ დილით, ისე რომ სახლში არავინ იცოდა, სად და რა საქმეზე წავიდა.

ხალხი შეკრიბა აწყურის ეკლესიის მიმდებარედ და ვითარება გააცნო. ვინ რა თქვა და ვინ რა, ბოლოს ერთი უხუცესი წამოდგა წინ.

– ხალხო, ჩვენ თავზე ათასგვარი უბედურება დატრიალებულა, სისხლისლვრა გვეყოფა. ჩვენ ჩვენი იარაღით ვერას გავხდებით, ამიტომ ჯობია ავიყაროთ და გავეცალოთ აქაურობას. მიწას ხომ ვერ წაიღებენ. მერე მეცვე ერეკლე და მისი მოკავშირები დაამარცხებენ ალბათ. იქნებ მშვიდობიანად მოგვარდეს ყოველივე. დიდი ხანია ჩაიბარეს სამცხე-საათაბაგო, მაგრამ სისხლისლვრას ოსმალებიც ერიდებიან მგონია. ჯერჯერობით ვიყოთ ისე როგორც ვართ, ხოლო თუ ძალა გამოიყენეს, მაშინ გავერიდოთ აქაურობას.

ზოგი მოხუცის ნააზრევს დაეთანხმა, ზოგიც არა.

– ვიყოთ და ველოდოთ. თუ ხალხის ძალადობით გამუსლი-მანებას მიჰყვეს ხელი, შევებრძოლებით, თუ არა და ვიყოთ ჯერჯერ-ობით, ვიდრე არ გამკაცრდებიან – დაამატა ერთმა ხნიერმა.

– ალბათ ასე სჯობს – დაამატა ერთმა შუახანსმიტანებულმა.

ამ დროს აწყურის ეკლესიის ანაფროსნები შეერივნენ ხალხში.

– რა ხდება ხალხო, ხომ მშვიდობაა? – იკითხა მლვდელ-მთავარმა.

– მშვიდობა ნუ მოგიშალოთ უფალმა მამაო. ვმსჯელობდით ოსმალთა შესახებ. ეგებ დაგვაყენოთ გზაზე.

– საფიქრალი ყველასი ერთია, მაგრამ ვიდრე ჩვენ არ მოგვწვდებიან სასულიერო პირებს, მანამ ნურაფრის გედარდებათ. ისინი ჩვენით დაიწყებენ მგონია და რადგანაც ჯერ ჩვენამდე არ მოსულან, რაღაც ხდება მათ თავს. ცოტაც ვადროვოთ და თუ ჩვენ წამოგვიყენეს პირობა, როგორც ემჯობინება, მერე ისე მოვიქცეთ. ეხლა ჯობია დაიშალოთ და როდესაც საჭირო იქნება, მე დაგიძახებთ.

ხალხი დაიშალა და თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ.

...ოცი წელი გავიდა თამთას დაბადებიდან. მეორე შვილი ალარ შეეძინათ და ერთ ქალიშვილს შეაბერდნენ. ცხოვრება ჩვეულებრივი კალაპოტით მიდიოდა. შალვა დიასამიძის მამულში ისევ სიწყნარე სუფევდა, თუ არ ჩავთვლით პატარ-პატარა გაუგებრობებს, რომელ-საც სჩადიოდნენ ოსმალთაგან გაფანატიკებული ადგილობრივი ნაირალები.

... ოცი წლის შესრულდა ფატმასა და მამიას ქალიშვილი. მამიამ ნახევარ საუკუნეს მიუკაკუნა უკვე. შალვა კი უკვე ღრმად მოხუცი იყო, მაგრამ ისევ ჯანიანად გამოიყურებოდა.

... ოსმალთა ჯარი მოადგა ახალციხეს, მრავალათასიანი და სისხლს მოწყურებული. ჩინოსნები ოჯახებით მოდიოდნენ. ოსმალეთის მთიანი სოფლების მოსახლეობაც მოაწყდა ახალციხის ტერიტორიას.

აიყარნენ სოფლებიდან თავდგირიძეები, შალიკაშვილები, მხარ-გრძელები, ჯაყულები, აბულაძეები, სხვები და სხვები. დაიცალა მესხეთის სოფლები. მათ ადგილას კი ოსმალო მოსახლეობა სახლდებოდა.

თამთამ მეზობლის ბიჭს დაუკავშირა თავისი ბეჭი და გაიპარნენ. რამდენიმე დღეში დიასამიძეებმაც მოიშალეს საბუდარები. დაიცალა მესხეთის ტერიტორია...

– საით უნდა წავიდეს ამდენი ოჯახი, რომელი ქალაქი ან სოფელი დაგვიტევს ყველას. გადანაწილება კი დაგვიკარგავს ერთმანეთის ხილვის საშუალებას. ერთად რომ დავსახლდეთ, მაშინ ცარიელი ადგილი უნდა ავირჩიოთ. სანამ სახლებს ავაგებდეთ, მანამ კარვებში ლია ცის ქვეშ მოგვიწევს ცხოვრება. მოკვდა თავადური ცხოვრების ხიბლი – თქვა შალვამ და ამოიხვნეშა – გვარის გამგრძელებლი მაინც გვყოლოდა.

– გავრის გამგრძელებლის მეტი რაა კაცო ჩვენს ჯილაგში, მარა შენ ის გინდოდა ჩვენს ფესვებს უფრო მეტი გასაქანი ჰქონოდა არა?

– შეეპასუხა მარიამი – მამია და ფატმა ჯერ ისევ ახალგაზრდები არიან, მოგვხედავს უფალი. შენ თამთას ნაბიჯი არ მოგეწონა, არც მე, მაგრამ თამთა ხომ მემკვიდრეს ვერ გაგვიჩენდა, სხვისი შვილია როდესაც გათხოვდება გოგო, ამიტომ გულიდან ამოილე იგი.

– რომ არ დაგვაფასა და თავისი ჭკუით გათხოვდა, თავისთავად ამოღებულია გულიდან. წყევლით კი არ დავწყევლი, უფალმა ახაროთ და აბედნიეროთ. რაც შეეხება შვილს და რძალს – ამდენი ხანი გავიდა აღარ დაფეხმდიმდა ქალი, ესეც უფლის ძალითაა თორემ, ქალს რა უჭირს, ჯანმრთელია. ალბათ შვილის გარდაცვალებამ ჩაუკლა დედის ინსტიქტი... ეჲ, რაც არის არის, თავს ზემოთ ძალა არაა, უნდა შევურიგდეთ ბედს და ანე თავშესაფარზე უნდა ვიფიქროთ. ახალი

ცხოვრების დაწყება ყველაფერს გადაგვავიწყებინებს, ვინ იცის როგორ წარიმართება ჩვენი აწინდელი ყოფა და ცხოვრება.

– სიცოცხლე შევინარჩუნოთ ოღონდ და რაღაცას მოვენევით კაცო, ჯერ კიდევ გვერჩის ძალ-ღონე და შრომისმოყვარეობა, ავან-ყობთ ცხოვრებას როგორმე. ისე არ დავიჩაგრებით რომ ვინმეს დასა-ცინი გავხდეთ...

ასეთი საუბრები პირზე ეკერათ, აყრილ-ამგზავრებულებს და ბუდემოშლილებს.

საქართველოს სხვადასხვა მხარეს მოედვნენ და ჩასახლდნენ ლტოლვილები, თუმც ძნელი იყო, მაგრამ მაინც აინყეს ცხოვრება. გაითქვითნენ ქართველები ქართველ ხალხში, მაგრამ ნოსტალგია არავის მოშორებია გულიდან...

თავი III

საამი და თამთა მეოთხე დღეს გამოვიდნენ სამალავიდან და ეკულესიაში ჩამოვიდნენ.

– მოდით შვილებო, მოდით, მაგრამ სამწუხარო ამბავი უნდა გაუწყოთ. აიყარა ხალხი შვილებო მესხეთიდან და საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიებზე გადანაწილდნენ. ოსმალო მოინევა დედანულიანად და დაცარიელებულ სოფლებში ემკვიდრებიან. თქვენიანებიც აიყარნენ და წავიდნენ, თუ საითკენ ეგ არ ვიცით, თქვენც სასწრაფოდ უნდა დატოვოთ აქაურობა. საით აპირებთ წასვლას შვილები?

– აქარაში გადავალოთ მამაო, იქ ადრე წასული თავდგირიძეები და შალიკაშვილები არიან, მოვნახავთ როგორმე. ისე კი გავიგეთ რომ ოსმალური რეჟიმი ისე მკაცრი არ არის, როგორც სხვაგანო და ამის გამო ვჭედავთ გადაბარებას.

– იქნებ თქვენიანებიც იქით გადავიდნენ?

– ამას როგორ გამოვიცნობთ მამაო იქნებ შეგვეფეთნონ კიდევაც საღმე, მაგრამ ახლა ლტოლუვილები ვართ ყველანი და საქმეც სხვაგვარად შეტრიალდეს იქნებ.

– თუ აქარაში აპირებთ წასვლას, იქნებ ხინოსაკენ ჯობდეს წასვლა, იქ ეპისკოპოსთან წერილს გაგატანთ და მოგხედავენ. აქედან ხინოსაკენ ბილიკია, რამდენჯერმე ვიყავით ჩვენ ანაფროსნები, ასე რომ ჯობს ამ ბილიკს დაადგეთ. ეხლავე უნდა წახვიდეთ. ხუთი დღის საგზალს და წერილს გაგატანთ.

...., დიდი მოწინებით გწერთ ამ უსტარს, რამეთუ ამის მომტანების სურვილია დაემკვიდრონ აქარაში. არიან სათნოები, ერთგულები, პატიოსანი ოჯახის შვილები, ამჟამად ჯვარდანერილები. დრო ალარ ითმენს და ვამგზავრებთ თქვენკენ. უმორჩილესად გთხოვთ მიხედოთ ახალშეულლებულთ და შემწეობა ალმოუჩინოთ. ვლოცავთ და თქვენც დალოცეთ.

„მღვდელმთავარი თევდორე“.

– აი, შვილებო, ამ წერილს გადასცემთ ხინოს გამგებელს, მამაო ქათამაძეს და ეპისკოპოს წუნუნაიშვილს. ისინი იზრუნებენ თქვენ-

ზე. აწე გზა მშვიდობისა და იჩქარეთ, ნულარ დახახანებთ. აგერ საგზა-
ლი და აგერ ცხენებიც.

სათითაოდ გამოემშვიდობნენ თევდორეს, ამბროსის და დომენ-
ტის, წვერები დაუკოცნეს და ჯვარზეც ემთხვიერ, ცხენებს მოახტნენ
და გაქუსლეს.

– მშვიდობით გევლოთ შვილებო – შორედან მიალოცეს ანა-
ფროსნებმა და ეკლესიის გალავანს მიყრდნობილები მანამ იყვნენ,
ვიდრე საამი და თამთა თვალს არ მიეფარნენ.

ვაი-ვაგლახით ჩაალიშეს ხინოში.

ხინოს ეპისკოპოსი წუწუნაიშვილი და მღვდელი ქათამაძე წირ-
ვას ატარებდნენ, როდესაც გალავანს უცხო მხედრები მოადგნენ.
იგრძნეს მხედრებმა, რომ ეკლესიაში წირვა-ლოცვა ტარდებოდა და
იქვე ძელსკამზე მოკალათდნენ, დამთავრებას დაელოდნენ.

ხალხი გამოიშალა გალავანს გარეთ. ლტოლვილები წამოდგნენ
და ისე, ფეხზემდგარნი შეხვდნენ სოფლისაკენ მიმავალ
მლოცველებს. სასულიერო პირებიც გამოვიდნენ გალავანს გარეთ
და რამდენიმე ცნობისმოყვარე მლოცველთან ერთად მხედრებს მი-
უახლოვდნენ.

– სადაურები ხართ შვილებო? – შეეკითხა ქათამაძე.

პასუხად საამმა წერილი ამოილო და გადასცა. ჩაიკითხა ორთავეე
და ეკლესიის ეზოში შეიძატიუეს სტუმრები.

– თქვენ ეხლა მოშიებულები იქნებით და დალლილებიც, ამოდე-
ნა გზა გამოგივლიათ. რახან აქამდე მოალნით, ესე იგი უხილათოდ
მოსულხართ. ეხლა საჭმელზე დაგვეწვიეთ და შემდეგ ჩვენს საძინებელ
სენაკში მოგასვენებთ. დალლილებს ძალის მოკრება გჭირდებათ.

– დიდი მადლობა სიკეთისათვის, – თავი მდაბლად დაუკრა სამმა.

– მამაო, სტუმარი სოფლისათვის საერთოა, ჩვენ წავიყვანთ და გა-
ვუმასპინძლდებით – თქვა ერთმა მლოცველთაგანმა.

– ეს მათზეა დამოკიდებული, მაგრამ სანამ დაღამდება, ჩვენთან
დარჩებიან, გავესაუბრებით.

– კარგით მასე ვიზამ. თუ გამასპინძლებაა, ისევ სოფლად
გვირჩევნია, რისთვის შეგანუხოთ სასულიერო პირები, მერეც ჩვენი
ხალხია გადმობარებული ძალიან ადრე და მათი ავანჩავანიც გვინდა
გავიგოთ, ეგებ დაგვეხმარონ დასახლებაში.

– ნაცნობებს თუ მოინახულებთ კარგია, სამოსახლოს არჩევა ჩვენთანაც შეიძლება, დარჩით და იცხოვრეთ.

– დიდი მადლობა შემოთავაზებისათვის, მაგრამ ასე ხელალებით ვერ გადავწყვიტავთ ამ ამბავს, მოვიფიქრებთ.

ქათამაძეებს სტუმარი არასოდეს კლებიათ, ვინაიდან შედარებით ისინი იყვნენ მდიდრები, ამიტომაც მღვდელმა თავის სახლში იახლა და ის ღამეც მათთან გაატარა.

დილით უთენია წამოდგნენ თამთა და საამი. ეზოში გავიდნენ და დილის საამო ჰაერი ჩაყლაპეს. შორს არწივები და სვავები ბოინობდნენ. მათ ყურთასმენას ღელის ჩხრიალიც, ნახირის ბლავილი და მამლების ყივილიც მისწვდა. ამის მეტი რა ენახათ და ფიქრით ორთავე ბავშვობაში გადავარდნენ, თავიანთ სოფლებში.

ამ დროს მღვდელი მიუახლოვდა მათ, რომელიც ბალჩიდან გამოსულიყო და ბოსტნეულის სურნელიც გამოჟყოლოდა. ცოლ-ქმარი საუზმეზე მოიწვია.

მაგიდაზე მრავალნაირი კერძი გაჩნდა. მამაომ თაფლიც მოიტანა და სტუმრებს წინ დაუდგა.

– თქვენი მშვიდობიანი მგზავრობისა იყოს და უფლის ძალით, შეგვენიოს დილის მადლიც. ხვავი და ბარაქა დაგვბედებოდეს – ამინ! თქვა და ლუკმა ჩაიდო მღვდელმა.

უხმაუროდ და ხალისიანად ილუკმებოდნენ საამი და თამთა. საუზმის შემდეგ ისევ ეკლესიას მიაშურეს.

– მონათლულები არ ხართ როგორც ჩანს.

– არა მამაო, აბა ისე როგორ დაგვწერდნენ ჯვარს. არც ჯვარდა აუნერლებს გვინდოდა შეუღლება. სულ ათი დღის ცოლ-ქმარი ვართ.

– მიზეზი რაა შვილნო ჩემნო თქვენი იქედან აბარებისა?

– მიზეზი ისაა რომ – თამთას გადახედა საამმა – ეს მზეთუნახავი მოვტაცე დიასამიძეებს და იქ აღარ დაგვედგომებოდა, ხუთი დღე ან-ყურის ეკლესიის მსახურთა ფანჩატურში ვაფარეთ თავი და როდესაც აქეთკენ ავილეთ გეზი, წმინდა მამებმა გვამცნეს, რომ მთელი მესხეთი და ჩვენიანებიც აყრილან თავიანთი საცხოვრებლებიდან და გეზი საქართველოს სილრმისაკენ აუღიათ. ჩვენ ისედაც არ გაგვეჩერებოდა იქ, რადგან თამთას მშობლებმა და მისიანებმა ჩვენი მოსპობა გადაწყვიტეს. ამგვარად წმინდა მამების რჩევით და ლოცვა-კურთხევით

მოვალნიერთ თქვენამდე. ანე აჭარელი ხალხის იმედად ვიქწებით, გავიგეთ რომ აჭარაში შეიძლება ცხოვრება. იქ კი, მესხეთში უკვე ოსმალები დათარეშობენ, დედანულიანად მოედვნენ ჩვენს ტერიტორიებს. დიდი უბედურება ტრიალებს. ერთხანს ვიდრე თამთას მამაფაშის სკამზე იყო, მშვიდობა სუფევდა, ეხლა კი სისხლისმსმელი ოსმალო ფაშა დააპრძანა სულთანმა, მაგრამ არც იმას უწერია დიდი დღე – ქართველები აუცილებლად მოიშორებენ მათ ულელს, მაგრამ ამას დრო ჭირდება. აქ, თქვენთან რა მდგომარეობაა?

– ჩვენთან ხინოში ჯერჯერობით მშვიდობაა შვილებო, მაგრამ თუ მესხეთის ხალხმა შეჭირვება განიცადა, ჩვენთანაც შემოვლენ ალბათ. ისე კი ჯერჯერობით დაბლობებში იმაგრებენ ფესვებს. არ დაგვტოვებენ ასე. ზედა აჭარაში სოფლები თითქმის დაცლილია. ერთი სოფელი რამდენიმე წლის უკან ოსმალთა ძალმომრეობას შეანყდა. არავინ იცის იმ სოფლებში ვინ ცხოვრობდა და რამდენი, მაგრამ ისიც ვიცით, რომ ზედა ტერიტორიებზე მკაცრი კანონები არ ვრცელდება და შედარებით თავისუფალ ცხოვრებას ეწევიან. თუ ისევ ოსმალურ რეჟიმს უნდა შეურიგდეთ, იქ არ ჯობდა დარჩენა? რა აზრი აქვს თქვენს ნაბიჯებს?

– ჯერ ერთი ის, რომ ჩვენი დარჩენა არ შეიძლებოდა, გვეძებდნენ. ეხლაროდესაც ყველა აიბარგა მესხეთიდან, ამას ასე თუ ისე მნიშვნელობა აღარა აქვს, ვინაიდან ყველას საკუთარი საფიქრალი აქვს გაჩენილი, ჩვენ ვინდა დაგვიწყებს ძებნას. მეორეც ჩვენ სამუდამო ერთგულება შევიტრეთ ერთმანეთს და გვინდა ლამაზი ოჯახი, ცხოვრება მოვიწოთ, ამიტომაც წამოვეღით და უფრო მეტად კი იმიტომ, რომ თამთას მშობლების აღმზრდელი სადღაც ზედა აჭარაში ცხოვრობს და არ შეიძლება იმ ღვთისნიერმა დახმარება არ აღმოგვიჩინოს.

– ვინაა ის კაცი, სახელ-გვარი თუ იცით მაინც?

– როგორ არა მამაო – ენა ამოიდგა თამთამ, მე რომ დავბადებულვარ, მაშინ წასულა ჩვენი იჯახიდან და მერეც ორჯერ მყავს ნანახი ჩვენთან სტუმრობისას – ახმედი ჰქვია სახელად და ხალიფაშვილია გვარად, რომ ვნახო ვიცნობ.

– მერე იცით ეგ რა კაცია? ზედა აჭარაში ცენტრი ქედაა, შეუა წელშია იმ ტერიტორიაზე და იქ ხოვად დაუნიშნავთ ასე გავიგეთ. როცა ახალციხიდან გადმოვიდა, ასე ოცი წელია გასული, ხელად მუფთად

არჩევა უნდოდათ, მაგრამ ოსმალეთის მთავრობას წინააღმდეგობა გაუწევია. ხოჯად კი ჰყავთ, მაგრამ ხალხში ძალიან დიდი გავლენა ჰქონია. ისე თქვენ ხომ ქრისტიანები ხართ, როგორ ბედავთ მაინც მუსლიმანებში გარევას ა? – ჰკითხა წუნუნაიშვილმა.

– უფალი დამხმარეა მამაო, თუ ცხოვრება კარგად ავანყვეთ, ალბათ ისევ ცხოვრება გვიკარნახებს როგორ მოვიქცეთ, უფალი ჩვენი შემწეა და დაგვეხმარება, მგონია სადღაც აქ უნდა ცხოვრობდნენ თავდგირიძები, იმათ კარგად ვიცნობ, ისინიც დაგვეხმარებიან, ამის იმედი მაქვს, დაასრულა სამმა.

– თავდგირიძები, შალიკაშვილები, ჯაყელები, აბულაძეები... ჰო, ისინიც აქეთ არიან გადმოსახლებულები. თავდგირიძეები ქობულეთში სახლობენ, კარგი სოფელია, სხვა სოფლებშიც არიან, თუ იტყვით წერილსაც გაგატანთ მათთან და უფრო მოგხედავენ.

– გამდლობთ მამაო, ვიცნობთ და თუ ადამიანობა შერჩენიათ, მათი იმედი გვაქვს, შორეულ ნათესავებად გვერგებიან. ისე მთლიანად მათ იმედზე არა ვართ. ხელოსნობა მეხერხება, ამით გავიტანთ თავს ოლონდ ჩემს ჭერევეშ მოვთავსდე.

თამთას კი საექიმო ხელოვნება ესმის, ბავშვობიდან ეზიარა ამ საქმეს და მეცნიერებას, უებრო მკურნალია და თავს როგორმე გავიტანთ, მთავარია სახლი ავიშნოთ სადმე და დილით რომ გავიღვიძებთ ვინმეზე დამოკიდებული არ ვიყოთ.

– სწორი არჩევანი გაგიკეთებიათ. ჩვენ თქვენი თანამდგომი ვიქენებით ყოველთვის და ჩვენი იმედი უფალმა წუ მოგიშალოთ!

...სამი ლამე დარჩენენ საამი და თამთა ხინოს ჰაერზე კეთილი მასპინძლების სახლში, შემდეგ კი ამხედრდნენ და ზღვისპირეთი-საკენ დაეშვნენ. მხურვალედ გამოემშვიდობნენ მათ შემფარველებს და სიხარულიანი და იმედიანი ლოცვაც გაიყოლეს თან.

...დიდია სოფელი ქობულეთი. ლამაზ ფერდობზე შეფენილი, მესხეთიდან გადმობარგებულ თავდგირიძეებს აქ დაუდევთ ბინა, გამრავლებულან, შეძლებულადაც ცხოვრობნო – ასე მოახსენეს ცხენოსნებს სოფლის დასაწყისში.

საამი ფეხით ავიდა სოფელში, ცხენები კი იქვე დაბლობში დატოვა საძოვარზე მიშვებული.

ერთ-ერთ თავდგირიძეს მიადგნენ კარზე. ოჯახის დიასახლისმა გამოხედა მათ და შეიპატიუა კიდეც.

– საიდან ხართ და რა გაგჭირვებიათ? – ეტყობა შორიდან მო-სულხართ, მაგრამ საიდან? – ჰკითხა დიასახლისმა.

– ჩვენ მესხეთიდან ვართ, ახალციხის ტერიტორიიდან, შალვა დიასამიძის შვილიშვილი ვარ – თქვა თამთამ და დაიმორცხვა. ათი დღეა რაც ვიქორწინეთ, ჩუმად გავყევი ჩემს რჩეულს, მესხეთში ოს-მალობა შემოსახლდა, ამის მიზეზით ხალხი აიყარა და არ ვიცით, ვინ სად წავიდა, მაგრამ ჩვენი გადმობარება მშობლების მუქარამ გამოი-წვია. იქ აღარ დაგვედგომებოდა. ასეა თუ ისე თითქმის ერთდროულად მოგვინია ყველას წამოსვლა ჩვენ ერთი დღით გვიან წამოვედით.

– მერე რას აპირებთ შვილებო, ასე ცარიელ-ტარიელმა როგორ გინდათ იცხოვროთ?

– თქვენი იმედით ვართ ქალბატონო, თქვენ თავდგირიძე ხომ ბრძანდებით, ჩვენი შორეული ნათესავი ხართ და ამიტომ კითხვა-კითხვით მოგაკვლიერთ. თქვენი მეულლე სად ბრძანდება? – იკითხა სამმა.

– სამუშაოდაა წასული, სალამოთი დაბრუნდება.

– ჰოდა, დაგვაკვალიანებს ალბათ. ერთი-ორი დღე შეგანუხებთ მგონია და მერე დავადგებით გზას.

– რა შეწუხებაა შვილებო, რა უნდა დაგვაკლოთ. სტუმარი ღვ-თისააო იტყვიან, მითუმეტეს თქვენნაირი სტუმრები, ახალშეულლე-ბულები, თქვენ შეფარება, მოვლა-პატრონობა და გზაზე დაყენება ნამდვილად გჭირდებათ. მოვა კაცი და ერთად გადავწყვიტავთ. ისე სად გინდათ იცხოვროთ?

– არ ვიცით. სწორედ ჭკუის საკითხავად მოვედით თქვენთან. ისე არ გაგვიჭირდება, ცოტა-ცოტა დანაზოგი გვაქვს მე და თამთას, ასე ვთქვათ მშობლების ნაოფლარი თანხა და ამის იმედი გვაქვს.

– ჩვენ შეძლებულად ვცხოვრობთ, რაც არ უნდა იყოს, თავადები ვართ... რამდენიც მოგესურვებათ, იმდენხანს დარჩით... არაფერს მოგაკ-ლებთ, საკუთარი შვილებივით მოგივლით.

– შვილები არა გყავთ ქალბატონო? – ჰკითხა თამთამ და თავის გუნებაში უარყოფითი პასუხის შემთხვევაში სითბო და სიხარული ჩაეღვარა უნებლიერთ.

- როგორ არა თქვენ შემოგევლეთ, სოფელში არიან გასულები.
- ღმერთმა გახაროთ და გაბეჭიეროთ. შვილები ოჯახისა და ქვეყანის სიმდიდრეა...

- კია შვილები ქვეყნის სიმდიდრე, მარა... პატარებს იტაცებენ და ჰყიდიან ოსმალებზე. კი აკრძალა რამდენიმე წლის უკან მეცე სოლომონმა ტყვეთა სყიდვა, სასჯელიც კი დააწესა, მაგრამ მაინც არ ეშვებიან ამ საქმეს. ხალხი ფეხზეა დამდგარი და ყოველ წამს დარაჯობენ ამ უბედურებას.

- ერთი რაზ მაინტერესებს ქალბატონო, სად ცხოვრობენ ნოღაიდელები?

- რატომ გაინტერესებს შვილო? ბევრ სოფელში არიან... მახსენდება ნაამბობი, აგერ, ერთი, ორმოცზე მეტი წლის წინ ნოღაიდელებს ერთი ბავშვი მოსტაცეს, ლამაზი და ჭკვიანი ბავშვი იყო. ნასწავლი ხალხი ყოფილან ეგ შენი ნოღაიდელები, გავლენიანი, მაგრამ ბავშვის ასავალ-დასავალი ვერ გაიგესო, კვალს გემამდე მიჰყვნენ და მერე რაღას იზამდნენ თურმე, მიხვდნენ რომ ოსმალებს მიჰყიდესო. ასე გვანადგურებდნენ აჭარაში. უფრო მეტი ტაციობა სამეგრელოში და გურიაში ხდება თურმე... რატომ იკითხე რძალბატონო?

- თუ მოინახება ის ნოღაიდელები, იმ გატაცებული გოგოს შვილი ვარ...

- უი, დამევსოს, თვალები, მართლა შვილო?
- თვალები რატომ უნდა დაგევსოს ქალბატონო? თვალები იმას დაევსოს ვინც დედაჩემი გაიტაცა, თქვენ ჯვარი გწერიათ, უფალმა გადლეგრძელოთ...

- ჯვარი აღარ მიხსენოთ შვილო, ძალიან ბევრი ამბები ტრიალებს მაგ ჯვრის გამო, კი ვიციოთ რაცაა და ოსმალები და ადგილობრივი ფანატიკოსი ხოჯა-მოლები ამ ჯვრის გამო გვაწიოკებენ, არც ეხლა დაგვაკლებენ, რომ იცოდნენ თქვენ ქრისტიანი ცოლ-ქმარი ჩვენთან იმყოფებით. ერთ რჩევას მოგცემთ: – სანამ საკუთარ ჭერს არ გაიჩენთ, მანამ ნურავის გააგებინებთ თქვენს ქრისტიანობას, რაიმე ხიფათში არ გაებათ. როდესაც სამოსახლოს გაიჩენთ, მერე თავადაც მიხვდებით, რა უნდა მოიმოქმედოთ... მაშ ნოღაიდელის შთამომავა-

ლი ხარ შვილო? ეგებ მოინახოს შენიანები, მაგრამ ბევრი გაკითხვ-გამოკითხვაა საჭირო.

ბედი მითხარი და ილბალი თოროემ... იქნებ მართლაც ვიპოვოთ, მაგრამ მართლაც ორმოცი წელია გასული, ვინ იცის ვინაა ცოცხალი, ან კი არიან საერთოდ ცოცხლები? სოფელი მაინც ვიცოდე, ისე რომ მივაკვლევდეთ ჩვენს ბედს მართლაც ძალლი ინატრებს... იქნებ მათთან ჩავსახლებულიყავით... ისე დედას ძალიან აინტერესებდა თავისიანების მონახვა, ამ საქმეს რომ თავს მოვაბამდეთ, იქნებ შემირიგდნენ კიდეც, მაგრამ ჩვენ ვეღარც ჩვენს მშობლებს მივაკვლევთ მგონი, არათუ დედაჩემის მხარეს... ეჲ, რაც არის იყოს, ყველაფერი უფალზეა დამოკიდებული.

– ღმერთს რაც სურს ისე იქნება შვილო... ღმერთმა მზე და მთვარესავით შეგაბეროთ ერთმანეთს. კარგები ხართ და ერთმანეთი დააფასეთ, როდესაც ცოლ-ქმარი ერთმანეთში სიამტკბილობაში იქნებით, ასეთ ურთიერთობას ღმერთიც აფასებს. შენ დიდგვაროვანი ოჯახის შვილი ყოფილხარ, მაგრამ მაგ უპირატესობას ნუ წააყვედრი ნურავის. გახსოვდეს, რომ ქალი მისდევს მამაკაცს, ამიტომ ქრისტიანული ცემა უნდა გაგყვეს ბოლომდე. იტყვიან – მამაკაცის სამოთხის ადგილ-სამყოფელს ქალი ამკვიდრებსო. ამიტომ ოჯახი რომ შექმენ, ბოლომდე მოუარე. ისე ვართ შექმნილები, ოჯახი ხშირად ქალებს აწვება სიმძიმედ, არც ეს უნდა გაგიკვირდეს. მძიმე შრომაც მოგინიოს იქნება, მაგრამ ამ შრომას მადლის სუნი ექნება ყოველთვის. ქალს მეტი ენერგია ეხარჯება და ამაზე საყვედურის გამოთქმა ღმერთს არ მოსწონს. ეჲ, გაგიჩნდებათ შვილები და მერე ყველაფერს თავისთავად გაიგებთ. ცხოვრება ბრძოლაა შვილებო და ამ ბრძოლაში გაიმარჯვებთ აუცილებლად თუ ერთმანეთის ერთგულები იქნებით და ხალხის სიყვარულს დაიმსახურებთ, ხალხის წინაშე დამსახურება უნდა შეძლოთ კარგი ოჯახის შვილობით და მტკიცე იჯახით.

– დიდი მადლობა ქალბატონო ჭკუის სწავლებისა და დარიგებისათვის სწორედ მასეთ გზას ვადგავართ. ჩვენ ბავშვობიდან ერთად ვიზრდებით და ერთმანეთს ძალიან კარგად ვუგებთ, ბავშვობიდან დიდი აზრებიც გვაწუხებდა, მაგრამ საქართველოში ბავშვებს აბა ვინ აქცევს ყურადღებას, ჩვენი ოცნებებით ბევრი რამ გვინდა თუმცა

სწორედ ამ ოცნებებმა შეგვაერთა. თუ თამარ მეფობას და დავით ალ-მაშენებლობას ვერ მოვახერხებთ კარგი შთამომავლობის მიცემა გვაქვს გეგმაში სამშობლოზე. ქვეყანა კარგი ადამიანებით ხარობს და ეს კარგი ადამიანები ციდან არ ცვივა ფანტელებივით. უფალი ამ ოცნებებს აგვისრულებს იქნებ. თუ ასე მოხდა ვალმოხდილი ჩავალთ საფლავში და ის გვეცოდინება მაინც, რომ შვილებისა და შვილთაშვილების უღირსობით საფლავში არ გადაგვაპრუნებენ.

— ლმერთი იყოს თქვენი შემწე შვილებო, დაილოცოს მისი ნება.

ბინდი რა ხანია წამოეპარა ქვეყანას, აქა-იქ სინათლემ გამოანათა სარკმლებიდან. დიასახლისი და სტუმრები ვახშამს უსხდნენ, როცა ოჯახის უფროსმა და შვილებმა ერთად შემოაღეს კარი. უცხო სტუმრებს გადახედეს და...

— დე, ვინ არიან ესენი? — იკითხა უფროსმა ვაჟმა.

— ჯერ მიესალმეთ შვილებო და მერე იკითხეთ.

ფეხზე წამოდგნენ საამი და თამთა და ოჯახის უფროსს თავად მიესალმნენ და გადაეხვივნენ კიდეც.

— მესხეთიდან ვართ, თავდგირიძების შორეული ნათესავები და სულერთია რომელი თავდგირიძე დაგვაყენებს სწორ გზაზე, ამიტომაც ბედად პირველი თქვენთან მოვხვდით და თქვენ იმედზედაც ვიქნებით — უთხრა საამმა.

— დაჯექით, ვივახშმოთ და საქმეზე ხვალ ვილაპარაკოთ.

ვახშამი გაუგრძელდათ, მასპინძელმა ღვინოც ჩამოდგა.

— კი გვიკრძალავენ, მაგრამ ჩუმჩუმათ მაინც ვახერხებთ რალაცას. ასეთი საპატიო სტუმარი უბრალო ლუკმაზე როგორ გადაიტარება, მითუმეტეს ახალშეულლებულები ყოფილხართ. ლმერთმა გაბედნიეროთ და კარგი ოჯახი შეგაქმნევინოთ. სამშობლოს სიყვარული და ქვეყნის წინაშე მოვალეობის გრძნობა არ გაგცივებოდეთ, სასახელო თაობა გამოგეზარდოთ — თქვა გიორგიმ და სასმისი გამოცალა.

საამმა და თამთამაც მოწრუპეს ღვინო. სასიამოვნო სითბო და სიტკბო ჩაელვარათ კეთილი მასპინძლისა და კარგი ღვინის შემდეგ.

— ეხლა გამოიძინეთ და ხვალ ვილაპარაკოთ. ნამგზავრი ხართ და ენერგიის ალდეგენა გჭირდებათ.

მიიძინეს და მიწყნარდა სოფელიც. როდის-როდის, ჩაეძინათ საამსა და თამთას.

დილით ადრიანად გაიღვიძეს და ეზოში ძელსკამზე დაუხვდნენ ოჯახის უფროსებს.

– შემოდით შვილებო, საუზმე მზადაა – შეიპატიუა ქალბატონმა ასმათმა.

ნაუცბათევად მოათავეს საუზმე და სახლის უკან ხეხილნარში მიუსხდნენ მაგიდას.

– წუხელ ალარ ჩაგეძიეთ, ახლა თქვენი გეგმები და მიზანი გაგვაცანით ახალგაზრდებო, რას აპირებთ, სად აპირებთ, როგორ აპირებთ – პასუხის მოლოდინში გადავიდა გიორგი.

– ზედა აჭარაში გვინდა წასვლა და დამკვიდრება, იქ ჩვენიანებს მოვნახავთ, ნაცნობებს და ალბათ დახმარების ხელს გამოგვიწვდიან.

– აქ რომ დარჩეთ, რა იქნება ვითომ? ჩვენც შეგვიძლია დახმარება, ესეც არ იყოს ისეთი რძალი გვყავს თავდგირიძებს, რომ იცოდეს აქ იმყოფებით, თავად გვეახლება. ბეჟანიძის ასულია, მაგრამ ვაჟკაცებს არაფრით ჩამოუვარდება – ხელმძღვანელობს ანტიოსმალური ბრძოლებისთვის დარაზმულ პატრიოტ ვაჟკაცებს... თითქოს მუსლიმანია, მაგრამ ოსმალების დაუძინებელი მტერია. ვემხრობით კიდეც... ნაძირალებია ეს ოსმალები, ყველაფრის მკადრებელნი... ჰოდა ამას ვამბობდი, ვაჟკაცი ქალია მეთქი. ათი წელი ოსმალების ტყვეობაში ნამყოფი, მეფე ვახტანგ VI-ის ძმა, პატრიარქი დომენტი მაგან შეიფარა ამ რამდენიმე წლის წინათ. ამ დამსახურებისთვის იმერთა მეფემ ალექსანდრე V-მ დარეჯანი თავის ხელდებულად სცნო და წყალობა უბოძა. მეფებისგან ზურგგამაგრებული დარეჯანი, სოლომონ I-ის ერთერთ უძლიერეს თანამებრძოლად ითვლება, ამჟამად ამ პატრიოტ მებრძოლებს ატამანობს და დიდი სახელიც დაიმკვიდრა. ჰოდა ასეთი ქალი რომ გვყავს თავდგირიძებს, ხომ არ ისურვებდით მის მონახულებას?

– შეხვედრა ნამდვილად შეიძლება, მაგრამ ზედა აჭარაში ჩვენი დამკვიდრების სურვილს არ დაეთანხმება, უკვე ვგრძნობ – გულალად უპასუხა საამშა.

– ჰო, ეს ალბათ ასე იქნება ნამდვილად... ისე ნუ აჩქარდებით, ჩემთან დარჩით ცოტახანს და, სანამ ვითარება არ გიკარნახებთ და გული არ გაგიწევთ, გეპატრონებით.

– კარგი, იყოს ნება თქვენი...

ერთ თვეს დარჩნენ საამი და თამთა კეთილისმყოფელ ოჯახში. ერთი თვის შემდეგ სოფელ მახუნცეთის თავდგირიძეებს აახლეს ქობულეთლებმა ახალგაზრდები და თანაც წერილი გამოაყოლეს:

„როგორც ჩვენ ავიყარეთ მესხეთის ტერიტორიიდან, ისეც ამ-ჟამად გაცლილა ხალხისაგან მთლიანი მესხეთი. ეს ცოლ-ქმარიც იქედან თავგამორიდებული, ახალშეულლებულები არიან, ცხოვრებაში ბევრი არაფერი იციან და ჩვენი ნათესაობის მაღლით და კაიქართველობით დახმარება აღმოუჩინეთ, სადმე დაასახლეთ. მათი სურვილით ქედის ტერიტორია აირჩიეს, ვიღაც ჰყოლიათ მაქ და იქნებ მოაძებნინოთ... თქვენი ნათესავი გიორგი თავდგირიძე“.

სამი დღე დასჭირდათ მახუნცეთში მიღწევამდე.

... პატარა ვაკე ადგილას რამდენიმე სახლი და ცადანვდილი ხეები დახვდათ საამსა და თამთას. თამარის ხიდით მდინარის გაღმით გავიდნენ და ერთ-ერთ სახლს მიადგნენ.

– მობრძანდით, მობრძანდით, რაღაც არ მეცნობით, სადაური ბრძანდებით.

– შორიდან ვართ მოსული, თანაც წერილი გვაქვს გადმოსაცემი – თქვა საამშა და მასპინძელს წერილი გადასცა.

მასპინძელმა, შუახანსგადაცილებულმა ჯემალ თავდგირიძემ წერილი გადაიკითხა და ცოლ-ქმარი სახლში შეიპატიქა.

– აქარას არ იცნობთ და მე გეტყვით რა მდგომარეობაა. სოფლების ნახევარი მცხოვრებლებისაგან გაცლილია – ოსმალეთში ძალით გაირევეს, ზოგი თავისით წავიდა, ზოგიც საქართველოს სხვადასხვა კუთხეში გადასახლდა, ასე რომ, თუ აქარაში ცხოვრებას აპირებთ ნებისმიერ სოფელში შეგიძლიათ იცხოვროთ, ოლონდ მდინარიდან მოშორებით ჯობია, იმიტომ რომ შემწუხებელი ნაკლებად გეყოლებათ. ჩვენ ნათესავად მიგილებთ, მაგრამ ეს ცოტა რამეს ნიშნავს. სანამ საკუთარ საცხოვრებელს გაიჩინოთ წლები გავა. იქნებ მიტოვებული სახლიც იყოს და შეიძინოთ, მაგრამ შენი ხელით აშენებულს არაფერი ჯობია. მაინც რომელ სოფელს აირჩივთ, თუმცა სად რა სოფელია რა იცით. შეიძლება შემოვიაროთ სოფლები და დავათვალიეროთ.

– დიდ სოფელში ჯობია ცხოვრება, საქონელს მოვაშენებთ და იქნებ მიწებიც შევიძინოთ. აქეთ-იქეთ სირბილის თავი ნამდვილად

არა გვაქვს. ეხლა სადაც დავსახლდებით ის იქნება ჩვენი შთამომავლობის ადგილსამყოფელი. იქნებ ვინმე გაგვაყოლოთ ახალგაზრდა, თორემ შენ ცოდვა ხარ, ამ ხნის ადამიანი.

– კი ჩემო ნათესავო, შვილები მოვლენ საღამოთი და ხვალვე შეგიძლია სურვილის შესრულება. ისე კი ჩვენთან რამდენ ხანსაც ისურვებთ იყავით, არ გვიჭირს.

– დიდი მადლობა. იქნებ ცოტა ხანს მართლაც მოგვიწიოს დარჩენა, ვიდრე ადგილს გამოვნახავდეთ.

დიასახლისი დაბრუნდა ამ დროს მეზობლებიდან და უცხოები რომ დახვდა, გაიკვირვა და მეუღლეს გადახედა.

– ნათესავები არიან ქალბატონო, მესხეთიდან ლტოლვილები.

– ხომ მშვიდობაა თქვენსკენ? – იკითხა დიასახლისმა.

– რაღა მშვიდობაა ქალბატონო, მესხეთი ოსმალებმა დაიკავეს და ხალხი დედა-ბუდიანად აიყარა და საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გადასახლდა. ჩვენ დანაშაული მიგვიძლვის – ჩუმად ვიქორწინეთ და იქ ალარ დაგვედგომებოდა, ალალბედზე წამოვედით, მაგრამ ვიცოდით, რომ ჩვენი შორეული ნათესავები იყვნენ თავდგირიძეები და ამიტომ მოვაშურეთ აქეთ. ისე კი დანამდვილებით არ ვიცით, როგორი ნათესაობა გვაკავშირებს თავდგირიძეებთან. კიდევ ერთი – ხოჯა კაცია, თამთას მამის ალმზრდელი ახმედ ხალიფაშვილი, საღლაც აქ, ქედის სოფლიდანაა და იმის იმედი გვაქვს კიდევ.

– თუ რა ნათესაობა გაკავშირებთ, მაგის გარკვევა არც ისე ძნელია და არც იმდენადა საჭირო, ეხლა მთავარია თქვენთვის საცხოვრებელი ადგილის დადგენა და რომ დამკვიდრდებით, მერე რაც გინდათ ის გავარკვიოთ. ის ხოჯა მოვინახულოთ, მაგრამ თქვენ ქრისტიანები იქნებით ალბათ არა?

– ჰო, ქრისტიანები ვართ.

– ეს კი გააძნელებს ხალხთან და ადგილობრივ ხელისუფლებასთან ურთიერთობას. რა უნდა ქნათ?

– ჯერ ხოჯა-ახმედი ვინახულოთ და მერე ვიფიქრებთ ამ საქმეზე.

– როგორც გერჩიოთ.

დიასახლისმა ვახშამი გააწყო. ამ დროს ჯემალის შვილებიც შემოვიდნენ სახლში და უცხოები რომ დაინახეს, კითხვის თვალებით შეხედეს მშობლებს.

– გაიცანით შვილებო სტუმრები არიან, თანაც ნათესავები, მესხე-
ეთიდან – თქვა ჯემალმა.

თითქმის ერთი ასაკის იყვნენ სტუმრები და დამხვდურები, გადაეხ-
ვივნენ ერთმანეთს და შემდეგ სუფრას შემოუსხდნენ.

შუალამე იყო უკვე დასაძინებლად რომ აიშალნენ.

ლამაზი დილა გათენდა. საამი და თამთა ადრიანად გამოვიდნენ ე-ზოში და ძელსკამზე მოთავსდნენ, თან მიღამოს ათვალიერებდნენ.

როდის-როდის მასპინძლებიც გამოვიდნენ ე-ზოში.

– კი მაგრამ ვინმე მოგდევდათ, ასე ადრიანად რომ ამდგარხ-
ართ, ძილი არ გაქვთ ახალგაზრდებს?

– ძილი ნამდვილად გაგვექცა. მიუხედავად იმისა ამდენი ვიმგ-
ზავრეთ და დალლილებიც ვართ, ძილი მართლაც საჭიროა ძალების
აღსადგენად, მაგრამ ვიდრე ჩვენს ჭერს არ გავიჩენთ, ალბათ ასე
მოგვიწევს ლამების თენება.

– დადგება მაგი დროც შვილებო – თქვა დიასახლისმა და რამ-
დენიმე წუთში საუზმეზე მიიწვია ყველანი.

საუზმის შემდეგ ისევ ეზოში გამოვიდნენ. მზემ სადღაც ზემოთ
ტყის ფერდობები შეავარდისფერა.

ჩანჩქერს კიდეს თვალი საამმა და თამთამ.

– ლამაზი ჩანჩქერია. იქ სოფელიც ხომ არ არის? – იკითხა
თამთამ.

– სოფელი ნამდვილად არის, ნახუცრეთი ქვია. ეს ტერიტორიაც
იმ სოფელს ეკუთვნის. მაგრამ მჭიდროდ დასახლებულია და
ძალიანაც რომ გინდოდეთ, ვერსად დასახლდებით.

– არა აქვს მნიშვნელობა, სად დავსახლდებით, ოლონდ ჩვენი
კერია გავიჩინოთ. თუ ადამიანი მუშაა, ის ყველგან იცხოვრებს, ჩვენ
კი მუშაობის არ გვეთაკილება, ბევრი რამ ვიცით კიდევ, ასე რომ არ
გაგვიჭირდება მგონია – დააყოლა საამმა.

– მუშა ადამიანს ლმერთიც ლოცავს და არ გაუჭირვებს – თქვა
დიასახლისმა.

– სადღაც სოფელი ყოფილა, ასე ნახევარი საუკუნის უკან ოს-
მალებს ერთიანად გაუჟღეტიათ მცხოვრებლები, შორსაა აქედან?

– სახელი თუ იცით სოფლისა?

– მგონი რაღაც ლორთან დაკავშირებული სახელი აქვს.

— ჰომ? ეგ სოფელი სალორეთია. აგერ, იმ გორის გადაღმა, ძალიან ცოტაა მცხოვრებლები. თუ იქ გადაწყვიტეთ ცხოვრება ახლოსაც გვეყოლებით.

— გზა თუა იქამდე?

— გზა როგორ არაა შვილებო, საურმე გზა გადის, ამ ხიდზე გად-მოდიან და ზღვაზე ჩადიან. სავაჭრო გზაა... აგერ ჩვენთან. ახლოს, ძველისძველი საგადამხდელო პუნქტია და ერთ დროს ალბათ მექარავნეებს და ვაჭრებს გზის ქირას ახდევინებდნენ. ახლაც ხდება ამგვარი რამ, მაგრამ ეხლა მოვაჭრები აღარ არიან.

— რა ვქნათ, გაგვაყოლებთ ვინმეს თუ თვითონ წავიდეთ?

— წადით, მაგრამ ქალს ნუ წაიყვანთ, ცოდოა აღმართ-დაღმართ გზებზე. ჯერ ადგილმდებარეობა დაათვალიერეთ და როდესაც აირჩევთ, ქალიც მერე წაიყვანე. ეხლა წადით ნულარ დააგვიანებთ, ძნელი გზაა, რაცარუნდა იყოს, პირველად გაგიჭირდება.

— ცხენები გვყავს ბატონონ ჯემალ, ცხენით ვივლით.

— აღმართებში ცხენს გაუჭირდება ტარება, ფეხით ჯობია.

— როგორც გვირჩევთ, ისე მოვიქცევით. ისე მაინც წავიყოლებთ, ვინ იცის როგორ დაგვიფირდება

— ეგ თოფ-იარაღიც აქ დატოვეთ, ტყეში წალდი და ცული იქონი-ეთ, იქ საშიში არაფერია.

— მაშინ ფულიც დაიტოვეთ, რომ არ მივათესო სადმე — თქვა საამშა, და ფულიც და თოფ-იარაღიც ჩააბარა კეთილ ნათესავს და ტყიან აღმართს შეუყვნენ, თვითონ და ჯემალის ვაჟები.

ერთ ადგილას, თამარის ხიდიდან ორი ვერსის მანძილზე უზარმაზარი მინდორი იყო, ნასოფლარი, დამსხვრეული სახლებით. მოენონა საამს ეს ნასოფლარი და გულში ჩაიბეჭდა.

— ნასოფლარი კია მარა, რა ქვია ხომ არ იცით? — ჰკიოთხა მეგ-ზურებს საამშა.

— სახელწოდება ზუსტად არ ვიცით, მაგრამ ასეთი გადმოცემა არსებობს: იქ, ზემოთ, გამინდვრებაზე დიდი ეკლესია მდგარა, რომელზეც აღმართული ჯვარი სოფელ სალორეთიდანაც მოჩანდა და რის გავლენითაც ნახუცრეთისა და სალორეთის გამყოფ გორას, სალორეთლებმა ჯვარქედი შეარქვესო. ამ ნასახლარებზე დიდი მინ-დორი ზემოთაა, ნახუცრეთისკენ, სულ კი დაახლოებით ოცდაათამ-

დე ოჯახი ყოფილა, რომელნიც, ამავე გადმოცემით, სალორეთელთა ამონცვეტის ჟამს გაუბეჭურებულან, ალბათ ზოგი ამონცვიტეს ზოგ-იც მუპაჯირში წაიყვანეს... ასე, ორი საუკუნის წინათ სოფელს სა-ბაკურილო ერქვაო... ვინც პირველად დასახლებულა, ბაკური რქმე-ვია, გურიიდან ყოფილა გამოქცეული. ოჯახები რომ გამრავლებუ-ლან და ძეობაც დაპედებიათ, უმეტესს შვილებისთვის ბაკური შეურქმევიათ და მათი სიმრავლის მეოხებით სოფელს საბაკურილო უწოდეს. ვფიქრობთ სინამდვილეს უნდა შეეფრებოდეს, თუმცა, რამ-დენად ნამდვილია, არავინ იცის... ამჟამად ნასოფლარს ვეძახით, მა-გრამ გავადრო და იქნებ ამ ნასოფლარს სულ სხვა სახელი უწოდონ... იცვლება ყველაფერი. გადმოცემებიც იკარგება...

– კაი სამოსახლოა. მოდით ის სოფელიც დავათვალიეროთ.

გორა გადაიარეს და საამის თვალწინ უზარმაზარი ტერიტორია გადაიშალა, აგერ-იგერ სახლებით.

– ესაა სალორეთი?

– ჰო, ესაა, რამდენიმე ოჯახია მხოლოდ.

– გვარები ხომ არ იცით?

– მგონი შალიკაშვილებიც არიან, აბულაძები და თებიძეებიც.

– ბიჭოს, შალიკაშვილები და აბულაძეები მესხეთიდან არიან გამოქცეულები, ნეტავ ისინი ხომ არ არიან?

– ეგ ნამდვლად არ ვიცით

– უნდა ვნახოთ აუცილებლად. აქედან აღარსად წავალთ მგონია.

ლამაზი ადგილებია, საქონლისთვისაც გამოსადეგარი.

დაეშვნენ სოფელში, სადაც ნახირი იყო მოდებული მიდამოს, უთვლელი თხა-ცხვარი და მსხვილფეხა პირუტყვი. ბლავილ-კიკი-ნის და ძალლების ყეფა ისმოდა ირგვლივ.

მწყემსი ბიჭუნა იდგა ერთ ქედზე და ნახირს ათვალიერებდა.

– გამარჯობა მეგობარო, რა გვარისა ხარ? – შეეკითხა საამი.

– შალიკაშვილი ვარ. ეე, იგერ ვცხოვრობ გალმით – თქვა და საამს სახლი აჩვენა.

– უფროსები თუ არიან სახლში?

– კი, სახლში არიან. ვინ ბრძანდებით?

– აგერ გადალმა სოფელში ვცხოვრობთ – უპასუხეს ჯემალის შვილებმა და გზა გააგრძელეს.

— უნდა ვინახულოთ ეგ ხალხი, ჩვენი კუთხიდან არიან. ხომ უნდა იცნობდე მათ, ვის გვერდითაც დასახლდები — თქვა საამშა.

— კი, ნამდვილად საჭიროა. წავიდეთ აბა.

ნახევარ საათში შალიკაშვილებს ეახლნენ.

სახლიდან უხუცესი კაცი გამოვიდა და სტუმრები შეათვალიერა.

— ვინა ხართ, საიდან? ხომ მშვიდობაა?

— ნახუცრეთის ბოლოდან ვართ ბაბუა, ეს კი? — თქვეს და საამს შეხედეს.

— მე ძია კაცო მესხეთიდან გახლავარ, მესხი ლტოლვილი ვარ, ცოლის ერთად ვარ ნამოსული, ასე ვთქვათ გამოქცეული.

— როგორაა საქმე მესხეთში შვილო, ხომ მშვიდობაა?

— აღარაა მშვიდობა ბაბუა, მთელი მესხეთი გაიცალა ადგილობრივი მოსახლეობისაგან. ახლა იქ ოსმალები სახლობენ.

მოხუცს არ ესიამოვნა ასეთი ამბავის მოსმენა და გაყუჩებული უსმენდა საამს. რამდენიმე ხნის შემდეგ ამოილო ხმა.

— ესე იგი ყველა აიყარა არა? ახალციხის ფაშა ძალიან მკაცრი და უსისხლო, მაგრამ სისხლის მსმელი ყოფილა, ასეა?

— მაგდენი ნამდვილად არ ვიცი ძიაკაცო... მე საკუთარი გაჭირვება მაქვს და ამიტომ ნამოვედით იქედან.

— რაა ასეთი, ხომ არ მოგიკლავს ვინმე?

— მოკვლით არა, მაგრამ არც მაგაზე ნაკლებადაა საქმე...

ქალი მოვტაცე დიასამიძეებს და იქ აღარ გამეჩერებოდა, ეს მერამდენედ მოყვა საამი, მაგრამ ასე იყო საჭირო..

— ვინ დიასამიძეს, შალვას ხომ არა?

— ჰო. მისი შვილიშვილია, იცნობთ შალვას?

— როგორ არ ვიცნობთ შვილო, ახალციხის მფლობელი იყო, სწორედ მისი ხელშეწყობით ჩამოვედით აქ საცხოვრებლად. დიდად დაგვეხმარა მაშინ. ჩვენი განადგურება ეწადათ მტრებს, მაგრამ შალვას დახმარებით ერთი დღე-ლამით გამოვასწარით. ჩვენ ამ ხეობაში ზემოდან ჩამოვედით.

— თქვენ საიდან მოხუცედით შვილო?

— ხინოს ხეობიდან.

— ქრისტიანები ხართ?

- ჰო.
- ჩვენც ქრისტიანები ვიყავით. სარწმუნოება შევიცვალეთ, მარამ რომც არ შეიცვალოთ, კაციშვილი არაა მომკითხავი. ასე ვთქვათ თავისუფლად ვცხოვრობთ. შენ სად დაიდე შვილო ბინა?
- არსად, მაგრამ რომ გავიგე თქვენი ვინაობა, სწორედ ამიტომაც გამოვეშურე. მომენტია აქაურობა, შეიძლება რომ აქ დავსახლდეთ?
- როგორ არ შეიძლება, სულ რაღაც ოცამდე მოსახლე ვართ.
- მე ისე გადალმა ადგილებიც მომენტია. იქ სახლები ვნახე დალენილი. იქ შეიძლება დროებით ვიცხოვოთ?
- რატომ დროებით შვილო, მეზობელი ხომ გინდათ.
- რატომ და მასალას დავამზადებ, რომ საკუთარი სახლი ავიშენო.
- კაი ჩანაფიქრია. ჩვენც წაგეხმარებით. რას ფიქრობ, მართლა აქ აპირებ დასახლებას?
- რას მირჩევ?
- მთელი სოფელი ჩვენ გვიკავია, საქონელს ვაშენებთ და ვყიდით. თუ დასახლდები, მინა-მამულები არ ინაღვლო, რამდენსაც შეძლებ, იმდენი იქნება შენი.
- მაშ, მირჩევ?
- გირჩევ და მოხარულიც ვიქნები. ახალგაზრდა ხარ და მალე მოაწყობ ცხოვრებასაც. ახალგაზრდები წამოგეხმარებიან, არაა სადარღებელი.
- დავსახლდები, ოღონდ ჯერჯერობით იქ გადალმა. მაშინ თუ ასე მირჩევ, მასალას დავამზადებ და აქ ავიშენებ, მანამდე კი ვიდრე მასალას დავამზადებ, იქ იმ ძველი სახლების ნამტვრევებისაგან ქოხს შევაკონინებ.
- ტყის პირას შვილო მარტო გაგიჭირდება თანაც საშიშია, ნადირი რომ წამოგეფეთოს?
- თოფუ-იარალიც მაქვს ძიაკაცო, სახლიდან გამოყოლილი, მონადირეც გახლავარ.
- ძალიან კარგი, როგორც გირჩევნია, მაგრამ ახლა შემოდგომაა, როგორ მოასწრებ ყველაფერს, ჭამა-სმა ხომ გინდა?
- ფულით რაიმეს ვერ შევიძენ?

– როგორ არა. საკლავს აგერ მოგცემთ, გადახდა არაა საჭირო. ამოგიდგებით მხარში, ჩევნი იმედი გქონდეთ.

– სწორედ ამიტომ მოგინახულეთ. ეხლა თავდგირიძებთან ვართ სტუმრად, ნათესავად გვერგებიან.

– ძალიან კარგი. შენ გეტყობა კარგი მუშაკი იქნები. თუ გადაწყვეტილებას მიიღებ, დროს ნუ გააცდენ უქმად, სანამ ჯანი მოგდევს, ცხოვრება აინყვე.

– გმადლობთ ძიკაცო. ამ სოფელში სამოსახლოც თქვენ უნდა ამარჩევინოთ და რახან შალვას ნაცნობი ბრძანდებით ეს უფრო გამო-ადვილებს თქვენთან დაახლოებას. მისი შვილიშვილი, ჩემი მეუღლე საექიმო დარგშია დახელოვნებული და იქნებ მანაც საჭირო საქმე გამონახოს.

– მართლა შვილო? ხალხი ავადმყოფობს ნამდვილად. ექიმებს როგორ გაეკარები, ხოჯა-მოლები ძალიან სდევნიან ისეთ პირებს, ვინც ექიმისაკენ დაიჭირა გეზი, თვითონ ასულელებენ რაღაც ლოცვებით... მოტეხილობა შვილო, შელოცვებით მორჩება? გადმოდით, მართლაც რომ დროზე გამოჩენილხართ.

ამ დროს პარმალზე დისახლისი გამოჩნდა.

– არ გრცხვენია კაცო, სტუმრები ეზოში გაგიჩერებია?

მობრძანდით შვილებო, სადილობის დროა უკვე, ნამგზავრი ხართ გეტყობათ.

– ნამგზავრი არც ისე შორიდან ვართ, გადალმიდან ვართ მოსული ქალბატონო, შიმშილით კი ნამდვილად გვშია.

შალიკაშვილების ქალბატონმა სალომემ სტუმრები სახლში შეიპატიუა და ლაზათიანი სადილი მიართვა.

– იგერ, სოფლის ცენტრში რომ ერთი შენობაა, რა ნაგებობაა? – იკითხა საამბა.

არ ეჭაშნიკა შალიკაშვილს ეს კითხვა, მაგრამ მაინც უპასუხა.

– ძველისძველი საყდარია, სამლოცველო. ეკლესიაც ყოფილა სოფლის ცენტრში, მაგრამ გადაუწვავთ, თუმცა არ ვიცით ვინმე დაანგრევს თუ არა საყდარს, ისე კია გამოკეტილი.

– რომ ვილოცოთ თუ შეიძლება?

არც ეს მოეწონა მასპინძელს.

– მე ვერც ჰოს გეტყვი და ვერც აგიკრძალავ. ჩვენც ხომ ქრისტიანები ვიყავით, მაგრამ აქ რომ დავსახლდით მუსლიმანობა მივიღეთ, ასე იყო საჭირო და ვერც ვერაფერს ვხედავ ცუდს მუსლიმანობაში. იტყვიან – სადაც მიხვალ, იქაური ქუდი უნდა დაიხუროო... მე ვერაფერს გირჩევ, თუ დასახლდებით აქ, თვითონ ვითარება დაგანახებთ როგორ მოიქცეთ... ჩემი აზრი კი ასეთია – ადამიანი ურნწმუნო არ უნდა იყოს თორებმ, სალოცავი სიტყვები რომელ ენაზეც გინდა ისე წარმოთქვი.

ისადიღეს, მასპინძელს მადლობა გადაუხადეს და უკან გაბრუნდნენ. სალამოთი სახლში დაბრუნდნენ.

– ჰა, რას იტყვი მოგენონა ტერიტორია? – ჰკითხა ჯემალმა.

– კი, ძალიან კარგი ადგიღებია. ერთ ადგილას კარგა მოზრდილი მინდორია, ნასახლარებით. დროებით ალბათ იქ დავიდებ ბინას, დალენილი სახლებიდან ჩემთვის შევაკონინებ ქოხს, მერე მასალას დავამზადებ ახალი სახლისათვის და მგონი სახლს სალორეთში ავიშენებ. იქ ჩვენი კუთხიდან აბულაძეები და შალიკაშვილები სახლობენ. ჯერჯერობით შალიკაშვილს გავესაუბრე დასახლებაზე თანხმობა განმიცხადა და შემწეობაც აღმითქვა, ალბათ თავს გავიტანთ როგორმე.

– შენ კეთილი გული, კაი ადამიანობა, პატიოსნება აჩვენე ხალხს და სითბოსაც ელოდე მათგან. ეხლა ერთ კვირას დაისვენეთ და მუშაობა შეგიძლია დაიწყო.

– არავითარი დასვენება არ მჭირდება. ქოხის აშენებას ის ერთი კვირა ეყოფა, შენ რომ დასასვენებლად გაიმეტე ჩემთვის. საკუთარ ჭერქვეშ ნამდვილად მინდა ყოფნა.

– როგორც გირჩევნია. ჩვენც წამოგეხმარებით, სხვებიც არ დაიზარებენ. ახალ მოსახლეს ყველა წამოგიკრავს ხელს. სამუშაო იარაღები არ იდარდო, მე ისედაც აღარ მჭირდება, რაც გამაჩინა სულ წაიღე – ხერხი, ნაჯახი, ბარ-თოხი და რაც მოგესურვება. ძალაყინიც დაგჭირდება, პალოებიც და უროც.

– მაშ ხვალვე შევუდგები მუშაობას.

მეორე დილით ისევ აუყვნენ აღმართს. საამს და ჯემალის შვილებს თამთაც დაემგზავრა. ჯემალმა კი სოფელ ნახუცრეთს მია-

შურა და რამდენიმე ადამიანის თანხლებით საამის მიერ მითითებულ ტერიტორიაზე მივიღნენ.

ერთ კვირაში ლამაზი ოდა წამოჭიმეს დამსხვრეული სახლების ნარჩენებისაგან.

კვირის თავზე საამი და თამთა საკუთარ ჭერქვეშ მოთავსდნენ. ჭერი და ფუძე, ჯიშ-ჯილაგი დაულოცეს დამხმარეებმა და თავთავი-ანთ სახლებს მიაშურეს.

საამი და თამთა შეუდგნენ იმ ძნელ აღმართს, რომლისკენაც ნებისმიერი პატიოსანი მამულისშვილი მიიღოდა.

ორი სოფლის უხუცესები შეიკრიბნენ ერთ დღეს ნასოფლარ მინდორზე და თათბირი გამართეს.

– რახან ამ კაცმა ჩვენთან გადაწყვიტა ცხოვრება, უნდა წავეხმაროთ. ეხლა ესენი ველარაფერს მოიწევენ, დიდი-დიდი მწვანილი მიათესონ. ეს ზამთარი ჩვენ უნდა გადავატანინოთ, გაზაფხულზეც წავეხმარებით და მერე თვითონ გააგნებენ გზას. ამ ზამთრის სურ-სათ-სანოვაგე ჩვენ უნდა მოვიკლოთ და დავეხმაროთ, სული გავატანინოთ – თქვა ერთმა უხუცესმა.

– ამ ნათქვამს ალარ უნდა ბევრი ტრიალი, გაბრუნდით ყველა უკან და შევასრულოთ ჩვენი ადამიანური მოვალეობა. მეორეც, თუ ესენი სალორეტში გადაწყვეტენ დარჩენას და ცხოვრებას, რამდენადაც ვიცით, იქ თავისუფალი მიწებია, თორემ სახლები არაა და სწორედ ამიტომ, თუ თვითონ დაგვეთანხმება, ამ სახლების ნარჩენებით შესაძლებელია ერთი კარგი სახლის აგება და ამაშიც ჩვენ უნდა დავეხმაროთ. მერე ალბათ სხვებიც დასახლდებიან და ერთმანეთს მიხედავენ. რაც მეტი მცხოვრები იქნება, მით უკეთესი, თორემ აგერ უკვე ორმოცდათო წლის მანძილზე სოფელში თუ ოცამდე ოჯახმა მოიყარა, ისიც მათსავით შემოსახლებულებით. დიახ, ამჯერად ამ ცოლ-ქმარს უნდა გავუზოდოთ ხელი, რაც შეიძლება გულუხვად – დაამთავრა სიტყვა ნახუცრეთელმა უხუცესმა და მოქმედებისაკენ მოწოდებით გაბრუნდნენ სახლებისაკენ.

საამი და თამთა ის ზამთარი იქ დარჩენენ ხალხის დამსახურებით და ხელშეწყობით. ყველამ გაუწოდა დახმარების ხელი. დაზამთრებამდე ცოლ-ქმარი სალორეტის საყდარ-სალოცავში დადიოდნენ.

თამთას ფეხმძიმობამ ძალიან გაახარა საამი, მაგრამ საგონიეროშიც ჩავარდა – ოჯახის სულაფობა გაიზრდებოდა და საზრუნავიც მოემატებოდა, მაგრამ უფალს ჯანმრთელობას და შემწეობას ევედრებოდა.

ზაფხულის დასასრულს ქალიშვილი შეეძინათ. ბავშვის აყვანა თავად მამას მოუხდა თამთას მითითების მიხედვით. ერთ კვირაზე ფეხზე დადგა თამთა და სიხარულით ალარ იყო. მისი მოლოგინება ორთავე სოფლის მცხოვრებლებმა გაიგეს და ქალები ყოველდღე საჩუქრებით ავსებდნენ. თამთასაც მეტი რა უნდოდა და თავისი მოწეული ბოსტნეულითა და ხილით უმასპინძლდებოდა მათ.

თამთას და საამის სიხარულს მალე შეეკვეცა ფრთები – ერთი თვის შემდეგ ბავშვი მოულოდნელად გამოიცალათ ხელიდან. გლოვის დღეები ედგათ, მაგრამ სოფლელებისაგან ნუგეშისცემა არ აკლდათ.

ერთმა მანდილოსანმა დაიმარტოხელა თამთა.

– შვილო, დარდს ნუ შეაჭმევინებ თავს. ერთი არ იქნა, მეორე იქნება ღვთის ძალით. უნდა ილოცოთ, მაგრამ ჩვენთან რომ მუსლი-მანობაა, თქვენც ასე უნდა ილოცოთ. ჩვენი კეთილი რჩევა ასეთია, დანარჩენი თქვენ იცოდეთ.

ცოლ-ქმარი დაამწუხრა შვილის დანაკლისმა და თანაც ძალიან ჩაფიქრა.

– კი დავსახლდით ქალო ამ ადგილას, მაგრამ ფუძის კურთხევა ან მღვდელმა უნდა ჩაატაროს, ან მოლამ. მღვდელს ვინ მოგაყვანინებს, ან ვინ გაბედავს ფეხის შემოდგმას. მოლა კი? მოგვყვება განა? ჩვენ ხომ ქრისტიანები ვართ?

– მოლა არ გამაგონი. ისევ ჩვენით მოვენიოთ რაიმეს დღედაღ-ამ უნდა ვილოცოთ და უფალს ვევედროთ. საყდარშიც მიმძიმს წას-ვლა, ალმაცერად მიყურებენ, ვხვდები ამას.

საამი საგონებელში ჩავარდა, მაგრამ დარდს მასალის დამზადებაში აყოლებდა. სამი თვის შემდეგ თამთა ისევ ბავშვის ჩასახვამ დააიმედა და შავებიც გაიხადა.

გადოოდა ერთი წელი, მეორე, მესამე და საამსა და თამთას სამჯერ შეძენილი ქალიშვილები სულ პატარები წაართვა სიკვდილმა.

... გადმობარგდნენ საღორეთში, სამოსახლოც ამოირჩიეს და შეუდგნენ დამკვიდრებას.

ეზოს კიდეში თავისი ხელით დამზადებული წაბლის ხის მასალით ჭირნახულის შესანახად მოზრდილი და გამძლე ბეღელი ააგო, რომელიც სახლის აგებამდე დროებით საცხოვრებლად გამოიყენა, ხოლო სამი წლის მანძილზე საამმა მეზობლების დახმარებით სოფელში კარგი სახლი ააგო, ეზოში თუთა და მსხალი დარგო.

ერთ დღეს საამმა იღლოცა და რამდენიმე დღიანი მარხვის მსვალელობაში გადაწყვიტა წესების გარეშე ემარხულა, ამიტომ მშერიც დაწვა და უქმელი დაიძინა.

სიზმარში ანგელოზი გამოეცხადა:

„„მუსლიმანურად უნდა მოინათლო და ახალი ფუძე-ბალავარიც ხოჯას დაალოცვინო... უნდა მიიღო მუსლიმანობა, ბავშვებიც შეგრჩება და ძალიანაც გამრავლდებით...“

ხილვა გაუქრა.

ძილი გაუტყდა საამს. დილით როდესაც წამოდგა შალიკაშვილებთან გადაწყვიტა წასვლა. თამთაც წაიყოლა. ორ საათში მიადგნენ წაცნობ ოჯახს. დიასახლისი გამოეგება და სახლში შეიპატიჟა ორთავე, მოესიყვარულა კიდეც.

– ქალბატონო სალომე, მეულლე სად ბრძანდება თქვენი? – მოისაკლისა საამმა.

ბალჩაშია შვილო, ამ წუთას დავუძახებ – თქვა და გავიდა. სოლომონი შემოვიდა ოთახში და ორთავეს მიესალმა. საამმა სოლომონი გარეთ გაიხმო.

– ბიძია სოლომონ, წუხელ ანგელოზი დამესიზმრა – თქვა და ყველაფერი მოუყვა. ახმედ ხალიფაშვილი უნდა მანახოთ როგორმე, ჩემი ცოლის მშობლების აღმზრდელია. ისინი, სიდედრიც და სიმამრიც მუსლიმანთა ქვეყანაში, სტამბოლში დაიზარდნენ, მაგრამ მესხეთში როდესაც გადმოვიდნენ, ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდნენ. როგორც ვიცით, ერთი ბავშვი მათაც გამოეცალათ ხელიდან და სწორედ ამის გამო მინდა ახმედ-ხოჯას ნახვა. იგი წამდვილად დამაკვალიანებს. ერთი, თითქოს სამეტკვიდრეო გაუჩინდათ შალვა დიასამიძის ოჯახში – თამთა და ისიც მე მოვტაცე, მეც რომ აღარ შემრჩა ახალშობილები? ...რაღაც მინიშნებაა ჩემი სიზმრისეული ხილვით და ეს უნდა შევეკითხო ახმედ-ხოჯას. თამთას გადმოცემით ვიცი, რომ იგი ბრძენკაცი ყოფილა, არ შეიძლება არ დაგვაყენოს გზაზე. იმას მგონი

შალვას შვილიშვილის ნახვაც გაუხარდება. როგორც მამიას და ფატ-მას, თამთას მშობლებს მეურვეობდა ოსმალეთში, არც ჩვენ დაგვაკლებს ხელს და შემწეობას. დიას, მე მგონია გაიხარებს ჩვენი ნახვით.

– კარგით შვილებო, მაგაზე ადვილი რა არის. წაგყვები მაგ ხო-ჯასთან, ვიცი სადაც ცხოვრობს.

– მაშ ახლავე შეიძლება წასვლა?

– რათა ჩქარობ შვილო, ამაღამ ჩემი სტუმარი იქნებით, თავი ამ ოჯახის წევრად იგულეთ. ხვალე დილით მე და შენ ავდგეთ და მი-ვადგეთ იმ ხოჯას.

– კარგი, გეთანხმები, უფროსი ბრძანდებით და გემორჩილებით.

იმ ღამეს საამი და თამთა საყდარში უფალს შეევედრნენ შემ-წეობას და ყოველგვარი უბედურებისაგან დაცვას.

სოლომონის სახლში რომ დაბრუნდნენ, მათი ნაბიჯების შესახ-ებ აღარაფერი უთქვამთ.

მეორე დღეს, დილით სოლომონი და საამი დაადგნენ გზას სოფელ სამზიარისაკენ, სადაც ახმედ ხალიფაშვილის დედა-ბუდე იმყოფებოდა.

შუადღისას მიაღწიეს სოფელს, პარასკევი დღე იყო. ოსმალუ-რად „ჯუმა“, როდესაც კვირაში ერთხელ მოელი ხალხი ერთად ლოც-ულობს, აი ასეთი „საზეიმო“ დღე. ახმედ-ხოჯა ქედის დასახლებისაკ-ენ მიიჩქაროდა, ვინაიდან ქედის ჯამეში მთავარი ხოჯა ბრძანდებო-და, სტუმრები კი მაინც მიიღო. სალამ-ქალამის შემდეგ სოლომონმა მოკლედ აუხსნა ხოჯას მდგომარეობა.

– ამაღამ ჩემთან დარჩებით?

– არა ხოჯა-ბატონო, სახლში აუცილებლად უნდა დავბრუნდეთ.

– მაშინ ჩემს ერთად წამოდით. შუადღეს ვალოცებ ხალხს და ვილაპარაკოთ.

ისევ ქედის ცენტრს დაუბრუნდნენ. ხოჯას წუთიწუთზე ელოდ-ნენ მლოცველები, უკვე შელაგებულიყვნენ ჯამეში. სოლომონმა უცემ გააკეთა წინა განპანვა და ჯამეში შევიდა. საამს კი უთხრა – შეგი-ძლია ჩვენს ლოცვას უცქიროო... შუადღის ნამაზი ლამაზად ჩათავ-და. ხალხი გამოეფინა ეზოში და მიმოიფანტნენ.

სოლომონი წუთით გვერდით ამოუდგა საამს და შეეკითხა:

– როგორ მოგეწონა ჩვენებური ლოცვა?

– განსაკუთრებული არაფერია, გარდა იმისა რომ არაბული ლოცვებია.

ამ დროს ახმედ-ხოჯაც გამოვიდა და ორთავეს ჩაიხანისაკენ გაუძლვა – ოსმალური ადათი აქაც დამკვიდრებულიყო.

– სადაური ხართ ბატონო? – შეეკითხა სტუმრებს.

სოლომონმა უამბო დაწვრილებით ყველაფერი, ზოგიც საამმა დაამატა და...

– შენ კაცია სვანიძის შვილიშვილი ხარ კაცო? ვიცნობდი ბაბუაშ-ენს, იქ ახალციხეში ხშირად მოდიოდა შალვასთან.

– ჰო, მისი შვილიშვილი ვარ, ვამეხის შვილი.

– როგორ არიან შენიანები?

– ეჱ, ახმედ-ბატონო, ალარავინ მყავს, სახადმა იმსხვერპლა ისინი. ერთადერთი მე გადაურჩენივარ ექიმბაშს და აპა, მეც შენს წინაშე ვდგავარ.

– მაშ მამიას და ფატმას შვილი მოიტაცე არა? მერე როგორ შეურიგდნენ ამ ამბავს დიასამიძეები?

საამმა ამოიოხრა.

– რა ხდება მესხეთში, დიდი ხანია არაფერი ვიცი.

– რაღა რა ხდება ხოჯა-ბატონო. ჩვენ იქ აღარ დაგვედგომებოდა, ვიცოდი დიასამიძეები არ გვაპატიებდნენ ამ ამბავს და აქეთკენ გამოგვაგზავნეს ანუურის მღვდლებმა. ჩვენს წამოსვლამდე რამდენიმე დღით ადრე მდგომარეობა გამწვავდა, მთელი მესხეთი აიბარგა და საქართველოს მიაშურეს სხვადასხვა ტერიტორიებზე. გავიგეთ რომ ჩვენიანები ყველა გადაბარებულან.

– აბა ობლად დავრჩიო...

– თამთას ხალხი მყავდა მხედველობაში...

– მაშ მესხეთი დაიცალა არა? რას იზამ, ლმერთს ასე ნებავს ალბათ.

– ჰო, ალბათ მასეა და სანამ ქართველები მეფის ირგვლივ არ შეიკრიბებიან ერთ ძალად და მუშტად, არაფერი ეშველება საქართველოს.

– სად გვყას ამჟამად მეუღლე შვილო?

– ამ კეთილ კაცთან ვიყავით სტუმრად და იქ დავტოვე.

– შენ რომ გვარი არ გითქვამს ბატონო, რა გვარისა ბრძანდები?

– შალიკაშვილი ვარ, ჩვენც მესხეთიდან ვართ მოსული. მტრობა ჩამოაგდეს ჩვენ გვარსა და სხვა დანარჩენ ქართველებს შორის, იქ აღარ დაგვედგომებოდა და აჭარას მოვაშურეთ ერთმა ოჯახმა, სხვები კი საქართველოს სილრმისაკენ წავიდნენ.

– რას ამბობ კაცო, თქვენც დაიფანტეთ არა? ნეტა სხვები თუ არიან აჭარაზე შემოხიზნულები?

– კი, რამდენადაც ვიცი ჯაყელები, აბულაძეები, თავდგირიძეები, დისამიძეებიც და ვინ იცის კიდევ ვინ. ჩვენ, ამონყვეტას, რასაც ნამდვილად აპირებდნენ, აქეთ წამოსვლა ვარჩიეთ, ვიცოდით რომ ჩვენი მტრები აჭარაში ვერ გაბედავდნენ შემოსვლას და ასე და ამგვარად დავემკვიდრეთ, სარწმუნოება შევიცვალეთ, მაგრამ მთავარია ადამიანობა არ დაკარგო და ურწმუნოარ იყო, სხვას ყველაფერს მოევლება.

– მართალს ბრძანებთ ბატონო სოლომონ. ეხლა შენი ამბები მოყევი შვილო, თუ დაამთავრე ყველაფერი იმით, რაც მიამბე. ჩემთან საქმისათვის მოხვიდოდით ალბათ.

– ჰო, საქმისათვის მოვედი ახმედ ბატონო, სიზმარში ანგელოზი დამესიზმრა და...

საამმა ყველაფერი მოუყვა ახმედ ხოჯას, თავიდან ბოლომდე, არაფერი დაუმალია.

– ის, რაც სიზმრად გინახავს, ეს ღვთისმიერია... მე ანგელოზი არასოდეს მინახავს სიზმრად, როგორც გიბრძანეს ისე უნდა მოიქცე, ღმერთი გესაუბრა ანგელოზის პირით და მე რაღა უნდა გირჩიო. ისე უნდა მოიქცე, როგორც გითხრეს, ეს სინამდვილეა...

– ამისათვის რა უნდა გავაკეთო?

– ბევრი არაფერი – უნდა ილოცო მუსლიმანურად, დღეში ხუთი ნამაზია, მაგრამ როდესაც მიეჩვევი, ორგანიზმი თავისთავად მოგთხოვს ნამაზის შესრულებას.

– წინადაცვეთაც?

– ეგ შენს სურვილზეა დამოკიდებული, ჰიგიენურია და ამიტომ. მცდარი შეხედულებაა, თითქოს თუ წინადაცვეთილია იგი მუსლიმანია. დიახ, ჯერ მუსლიმანია ადამიანი და თუ მუსლიმანია იგი წინადაცვეთილიც უნდა იყოს. სხვა ცერემონიალები შემდეგ მოყვება სარწმუნოების შეცვლას... მე სხვა არაფრის რჩევა არ შემიძლია... ღვთის ნება უნდა შეასრულო, თუ გინდა რომ გამრავლდეთ და იხაროთ...

- მაშ, ასე მირჩევ?
- მე კი არა, კიდევ გიმეორებ, ეს ღმერთის სურს, ასე რომ მის წინააღმდეგ არავის ვურჩევ წასვლას. საღმრეთში როგორც ვიცი ჯამე არა აქვთ არა?
- ჰო, ჯამე არა გვაქვს ახმედ-ბატონი და ერთ მეზობელთან ვლოცულობთ, დიდი სახლი აქვს და ვთავსდებით. ისე, არც თუ ბევრი ვართ... საღმრეთში საყდარიცაა შემორჩენილი.
- აი, რა, ჩემო კარგო... მე პირიქით, ხალხში აგიტაცია უნდა ჩამ-ეტარებინა, რომ ქართული მეობა არ დავკარგოთ, მაგრამ შენზე ან-გელოზის დასიზმრების შემდეგ უკვე უფლება აღარ მაქვს ღვთის საწ-ინააღმდეგოდ ვიმოქმედო. ჯერჯერობით ხოჯად დავრჩები. თუ ვი-თარება შეიცვლება, არც ამას დავიზარებ და ხალხს ქართული გა-ნათლებისაკენ მოვაბრუნებ. შეგიძლია ბატონი სოლომონ შეასწავ-ლო საამს მუსლიმანური ადათ-წესები და ყოველგვარი ის, რაც მუს-ლიმანს მოეთხოვება?
- კი, ხოჯა-ბატონი, იოლი ამბავია...
- ერთი შეკითხვა მაქვს ახმედ-ბატონი... მამია და ფატმა თუ ლოცულობდნენ რსმალეთში? მამია წინდაცვეთილი თუ იყო?
- კი, იყო წინადაცვეთილი. ხომ გითხარი, ცუდი არაფერია ამა-ში-მეტქი. რაც შეეხება ლოცვას, იშვიათად ლოცულობდნენ. არავის ახრჩიობენ და არავის უჭირიტინებენ, გინდა თუ არა ილოცეო. ერთხ-ელ თუ ნახეს რომ ლოცულობს ადამიანი, მერე დაცვა და თვალის დევნება აღარ უნდა იმ ადამიანს, ენდობიან და თითქოს ნამუსზე აგდე-ბენ...
- მაშ მე დავიწყებ ლოცვას, არავინ შემამოწმებს ვლოცულობ თუ არა? არც შიში არ უნდა მქონდეს არაფრის?
- შემმოწმებელი ღმერთია და თუ კეთილი სურვილები გაქვს გულში, ხედავს და გრძნობს, ამიტომ მისი მადლი უნდა დაიმსახ-ურო. იქნებ ვინმერ არასასიამოვნო რამ გითხრას შენს მუსლიმანობა-ზე, ყურადღებას ნუ მიაქცევ, ამბების და საქციელის გამწევ-გამომწ-ევი მუდამ იყვნენ და იქნებიან. შენ ყოველთვის შენი საქმე უნდა იცოდე და აკეთო ღვთის მოსაწონი.
- დიდი მადლობა ამ დარიგებისათვის. ისე მოვიქცევი, როგორც სიზმრად დამარიგეს... ეს, წინადაცვეთა სავალდებულოა?

– მე გითხარი ჰიგიენურია-მეთქი. ყოველგვარი ჰიგიენური კი ჯანმრთელობისათვისაა კარგი... შენ როგორც გირჩევნია...

– სად ჩავიტარო ეგ ოპერაცია?

– რამდენიმე დღით ჩემთან დარჩები, მოინახება მაგის ოსტატი. ძალიან გამახარე შენი უშუალობით. მწამს რომ მამიასა და ფატმას ლირსეული სიძე შეხვედრიათ, მაგრამ საქმე დიდყაცობაში კი არ არის, კაიკაცობაშია, აი, ესაა მთავარი, კაი კაცი იქნებ ხალხმა გაადიდეა-ცოს კიდეც.

– დიდი მადლობა ერთხელ კიდევ და ამ დღეებში ალბათ გეწვევი კიდეც.

– ჯუმა დღეს ამოდი და ამ ჯამეში ილოცე. გააკეთე ისე, რომ ხალხმა დაგინახოს და დანარჩენსაც მოევლება.

სამი და სოლომონი სახლში დაბრუნდნენ. იმავე დღესვე სოლომონმა ლოცვის ჩასაკითხები დაუწერა საამს და... სამ დღეში შალიკაშვილთან ერთად სალოცავად დადგა. უცბად აითვისა ყველაფერი.

სალოცავი რიტუალების ჩატარების დროს გახალისდა კიდევაც. რაც სიტყვიერად განუცხადა სოლომონს.

– ეს მარტო ლოცვა კი არა, ვარჯიში ყოფილა უფლისადმი მადლიერების გამოხატვით. მომენტი მუსლიმანური ლოცვა, რაც მართალი მართალია, ვერასოდეს მოვიხდი იმ მადლის სანაცვლოს, რაც ანგელოზმა ჩამინერგა გულში.

– რადგან დაიჯერე, დანარჩენი ლმერთს მიანდე, გინინამძლვრებს.

მომდევნო პარასკევს საამი ახმედ ხალიფაშვილს ქედის ჯამესთან შეეგება მხიარული სახით.

– რა ქენი შეუდექი ახალ სარნმუნობას? – ჰკითხა ხოჯამ.

– შევუდექი და მომენტა კიდეც.

– მე არ ვაპირებდი მუსლიმანობას, მაგრამ რჩევას დავყევი და არ წამიგია. მუსლიმანთა სამყაროში პრიორიტეტი ნამდვილად აქვს ნამდვილ ხოჯას. შენი არ იყოს მეც მომენტა და ამიტომ დავადექი ამ გზას, თორებ სასწავლებლად რომ გამგზავნეს სტამბოლში, მაშინ სხვა მიზნებიც მქონდა, მაგრამ ხოჯად დავრჩი. შემოდი ეხლა და ნამაზი ჩემს გვერდით ილოცე.

გვერდი-გვერდ ლოცულობდა ორი ქართველი, ორთავე ლეთის მინიშნებით გამუსალიმანებული. დიახ, ისლამილებული და არა რჯულ-გამოცლილი, სხვათა წეს-ადათებს დამორჩილებულნი, მაგრამ არა ურჯულონი, რომლებიც დრომ და ვითარებამ იმგვარად დაახსლოვა, როგორც იქ ოსმალეთში ახმედ-ხოჯა (მეჰმედი) და მამუკა (მაჰმედი). მათი გზები კი საინტერესოდ და სასიკეთოდ იყო გაჭიმული.

ნამაზის ლოცვის შემდეგ ახმედი და საამი სოფლის აღმართს შეუდგნენ, რამდენიმე მლოცველი მეზობლის თანხლებით.

– წინადაცვეთას ამაღლამვე ჩაგიტარებთ, ჯუუმა დღეა და კარგია, სამ დღეზე ფეხზე დადგები... მერეც ასე ჩასახული ბავშვი სრულიად ჯანმრთელი იქნება.

- ვინაა დასტაქარი, სანდო კაცია?
 - რას ლაპარაკობ, მაგას რომ ბავშვები ჰყავს მონათლული...
 - ეს ნათლობაა თუ წინადაცვეთა?
 - ჩვენში, კუთხურად ამ ადათს დასუნათება შეარქვეს.

საღამოთი აბდულ-დასტაქარი მოიწვია ხალიფაშვილმა.

 - სირცხვილი არაა ამხელა კაცი რომ წინადაცვითოთ? – გაილ-იმა აბდულმა და საქორუონების წმენდას შეუდგა.

საამს რაღაც სითხე დაალევინა, რომელმაც ტანში საამოდ დაუარა. ცერემონიამ ხუთ წუთს გასტანა. საამს არა უგრძვინა რა...

ხუთი დღე დარჩა საამი ხალიჭაშვილთან.

- თუ პირველი ბიჭი იქნება აბდულს დავარქმევ ალბათ - უთხრა საამმა ახმედ-ხოჯას.

– ალბათ რამდენიმე შვილი შეგეძინებათ, თუ ვაჟები იქნებიან, დანარჩენის სახელების ძებნა არ დაგჭირდებათ.

– სამი ანგელოზი გამომეცხადა და ალბათ სამი ვაჟი შემეძინება, თუ ასე იქნება, ალბათ მეორეს თქვენს სახელს დავარქევთ, თუ ნებას დამრ- თავთ და მესამეს კი თამთას მამის სახელს...

– ღმერთმა გისმინოს და ფუტკარივით გამრავლებულიყავით, ვამჩნევ რომ მამუკასავით კეთილშობილი ხართ და შვილებსაც სან-იმუშოდ გაზრდით, ღმერთი შეგენიოს და სულ კეთილი გზებით გატა-როს ცხოვრებაში.

- დიდი მაღლობა დალოცვისათვის. ეხლა ერთი სათხოვარიც უნდა შემოგბეოდ ახმედ-ბატონი. მომავალ ჯუმა დღეს უნდა გვეწვიო

სალორეთში და ჭერი და ფუძე უნდა დაგვილოცო. შენი აღზრდილების შვილსაც ნახავ, ალი-კვალი დედამისია თამთა. ვიცი აღზრდილების სიყვარულს თამთა ვერ შეგიცვლის, მაგრამ მაინც ხომ უნდა იცნობდე იმათ შვილს, იგივე თითქმის თქვენი შვილიშვილივითაა. მერე ჯუმას ალოცებ ხალხს და გაუხარდებათ, შენ უკვე შორს გაქვს გავარდნილი სახელი. ქობულეთში მითხრეს შენს შესახებ, სახელოვანი ხოჯაა და აჭარის ნამდვილი პატრიოტი და ქომაგიაო. რამდენადაც ვიცი სალორეთში ხოჯა არა ჰყავთ, მოსახლეობა ცოტაა და ამიტომ. ერთი რამ კი უნდა გვითხოთ ახმედ-ბატონო, მუსლიმანობა არც ისე სასტიკად ხასიათდება და მიკვირს სალორეთის ხალხი რატომ შეაწყდა ოსმალეთის ხმალს სარწმუნოების გამო, განა არ შეეძლოთ დაჰყოლოდნენ მათ ნებას და ცოცხლებიც იქნებოდნენ.

– ვერაფერს გეტყვი სარწმუნოს, მაგრამ გმირობა რომ ჩაიდინეს ეს ნამდვილია, თუმცა ჩემი აზრით ამისთანა გმირობა უაზროა, ვინაიდან სალორეთს ვერაფერი შემატეს ამით, რაც შეეხება შენთან სტუმრობას, ნამდვილად შეგისრულებ მაგ სურვილს. მელოდეთ, აუცილებლად გესტუმრებით.

– ეხლა ჩემი წასვლის დროა უკვე. თამთა მოუთმენლად მელოდება.

– ჰო, მართლა თამთას ხომ არ შეაცვლევინებ სარწმუნოებას?

– შევთავაზებ, მაგრამ ვერ დავაძალებ. ჩვენ ერთმანეთს ერთგულება შევფიცეთ და ასე წავალთ ბოლომდე, ამიტომ მის წყენინებას ნამდვილად ავარიდებ თავს, მაგრამ ვიცი რომ, თუ თამთამ არ გამოიცვალა რწმენა, სოფლის ყოფა-ცხოვრებაში გაგვიძნელდება ძალიან.

– მე ჩავატარებ თათბირს სოფელში და თუ თამთა თავის სიტყვაზე მტკიცედ იქნება, ხალხს შევაგნებინებ რომ არავინ არაფერი თქვას თქვენი საწინააღმდეგო, მითუმეტეს თუ შორს მაქვს კარგი კაცის სახელი გავარდნილი, წინააღმდეგიც არ წავლენ. ჩამოვალ და ვნახოთ.

– აბა კარგად ბრძანდებოდეთ და გელოდებით.

ახმედ-ხოჯამ რაღაც გამოიტანა და საამს გადასცა.

– ეს პატარა საჩუქარი ჩემგან შენს მეუღლეს გადაეცი, ოსმალეთიდან მაქვს ჩამოტანილი და მგონი არ დაიწუნებს.

საამი საღამოთი შალიკაშვილებთან დაბრუნდა, სადაც ცოლი ჰყავდა დატოვებული და სახლისაკენ გაეშურნენ. გზად თამთამ საყ-დარში შეიარა.

საამი აღარ შეჰყოლია შიგ. თამთამ გაიკვირვა.

– რა მოხდა საამ, რატომ არ შემოღიხარ?

– არ უნდა გენყინოს და ნურც გამიბრაზდები. მე სიზმრად ან-გელოზები გამომეცხადნენ და სარწმუნოების გამოცვლა მიბრძანეს. მეც დავვიტვი მათ ნებას, ნინაალმდეგობა უაზრო იქნებოდა. ნახავ, აწე შვილები რომ შეგვეძინება ყველა ჯანმრთელი იქნება და შთამომავ-ლობაც მოგვესწრება.

თამთას გულზე ეკალივით მოხვდა მეულლის ნააზრევი, თქმით კი არ უთხრა რა, იმიტომ რომ სულ რამდენიმე წლის ცოლ-ქმარი იყვნენ, მერეც უცხო მხარეში, თვისტომებს მოშორებულნი, გამოქ-ცეულ-გალტოლვილებულები. მწარე ნერწყვები გადაყლაპა, ფრესკე-ბს მიაპყრო მზერა, ცრემლები დაედინა ნორჩილაწვებზე, გულშიც ჩაე-დინა. ლოცულობდა, მაგრამ მოლუშული, თუმცა მაინც უხაროდა ის, რომ არავინ უშლიდა საყდარში შესვლას და ლოცვას... მაინც ვისი და რისი რიდით? ეს ვერ გაეცნობიერებინა... თავი დაუკრა ფრესკე-ბზე გამოსახულ გამოსახულებებს და გარეთ გამოვიდა.

ერთხანს უბრად იარეს. ვეღარ მოითმინა ბოლოს თამთამ დუ-მილი, მობეზრდა სიჩუმე.

– ჩვენ ხომ ერთგულება შევფიცეთ ერთმანეთს, ეგ აზრი საიდან მოგვიდა, სარწმუნოება რად დაგმე?..

– საიდან მოიტანე ქალო, სარწმუნოება არ დამიგმია, სხვა თუ მივიღე, ეს უფლის ბრძანება და ნება იყო... ერთგულება? მე ერთგუ-ლი ვიქები უკანასკნელი სისხლის წვეთამდე და თუ რაიმე შემაჩი-ნიო, შემაჩვენე შენებურად. ეგ რამ გაფიქრებინა... მე ჩვენს ოცნლიან სიყვარულს ასე ადვილად არ წავშლი. რატომ გეეჭვება, როდის მოგე-ცი მაგის საპაპი, ფიცზე არასოდეს მიღალატნია... ჩემი წინაპრების სახელს და საფლავებს არ შევარცხვენ... შენ კი გეუბნები განა შენს საწინააღმდეგოს? იყავი ისე, როგორადაც გინდა, მაგრამ რადგანაც სოფელში ვემკვიდრებით, ბალავარზე მკვიდრად დგომა მარტო სიმ-ძიმით დგომას არ ნიშნავს... სიზმრად რაც უფალმა მიბრძანა ანგელო-ზების პირით, ეს უნდა შემესრულებინა და არც თავად მიმიღია გადა-

წყვეტილება, შენი მშობლების აღმზრდელს, პატივცემულ და დაფასებულ ბრძენებაცს ახმედ-ხოჯას დავეკითხე და სიზმარი იყო თუ გამოცხადება, ის ლამაზად განმიმარტა, მერეც მემკვიდრე ხომ აუცილებელია ქალო. ამაზე რაღას მეტყვი?

– ვილოცებდი საყდარში ყოველდღე, უფალს შევეველრებოდი და ოდესმე შემატევდა მემკვიდრეს.

– თუ უფალს ემორჩილები, მე ვითომ სატანას დავემორჩილე? გეუბნები, უფალმა მიბრძანა... ერთ რაიმეს კი ჩემი გუმანით გეტყვი, არ შეგვარგებენ შენს ქრისტიანობას. რა გგონია, საყდარში ლოცვას შეგვარგებენ? მე წამიყენებენ მოთხოვნას – ან სოფლის დატოვებას, ან შენს გამუსლიმანებას, ამიტომ ისე უნდა მოვიქცეთ, ისეთირამ უნდა გავაკეთოთ, რომ არავინ არაფერი თქვას, ეგ კი არა, გაფიქრებაც კი არ გაბედონ. მერეც ჩვენს ჯიშ-ჯილაგში, შთამომავლებში წმინდანებიც გამოჩინდებიან მენდე... შენ კი ჯერჯერობით იარე და ილოცე, ანთე სანთლები და ეველრე უფალს, როდესაც შვილებს მოგვახარებს, ჯანმრთელობა მიანიჭოს, მე კი ჩემებურად, ღვთის ნებას დავემორჩილები.

სახლში მიალწიეს. საამმა მუსლიმანურად ილოცა, უკვე ბოლო ნამაზის დრო იყო, თამთა კი თავის სებურად – ქრისტიანულად ლოცულობდა. იმ ღამით აღარ უვახშმია, ისე დაწვა.

გავიდა ერთი თვე, ორი თვე. გაზაფხულს ლამაზი პირი უჩანდა. გამრჯე ცოლ-ქმარმა მინა დაამუშავეს და დათესეს. მეზობლებიც ეხმარებოდნენ ახალმოსახლეებს.

საამმა თავისი და თამთას ფულებით დიდძალი მინები და ტყეები შეიძინა, ზოგ უპატრონო სავარგულებსაც მეზობლების ნებართვით დაეპატრონა და ამგვარად დიდძალი ქონების მფლობელი გახდა.

ერთ დღეს თამთამ სიმძიმე იგრძნო. გაუმხილა საამს კიდეც.

– ექიმობა და მკურნალობა ისე იცი, როგორც მესხმა ექიმბაშმა შეგასწავლა, მე რამე შემიძლია?

– მგონი ფეხმძიმედა ვარ ვაჟბატონო, ამას წამლობა არ სჭირდება.

– ღმერთმა გისმინოს. ვილოცებ იმისათვის, რომ შვილი გაგვიჩნდეს და ღმერთმა გადმოგვხედოს.

– ჰო, ჰო ილოცე. მეც ვილოცებ. აბა სანამ უნდა ვიყოთ ასე გამოყრუებულებივით... ღმერთო შეგვენიე...

ფერიცვალობა დღეს მოხდა ეს ამპავი, აგვისტოში...

დღეები დღეებს მისდევდა, თვეები თვეებს. ცხოვრობდნენ სოფ-ლური და ბარაქიანი ცხოვრებით. ჭირნახულიც ბლომად მოიწიეს და ზამთრის მარაგიც მოიმარაგეს, მაგრამ ერთი რამ გულს მაინც უკლავდათ – მეზობლები ძალიან შორი-შორს ცხოვრობდნენ.

ზამთარი ურთიერთალერსში გალია ცოლ-ქმარმა.

ახალი წელი კვირა დღეს დადგა, მაგრამ სოფელში ქართული ახალი წლის ელფერი არ იგრძნობოდა. თოვლიანი დღეები ყველა ერთნაირი იყო. არავითარი ცვლილება. ზეიმზე ლაპარაკი ზედმეტი იყო – ისლამის კანონებში ამისთანა რამეები მიღებული არ იყო.

მუსლიმანურად მიდიოდა სოფლის ცხოვრება.

აპრილის ერთ დღილას თამთას მშობიარობის ტკივილები დაეწყო. ისევ საამის დახმარებით იმშობიარა. სხმარტალა ვაჟი დაიბადა, მძიმე და დიდი.

რიურაჟი თოვლის დაქუხებამ გაკვეთა.

იცოდნენ მეზობლებმა. თამთას მოლოგინებას ელოდნენ. ადრიანად თოფის დაქუხება არც კი გაკვირვებიათ. ქალებმა მითუმეტეს იცოდნენ, როდის გაჩნდებოდა პატარა. დილიდანვე მოაშურეს ახალ მეზობელს. ვის რა მოჰკონდა და ვის რა.

ახალმოლოგინებულს სოფლის ბებიაქალი მიუახლოვდა.

– დაგეძახებინა შვილო, დაგეხმარებოდით მეზობლები.

– დამე რისოვის უნდა შემენუხებინეთ. სამ ბავშვზე მე ვამშობიარე და ეს გამიგირდებოდა ვითომ? – თქვა საამმა, არც ჩვენ ვართ უცოდინარები, თამთამაც იცის ექიმობა და ის ხელობა, რაც თქვენ გაგაჩნიათ. მისივე დახმარებით, მისი ბრძანებით ვამშობიარე. აწე თუ კიდევ რამე მოხდება, აუცილებლად მოგმართავთ ქალბატონო ესმა.

მოლოგინების შემდეგ მისართმეველი საჭმელიც უცებ გააკეთეს ქალებმა და ულონო ქალს თავიანთი ხელით აჭამეს.

საამმა შეპირებისამებრ აბდული დაარქვა პირმშოს. რამდენიმე დღეში საამს ხალიფაშვილი ესტუმრა.

– ეხლა ნამდვილად გამახარე სიძევ ბატონო, როგორმე მამია და ფატმაც გაიგებდნენ, იმათაც გაეხარდებათ, მე ასე მჯერა. სახლ-კარ-საც გილოცავ და ვაჟიანობასაც, ღმერთმა გამრავლოთ ფუტკარივ-

ით, ხალხის გული გაგეხარებინოთ თქვენი კაი ადამიანობით და კეთი-ლობით. მთავარია ხალხს უყვარდე, როდესაც ხალხს ეყვარები, ღმ-ერთსაც ეყვარებით.

– სიკეთე არ მოგიშალოს ღმერთმა ახმედ-ბატონი. თქვენ მაღლიანი ადამიანი ხართ და თქვენი მაღლი გაგვინათებს გზას. თქვენი დალოცვა დედის რძესავით შეგვრგებოდეს და რაც კი გვისურვეთ, ამის შემსპრულებელი ვართ ნამდვილად.

მეზობლები იცნობდნენ შორიდან ხალიფაშვილს და მოწინებით ესალმებოდნენ, შემდეგ დიდი სუფრაც გაშალეს და სტუმრებს ისევ მოსულები უმასპინძლდებოდნენ.

ორ დღეს დარჩა ხალიფაშვილი სალორეთში. ჯუმაც ალოცა ხალხს და თავის სოფელს დაუბრუნდა.

– ღვთისნიერი კაცია ეგ შენი ხალიფაშვილი – უთხრა საამს მეზობელმა – დინჯი, ჭკვიანი და ხალისიანი მოსაუბრე.

– მაგის წყალობაა ჩვენი თამათაც, რომლის მშობლები ოსმალეთში დააწყვილა და ახალციხეში გადმოიყვანა. რომ არა ახმედ-ხოჯა, ვინ იცის სად ვიქენებოდი დღეს და ვინ იქნებოდა ჩემი ცოლი. დიდი მაღლიერებით ეპყრობოდნენ დიასამიძეები და მე რა უფლება მაქვა არ მოვეფერო.

– ჰო, ნამდვილად პატივსაცემი პიროვნებაა, მაგრამ არა მარტო ხოჯა, დიდი მამულიშვილიცაა, ლაპარაკში შევამჩნიეთ.

– ნამდვილად მასეა, გადმოცემით ვიცი და პირადადაც დავრწმუნდი – დაამატა საამბაც – ვიდრე ახალციხეში ფაშა სულეიმან ნიბაძე იყო და ცხოვრება ასე თუ ისე შეიძლებოდა, სწორედ იმ წლებში მოსახლეობას შეეძლო სული მოეთქვა და აღარაფრის შიში არ ჰქონდათ, მაგრამ გამაჰმადიანებულმა აღა-ბეგებმა, თავადაზნაურთა წარმომადგენლებმა ვერ აიტანეს სულეიმან-ფაშის კეთილისმყოფლობა, სულთანთან დააბეზღეს და მოკვლევინეს მუხანათურად. სწორედ იმ წლებში ახმედ-ხოჯა ისევ ესტუმრა აჭარიდან შვილობილებს და ვითარებას რომ ჩაუკვირდა, პატრიოტული რჩევაც მისცა დიასამიძეებს – გარიდებოდნენ გაიძვერებს, ვიდრე ამოწყვეტდნენ. სულეიმან ნიბაძის შემდეგ ახალციხეში ოსმალო-ფაშა დასვეს. ისე კი უნდა შევნიშნო, რომ ვიდრე ჩვენ წამოვიდოდით იქედან, ახალციხეში ფაშა-ფაშაზე იცვლებოდა, სათითაოდ ყველაზე საუბარი

არ ღირს, მაგრამ ის ვიცი, რომ ახმედ-ხოჯის რჩევა ჭკუაში დაუკადათ დიასამიძებს და ბევრ სხვათაც და მესხეთი დაცალეს. რომორც აჭარაში, ისე მესხეთშიც ითბობდნენ ხელს გადაგვარებული ქართველები ტყვეთა სყიდვით.

– ეჱ, სწორედ მაგ ტყვეთა მოტაცებამ გააჩანაგა აჭარა. დასავლეთ საქართველოში და აჭარაშიც თითქოს დაგზავნილი იყო სოლომონ მეფის ბრძანება, რომლის მიხედვითაც 1759 წლიდან, ვიდრე თქვენ ჯერ კიდევ მესხეთში იყავით, აკრძალული იყო ტყვეთა მოტაცება და გაყიდვა, მაგრამ ეშმაკი და ჯიშმოსასპობი გადაგვარებული ქართველები მაინც ახერხებდნენ ტყვეებით ვაჭრობას. ამან გააჩანაგა თითქმის დასავლეთ საქართველო. ეხლა თითქოს ალარ აქვს ამ საზიზლობას ადგილი, მაგრამ ინციდენტები მაინც ხდება და საშიშროება ჯერ კიდევაა.

– როცა იქნება, ბოლო მოელება ყველაფერს, მაგრამ ვიდრე ეს დრო დადგებოდეს, მანამ ქართველებს კარგი დღე არ გვიწერია. მე თუმცა მუსლიმანობა მივიღე, მაგრამ თუ ხალხი წინააღმდეგობას გაუწევს ოსმალო მოძალადეებს, მეც მათ გვერდით დავდგები და ვიპრძოლებ იმისათვის, რომ ეს სისხლისმსმელები საბოლოოდ განვდევნოთ საქართველოდან. მე მგონი მეფეები გულხელდაკრეფილნი არ ზიან და ალბათ ერთიანი ძალებით შეუტევენ.

– თუ რომელიმე ქვეყანა არ დაგვეხმარა, ჩვენი ძალებით ვერას გავხდებით, ომებში დაიღია ქვეყანა.

– მე მგონი ერეკლე მეფე დიდ რუსეთს სთხოვს დახმარებას, მაგრამ მოუსმენენ კი? ან თავს აიტკივებენ კი საქართველოსთვის? ყველა საკუთარ ტყავზე ფიქრობს, რუსეთს კი ბევრ ქვეყანასთან აქვს კონფლიქტი... რა ვიცი იქნებ მართლაც მოგვეშველონ, მაგრამ ამის საფასურად ვინ იცის რას მოითხოვენ.

– რა უნდა მოგვთხოვონ. ტერიტორიებს, ხომ ვერ წაიღებენ?
– არც ესაა გამორიცხული, იქნებ ქვეშევრდომობა მოითხოვონ, ეს არაფერია, მაგრამ თუ ჩვენი დამონება მოინდომეს რა მათ ვყოლივართ დამონებული და რა ოსმალებს, განა სულ ერთი არაა?

– ერთი რამ მიკვირს საამ ბატონო. თუ ამხელა პატრიოტი ხარ შენი ქვეყნისა, მაშინ მუსლიმანობა რისთვის მიიღე?

– ღმერთმა ჩამაგონა, გამოცხადება მქონდა – ანგელოზები მომ-
ევლინენ და ღვთის ბრძანება მომახსენეს, სხვაგვარად არ შეიძლე-
ბოდა. მე ხომ სამი შვილი ჩვილობაში გარდამეცვალა, შემდეგ მოხდა
ეს გამოცხადება, თუ სარწმუნოებას შევიცვლიდი, შვილები შემრჩე-
ბოდა, არ დამეჯვერებინა?

– რახან ასეა რაღა მეთქმის, მაგრამ თამთას ქრისტიანობა ცოტა
ხელისშემშლელი იქნება მგონი.

– რა ვიცი, რა ვიცი... ყველაფრისათვის მზად ვარ ისე კი უნდა
გითხრათ, რაც არ უნდა მოხდეს აქედან არსად არ ვარ წამსვლელი –
მეორედ ვერ მოვიშლი ფუძეს. სოფელს ექიმი ჭირდება, თამთა კი
უებრო მკურნალია, ზაზა ფანასკერტელის მოძლვრებასაა დაუფლე-
ბული, დასტაქარობას მგონი ვერ შეძლებს, მაგრამ თუ საჭირო დარ-
ჩა არც ამაზე დაიხევს უკან – გამბედავია და მცოდნე. სამი წელი სწავ-
ლობდა მათ სასახლეში გახსნილ სასწავლებელში, ექიმობაც შეუძლია,
ექიმბაშობაც და შელოცვებიც. ისეთ წამლებს ამზადებს ბალახებისა-
გან რომლებიც ბევრ ავადმყოფობას კურნავს.

– ღმერთმა შეგეწიოთ. თუ ასეა კიდევ ამის ხათრით იქნება არავინ
არაფერი თქვას, მაგრამ მაინც უხალისოდ მოეკიდებიან ამ ამბავს,
ვიცი ესენი მე...

– მესხეთში ბაბუას მეშვეობით გავიგე, თუ როგორ აძალებდნენ
აჭარლებს ისლამის სარწმუნოებაზე მოქცევას, ძალიან ბევრი აჭარე-
ლი გაწყვიტეს, ასე გავიგე.

– ჰო, ასეა ნამდვილად. ძირძველი აჭარლები მართლაც ამოუწ-
ყვეტიათ და დღესდღეობით შემოსახლებულები ჭარბობს.

– ახალციხეში, სამცხე-საათაბაგოში უკვე ორასორმოცდაათი
წელია ბოგინობენ, მაგრამ იქ ასეთი კაცთა კვლა არ ყოფილა. უფრო
მეტად ქართული ენის ამოძირკვას და ტერიტორიების დამორჩილე-
ბას აპირებდნენ, აქ კი... არა, ნამდვილად სისხლისმსმელები არიან
ეს რჯულჯილაგგასაწყვეტლები.

– სისხლისმსმელობა არც ქართველებს აკლიათ... სწორედ
ქართველები აძლევენ ნიმუშს თავდამსხმელებს, აბა, ჩვენ რისთვის
გამოვერიდეთ მესხეთის ცას... ეჭ, რას არ გვიმზადებს ბედი მაც-
დური...

... ჰო, სისხლისმსმელები და ავისაქმის ჩამდენი...

1767 წელს ახალციხის ტახტზე ოსმალებს თავგადაკლული, გათათრებული ფაშა – სულეიმან ჯაყელი დაუსვამთ. იგი საქართველოსათვის საზიანო საქმეებს სჩადიოდა.

1791 წელს სულეიმან ფაშის გარდაცვალების შემდეგ ტახტი დაიკავა შერიფ ჯაყელმა, შემდეგ მისი ადგილი კი დაიკავა აჭარელმა შაქირ ფაშა სურმანიძემ (1733-1805 წწ) ამ ფაშის ქალი ესმა მომავალი ფაშის – სელიმ ხიმშიაშვილის ცოლი იყო.

თავი IV

პირველი ვაჟის მოვლინებიდან, მეათე წლისთავზე თამთამ მეს-ამე ვაჟი შობა. შეპირებისამებრ საამმა მეორე ვაჟს ახმედ-ხოჯის სა-პატივცემულოდ ახმედი შეარქვა, მესამეს კი მამია დაარქვა. იმ დღი-დან შეუდგა შვილებისთვის ახალი სახლების აგებას.

1770-იან წლებში ოსმალები ხინოს ხეობის დამორჩილებას შეეც-ადნენ. სისასტიკეს იჩენდნენ ხეობის მოსახლეობის მიმართ, არაფერს ერიდებოდნენ ხეობის დასამორჩილებლად. ასკერს-ასკერზე აგზა-ვნიდნენ ოსმალეთის სასულთნოდან. ჯერ ოსმან III უსწორდებოდა აჭარას და მძლავრი ჯარით მესხეთის ტერიტორიას, შემდეგ ახალარ-ჩეული სულთანი – მუსტაფა III. ყველა ერთმანეთზე უარესი იყო, ხოლო ტერიტორიების დაპყრობის საქმეში ერთსულოვანი. მალე ტახტზე ავიდა აბდულ ჰამიდ I. სწორედ მას ხვდა წილად ხინოს ხეობის აწ-იოკება. ამავე დროს იგი ფართომასშტაბიან ომს აწარმოებდა მესხე-თის ტერიტორიაზე. 1770 წელს რუსეთის მთავრობამ, კერძოდ იმპერი-ის დედოფალმა ეკატერინე II-მ გენერალ ტოტლებენის მეთაურობით ჯარი მოაშველა ერეკლე II-ს, მაგრამ გენერლის ახირების გამო, ახალ-ციხეში მისვლამდე ჯარი უკან გაბრუნდა. ერეკლე II-მ საკუთარი ძალებით და გამჭრიახობით მტერს სძლია და დაამარცხა, რის შედე-გადაც, 1774 წელს ზავი დაიდო რუსეთ-ოსმალეთის ომის შეწყვეტის მოტივით ქუჩუკ-კაინარჯში, მაგრამ ომი საქართველოსათვის არ დამთავრებულა. იგი ისევ გრძელდებოდა.

1784 წლიდან აჭარაში მმართველობდა ქვეყნის პატრიოტი ბეგი – სელიმ ხიმშიაშვილი. მას მოგვიანებით ფაშობა მიანიჭეს, მაგრამ თავის მოკვეთამდე ხმალი ხელიდან არ გაუგდია და ოსმალთა ძლიერებას აჯანყებებით არყევდა, გამუდმებული ომი ჰქონდა მო-სისხლეების წინააღმდეგ. სელიმ ხიმშიაშვილმა აჭარაში „ქუდზე კაცი“ გაიწვია და პატრიოტთა ჯარი შექმნა.

საამი, ვაჟუაცი აბდულის ერთად სელიმის ჯარში გამწესდა და მის გვერდიგვერდ იბრძოდა. 1792 წელს სელიმ ბეგის მეთაურობით აჭარაში მძლავრი ანტიოსმალური ამბოხება მოხდა. აჭარელი პატრიოტებით და მოხალისებით შეიღსო სელიმის ლაშქარი. ერთ-ერთი ბრძოლის დროს საამი დაიჭრა და იძულებული გახდნენ უკან გაებრუნებინათ.

საამი სახლში დაბრუნდა.

ამ დროისათვის საღორეთი მოსახლეობით თანდათან ივსებოდა. სოფელში ინფექციამაც იფეთქა. ამის მიზეზი კი ის იყო, რომ მცხოვრებთა მოსვლა-წასვლა კონტროლს არ ექვემდებარებოდა, პირად ჰიგიენასაც ვერ იცავდა ხალხი და სწორედ ამის მიზეზით სხვადასხვა დაავადებებს ჰქონდა ადგილი. თამთა, რომელსაც ზედმინევნით ჰქონდა შესწავლილი საექიმო და სამკურნალო საქმე, ხალხს უანგარიდ წამლობდა, კურნავდა ისეთ ავადმყოფებს, რომელთა წინაშეც სახელგანთქმული მკურნალები უძლურნი იყვნენ. მკურნალობის საქმეში დიდად ეხმარებოდა ზაზასეული კარაბადინიდან გადმონერილი რიგი დაავადებების საწინააღმდეგო სამკურნალო საშუალებები. კარაბადინში მოცემული ხე-მცენარეები, ყვავილები და სამკურნალო ქვებიც კი მოიპოვებოდა აჭარაში და კერძოდ საღორეთში. თამთამ იცოდა მათი მოპოვების გზები და მკურნალობის საშუალებები, მაშინ როდესაც მშობელს მომაკვდავი შვილი უწევს, არ აქცევს ყურადღებას იმას, რომ გადამრჩენელი მკურნალი რა სარწმუნოებისაა. სწორედ ასე შეითვისეს თამთა მკურნალი და მას თავისი მრნამსის გამო ახმედ-ხოჯის დარიგების მიხედვითაც არავინ აქცევდა ყურადღებას. იგი სიკვდილამდე კურნავდა ავადმყოფებს და დაჭრილებს. სოფლის ქალებსაც შეასწავლა მკურნალობა. ახალციხიდან წამოლებულ, თავისი ხელით გადმოწერილ მცირე კარაბადინს კი თვალისჩინივით უვლიდა. ბევრმაც გადაიწერა ეს საჭირო წიგნი, მაგრამ მის მიერ გადაწერილი ისე ლამაზად იყო დასურათებული თამთას მიერ, თვალები ზედ რჩებოდათ. (მოგვიანებით, თამთას ეს ნამოლვაწარი მისი სიკვდილის შემდეგ მოიპარეს და დიდხანს „მოგზაურობდა“ აჭარის ტერიტორიაზე) ...

თამთამ მეუღლე განკურნა, საომრად კი აღარ გაუგზავნია – იგი მოხალისედ იყო წასული. აბდული კი რამდენიმე წელიწადს ედგა გვერდით ხიმშიაშვილ.

1795 წელს საამი გარდაიცვალა, იგი დაჭრის შემდეგ თითქოს გამოკეთდა, მაგრამ ჭრილობები იმდენად სახიფათო აღმოჩნდა, თამთა უძლური შეიქმნა მის სრულიად გამოსაჯანმრთელებლად.

დარჩა თამთა საამი ვაჟკაცისა და მეზობლების ამარა. მამის დასასაფლავებლად დაბრუნებულმა აბდულმა საცოლეც გამოიყო-

ლა თან – აბუსერიძებს მოპარა, მაგრამ მისთვის დევნა არ გამოუცხადებიათ, იცოდნენ ხიმშიაშვილის ჯარში რომ მსახურობდა და ვაჟკაცობითაც არ დაუწუნებიათ. აბდულმა ძმების დახმარებით მამის მიერ დაწყებული ისეთივე სახლი, როგორიც თავად ედგათ დაამთავრა, რომელშიც მამია შეასახლეს უფროსმა ძმებმა. სახლებს შორის მანძილი ოცი მეტრი იყო.

რძლის შემომატებამ სახლში ბარაქაც შემოიტანა. ქვრივად დარჩენილი თამთა მუხლჩაუხრელად შრომობდა ყანა-ბალჩაში და ყოველთვის ბარაქიან მოსავალს იწევდა.

– ფეხბედნიერი ხარ შვილო, შენი მოსვლის შემდეგ სახლში ბარაქა მომემატა. ბედნიერი ყოფილიყავი სიცოცხლის ბოლომდე შვილო – დალოცა თამთამ.

თამთა თავადაც კეთილი იყო, სოფელში უებრო მკურნალის სახელი დაიმკვიდრა. სხვა სოფლებიდანაც მოდიოდნენ ამ ღვთისნიერ მკურნალთან. მის სარწმუნოებრივ მდგომარეობას არავინ აქცევდა ყურადღებას. მასთან ხოჯა-მოლებიც მოდიოდნენ სამკურნალოდ და სწორედ მათი მეშვეობით დიდხანს იფარებოდა მისი ქრისტიანობა. მაღლიერი სოფლელებიც ალარ აქცევდნენ ყურადღებას – ცალი ყური და ცალი თვალი დაიყრუეს და დაიქორეს თითქოს.

თამთა საყდარში დადიოდა დამდამობით და ლოცულობდა, არც შვილები აქცევდნენ ყურადღებას დედის საქმიანობას. ისინი მხარში ედგნენ და შრომას უმსუბუქებდნენ მხოლოდ. ბედნიერად თვლიდა თამთა თავს, მიუხედავად იმისა, ოჯახის უფროსი გამოეცალა ხელიდან.

– ეხლა შენ ხარ ოჯახის თავკაცი შვილო – უთხრა აბდულს. მალე შვილიც გაგვიჩნდება და საზრუნავიც მოგვემატება. ერთგულად უნდა ვიშრომოთ ჩვენი მარჩენალი მინაა და მას მოფერება სჭირდება, სარეველამ არ უნდა მოგვერიოს.

– მამის ხსოვნას ქარს არ გავატანთ დედი, მისი მადლი წაგვიძლვება წინ... ობლად არ ვითქმებით, რახან შენ გვყავხარ ცოცხალი. სარეველას კი არსად არ გავახარებთ.

– ეჰ, შვილებო, მამა ნაადრევად გამოგეცალათ ხელიდან, რა ვიცხოვრეთ ერთად სულ ოცდათხუთმეტი წელიწადი. ერთგულება შევ-

ფიცეთ ერთმანეთს და მიღალატა ცხონებულმა, მარტოდ დამტოვა... ანე თქვენი იმედით უნდა ვიცოცხელო.

– ჩვენი იმედი ნუ მოგშლოდეს დედი... არც შენი სახე მოგვშლოდეს დიდხანს, შვილიშვილები და მათი შვილებიც შენ უნდა დაზარდო.

– უფალმა გისმინოს შვილო...

აბდულს წლისთავზე ვაჟი შეეძინა, რომელსაც შაანი დაარქვეს, რაც ოსმალურად „თეორ შევარდენს“ ნიშნავს.

...საამის სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ, ხიმშიაშვილთა გამძლავრებით შეშინებულმა ოსმალებმა აჭარას შემოუტიეს. სოფლები ოსმალო იანიჩარებით გაივსო. ისინი ერთპიროვნულად აპირებდნენ შეტევას ბათუმიდან. სულთან სელიმ-III ბობოქრობდა სელიმ ხიმშიაშვილის, ოსმალეთის დიდი ვეზირის გაძლიერების გამო. სწორედ მისი ბრძანება იყო, რადაც არ უნდა დაჯდომოდათ და როდესაც არ უნდა ყოფილიყო, სელიმ-ფაშა უნდა დამარცხებულიყო.

ხინოს ხეობას შესეული იანიჩარებიც შემოაპრუნეს ზედა აჭარისაკენ. დიდი ომისათვის ემზადებოდნენ ოსმალები. ამავე დროს ოსმალეთში მზადდებოდა შინააშილობები. გამუდმებული ომებით და ხალხის ასკერში გაწვევით დაიღალა ოსმალეთის მოსახლეობა. საპროტესტო გამოსვლებიც ხდებოდა, მაგრამ მათ სისხლში ახშობდა მთავრობა.

თამთას არ ეჭაშნიკა ოსმალების შემოსვლა სოფელში. ხვდებოდა რომ თავის მოლვანეობას და მრნამსის დაფარვას ვეღარ შეძლებდა და ამიტომაც სახლ-კარი ახალ ცოლ-ქმარს და მეორე ვაჟს შეატოვა, მოკიდა მამიას ხელი და სხალთისაკენ აიღო გეზი, იცოდა რომ იქ ეკლესია მოქმედი იყო ჯერჯერობით. ორი წელი დარჩა ეკლესიაში, დღედაღამე ლოცვაში ატარებდა დროს. შვილსაც ალოცებდა ქრისტიანულად.

ბედი-მდევარი ალალ, გულკეთილ ადამიანს ხშირად არ წყალობს, ასე დაემართა თამთას.

ოსმალები მარეთის ხევიდანაც გადმოვიდნენ ხიმშიაშვილზე ერთიანი ძალით იერიშის მისატანად. სელიმ ხიმშიაშვილი ხიხანის ციხეში იყო გამაგრებული.

საშიშროება აქაც იგრძნო თამთამ. იცოდა, არ დატოვებდნენ ხე-
ლშეუხებელს, ოსმალურად შეიმოსა და ისევ უკან დაბრუნდა. გზაში
არავინ აჩერებდა ჩადრიან ქალს. სალორეთში რამდენიმე დღის შემ-
დეგ შემოდგა ფეხი.

აჭარაში ოსმალთა შემოსვლის შემდეგ ისლამზე მსახურებით
დაწინაურდა სოფელი ლორჯომი. ქუხდა ლორჯომის სახელი და
სწორედ ამ აღზევების გამო ქედის ზემოთა ტერიტორიას ქვედა აჭარის
ხალხი მთლიანად ლორჯომს უწოდებდა. ლორჯომის გავლენით
ძალიან პევრი სოფელი მონურ ულელს უძლებდა და ისლამს ზედმი-
ნევნით ერთგულებით ემსახურებოდნენ.

სოფელში შემოსულმა თამთამ სოფლის ცენტრში მამიასთან
ერთად გამოიარა. იცოდნენ რისითვის იყო ქალი წასული. თორმეტი
წლის მამიას მიაძახეს თურმე – ჩამოვიდა ლორჯომელიო. ამის შემ-
დეგ მამიას ზედმეტსახელად „ლორჯომელა“ შეარქვეს. თამთამ დაბ-
რუნებიდან ერთ კვირაში აბდულის ცოლმა – ჰაჯვერმა იმშობიარა.
თამთამ რძალს მშობიარობა გაუადვილა თავისი წამლებით.

1798 წელს, შემოდგომაზე დაიბადა შაანი, ჯუმა დლეს, ოქტომ-
ბრის შუა რიცხვში.

თამთას დაბრუნებას უდიდესი სიხარულით შეხვდნენ შვილები
და რძალი. მასთან ერთად რამდენიმე მეზობელიც. ერთად შეიკრიბ-
ნენ და ვაჟი შვილიშვილიც მიულოცეს.

1790 წელს აჭარაში პირველად დაინიშნა მუფთი (მთავარი ხოჯა)
სამზიარელი – ახმედ-ეფენდი ხიმშიაშვილი (1707-1790 წ).*

ოსმალები თავიანთ მავნებლურ პოლიტიკას ყოველთვის და
ყველგან ატარებდნენ, მათი ძირითადი ამოცანა იყო სულთნის ბრ-
ძანების უმწიკვლოდ შესრულება, რომელსაც ყოველგვარი ხრის-
ტით ახერხებდნენ. ეს ბრძანება კი ხალხის მუპაჯირში გარეკვა იყო,
რითაც საქართველოს მორალურადაც ასუსტებდა და ფიზიკურ-მა-
ტერიალურადაც.

ინტენსიურად მიმდინარეობდა მუპაჯირში წასვლა.

აჭარას ყოველთვის ჰყავდა თითო-ოროლა მამულიშვილი. ისი-
ნი ყოველნაირად ცდილობდნენ წინააღმდეგობის გაწევას მუ-
პაჯირობისაკენ გეზალებულ ხალხში. ერთ-ერთი ასეთი მონინააღ-
დებე და ანგარიშსაწევი იყო პატრიოტი ახმედ-ეფენდი ხალიფაშ-

ვილი. მან არაერთხელ შეუშალა ხელი მუჰპაჯირში წამსვლელებს და უკან მოაპრუნა, როდესაც მუჰპაჯირში წამსვლელთა მძლავრი ტალ-ლა გამოჩენდებოდა, ამ დროს ერთი ჭკვიანი ადამიანი გამოეყოფოდა ხალხს და მიმართავდა მათ:

– წავიდეთ ხალხნო და ხალიფაშვილს ვკითხოთ, როგორც ის გვირჩევს, ისე მოვიქცეთო.

მართლაც ასე იქცეოდნენ და ხალიფაშვილს ეკითხებოდნენ.

ერთ დღეს წარსდგა ხალიფაშვილი ხალხის წინაშე, მაგრამ ამჯერად კატეგორიული პრინციპით და დარიგებებით.

– „რომ მიდიხართ, სად მიდიხართ ხალხნო. იქ რომ წასასვლელად მომზადებულხართ, სახლ-კარს, სამშობლოს ვის უტოვებთ. მე იქ ვცხოვრობდი და დავპრუნდი ბედნიერი შემთხვევის წყალობით. იქ რომ ცხოვრება კარგი ყოფილოყო მე აქ არ წამოვიდოდი... დაბრუნდით სახლ-კარში და მინას მოუარეთო”. იმ დღეს ოთხიათასი კაცი მობრუნებულა უკან, მერე და მერე ხალხმა კვლავ დაუჯერა და პირი იბრუნეს სახლებისაკენ. ასე პატრიოტულად დარჩა იგი ხალხის ხსოვნაში და აჭარის ისტორიაში. იგი მუფთად დანიშვნიდან მალე გარდაიცვალა.

სოფელი სალორეთი თანდათან ივსებოდა მოსახლეობით. შალიკაშვილებს კვალდაკვალ მოჰყვა აფხაზეთიდან გამოქცეული ალექსანდრე შერვაშიძე. შემოსახლდნენ სეფერიძეები, მიქელაძეები, კაკაბაძეები (შემდგომში კაკაოლლები. უფრო გვიან კაკაურიძეები); და სხვები და სხვები. საუკუნეთა განმავლობაში ივსებოდა და ცარიელდებოდა სოფელი.

1775-იან წლებში შემოსახლდა სალორეთში აფხაზეთიდან მიგრირებული, თავადაზნაურთა წრის წარმომადგენელი ალექსანდრე შერვაშიძე. იგი სალორეთელ ქალზე დაქორწინდა 1778 წელს. ცოტა ხანს იცხოვრა სალორეთში, ქალის მამულში და ორი წლის შემდეგ სოფელ ოქტომბერში აფრე ჩამოსახლებულ შარვაშიძეებს მიეკედლა, გადასახლდა სამუდამოდ, ისლამიც მიიღო და სახელი ალიქა დაარქევეს. პირველად ალექსი გათათოდაო – ასეთი ხმები დადიოდა ხალხში.

1790-იან წლებში აფხაზეთიდან კიდევ ერთი ადამიანი წამოვიდა აჭარისაკენ და ისიც სალორეთში დასახლებულა. მალევე იქორწი-

ნა სალორეთელ ქალზე. მათ სამი შვილი შეეძინათ. ჯერ ქალი, შემდეგ ვაჟი და ისევ ქალი.

სალორეთში დიდი ტერიტორიები იყო დაუმუშავებელი. შალიკაშვილებს და საამის ოჯახს შერვაშიძეებიც მიეტოლნენ და თითქმის ერთნაირი რაოდენობის მიწები დაისაკუთრეს. აფხაზეთიდან მეორედ მოსული შერვაშიძე იყო ხახუჭა, რომელიც ძმის, ალექსის კვალს გამოჰყვა, მისივე ნასახლარზე დაფუძნდა და აღარსად წავიდა.

1830-იან წლებში სალორეთში მერიისიდან მოიპატიუეს ხოჯად – ხასან-ეფენდი მუფთი-ზადე ლორთქიფანიძე, რომელიც ტრაპიზონიდან იყო გადმოსული ხუთი ქალიშვილის ერთად. ხოჯად მონვევის ნიადაგზე, ხასან-ეფენდი ერთი გოგო მერიისში თავისი გვარით დატოვა და ისე ჩავიდა სალორეთში. იგი თექვსმეტი წლის ასაკში დაქორწინდა ოსმალეთში, შემოსახლების მომენტში უფროსი (მეორე ქალიშვილი) უკვე ჩვიდმეტი წლისა იყო, რომელიც მასზე ძალიან უფროს შერვაშიძის შვილს – მემედს მიათხოვეს. მათ მხოლოდ ათი წლის შემდეგ შეეძინათ პირველი შვილი, სულ სამი ვაჟი და ერთი ქალი შემატეს სოფელს შერვაშიძე ხახუჭას შვილმა და რძალმა. ხახუჭას ორი ქალიშვილი სხვა სოფლებში გათხოვდნენ.

მუფთი-ზადემ ოთხივე ქალიშვილი სალორეთში გაათხოვა. მესამე ქალი სურმანიძეებში გაათხოვა, მეოთხე შალიკაშვილებში, მეხუთე კი ქადიძისათვის მიუთხოვებიათ.

მუფთი-ზადემ სალორეთში მეორედ იქორწინა და შეეძინა კიდევ ორი ვაჟი...

ბარაქიანი მიწები იყო სალორეთში, მაგრამ ხანდახან გვალვებისაგან იხრუკებოდა ყველაფერი. წამოზრდილმა ლორთქიფანიძის შთამომავლებმა ახალგაზრდები აიყოლიეს და ჭანჭადის ლელიდან სარწყავი არხით კამკამა წყალი მოიყვანეს სოფელში. სოფელში ერთი თამარისდროინდელი მოპირკეთებული წყარო ჩუხჩუხებდა და ერთიც უბრალო ლარზე მოთქრიალებდა. კეთილმოწყობილი წყარო შალიკაშვილების უბანში გადმოედინებოდა, ხოლო მეორე კი საამის შთამომავლების მიწა – მამულში მოჩუხჩუხებდა, ხელოვნურად გაშენებული წიფლნარის ბოლოზე.

საამმა თავისი გვარი გააუქმა და შვილებს თავისი სახელით გაუგრძელა გვარი. ასე მიღებული იყო იმ დროს სამუსლიმანო სამყაროში და ვინაიდან საამმა მუსლიმანობა მიიღო, გვარიც ოლლი დაბოლოებით გააგრძელა – საამიშვილი ანუ საამიოლლი.

საამის შვილიშვილმა შაანმა იარალის კეთება აითვისა. ბაბუას დანატოვარი თოფ-იარალი სამახსოვროდ ჰქონდა შენახული. თოფი ადგილობრივი წარმოებისა იყო, მაჭახლური, რომელსაც იმ ხანად ბადალი არ გააჩნდა და სახელადაც „მაჭახელა“ ერქვა. საქართველოში იდიოთგან დამკვიდრებული იარალის – ხმალ-ხანჯლების კეთებას, თოფ-დამბაჩების დამზადებაც მიემატა და დამკვეთი ხომ საძებარი არ იყო, ხან ოსმალები იძენდნენ და ხანაც ქართველები, ხოლო ხელოსნისათვის, როდესაც ქონების დაგროვებას თუ თავის რჩენა-საა გადაგებული, სულერთია ვინ გადაუხდის საფასურს, მისულ მუშტარს ხომ არ შეეკითხება ხელოსანი სადაურობას და ვინაობას, მთავარია საფასურის გადახდა.

შაანმა, ბაბუას აგებულ ბელლის ქვეშ სამჭედლო გამართა და სამეურნეო იარალების კეთებას მიჰყო ხელი, რაც ყოველთვის სჭირდებოდა გლეხს, მინის მუშას მუშტარიც გამოულეველი ჰყავდა და მამის დანაზოგს თავადაც წაამატა ფული – ხან ოსმალურ ფულებს აჩხრიალებდა და ხანაც ქართულს. მოგვიანებით აითვისა თოფების კეთებაც და სწორედ ამ ხელობით სალორეეთის შორს გაუვარდა სახელი მაჭახელივით. მოდიოდა და მოდიოდა მუშტარი.

მიუხედავად იმისა, რომ მაჭახლელები ოსმალთა ექსპანსიამდე ფლობდნენ იარალის დამზადების ხელოვნებას, გამრავლებული მტრების გარემოცვაში უფრო გაფართოვდა მათი ხელოსნობის არეალი – მთელი მაჭახელი ამ ხელობას მისდევდა, მაგრამ სალორეთში წარმოებულ იარალს რაღაც მადლი და სილამაზე ჰქონდა. იყვნენ ადამიანები, ვინც მარტო სილამაზისათვის, ქონების სახით იძენდნენ და სწორედ ამან განაპირობა, რომ ახლო-მახლო სოფლების მოსახლეობაში ყველა თუ არა, ნახევარზე მეტი მაინც „მაჭახელის“ ტიპის გაუმჯობესებული იარალით იყო შეიარაღებული.

სრულიად ახალგაზრდა ოსტატ შაანს, ადგილობრივებმა „უსტაშაჲინი“ შეარქევს. უსტა, იგივე ოსტატი, ზედნოდებად თითქმის გვარად დაუმკვიდრეს ბაბუა საამის შთამომავლებს.

თამთა ბებია მკურნალის სახელით ზეიმობდა, შვილიშვილი შაანი კი თოფ-იარაღების კეთებით და საამის ეზო-მიდამოში ყოველთვის ხალხმრავლობა იყო.

– აი, შვილო – უთხრა ერთ დღეს თამთამ შვილს და შვილიშვილს, ჩემიქმრის წინასწარმეტყველური სიზმარი, როგორ გვეხმარება ცხოვრების უკეთ მოწყობაში. მადლი მარტო იმით არ კეთდება, ადამიანს რაიმე აჩუქო, თქვენი თოფ-იარაღი, რომ მოსწონთ და აფასებენ, ესეც მადლია. მე თავის დღეში გასამრჯელო არ ამილია, თქვენ კი ამას ვერ გეტყვით, თუკი ვინმე ისეთი გამოერია, შეძენის სურვილი აქვს და სახსარი არა, ფულს ნუ დახარბდებით, ისედაც გაუწოდეთ ხელი. უფალი გაგიათმაგებთ. ამ წესით უნდა ვიცხოვროთ და საამის მადლიც გაგიძლვებათ წინ. მთავარია თქვენს სახელს და ადამიანობას არ უღალატოთ, დანარჩენს უფალი მიხედავს.

– მასეც ვიზიამთ ბებია, თქვენს სახელს დიდებას შევმატებთ – უპასუხა შაანმა.

„ეჰ, რა ტყუილად მეწყინა მაშინ საამის გამუსლიმანება – გაიფიქრა თამთამ და ცრემლები ჩამოყარა“.

შაანი ანუ „უსტაშაპინი ვაჟკაცური აგებულების, ზორბა ჭანის და ჯან-ლონით სავსე ახალგაზრდა, დინჯი და აუჩქარებელი იყო, სიტყვა-პასუხიც მძიმე და მოზომილი იცოდა. ხშირად ჭკუის საკითხა-ვად მოდიოდნენ მასთან, ხოლო დარიგება ბრძნული და თანაც ხალ-ისიანი იცოდ ა. იუმორის გრძნობაც გააჩნდა აგებულებასთან ერ-თად, რაც უნაკლო ჰქონდა, სილამაზეც გააჩნდა – შავთმაქოჩრიანი და შავთვალნარბა იყო ბებია თამთასავით. წყნარი და გამრჯე იყვნენ მისი მშობლები – აბდული და ჰაჯერი. დღენიადაგ მიწაზე იყვნენ მიჯაჭული და ბარაქა შემოჰქონდათ.

შვილმა შაანმა მამა აიყოლია ხელოსნობაში, მაგრამ აბდულმა გული ვერ დაუდო რკინაზე ჭიდილს – თოფ-იარაღის კეთება არა, მაგრამ წალდ-ნამგალს კარგად ამზადებდა. ვერც ბიძები აიყოლია „უსტაშაპინმა თოფების კეთებაში. დახმარებით კი ნამდვილად ეხ-მარებოდნენ დაოსტატებულ შაანს. უსტაშაპინი ღრმა მოხუცებულო-ბამდე განაგრძობდა იარაღის კეთებას. ოლონდ ის უკვე შვილიშვი-ლის – მამუდ უსტის დამხმარე იყო, რომლის სახელი მთელ აჭარას გასწოდა. მამუდმა „მაჭახელის“ ტიპი გააუმჯობესა და საუკეთესო

თოფ-იარაღს ამზადებდა. 14 წლისამ უკვე აითვისა ბაბუას ხელობა. 16 წლისამ უნაკლო, პირველი თოფი დაამზადა ბიძის, უსტყანის დახმარებით. საამისეულ ეზოში უკვე მცირე ქარხანა გახსნეს და დამკვეთებს ძლივს აუდიოდნენ. ვინმე თუ სადმე მამუდ-უსტის სახ-ელს ახსენებდა, ამით საღორუეთს შარავანდედში ხვევდნენ. მამუდ-უსტი ისტორიამ აითვისა... სპეტაკად აღესრულა...

... ერთ საღამოს შვილები შეჰვარა თამთამ.

– საწყალი მამათქვენი ცოცხალი რომ ყოფილიყო, გაიხარებდა თქვენი სახელით და კაიადამიანობით. დრო არ არის შვილებო თქვე-ნი დაოჯახებისა? მარტო აბდულმა მომგვარა რძალი, თქვენ რას უყურებთ? მე ეხლა სამარისაკენ ვიყურები, შვილები არ უნდა მო-მასწროთ?

შაანი უკვე ოცის ხდებოდა, ახმედი, მისი ბიძა ამ დროს ორ-მოცდაათისა სრულდებოდა...

თამთამ მამია ადრე დააქორწინა, თუმცა აღარც იმას ეთქმოდა ადრეული დაქორწინება – უკვე ოცდახუთი წელი უსრულდებოდა. სარძლო გულებელ დიასამიძეებში ამოირჩია და თვითონვე გაჩარხა საქმე. სისხლმა იმძლავრა. დიასამიძეების ქალბატონმა ისევ დიასამ-იძეებიდან აირჩია სარძლო. თავისი წარმომავლობა კი დამალა ყოვ-ელშემთხვევისათვის.

რამდენიმე წლის შემდეგ შვილიშვილი შაინიც დააქორწინა, მისი საცოლეც გულებელ დიასამიძეებიდან ამოირჩიეს, ოლონდ ეს საქმე მამიას მეუღლეომ, ილდიზ დიასამიძემ გაჩარხა და თავისი სოფ-ლელი, კარგად აღზრდილი გოგო, კარგი შესახედაობისა და ჭკვიანი – ჰევა ამოირჩია.

შაანმა სამი ვაჟი შემატა სოფელს, მამიამ კი ორი. თამთა ბებიას ოჯახი გაეზარდა. ახმედი ასაკს მინებდა, ანი ჩემი დაქორწინება, მო-მაკვდავის გაღიმებას ჰგავსო და ხელი ჩაიქნია... და მართლაც, ხუთი წლის შემდეგ შაანის ქორწინებიდან ამ ქვეყანას გამოეთხოვა.

თამთამ ისევ შავები ჩაიცვა, არ ელოდა ამ გლოვას.

– ვერ ვივარგეთ შვილებო, ახმედიც ადრე უნდა დაგვექორწინე-ბინა. ოჯახს ბევრი ბავშვი უხდება. ხუთი ბავშვი ოჯახში, ძალიან ცოტა. ქვეყანას ბევრი შვილებით უხარია და ამითაა სწორედ ძლიერ-

იც. ეს პრობლემა ქალებმა უნდა მოაგვარონ, თორემ საქართველო ომებში ნადგურდება. მონილები თურმე ისე მრავლდებოდნენ, ერთი რომ დაეცემოდა ბრძოლაში, მის ადგილას სამი ჩნდებოდა. თამარ მეფის დროს საქართველო თორმეტი მილიონი იყო და უძლიერესნიც იყვნენ მახლობელ აღმოსავლეთში. ჩვენ ნამდვილად ვერ მივალთ იმ დონემდე, მაგრამ მაინც უნდა ვიცდილოთ ბევრი შვილის აღზრდა. სამი შვილიც რომ შემრჩენოდა ექვსნი იქნებოდით... ეხლაც ახმედმა დაგვიხრუკა გული და... ისევ თქვენ უნდა ივარგოთ შვილებო... .

შვილები და შაანი აღსარებასავით ისმენდნენ თამთას შეგონებას, მაგრამ სურვილი ლვთის გარეშე ვერასოდეს ასრულდებოდა.

შერვაშიძებიც გაძლიერდნენ სოფელში. რამდენიმე ოჯახად გამრავლდნენ. შრომისმოყვარეობა და კეთილსინდისიერება მათი ტრადიცია იყო. შვილებითაც და შვილიშვილებითაც ხარობდნენ და საერთოდ კარგი მეზობლობაც ჰქონდათ ყველასთან. იყვნენ მიწათმოქმედნი და მესაქონლეები. სწავლის სურვილიც გაუჩნდათ. ძალაუნებურად ითვისებდნენ არაბულ დამწერლობას და ოსმალურ ენას, მაგრამ დედაენა უფრო აინტერესებდათ.

ერთი მეზობლის ოჯახში ხახუტას ინიციატივით ქართული ენის შემსწავლელთა სია შედგა. არცთუ ისე ცოტანი იყვნენ მსურველები. ამ კეთილშობილურ საქმეში თამთაც ჩაება, ვინაიდან იგი სრულყოფილად ფლობდა დედა ენას. მისი მეშვეობით სამედიცინო სწავლებასაც ჩაეყარა საფუძველი, მაგრამ ყოველთვის თითქმის უხმაუროდ მიმდინარებდა, გარეშეთაგან მორიდებით. იყო ნამდვილად სარისკოც და ოსმალეთის მსტორებს რომ არ მიეტანათ ენა თავიანთ მთავრობაში, აქვე არაბულ და ოსმალურ ენასაც ასწავლიდნენ ადგილობრივები.

თამთას წამოწყებას ბევრმა აუბა მხარი, მაგრამ ერთეულები თუ ითვისებდნენ სამკურნალო საქმეს, წერა-კითხვას კი ყველა ეუფლებოდა. დარჩეული ვაჟკაცებითა და გოგონებით ხარობდა სოფელი. მათ იცოდნენ, რომ სოფელი საუკუნით უკან ორასზე მეტ ოჯახს ითვლიდა და მათ სახსოვრად თუ ხსოვნის უკვდავსაყოფად მრავლდებოდნენ და ხარობდნენ. თებიძეები, დვალიძეები, აბულაძეები, შერვაშიძეები, შალიკაშვილები, საამიშვილები, ქადიძეები, სურმანიძეები და სხვები და სხვები. იყვნენ ოჯახები, რომლებიც დროებით

ცხოვრობდნენ და მერე უკეთესი ცხოვრების საძებრად სხვაგან სახლდებოდნენ, გადიოდნენ სოფლიდან.

იყვნენ ციხისთავები ანუ მეციხოვნიშვილები, ყარყარაშვილები, ჭალიძეები ანუ ჭალოლლები, ლორთქიფანიძეები, ყადიძეები ანუ ყადიოლლები და სხვა.

უსტაშაპინს სამი ვაჟი შეეძინა, როდესაც წამოიზარდნენ ბავშვები, სამჭედლოში აოსტატებდა ყველას. მამიას შტოში კი რკინის ხელოსნობა არ აინტერესებდათ, ისინი მესაქონლე და მიწათმოქმედნი იყვნენ.

მამიას შვილი ახმედი იმ დროისათვის მოქმედ ასკერში გაინვიეს და მედროშეობა ჩააპარეს. იქედან დარჩა ზედნოდებაც – ახმედ ბაირ-ახტარიც. ხდებოდა ისე, რომ ქართულ რაზმშიც მონაწილეობდა და იქაც მედროშე იყო.

იყო ისეთი ვითარება, რომ ბრძოლის სასწორი ხანდახან ოსმალებისაკენ გადაძლევდა. პატრიოტული ბრძოლებით ხანდახან საქართველოსაკენ გადმოიხრებოდა. შესაბამისად მებრძოლებიც ხან ერთ მხარეს იყვნენ, ხან მეორე მხარეს... ქართველთა სამარცხვინოდ ასეც ხდებოდა ხოლმე.

ვიდრე სელიმ-ფაშა ხიმშიაშვილი ცოცხალი იყო, მთელი აჭარის ტერიტორიაზე აშკარად თუ მალულად მისი მომხრე იყო უმეტესი ნაწილი, მაგრამ 1815 წელს სულთან მეჰმედ-II-ის ბრძანებით მუხ-ანათურად მოკლული სელიმ-ფაშის შემდეგ დრო აირია. დიდი სელიმ-ფაშის განაზრახი – საქართველოდან ოსმალების განდევნა, ტერიტორიული გამთლიანება და თამარისდროინდელი დიდების აღდგენა მარცხით დამთავრდა. ასეთი განაზრახის წინააღმდეგი თვით ქართველებშიც მოიძებნებოდა.

ამ პერიოდში უკვე რუსები მკვიდრდებოდნენ საქართველოში. ომიანობას სასწორი უკვე ოთხმხრივად იზნიქებოდა. ხან მეფის რუსეთის მხარეს, ხან ქართველთ, ხან ყიზილბაშთა და ხან ოსმალთა მხარეს. ამას დაერთო კიდევ ყაჩაღ-აბრაგთა და ათასი ჯურის თავდამსხმელთა და ამაოხრებელთა თარეშიცა და საქართველო გამუდმებულ ომებში და ბრძოლებში თუხთუხებდა. სალორეთიდანაც მონაწილეობდნენ პატრიოტები ქართული, ეროვნული მეობის შესანარჩუნებლად.

ოსმალები თავისად დაგულებულ აჭარის ტერიტორიაზე არაფერს ერიდებოდნენ ყოველგვარი მიზნის მისაღწევად გველის ტყავში ძვრებოდნენ. მათთვის არაფერი არ იყო უცხო, რაც მოაფიქრდებოდათ სისრულეში მოჰყავდათ. სწორედ ამის გამო ჯანყდებოდა ხალხი.

ციხე კავიანში საიდუმლო სერობა გამართეს ყოფილმა ხინონ-მინდელმა და აჭარელმა პატრიოტებმა. ამ სერობას ესწრებოდა სალორეთელი მამია სასამიშვილი და ყაჩალად შერაცხული, ეროვნული სულით გაულენთილი, ნამდვილი პატრიოტი ყიზეთ-აღა შანბაშოლლი დვალიძე. ამბოხება მოხდა ოსმალო და აღვირახსნილი იანიჩრების გამო. ოსმალეთის მთავრობა დათმობაზე წავიდა და ამბოხებულთა წინააღმდეგობის მიუხედავად არავინ დაუსჯიათ, მოთხოვნა სამართლიანი იყო, ამბოხებულმა ბევრი ოსმალო ამონევიტეს, მაგრამ არც ამის გამო მოთხოვეს პასუხი, თუმცა დამცხრალი ხალხი, უარესის მოლოდინით სულდგმულობდა.

... სალორეთში შემოვიდა ძენწმანელი ხეირულა-ბეგ ჯაყელი და სოფელი დაზვერა. იგი პირნავარდნილი ოსმალთა დამქაში იყო. ჯაყელები სადღაც, ზემო აჭარაში ცხოვრობდნენ მესხეთიდან გამოქცეულები, მაგრამ რაღაც მიზეზით ერთი ოჯახი სოფელ ძენწმანში დასახლდა. ხეირულა-ბეგს ვაჟი ჰყავდა დასაქორწინებელი და ერთ სალორეთელ გოგოს დაადგა თვალი, მაგრამ სალორეთლებმა მესხეთიდან გადმობარგებულთა მეშვეობით იცოდნენ ჯაყელების ძელი ცოდვები და უარი განუცხადეს მის სურვილზე..

– ჩვენ ჯაყელების კაიბიჭობის ამბავი ვიცით მესხეთის ტერიტორიიდან და ამიტომ სურვილს ვერ შეგისრულებთ – იყო მტკიცე პასუხი.

– კარგი, როგორც თქვენ იტყვით, მაგრამ მეც მაქვს სათქმელი, თუ თქვენთან მცხოვრები, მესხეთიდან გამოქცეული რძალი ქრისტიანობას არ მიატოვებს და საყდარში ისევ ივლის, ამ ამბავს მივაწვდი იქ სადაც საჭიროა და მერე თქვენს თავს დააბრალეთ რაც მოგივათ.

ბეგს გულში ჩარჩა წყენა, სამოყვროდ რომ დაინუნეს, შემდეგში ბეგმა თავისი შვილი გამოგზავნა სოფელში, რომელმაც მამის დანაბარები შეახსენა სოფლელებს, თავადაც თავხედურად მოიქცა.

– თუ ქალს არ გამატანთ, აღარც მამას ვუჯერებ, აღარც ვინმეს და თქვენი ქრისტიანი რძლის ამბავს მე თავად შევატყობინებ სულ-თანს, მერე კი მწარედ განანებთ ჩემს დაწუნებას.

დაიქადნა და წავიდა.

ერთხელ კიდევ შეახსენა თავი სალორეთლებს და თავისი მიზნის შესრულება კვლავ მოინადინა. ამჯერად გოგომ შეუთვალა უარი და თანაც უკადრებელი აკადრა. კუდამოძუებული წავიდა სასიძოდ მომზადებული, მაგრამ წასვლამდე სოფლის ფანატიკ მორწმუნებს წინადადება წაუყენა.

– ან მოარჯულეთ ქალბატონი გიაური, ან აწიოკებას ელოდეთ – თქვა და წავიდა.

თამთას ქრისტიანობა ამ ფანატიკოსებს არც ადრე მოსწონდათ, მაგრამ მისი მკურნალობის ნიჭის გამო თვალებს ხუჭავდნენ და პირში წყალს იგუბებდნენ, მაგრამ სული მწარეაო, იტყვიან და... სოფლელმა ფანატიკოსებმა აშკარად მოთხოვეს თამთას, უარყო ქრისტიანობა. დაივინყეს მისი ქველმოქმედი საქმიანობა და ისიც რომ ქალი უკვე ას წელს იყო მიტანებული.

– უნდა უარყო შენი ქრისტიანობა, თორემ შენს გამო სოფელს უპირებენ აწიოკებას – წაუყენეს ბრალდება.

– რას ამბობთ მეზობლებო, შვილებო, ჩემს ხელში ხართ გამოზრდილები, მერე რა ამაგი მაქვს თქვენზე? არავითარ შემთხვევაში, ცალი ფეხი სამარეში მაქვს უკვე.

– მეორე ფეხს ჩვენ ჩაგადგმევინებთ სამარეში – დაემუქრნენ თამთას და აკადრეს ისეთი რამ, რასაც მხოლოდ მხეცი უზამს თავის მსხვერპლს.

– გახსოვდეთ ქეთევან წამებული... თქვენი სინდისი შეარცხვინა უფალმა, ურწმუნოებო – დაიქვითინა თამთამ.

ანამეს საყდარში და მერე ხეზე ჩამოჰკიდეს. დაივინყეს მისი ამაგი, კაიადამიანობა და განეული სამსახური. მხეცის ბუნება გამოჩინეს.

შვილი აბდული ლოგინს იყო მიჯაჭვული, მამია და ახმედი იმ ხანად სოფელში არ იმყოფებოდნენ და შესაფერისი დრო შეარჩიეს მწვალებლებმა.

თავზიარი დაეცათ სხვაგან წასულებს ამ შემზარავი ამბავის გაგებით. უკან მოპრუნდნენ და წესისამებრ ქრისტიანულად დამარხეს საყდართან ახლოს, მაგრამ საფლავს გამოსაცნობი ნიშანი არ დაადეს, რომ არ წაებილნა ვინმეს.

მამია მებრძოლი სულის კაცი იყო. ასეც რომ არ მომხდარიყო განა დედის წამებას ვინმეს შეარჩენენ? ასე ჰქნა მამიამაც, სოფლელები ვერ გაიმეტა სასიკვდილოდ, ოღონდ დაწყევლა – ღმერთმა გკითხოთო, შემდეგ მოძებნა ჯაყელის შვილი, სიცოცხლე მოუსწრაფა და 1838 წელს მცირენლოვანი შვილის – სეფერის თანხლებით ოსმალეთს მიაშურა. ფუძეზე ახმედი დარჩა.

თამთა-ბებია თავის ხელით გადმოწერილ „კარაბალის“ საყდარში ინახავდა, მისი სიკვდილის შემდეგ წიგნი სალორეთიდან გაქრა. გაძარცვეს საყდარიც.

საქართველოში ყველა დროში იყვნენ არაერთსულოვანი ხალხი. ზოგი სამართლიანად სჯიდა და იქცეოდა, ზოგს კი სატანასთან კავშირის შეკვრა ახარებდა. ორად იყო გაყოფილი ქართველთა აზრი და ჭკუა – ერთი ერთ მხარეს ექაჩებოდა სხვა მხარეს. ასე წეწვა-გახლეჩვას ველარ გააუძლო ერეკლე II-მ და 1783 წელს ქალაქ გეორგიევსკში ხელი მოაწერა რუსეთის მოკავშირეობას. ამიერიდან რუსეთი დაეხმარებოდა საქართველოს მტრებთან ბრძოლაში, მაგრამ მათი შემოსვლიდან ისე აღარ ხდებოდა, როგორც ქართველ ხალხს სურდა... დიახ, რუსეთსაც, თავის მიზნები გააჩნდა საქართველოში, ისევე, როგორც სპარსეთს და ოსმალეთს.

თხუთმეტი წლის შემდეგ ტრაქტატის დადებიდან მხცოვანი მეფე ერეკლე II გარდაიცვალა და იგი მცხოვარში დაკრძალეს, შემდეგ იყო და აჭარის მხსნელად წოდებულ სელიმ-ფაშას თავი მოკვეთეს ვერაგმა ოსმალებმა. გლოვობდა მთელი საქართველო სახელოვან მეფეს და დიდებულ პატრიოტს – სელიმ ხიმშიაშვილს.

ერეკლე II-ზე ლეგენდები დადონდა, მას ძლევამოსილის ტიტულით მოიხსენიებდნენ. პრუსიის მეფე – ფრიდრიხ II-მ განაცხადა: „ევროპას მე ვძატონობ, ხოლო აზიას უძლეველი მეფე ქართველთა ერეკლე მეორე“. რუსეთის დედოფალმა ეკატერინე მეორემ კი ვოლტერს მისწერა: „იგი უძლეველი მბრძანებელია, მამაცია და გონიერი, მან სახელგანთქმულ ნადირ შაპს ინდოეთი დაალაშქრვინა“..

ამ ლაშქრობით ერეკლე ცდილობდა საქართველოზე სპარსელთა თავდასხმა აეცილებინა, მაგრამ ცდა ამაო გამოდგა. მალე სპარსთა ტახტზე ისპაპანელი საჭურისი – ალა მახმად ხანი ადის. ოსმალეთის სულთანი მას გამარჯვებას ულოცავს და თავის სამსახურს სთავაზობს.

აი, აქ იყო დამარხული ძალის თავიც: სამუსლიმანო სამყაროს ორი ძლიერი მმართველი ყოველთვის პოულობდა ერთმანეთში საერთო ენას. ქართველებს კი თვალები და ყურები, გინდაც გონება დახშული ჰქონდათ, ვერასოდეს ხვდებოდნენ თუ რა მიზნები ამოძრავებდათ ირანსა და ოსმალეთს, ოღონდ საქართველო მიწასთან გაესწორებინათ, ალარაფერს ერიდებოდნენ. ულირსი ქართველებიც ეხმარებოდნენ მტარვალებს.

1795 წელს ერეკლე II-ის მეთაურობით ქართველმა მეომრებმა კრწანისთან სპარსელთა ჯარი ჩახოცეს. ალა მაჲმად ხანი თბილისს ვერ მიუახლოვდა და უკან გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ თბილისელმა სომხებმა ერეკლეს უღალატეს – წამოენივნენ შაჲს და ამბავი ამცნეს – ერეკლეს ჯარი ალარ ჰყავსო. შაჲიც მყისვე შემობრუნდა და თბილისი დაიკავა.

1797 წლისათვის ერეკლე მეორე რევანშის აღებას ცდილობდა, თანაც სურვილი ჰქონდა ალა მაჲმად ხანის თავი თავად დაეგორებინა მიწაზე. იგი ქართველმა პატრიოტმა, მცხეოლმა ანდრიამ თავის კარავში აკუნა ორი დამხმარის თანხლებით. იწყინა ერეკლემ მისი სიკვდილი... თავად უნდოდა გასწორებოდა მტარვალს და საქართველოს მახარს...

დიახ, 1797 წელს მოხდა ეს ამბავი – ალარ ბოგინობდა ცოდვილი, ქართველთა და საერთოდ ყველასათვის უბოროტესი მტერი. 1798 წელს კი ერეკლე II გარდაიცვალა.

იგი უძლეველის სახელით ჩავიდა მიწაში.

ყველანაირად ავინროებდნენ ქართველებს მომხდურები. საღორეთის მცხოვრებლები კი ჩვეული ცხოვრების კალაპოტში იყვნენ – მორწმუნენი ღმერთს მონებდნენ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად კი პატრიოტთა მოღვაწეობითა და მცდელობით ისევ ქართული სულის სიდიდისათვის იბრძოდნენ.

სალორეთის სურმანიძეებში წარმოიშვა ისეთი პატრიოტი პიროვნება, რომელიც არანაკლები იყო აჭარის სხვა პატრიოტებზე. ადამიანს საქმე გამოაჩინს – ამბობს ქართული ანდაზა და სწორედ ამ საქმემ გამოაჩინა მუფთი ხასან ეფენდი სურმანიძე, რომელმაც ჩიქენეთის ჯამესთან თავმოყრილი ხალხი მუჰაჯირში არ გაუშვა. ბევრჯერ ხოჯა ახმედ-ეფენდი ხალიფაშვილმაც გადაარჩინა ხალხი მუჰაჯირად წასვლას, ხასან ეფენდი სურმანიძემაც გაიმეორა მსგავსი პატრიოტული საქმე – მუჰაჯირად აბარგებული ხალხი, პატრიოტული მოძღვრებით და შეგნებული საუბრებით უკან მოაბრუნა. ოსმალთა ანკეს წამოგებული ათასობით ადამიანი ესწრაფვოდა მუჰაჯირად წასვლას. პატრიოტი მამულიშვილები ეროვნული მოლვანეობის თავისებურ კეთილშობილურ კვალს ტოვებდნენ ერის ისტორიაში.

1713 წელს სალორეთელ ქრისტიანთა სამლოცველო, დიდი ზომის ეკლესიაც იავარცყვეს ოსმალებმა. მთელი საუკუნის განმავლობაში არავინ ეკარებოდა ეკლესის ტერიტორიას. შემოგარენში ქრისტიანთა საასაფლაოებიც ბლომად დარჩა, მაგრამ მუსლიმანური კანონების ძალით ძველისძველ საფლავებს ვინდა მოუვლიდა.

ჯამე ეკლესიის ადგილს ააგეს, ხოლო ერთ სოფელში ჯამე და საყდარი ერთად არ შეიძლებოდა. საყდარი დაშალეს და კერძო მფლობელობაში გამოიყენა მოსახლეობამ, რაც წამდვილი მკრებელობა იყო.

1850-იან წლებამდე იდგა საყდარი სალორეთში.

1865-იან წლებამდე ირეკებოდა ხინოს ეკლესიაშიც ზარი.

1870-იანი წლებიდან ხინოს ეპარქია გაუქმდა, ხოლო ეკლესია ოსმალებმა გადაწვეს.

... ბოლო გაბრძოლება იყო ქართველთა ხინოს ხეობაში, აურაცხელი მეომარი შეესია ხინოს ხეობას, ასკერს ხელმძღვანელობდა სამთულიანი ფაშა, რომელიც ჭახათში იყო დაბანაკებული, ათასეულის მეთაური იყო სოფელ სალორეთიდან მუჰაჯირში წასული და აღზევებული, ბინბაში ყარა-უსუფ-ზადე.

უტეხი, მებროლი სული ბობოქრობდა ხინოს ხეობაში, არავის არ სურდა დანებება, გმირულ სიკვდილს არჩევდნენ, ოსმალთა ხელში მოხვედრას და რჯულის შეცვლას. ერთ-ერთ ბრძოლაში, ხინოე-

ლი ლევან წულუკიძე, რომელიც რაზმის წინამძღვალი იყო, ოსმალებმა ცხენიდან უსულოდ გადმოაგდეს. ეს ამბავი აცნობეს მეუღლეს – ნატო ქათამაძეს, მღვდლის შვილსა და ასევე მღვდლის რძალს. ნატო ვაჟკაცური აღნაგობისა იყო და გმირული სულის პატრონი იყო. მან არანაკლები პატრიოტობა ჩაიღინა – ბრძოლაში გმირობაც გამოიჩინა და შურიც იძია ქმრის მკვლელებზე. გადაიცვა ვაჟურად, თავისინაირად თავზეხელალებული ქალებიც შეაიარალა და მამაკაცურად გადაცმულები შიშის ზარს სცემდნენ ოსმალებს, თავისი და ხინოში მცხოვრები ერთგული ქალების თანხლებით სამთული-ანი ფაშა ხეზე ჩამოჰკიდეს.

ყარა-უსუფ-ზადე ხინოს თავში დაბანაკდა. ნაომარ იანიჩარებს შესვენება გამოუცხადეს. ყარა-უსუფი თავის კარავიდან გაქრა.

ტყის ბილიკებით იგი სალორეტში გადმოვიდა და ძმა ხუსეინს ესტუმრა. მიკითხვა-მოკითხვის შემდეგ ხუსეინმა ქართული ორიენტაციისაკენ უბიძგა ძმას და შედეგსაც მიაღწია – შეიპირა იმისათვის რომ აღარ იბრძოლებდნენ ხინოელთა წინააღმდეგ. ამ მიზნის მისაღწევად დაბრუნდა სწორედ უკან, მაგრამ მიუხვდნენ განზრახვას და კარავში აკუნძეს ოსმალეთის ერთგულმა მსახურებმა.

ნატო დაატყვევეს და ოსმალეთს გააგზავნეს, მას სულთანმა რძლობაც კი დაუპირა, დასთანხმდა ნატო, მაგრამ იმ პირობით თუ ჯარს გაიყვანდა ხინოდან და ახალციხის ფაშის ტყვეობიდან გაანთავისუფლებდა ქობულეთელ მამუკა თავდგირიძეს. სულთანმა პირობა შეასრულა, მაგრამ ნატომ დიპლომატიური მისიის შესრულების შემდეგ გმირობაც მოინდომა და სულთანს უარიც მიახალა. გამძვინვარებულმა სულთანმა ჯალათებს უბრძანა ნატოსათვის თავი მოეკვეთათ. საბოლოოდ გაიბრძოლა ნატომ – ჯალათს ხმალი გამოსტაცა და რამდენიმე ოსმალოს თავი წააცალა.

თავისი ხალხის კეთილდღეობას შეენირა გმირი ქალი...

– უზარმაზარი დანაკლისებით ივსებოდა საქართველოს ისტორია.

1877-78 წლებში ხინოდან მუპავირში გარეკეს ხალხი. ხინოს ხეობა დაიცალა.

ოსმალეთმა თავის მიზანს მიაღწია – იპყრობდნენ უფრო და უფრო მეტ ტერიტორიებს, მათ უკან მძლავრი სულთანი იდგა – აბდულ ჰამიდ II.

საქართველოს აღმართ პეტრე კახი, აჭარას აღმართ პეტრე სელიმ ხიმშიაშვილი და ბევრი მისთანები. სამაგიროდ საქართველოს მხსნელად მოევლინა დიდი რუსეთი. მიუხედავად იმისა, რომ აგრესიულ პოლიტიკას ეწეოდა რუსეთი. მეტნაკლებად მაინც მხსნელის როლი იკისრა საქართველოში. 1878 წელს დადებულ სან-სტეფანოს ზავის პირობებით აჭარა დედა საქართველოს შეუერთდა.

საქართველოს ეროვნულ სულს სდარაჯობდა რუსეთში სწავლამიღებული ქართველი ერის მამად ალიარებული თავადი ილია ჭავჭავაძე. აჭარაში მემედ-ბეგ აბაშიძის მონაწილეობით ჩამოყალიბდა აჭარელ პატრიოტთა პლეადა.

სოფელ სალორეთიდან მუჰაჯირში იშვიათად მიდიოდნენ. იყვნენ ადამიანები, ვინც რაღაცნაირი კონფლიქტური სიტუაციის გამო ტოვებდა სახლ-კარს და მიდიოდნენ ოსმალეთში.

საამის შთამომავლობიდან პირველი იყო მისი შვილი მამია, სეფ-ერის თანხლებით. შემდეგ კი შაანის უმცროსი შვილი – უზეირი მეულლითურთ, რომელიც პირვნული უკულმართობის გამო სალორეთიდან 1876 წელს წავიდა და ოცდათვრამეტი წლის წინათ გადახვეწილ, ბაბუის ძმის – მამიას გზას დაადგა.

უსტაშაპინი ისე გამდიდრდა, სოფლის ის მონაკვეთი, რომელზე-დაც აბრეშუმის გზა გადიოდა, ყოველდღიური მაკავშირებელი მთელი ხეობისა ქალაქთან, დააწყებინა მოპირკეთება დაქირავებულ ხელოსნებს. თანხას თვითონ უხდიდა. ეს საქვეყნო მადლი იყო. იგი თავის დროს წმინდანის რანგში აიყვანა სოფელმა. ბებიის სიკვდილის გამო მთელმა სოფელმა მიუსამძიმრა და მუხლი მოიყარა მის წინაშე, იმდენად მაღლიანი კაცი იყო, ხოჯა მის დაუკითხავად არაფერს არ აკეთებდა.

სოფელში სეტყვა მოვიდა და მეორედ გათოხნილი სიმინდი დალენა. ხალხმა ხელმეორედ დათესა, შაანს კი ხელი არ გაუნდრევია. იმდენად იყო მორწმუნებულ უფალზე მინდობილი, თქვა, მე მადლიანად ვიმუშავე, თუ მოსაცემია ღმერთი მომცემს, თუ არადა მშიერსაც არ მომკლავსო. არნახული მოსავალი მოიწია შაანმა, სხვებმა კი ფურაუი.

ცოლი ჰყავდა ღვთისნიერი. კაცი რომ სადმე წავიდოდა დილამდე დაელოდებოდა და არც ჭამდა...

შაანს სოფლელისათვის უთქვამს ერთხელ...
 – ყველა დავდიგართ ჯამეში, შენ რატომ არ დადიხარ ისმაილ?
 – რა შენი საქმეა მოვალ თუ არა, რომელი ჩემი ჭკუის მასწავლებელი ხარ, ან ხალხში რას მარცხვენ? – უთხრა ისმაილმა და დამბაჩა დაახალა შაანს.

გადმოდგა ერთმა ნაბიჯი და დამბაჩის დამქუხებელი საიქიოს გაისტუმრა.

– აგიშენდა ხელები – უთხრა ხოჯამ – შაანზე სროლას კი არა, თითის მიშვერას არ გვაპატიებს ღმერთი. გათხარეთ საფლავი და ისე წესის აუგებლად დაასაფლავეთ, ამის ღირსია ეგ, მაგის მკვლელს კი სისხლის წვეთი რომ გამოდინდეს ან თმის ლერი ჩამოუვარდეს, მთავრობას დავასჯევინებთ.

შაანი განიკურნა, მაგრამ 1878 წელს შუა ლოცვაში დალია სული, სახლში, ჯუმა დღეს.

შვილი უზეირი მამის დასასაფლავებლად გადმოვიდა ოსმალეთიდან, შემდეგ წავიდა და სოფლისაკენ აღარ მოუხედავს.

ოსმალეთში წავიდა აგრეთვე შერვაშიძეების შთამომავალი, ხახუტას შვილიშვილი – შაქირი. იგო ოსმალეთში ოფიცრად იყო ასკერში.

შერვაშიძეები სოფელში აგებულ, აღმაშენებლისდროინდელ ციხე-სიმაგრეს დაეპატრონნენ და ვინაიდან ზედ სავაჭრო-საქარავნე გზისპირად მდებარეობდა, მოსაცდელი „ხანი“ გამართეს. რამდენიმე დღის სანოვაგე და ღამის გასათევი ყოველთვის მოქმედი იყო.

ლორთქიფანიძეებმა, გარდა იმისა, რომ არხით წყალი გამოიყვანეს სოფელში, ჭების კეთებით დააინტერესა მოსახლეობა. თვითონ ოცდახუთი მეტრის სილრმის ჭა გააკეთეს და დაუტოვეს შთამომავლობას და სოფელს.

1880-იანი წლების შემდეგ სალორეთიდან კიდევ ერთი ლტოლვილი წავიდა ოსმალეთში – უზეირის ძმისშვილი აბდული, რომელმაც ცოლთან ერთად, მოტაცების ნიადაგზე ატეხილი ფათერაკის გამო ბიძის გზას დაადგა.

უზეირმა თავის შთამომავლობას მამის სახელის ზედწოდება – „უსტაშაპინი“ დაუდგინა, ხოლო აბდულმა მამის ბაბუის მამიას (მემი) სახელი დაუტოვა შთამომავლობას – „მემი“. გვარით გრძელდებოდა მათი შთამომავლობა თურქეთში.

1914 წელს საამის შვილიშვილი, მეოთხე თაობა – მუსტაფი და მისი ძმები, სხვა თანასოფლელთა ერთად ოსმალეთში გადავიდნენ. ეს იყო მუჰაკირობის ბოლო ტალღა. რუსეთის შიშით გამოწვეული. ძმები ექვ-სი წლის შემდეგ დაბრუნდნენ, 1919 წლის დეკემბერში, როდესაც ნაა-დრევად მკაცრი ზამთარიც დადგა. სოფლელებიდან ყველანი არ დაბ-რუნებულან..

...სხვადასხვა დროს, სხვადასხვა სიმაღლეებს ფლობდნენ სა-ლორეთიდან გადახვენილები. მათგან ზოგი სალორეთის მიწაში გან-ისვენებენ, ზოგიც ოსმალეთის ტერიტორიაზე, ზოგის საფლავი კი უცნობია.

ემინ ბანბაშოლი დვალიძე – ოსმალეთის დიდებული რჩეული. ლომანბაირახტარი თებიძე – ოსმალეთის ჯარის მედროშე.

მემიბაირახტარი ყადიძე – ოსმალეთის ჯარის მედროშე. ხასან ეფენდი სურმანიძე – აჭარის მუფთი.

ბასო თებიძე – ძალოსანი.

შაქირ ხახუტოლლი შერვაშიძე – ოსმალთა ჯარის ბინბაში.

უსეინ არძანოლლი ქადიძე – ოსმალეთის „ფეხლევანი“.

უსუფ არძანოლლი ქადიძე – ოსმალეთის ჯარის ბინბაში.

ყიზეთ ალა დვალიძე – აბრაგი, პატრიოტი აჭარისა.

გადახვენილი უზეირისა და აბდულის შთამომავლებიც ფლობდ-ნენ სხვადასხვა სიმაღლეებს, მაგრამ ტენდენციურობაში რომ არ ჩამ-ითვალონ თავს შევიკავებ ჩამოთვლისაგან.

სალორეთიდან მუჰაკირობის ტალღამ გაიტაცა სულაც ბავშვი, მეციხოენისშვილი ანუ „ყელეჯოლლის“ ბიჭი უსეინი. იგი ორი წელი იყო ოსმალეთში თავისიანებთან.

საამის შვილთაშვილმა ხასანმა იგი გადმოიყვანა და გვარი მო-სპობას გადაარჩინა – მამისეულ ფუძეზე დასახლდა.

სულთნების – აბდულ აზიზის (1861-1876), მურად V-ის (1876 წ) და აბდულ ჰამიდ II-ის (1876-1909 წწ) დროს ოსმალეთში მიმოსვლა თავისუფალი იყო, ხალხს უნდა გაერკვია თავისი საცხოვრებელი ადგილი და თავისი უფლებები.

სულთნების – მეჰმედ V-რეზადის (1909-1918 წწ) და მეჰმედ VI-ის (1918-1922 წწ) დროს ვითარება არ იყო სტაბილური. ხან ომი მძვინ-

ვარებდა, ხან აჯანყებები, ხან უცხოელები ჯიჯგნიდნენ საქართველოს ეროვნულ სულს და ხან რენეგატი ქართველები.

სალორეთელი ლორთქიფანიძეები დაწინაურდნენ. მთელი აჭარის მასშტაბით სალორეთიდან იყო ერთი ნასწავლი, სამში ერთი ხასან ლორთქიფანიძე. უმაღლეს პოსტს მასთან ერთად ფლობდა მისი ბიძაშვილი – სელმან ლორთქიფანიძეც.

აჭარის პატრიოტთა პლეადაში მემედ-ბეგ აბაშიძე განსაკუთრებული პიროვნება იყო, ვინაც დიდი როლი შეასრულა აჭარელთა გათვითცნობიერების საქმეში.

რუსეთში რევოლუციის გამარჯვებამ მთელი ქვეყნის მასშტაბით სიხარული გამოიწვია.

1921 წლიდან მოხდა ქვეყნის გასაძჭოება.

1923 წელს დასრულდა ოსმალური რეჟიმის ჭირვეულობა – მუსტაფა ქემალ ათათურქმა შექმნა თურქეთის სახელმწიფო. მან გააუქმა სასულთნოები და შემოილო პრეზიდენტობა. ბევრ სიკეთეს ჩაუყარა საფუძველი და ბევრი მავნე ტრადიცია მოსპო და გადაავიწყა თურქეთის მოსახლეობას, ხოლო აჭარას კი თვითგამორკვევის ფაზაში დიდი დარტყმა მიაყენა ინგლისის, საფრანგეთის, გერმანიის, იტალიის მთავრობების დამპყრობლურმა პოლიტიკამ და მენშევიკთა მავნებლურმა ქმედებებმა.

სალორეთლები 1713 წელს ქრისტიანობის დაუტევებლობის და რწმენის არ შეცვლის გამო ემსხვერპლნენ ოსმალთა იარაღს. გამუსლიმანებული, სალორეთში მცხოვრები ხალხი განაგრძობს მუსლიმანობას იმავე თავდადებით, რა თავდადებითაც იბრძოდნენ სალორეთელი ქრისტიანები.

ილია ჭავჭავაძის და მის თანამოაზრეთა მიერ დაწყებული აჭარელთა გათვითცნობიერებისა, სწავლა-აღზრდის და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე, სხვა პატრიოტებმა და ინტელიგენციამ დაასრულა.

სოფელ სალორეთში განათლების სიკეთემ და შუქმა შემოაწია. იმდენი ნასწავლი, საზოგადო მოღვაწე და სხვა ფუნქციონერები ჰყავს სოფელს, რომ სიამაყის კვარცხლბეჭვიე ნამდვილად იმყოფება.

სამისა და თამთას ნაფუძარი ისევ აგრძელებს უშრეტი და უჭკნობი ფესვებით და სულით არსებობას. მათი დამკვიდრების დროს

მიწა თუ ბარაქიანი იყო, დღეს გარემო ფაქტორების მავნე ზეგავლენით ისე ბარაქიანი აღარ არის, სამაგიეროდ საამის შთამომავლებმა იმრავლეს და თურქეთსა და ჩვენს ტერიტორიაზე ათას ორას სულს გადაამეტეს.

სოფელში ძირითადად ის ხალხი ცხოვრობს, ვინც წარსულ საუკუნეებში დასახლდა. არიან შემდეგ შემოსახლებულებიც.

სოფელი ას ოცდაათ კომლამდე გაიზარდა. მეტსაც აიტანს, თუმცა ამას დრო და ვითარება განსაზღვრავს.

ეპილოგი

444 წელი გავიდა ოსმალთა აჭარაში პირველი ფეხის შემოდგმი-დან და პირველი აღნერიდან. 2013-ში სამასი წელი შესრულდა სა-ლორეთელთა ამოწყვეტიდან, ბეთლემის ტრაგედიდან...

ამ სამასი წლის მანძილზე სალორეთის ისტორიაში ბევრი ძვრე-ბი მოხდა, აჭარელთა ქედზე მართლა უღელი არ დადგმულა, თორემ, როგორც იტყვიან მათ თავზე „ნისქვილის ქვა არ დაბრუნებულა თორემ...“ ჰო, ბევრი რამ გადახდა სალორეთს. ხან შეივსებოდა მო-სახლეობით, ხან ისევ დაიცლებოდა, ხანაც ისევ დასახლდებოდნენ და კვლავ მიდიოდნენ – ზოგი მუჟავირში, ზოგი სხვაგან მუდმივ საცხოვრებლად, ზოგიერთები კი საუკუნო განსასვენებელში.

ივებოდა და იცლებოდა სალორეთი.

ოსმალთა პირველი აღნერის დროს 1566-1572 წლებში სალორე-თის ციხის რაბათთან (აღმაშენებლის ციხის ირგვლივ თუ ცივასუ-ლას ციხის მიმდებარედ?..) 24 კომლია აღრიცხული. მაშინდელ დრო-ში აღმნერლებს ფეხი არ მიუწვდებოდათ ყველგან და ამდენად სრუ-ლყყოფილად არც არის აღნერილი. ეს მაშინ აჭარას ხელს აძლევდა, მაგრამ ოსმალები ასე არ ფიქრობდნენ, მათვის უმთავრესი მიზანი იყო საქართველოს ტერიტორიებზე დამკვიდრება, შემდეგ კი ყვე-ლაფერს მარწუხებში მოაქცევდნენ და შეხედულების მიხედვით და ვითარების გამოყენებით მოუქრდნენ.

დიახ, ეს მიზნად ჰქონდათ მთელი მცირე აზიის ბატონ-პა-ტრონებს, მაგრამ ისტორიამ თავის სიტყვა თქვა და ღმერთიც დაეხ-მარა დროებით ძლეულ აჭარას, მაგრამ სანამ ეს მოხდებოდა, მანამ აჭარის მცხოვრებლებმა სასტიკი დამცირება და გაჭირვება გადი-ტანეს და მთელი სამასი წელიწადი სულიერ ტყვეობაში იყვნენ.

აჭარას ელტვოდნენ 1600-იანი წლებიდან და მიზანიც ნაწილო-ბრივ აისრულება – ხალხი ისლამზე მოაქციეს, მეჩეთები აუგეს თუ ააგებინეს, მაგრამ ვერაგობა ბოლომდე ვერ გამოიჩინეს, აქა-იქ მაინც შემორჩა ეკლესია და მონასტრები, ყველა ვერ გაანადგურეს, თუმცა აჭარელი ხალხის შეგნება ორად გახლიჩეს.

მთელი მათი შემოქრის პერიოდში ზოგს ისლამი მოსწონდა და ზოგიც ქრისტიანობის აღორძინებისათვის იბრძოდა.

აი, ასე ორად გაყოფილი შეგნება თუ სულიერება მოსდევთ აჭარ-ლებს და ამდენად ორი ბანაკია შექმნილი – მომხრეებისა და მოწინააღმდეგების. ამ ორად გაყოფას აჭარელი პატრიოტები წინ აღუდგნენ და თავიც შესწირეს. მარტო ხიმშიაშვილთა თავგანწირვა ეყოფოდა აჭარას, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, მაგრამ თვით საგვარეულოშიც ორად იყო გაყოფილი აზრი და სწორედ ასეთი დანაწევრება სულიერებისა ხელს აძლევდა მეფისდროინდელ რუსეთს. იქნებ ვინმემ თქვას, არც მის შემდეგი წყობა ყოფილა საქართველოზე ხეირის მომტანი, მე ამაშიც დავეთანხმები ყველას, მაგრამ ნაწილობრივ. არც დღეს გვაქვს მსოფლიოში ისეთი წესწყობილების სახელმწიფო, სადაც სრული ჰარმონია სუფევს.

რა იყო ცუდი და რა კარგი ამას სათანადო მტკიცებულებით ის-ტორიაც ვერ სცემს პასუხს, მაგრამ ყოველივე ეს ასე თუ ისე ცხოვრებამ დაანახა ხალხს.

ისტორიკოსთა, უბრალო მოამბეთა და სხვათა გადმოცემით სოფელში ხან ოცდაოთხი კომლი სახელდებოდა, ხან ორმოცი, ზოგჯერ ოცდაათი, ორვამეტ ოჯახამდეც შემცირებულა, მერეას ოჯახ-ამდე გაიზარდა და ასე შემდეგ. სალორეთელთა ამონცეტის უამს რომ ორასზე მეტი კომლი ყოფილა, ამაზე შეგნებულად დუმან, მე კი ვიტყოდი, რომ სოფელი ნასახლარებით რომაა სავსე, განა ამის უარყოფა შეიძლება? მაშინ რენა-ბეტონი არ იყო და უბრალო ყორეთი კმაყოფილდებოდა მოსახლეობა და არც ისეთ სრა-სასახლეს აშენებდნენ, დღეს რომ ჩვენი სახლები გამოიყერება იმ ძველი გამოსახედიდან.

ბევრჯერ აღვნიშნე სალორეთში მოსახლეთა გვარები, მაგრამ ძალიან ბევრიც უცნობია, არ იყო წერილობითი აღნუსხვები და სწორედ ეს იყო ცუდი ჩვენს ცხოვრებაში. ქვაზე კვეთა ოდითგანვე იცოდნენ ქართველმა მეჩიუქურთმებმა, მაგრამ იშვიათად, რომ საღმე ციხე-სიმაგრეზე აშენების თარიღი დაესვათ. აი, ასეთი უგულისყურებითაა ბევრი რამ მიჩქმალულ-დაკარგული, ბევრი რამ განადგურებულიც. ისტორიიდან ცნობილია, რომ ოსმალებს უნიკალური წიგნები დაუწვავთ ჩვენში, აღნიშნულია ორცვა, სალორეთი და კაპნისთავი თუ კიბეში დამწვარი წიგნები. დიახ, ალბათ უიშვიათესი და დღევანდელობისათვის ფრიად საჭირო ჩანაწერებით და დოკუმენტებით დახუნძლული ფოლიანტები. შემთხვევითი არაა ის რომ სა-

ლორეთლებმა განძთან ერთად წიგნები, საეკლესიო ჩანაწერები გადამალეს – მეთქი რომ ვახსენე ამ თხზულებაში.

ამ წიგნში არაფერია გამოგონილი, ყველაფერი გადმოცემითაა მოღწეული და ზოგი რამ დოკუმენტურია.

სალორეო მეწყერსაშიშია. ზაფხული ძალიან სიცხიანი და ზამთარი აუტანელი ყინვიანი, ხანდახან სწორედ ეს განაპირობებდა მცხოვრებთა მიგრაციას.

წყევლიან და ქიქოლას აყრიან დრევანდელ საქართველოს, თითქოსდა მონინავე ინტელიგენციათა ყოველგვარ რევოლუციას და ომებს, მაგრამ აბა ჩავიხედოთ გულში და ვთქვათ, თუ რევოლუცია საერთოდ საზარელია, მაშ რომელიმე რევოლუცია გამორჩეულად კარგი იქნება ოდესმე?

1878 წლის საზავო ხელშეკრულებით აჭარა დედა-საქართველოს შემოუერთდაო, ვამბობთ, მაგრამ იქ რომ რუსეთს დიდი როლი ჰქონდა – ეს თურმე ცუდია. ოქტომბრის რევოლუცია, რომ მოხდა და ხალხმა ცოტათი ამოისუნთქა, ეს კარგია, მაგრამ ის, რომ რუსეთს უკავშირდება ყოველივე – ეს ცუდია. გასაბჭოების შემდეგ, რომ ფართო გასაქანი მიეცა სწავლა-განათლების საქმეს და ცხოვრება ცოტათი გაუმჯობესდა – ეს კარგია, მაგრამ ამ ცოტათი სიკარგეში თუ რუსეთის ხელი ურევია – ეს არა მისაღები.

ოსმალები რომ თავხედობდნენ და გვიმონებდნენ, ეს ცუდია რა თქმაუნდა, მაგრამ რუსეთი ასე თუ ისე რომ დაეხმარა საქართველოს – ეს ცუდია. დღეს რომ თურქეთი ისევ კისერზე გვაზის ეს მისაღებია, რუსული კარაქიც რომ კარგია, ეს ყველამ იცის, მაგრამ ძალით გვატენიან (ბოდიში ამ სიტყვაზე). საზღვარგარეთ სანაგვეზე გადასაყრელ ყოველგვარ ნაგავს, ისევ ეს ჯობია? რა რუსებს დავუბომბივართ და რა საზღვარს გამოვლით შემოტანილ დასავლურ თუ თურქულ ნაგავს მოვუსპივართ ერთი არაა? თუ ნეტა ბომბით სიკვდილზე იოლია მონამვლით სიკვდილი?

რატომ ასე ვმსჯელობ? აი, რატომ...

მე თავგადაკლული პატრიოტი ვარ ჩემი ქვეყნისა და არ მსიამოვნებს ის რომ ქართველი ქალები (გინდაც მამაკაცები) საშოვარზე გადიან საზღვარგარეთ. იცით იქ როგორი დისკრიმინაციაა?

სანუკვარი ოცნება აისრულეს თურქ-ოსმალებმა – ჩვენი ქალები მამაკაცებმა თავისით გაუგზავნეს მათ და საუკუნეობრივი ოცნება და მიზანი გაუმართლეს...

დიახ, თურქებს ჩვენი ქალები და ჩვენი სახრავი უფრო აინტერესებთ, ვიდრე ჩვენი სიკეთე.

ავგანზრახვიანთა ქმედებებმა შორს წამიყვანა.

რა გვაქვს დღეს?

თუ სალორეთლები სამი საუკუნის უკან ქრისტიანობისთვის ენამნენ, ერთგულება დაუმტკიცეს ქვეყანას, მის შემდეგ შემოჭრილ ისლამს დღესაც მორჩილებს ხალხი იგივე ერთგულებით, რა ერთგულებაც დაუმტკიცეს სალორეთის მიწას ქრისტიანმა სოფლელებმა.

მე ცუდს ვერაფერს ვხედავ მუსლიმანობაში, გარდა იმისა, რომ არ გვინდა ვიყოთ დამოკიდებული ისლამურ ქვეყნებზე. რა უყოთ თუ ზოგს მუსლიმანობა გვირჩევნია, დრო გავა და აღარ დარჩება მლოცველი სალორეთში, ისევ შეიცვლება ვითარება, როგორც დღეს გვაქვს თურქეთთან მიმართებაში – ვიბრძოლეთ, რომ ოსმალები გაგვერეკა... „გავრეკეთ“ და ეხლა კი იქეთ ვეხვეწებით რალაც-რალაცებს... სიმართლე არაა? აი, როგორ იცვლება ვითარება. ასე შემოვა ქრისტიანობაც, მაგრამ დადგება დრო და ამ ორი სარწმუნოების მიმდევართა შორის მწვავე დაპირისპირება მოგვეხვევა თავს...

ეხლა რაც შეეხება კარგს, რაც ჩვენშია...

ოცამდე გვარი სახლობს სალორეთში და ალბათ ცოტა ხანში ასორმოცდათ კომლს მივალწევთ. არ არის ოჯახი, რომ ერთი მძღოლი არ იყოს. ადრე თუ თითო-ოროლა უმაღლესდამთავრებულით ვიწონებდით თავს, ეხლა თუ ყველა ოჯახში არა, ყოველი მესამე უმაღლესი განათლებითა და ზოგ ოჯახში სამი და ოთხია. ყველა სფეროს გასწვდნენ სალორეთლები. შრომაში გამრჯვები, სწავლაშიც ბეჯითები არიან. ზარმაცები ნამდვილად არ გვირევია, ნასწავლები კი...

კიდევ ერთხელ ჩამოვთვლი მათ და ვგონებ ზედმეტი არ იქნება ეპილოგისათვის...

ლორთქიფანიძეებს, გარდა იმ სახელმწიფო მოღვაწეებისა, რომ-ლებიც რეპრესიებს შეენირნენ, დღეს ჰყავთ (გვყავს) საქართველოს, ერის, სახელმწიფოებრიობის ერთგული, საქართველოს საბაჟო დე-

პარტამენტის ყოფილი ხელმძღვანელი გენერალუიტენანტი ვიქტორ მემედის ძე. (გარდაიცვალა 2015 წელს...)

ჩავლეიმშვილებს (შალიკაშვილებს) იმდენი სახელმწიფო მსახური გამოუზრდიათ, ერთი სოფლისათვის ნამდვილად გადაჭარბებულად ფიგურირებს. მათ შორის სალორეთელი ცოლ-ქმრის შვილია საფრენისნო სკოლადამთავრებული, (მაგრამ პროფესიით არ უმუშავია) – ტარიელ მელიქიშვილი.

ნოდარ მელიქიშვილი (ტარიელ მელიქიშვილის შვილი) – პროკურორი, რომელიც სხვადასხვა მაღალ ჩინს ფლობდა.

თებიძეებში კი ნასწავლს და განათლებულს რა გამოლეს, მაგრამ განსაკუთრებით ალსანიშნავია ყოფილი ვიცე-პოლკოვნიკის შოთა თებიძის საქმიანობა. ამჟამად მისი შვილის – გენო თებიძის დამსახურებანი: – მშობლიური ხალხის სამსახურში. იყო გაზეთ „აჭარის“ რედაქტორი და მთავრობის წევრი, მოღვაწეობს ქალაქის მერიაში.

თებიძეებს ჰყავთ პოეტი რეზო თებიძე. მისი ძმა – ილია თებიძე, ყოფილი პარტიული მუშავი. პირველი მაისის საკრებულოს მეორედ მოევლინა სუსტი სქესის ნარმომადგენელი – თინა თებიძე.

სამნიძეებს არასოდეს დაუხევიათ უკან. ჯერ იყო და პირველი მაისის საბჭოს თავმჯდომარეობდა პირველი ქალი ფუნქციონერი – ნათელა სამნიძე.

ქალაქის ვიცე-მერი იყო დავით თამაზის ძე სამნიძე. დიდხანს იყო მთავრობაში ამჟამინდელი ქედის საკრებულოს დებუტატი – შოთა სამნიძე.

თბილისში მოღვაწეობენ დიასამინისტრი (სამნიძეთა) მეორე შტოს წარმომადგენლები – ავთანდილ (ავთო) დიასამინი და მისი შვილები. (ავთანდილი გარდაიცვალა 2014 წელს).

შერვაშიძები ყოველთვის მონინავე ხაზე იღგნენ სალორეთის ცხოვრებაში. ქაზიმ შერვაშიძე დიდხანს სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა. ხუთივე შვილს უმაღლესი განათლება მიაღებინა, ამათგან ერთი ვაჟი დიდხანს იყო რაიონის პოლიციის უფროსი და პოლკოვნიკის ჩინით გავიდა პენსიაზე. უმცროსი ძმა ბიზნესმენია და საქართველოს პარლამენტის წევრია ქედის რაიონიდან მაურიტარ დეპუტატად.

შავლიძეებშიც სწავლის წყურვილი დიდი იყო. შავლიძეთა წარმომადგენელი, ხელვაჩაურში მცხოვრები ნიაზ შავლიძე დიდხანს

სხვადასხვა თანამდებობებზე იღვწოდა, ხოლო ბადრი შავლიძე ხელ-ვაჩაურის გამგებელი იყო.

სურმანიძებში, გარდა იმ სახელოვანი, პატრიოტი ხოჯის ხასან-ეფენდი სურმანიძისა, დაწინაურდა ქალი, რომელიც საქართველოს დეპუტატი იყო. ილია სურმანიძე მოღვაწეობს სანკტ-პეტერბურგში (ლენინგრადში) არის ბიზნესმენი. სურმანიძების ისტორია ხუთასი წლით წინ დაიწყო... დრესდლეობით აჭარის მასშტაბით თითქმის ყველა სოფელში სახლობენ ამ გვარის წარმომადგენლები. ალნიშვნას მართებულად იმსახურებს ასეთი გადმოცემაც: ვინაიდან სოფელ საღორეთში ადგილობრივი ხოჯა არ ყოფილა, ქედის ტერიტორიაზე დასახლებულ, გასურმანიძეებულ პიროვნების შვილი (თუ შვილიშვილი...) საცხოვრებლად დასახლებულა იმ დროისათვის ქვემო აჭარის ცენტრად წოდებულ სოფელ საღორეთში. (საღორეთი რომ ქვემო აჭარის ცენტრი იყო, ამას მონაბეჭდის ახლახანს გამოცემული, თურქული დოკუმენტების რამდენიმე ფურცელი, რომელიც პროფესორ ზაზა შაშიკაძის დამსახურებაა. წიგნში „აჭარის ლივის ვრცელი და მოკლე დავთორები“, სოფლის ეს პრივილეგია ნიშანდობლივადა ჩამოყალიბებული). თუმცა მხოლოდ გადმოცემითი ხასიათისაა ეს ცნობა და იმ დროისათვის (1566-1572 წწ პირველი აღნერის დროს ეს გვარი დოკუმენტურად არ ფიგურირებს) ამისთანა შემოსახლება-განსახლებას არ გამორიცხავენ. დღესდღლეობით ვეყრდნობით თანამედროვეთა მონათხოვს, რის მიხედვითაც ჩნდება მოსაზრება, რომ აჭარის ყველა სურმანიძის უძველესი ფესვები საღორეთს უკავშირდება...

რაც შეეხება დევაძეებს, ამჟამად მოსკოვში ბიზნესის სფეროშია ელდარ დევაძე. ის ყოფილი ქედის რაიკომის მეორე მდივნის, მრავალი ორდენის მფლობელ – დავით (ჯასიმ) დევაძის შვილიშვილია.

ასევე, მოსკოვში მოღვაწეობს ბიზნესის სფეროში ყადიძეთა წარმომადგენელი ხასან ყადიძე.

დიასამიძეთა (სამნიძეთა) მესამე შტო – ავთანდილის შვილმა პენრი დიასამიძემ მაღალ საფეხურზე აიწია კომუნისტური რეჟიმის დროს. იგი ქიმიკოს-ბიოლოგი იყო და სამეცნიერო დარგშიც იღვწოდა. მისი შვილები მალხაზი და ხათუნა უმაღლეს პედაგოგთა მომზადების საქმეს ემსახურებიან.

კვლავ სამნიძეთა წარმომადგენელი ნიაზ სამნიძე წლების მანძილზე სხვადასხვა თანამდებობებზე მოღვაწეობდა, ასევე მისი ძმებიც, ხოლო მათმა ბიძაშვილმა ხათუნა სამნიძემ ჩვენი ნიჭიერების ამბავი ამერიკაში ჩაიტანა. იგი ეხლაც მოღვაწეობს მთავრობაში. ამჟამად საქართველოს რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარეა.

განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის შთამომავლის – ლია ციციანიძის მუყაითობა. ის მკურნალი ექიმი გახდა და არა მარტო დიდი ბაბუა – ხასან ციციშვილი ასახელა, არამედ დიდებული ზაზას ფესვ-გენები გაახანგრძლივა.

ყველას ჩამოთვლა ფიზიკურად შეუძლებელია, რადგანაც სასახელო პიროვნებები მრავლადაა, ისევე როგორც ამოუწურავია საღორეთის ისტორია და მის შესახებ ინფორმაცია. ნაწილობრივ ვე-ცადე ეპილოგში მომეხსენებინა ზოგიერთი მათგანი, რადგანაც ეპილოგი ბევრს ვერ დაიტევს, თუმცა საღორეთელთა ცხოვრებაში ნურა-სოდეს ყოფილიყოს ეპილოგი...

ცხოვრებას ხომ სოფელი აგრძელებს. ვებლაუჭებით ისტორიული ქვების ფურცლებს თუ წყალწალებულებივით ამ ქვებზე მოდებულ ხავსს და სუროს, მაგრამ ფაქტია, რომ დასაპამი ცხოვრებიდან ვაგრძელებთ დღევანდელი თაობა და ასე გაგრძელდება დაუსრულებლივ ჩვენი ცხოვრება. იგი არასოდეს ჩაკვდება და ტრაგიკულად არასოდეს გვექცევა საღორეთლობა...

...ნამდინარევზე წყალი ჩაივლისო. ვნახოთ, დროებით ვაჩერებ თხრობას. მომავალი თაობები ალბათ უფრო მეტს იტყვიან და იმედი მაქვს, რომ ოსმალთაგან ჩვენში დალვრილ სისხლს ერთ დროს აზღვევინებენ თურქებს და მათ შთამომავლობას.

„გასრულდა ესე ამბავი...“

არა, არასოდეს დასრულდება ვიდრე კაცობრიობა იარსებებს...

ერთი ფაქტია, რომ საღორეთის სახელი, სოფლის თვითმყოფა-დობის ისტორია, სამიათასი წლის წინანდელი სამზერიდან იხედება... აქ აღმოჩენილი ბრინჯაოს ცულები ამის დამადასტურებელია... სავაჭრო-საქარავნე გზა, რომელიც საღორეთს შუაზე კვეთს, იმ სამი-ათასწლოვანი ისტორიის ნაწილია, რომელსაც აქ აღმოჩენილი ცულები გვამცნობს. თუ ვაჭრებს გადაჰქონდათ ფაქტია, რომ მაშინ ცხოვრება დუღდა და თუ ადგილობრივ ინარმოებოდა, მითუმეტეს

მაშინ ცხოვრება დუღდა და ჩქეფდა კიდეც, მაგრამ ვაირომ იმ შორეული ისტორიიდან არაფერი ვიცით ჩანაწერებით, თუმცა კარგი მკითხველი უბრალო ქვებზეც ამოიკითხავს ჩვენს ისტორიას...

ისტორია კი ნამდვილად გვქონდა და ასეული წლობით, იქნება ათასწლეულობით გაგრძელდება.

სიკეთედაუშრეტელი ყოფილიყოს „სალორეთი” ანუ „ნადარბაზევი” გინდაც „სავანე”...

იქნებ ვილაცამ ჩუმად ჩაიცინოს სოფლის სახელწოდების ცვლაზე – სასაცილოდ გვქონებოდეს საქმე და არა სატირლად, ხოლო სოფლის მეოთხე დასახელებას „პირველ მაისს”, ბოლომდე არ ვახსენებდი... მსუსყიდვები ბოლოსაა გემრიელიო – იტყვიან. მაისის თვეებ უბედურება რომ მოუტანა სალორეთს ეს ხომ უდაოა და თუ სახელწოდება პირველ მაისზე მიდგება საქმე მაისი ვარდობისთვეა და სულ მაისობა და ვარდობა პექონოდეს სალორეთს და მის მცხოვრებლებს. ისინი ამის ლირსნი არიან...

დროთა ცვლამ იქნებ კიდევ შეუცვალოს სოფელს სახელი, ჯანდაბას, ეგ არაფერია, ოლონდ იერი არ შეგვცვლოდეს არასოდეს და კეთილი მიზნებით თითოთ საჩვენებელი მუდამ ვყოფილიყავით.

მწვანე შუქი ჩვენს ანინდელ ყოფა-ცხოვრებას და ისტორიას, ხოლო ის ტრაგედია, რომელიც სალორეთელთა ყოფა-ცხოვრებას თან ახლდა, ნულარ განმეორებულიყოს, ტრაგედიები კი ნამდვილად იყო... დაწყებული „ბეთლემის ტრაგედიით” დღევანდელობის ჩათვლით, რადგანაც ამ სამწუხარო სიტყვას მივადექით, ბარემ ორიოდე სიტყვით აღვწერ თუ რა ტრაგედიების ცოდვა ტრიალებს დღევანდელობამდე. ეს ღვთის კანონების კრიტიკის მსგავსია, მაგრამ გულისტყვილს მუდამ ახლავს ღვთის ეს შეცოდებანი, მაგრამ იმედია გვაპატიებს მამაზეციერი ხანდახან საქმეებს ასე რომ „ვარჩევთ”...

ვინ ტყვიას ემსხვერპლა, ვინ კლდიდან გადავარდა, ვინ დანის წერა გახდა, ვინ მდინარეში დაიხრიო, ვინ კიდევ ზვავში მოჰყვა, ზოგი უბრალოდ თოვლევეშ და სული ღმერთს მიაბარა, ზოგი ავტოკატასტროფის მსხვერპლი გახდა, რომელთაგანაც ბევრს საფლავიც კი არ ღირსებია. ამგვარი რამ ანადგურებდა სალორეთლებს ფიზიკურად და მორალურად, მაგრამ კაცნი გვქვია და მოვარდნილ უბედურებას

უნდა შეუდრეველად დავხვდეთ. ბიბლიაში და ყურანშიც სწორედ ასე წერია... მოთმინება და გამძლეობა დიახაც აქვს სოფელს, სხვაგვარ-ად არ შეიძლება, იმიტომ რომ სიცოცხლეს გაგრძელება უნდა.

დიახ, სიცოცხლეს გაგრძელება უნდა. არ მინდა ტენდენცი-ურობაში ჩამითვალოთ, არც ეპილოგისათვის არ შემომინახავს, მა-გრამ უთქმელობაც გაუმართლებელია. თუ ხასან ბაბუამ ყულეჯიშ-ვილის გვარი გადაარჩინა გაუქმებას, მისმა შვილმა – მუსტაფა სამ-ნიძემაც დიდი როლი ითამაშა ხინწკალის ერთი შტოს გადასარჩე-ნად.

1914 წელს სულეიმან ხინწკალი სხვა მუჰაჯირებთან ერთად გა-დასულა ოსმალეთში, სადაც თითქმის უპატრონოდ დარჩენილა, მა-გრამ მხესნელად მუსტაფი და მისი ძმები მოევლინენ – ეპატრონენ და მათთან აცხოვრეს. მას მხოლოდ საქონლის მოვლა-პატრონობა ევალებოდა, რომელსაც ძალიან კარგად ართმევდა თავს. მამაჩემა მიამბო ეს ამბავი. როდესაც უკან დაბრუნდნენ, სულეიმანიც წამ-ოიყვანეს და მამისულ ფუძეს აპატრონეს, რომ არა მამაჩემი და მისი ძმები, ვინ იცის რა ბედი ეწეოდა სულეიმანს ოსმალეთში.

სიკვდილამდე პატივს სცემდა სულეიმანი თავის მხსნელს...

„მადლი ჰქენი და ქვაზე დადეო“... იტყვიან, აუცილებლად დაინ-ახავს ვინმე, იქნებ არც კი, მაგრამ ღმერთია ჩვენი დამნახველი და ის განსჯის...

მადლიანი საქმე არ გამოლეოდეს სალორეთს... ამინ!

უცხო სიტყვათა ლექსიკონი

- * გიაურინუნოლლი – ურჯულოს შვილი
- * ბაირახტაროლლი – მედროშის შვილი
- * სელამ ალეიქუმ – ღმერთმა გაგიმარჯვოს
- * ყული – სულიერი, ადამიანი
- * ჰელბეთ – ალბათ
- * სალოლსუნ ეფენდი – გმადლობთ ბატონო
- * ხათუნი – გასათხოვარი, საქალბატონე
- * თამამ ბაი – კაი, ბატონო
- * ჩიჩეგ ხანა – ყვავილნარი ადგილი
- * ნე ოლდი – რა მოხდა
- * ეთმე-ილამა – არქნა, ნუიზამ. უფრო სწორად როგორ გეკალრებათ
- * აბდესი (თურქ-აბდესთ) – ნამაზისწინა განბანვა
- * დელი – სულელი, გიუ
- * ყურბანი – შესაწირავი ცხოველი
- * ოთურუნუზ – დაბრძანდით
- * ქემერქოფრი – თაღიანი ხიდი
- * ხოშგელდინიზ – კეთილი იყოს თქვენი მობრძანება
- * მოსაფირი – სტუმარი
- * დოსტი – მოყვარე
- * ჰერსი – სიბრაზე
- * დოლრი – თანახმა ვარ. კარგი. მართალია
- * ხანუმ – ქალბატონო
- * სალოლ – გმადლობ
- * იესირჯი – ადამიანთა მომტაცებელი და ტყვედ გამყიდველი
- * თესპე – კრიალოსანი
- * ფარა – ფული
- * ჰერამხანა – საქალებო, სულთნის ან ფაშის ცოლების ადგილ-სამყოფელი
- * ხანი – შენობა, მოსასვენებელი – ღამისგასათევი ადგილი
- * საბახნამაზი – დილის ლოცვა
- * ჯიპადი – საყოველთაო, სარწმუნოებრივი სალვოო ომი
- * ეზანი – მოწოდება ლოცვისათვის

- * ონბაში – ათმეთაური
- * ასკერი – ჯარისკაცი
- * ბაშლული – ყბალახი
- * ინშალლა – ღმერთით, ნამდვილად
- * მელაიქები – ანგელოზები
- * იახში ეფენდი – თანახმა ვარ, კარგით ბატონი
- * სალამ ალეიქუმ ეფენდი – ღმერთმა გაგიმარჯოს ბატონი
- * ალეიქუმ სელამ – გაგიმარჯოს ღმერთმა
- * გიოზლერინე ქოროლსუნ – თვალები დაგიბრმავდეს
- * ალლაჰ – ღმერთო
- * გიაური – ურწმუნი
- * ბეუნდარუნუნ ახირ ზამან გელდი – ამათვის აღსასრული დადგა
- * ბე ქოდენიმსანლარსიელმშლერ – სოფლიდანადამიანებიგაქცეულნ
- * ბინბაშ ნერდე ეფენდი – ათასის მეთაური სადაა ბატონი
- * ბინბაშ ელდი ყარდაშ – ბინბაში დაიღუპა ძმაო
- * ბუნდან სორა ასქერ ბაშბაქან სენ ოლურსუნ – ამიერიდან ჯარის უფროსი შენ იქნები
- * ქილისე – ეკლესია
- * გიაური ნუნოლლი ფაფაზ – ურჯულოს შვილო მღვდელო
- * ბაშბაქან ნე ოლდუ – მეთაური რა იქნა
- * დოლრუ გით ქოდექოლლუ – გაგვიძეხი ძალლიშვილო
- * ეფენდიმ, ქილისიედე ჩიფლაქ კიზ ზილ ჩალიორ, ნე იაფალიმ – ბატონი, ეკლესიაზე შიშველი გოგო ზარს რეკავს, რა ვქნათ?
- ვურუნუზ – მოვკლათ
- * ყარდაშ – ძმაო
- * ფეილამბერი – შუამავალი, ბელადი
- * გურჯისტანი – საქართველო
- * იუზბაში – ასმეთაური
- * ბაირამოლლი – ბაირამაშვილი
- * იანიჩარი – ჯარისკაცი
- * თეფექოი – ფერდობის სოფელი
- * ქუჩუკბეი – პატარა ბატონი
- * იატაგანი – ხმალი
- * შარიათი – კანონმდებლობა ყურანით

ქრონოლოგია, რომელიც მოცემულია წიგნში – ვფიქრობ ზედ-მეტი არ იქნება მკითხველისათვის

1. 1463 წელი – ყვარყვარე ჯაყელმა სამცხე-საათაბაგო დამოუკიდებლად გამოაცხადა
2. 1500-იანი წლები – ოსმალები სამცხე-საათაბაგოში დაემკვიდრნენ.
3. 1566-1572 წლები – ზემო და ქვემო აჭარის პირველი აღნერა
4. 1578 წელი – დათარილებულია ახალციხის დაპყრობის წლად
5. 1624 წელი – ბექა ჯაყელმა (სეფერ-ფაშა...) ახალციხის ტახტი დაიჭირა
6. 1628 წელი – ახალციხეში დაკანონდა საფაშო
7. 1628 წელი – ოსმალებმა ინტენსიურად შემოუტიეს
8. 1707 წელი – დაიბადა ახმედ ხალიფაშვილი, ქედელი
9. 1713 წელი – საღორველთა შეჭირვებული ყოფა – ოსმალებმა ამოულიტეს საღორველები... ეკლესიის გადაბუგვა. ბეთლემის ტრაგედია!
10. 1716 წელი – დაიბადა მამია (მამუკა) დიასამიძე – ახალციხელი
11. 1717 წელი – დაიბადა ფატმა. (თამარ ნოღაიდელი)
12. 1722 წელი – ახმედ ხალიფაშვილი სასწავლებლად მიდის ოსმალეთში.
13. 1724 წელი – ახალციხიდან მამია დიასამიძეს იტაცებენ, გადაჰყავთ ოსმალეთში.
14. 1725 წელი – ქობულეთში იპარავენ და სტამბულში ჰყიდიან თამარს
15. 1735 წელი – მამია (მაჰმუდი) ხდება სტამბოლის ჩემპიონი კრივში და ჭიდაობაში
16. 1735 წელი – მამიამ და თამარმა (მაჰმუდმა და ფატმამ) იქორწინეს
17. 1737 წელი – ახალციხის ფაშამ აჭარა,,მოსსწავა და მოსტყვევნა;
18. 1737 წელი – დაიბადა საამ სვანიძე (ობოლა)
19. 1737 წელი – მამია, ფატმა, ახმედ-ხოჯა და დავით-ფალავანი გადმოვიდნენ ახალციხეში
20. 1737-1740 – ახმედ ხოჯა სამ წელს დარჩა შალვა დიასამიძესთან

21. 1737-1744 წელი – ათაბაგი უსუფ III-ის შემდეგ ახალციხეში ათაბაგობა გაუქმდა
22. 1740 წელი – დაიბადა თამთა დასამიძე, მამიას და ფატმას შვილი
23. 1740 წელი – ახმედ ხალიფაშვილი დაბრუნდა ქედაში
24. 1750-1755 წელი – საღორეთში შემოსახლდნენ შალიკაშვილები
25. 1759 წელი – იმერეთის მეფე სოლომონ I-მა ტყვეთა სყიდვა აკრძალა
26. 1760-იანი წლები – თავდგირიძეები დამკვიდრდნენ სოფ. მახუნცეთში
27. 1762 წელი – საამმა და თამთამ აწყურის ეკლესიაში დაიწერეს ჯვარი
28. 1763 წელი – საამი და თამთა დასახლდნენ „გუფთში“ (ყოფილი ნასოფლარი – საბაკურილი)
29. 1765 წელი – საამი და თამთა გადმოსახლდნენ საღორეთში. საამი გამუსლიმანდა
30. 1766 წელი – დაიბადა აბდულ საამიშვილი
31. 1770 წელი – დაიბადა ახმედ საამიშვილი
32. 1770 წელი – ხინოს ხეობაში შემოვიდნენ ოსმალები
33. 1770 წელი – რუსეთის დედოფალმა ეკატერინე- II-მ ერეკლეს ჯარი გაუგზავნა, მაგრამ ისინი ქართველებს არ დაეხმარნენ.
34. 1771 წელი – ხინოს ეკლესიიდან გადაიხვეწნენ მღვდელი – ქათამაძე და ეპისკოპოსი წუნუნაიშვილი
35. 1774 წელი – ქუჩუკ-კაინარჯის ზავი
36. 1775 წელი – საღორეთში საცხოვრებლად შემოვიდა ალექსან- დრე შარვაშიძე...
37. 1776 წელი – ერეკლე II-ის წინააღმდეგ შეთქმულების მონაწ- ილე – გლახა ციციშვილი
38. 1778 წელი – გლახა ციციშვილი დასახლდა ქედაში (გამო- ასახლეს)
39. 1783 წელი – გეორგიევსკის ტრაქტატი
40. 1784 წელი – აჭარის მმართველად დაჯდა სელიმ ხიმშიაშვილი
41. 1786 წელი – დაიბადა მამია (მემი) საამიშვილი

42. 1790 წელი – სალორეთში შემოსახლდა ალექსანდრეს ძმა – ხაუტა შარვაშიძე
43. 1790 წელი – აჭარაში პირველი მუფთი – ახმედ ხალიფაშვილი
44. 1790-1792 წლები – საამი და აბდული – სელიმ ხიმშიაშვილის მოლაშქრები
45. 1791 წელი – გარდაიცვალა ახმედ ხალიფაშვილი
46. 1795 წელი – გარდაიცვალა საამი
47. 1796 წელი – იქტინინეს აბდულ საამიშვილმა და ჰავერ აბუ-სერიძემ
48. 1796 წელი – თამთა შვილ მამიას ერთად წავიდა სხალთის ეკლესიაში
49. 1798 წელი – თამთა და მამია დაბრუნდნენ სხალთიდან
50. 1798 წელი – დაიბადა შაანი (შაანალი)
51. 1800 წელი – სალორეთში შემოსახლდა სწავლული, ხოჯა ხას-ან ლორთქიფანიძე
52. 1815 წელი – სელიმ ხიმშიაშვილის ღალატით სიკვდილი
53. 1830(26) წელი – დაიბადა ხასან საამიოლლი, შაანის შვილი
54. 1830-1831 წლები – აიგო სალორეთის დიდი ჯამე (დღეს არ-სებული)
55. 1835-1845 წლები – ლომან ბაირახტარი – თებიძე, ოსმალეთში მედროშე
56. 1837 წელი – ანამეს თამთა დიასამიძე. დასაფლავებული იყო საყდართან ახლოს
57. 1838 წელი – მამია შურისძიების შემდეგ, შვილ სეფერით გა-დაიხვენა ოსმალეთში
58. 1840 წელი – სამართლიანობისთვის მებრძოლი ყიზეთალა შამბაშოლლი – დვალიძე
59. 1850 წელი – სალორეთში ჟერ კიდევ იდგა ნახანძრალი საყდარი
60. 1861 წელი – ამ წელს ჯამეს ჩაუტარდა რეკონსტრუქცია
61. 1865 წელი – ამ წლამდე ირეკებოდა ხინოში ეკლესიის ზარიო
62. 1868 წელი – დაიბადა ხასან ციციშვილი
63. 1860-1870-იანი წლები – მემი ყადიოლლი-ყადიძე, ოსმალეთში მედროშე
64. 1870-იან წლებიდან გაუქმდა ხინოს ეპარქია

65. 1876 წელი – შაანის მესამე შვილი – უზეირი, მეულლის ერთად გადაიხვეწა ოსმალეთში
66. 1878 წელი – გარდაიცვალა შაან საამიშვილი (საამიოლლი)
67. 1878 წელი – ყარსის ზავითაჭარა შევიდა რუსეთის მფარველობაში
68. 1880 წელი – ოსმალეთში გადაიხვეწა უზეირის ძმიშვილი – აბდული, მეულლის ერთად
69. 1892 წელი – ხასან ციციშვილი, მუხრან ბატონის სასახლეში გამართულ ნადიმზე
70. 1895 წელი – გარდაიცვალა ხასან ციციშვილი
71. 1909 წელი – დაიღუპა არიფალა შაანისძე
72. 1909-1918 წლები – ოსმალეთის სულთანი მეჰმედ V რეშადი
73. 1910-იან წლებამდე სალორეთის დედო-ციხე ჯერ კიდევ არ სებობდა
74. 1914 წელი – მუსტაფა (მამაჩემი) და მისი ოთხი ძმა, დედამისმა ოსმალეთში წაიყოლია
75. 1914 წელი – მოკლეს ხასან საამიშვილი (შაანოლლი)
76. 1918-1922 წლები – უკანასკნელი სულთანი – მეჰმედ II
77. 1919 წელი – ოსმალეთიდან სალორეთში დაბრუნდნენ გადახვეწილი ძმები.
78. 1921 წელი – საქართველოს გასაბჭოება
79. 1921 წელი – გვარების გაახლება „ძე” – დაბოლოებით
80. 1923 წელი – შეიქმნა თურქეთის რესპუბლიკა. პირველი პრეზიდენტი – მუსტაფა ქემალი ათათურქი

დამატება:

წიგნში შემყავს ყოფილი სპეციაკი ადამიანები, სახელმწიფო მოსამასახურენი, მომავალი მეცნიერები და ვინ იცის – იქნებ ქვეყნის ამყვავებელნიც – ამ საუკუნის პირმშოები ჩვენი ჯიშ-ჯილაგიდან.

1. უსტა შპაინ საამოლლი – „მაჭახელის“ ტიპის თოვების უბად-ლო ოსტატი

2. მამუდ უსტა საამოლლი – (მერე დიასამიძე) – „მაჭახელა“ თოვების უბადლო ოსტატი

3. ავთანდილ (აბდულ) დიასამიძე – სოფლის პირველი მასწავლებელი, ღვანწლმოსილი პედაგოგი

4. პენრი დიასამიძე – ავთანდილის შვილი, საბჭოთა წყობილებისას პარტიული ხელმძღვანელი

5. ავთანდილ (ქემალ) დიასამიძე – აჭარის სახალხო არტისტი

6. დავით ავთანდილის ძე

7. ზურაბ ავთანდილის ძე სახალხო არტისტის შვილები

8. გიორგი ავთანდილის ძე კულტურის მუშაკები

9. ლიანა დიასამიძე – სახელმწიფო ფუნქციონერი

10. ზურაბ დიასამიძე – ბიზნესმენი

11. ეთერ დიასამიძე – ინსტიტუტის (უნივერსიტეტის) მეცნიერთანამშრომელი

12. ოსმან დიასამიძე – „მატორისტი“ პირველი მძღოლი

13. ლეილა დიასამიძე – საკავშიროდ აღიარებული დეპუტატი, პარტიული მუშაკი

14. ხასან სამნიძე – სოხუმ-მოსკოვის სამგზავრო მატარებლის მემანქანე

15. ჯიმშერ სამნიძე – პოლიციის საპატრულო სამსახურის კაპიტანი

16. ზაქრო (ზია) სამნიძე – ყოფილი სახელმწიფო მოხელე

17. თეიმურაზ სამნიძე – საქ. კ.პ აჭარის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე

18. დავით სამნიძე – ოქროს მედალისანი, სამართალმცოდნებისა და გეოგრაფიის ლექტორი, წიგნების ავტორი, სახელმწიფო მოხელე

19. რამაზ სამნიძე – იურისტი, ფეხბურთელი

20. სერგო სამნიძე – ხის ნაკეთობათა დიზაინერი, ისტორიკოს-ეთნოგრაფი. პუბლიცისტი, მწერალი, პოეტი, რამდენიმე წიგნის ავტორი

21. შოთა სამნიძე – ყოფილი მთავრობების წევრი, პარტიული ფუნქციონერი

22. ედიშერ სამნიძე – მრავალ თანამდებობაზე ნამუშევარი, საქ. შ.ს სამინისტროს აჭარის განყოფილების პასუხისმგებელი მუშაკი, პოლიციის მაიორი

23. გულნაზ სამნიძე – გამომცემლობა „აჭარის“ ყოფილი მუშაკი, რამდენიმე ასეული წიგნის რედაქტორი

24. ნოდარ მელიქიშვილი – აჭარის ყოფილი შ.ს. მინისტრი პროკურორი, აჭარის ყოფილი შ.ს. მინისტრი

25. თენგიზ თავდგირიძე – შსს პასუხისმგებელი ფუნქციონერი თანამდებობრივი ელიტის წარმომადგენელი, პოლიციის პოლკოვნიკი

26. ნათია თავდგირიძე – აჭარის ტელევიზიის მუშაკი, პროექტის „ერთი დღე სოფელში“ ავტორი და წამყვანი

27. მერი ასამბაძე – ქალაქის მერიის საჯარო სპეციალისტი

28. ენვერ ასამბაძე – ქალაქის მერიის საჯარო სპეციალისტი

29. ვაჟა ასამბაძე – შორეული ნაოსნობის კაპიტანი

30. ნინო ასამბაძე – ექიმი

31. ქეთო სვანიძე – უნივერსიტეტის ლექტორი

32. ნინო სვანიძე – უნივერსიტეტის ლექტორი

33. ზურაბ კირკიტაძე – ყოფილი სამხედრო ჩინოსანი, თადარიგის კაპიტანი, სპორტის ოსტატი, სამხედრო სამჭიდის თანრიგოსანი.

34. ნანი კირკიტაძე – „სამბოს დედოფალი“ საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი, სამბოში ანა-ბაჯის სამშობლოში, მის შემდეგ პირველი ქართველი მოჭიდავე ქალი.

შენიშვნა:

აქ მოყვანილი პიროვნებები ზოგი გასულ საუკუნეში მოღვაწეობდა, ზოგი წინა საუკუნეში, ზოგი კი ამ საუკუნეში ემსახურება ქვეყანას და ხალხს.

ამათგან ბევრი წინა წიგნში – „მოვალეობად გადმოღვრილი მადლი“ – შევიყვანე

ვინც დიასამიძედაა გატარებული, ყველა სამნიძეა, რაღაც მიზეზის თუ ვითარების გამო გადისამიძებული.

ჩვენმა შტომ ათას სულს გადააჭარბა საქართველოში, თურქეთში ხომ არიან და არიან...

იშვიათობაა ჩვენში უსწავლელი, მძლოლი კი საერთოდ ყველაა და იშვიათობას წარმოადგენს ამ მხრივ სოფელი...

რედაქტორი: **სიმონ გოგიტიძე**
ტექნიკური რედაქტორი: თეიმურაზ სამნიძე
კორექტორი: მაია სამნიძე
აწყობა და დაკაბადონება: მედეა ზოსიძე
ფოტოები: ავტორისა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11.06.2017
ქაღალდის ზომა 60X84 1/16
ფიზიკური თაბახი 31,6

**დაიბეჭდა შპს „პოლიგრაფი 2010“
ბათუმი ჩოლოევაშვილის ქ. №116**

